თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ. ლუტიძე

როგორ ვიმუშაოთ მარქსიზმის კლასიკოსთა ფილოსოფიურ შრომებზე

(მეორე შესწორებული გამოცემა)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1982

წიგნში მეთოდურად არის განხილული მარქსიზმის კლასიკოსთა ძირითადი ფილოსოფიური და სოციოლოგიური შრომები. იგი განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტების, პარტიული განათლების სისტემის მსმენელებისა და ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი ზ. ფორაქიშვილი

რეცენზენტები: პროფ. ვ. კალანდარიშვილი,
დოც. ბ. კარტოზია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982

10104
Л ——————
М 608 (06) 82

ავტორისაგან

კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შეთვისება აუცილებელი პირობაა მშრომელთა მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის. წინამდებარე ნაშრომში მეთოდურად არის განხილული მარქსიზმის კლასიკოსების ძირითადი ფილოსოფიური და სოციოლოგიური შრომები. მოკლედ არის დახასიათებული ვითარება, რომელშიც მარქსიზმის კლასიკოსთა შრომები დაიწერა, გადმოცემულია ამ ნაწარმოებთა სტრუქტურა და შინაარსი, მთავარი დებულებები და დასკვნები, ნაჩვენებია მათი ისტორიული და თანამედროვე მნიშვნელობა.

წიგნი შეიცავს აგრეთვე ზოგიერთ რჩევა-დარიგებასა და დამატებით განმარტებას, რაც ხელს შეგვიწყობს მარქსიზმის კლასიკოსების ფილოსოფიური და სოციოლოგიური ხასიათის ნაწარმოებთა დამოუკიდებლად შესწავლაში.

ნაშრომი სამი განყოფილებისაგან შედგება:

1. პირველი განყოფილება — მარქსიზმის წარმოშობა — რევოლუციური გადატრიალება საკაცობრიო ფილოსოფიური აზრის განვითარებაში.

2. მეორე განყოფილება — დიალექტიკური მატერიალიზმი.

3. მესამე განყოფილება — ისტორიული მატერიალიზმი.

მეთოდური მითითებები მარქსიზმის კლასიკოსების ფილოსოფიურ შრომებზე სწორედ ამ განყოფილებების მიხედვითაა წარმოდგენილი. ეს შეესაბამება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების თანამიმდევრობას, ამიტომ ქრონოლოგიური პრინციპის დაცვა

კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ძირითადი იდეების გადმოცემისას მთლიანად ვერ მოხერხდა.

მეთოდური განმარტებები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პირველწყაროების შემსწავლელთათვის მეორედ გამოდის (რამდენადმე შეცვლილი სათაურით). ავტორმა გაითვალისწინა შენიშვნები და წინადადებები, რაც პირველად გამოცემული წიგნის მიმართ გამოითქვა.

პირველი განყოფილება

მარქსიზმის წარმოშობა — რევოლუციური გადატრიალება საკაცობრიო ფილოსოფიური აზრის განვითარებაში

წიგნის ამ განყოფილებაში მოცემულია მეთოდური ახსნა-განმარტებანი კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის იმ შრომების შესასწავლად, რომლებშიც გარკვეულია მარქსისტულ ფილოსოფიის თეორიული წყაროები, თვისებრივად ახალი ფილოსოფიის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობის ისტორია, მარქსისტული ფილოსოფიის ძირეული განსხვავება წინამორბედი ფილოსოფიური მოძღვრებებისაგან. მარქსიზმის მიერ ფილოსოფიაში მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსის გასაგებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი შრომების შესწავლას, როგორიცაა კ. მარქსის „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი", „თეზისები ფოიერბახის შესახებ", „ბოლოსიტყვაობა „კაპიტალის" პირველი ტომის მეორე გერმანული გამოცემისათვის", კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ერთობლივი ნაწარმოები „გერმანული იდეოლოგია", ფ. ენგელსის შრომა „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული", ვ. ი. ლენინის ნაშრომები — „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი", „კარლ მარქსი" და სხვა. მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს.

კ. მარქსი. „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი"

კ. მარქსის ეს ნაწარმოები დაიწერა 1843 წლის დამლევს და 1844 წლის დასაწყისში, დაიბეჭდა 1844 წელს. იგი შესავალია მარქსის ნაშრომისათვის „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის" (დაიწერა 1843 წელს, ზაფხულში), რომელიც კ. მარქსის სიცოცხლეში არ გამოცემულა. თვით ამ გამოუქვეყნებელ ნაშრომში ახალგაზრდა მარქსი მივიდა დიდმნიშვნელოვან დასკვნამდე, რაც მისივე სიტყვებით შემდეგში მდგომარეობს: „ჩემმა გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიმიყვა-

ნა, რომ სამართლებრივი ურთიერთობანი, ისევე როგორც სახელმწიფოს ფორმები, ვერც თვით მათგან გაიგებიან, ვერც ადამიანის გონების ეგრეთწოდებული საერთო განვითარებიდან, რომ პირიქით, ისინი ფესვგადგმულნი არიან ცხოვრების მატერიალურ პირობებში. ...რომ სამოქალაქო საზოგადოების ანატომია პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ"[1].

კ. მარქსის მიერ ჯერ კიდევ 1843 წელს შემუშავებული ეს მატერიალისტური იდეა, რომ საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება, მატერიალური ცხოვრების პირობები განსაზღვრავს მისივე სამართლებრივ, პოლიტიკურ და საერთოდ მთელ სულიერ ცხოვრებას, წითელ ზოლად გასდევს აგრეთვე მის ნაშრომს „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი".

ამ ნაწარმოებს მისი შემსწავლელი გადაყავს ეპოქაში, როდესაც მიმდინარეობდა მარქსიზმის დიადი მოძღვრების ფორმირების პროცესი. მოწამე ვხდებით იმისა, თუ რა თანამიმდევრულობით, სიღრმით და თვისებრივად ახლებურად წყვეტს ახალგაზრდა, 25 წლის მარქსი საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულეს პრობლემებს.

ამ საკითხებიდან ჩვენ გამოვყოფთ რამდენიმეს:

1. რელიგიის არსი, დამოკიდებულება რელიგიისადმი;

2. საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის მოთხოვნა;

3. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა;

4. პროლეტარიატის გამათავისუფლებელი მისია.

მოკლედ განვიხილოთ ეს საკითხები.

1. რელიგიის არსი, დამოკიდებულება რელიგიისადმი. დაწყებული 1835 წლიდან, როცა გამოიცა შტრაუსის წიგნი „იესოს ცხოვრება", გერმანიაში მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა რელიგიის წინააღმდეგ. ამ მიმართულებით წინამარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში უკანასკნელ სიტყვას ლუდვიგ ფოიერბახის წიგნი „ქრისტიანობის არსება" (1841) წარმოადგენდა.

კ. მარქსი ჯეროვნად აფასებს რელიგიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას გერმანიაში და აღნიშნავს, რომ აქ რელიგიის კრიტიკა უკვე დამთავრებულია. ამ კრიტიკის მთავარი შედეგია ის, რომ „ადამიანი ქმნის რელიგიას და არა რელიგია ადამიანს", რომ ადამიანმა ზეცის ფანტასტიკურ სინამდვილეში თავისი თავის ასახვა დაინახა. ღმერთი ჩამოყვანილ იქნა მიწაზე, გაირკვა მისი მიწიერი საფუძველი. მაგრამ ამის იქით რელიგიის კრიტიკა არ წასულა, თუმცა ამ ფარგლებში იგი დამთავრდა.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 9.

კ. მარქსის დამსახურება სწორედ ის არის, რომ იგი არ დაკმაყოფილდა რელიგიის კრიტიკის უკვე მოპოვებული დონით. მისთვის რელიგიის კრიტიკა წანამძღვარია ყოველგვარი სხვა კრიტიკისათვის. იგი საკითხს ასე აყენებს: საკმარისი არ არის რელიგიის მიწიერი საფუძველი გამოვამჟღავნოთ, აუცილებელია აგრეთვე გარდავქმნათ ის საზოგადოებრივი გარემო, რომელიც რელიგიის არსებობას იწვევს. „რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არაპირდაპირ **იმ საშუალოს** წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის სულიერი სურნელება რელიგია არის“ [1].

აქვე კ. მარქსი განსაზღვრავს რელიგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. იგი აღნიშნავს, რომ რელიგია არის ხალხის მათრობელა, ოპიუმი. ამ დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარი რელიგიის, მათ შორის თანამედროვე რელიგიების, რელიგიური გადმონაშთების სოციალური მიზანდასახულობის დასადგენად.

საჭიროა გაეთავისუფლოთ მასები რელიგიური ბანგისაგან. ამისათვის კი უნდა შევცვალოთ ის სინამდვილე, რომელიც აქამდე რელიგიას ასაზრდოებდა და იცავდა. ამრიგად, ახალგაზრდა მარქსი რელიგიის კრიტიკას პოლიტიკის კრიტიკას უკავშირებს. „ზეცის კრიტიკა მიწის **კრიტიკად იქცევა, რელიგიის კრიტიკა — სამართლის კრიტიკად, თეოლოგიის კრიტიკა — პოლიტიკის კრიტიკად**“ [2].

როგორც ვხედავთ, რელიგიის არსისა და მისადმი დამოკიდებულების საკითხის გარკვევისას უკვე ნათლად ჩანს ახალგაზრდა მარქსის შორსმიმავალი რევოლუციური, პოლიტიკური დასკვნები. არც ერთ მოაზროვნეს მარქსამდე რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაუკავშირებია საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, არსებული პოლიტიკური წესწყობილების შეცვლის მოთხოვნასთან. ეს გარემოება მოწმობს იმ თვისებრივ სიახლეს, რომელიც მარქსისტულ ფილოსოფიას ძირეულად განასხვავებს ადრინდელი ფილოსოფიისაგან.

2. საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის მოთხოვნა. ამ ნაწარმოებში გატარებულია საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის დიდმნიშვნელოვანი იდეა. როგორც რელიგიის, ისე სამართლის, ფილოსოფიის, ადამიანთა აზროვნების სხვა სფეროებში ადრე იფარგლებოდნენ მხოლოდ არსებულის კრიტიკით, კავშირს არ ამყარებდნენ „ხალხის სოციალურ მდგომარეობასთან“. მაგრამ არსებულის კრიტიკა უნდა მოხდეს არა საკუთარი თავის, სპეკულატურ საზღვრებში, არამედ პრაქტიკის საშუალებით. ეს პრაქტიკა მარქსს ესმის როგორც რევოლუცია. კრიტიკის იარაღი უნდა შეცვალოს იარაღით კრიტიკამ.

---

[1] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი, 1971, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 5.

აქ აშკარად ჩანს ახალი მსოფლმხედველობის შეურიგებლობა მჭვრეტელობით მატერიალიზმთან, მისი ძირეული დაპირისპირება საერთოდ მთელ მარქსამდელ ფილოსოფიასთან, რომელსაც არასოდეს არ დაუყენებია საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური, პრაქტიკული გარდაქმნის ამოცანა.

როდესაც სამყაროს გარდაქმნის ამოცანას სახავდა, კ. მარქსი მისი განხორციელების საშუალებად მატერიალურ ძალას აცხადებდა. „მატერიალური ძალა ისევ მატერიალური ძალითვე უნდა დაემხოს“ [1], — აღნიშნავდა იგი. ამასთან კ. მარქსი სრულიადაც არ აკნინებდა თეორიის, აზროვნებითი კრიტიკის როლს სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის საქმეში.

3. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა — ახალი, მარქსისტული მსოფლმხედველობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა. საზოგადოებრივი სინამდვილის (კ. მარქსი უწინარეს ყოვლისა მსჯელობს გერმანული საზოგადოების შესახებ) მთელი სისაძაგლის, დახავსებული წესწყობილებისა და ჩვეულების თავიდან მოშორებისათვის ერთადერთი გზა არსებობს — პრაქტიკული, რევოლუციური ბრძოლა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თეორია ძალადაკარგული ფაქტორია სამყაროს გარდაქმნისათვის ბრძოლაში. „თეორიაც მატერიალურ ძალად იქცევა, როგორც კი ის მასებს დაეუფლება. თეორიას აქვს უნარი მასები დაიპყროს“ [2]. ეს არის მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულება, რომელსაც უდიდესი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს რევოლუციური მუშათა მოძრაობის, კომუნისტური და მუშათა პარტიების მოღვაწეობის წარმატებათა უზრუნველსაყოფად. თეორიის ძალა პრაქტიკასთან მისი კავშირითაა შეპირობებული. „თეორია რომელიმე ხალხში ყოველთვის მხოლოდ იმდენად ხორციელდება, რამდენადაც თვითონ ის მის მოთხოვნილებათა განხორციელება არის“ [3].

თუ ადრე თეორიასა და პრაქტიკას თიშავდნენ ერთმანეთისაგან, მათ შორის გადამწყვეტ როლს თეორიას ანიჭებდნენ, კ. მარქსი მტკიცედ მოითხოვს რევოლუციური პრაქტიკისა და თეორიის ურღვევ ერთიანობას, პრაქტიკის განმსაზღვრელი როლის აღიარებას ამ ერთიანობაში, ხაზს უსვამს თეორიის მამობილიზებელ მნიშვნელობას, მის აქტიურ უკუზემოქმედებას მატერიალურ ძალებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ მსვლელობაზე.

მარქსის დებულების შემდგომი კონკრეტიზაცია მოახდინა ვ. ი. ლე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი , ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი. გვ. 14.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 16.

ნინმა, რომელმაც მუშათა რევოლუციურ ბრძოლას ორგანულად დაუკავშირა რევოლუციური თეორია. ამ ბრძოლის წარმატებანი ვ. ი. ლენინის მიხედვით მნიშვნელოვანწილადაა განსაზღვრული იმით, ხელმძღვანელობს თუ არა მუშათა კლასი და მისი მებრძოლი ავანგარდი — კომუნისტური პარტია, მოწინავე, მარქსისტული თეორიით. ცნობილ შრომაში „რა ვაკეთოთ?" ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც" [1], რომ **„მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს"** [2].

4. **პროლეტარიატის გამათავისუფლებელი მისია.** ამ ნაწარმოებში კ. მარქსი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის მოწოდებით არ იფარგლება. იგი მიგვითითებს კლასზეც, რომელმაც რევოლუციური გარდაქმნა უნდა განახორციელოს. ეს კლასი პროლეტარიატია. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ „მარქსი უკვე გამოდის როგორც რევოლუციონერი, რომელიც აცხადებს „ყოველივე არსებულის ულმობელ კრიტიკას", და კერძოდ „იარაღის კრიტიკას". და რომელიც მიმართავს მასებსა და პროლეტარიატს" [3].

უტოპისტ-სოციალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც პროლეტარიატს ტანჯულად და შებრალების ღირსად თვლიდნენ, კ. მარქსი პროლეტარიატში, მშრომელ მასებში ხედავს ერთადერთ და ყოვლისშემძლე რევოლუციურ ძალას ადამიანისა და მთელი საზოგადოების ემანსიპაციისათვის.

პროლეტარიატი მიისწრაფვის უარყოს კერძო საკუთრება და ამით იგი გამოხატავს სხვა ჩაგრული მასების ინტერესებსაც, იბრძვის მშრომელი ადამიანის განთავისუფლებისათვის მთელი საზოგადოების მასშტაბით.

აქვე მარქსი აღნიშნავს, რომ პროლეტარიატის წარმოშობა სამრეწველო განვითარებასთანაა დაკავშირებული. მაშასადამე, პროლეტარიატის შემდგომი ზრდა მრეწველობის პროგრესზე და ამით საშუალო წოდებათა დაშლაზეა დამოკიდებული. გამოთქმულია იდეა, რომ სამრეწველო წარმოების პერიოდში ყველაზე პროგრესული კლასი პროლეტარიატია.

არსებული სინამდვილის შეცვლა ახალმა ფილოსოფიამ უნდა დაასაბუთოს, პროლეტარიატმა კი პრაქტიკულად უნდა განახორციელოს. აქედან გამომდინარე, პროლეტარიატის მსოფლმხედველობასა და მის პრაქტიკულ მოქმედებას შორის ორგანული კავშირი უნდა არსებობდეს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 460.
[2] იქვე, გვ. 461—462.
[3] იქვე, ტ. 21, გვ. 40.

„როგორც ფილოსოფია პროლეტარიატში თავის მატერიალურ იარაღს ჰპოვებს, ასევე პროლეტარიატი ფილოსოფიაში თავის სულიერ იარაღს ჰპოვებს“ [1], „გერმანელის ემანსიპაცია არის ადამიანის ემანსიპაცია. ამ ემანსიპაციის **თავი ფილოსოფიაა**, ხოლო **გული** მისი — **პროლეტარიატი**“ [2].

ჩვენ არ შეეუდგებით სხვა საკითხების განხილვას, რომელთა ახლებურად დაყენება და გადაწყვეტა ახალგაზრდა მარქსის დიდი დამსახურება იყო. კ. მარქსის ნაწარმოების „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“ ძირითადი დებულებების გაცნობით ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ 1844 წლის დასაწყისისათვის უკვე საბოლოოდ დამთავრებულია კ. მარქსის გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმზე და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმზე. ამ ნაწარმოებს ვ. ი. ლენინი „განსაკუთრებით შესანიშნავს“ [3] უწოდებს.

კ. მარქსი. „თეზისები ფოიერბახის შესახებ“

კ. მარქსმა თერთმეტი თეზისი ფოიერბახის შესახებ 1845 წლის გაზაფხულზე დაწერა. თეზისები პირველად გამოაქვეყნა ფ. ენგელსმა 1888 წელს, თავისი წიგნის „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრულის“ გამოცემის დამატებაში.

ფ. ენგელსის თქმით, „თეზისები“ „მეტად ძვირფასნი არიან როგორც პირველი დოკუმენტი, სადაც ახალი მსოფლმხედველობის გენიალური ჩანასახია მოცემული“ [4].

კ. მარქსის „თეზისებში“ მთელი ადრინდელი მატერიალიზმის, განსაკუთრებით ფოიერბახის მატერიალიზმის კრიტიკასთან ერთად მოკლედაა ფორმულირებული მარქსის მსოფლმხედველობის საფუძვლები. „თეზისების“ შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს წარმოდგენა შევიმუშავოთ თვისებრივ სიახლეზე, რომელიც მარქსისტულ მსოფლმხედველობას ადრინდელი ფილოსოფიური მსოფლმხედველობისაგან განასხვავებს.

შესწავლის გაადვილების მიზნით გავაერთიანებთ ზოგიერთ თეზისს და მათ რამდენიმე საკითხად წარმოვადგენთ.

მკვრეტელობითი მატერიალიზმის კრიტიკა. ძველი მატერიალიზმის ძირითად ნაკლოვანებად, რაც აგრეთვე ვრცელდება ფოიერბახის მატერიალიზმზეც, კ. მარქსს მისი მკვრეტელობითი ხასიათი მიაჩნდა.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი , ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი, გვ. 23.

[2] იქვე, გვ. 24.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 82—83.

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 439.

ძველი მატერიალისტები ადამიანს არ განიხილავდნენ როგორც მოქმედ, პრაქტიკულ, სუბიექტურად აქტიურ არსებას.

მარქსამდელი მატერიალისტები უგულებელყოფდნენ ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებით მოქმედებას, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებისადმი ადამიანთა აქტიურ, გარდამქმნელ დამოკიდებულებას. მათი აზრით, ადამიანი პასიურია და მხოლოდ სამყაროს განჭვრეტით იფარგლება.

„მთავარი ნაკლი მთელი წინაწდელი მატერიალიზმისა, ფოიერბახის მატერიალიზმის ჩათვლით, ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ **ობიექტის** ანუ **განჭვრეტის** ფორმაში განიხილავს და არა როგორც **ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას**, არა სუბიექტურად“ [1], — აღნიშნავს კ. მარქსი პირველ თეზისში.

მარქსამდელი მატერიალიზმის ისეთი წარმომადგენელიც კი, როგორიც იყო ფოიერბახი, „მხოლოდ თეორიულ მოქმედებას განიხილავს როგორც ნამდვილად ადამიანურ მოქმედებას, მაშინ როდესაც პრაქტიკა მხოლოდ მის ბილწიუდურ ფორმაშია გაგებული და ფიქსირებული“ [2].

ადამიანის მოქმედ, აქტიურ ბუნებას ხელი ჩასჭიდეს იდეალისტებმა, მაგრამ იდეალიზმის, განსაკუთრებით გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის, წარმომადგენლებს პრაქტიკული, საგნობრივი მოქმედება ესმოდათ როგორც იდეალური მოვლენა, როგორც ადამიანთა გონებრივი ქმედითუნარიანობა, მათი ცნობიერების აბსტრაქტული აქტიურობა. იდეალიზმი გამორიცხავს ცნობიერების აქტიურობის მატერიალურ წყაროს, — ადამიანთა „გრძნობად“, წარმოებით მოღვაწეობას.

როგორც ადრინდელი მატერიალიზმის, ისე იდეალიზმის საწინააღმდეგოდ კ. მარქსის მოძღვრება იმ ამოსავალ დებულებას ემყარება, რომ ადამიანთა დამოკიდებულება ბუნებასთან იმთავითვე პრაქტიკულია, რომ პრაქტიკული მოქმედება მიმართულებას აძლევს ადამიანის მთელ სულიერ მოღვაწეობას, განაპირობებს მის წარმატებას.

ძველი მატერიალიზმის ან ნაკლზე — მის მჭვრეტელობით ხასიათზე მარქსი და ენგელსი ფართოდ მსჯელობენ აგრეთვე „გერმანულ იდეოლოგიაში“, რომელსაც ჩვენ ქვემოთ გაეცნობით.

კ. მარქსი აკრიტიკებს ფოიერბახს და აღნიშნავს, რომ იგი, მართალია, ცნობს ადამიანის გრძნობად განჭვრეტას, მაგრამ ადამიანის გრძნობადობა მისთვის არ არის პრაქტიკული მოღვაწეობა. ადამიანის „გრძნობადი“ ურთიერთობა ბუნებასთან საგნობრივი ურთიერთობაა, ადამიანის გრძნობები საგნობრივ მიმართებაში იმყოფებიან გარესამ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 491.
[2] იქვე.

ყაროსთან და ემსახურებიან იმას, რომ ადამიანი განმტკიცდეს გარე-სამყაროში, სახე შეუცვალოს მას მისთვის სასარგებლო მიმართულებით.

მართალია, ადამიანის სულიერი მოღვაწეობა მისივე პრაქტიკული მოქმედების საფუძველზე აღმოცენდება და წარიმართება, მაგრამ სულიერ მოღვაწეობას თავის მხრივ. ყოველთვის აქვს თავისი პრაქტიკული მიზანდასახულობა. შემეცნების შედეგები ისევ პრაქტიკას უნდა დაუბრუნდეს, მის სამსახურში უნდა ჩადგეს. პრაქტიკა მიზნად უსახავს ადამიანებს შემდგომ პროგრესს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე გაბატონების საქმეში. ადამიანები შეიცნობდნენ და შეიცნობენ ბუნების და საზოგადოების მოვლენებს, განუწყვეტლივ წინ მიიწევენ ამ მიმართულებით, რათა გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა, გაბატონდნენ ბუნებისა და საზოგადოების ძალებზე. ამაში ვლინდება პრაქტიკის და თეორიის ურღვევი კავშირის უდიდესი მნიშვნელობა.

პრაქტიკა — ჭეშმარიტების საზომი. პრაქტიკა, რომელიც შემეცნების საფუძველია, ამავე დროს ჭეშმარიტების კრიტერიუმიცაა. „პრაქტიკაში ადამიანმა უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ჭეშმარიტება, ე. ი. ნამდვილობა და ძალა, მისი ამქვეყნიურობა. კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების ნამდვილობისა და არანამდვილობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია“ [1].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კ. მარქსი განსაზღვრავს პრაქტიკის უდიდეს როლს აგრეთვე იმით, რომ პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმის ფუნქციასაც ასრულებს. ამით ითქვა სრულიად ახალი სიტყვა ადრინდელ გნოსეოლოგიურ თეორიებთან შედარებით. პრაქტიკის აღიარება ჭეშმარიტების კრიტერიუმად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია, რომელიც კ. მარქსის მიერ ადრინდელი შემეცნების თეორიებში მოხდენილ რევოლუციურ გადატრიალებას გამოხატავს.

ფოიერბახის რელიგიური შეხედულებების კრიტიკა. კ. მარქსი აკრიტიკებს ფოიერბახს იმის გამო, რომ იგი რელიგიის მიწიერ საფუძველზე დაყვანით იფარგლება. რასაკვირველია, რელიგიის დაყვანა მიწიერ ნიადაგზე თავისთავად ფოიერბახის დამსახურებაა. მაგრამ ამით ფოიერბახი თავის მისიას ამოწურულად აცხადებს. „იგი ვერ ამჩნევს, რომ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ მთავარი საქმე მაინც გასაკეთებელი რჩება“ [2]. რელიგია დაძლეულ უნდა იქნეს, ამისათვის კი უნდა გარდაიქმნას ის წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი გარემო, რომელიც საფუძველს იძლევა რელიგიის არსებობისათვის. რელიგიის წარმომშობი საზოგადოებრივი ცხოვრება „თეორიულად უნდა გავაკრიტიკოთ და პრაქტიკულად რევოლუციურად გარდავქმნათ“.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 492.

[2] იქვე.

ჩვენ ვხედავთ, რომ „თეზისებში“, ზუსტად ისევე, როგორც ნაწარმოებში, „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“ კ. მარქსი რელიგიის წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლას ორგანულად უკავშირებს საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ-რევოლუციურ გარდაქმნას.

კ. მარქსი ფოიერბახს აკრიტიკებს „რელიგიური გრძნობების“ არსის გაგებაშიც. ადამიანი პრაქტიკული, საზოგადოებრივი არსებაა, ამიტომ მის გრძნობადობას, რომელიც ბუნებასთან პრაქტიკულ ურთიერთობაში, გარესამყაროზე აქტიური ზემოქმედების, ე. ი. შრომის საფუძველზე ყალიბდება, — იმთავითვე საზოგადოებრივი ხასიათი ეძლევა.

ფოიერბახი კი „გრძნობადობას არ განიხილავს როგორც პრაქტიკულ ადამიანურ გრძნობად მოღვაწეობას“ [1].

ადამიანის ყველა „გრძნობები“, მათ შორის „რელიგიური გრძნობა“, ასევე საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტია. იყო დრო, როდესაც საერთოდ არ არსებობდა რელიგია, და, მაშასადამე, ადამიანებს არავითარი რელიგიური გრძნობები არ ჰქონდათ. რელიგიის ფესვები კაცობრიობის შორეულ წარსულშია გადგმული. ჩვენი უძველესი წინაპრები სარგებლობდნენ პრიმიტიული იარაღებით და უმრავლეს შემთხვევებში იძულებული იყვნენ ბრმად დამორჩილებოდნენ ბუნების სტიქიურ ძალებს. წარმოების განუვითარებლობა, მატერიალური ცხოვრების ჩამორჩენილობა განაპირობებდა პირველყოფილი ადამიანების პრაქტიკულ და შემეცნებით უმწეობას, უბიძგებდა მათ ბუნების ძალების წინაშე ქედის მოხრისაკენ, საბოლოო ჯამში კი მათი გაკერპებისაკენ. მაშასადამე, რელიგიის წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების დაბალ დონესთან, რომელსაც შეესაბამებოდა ადამიანის უვიცური წარმოდგენები თავის თავისა და გარეგანი ბუნების შესახებ. პირველი ღმერთები სწორედ ბუნების ძალების გაპიროვნების გზით წარმოიქმნენ.

აქედან გამომდინარე, თვით რელიგიური გრძნობები, მსგავსად სხვა ადამიანური გრძნობებისა, ხანგრძლივი საზოგადოებრივი განვითარების შედეგია. „ფოიერბახი ვერ ხედავს, რომ თვით „რელიგიური გრძნობა“ **საზოგადოებრივი პროდუქტია**“ [2], — წერს კ. მარქსი.

ფოიერბახის ეს შეცდომა განსაზღვრული იყო მისი არაისტორიული, მეტაფიზიკური თვალსაზრისით სამყაროზე საერთოდ და საზოგადოებაზე განსაკუთრებით.

პიროვნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა. ფოიერბახი, როგორც კ. მარქსი მიუთითებს, ადამიანს განიხილავდა აბს-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 492.
[2] იქვე, გვ. 493.

ტრაქტულად, საზოგადოებრივი გარემოსაგან იზოლირებულად. „მაგრამ ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა“ [1].

განყენებული პიროვნება, რომელსაც ფოიერბახი „ანალიზს უკეთებს, სინამდვილეში საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას ეკუთვნის“ [2].

საზოგადოების, პიროვნების და მათი ურთიერთობის პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორია მატერიალისტურ გაგებას დაექვემდებარა, რაც დასაბუთდა ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულება საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობის შესახებ. ამ პრობლემის მარქსისტული გადაჭრის ჭეშმარიტებას სავსებით ადასტურებს საზოგადოებრივი ცხოვრების და მისი განვითარების პრაქტიკა.

მარქსისტული სოციოლოგია იმ ძირითადი დებულებიდან ამოდის, რომ პიროვნება როგორც საზოგადოების შემადგენელი ელემენტი განსაზღვრულია მთელის, ე. ი. საზოგადოების კანონზომიერებებით. ამიტომ ცხადია, რომ სოციალური განვითარების კანონზომიერებათა მეცნიერული გაგება აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხის გასარკვევად. ასეც გადაწყვიტა ეს საკითხი მარქსიზმმა. ის, ვისაც ეს კანონზომიერებანი არ ესმოდა, ცხადია, პრობლემას გადაუჭრელს დატოვებდა.

თითოეული პიროვნება ჩართულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქსელში. საზოგადოებრივი ურთიერთობა ცალკეული ადამიანების მოქმედების შედეგად ყალიბდება და სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი ურთიერთობის, როგორც მთელის ბუნება პიროვნების მოქმედების, როგორც მისი შემადგენელი ელემენტის განმსაზღვრელია. როგორი სპეციფიკურობითაც უნდა აელენდეს ადამიანი თავის პიროვნებას, მას მაინც აქვს სხვა პიროვნებებთან საერთო, ტიპობრივი თვისებები. ადამიანის პიროვნების სპეციფიკურობა დამოკიდებულია იმ კონკრეტულ პირობებზე, რომლებშიც ამა თუ იმ ინდივიდს უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი ტიპობრივი თვისებები კი განსაზღვრულია საზოგადოების ეკონომიკური წყობილებით, რამდენადაც ეს უკანასკნელი განსხვავებულ ინდივიდებს რომელიმე გარკვეულ სოციალურ ჯგუფად ან კლასად აერთიანებს.

სამყაროს რევოლუციური გარდაქმნა — მარქსისტული ფილოსოფი-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 493.
[2] იქვე.

ის არსებითი მოთხოვნა. ფოიერბახი — მარქსის უშუალო ფილოსოფიური წინამორბედი, ისევე როგორც ადრინდელი ფილოსოფოსები, უგულებელყოფდა ადამიანის პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობის მნიშვნელობას. ერთადერთი ამოცანა, რომელსაც მარქსამდელი ფილოსოფოსები ისახავდნენ, სამყაროს ახსნა-განმარტებით, სინამდვილის თეორიული ანალიზით ამოიწურებოდა. მაგრამ ეს პრობლემაც მეცნიერული თვალსაზრისით გადაუწყვეტელი იყო მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობამდე. ძველი ფილოსოფია ვერ ამაღლდა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების გაგებამდე, იდეალიზმს ვერ გაშორდა საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის დარგში. მარქსისტულმა ფილოსოფიამ პირველად მოგვცა სამყაროს ნამდვილი მეცნიერული გაგება. მაგრამ მარქსისტული ფილოსოფიის განმასხვავებელი თავისებურება მხოლოდ ეს როდია. სინამდვილის ახსნა არ არის მარქსისტული ფილოსოფიის თვითმიზანი. წინანდელი ფილოსოფიისაგან განსხვავებით, რომელიც თავის ამოცანას სამყაროს თეორიული ახსნა-განმარტებით ზღუდავდა, მარქსისტულმა ფილოსოფიამ მთავარ ამოცანად სამყაროს პრაქტიკულ-რევოლუციური გარდაქმნა დააყენა. მარქსისტული ფილოსოფია არა მარტო სამყაროს მეცნიერული შეცნობის, არამედ მისი პრაქტიკულ-რევოლუციური გარდაქმნის, კომუნიზმისათვის ბრძოლის მძლავრი თეორიული იარაღია.

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილ იქნეს“ [1]. ასე ახასიათებდა მარქსი მეთერთმეტე თეზისში ძველი მსოფლმხედველობის ნაკლს და ახალი მსოფლმხედველობის ისტორიულ მოწოდებას.

მარქსისტული მეცნიერება სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის ამოცანის გადაწყვეტას უკავშირებს პროლეტარიატს — ყველაზე პროგრესულ კლასს, რომელიც იბრძვის ძველი სამყაროს წინააღმდეგ მშრომელ მასებთან კავშირში.

ადამიანთა საწარმოო-რევოლუციური მოღვაწეობის უგულებელყოფით მარქსამდელმა ფილოსოფოსებმა თეორია გამოთიშეს პრაქტიკისაგან, მშრომელი მასების პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობისაგან.

ძველი მატერიალიზმი არ უარყოფდა იმას, რომ ადამიანები გარემოს აღზრდის პროდუქტები არიან, მაგრამ საკითხსაც არ აყენებდა თვით ობიექტური გარემოს პრაქტიკულ-რევოლუციური შეცვლის შესახებ, რაც თვით ადამიანთა შეცვლის აუცილებელი წანამძღვარია. სი-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 494.

ნამდვილეში, „გარემოპირობებს სწორედ ადამიანები ცვლიან“ და „აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს“ (კ. მარქსი).

გარემო პირობების შეცვლისათვის, მაშასადამე, თვით ადამიანების შეცვლისთვისაც აუცილებელია სწორედ რევოლუციური პრაქტიკა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „წმინდა ოჯახი ანუ კრიტიკა კრიტიკული კრიტიკისა...,“ განყოფილება „კრიტიკული ბრძოლა ფრანგულ მატერიალიზმთან“

„წმინდა ოჯახი“ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პირველი ერთობლივი ნაშრომია. დაიწერა 1844 წლის სექტემბერ-ნოემბერში, გამოქვეყნდა 1845 წელს. ეს ნაწარმოები პოლემიკური ხასიათისაა, იგი მიმართულია ძმების — ბრუნო და ედგარ ბაუერების და აგრეთვე სხვა ახალგაზრდა ჰეგელიანელების სუბიექტივისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, ამ წიგნში „ჩაყრილია საფუძვლები... რევოლუციურ-მატერიალისტური სოციალიზმისა... „წმინდა ოჯახი“ სახუმარო სახელია ფილოსოფოსების — ძმათა ბაუერებისა და მათი მიმდევრებისა. ეს ვაჟბატონები ქადაგებდნენ კრიტიკას, რომელიც ყოველნაირ სინამდვილეზე მაღლა, პარტიებსა და პოლიტიკაზე მაღლა დგას, უარყოფს ყოველგვარ პრაქტიკულ მოღვაწეობას და მხოლოდ „კრიტიკულად“ ჭვრეტს გარემო სამყაროს და მის მოვლენებს. ბატონი ბაუერები ქედმაღლურად მსჯელობდნენ პროლეტარიატზე, როგორც არაკრიტიკულ მასაზე. მარქსმა და ენგელსმა გადაჭრით გაილაშქრეს ამ უთავბოლო და მავნე მიმართულების წინააღმდეგ. ნამდვილი ადამიანური პიროვნების — მუშის ღირსების დასაცავად, რომელსაც გაბატონებული კლასები და სახელმწიფო ჰქელავენ, ისინი მოითხოვენ არა ჭვრეტას, არამედ ბრძოლას საზოგადოების უკეთესად მოწყობისათვის. იმ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს ასეთი ბრძოლა აწარმოოს და რომელიც დაინტერესებულია ამ ბრძოლით, მათ, რა თქმა უნდა, პროლეტარიატი მიაჩნიათ“ [1].

ახალგაზრდა ჰეგელიანელების კრიტიკასთან ერთად „წმინდა ოჯახში“ მოცემულია თვით ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკაც, რაც მატერიალიზმის პოზიციიდან არის განხორციელებული; მაგრამ ეს მატერიალიზმი უკვე დიდად განსხვავდება ფოიერბახის მატერიალიზმისაგან. როგორც ამის შესახებ ფ. ენგელსი აღნიშნავს, „თვით ფოიერბახის გადალახვა მარქსმა დაიწყო 1845 წ. წიგნში „წმინდა ოჯახი“ [2].

ამრიგად, „წმინდა ოჯახი“ მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია არა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 11.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 470.

მარტო ახალგაზრდა ჰეგელიანელების კრიტიკის, არამედ ჰეგელისა და ფოიერბახის ფილოსოფიისადმი მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით.

„წმინდა ოჯახი“ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი პოზიტიური ნაწილის გამო. აქ მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს თავიანთი თვისებრივად ახალი მსოფლმხედველობის ძირეული დებულებები. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მათი დებულებები წარმოების განმსაზღვრელ როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში; აქვე შემუშავებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ისტორიას ქმნის ხალხი, და არა „სულის“, „წმინდა კრიტიკის“ მატარებელი რჩეული პიროვნებანი. „წმინდა ოჯახში“ გარკვეულია პროლეტარიატის, როგორც ყველაზე პროგრესული კლასის, მსოფლიო-ისტორიული მისია.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „წმინდა ოჯახიდან“ ჩვენ შევისწავლით მეექვსე თავის მესამე ნაწილის ერთ-ერთ პარაგრაფს — „კრიტიკული ბრძოლა ფრანგულ მატერიალიზმთან“, რომელიც დაწერილია კ. მარქსის მიერ. ვ. ი. ლენინის შეფასებით „წმინდა ოჯახის“ ეს ნაწილი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასია წიგნში. აქ სრულიად არაა პწკარედ-პწკარედი კრიტიკა, არამედ მთლიანად დადებითი გადმოცემაა. ეს არის **მოკლე ნარკვევი ფრანგული მატერიალიზმის ისტორიიდან**“ [1].

ამ ნარკვევის დაწერა შეპირობებული იყო ბ. ბაუერის მცდარი დებულების გაბათილების მოსაზრებებით. ბ. ბაუერის თანახმად, XXVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი სპინოზიზმის სახესხვაობა იყო.

კ. მარქსი აკრიტიკებს ბ. ბაუერის ამ ყალბ თვალსაზრისს და არკვევს XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის წარმოშობის წყაროებს და მის არსს.

კ. მარქსი XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობისა და მატერიალიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევს არა მხოლოდ ბრძოლას არსებულ პოლიტიკურ დაწესებულებათა წინააღმდეგ, არამედ აშკარა ბრძოლასაც XVII საუკუნის მეტაფიზიკის წინააღმდეგაც (დეკარტი, მალბრანში, სპინოზა, ლაიბნიცი). ამ ბრძოლის შედეგად XVIII საუკუნის ფრანგულმა მატერიალიზმმა დაამარცხა XVII საუკუნის მეტაფიზიკა.

ფრანგულ მატერიალიზმს ახასიათებს აგრეთვე ორი მიმართულება, რომელთაგან ერთი გამომდინარეობს დეკარტის, ხოლო მეორე ლოკის ფილოსოფიისაგან. პირველი მიმართულების სათავე დეკარტის ფიზიკაშია.

„თავის ფიზიკაში დეკარტმა მატერიას მიანიჭა თვითშემოქმედებითი ძალა და მექანიკურ მოძრაობას იგი განიხილავ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 27.

და როგორც მატერიის სიცოცხლის გამოვლენას. მან თავისი ფ ი ზ ი-კ ა მთლიანად გამოყო თავისი მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ი ს ა გ ან. მისი ფიზიკის ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი მ ა ტ ე რ ი ა არის ერთადერთი ს უ ბ ს ტ ა ნ-ც ი ა, ყოფიერებისა და შემეცნების ერთადერთი საფუძველი" [1].

დეკარტიდან მომდინარე მიმართულება — მექანიკური მატერიალიზმი ფრანგულ ბუნებისმეტყველებაში გადავიდა. ფრანგული მექანიკური მატერიალიზმი დეკარტის ფიზიკას მიემხრო, ხოლო მისი მეტაფიზიკა უკუაგდო. კ. მარქსი ახასიათებს კარტეზიანული მატერიალიზმის წარმომადგენლებს საფრანგეთში — ლერუას, ლამეტრის, კაბანისს, სკოლას, რომელმაც „მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მ ე ქ ა ნ-ი კ უ რ ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი" [2]. ამასთან, პირველი მიმართულება ფრანგულ მატერიალიზმში წარმოსდგა დეკარტის მეტაფიზიკის კრიტიკიდანაც. კ. მარქსის სიტყვებით, „XVII საუკუნის მ ე-ტ ა ფ ი ზ ი კ ა ს, რომლის მთავარი წარმომადგენელიც საფრანგეთში დ ე კ ა რ ტ ი იყო, დაბადების დღიდანვე თავის ა ნ ტ ა გ ო ნ ი ს ტ ა დ ჰყავდა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი" [3]. სახელდობრ, XVII საუკუნის მეტაფიზიკას დაუპირისპირდა გასენდი, რომელმაც აღადგინა ეპიკურეს მატერიალიზმი, აგრეთვე ვოლტერი, ჰელვეციუსი და სხვები.

კარტეზიანულ მატერიალიზმთან ერთად XVII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის თეორიული წყარო იყო ინგლისური მატერიალიზმი, მისი ფუძემდებლის ფ. ბეკონის სახით. კ. მარქსის სიტყვებით, „ი ნ გ-ლ ი ს უ რ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ა და მთელი თ ა ნ ა მ ე დ რ ო-ვ ე ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ უ ლ ი მეცნიერების ნამდვილი მამამთავარი იყო ბ ე კ ო ნ ი. მისთვის ბუნებისმეტყველება ჭეშმარიტი მეცნიერებაა, ხოლო გრძნობად ცდაზე დამყარებული ფ ი ზ ი კ ა — უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბუნებისმეტყველებისა. ა ნ ა ქ ს ა გ ო რ ე მისი ჰ ო-მ ე ო მ ე რ ი ე ბ ი თ და დ ე მ ო კ რ ი ტ ე მისი ატომებით მას ხშირად მოჰყავს როგორც ავტორიტეტები. მისი მოძღვრების თანახმად, გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი უტყუარნი არიან და ყოველი ცოდნის წ ყ ა რ ო ს შეადგენენ. მეცნიერება ც დ ი ს ე უ ლ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ა და იმაში მდგომარეობს, რომ რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი მ ე თ ო დ ი გამოიყენოს გრძნობადი მონაცემების მიმართ. ინდუქცია, ანალიზი, შედარება, დაკვირვება, ექსპერიმენტი რაციონალური მეთოდის მთავარი პირობებია. მ ა ტ ე რ ი ი ს თანდაყოლილი თვისებებიდან პირველი და ყ ვ ე-ლ ა ზ ე მნიშვნელოვანია მ ო ძ რ ა ო ბ ა, — არა მხოლოდ როგორც მ ე-ქ ა ნ ი კ უ რ ი და მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი მოძრაობა, არამედ კიდევ

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კრიტიკული ბრძოლა ფრანგული მატერიალიზმის წინააღმდეგ, 1971, გვ. 5.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 6.

უფრო მეტად როგორც მისწრაფება, სასიცოცხლო სული, დაძაბულობა, ანუ, იაკობ ბემეს სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ტანჯვა [Qual] მატერიისა“ [1].

ბეკონის მატერიალიზმი ცალმხრივად განავითარა ჰობსმა, რომელმაც მოახდინა მისი სისტემატიზაცია; მისი ფილოსოფია ცნობს მხოლოდ მექანიკურ მოძრაობას, „გრძნობადობა კარგავს თავის ყვავილს“ [2], „ადამიანი იმავე კანონებს ექვემდებარება, რასაც ბუნება“ [3].

ჰობსმა ვერ შეძლო ბეკონის მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის — ცოდნისა და იდეების გრძნობადი წყაროს პრინციპის უფრო დეტალური დასაბუთება. ეს ამოცანა ლოკმა შეასრულა, რომელმაც სენსუალიზმი შეიმუშავა.

სწორედ ლოკიდან გამოვიდა მისი უშუალო მოწაფე კონდილიაკი, შემდეგ-მში კი ჰელვეციუსი, ლამეტრი, ჰოლბახი, დიდრო და სხვები. კ. მარქსი აჯამებს ფილოსოფიური აზრის განვითარების შედეგებს და წერს, რომ „ჩვენ, ერთი მხრივ, გავარკვიეთ ფრანგული მატერიალიზმის ორგვარი წარმოშობა დეკარტის ფიზიკიდან და ინგლისური მატერიალიზმიდან, ხოლო, მეორე მხრივ, დავადგინეთ ფრანგული მატერიალიზმის დაპირისპირება XVII საუკუნის მეტაფიზიკისადმი, დეკარტის, სპინოზას, მალბრანშის მეტაფიზიკისადმი“ [4].

ამრიგად, კ. მარქსმა უარყო „წმინდა კრიტიკოსების“ თეზისი, რომლის თანახმად XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი სპინოზიზმის სახესხვაობად ცხადდებოდა.

აქვე კ. მარქსი ასაბუთებს, მეორე, მეტად მნიშვნელოვან დებულებას XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის კავშირზე XIX საუკუნის ინგლისურ და ფრანგულ კომუნიზმთან. „როგორც კარტეზიანული მატერიალიზმი გადადის ბუნებისმეტყველებაში, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ისე ფრანგული მატერიალიზმის მეორე მიმართულება ერთვის უშუალოდ სოციალიზმსა და კომუნიზმს“ [5].

მატერიალიზმი, როგორც კ. მარქსი მიუთითებს, „კომუნიზმის ლოგიკური საფუძველია“. რაკი მატერიალიზმი გარეგან მატერიალურ პირობებს განმსაზღვრელად მიიჩნევს, უკვე თავისთავად გასაგებია, ნამდვილი საზოგადოებრივი წყობილება ისე უნდა მოეწყოს, რომ ადამიანმა, მთელი საზოგადოების მასშტაბით ჭეშმარიტი ადამიანობა განიცადოს. ასე დაუკავშირდა XVIII საუკუნის ფრანგული მატერია-

---

[1] კ. მარქსი, კრიტიკული ბრძოლა ფრანგული მატერიალიზმის წინააღმდეგ, 1971, გვ. 8—9.

[2] იქვე. გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 11.

[4] იქვე. გვ. 12.

[5] იქვე, გვ. 13.

ლიზმი XIX საუკუნის ფრანგული და ინგლისური კომუნიზმის თეორიას. კ. მარქსი ასახელებს ფურიეს, ბაბეფს, ოუენს, კაბეს, დეზამს, გეის და სხვებს. კომუნისტური მოძღვრება ფრანგული მატერიალიზმიდან გამომდინარეობს. ჩვენ აქ მოვიყვანთ კ. მარქსის დებულებებს ფრანგული მატერიალიზმის და კომუნიზმის პირდაპირ და მჭიდრო კავშირზე:

„საჭირო არაა დიდი გონებამახვილობა იმის დასანახავად, თუ რა აუცილებელი კავშირი აქვს კომუნიზმთან და სოციალიზმთან მატერიალიზმის მოძღვრებას ადამიანთა თანდაყოლილი გულკეთილობის და მათი გონებრივი ნიჭის თანასწორობის, ცდის ყოვლისშემძლეობის, ჩვეულების, აღზრდის, ადამიანზე გარეგან გარემოებათა გავლენის, მრეწველობის მაღალი მნიშვნელობის, სიამოვნების მიღების მართლზომიერების და სხვ. შესახებ. თუ ადამიანი მთელ თავის ცოდნას, შეგრძნებას და სხვ. გრძნობადი სამყაროდან და ამ სამყაროდან მომდინარე გამოცდილებიდან ღებულობს, მაშინ საჭიროა, მაშასადამე, ემპირიული სამყარო ისე მოეწყოს, რომ ადამიანმა მასში შეიცნოს და შეითვისოს ჭეშმარიტად ადამიანური, რომ მან შეიცნოს თავის თავი როგორც ადამიანი. თუ სწორად გაგებული ინტერესი მთელი მორალის პრინციპია, მაშინ საჭიროა, მაშასადამე, ვესწრაფოდეთ იმას, რომ ცალკეული ადამიანის კერძო ინტერესი ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს ემთხვეოდეს. თუ ადამიანი არაა თავისუფალი მატერიალისტური თვალსაზრისით, ე. ი. თუ იგი თავისუფალია არა ნეგატიური ძალის გამო — თავიდან იცილებდეს ამას თუ იმას, არამედ პოზიტიური ძალის გამო — ავლენდეს თავის ჭეშმარიტ ინდივიდუალობას, მაშინ ცალკეული პიროვნება კი არ უნდა ისჯებოდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, არამედ საჭიროა მოისპოს დანაშაულის ანტისოციალური წყაროები და თითოეულ ადამიანს მიეცეს აუცილებელი საზოგადოებრივი ასპარეზი მისი არსებითი სასიცოცხლო ძალების გამოსავლენად. თუ ადამიანის ხასიათს გარემოებანი ქმნიან, მაშინ საჭიროა, მაშასადამე, გარემოებანი ადამიანური გავხადოთ. თუ ადამიანი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი არსებაა, მაშინ მას, მაშასადამე, მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განავითაროს თავისი ჭეშმარიტი ბუნება, და მისი ბუნების ძალა უნდა იზომებოდეს არა ცალკეული ინდივიდუუმის ძალით, არამედ მთელი საზოგადოების ძალით“ [1].

მარქსამდელმა სოციალიზმმა და კომუნიზმმა ვერ შეძლო რეალური გზებისა და საშუალებების მონახვა არსებული საზოგადოებრივი წყობილების გარდასაქმნელად, მაგრამ მისი კავშირი მატერიალიზმთან კატეგორიულად აყენებდა ამის აუცილებლობას შესაბამის სოცია-

[1] კრიტიკული ბრძოლა ფრანგულ მატერიალიზმის წინააღმდეგ გვ. 13.

ლურ-ეკონომიკური და თეორიული წანამძღვრების პირობებში. მატერიალიზმი ლოგიკურად მოითხოვდა მატერიალური ცხოვრების გარდაქმნას თვით მატერიალური ძალებით. მაგრამ ამ გარდაქმნის დასაბუთებისათვის XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი საკმარისი არ აღმოჩნდა. უტოპიური სოციალიზმის ადგილი დაიკავა მეცნიერულმა კომუნიზმმა, რომლის თეორიულ საფუძვლად თვისებრივად ახალი მატერიალიზმი — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი იქცა.

კ. მარქსი, ფ. ენგელსი. „გერმანული იდეოლოგია". პირველი თავი. „ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა"

„გერმანული იდეოლოგია"[1] კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ადრინდელი, მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. ამ წიგნზე მუშაობა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაიწყეს 1845 წლის ნოემბერში და ძირითადად დაამთავრეს 1846 წლის აპრილში. წიგნი მიზნად ისახავდა ბ. ბაუერის, მ. შტირნერის და მათი სახით მთელი ჰეგელის შემდგომი ფილოსოფიის კრიტიკას ახლად შემუშავებული მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძველზე.

„გერმანული იდეოლოგია" ორი ტომისაგან შედგება და უპირატესად პოლემიკური ხასიათის ნაშრომია. ამ მხრივ გამონაკლისია წიგნის პირველი თავი „ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა". ეს თავი არსებითად მთელი შრომის თეორიული შინაარსის კვინტენსენციაა. „გერმანული იდეოლოგი-

---

[1] „გერმანული იდეოლოგიის" გამოქვეყნება არ მოხერხდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სიცოცხლეში. მათ სიცოცხლეში გამოიცა „გერმანული იდეოლოგიის" მეორე ტომის მხოლოდ მეოთხე თავი. ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ „გერმანული იდეოლოგიის" ხელნაწერს დიდი ხნით დაეპატრონენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ლიდერები, რომლებმაც 37 წლის მანძილზე მთელი ტექსტის ნახევარზე ნაკლები გამოაქვეყნეს.

1924 წელს, რუსულ, ხოლო 1926 წელს გერმანულ ენებზე, პირველად საბჭოთა კავშირში გამოიცა „გერმანული იდეოლოგიის" პირველი თავი.

„გერმანული იდეოლოგიის" ტექსტი სრულად გამოიცა 1932 წელს ორიგინალის, ხოლო 1933 წელს რუსულ ენაზე.

„გერმანულმა იდეოლოგიამ" დიდი ხანია რაც მიიპყრო ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება. მ-სი პირველი თავი ქართულ ენაზე დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1940-41 წლებში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „ბოლშევიკში".

ეს თავი 1948 წელს ცალკე ბროშურის სახით გამოსცა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა სათაურით: „გერმანული იდეოლოგიიდან". 1968 წელს გამოვიდა „გერმანული იდეოლოგიის" პირველი თავის ახალი პუბლიკაციის ქართული თარგმანი.

ის“ ეს ნაწილი ფაქტიურად ეთმობა ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპების გადმოცემას. აქ განვითარებულ იდეებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ისტორიულ-მატერიალისტური თეორია მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს გასული საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში, სწორედ ახალგაზრდობის პერიოდში და განუხრელად იცავდნენ და ავითარებდნენ მას შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელ მანძილზე. ამის შესახებ თვით მარქსი აღნიშნავდა, რომ ისტორიის მატერიალისტური გაგება მისი აღმოჩენის შემდეგ „სახელმძღვანელო ძაფი გახდა ყველა ჩემს შემდგომ გამოკვლევაში“, რომ ფ. ენგელსმა „ჩემსავით ამავე შედეგს მიაღწია სხვა გზით“.

„გერმანული იდეოლოგიის“ პირველ თავში განხილული საკითხებიდან გამოვყოფთ მხოლოდ ზოგიერთს:

წარმოების როლი საზოგადოების განვითარებაში. „გერმანული იდეოლოგიის“ პირველ თავში კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ყოველმხრივად გაარკვიეს, თუ რა როლს ასრულებს მატერიალური წარმოება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წარმოება საზოგადოების არსებობის საფუძველია. იმისათვის, რომ იარსებონ, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ „ცხოვრების შესაძლებლობა“, მაგრამ ცხოვრებისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა საჭმელი და სასმელი, ბინა, ტანსაცმელი და კიდევ ზოგიერთი რამ“ [1]. ამიტომ პირველი ისტორიული აქტი არის „წარმოება თვით მატერიალური ცხოვრებისა“.

მატერიალური წარმოება ადამიანთა ძირეული სპეციფიკური საქმიანობაა: „ადამიანები ცხოველებისაგან თავიანთი თავის განსხვავებას იწყებენ, როგორც კი ხელს ჰკიდებენ მათთვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებას“ [2].

მატერიალური წარმოება არის წყარო საზოგადოების არსებობისათვის. ამასთანავე, საზოგადოებრივი განვითარების საფუძველია. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს წარმოების გადამწყვეტი როლი საზოგადოების განვითარებაში. ისინი წარმოებას განიხილავენ როგორც საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების (იმ პერიოდში კ. მარქსი და ფ. ენგელსი წარმოებით ურთიერთობის ნაცვლად იყენებდნენ ტერმინს „ურთიერთობა“) ორგანულ ერთიანობას. აქვე წამოყენებულია დებულება, რომ წარმოების ცვალებადობა საწარმოო ძალების ცვალებადობიდან იწყება, რომ ისტორიული განვითარების პროცესში წარმოებითი ურთიერთობანი, სა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, 1968, გვ. 46.

[2] იქვე, გვ. 29.

ცვლილების გაბატონებული ფორმები, ჩამორჩებიან საწარმოო ძალთა განვითარების დონეს.

ასე წარმოიშობა წინააღმდეგობა და მისი გაღრმავებით — კონფლიქტი განვითარებულ საწარმოო ძალებსა და ჩამორჩენილ წარმოებით ურთიერთობათა შორის. ეს კონფლიქტი გარდაუვალად იწვევს სოციალურ რევოლუციას, „ისტორიულ კოლიზიებს". სოციალურ რევოლუციას შესაბამისობაში მოჰყავს წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალთა განვითარების დონესთან, ხოლო ეკონომიკაში მომხდარი ძირეული ცვლილებების საფუძველზე გადატრიალება ხდება აგრეთვე მთელ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზედნაშენში.

საზოგადოების მატერიალური ცხოვრება განსაზღვრავს მის ცნობიერებას. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა თანმიმდევრულად გაავრცელეს მატერიალიზმი კაცობრიობის ისტორიის შესწავლაზე, დაასაბუთეს საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრულობა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებით, რითაც გადატრიალება მოახდინეს მარქსამდელ სოციოლოგიაში. ეს უკანასკნელი იდეურ მოტივებს წყვეტდა მათი წარმომშობი მატერიალური პირობებისაგან და მათ საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალად მიიჩნევდა.

„ადამიანები, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — რომლებიც თავიანთ მატერიალურ წარმოებას და თავიანთ მატერიალურ ურთიერთობას ანვითარებენ, ამ თავიანთ სინამდვილესთან ერთად სცვლიან ავრეთვე თავიანთ აზროვნებას და თავიანთი აზროვნების პროდუქტებს. ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას" [1]. ცნობიერება მეორადია ყოფიერების მიმართ, იგი „შეცნობილი ყოფიერებაა".

საზოგადოებრივი მოვლენების კანონზომიერი კავშირი. მარქსმა და ენგელსმა ამ ნაწარმოებში გვიჩვენეს, რომ საზოგადოება არაა ქაოსი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენების სარბიელი, რომ იგი განვითარების ყოველ ეტაპზე გარკვეულ ობიექტურ აუცილებლობას ემორჩილება, რომ საზოგადოებრივი პროცესები და მათი თანამიმდევრული ცელა საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებით არის დეტერმინირებული.

ამავე ნაწარმოებში კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა განსაზღვრეს კაცობრიობის განვითარების ისტორიული საფეხურები, შეიმუშავეს იდეა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ, რომელმაც შემდგომი ეკონომიკური დასაბუთება კ. მარქსის „კაპიტალსა" და სხვა შრომებში ჰპოვა. „გერმანული იდეოლოგიის" პირველ თავში გარკვე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 38.

ულია, თუ როგორ იწვევს საწარმოო ძალთა განვითარება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების წარმოშობას, თუ როგორი გარდაუვალობით ჩნდებიან კლასები, თუ რატომ ჩნდება ყოველივე ამის შედეგად პოლიტიკური ზედნაშენი, სახელმწიფო, სამართალი. მარქსიზმის ფუძემდებლები აღნიშნავდნენ: „კლასი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ძალას წარმოადგენს, ამასთანავე ამ საზოგადოების გაბატონებული ს უ ლ ი ე რ ი ძალაა“ [1]. გაბატონებული კლასის აზრები სხვა არაფერია, თუ არა გაბატონებული მატერიალურ ურთიერთობათა იდეალური გამოხატულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ ისტორიული მატერიალიზმი გააიგივონ ეკონომიკურ მატერიალიზმთან, ისევე, როგორც ადრე (ე. ბერნშტეინი და სხვ.) ბრალს სდებენ მარქსს ეკონომიკურ დეტერმინიზმში, მიაწერენ მას ფატალისტურ პროვიდენციალიზმს. ამ „თეორიის“ სხვადასხვა ვარიანტების თანახმად, ადამიანი „განწირულია შრომისათვის“ (ჰ. მარკუზე), რომ ჰუმანიზმი, რომელსაც მარქსიზმი მოითხოვს, თითქოს „ტექნიკური ჰუმანიზმია“ (გ. კლაგერი).

მაგრამ არსად და არასოდეს მარქსსა და ენგელსს არ უთქვამთ, რომ მთელი მრავალფეროვანი სოციალური და ინდივიდუალური ცხოვრება ეკონომიკაზე დაიყვანება. მათი აზრით, ეკონომიკა, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, მხოლოდ საფუძველია, რომელზეც აღმოცენდება სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენი, საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმები; საბოლოოდ ის განსაზღვრავს როგორც მთელი საზოგადოების, ისე პიროვნების ცვალებადობასა და განვითარებას. მაგრამ მარქსიზმის ფუძემდებლები ეკონომიკას არ მიიჩნევდნენ ერთადერთ აქტიურ ძალად. მიუთითებდნენ სახელმწიფოს, სამართლის, საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმების აქტიურ როლზე სოციალურ ცხოვრებაში; კლასობრივ საზოგადოებაში პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენი გაბატონებული კლასების სამსახურშია. მაგალითად, პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ, რომ „სახელმწიფო ის ფორმაა, რომელშიც გაბატონებული კლასის ინდივიდები თავიანთ საერთო ინტერესს ახორციელებენ“ [2].

მეჩვრეტელობითი მატერიალიზმის კრიტიკა. „გერმანული იდეოლოგიის“ პირველი თავიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ დასძლიეს მარქსმა

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 75.

[2] იქვე, გვ. 125.

და ენგელსმა ძველი მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლოვანება — მჭვრეტელობითი ხასიათი. ძველი მატერიალიზმი კმაყოფილდებოდა სამყაროს ახსნით, არ ცნობდა საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული გარდაქმნის აუცილებლობას. მარქსისა და ენგელსისათვის მთავარია სწორედ ის, რომ ფილოსოფია გამოყენებულ იქნეს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის იარაღად. ეს დებულება კ. მარქსმა უფრო ადრე ჩამოაყალიბა თავის შრომებში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი" (1844 წ. იანვარი), „თეზისები ფოიერბახის შესახებ" (1845). კ. მარქსისა და ფ. ენგელსისათვის მატერიალიზმის ნიადაგზე დგომა აუცილებლობით უკავშირდება საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის მოთხოვნას. „პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მატერიალისტისათვის, ე. ი. კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს ა თ ვ ი ს მთელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ არსებული სამყარო გაარევოლუციუროს" [1], — წერენ ისინი.

თეორიის ურღვევი ერთიანობა პრაქტიკასთან. მარქსისტული ფილოსოფია არ ცნობს საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან გამოცალკევებულ წმინდა თეორიულ ინტერესებს. იგი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული რევოლუციურ პრაქტიკასთან, პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებთან, კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან.

თეორიისა და პრაქტიკის ურღვევი ერთიანობა მარქსისტული ფილოსოფიის სპეციფიკური ნიშან-თვისებაა.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი უდიდეს მაორგანიზებელ, დამრაზმავ და გარდამქმნელ როლს ასრულებს რევოლუციურ-პროლეტარულ მოძრაობაში. იგი პროლეტარიატის როგორც ყველაზე პროგრესული კლასის გათვითცნობიერების უბადლო საშუალებაა, ვინაიდან მისი დებულებები თეორიულ საფუძვლად უდევს კაპიტალიზმის დამხობის დასაბუთებას. არა იდეალისტური ან შეზღუდული მატერიალისტური მსოფლმხედველობის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მარქსისტული მსოფლმხედველობის ნიადაგზე გაირკვა პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი, კაპიტალიზმის, როგორც უკანასკნელი ექსპლოატატორული წყობილების დაღუპვისა და კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების აუცილებლობა. მარქსისტული ფილოსოფია კომუნიზმის თეორიული საფუძველია. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ყველა დებულებას კომუნიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების დასაბუთებამდე მივყავართ. სოციალიზმის დიად წარმატებათა პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა დიალექტიკური და ისტორიუ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 41.

ლი მატერიალიზმის დებულებათა ჭეშმარიტება და ძალა, მარქსიზმის ყოველისმძლე იდეების ტრიუმფი.

ძირეულად შეიცვალა ფილოსოფიის ადგილი და როლი სოციალისტურ საზოგადოებაში. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი ასრულებს უდიდეს აქტიურ როლს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში. იგი სოციალისტურ საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგიის ფილოსოფიური საფუძველია. იგი ყოველმხრივად ხელს უწყობს სოციალისტური ბაზისის განმტკიცებას, მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას, კომუნისტური სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის და მოქმედების საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმით — რევოლუციური მოძრაობის მძლავრი თეორიული იარაღით. იგი სათავეში უდგას მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმის გზით.

ცნობიერება და ენა — საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტი. მარქსამდელ ფილოსოფოსებს ფიქრადაც არ მოსელიათ, რომ „ცნობიერება, მაშასადამე, უკვე თავიდანვე საზოგადოებრივი პროდუქტია და ასეთად რჩება, სანამ საერთოდ ადამიანები არსებობენ“ [1], რომ ამიტომ წარმოუდგენელია ცნობიერების ახსნა იმ სპეციფიკური მიზეზების გაუთვალისწინებლად, რომლებმაც შექმნეს და განავითარეს ადამიანი მისი ცნობიერების უნარით.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ადამიანის ცნობიერების წარმოშობას ორგანულად უკავშირებენ სოციალურ-ისტორიულ პრაქტიკას, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების წარმოებას.

იწყებს რა შრომის უმარტივესი იარაღების შექმნას და გამოყენებას, მატერიალური ცხოვრების წარმოებას, პირველყოფილი ადამიანი ამით ცვლის როგორც თავის ფიზიკურ აგებულებას, ისე თავის სულიერ სამყაროს. მისი ცნობიერების უნარის განვითარებაში განმსაზღვრელ როლს სწორედ საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა ასრულებს.

ადამიანი ასახავს ბუნებას პრაქტიკული ზემოქმედების, წარმოებითი მოქმედების პროცესში. ამიტომ ადამიანის ცნობიერებას, შეგრძნებას იმთავითვე სოციალურობის დაღი ედება. ამ გარემოებით შექმნილი მისი გრძნობადი აღქმის სხვაგვარობა და უპირატესობა ცხოველის „ფსიქიკასთან“ შედარებით ის არის, რომ იგი საგნებისა და საგანთა თვისებების ასახვაა, ე. ი. შემგრძნებმა სუბიექტმა უკვე იცის, თუ რას

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 50.

შეიგრძნობს იგი, შეგრძნება ცნობიერდება. პირველად ბუნება „ადამიანს უპირისპირდება როგორც სრულიად უცხო, ყოვლისშემძლე და მიუდგომელი ძალა, რომელსაც ადამიანები ეპყრობიან სავსებით ცხოველურად და რომლის ბატონობასაც ისინი პირუტყვივით ემორჩილებიან" [1].

მაგრამ შემდეგში, რაც უფრო უქვემდებარდებოდა ბუნებრივი ძალები ადამიანთა წარმოებით საქმიანობას, მით უფრო შეწყვიტა ბუნებამ უცხო, ზემდგომ ძალად არსებობა, მით უფრო ცხადად დაინახა ადამიანმა მასში თავისი მოქმედების შედეგები. ამის შესატყვისად, ადამიანთა ურთიერთობა ბუნებასთან ცნობიერ, „საგნობრივ" ურთიერთობად იქცა.

გარკვეულ საგანს ან მის თვისებებს ადამიანი ცნობიერად აღიქვამს, ცნობიერად შეიგრძნობს იმდენად, რამდენადაც იგი ადამიანთა მატერიალური ცხოვრების წარმოების სფეროში შემოდის, რამდენადაც იგი შრომის პროცესთანაა დაკავშირებული, რამდენადაც ადამიანს უნარი შესწევს შრომის იარაღების გამოყენების გზით გააშუალოს თავის ურთიერთობა ბუნებასთან, რათა ბუნების საგნებს და მოვლენებს სახე შეუცვალოს მისთვის სასარგებლო მიმართულებით.

ენა — ცნობიერების უშუალო სინამდვილე. ადამიანის ცნობიერი მოღვაწეობა იმთავითვე მჭიდროდ უკავშირდება ენას. ენის, მეტყველების და აზროვნების ერთიანობა იყო და არის ადამიანური არსების ერთ-ერთი გამომხატველი ნიშანი.

საზოგადოებრივი წარმოების პროცესში მყოფ ადამიანებს იმთავითვე გაუჩნდათ მოთხოვნილება რაღაც ეთქვათ ერთმანეთისათვის, გაეზიარებინათ აზრი ერთმანეთისათვის. ეს გარემოება შეპირობებული იყო სპეციფიკური სოციალურ-ისტორიული აუცილებლობით. საქმე ისაა, რომ წარმოება საზოგადოებრივი მოვლენაა და როგორც ასეთი, შესაძლებელია, ადამიანთა მხოლოდ ჯგუფობრივი, ერთობლივი მოქმედებით. იმისათვის, რომ აწარმოონ მატერიალური დოვლათი, ადამიანები უნდა შეკავშირდნენ, მხარს უნდა უჭერდნენ ერთმანეთს. მათ უნდა გამოძებნონ დოვლათის მოპოვების საშუალებანი და იმოქმედონ ერთობლივად, გარკვეული წესითა და რიგით, გარკვეული მიზნის მისაღწევად. შეგნებული, ერთობლივი მოქმედების აწყობა კი ისე შეუძლებელია, თუ ადამიანებმა წინასწარ არ გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი აზრები, შეხედულებანი.

ადამიანის გონებრივი ჰორიზონტი თანდათანობით ფართოვდება გარემოსთან პრაქტიკული ურთიერთობის პროცესში. ადამიანი ეცნობა

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 50.

გარემომცველ საგნებს და მოვლენებს, იძენს გარკვეულ გამოცდილებას შრომითი საქმიანობის დროს. იბადება იმის მოთხოვნილება, რომ ეს ცოდნა და გამოცდილება ადამიანებმა ერთმანეთს გადასცენ, შეავსონ და იგი აღნუსხული სახით ჩააბარონ შთამომავლობას. ასე იქმნება საზოგადოებაში აზრთა ურთიერთგაცვლისა და ურთიერთგაგებინების მოთხოვნილება. ამას ემსახურება ენა.

აზროვნების მატერიალური გარსი სწორედ ენაა. ენის საშუალებით ხერხდება აზროვნების „დანახვა" და „გაგონება". სწორედ ამიტომ განსაზღვრავდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი ენას, როგორც „ცნობიერების უშუალო სინამდვილეს".

ცნობიერებისა და აზროვნების მსგავსად ენა სპეციფიკურად ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ბუნებრივ მდგომარეობაში არცერთი ცხოველი არ გრძნობს ნაკლოვანებას იმის გამო, რომ არ შეუძლია ილაპარაკოს ანდა ადამიანის ენა გაიგოს.

მარქსისა და ენგელსის შეხედულებები ცნობიერებისა და ენის შესახებ სავსებით დადასტურდა შემდგომი საბუნებისმეტყველო მონაცემებით.

ცხოველი და ადამიანი მრავალგვარ გაღიზიანებას — სიგნალს იღებს გარემოდან და იძლევა საპასუხო რეაქციას. ი. პავლოვმა დაამტკიცა, რომ გაღიზიანება შეიძლება გამოიწვიოს საგანმა — უშუალო გამღიზიანებელმა და სიტყვამ: პირველ შემთხვევაში საგანი პირდაპირ ზემოქმედებს სმენის, ყნოსვის, შეხების ან სხვა რეცეპტორებზე. იმ სისტემას, რომელიც პირდაპირი გამღიზიანებლის ასახვას ემსახურება, ი. პ. პავლოვი უწოდებს „პირველად სასიგნალო სისტემას". ეს სისტემა საერთო აქვს ადამიანსა და ცხოველს.

მაგრამ, ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანის გაღიზიანებას იწვევს არა მარტო პირდაპირი სიგნალი — საგანი, რომელიც ზემოქმედებს ადამიანზე, არამედ ამ საგნის აღმნიშვნელი ს ი ტ ყ ვ ა ც, ე. ი. სიგნალის სიგნალი. ი. პ. პავლოვის მოძღვრების თანახმად, სიტყვა ენაცვლება პირდაპირ გამღიზიანებელს; მას შეუძლია ორგანიზმის ყველა გაღიზიანების გამოწვევა, რომელსაც პირდაპირი გამღიზიანებელი იწვევს. სიტყვა, ენა წარმოადგენს „მეორე სასიგნალო სისტემას", რომელიც მხოლოდ ადამიანთა კუთვნილებაა.

ამრიგად, ენა არის საზოგადოებრივი მოვლენა, იგი ადამიანთა სულიერი და პრაქტიკულ-მატერიალური ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია.

მეცნიერული კომუნიზმის თვისებრივი განსხვავება უტოპიური სოციალიზმისაგან. „გერმანული იდეოლოგიის" პირველ თავში განვითარებული დებულებების ფონზე ყოველად უნიადაგოდ მოსჩანს ბურჟუა-

ხიული ვერსია მეცნიერული კომუნიზმის გამოცხადებისა უტოპიური სოციალიზმის სახესხვაობად.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ამ ნაწარმოებში გვიჩვენეს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა ისტორიული აუცილებლობაა, კაპიტალისტური საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა განვითარების ბუნებრივი შედეგია და არა „კეთილი ნების“ გამოხატულება, როგორც ამას სოციალისტ-უტოპისტები სახავდნენ.

ამავე ნაშრომში გარკვეულია რეალური საზოგადოებრივი ძალა, რომელმაც უნდა მოსპოს კაპიტალისტური წყობილება და ააშენოს ახალი, კომუნისტური საზოგადოება. ეს ძალაა თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული კლასი — პროლეტარიატი, რომლის ისტორიული მისია აგრეთვე გაუგებარი იყო უტოპიური სოციალისტებისათვის.

დაბოლოს, უტოპიური სოციალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც „დარწმუნების“, „წვრილი რეფორმების“ გზით ცდილობდნენ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შეცვლას, კ. მარქსი და ფ. ენგელსი ავითარებენ საზოგადოების რევოლუციური გზით გარდაქმნის იდეას. „რევოლუცია, — წერდნენ ისინი, — აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ არავითარი სხვა გზით არ შეიძლება გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კლასის დამხობა, არამედ იმიტომაც, რომ დ ა მ ა მ ხ ო ბ ე ლ კლასს მხოლოდ რევოლუციაში შეუძლია მთელი ძველი სიასაძაგლე თავიდან მოიშოროს და საზოგადოების ახალი საფუძვლის შექმნის უნარის მქონე გახდეს“ [1].

„გაუცხოების“ საკითხი. ამ შრომაში მთელი სისრულითაა გარკვეული კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თვალსაზრისი ე. წ. „გაუცხოების“ საკითხთან დაკავშირებით, რაც საფუძველს აცლის მარქსიზმის თანამედროვე ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებს, რომლებიც განსხვავებას ვერ ხედავენ „გაუცხოების“ საკითხის ჰეგელისეულ და მარქსისტულ გადაწყვეტას შორის. მარქსისა და ენგელსის აზრით, ადამიანის არსებითი ძალების „გაუცხოება“, „გასხვისება“, უწინარეს ყოვლისა, მატერიალურ სფეროში, შრომის პროცესში ვლინდება. კერძო საკუთრების არსებობის პირობებში მშრომელი კაცობრიობა მოკლებულია მისი შრომით შექმნილ ღირებულებას. ამიტომ ადამიანის შრომის შედეგები განესხვისება მას, მისგან დამოუკიდებელი და მიუწვდომელი უცხო ძალების სახეს იღებს. და მხოლოდ „გაუცხოების“ ეკონომიკური წანამძღვრების მოსპობით იქმნება ადამიანის არსებითი ძალების ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა. ადამიანის ყოველმხრივი განვითარება კომუნისტური საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 64.

ისტორიული მატერიალიზმის ცნებები. „გერმანული იდეოლოგიის“ პირველ თავში მარქსი და ენგელსი გვაძლევენ ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთი ცნების განსაზღვრებას. მაგალითად, ამ ნაშრომში მოცემულია საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ცნებების დეფინიცია. „ცნობიერება (das Bewußtsein) არასდროს არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა შეცნობილი ყოფიერება (das bewußte Sein), ადამიანთა ყოფიერება კი მათი ცხოვრების რეალური პროცესია“ [1].

ამ განსაზღვრებიდან ნათელია, რომ მარქსი და ენგელსი საზოგადოებრივ ყოფიერებას მიიჩნევდნენ ა) ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ პროცესად, ხოლო მათს ცნობიერებას ყოფიერებაზე დამოკიდებულად, მეორადად; ბ) რომ ადამიანთა ცნობიერება მათივე მატერიალური ცხოვრების ასახვაა, შეცნობაა. საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ეს გაგება წითელ ზოლად გასღევს მარქს-ენგელსის ყველა შემდგომდროინდელ ნაშრომს.

ოჯახის ცნება. აქ ჩამოყალიბებულია აგრეთვე ოჯახის ცნებაც. ოჯახი „ეს არის ურთიერთობა ქმარსა და ცოლს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის“ [2].

ისტორიის ცნება. „ისტორია სხვა არაფერია, თუ არა თანმიმდევრული ცვლა ცალკეული თაობებისა, რომელთაგანაც თითოეული იყენებს ყველა წინამავალი თაობის მიერ გადმოცემულ მასალას, კაპიტალსა და მწარმოებლურ ძალებს; ამის გამო მოცემული თაობა, ერთის მხრივ, აგრძელებს გადმოცემულ მოქმედებას სრულიად შეცვლილ პირობებში, მეორე მხრივ კი, მთლიანად შეცვლილი მოქმედების საშუალებით სახეს უცვლის ძველ პირობებს“ [3]. „ისტორია ამასთანავე განვითარების პროცესში მყოფი და ყოველი ახალი თაობის მიერ გადმოღებული მწარმოებლური ძალების ისტორიაა და ამით თვით ინდივიდთა ძალების განვითარების ისტორიაც“ [4].

ყურადღებას იპყრობს სახელმწიფოს ცნება. უკვე ამ პერიოდში მარქსი და ენგელსი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის იარაღია. „სახელმწიფო ის ფორმაა, — წერენ ისინი, — რომელშიც გაბატონებული კლასის ინდივიდები თავიანთ საერთო ინტერესს ახორციელებენ და რომელშიც მოცემული ეპოქის მთელი სამოქალაქო საზოგადოება თავის კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს“ [5].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, გვ. 37.

[2] იქვე, გვ. 48.

[3] იქვე, გვ. 60.

[4] იქვე, გვ. 113.

[5] იქვე, გვ. 125.

„გერმანული იდეოლოგიის“ თანამედროვე მნიშვნელობა. შემოქმედებითი მარქსიზმის ეს გენიალური ნაწარმოები დღესაც აქტუალურად ეხმაურება თანამედროვეობას, სახელმძღვანელო დებულებებით გვაიარაღებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ცნობილია, რომ თანამედროვე პირობებში, როდესაც მკვეთრად ვამწვავდა იდეოლოგიური ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, იმპერიალისტური პროპაგანდა მარქსიზმის ფალსიფიკაციის სულ ახალ და ახალ ცდებს მიმართავს. ე. წ. „მარქსოლოგები“ (გ. ვეტერი, ი. ბოხენსკი, ვ. ტაიმერი და სხვა) ყოველგვარი საშუალებით ამახინჯებენ მარქსის დიად მოძღვრებას, თხზავენ ლეგენდებს მარქსსა და თანამედროვე მარქსისტებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე, „არკვევენ“ თუ რა არის მარქსიზმი „მარქსის მიხედვით“. მარქსიზმის ფორმირების ნამდვილი ისტორიის გაყალბება ბურჟუაზიული იდეოლოგების ხელობად იქცა. ისინი მოითხოვენ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ „ახალგაზრდა“ მარქსი და მარქსი, როგორც „კაპიტალის“ ავტორი. მათი აზრით, სწორედ ახალგაზრდა მარქსი იყო ნამდვილი მარქსისტი,— ჭეშმარიტი „ანთროპოლოგიზმისა“ და „ნატურალისტური“ ჰუმანიზმის შემოქმედი. რაც შეეხება მარქსს, როგორც „კაპიტალის“ ავტორს, მან თითქოს უღალატა ჰუმანიზმს და პიროვნება საზოგადოებრივი აუცილებლობის მონად აქცია.

„გერმანული იდეოლოგიის“, განსაკუთრებით მისი პირველი თავის თეორიული დებულებების გაცნობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგების ეს „კონცეფციები“ აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს.

„გერმანული იდეოლოგიის“ მრავალი დებულება საფუძველს აცლის აგრეთვე ბურჟუაზიული იდეოლოგების ცდებს შეუთავსონ მარქსიზმი ნეოკანტიანელობას (მ. ადლერი, ე. ბიოზე, ვ. ტაიმერი, და სხვ.), დაუახლოვონ იგი ეგზისტენციალიზმს (ვ. თირი, მ. ლანგე, ი. ჰომესი და სხვ.), ნეოთომიზმს (მ. რედინგი), ნეოჰეგელიანელობას (რ. ჰაისი, ფ. რეტშერი) და სხვა.

მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გერმანულ იდეოლოგიაში“ მიღწეული იყო „მთავარი მიზანი, ჩვენთვის საკითხის გამორკვევა“, ისტორიული მატერიალიზმის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება. ამ პრინციპებმა შემდგომი განვითარება და გამოყენება ჰპოვეს კ. მარქსის შრომებში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „კაპიტალი“ და სხვ.

„გერმანული იდეოლოგიის“ გაცნობით ვდგებით საკაცობრიო აზროვნებაში მომხდარი უდიდესი რევოლუციური გადატრიალების — ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობის სათავეებთან და შეუძლებელია აღტაცებული არ დავრჩეთ ახალგაზრდა მარქსისა და ენგელსის

საოცარი ლოგიკური აზროვნების ძალით და მისი თანამიმდევრული განვითარებით, ფართო ერუდიციით, ცოდნის სიღრმით, დებულებების სიახლითა და არგუმენტირებულობით.

კ. მარქსი. „ფილოსოფიის სიღატაკე", თავი 2, § 1. „მეთოდი"

კ. მარქსის „ფილოსოფიის სიღატაკე", რომელიც, ვ. ი. ლენინის თქმით, „მომწიფებული მარქსიზმის ნაწარმოებია", 1847 წელს დაიწერა. გამოქვეყნდა ამავე წლის ზაფხულში.

„ფილოსოფიის სიღატაკე" მიმართულია ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, — პრუდონის წინააღმდეგ. მარქსი პრუდონს ჯერ კიდევ 1844 წელს გაეცნო პარიზში. ურთიერთობის პროცესში თანდათანობით გამოვლინდა მათი უთანხმოება, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო პრუდონის წიგნის — „ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა, ანუ სიღატაკის ფილოსოფია" გამოცემის (1846 წ.) გამო. ამ წიგნში პრუდონი ატარებს „წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისს. ეკონომიკის დარგში იგი გამოდიოდა წვრილი საკუთრების დამცველად. პოლიტიკის სფეროში ქადაგებდა სახელმწიფოს გაუქმებას და უხელისუფლებობას. პრუდონი უარყოფდა კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას კაპიტალიზმის დამხობის მიზნით, და, მაშასადამე, არ ცნობდა არც პროლეტარიატის მსოფლიოისტორიულ მისიას. მისი უტოპიური სისტემის თანახმად, იდეალური იქნება საზოგადოება, რომელიც უზრუნველყოფს კერძო მესაკუთრეთა ურთიერთთანამშრომლობას, ინდივიდუალისტების საქმიანობის სამართლიან გაცვლა-გამოცვლას, რასაც სასაქონლო ფორმა ექნება.

თავის წიგნში კ. მარქსმა ცხადყო, რომ პრუდონი ვერ ხსნის ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემას, იგი გვარწმუნებს არა სიღატაკის ფილოსოფიაში, არამედ იმაში, თუ რამდენად ღატაკია მისი ფილოსოფია ეკონომიკურ წინააღმდეგობათა ასახსნელად. სწორედ ამიტომ იყო, რომ პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფიის" წინააღმდეგ დაწერილ ნაშრომს კ. მარქსმა „ფილოსოფიის სიღატაკე" უწოდა.

„ფილოსოფიის სიღატაკე" შეიცავს დიდმნიშვნელოვან თეორიულ დებულებებს ისტორიის მატერიალისტური გაგების, წარმოების განმსაზღვრელი როლის, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა დიალექტიკის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკის და სხვა ძირეულ საკითხებზე. აქვე გავეცნობით მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებს.

„ფილოსოფიის სიღატაკე" დიდ თეორიულ ინტერესს იწვევს აგრეთვე იმის გამო, რომ აქ კ. მარქსი პირველად გვაძლევს თავისი დიალექტიკური მეთოდის ყოველმხრივ დასაბუთებას. კ. მარქსის შრომი-

დან „ფილოსოფიის სიღატაკე“ ჩვენ სწორედ ამ ერთ საკითხს — მეთოდის საკითხს შეეხებით.

კ. მარქსი ახასიათებს პრუდონის მეთოდს.

იმდროინდელი ეკონომისტებისაგან განსხვაებით, რომლებსაც ეკონომიკური კატეგორიები მარადიულად და ურყევად მიაჩნდათ, პრუდონს სურდა აეხსნა ეკონომიკური კატეგორიების წარმოშობის აქტი, დაელაგებინა ისინი გარკვეული თანამიმდევრობით. მაგრამ მისი ცდა დიალექტიკური მეთოდის საფუძველზე აეხსნა ეკონომიკური კატეგორიების წარმოშობა და ურთიერთკავშირი—მარცხით დამთავრდა. ეკონომიკური კატეგორიების წყაროს პრუდონი ეძებდა არა ობიექტურ, რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში, არამედ გონებაში. „როდესაც ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ საწარმოო ურთიერთობათ, რომელთა მიმართ კატეგორიები მარტოოდენ თეორიულ გამოსახულებას წარმოადგენს, როდესაც ჩვენ ამ კატეგორიებში მხოლოდ თვითწარმომდგარ იდეებს, რეალურ ურთიერთობათაგან დამოუკიდებელ აზრებს ვხედავთ, მაშინ იძულებული ვხდებით ამ აზრების სათავედ წმინდა გონების მოძრაობა დავსახოთ“ [1].

პრუდონამდე დიდი ხნით ადრე ასე იქცეოდა ჰეგელი, რომელიც ლოგიკურ კატეგორიებში რეალურ სამყაროს სუბსტანციას ხედავდა. ყოველი საგანი ლოგიკურ კატეგორიამდე დაყავდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა ჰეგელის აბსოლუტური მეთოდი, რომელიც გონებას ყოველ საგანში თავის თავის ცნობისაკენ უბიძგებდა. „განა საკვირველია, რომ როდესაც თანდათან განვარიდებთ ყველაფერს, რაც სახლის ინდივიდუალობას შეადგენს, როდესაც მხედველობის გარეშე ვტოვებთ მასალას, რომლისგანაც სახლი შენდება, ფორმას, რომელიც მას განასხვავებს, ბოლოს ჩვენს წინ მარტოოდენ სხეული რჩება, რომ როდესაც მხედველობაში არ ვიღებთ ამ სხეულის მოხაზულობას, გვრჩება მხოლოდ სივრცე, რომ, როდესაც დასასრულ, სივრცის მოცულობასაც განვარიდებთ, დაგვრჩება მხოლოდ რაოდენობა წმინდა სახით, ლოგიკური კატეგორია? თუ ასე თანდათანობით აბსტრაქციასვყოფთ ყოველი სუბიექტისაგან, ყველა მის სულიერ თუ უსულო, ვითომდა შემთხვევითი ნიშნისაგან, ადამიანთა თუ საგანთაგან, — ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ საბოლოო აბსტრაქციით სუბსტანციად მხოლოდ ლოგიკური კატეგორიები გვრჩება“ [2].

ჰეგელის ეს მეთოდი პრუდონმა პოლიტიკურ ეკონომიას მიუყენა და შედეგად ის მიიღო, რომ ეკონომიკური კატეგორიები „თითქოს ეს არის ახლა იყოს წმინდაგონებიან თავში გამოჩეკილი“. მართალია, პრუდონი იჩემებდა, რომ თვითონ აღმოაჩინა კატეგორიების თანმიმდევრო-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფილოსოფიის სიღატაკე, 1938, გვ. 96—97.

[2] იქვე, გვ. 97.

ბის და დამწკრივების მეთოდი, მაგრამ სინამდვილეში ეს მეთოდი ჰეგელისაგან ჰქონდა აღებული. ამასთან, კ. მარქსის სიტყვებით, პრუდონმა „საშინლად დააკნინა“ ჰეგელის დიალექტიკა. ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიკური კატეგორიები ისტორიულად განსაზღვრული წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა თეორიულ გამოსახულებად მიეჩნია, პრუდონი მათში „კაცობრიობის უპიროვნო გონების“ პრინციპების განხორციელებას ხედავდა, ე. ი. საქმის ვითარებას უკუღმა წარმოადგენდა. აქ კ. მარქსი აყალიბებს მეტად მნიშვნელოვან დებულებას, რომ „საზოგადოებრივი ურთიერთობანიც ისევე ადამიანთა მიერ არიან წარმოებული, როგორც ტილო, სელი და სხვ. საზოგადოებრივი ურთიერთობანი მჭიდროდ არიან დაკავშირებული საწარმო ძალებთან. ახალ საწარმოო ძალთა შეძენასთან ერთად ადამიანები ცვლიან თავიანთ წესს წარშოებისას, და წარმოების წესის, თავიანთი არსებობის საშუალებათა მოპოვების წესის ცვლილებით, ისინი ცვლიან თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობათ. ხელის წისქვილი იძლევა ფეოდალ-ბატონიან საზოგადოებას, ორთქლის წისქვილი — მრეწველ-კაპიტალისტიან საზოგადოებას“ [1].

რაკი ეკონომიკური კატეგორიები რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ასახავენ, ეს უკანასკნელნი კი ცვალებადნი არიან, ისტორიული და გარდამავალია თვით ეკონომიკური კატეგორიებიც. შეცვლილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს შეცვლილი პრინციპები, იდეები და კატეგორიები შეესაბამება.

ამრიგად, კ. მარქსი უარყოფს პრუდონის მეთოდს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ლოგიკური ეკონომიკური კატეგორიები წმინდა გონებიდან გამოიყვანოს.

პრუდონი ჰეგელიდან ამოდის, მაგრამ უკიდურესად აყალბებს მას, როდესაც ეკონომიკური კატეგორიების წინააღმდეგობრივ მხარეებს ეხება. პრუდონის აზრით, ყოველი ეკონომიკური კატეგორია წინააღმდეგობრივია, მას აქვს ორი მხარე — კარგი და ცუდი, დადებითი და უარყოფითი. ამასთან, პრუდონი მოითხოვს, რომ შევინარჩუნოთ კარგი მხარე, ცუდი კი უკუვაგდოთ. პრუდონს არ ესმის ის, რომ წინააღმდეგობის ერთი მხარის შენარჩუნება შეუთავსებელია მისი მეორე მხარის უარყოფის მოთხოვნასთან, რომ ეს დიალექტიკური მოძრაობის არსის დამახინჯებას ნიშნავს. „სწორედ ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე მხარის თანაარსებობა, მათი ბრძოლა და მათი ახალ კატეგორიად შედუღება შეადგენს დიალექტიკურ მოძრაობას. როდესაც ჩვენ ცუდი მხარის მოშორების პრობლემას ვისახავთ, შუაზე ვწყვეტთ დიალექტიკურ მოძრაობას“ [2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. ფილოსოფიის სიღატაკე. გვ. 100—101.

[2] იქვე. გვ. 103—104.

კ. მარქსი ახასიათებს ფეოდალურ საზოგადოებას, რომელიც ფეოდალთა და ყმების ანტაგონიზმზე იყო დამყარებული. ამ ანტაგონიზმის შიგნით ვითარდებოდა საწარმოო ძალები, იქმნებოდა სიმდიდრე. ფეოდალურ საზოგადოების წიაღში საწარმოო ძალთა ზრდამ აუცილებელი გახადა თვით წარმოებით ურთიერთობათა შეცვლა. „ადამიანთა საწარმოო ძალებში წარმომდგარი ცვლილება აუცილებლად იწვევს ცვლილებას მათ საწარმოო ურთიერთობაში... საჭიროა შენარჩუნებულ იქნეს ცივილიზაციის ნაყოფი, მოპოვებული საწარმოო ძალები, ამიტომ უნდა დამსხვრეულ იქნეს ის ტრადიციული ფორმები, რომლებშიც ისინი შეიქმნენ“ [1].

კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც ბურჟუაზია ვითარდება თავის საპირისპირო კლასთან, პროლეტარიატთან ერთად, მაშასადამე, ვითარდება ბრძოლაც მათ შორის და ამ საზოგადოების წარმოდგენა აგრეთვე შეუძლებელია ურთიერთსაწინააღმდეგო, დადებითი და უარყოფითი ძალების გარეშე. ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი ხელს უწყობენ ერთ მხარეზე სიმდიდრის, ხოლო მეორე მხარეზე სიღატაკის დაგროვებას. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს და მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა შეუძლებელია მანამდე, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური საზოგადოება. მაგრამ ეს ცუდი მხარე, მშრომელთა სიღატაკე, ისტორიული განვითარების პროცესში პროგრესულ მოვლენად იქცევა, რამდენადაც იგი ზრდის პროლეტარიატს, ამწვავებს მის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ სიღატაკეში მხოლოდ სიღატაკე არ უნდა დავინახოთ, მასში უნდა ვამჩნევდეთ „რევოლუციურ, დამრღვევ მხარეს, რომელიც დაამხობს ძველ საზოგადოებას“ [2].

თავისი კლასობრივი მრწამსის მიხედვით, კ. მარქსი პრუდონს მიაკუთვნებს წვრილ ბურჟუაზიას. „იგი წვრილი ბურჟუაა მხოლოდ, რომელიც კაპიტალსა და შრომას შორის, პოლიტიკურ ეკონომიასა და კომუნიზმს შორის მუდამ მერყეობს“ [3].

პრუდონი თავის თავს ეწინააღმდეგება თვით კატეგორიების ლოგიკური თანმიმდევრობის გაგების საკითხშიც. ერთი მხრივ, იგი აცხადებს, რომ „აზრად არა აქვს მოგვცეს ი ს ტ ო რ ი ა დ რ ო ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, ე. ი. მოგვცეს, მისიეე აზრით, ის ისტორიული თანამიმდევრობა, რომელშიც გ ა მ ო მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ უ ლ ი ა კატეგორიები“ [4]. მეორე მხრივ, იგი უარყოფს ეკონომიკური კატეგორიების სუბორდინაციას; მისთვის მათი რიგი „არ არის რიგი, რომლის მიხედვით ეს კატეგორიე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფილოსოფიის სიღატაკე. გვ. 112—113.
[2] იქვე, გვ. 116.
[3] ი ქ ვ ე.
[4] იქვე, გვ. 105.

ბი ერთი მეორისაგან წარმოიშობა. ეკონომიური ევოლუციები აღარ წარმოადგენს წმინდა გონების ევოლუციებს“ [1].

ამრიგად, პრუდონისათვის გაუგებარია ლოგიკურისა და ისტორიულის რეალური კავშირი, მათი ერთიანობა და ამ ერთიანობის საფუძველი. სინამდვილეში აზრთა ლოგიკური მსვლელობა ისტორიული პროცესის რეალურ მსვლელობას შეესაბამება. ლ ო გ ი კ უ რ ი სხვა არაფერია, თუ არა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ს — განვითარების პროცესში ფაქტიურად მოცემულის ასახვა. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, „საიდანაც ისტორია იწყებს, იქიდანვე უნდა დაიწყოს აზრთა ლოგიკურმა მსვლელობამ, და ამის შემდგომი განვითარება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ისტორიული პროცესის ასახვა განყენებული და თეორიულად თანმიმდევრული ფორმით“ [2].

ამრიგად, ლოგიკური და ისტორიული დიალექტიკურ ერთიანობაში უნდა განვიხილოთ. ამ ერთიანობის ობიექტური საფუძველია ისტორიული და არა ლოგიკური (როგორც ჰეგელი ფიქრობდა); ლოგიკური შემეცნება ლოგიკურისაგან განსხვავებული და სუბიექტის ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი ობიექტის ისტორიულობით არის განპირობებული.

ლოგიკური ისტორიულს ასახავს, მაგრამ იგი ვერასოდეს ვერ გადაწვდება რეალურ-ისტორიულის მთელ მრავალფეროვნებას. ლოგიკური გამოხატავს ისტორიულის საკვანძო, ძირითად მხარეებს, ათავისუფლებს მათ შემთხვევითობათაგან. კვლევა-ძიების ლოგიკური მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ განვითარების ყოველი მომენტი მის უაღრესად მომწიფებულ სტადიაში.

„ისტორია დროის რიგის მიხედვით, იმ ისტორიულ თანამიმდევრობას წარმოადგენს, რომელშიც იდეები, კატეგორიები, პრინციპები გამომჟღავნდა“ [3]. თუ მაგალითად, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იდეები და პრინციპები ჩნდება, ამის გასაგებად უნდა გამოვიკვლიოთ, თუ როგორი იყო ამ სხვადასხვა ეპოქის ადამიანების „მოთხოვნილებები, მათი საწარმოო ძალები, მათი წარმოების წესი, მათი წარმოების ნედლი მასალა, დასასრულ როგორი იყო ადამიანის მიმართ ადამიანის ურთიერთობა, რომელიც არსებობის ყველა ამ პირობათაგან გამომდინარეობდა. განა ყველა ამ საკითხთა გარკვევა არ ნიშნავს ნამდვილი ისტორიის, თვითეული საუკუნის ადამიანთა ჩვეულებრივი ისტორიის მოცემას, ამ ადამიანთა დასახვას ერთსა და იმავე დროს ავტორებად და მსახიობებად მათი საკუთარი დრამისა?“ [4].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 105.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 421.
[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 105.
[4] იქვე, გვ. 106.

თავის შეხედულებებს მეთოდზე, რაც მოკლედ იყო ზემოთ გადმოცემული, კ. მარქსი შვიდი შენიშვნის სახით აჯგუფებს. ამ შენიშვნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კ. მარქსის დიალექტიკური მეთოდის გასაგებად და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ მისი გამოყენებისათვის.

კ. მარქსი. „ბოლოსიტყვაობიდან „კაპიტალის" პირველი ტომის მეორე გერმანული გამოცემისათვის"

ეს ბოლოსიტყვაობა დართული აქვს „კაპიტალის" პირველი ტომის მეორე გერმანულ გამოცემას 1872 წელს. აქ განხილულია არსებითად ერთი საკითხი — კ. მარქსის დიალექტიკის ბუნების საკითხი, გარკვეულია ძირეული დაპირისპირებულობა ჰეგელისა და მარქსის დიალექტიკას შორის.

ის მეთოდი, რომელსაც კ. მარქსი იყენებდა თავის „კაპიტალში", ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ სხვადასხვაგვარი შეფასების საგნად იქცა. ზოგიერთი გამოთქვამდა საყვედურს მარქსის მიმართ, რომელიც თითქოს მეტაფიზიკური მეთოდით სარგებლობდა. ნ. ზიბერი, მაგალითად, მარქსის მეთოდს ინდუქციურ მეთოდად თვლიდა, ხოლო მ. ბლოკი — ანალიზურად და სხვ.

თვით კ. მარქსი ეთანხმება „კაპიტალში" გამოყენებული საკუთარი მეთოდის იმ შეფასებას, რომელიც გამოქვეყნდა პეტერბურგის „ვესტნიკ ევროპის" ერთ-ერთ სტატიაში, რომლის ავტორი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ი. ი. კაუფმანი. მარქსს მოყავს ვრცელი ამონაწერი ამ სტატიიდან, მისი დედააზრი ის არის, რომ „კაპიტალის" კვლევის მეთოდი რეალისტურია, ხოლო გადმოცემისა — გერმანულ-დიალექტიკური.

კაუფმანის სტატიის მიხედვით, კ. მარქსი „კაპიტალში" იკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებს, ასაბუთებს ერთი წყობილებიდან მეორე წყობილებაზე გადასვლის აუცილებლობას, საზოგადოებრივ განვითარებას განიხილავს, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს. ამასთან, ყოველ საზოგადოებრივ წყობილებას თავისი კერძო კანონები გააჩნია. საზოგადოების ეკონომიკური მოძრაობისა და განვითარების კანონები კ. მარქსმა სწორედ დიალექტიკური მეთოდის გამოყენებით ახსნა.

ამასთან, მარქსი თვით ახასიათებს მისივე საკუთარ, დიალექტიკურ მეთოდს. იგი წერს:

„ჩემი დიალექტიკური მეთოდი თავის საფუძველში არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ მისი სრული დაპირისპირებულობაა. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რასაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი აქცევს, არის დემიურ-

ვი (შემოქმედი) სინამდვილისა, რომელიც მის მხოლოდ გარეგან გამოვლინებას წარმოადგენს. ჩემთვის, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი" [1].

კ. მარქსი აღნიშნავს, რომ მან ჰეგელი ჯერ კიდევ 40-იან წლებში გააკრიტიკა იმ მისტიფიკაციის გამო, რომელიც დიალექტიკამ ჰეგელის ხელში განიცადა. მაგრამ არ იქნებოდა სწორი არ შეგვენიშნა ჰეგელის დიდი დამსახურებაც. მიუხედავად იდეალისტური საფუძვლისა ჰეგელმა შეძლო პირველად წარმოედგინა „ამომწურავად და შეგნებულად დიალექტიკის მოძრაობის ზოგადი ფორმები" [2].

აქვე მარქსი მიუთითებს იმაზე, რომ „კაპიტალის" დაწერის პერიოდში ჰეგელს ბევრი აბუჩად იგდებდა. მათ საწინააღმდეგოდ მარქსმა საჯაროდ აღიარა თავი „დიდებული მოაზროვნის მოწაფედ" და „კაპიტალის" ზოგიერთ ნაწილში ჰეგელის გამოთქმის მანერასაც კი იყენებდა.

აქ მარქსი მსჯელობს აგრეთვე ჰეგელის დიალექტიკის რეაქციულ და რევოლუციურ მხარეებზე. მისტიფიცირებული ფორმით ჰეგელის დიალექტიკა ამართლებდა და ქება-დიდებას ასხამდა იმდროინდელი პრუსიის დესპოტურ, პოლიციურ წესწყობილებას, რის გამოც იგი მოდადაც იქცა გერმანიაში. მაგრამ ჰეგელის დიალექტიკას აქვს არა მხოლოდ რეაქციული, არამედ რევოლუციური მხარეც. რაციონალური სახით დიალექტიკას არსებულის პოზიტიურ გაგებაში შეაქვს მისი „უარყოფის, მისი აუცილებელი დაღუპვის გაგებაც, ყოველ განხორციელებულ ფორმას იგი განიხილავს მოძრაობის დენადობაში, მაშასადამე, მისი წარმავლობის მხრივაც. იგი არაფრის წინაშე ქედს არ იხრის და თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციურია" [3].

ჰეგელის დიალექტიკის რაციონალური მარცვალი მისტიკურ გარსში იყო გახვეული. საჭირო გახდა, რომ ჰეგელის დიალექტიკა, რომელიც თავდაყირა იდგა, ფეხზე დაყენებულიყო, მატერიალისტურ საფუძველს დამყარებოდა.

სწორედ ეს ამოცანა შეასრულა მარქსმა მატერიალისტური დიალექტიკის შექმნით, რაც თვისებრივად ახალი ფილოსოფიის ორგანული ნაწილია.

მარქსისტული ფილოსოფიის კრიტიკული და რევოლუციური ხასიათი მის შემოქმედებით ბუნებაშიც ვლინდება. წინანდელი ფილოსოფოსები ემყარებოდნენ ყალბ ვარაუდს, რომ შესაძლებელია აბსოლუტურად დასრულებული, მომავალში შეუსწორებელი ფილოსოფიური სისტემების შექმნა, ხოლო თავიანთ ფილოსოფიურ სისტემებს ყოველ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 525.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 525—526.

მხრივ დამთავრებულად და სრულყოფილად, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად თელიდნენ.

მარქსისტული ფილოსოფია შეუთავსებელია დოგმატიზმთან, მეცნიერული აზრის გაყინვისა და გაქვავების აღიარებასთან. მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად, სინამდვილის აზრობრივ ასახვას შეუძლებელია მივაწეროთ აბსოლუტური ბუნება, უპირობოდ, ყოველი დროისა და ეპოქისათვის გამოსადეგი სახით. მარქსისტული ფილოსოფიაც, როგორც მეცნიერება არ დგას ერთ ადგილზე, იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება ახალი ისტორიული გამოცდილების შესაბამისად.

მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ისტორია მისი შემოქმედებითი ხასიათის განსახიერებაა. თავისი წარმოშობის შემდეგ მარქსისტული ფილოსოფია მდიდრდება და კვლავაც გამდიდრდება ახალი დასკვნებითა და დებულებებით რევოლუციური მოძრაობის ახალი პირობების, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ახალი მონაპოვრების გათვალისწინების საფუძველზე. როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, ლენინური ეტაპი მარქსისტულ ფილოსოფიაში კლასიკურად გამოხატავს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემოქმედებით ბუნებას. ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში მარქსიზმის მტრების ყოველგვარი შემოტევებისაგან დაიცვა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, წინ წასწია და გააღრმავა იგი. ვ. ი. ლენინმა განავითარა მარქსისტული დიალექტიკა, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი, განსაკუთრებით მისი შემეცნების თეორია, შემატა ისტორიულ მატერიალიზმს ახალი დასკვნები რევოლუციის, კლასობრივი ბრძოლისა, პროლეტარიატის დიქტატურის და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

ამრიგად, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია შემოქმედებითია თავისი ბუნებით. იგი ვერ ეგუება დოგმატიზმს და მედავითნეობას, იცვლება და მდიდრდება ცხოვრების ახალი დონისა და პირობების შესაბამისად.

ფ. ენგელსი. „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის დასასრული“

ფ. ენგელსის ეს გენიალური ნაწარმოები დაიწერა 1886 წელს. იგი დაიბეჭდა ამავე წელს ჟურნალში „Neue Zeit“. ცალკე გამოიცა 1888 წელს.

ნაშრომში საოცარი სიზუსტითა და სიღრმითაა გარკვეული ახალი მსოფლმხედველობის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობის თეორიული წანამძღვრები, მისი თვისებრივი განსხვავება წინამორბედ ფილოსოფიურ მოძღვრებათაგან, მარქსისტული ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპები.

წიგნი შედგება წინასიტყვაობისა და ოთხი თავისაგან. წინასიტ-ყვაობაში ფ. ენგელსი მსჯელობს იმ ვითარებაზე, რამაც უბიძგა მას ამ თხზულების დაწერა.

ისტორიული პირობები, რომელშიც დაიწერა ფ. ენგელსის წიგნი „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“. ამ ნაწარმოების დაწერის საბაბად იქცა კ. შტარკეს წიგნი „ლუდვიგ ფოიერბახი“, რომელიც 1885 წელს გამოიცა. სოციალ-დემოკრატიული ჟურნალის „Neue Zeit“-ის რედაქციამ წინადადებით მიმართა ფ. ენგელსს, რათა კრიტიკულად გაერჩია შტარკეს წიგნი ფოიერბახის შესახებ. ფ. ენგელსი დაეთანხმა რედაქციას. ასე შეიქმნა ფ. ენგელსის შრომა „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“, რომელშიც შტარკეს კრიტიკასთან ერთად გარკვეულია მარქსისტული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი საკითხები: ამ წიგნში, როგორც თვით ფ. ენგელსი აღნიშნავს, მოკლედ და სისტემატური ფორმითაა გადმოცემული მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულება ჰეგელის ფილოსოფიისადმი, ნაჩვენებია ამ ფილოსოფიიდან ამოსვლისა და მისგან გათიშვის ისტორია, გადმოცემულია აგრეთვე მათი დამოკიდებულება ფოიერბახისადმი, „რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით მაინც შუალედურ როგოლს წარმოადგენს ჰეგელის ფილოსოფიასა და ჩვენს მსოფლმხედველობას შორის“ [1].

წინასიტყვაობაში ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ მასა და მარქსს ადრეც ჰქონდათ განზრახული ჰეგელისა და ჰეგელის შემდგომი ფილოსოფიის კრიტიკა, რაც მათ განახორციელეს კიდეც ერთობლივ ნაშრომში „გერმანული იდეოლოგია“ (1845 წელს), მაგრამ არც ამ ნაწარმოებში და არც სხვა შრომებში დაწვრილებით არ გაურკვევიათ თავიანთი დამოკიდებულება ჰეგელისა და ფოიერბახისადმი. ამის საჭიროებამ სტიმული მისცა ფ. ენგელსს დაეწერა „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“.

წიგნის პირველ თავში გარკვეულია შემდეგი საკითხები: ა) მსგავსება და განსხვავება მეთვრამეტე საუკუნის ფრანგულ რევოლუციასა და მეცხრამეტე საუკუნის გერმანულ რევოლუციას შორის; ბ) ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციური და კონსერვატიული მხარეები; გ) ჰეგელის სკოლის დაშლა; დ) ფოიერბახის გამოსვლა ფილოსოფიურ სარბიელზე.

შევეხოთ ამ საკითხებს ცალ-ცალკე.

მსგავსება და განსხვავება მეთვრამეტე საუკუნის ფრანგულ რევოლუციასა და მეცხრამეტე საუკუნის გერმანულ რევოლუციას შორის.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 438.

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ როგორც მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში, ისე მეცხრამეტე საუკუნის გერმანიაში ფილოსოფიური რევოლუცია წინ უსწრებდა პოლიტიკურ გადატრიალებას. ეს იყო საერთო ამ რევოლუციებს შორის. მაგრამ ეს რევოლუციები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ფრანგები აშკარად ებრძოდნენ მთელ ოფიციალურ მეცნიერებას, ხშირად სახელმწიფოსაც კი, რის გამოც მათ სასტიკად უსწორდებოდნენ ხელისუფალნი. გერმანიაში კი პირიქით; მათ ვინც ფილოსოფიურ რევოლუციებს ამზადებდნენ, სახელმწიფო მფარველობდა. გერმანელ პროფესორებს ახალგაზრდობის აღმზრდელებად ნიშნავდნენ, სახელმწიფო ფილოსოფიის ხარისხითაც კი აჯილდოებდნენ. ამის მაგალითია თვით ჰეგელის ფილოსოფია.

ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციური და კონსერვატიული მხარეები. იმის საილუსტრაციოდ, რომ ჰეგელის ფილოსოფია შეიცავდა როგორც რევოლუციურ, ისე რეაქციულ მხარეებს ფ. ენგელსს მოჰყავს ჰეგელის ფილოსოფიის ცნობილი დებულება: „ყოველივე, რაც ნამდვილია, გონიერია, და ყოველივე, რაც გონიერია, ნამდვილია". სწორედ ამ დებულებამ დაიმსახურა იმდროინდელი „ჭკუამოკლე მთავრობების" მადლობა, ვინაიდან, ეს დებულება არსებული წყობილების აშკარა გამართლებას ნიშნავდა. მაგრამ თვით ჰეგელისათვის ყველაფერი რაც არსებობს სრულიად არ არის ნამდვილი. ნამდვილი ისაა, რაც ამავე დროს აუცილებელიცაა. „განვითარების მსვლელობაში ყოველივე, რაც წინათ ნამდვილი იყო, არანამდვილი ხდება, კარგავს თავის აუცილებლობას, თავის არსებობის უფლებას, თავის გონიერებას. მომაკვდავი სინამდვილის ადგილს ახალი, ცხოველმყოფელი სინამდვილე იჭერს, მშვიდობიანად, თუ ძველი იმდენად ჭკვიანია, რომ წინააღმდეგობის გაუწევლად კვდება, ძალდატანებით, თუ იგი ეწინააღმდეგება ამ აუცილებლობას. ამრიგად, ჰეგელის ეს დებულება თვით ჰეგელის დიალექტიკის წყალობით თავის დაპირისპირებულობად იქცევა: ყოველივე, რაც კაცობრიობის ისტორიის დარგში ნამდვილია, დროის განმავლობაში უგუნური ხდება. მაშასადამე, იგი უგუნურია უკვე თავისი ბუნებით, წინდაწინვე უგუნურებითაა აღბეჭდილი; ხოლო ყოველივე, რაც ადამიანის თავში გონიერია, მოწოდებულია ნამდვილი გახდეს, როგორც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იგი არსებულ მოჩვენებითს სინამდვილეს. თეზისი, რომელიც ყოველივე სინამდვილის გონიერებას აღიარებს, ჰეგელის აზროვნების მეთოდის ყველა წესის მიხედვით მეორე თეზისში გადადის: ყოველივე, რაც კი არსებობს დაღუპვის ღირსია" [1].

სწორედ ეს არის ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციური მხარე, რამდენადაც მისი დიალექტიკის თანახმად, ადამიანის მოქმედებისა და

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 442.

აზროვნების შედეგებს არ შეიძლება საბოლოო მნიშვნელობა მიეწეროს.

ჰეგელის ფილოსოფიას მისი ეპოქის დაღი აზის. ეს ის ეპოქაა, როდესაც ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა ისტორიულ აუცილებლობად იქცა. მაგრამ გადასვლის პროცესი ერთდროულად არ მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ყველაზე ადრე კაპიტალისტური წყობილება ინგლისში დამკვიდრდა. XVIII საუკუნის დამლევს ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გზა გაუკაფა კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას საფრანგეთში, გერმანიაში კი რევოლუციამდე ფეოდალური არისტოკრატია ბატონობდა. ამ გარემოებამ ასახვა ჰპოვა ჰეგელის ფილოსოფიაში. ერთი მხრივ, ჰეგელი გაბატონებულ პრუსიის აბსოლუტივისტური დესპოტური სახელმწიფოს აბოლოგეტად. ამას ემსახურებოდა მისი სისტემა. მეორე მხრივ კი, განსაკუთრებით საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენით ჰეგელი ცნობს ძირეულ სოციალურ გარდაქმნათა აუცილებლობას. ამის მოთხოვნა გამომდინარეობდა მისი დიალექტიკური მეთოდიდან.

ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა მისტიკურ-იდეალისტურია. მისი შეხედულებით, სამყაროს საფუძველია აბსოლუტური იდეა, რომელიც თავდაპირველად წმინდა აზრის ფორმით არსებობს. შემდეგ იგი „განესხვისება“ თავის თავს და გამოვლინდება ჯერ ბუნებაში, მერე კი საზოგადოებაში, ამრიგად, ჰეგელისათვის სამყაროს მოძრაობა და განვითარება არის თვით აბსოლუტური იდეის ცვალებადობა-განვითარების შედეგი.

სამყაროს ეს მისტიკურ-რელიგიური ახსნა ანტიმეცნიერული და რეაქციულია. სინამდვილეში იდეები კი არ განსაზღვრავენ რეალურ სამყაროს, არამედ თვით წარმოადგენენ მაღალგანვითარებული მატერიის—ადამიანის ტვინის პროდუქტს და იცვლებიან მატერიალური, ობიექტური სამყაროს ცვალებადობის შესაბამისად. ამრიგად, ჰეგელის დიალექტიკა, განვითარების ჰეგელისეული მოძღვრება ყალბ ობიექტურ-იდეალისტურ საფუძველს ემყარება.

ფ. ენგელსი მიუთითებს წინააღმდეგობაზე ჰეგელის იდეალისტურ სისტემასა და დიალექტიკურ მეთოდს შორის. ჰეგელის სისტემის თანახმად, აბსოლუტური იდეა შეიცნობს თავის თავს და ამით განვითარებაც მთავრდება. ჰეგელის დიალექტიკა კი სამყაროს განიხილავს მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში. „ჰეგელის სისტემის მთელი დოგმატური შინაარსი აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ცხადდებოდა და წინააღმდეგობაში ვარდებოდა მისსავე დიალექტიკურ მეთოდთან, რომელიც არღვევს ყოველივე დოგმატურს. ამრიგად, რევოლუციურ მხა-

რეს ახშობდა უზომოდ გაზრდილი კონსერვატული მხარე"[1]. ამ წინააღმდეგობამ განსაზღვრა ჰეგელის ფილოსოფიის სხვა მრავალი ნაკლოვანება.

მიუხედავად ამისა, ფ. ენგელსი დიდად აფასებს ჰეგელს მისი ფილოსოფიის რევოლუციური მხარის გამო, უწოდებს მას „შემოქმედ გენიოსს", „ენციკლოპედიური ცოდნის" ადამიანს, რომელმაც ყველა დარგში განვითარების შინაგანი ძაფი აღმოაჩინა და ყველგან ეპოქის შემქმნელად მოგვეელინა.

ჰეგელის სკოლა და მისი დაშლა. ჰეგელის ფილოსოფიაში ბევრი ადგილია დატოვებული პრაქტიკულ-პარტიული შეხედულებებისათვის. გერმანიაში პრაქტიკული მნიშვნელობა იმ დროს პოლიტიკას და რელიგიას ჰქონდა. ვინც ჰეგელის სისტემას უჭერდა მხარს, ორივე დარგში კონსერვატორად გამოდიოდა, ვინც მის მეთოდს — უკიდურეს ოპოზიციონერად, თვით ჰეგელი უფრო კონსერვატორობისაკენ იხრებოდა. მას შემდეგ, რაც გერმანიის ფეოდალურ-თვითმპყრობელური რეაქციის სათავეში ფრიდრიხ ვილჰელმ IV მოექცა, საჭირო გახდა აშკარა პარტიული პოზიციის დაკავება სახელმწიფოს მიმართაც და რელიგიის მიმართაც. პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა საშიში იყო. ამიტომ იგი რელიგიის წინააღმდეგ წარიმართა, რაც არაპირდაპირ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლასაც ნიშნავდა.

თვით ჰეგელის ფილოსოფიის ორმაგმა ბუნებამ განსაზღვრა მიმდევრების ორგვარი დამოკიდებულება მისადმი. 30-იანი წლების დამლეს ჰეგელიანელები ორ ბანაკად დაიყვნენ: „მემარცხენეებად" (ბ. ბაუერი, ე. ბაუერი, ლ. ფოიერბახი, მოგვიანებით კი კ. მარქსი და ფ. ენგელსი), რომლებიც ჰეგელის ფილოსოფიის პროგრესულ მხარეს იზიარებდნენ და მისგან რადიკალური, ათეისტური დასკვნები გამოყავდათ, და „მემარჯვენეებად" (გეშელი, გაბლერი, ჰინრიხსი), რომლებიც იცავდნენ ჰეგელის ფილოსოფიის კონსერვატიულ მხარეს და აქედან რეაქციულ დასკვნებამდე მიდიოდნენ.

ამ ბრძოლას ბიძგი მიეცა 1835 წელს, შტრაუსის „იესოს ცხოვრების" გამოსვლით. შტრაუსის მტკიცებით „სახარებაში" მოთხრობილი ამბები არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს და შეთხზულია. იგი წერდა: „მახარობელთა ცნობები იესოს ცხოვრების, მოქმედებათა და ფაქტთა შესახებ საერთოდ მეტად დაუჯერებელ რამეს წარმოადგენენ... იესოს სასწაულთა და ზებუნებრივ საქმეთა შესახებ უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში ისინი არ მომხდარან და არც შეიძლება მომხდარიყვნენ". თვით საღვთო წერილის მიზანია, „დაუჯერებელი დასაჯერებელი

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 444.

გახადოს, ისტორიულად წარმოსადგენი გახადოს ის, რაც არ ყოფილა ისტორიაში".

შტრაუსის დასკვნით, სახარების მოთხრობები მითებია და შექმნილია ადრინდელი ქრისტიანული თემების კოლექტიური ცნობიერებით.

შტრაუსს დაუპირისპირდა მემარცხენე ჰეგელიანელთა მეთაური ბ. ბაუერი, რომელიც წიგნში „იოანესა და სინოპტიკოსების ცხოვრება" (1841 წ.) წერდა, რომ „ხალხს, თემს, როგორც ასეთებს, არაფრის შექმნა არ შეუძლია თავისის მისტიკური სუბსტანციონალობის წყალობით და უშუალოდ მისგან; მხოლოდ სუბიექტს, ცალკეულ თვითცნობიერებას შეუძლია მისცეს მას ფორმა, სახე და ამით შინაარსის გარკვეულობა". ქრისტიანული მითები თვით მახარობელთა გამონაგონია.

ამრიგად, თუ შტრაუსის მიხედვით სახარების მითები ქრისტიანული თემის წიაღში შეიქმნა, ბაუერისათვის იგი ცალკეული მახარობლების შეთხზულია. ამ დავამ ასეთი სახე მიიღო: რა არის მთავარი ძალა მსოფლიო ისტორიაში „ობიექტური სული", „სუბსტანცია" თუ „თვითცნობიერება"?

შეიქმნა რთული ვითარება. ახალგაზრდა ჰეგელიანელები რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში ინგლისურ-ფრანგულ მატერიალიზმამდე მივიდნენ, მაშინ როდესაც ფილოსოფიაში ჰეგელის სისტემის, ობიექტური იდეალიზმის პოზიციაზე აღმოჩნდნენ. ისინი წინააღმდეგობის ქსელში გაიხლართნენ.

ეს წინააღმდეგობა ფოიერბახმა გადაჭრა.

ფოიერბახის გამოსვლა ფილოსოფიურ ასპარეზზე. თავის წიგნში „ქრისტიანობის არსება" (1841 წ.) „ფოიერბახმა ერთი დაკვრით გადალახა ეს წინააღმდეგობა იმით, რომ მატერიალიზმი სრულიად მოურიდებლად ხელახლა ტახტზე აიყვანა" [1].

აქ ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთ დამატებით ცნობას ფოიერბახის შესახებ. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროს ფოიერბახს სწამდა ქრისტიანული რელიგია და მამის გადაწყვეტილებით თეოლოგიის დარგში მუშაობასაც კი აპირებდა. მაგრამ იგი მალე განუდგა თეოლოგიას. ერთ-ერთ წერილში მამისადმი იგი აღნიშნავდა: „მე გავექეცი თეოლოგების საზოგადოებას და მეგობრებად მყვანან ისეთი მოაზროვნენი, როგორიცაა არისტოტელე, სპინოზა, კანტი და ჰეგელი". „ჩემი დაბრუნება უკან, თეოლოგიის დარგისაკენ ეს იქნებოდა ის, რომ უკან დაგვებრუნებინა ფარვანა ჭუპრის მდგომარეობაში". თეოლოგიისაგან განდგომის შემდეგ ფოიერბახი დაეწაფა ფილოსოფიის შესწავლას. თავდაპირველად იგი ჰეგელის ფილოსოფიას იზიარებდა. უკვე 1827-28 წლებში გამომეღავნდა მისი უთანხმოება ჰეგელის ფილოსოფიისადმი, თუმცა

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 449.

ბართლმორწმუნე ჰეგელიანელი არასოდეს ყოფილა. უკვე 1836 წელს იგი წერდა, რომ „სპეკულაციური ფილოსოფიის არსი სხვა არაფერია, თუ არა რაციონალიზებული, რეალიზებული, აწმყოში არსებულად წარმოდგენილი არსი ღმერთისა“, რომ „ის ვინც ჰეგელის ფილოსოფიაზე არ ამბობს უარს, არც თეოლოგიაზე ამბობს უარს“.

ფოიერბახმა თავის წიგნში „ქრისტიანობის არსება“ გააკრიტიკა ქრისტიანული რელიგია. მისი აზრით, ყველაფერი, რასაც ადამიანები ღმერთს მიაწერენ, არსებითად მათი საკუთარი თვისებებია. „ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად, როგორც ეს ბიბლიაშია ნათქვამი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი თავის ხატად და მსგავსად“. „ღმერთის პიროვნებაში ადამიანი ზეიმობს თავისი საკუთარი პიროვნების ზებუნებრიობას“. ფოიერბახმა დაასაბუთა, რომ ჰეგელისეული „აბსოლუტური იდეის“ დაუსაბამო არსებობა მხოლოდ ფანტასტიკური ნაშთია სამყაროს მიღმა მყოფი შემოქმედის რწმენისა, რასაც თეოლოგია ქადაგებს.

ფ. ენგელსი შემდეგნაირად ახასიათებს ლ. ფოიერბახის წიგნის „ქრისტიანობის არსება“ ძირითად დებულებებს, ამ წიგნის ზეგავლენას ახალგაზრდა ჰეგელიანელებზე:

„მაშინ გამოვიდა ფოიერბახის თხზულება „ქრისტიანობის არსება“: მან ერთი დაკვრით გადალახა ეს წინააღმდეგობა იმით, რომ მატერიალიზმი სრულიად მოურიდებლად ხელახლა ტახტზე აიყვანა. ბუნება არსებობს ყოველი ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლადო; იგია საფუძველი, რომელზედაც აღმოცენებულნი ვართ ჩვენ, თვით ბუნების პროდუქტი — ადამიანებიო; ბუნებისა და ადამიანების გარეშე არაფერი არ არსებობს და უზენაესი არსებანი, რომელნიც ჩვენმა რელიგიურმა ფანტაზიამ შექმნა, ჩვენი საკუთარი არსების ფანტასტიკური გამონაკრთომები არიანო. ჯადო მოიხსნა: „სისტემა“ აფეთქდა და განზე გადავარდა, წინააღმდეგობა, როგორც მხოლოდ წარმოდგენაში არსებული რამ, მოიხსნა. ვისაც ამ წიგნის განმათავისუფლებელი გაელენა პირდაპირ არ განუცდია, არც შეუძლია მისი წარმოდგენა. აღფრთოვანება იყო საყოველთაო: ჩვენ ყველანი მაშინვე ფოიერბახიანელები გავხდით“ [1].

ამრიგად, ფოიერბახმა დიდი როლი შეასრულა ჰეგელის ფილოსოფიის გავლენისაგან მარქს-ენგელსის გათავისუფლების საქმეში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ფოიერბახმა დაამსხვრია ჰეგელის სისტემა, მაგრამ ვერ შეძლო თვით ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკული დაძლევა. მან ეს ფილოსოფია „უბრალოდ განზე გადააგდო“

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 449.

და არც კი უფიქრია იმაზე, რომ „მის მიერ მოპოვებული შინაარსი გადაერჩინა“ [1].

თავი მეორე. ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები: ა) ფილოსოფიის ძირითადი საკითხი და მისი ორი მხარე; ბ) XVIII საუკუნის მატერიალიზმის ნაკლოვანებანი და ისტორიული შეზღუდულობა; გ) ფოიერბახის მატერიალიზმი და მისი ნაკლოვანებანი; დ) ფოიერბახის შეხედულებათა შტარკესეული შეფასების კრიტიკა.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხი და მისი ორი მხარე. ყოველი ფილოსოფიის ძირითადი საკითხია, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაა ყოფიერებასა და ცნობიერებას, აზროვნებას შორის.

საკითხს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა სამყაროს ამ ორ უზოგადეს მხარეს — ყოფიერებასა და ცნობიერებას, მატერიალურსა და იდეალურს შორის, ცენტრალური ადგილი უკავია ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. მას ფ. ენგელსი ფილოსოფიის ძირითად საკითხს უწოდებს იმის გამო, რომ სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტის ფონზეა შესაძლებელი სხვა მსოფლმხედველობრივი პრობლემების ახსნა, ამ ნიადაგზე გამოიკვეთება ესა თუ ის მიმდინარეობა ფილოსოფიაში.

როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, ფილოსოფიის ძირითად საკითხს, ასევე რელიგიურ შეხედულებებს ფესვები გადგმული აქვს ველური ადამიანის შეზღუდულ წარმოდგენებში.

პირველყოფილი და რელიგიური წარმოდგენები ცნობიერების, სულისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ეტაპზე გაჩნდა. ადამიანებმა თავის საკუთარ „მე“-ში შენიშნეს შეგრძნებისა და აზროვნების უნარი, ცნობიერება, მაგრამ, ცხადია, ჩვენს შორეულ წინაპრებს არ შეეძლოთ ცნობიერების წარმოშობისა და ბუნების სწორი ახსნა. მათი შეხედულებით აზროვნება და შეგრძნება „სხეულის მოქმედებით კი არაა გამოწვეული, არამედ განსაკუთრებული, ამ სხეულში მობინადრე სულით, რომელიც სიკვდილის შემდეგ მას სტოვებს“ [2].

ის აზრი, რომ ცნობიერება, სული დამოუკიდებელია სხეულისაგან, გადმოტანილ და განმტკიცებულ იქნა რელიგიურ წარმოდგენებში. როგორც ადრინდელი, ისე შემდგომი პერიოდის რელიგია ცნობიერებას აბსოლუტურ დამოუკიდებლობას მიაწერს, მატერიალურთან მის განუყრელ კავშირს უარყოფს. რელიგიის თანახმად, ცნობიერება, სული არ არის ბუნებრივი გზით აღმოცენებული თვისება, იგი ღვთაებრივი ძალის გამოვლინებაა. სული არსებობს მარადიულად, ხოლო სხეული

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 450.
[2] იქვე, გვ. 451.

სულის დროებითი ადგილსამყოფელია. სული ღმერთის მიერაა შთანაბერი სხეულში და მასვე უბრუნდება სხეულის სიკვდილის შემდეგ.

სულისა და სხეულის მიმართების ძველისძველმა საკითხმა ფილოსოფიაში ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის საკითხის სახე მიიღო. ფილოსოფიის ძირითად საკითხს, საკითხს ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის შესახებ, ორი მხარე აქვს: ა) პ ი რ ვ ე ლ ი მ ხ ა რ ე იმის გარკვევაში მდგომარეობს, თუ რა არის პირველადი, ცნობიერება თუ ყოფიერება, სული თუ ბუნება. ფილოსოფოსები ორ ბანაკად იყოფოდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ უპასუხებდნენ ამ კითხვაზე. ფილოსოფოსებმა, რომლებიც ცნობდნენ სულიერის, ცნობიერების პირველადობას და ბუნების, ყოფიერების მეორადობას—იდეალიზმის ბანაკი შეადგინეს. სხვები კი, ვინც ყოფიერების, ბუნების პირველადობას და ცნობიერების მეორადობას აღიარებდნენ, — მატერიალიზმის ბანაკს მიეკუთვნებოდნენ.

ბ) ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მ ე ო რ ე მ ხ ა რ ე იმის გარკვევაში მდგომარეობს, თუ რა დამოკიდებულებაშია ცნობიერება ყოფიერებისადმი, შეუძლია თუ არა ადამიანის აზროვნებას გარემომცველი სამყაროს შემეცნება. ამ საკითხის გადაწყვეტაც ორგვარად შეიძლება: ფილოსოფოსების უმრავლესობა მას დადებითად წყვეტს. ზოგიერთი ფილოსოფოსი კი უარყოფით პასუხს იძლევა ამ საკითხზე. მატერიალიზმი ცნობს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას და ყოველთვის დგას მოწინავე კაცობრიობის შემეცნებითი მონაპოვრების სადარაჯოზე.

სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას არ უარყოფდა თვით ჰეგელიც, რამდენადაც მისი შეხედულების შესაბამისად აზროვნება მხოლოდ იმას შეიცნობს, რაც იმთავითვე აზროვნების შინაარსია.

უპირველესი დასკვნა, რომელიც განაზოგადებს კაცობრიობის შემეცნებითი მოღვაწეობის ზეაღმავალი განვითარების ისტორიულ ფაქტებს, ისაა, რომ ადამიანს უნარი შესწევს შეიცნოს სამყარო, შეიმუშაოს სარწმუნო, ჭეშმარიტი ცოდნა გარესამყაროს მოვლენებისა და მათი კანონების შესახებ. ეს დასკვნა იმდენად ნათელია, რომ მას, ერთი შეხედვით, არც უნდა ჰყავდეს მოწინააღმდეგე, მით უმეტეს, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების პირობებში. მაგრამ არსებობდნენ და კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟამადაც არსებობენ რეაქციონერი ფილოსოფოსები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ნამდვილ ფაქტებს და ხელაღებით უარყოფენ სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას.

იმ ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომელიც სამყაროს შეცნობადობას უარყოფს, აგნოსტიციზმი ეწოდება. აგნოსტიციზმს ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქადაგებდნენ ფილოსოფოსები — იუმი და კანტი.

ფ. ენგელსი აკრიტიკებს აგნოსტიკოსებს და აღნიშნავს, რომ „ყველაზე კარგად როგორც ამ, ისე ყველა სხვა ფილოსოფიურ ახირებულობას თვით პრაქტიკა არღვევს, სახელდობრ, ექსპერიმენტი და მრეწველობა. თუ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ჩვენს მიერ ბუნების ამა თუ იმ მოვლენის გაგების სისწორე იმით, რომ თვითონ შევქმნით, გამოვიწვევთ მას, მისივე პირობებიდან და, ამასთან ვაიძულებთ ჩვენს მიზნებსაც ემსახუროს, მაშინ კანტისეულ მიუწვდომელ „საგანს თავისთავად“ ბოლო ეღება. მცენარეთა და ცხოველთა სხეულში შექმნილი ქიმიური ნივთიერებანი რჩებოდნენ ასეთ „საგნებად თავისთავად“, სანამ ორგანულმა ქიმიამ არ დაიწყო მათი ერთიმეორეზე მიყოლებით დამზადება. ამით „საგანი თავისთავად“ გადაიქცა საგნად ჩვენთვის, როგორც მოუვიდა, მაგალითად, ენდროს საღებავ ნივთიერებას, ალიზარინს, რომელსაც დღეს მინდორში კი აღარ ვეძებთ, ენდროს ფესვებში, არამედ ბევრად უფრო იაფად და ადვილად ვამზადებთ ქვანახშირის კუპრიდან. სამასი წლის განმავლობაში კოპერნიკის მზის სისტემა მხოლოდ ჰიპოთეზა იყო, რომლის მხარეზე ასი, ათასი, ათიათასი შანსი იყო ერთის წინააღმდეგ, მაგრამ იგი მაინც ჰიპოთეზა იყო; მაგრამ როცა ლევერიემ თვით ამ სისტემის მონაცემების მიხედვით არათუ დაამტკიცა კიდევ ერთი უცნობი პლანეტის არსებობის აუცილებლობა, არამედ მისი ადგილიც კი გამოიანგარიშა ცის სივრცეში, და როცა გალემ შემდეგ ეს პლანეტა მართლაც აღმოაჩინა, კოპერნიკის სისტემა დამტკიცებულ იქნა“ [1].

მეცნიერების ყოველი დარგი მდიდარ ფაქტიურ მასალას იძლევა იმის დასადასტურებლად, თუ როგორ მოწმდება ჩვენი ცოდნა პრაქტიკაში, თუ როგორ ვღებულობთ წინასწარ გათვალისწინებულ შედეგებს გარკვეული პირობების შექმნით. ამის საილუსტრაციოდ დავიმოწმოთ ფიზიკის ახალი აღმოჩენებიც.

მაგალითად, ფიზიკოსებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ნივთიერების ბეტა-აქტიური გამოსხივების შედეგად მიღებული ნაწილაკების — ელექტრონების ან პოზიტრონების საერთო ენერგია ნაკლებია ატომის ბირთვის თავდაპირველ ენერგიაზე. ფიზიკოსებისათვის დიდხანს გაუგებარი დარჩა ის გარემოება, თუ სად მიდის ენერგიის ნაწილი, უკვალოდ იკარგება იგი, თუ არა. ზოგიერთმა საზღვარგარეთელმა ფიზიკოსმა ისეთი აზრიც კი გამოთქვა, რომ ბეტა-აქტიური დაშლის დროს ენერგია უკვალოდ იკარგება, რაც, თითქოს ენერგიის მარადიულობის კანონის დარღვევის ცოცხალი ილუსტრაციაა. ამ რეაქციული შეხედულების გვერდით შემუშავდა სხვა თეორიაც. კერძოდ, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 453.

ბეტა-დაშლის დროს ატომის ბირთვიდან გამოსხივდება მატერიის კიდევ სხვა „ელემენტარული“ ნაწილაკი. თუ ამ უკანასკნელის ენერგიას მივუმატებთ გამოსხივებული ელექტრონების ან პოზიტრონების ენერგიას, თავდაპირველ ბირთვისეულ ენერგიას მივიღებთ. უფრო მეტიც, ფიზიკოსებმა წინასწარ განსაზღვრეს ამ ნაწილაკის ზოგიერთი თვისება: ელექტრული ნეიტრალობა, მასის შედარებით სიმცირე და მას ნეიტრონი უწოდეს. მაგრამ ექსპერიმენტულად ეს შეხედულება მრავალი წლის მანძილზე ვერ დადასტურდა, რამდენადაც ხელსაწყოები არ იძლეოდნენ ამ „უმცირესი“ ნაწილაკის — ნეიტრონის თავისუფალი სახით აღმოჩენის შესაძლებლობას. უკანასკნელ წლებში კი საბჭოთა მეცნიერებმა პრაქტიკულად აღმოაჩინეს ნეიტრონი. ფიზიკოსების აზრმა, ნეიტრონის არა მარტო არსებობის, არამედ მისი თვისებების შესახებ, სრული დადასტურება ჰპოვა პრაქტიკაში. 1955 წელს ფიზიკოსებმა პრაქტიკულად აღმოაჩინეს უმცირესი ნაწილაკი, ე. წ. ანტიპროტონი, რომლის თვისებები — მასის თანაბრობა საკუთარი პროტონის მასასთან, უარყოფითად დამუხტულობა — თეორიულად აგრეთვე წინასწარ იყო გარკვეული.

1960 წელს (მარტი) საბჭოთა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა ჯგუფმა აღმოაჩინა ახალი, დადებითად დამუხტული ბირთვისეული ნაწილაკი — „ანტი სიგმა მინუს გიპერონი“. ამ ნაწილაკის არსებობის შესახებ აგრეთვე ადრე იყო გამოთქმული ფიზიკოს-თეორეტიკოსთა აზრი, მაგრამ ექსპერიმენტულად იგი არც თუ დიდი ხნის წინათ დადგინდა სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით.

პრაქტიკა განსაზღვრავს მეცნიერული შემეცნების ყველა დარგის მონაცემების უტყუარობას. როგორც შემდეგში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „კაცობრიობის პრაქტიკა ამოწმებს ჩვენს წარმოდგენებს და ადასტურებს მათში იმას, რაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას შეესაბამება“ [1].

XVIII საუკუნის მატერიალიზმის ნაკლოვანებები და ისტორიული შეზღუდულობა. ფ. ენგელსი მიუთითებს XVIII საუკუნის მატერიალიზმის სამ ძირითად ნაკლოვანებაზე: პირველი. ეს მატერიალიზმი მექანისტური იყო. ამ პერიოდის მატერიალისტები მექანიკის კანონებს ავრცელებდნენ ქიმიურ და ორგანულ პროცესებზე, ე. ი. იმ პროცესებზე, სადაც მექანიკის კანონები მართალია მოქმედებენ, „მაგრამ უკანა რიგში დგებიან სხვა, უფრო მაღალი კანონების წინაშე“ (ფ. ენგელსი)

მექანისტური მატერიალიზმის წარმომადგენლების მთავარი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ისინი ცდილობდნენ მატერიის მოძრაობის უდაბლესი ფორმით აეხსნათ მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმები. დიალექტიკური მატერიალიზმი ცნობს მოძრაობის მრავალ ფორ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 124.

მას, მათ შორის ძირითადია მოძრაობის მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და საზოგადოებრივი ფორმები. ცნობილია აგრეთვე ამ ფორმათა ურთიერთმიმართების კანონზომიერებანი. სახელდობრ, ის, რომ მატერიის მოძრაობის ყოველი მაღალი ფორმა მოიცავს მოძრაობის დაბალ ფორმას, მაგრამ არ დაიყვანება მასზე. აქედან გამომდინარე, ყოვლად უსაფუძვლოა, რომ მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმები აეხსნათ მატერიის მოძრაობის უდაბლესი ფორმით — მექანიკური მოძრაობით.

ამასთან, მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად, ყოველი მოძრაობის წყარო თვით საგანთა დედაარსში, მოძრაობის ამა თუ იმ ფორმისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ წინააღმდეგობებში უნდა ვეძებოთ. მატერიის მოძრაობის მაღალი ფორმების გაგება მექანიკური, ე. ი. მათთვის გარეგანი მოძრაობის საშუალებით შეუძლებელია შეუთავსდეს დიალექტიკის პრინციპებს.

ცხადია, მექანიკის კანონების ამგვარად გადატანა ორგანულ სამყაროზე და საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე შეპირობებული იყო საზოგადოების განვითარების, ბუნებისმეტყველების განვითარების დაბალი დონით. ცნობილია, რომ იმ პერიოდისათვის ერთადერთი, სრულყოფილად განვითარებული საბუნებისმეტყველო მეცნიერება ნიუტონის კლასიკური მექანიკა იყო. ფრანგი მატერიალისტების მიერ ამ კანონთა გავრცელებამ როგორც ბუნების, ისე საზოგადოების მოვლენათა მიმართ განაპირობა მათი მატერიალიზმის მექანისტური ხასიათი, რაც კიდევ უფრო მეტად მეღავნდება მათ შეხედულებებში საზოგადოების შესახებ.

მეთვრამეტე საუკუნის მატერიალიზმის მეორე ნაკლოვანება მის მეტაფიზიკურ ხასიათში მდგომარეობდა. ამ მატერიალიზმს, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს „უნარი არ ჰქონდა სამყარო გაეგო როგორც პროცესი, როგორც განუწყვეტლივ ისტორიულ განვითარებაში მყოფი მატერია“ [1].

ფრანგი მატერიალისტები ცნობდნენ მოძრაობას სამყაროში, მაგრამ მოძრაობას, მათი თვალსაზრისით არ ჰქონდა აღმავალი ხასიათი; იგი არსებითად გაგებული იყო როგორც წრეში ტრიალი, ყოველგვარი წინსვლისა და თვისებრივი სიახლის გარეშე. ასეთი ანტიდიალექტიკური, არაისტორიული წარმოდგენა ბუნებაზე აგრეთვე შეპირობებული იყო ბუნებისმეცნიერების იმდროინდელი მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფილოსოფიური აზროვნების მეტაფიზიკური მეთოდით. მთელი რიგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, რომლებიც ბუნების მოვლენებს განიხილავენ როგორც მარტივიდან რთულისაკენ

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 456.

განვითარების შედეგებს, იმ პერიოდისათვის არ არსებობდა ანდა შემუშავების პროცესში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაპოვრები ჯერ კიდევ არ იძლეოდნენ საფუძველს დიალექტიკური განზოგადებისათვის. ასეთი განზოგადებისათვის ნიადაგი მაშინ შეიქმნა, როცა კანტ-ლაპლასის მზის სისტემის წარმოშობის თეორიის შემუშავების შემდეგ ახალ წარმატებას მიაღწია გეოლოგიამ, ბიოლოგიამ, ემბრიოლოგიამ, ცხოველთა ფიზიოლოგიამ, ორგანულმა ქიმიამ და სხვ. ვიდრე ეს აღმოჩენები არ არსებობდა „ბუნებაზე არაისტორიული შეხედულება აუცილებელი იყო. და ამ ნაკლისთვის XVIII საუკუნის ფილოსოფოსებს საყვედური როდი ეთქმის“ [1].

XVIII საუკუნის მატერიალიზმის მესამე ძირითადი ნაკლი ისტორიის გაგებასთანაა დაკავშირებული. მათ არაისტორიული შეხედულება ჰქონდათ ისტორიის დარგშიც. მათი აზრით, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება არ ექვემდებარება კანონზომიერ მოძრაობასა და განვითარებას; მათ ვერ შენიშნეს დიდი ისტორიული კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპებს შორის, თვით ამ ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს შორის; მათი აზრით, კაცობრიობის მოძრაობა განსაზღვრულია იდეური მოტივებით და არა მატერიალური ფაქტორებით.

XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის, ისევე, როგორც მთელი მარქსამდელი ფილოსოფიისათვის დამახასიათებელ ამ ნაკლოვანებას — ისტორიის იდეალისტურ გაგებას, ფ. ენგელსი ვრცლად ეხება თავის წიგნში „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“, რაზეც ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით.

ფოიერბახის მატერიალიზმი და მისი ნაკლოვანებანი. ფოიერბახი გაეთიშა ჰეგელის იდეალისტურ სისტემას. მან დაასაბუთა, რომ „ერთადერთი ნამდვილი სამყარო ის ნივთიერი გრძნობადი სამყაროა, რომელსაც თვით ჩვენ ვეკუთვნით და რომ ჩვენი ცნობიერება და აზროვნება, რა გინდ ზეგრძნობადად არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, წარმოადგენს ნივთიერი, სხეულებრივი ორგანოს — ტვინის პროდუქტს. მატერია კი არ არის სულის პროდუქტი, არამედ თვით სული არის მატერიის მხოლოდ უმაღლესი პროდუქტი. ეს, რასაკვირველია, წმინდა მატერიალიზმია“ [2].

მაგრამ ამასთან, ლ. ფოიერბახი გამოდიოდა თვით „მატერიალიზმის“ სახელწოდების წინააღმდეგ; იგი წერდა, რომ „ჩემთვის მატერია-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 456—457.
[2] იქვე, გვ. 455.

ლიზმი ადამიანის არსების და ცოდნის შენობის საძირკველია... ჩემთვის მატერიალიზმი არ არის თვით შენობა. თუ ამ წერტილიდან უკან წავალთ, საესებით ვეთანხმები მატერიალისტებს, თუ წინ — არა". აქედან, როგორც ფ. ენგელსი მიუთითებს, აშკარაა, რომ ლ. ფოიერბახი მატერიალიზმს საერთოდ ურევს მის ერთ-ერთ სახეობაში — ვულგარულ მატერიალიზმში, ე. ი. მატერიალიზმის გაუხამსებულ ფორმაში, რომელსაც ბიუხნერი, ფოგტი და მოლეშოტი ქადაგებდნენ, მაგრამ მატერიალიზმის, როგორც ზოგადი მსოფლმხედველობის გაიგივება მის ერთ-ერთ სახეობასთან — XVIII საუკუნის მატერიალიზმთან, ან კიდევ ვულგარულ მატერიალიზმთან — დაუშვებელია.

მარქსისა და ენგელსის მიერ შემუშავებული მატერიალიზმი ძირეულად განსხვავდება XVIII საუკუნის მატერიალიზმისაგან, ვინაიდან იგი ემყარება ახალ აღმოჩენებს ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გაგების სფეროში. აქ ფ. ენგელსი გამოთქვამს უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დებულებას, რომ „მატერიალიზმმაც, იდეალიზმის მსგავსად, განვითარების სხვადასხვა საფეხური განვლო. ყოველ ეპოქისშემქმნელ აღმოჩენასთან ერთად, თუნდაც ბუნებისმეცნიერების სფეროში, მატერიალიზმმა აუცილებლად თავის ფორმა უნდა შესცვალოს; ხოლო მას შემდეგ, რაც ისტორიაც მატერიალისტურ განხილვას დაექვემდებარა, აქაც განვითარების ახალი გზები გაიხსნა" [1].

ფოიერბახმა ვერ დასძლია ფრანგული მატერიალიზმის არაისტორიული შეხედულება ბუნებაზე და საზოგადოებაზე, რასაც ფ. ენგელსი „უბადრუკი გერმანული პირობებით ხსნის".

ფოიერბახის შეხედულებათა შტარკესეული შეფასების კრიტიკა. ფ. ენგელსი შტარკეს აკრიტიკებს იმის გამო, რომ შტარკე ფოიერბახის იდეალიზმს იქ არ ეძებს, სადაც ეს საჭიროა. სახელდობრ, შტარკე ფოიერბახს იდეალისტად თვლის, რაკი ფოიერბახს „სწამს კაცობრიობის წინსვლა". მაგრამ ის, ვინც იდეალური მიზნებისაკენ მისწრაფებას აღიარებს, არ შეიძლება იდეალისტად მოინათლოს. ყოველგვარ ადამიანურ მოქმედებას წინ უსწრებენ იდეალური ძალები, მისწრაფებანი და ზრახვები, მაგრამ ამის აღიარება არ წარმოშობს მატერიალიზმისა და იდეალიზმის დაპირისპირებულობას. ფრანგ მატერიალისტებს, მაგალითად, ეს რწმენა მომავლისა ფანატიზმამდე ჰქონდათ განვითარებული, ისევე, როგორც დეისტებს — ვოლტერსა და რუსოს. ფ. ენგელსი შტარკეს აკრიტიკებს ფილოსოფიურ მიმართულებათა ტერმინოლოგიის აღრევის გამო.

ფ. ენგელსის წიგნის „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 455—456.

ნული ფილოსოფიის დასასრული“ მესამე თავი ეთმობა ფოიერბახის იდეალიზმის მხილებას რელიგიისა და ეთიკის საკითხებში.

ფოიერბახის იდეალიზმი აშკარად ჩანს მის ამოსავალ რელიგიურ პრინციპში: იგი კაცობრიობის ისტორიულ პერიოდებს რელიგიური ცვლილებებით განასხვავებს ერთმანეთისაგან. იდეალიზმი ჩანს იმაშიც, რომ ფოიერბახი არ მოითხოვს რელიგიის გაუქმებას, არამედ მის სრულქმნას. მართალია, იგი ქრისტიანულ რელიგიას უარყოფს, მაგრამ ახალი რელიგიის შემოღებას ქადაგებს. ამასთან ახალი რელიგია ფოიერბახს ესმის როგორც გრძნობიერი, გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანსა და ადამიანს შორის, სიყვარული „მე“-სა და „შენ“-ს შორის, რაც არსებითად მას სქესობრივ სიყვარულზე დაყავს.

„ფოიერბახის იდეალიზმი აქ იმაში მდგომარეობს, რომ მას ურთიერთსიმპათიებზე დაყრდნობილი ადამიანური დამოკიდებულება, სქესობრივი სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა, თავგანწირვა და სხვ. ისე ვერ წარმოუდგენია, როგორც ყველა ეს თავისთავად არსებობს, წარსულის მიერ ნაანდერძევი რომელიმე განსაკუთრებული რელიგიური სისტემის გარეშე. იგი ამტკიცებს, რომ ეს დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ პოულობს თავის სრულს მნიშვნელობას, როცა მას „რელიგიის“ სახელით აკურთხებენო. მისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ ეს წმინდა ადამიანური დამოკიდებულებანი არსებობენ, არამედ იმას, რომ ისინი ახალ, ჭეშმარიტ რელიგიად იქნან აღიარებული. ისინი სრულყოფილნი არიან მხოლოდ მაშინ, როცა მათ რელიგიის ბეჭედი აზისო“ [1].

ფ. ენგელსი აკრიტიკებს ფოიერბახს და აღნიშნავს, რომ გრძნობიერი დამოკიდებულება სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის კაცობრიობის დასაბამიდანვე არსებობდა, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა მოთხოვნილება „რელიგიის“ სახელით მის კურთხევაზე.

სიყვარულის რელიგია შეუძლებელია ვიქადაგოთ საზოგადოებაში, რომელიც მტრულ კლასებად არის დაყოფილი და კლასებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს.

არც ისაა სწორი, რომ რელიგიური ცვლილებები კაცობრიობის განვითარების პერიოდების ცვლილებებს იწვევს. დიდ ისტორიულ გარდატეხებს რელიგიური ცვლილებები კი არ იწვევდა, არამედ, პირიქით, ზოგჯერ თან სდევდა (ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი).

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა ფოიერბახს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანული რელიგიის კრიტიკაში.

„ერთადერთი რელიგია, რომელიც ფოიერბახმა სერიოზულად გამოიკვლია — ქრისტიანობაა, ეს დასავლეთის მსოფლიო რელიგია, რო-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 462.

შელიც მონოთეიზმზეა დაფუძნებული. იგი ამტკიცებს, რომ ქრისტიანული ღმერთი მხოლოდ ადამიანის ფანტასტიკური ანარეკლია. მაგრამ თავის მხრივ, ეს ღმერთი ხანგრძლივი აბსტრაქციის ნაყოფია და მრავალი წინანდელი ტომობრივი და ეროვნული ღმერთების კონცენტრირებულ კვინტესენციას წარმოადგენს. ამისდა მიხედვით ქრისტიანულ ღმერთში ასახული ადამიანიც ნამდვილი ადამიანი კი არაა, არამედ მრავალი ნამდვილი ადამიანის კვინტესენციაა, აბსტრაქტული ადამიანია, მაშასადამე, თვითაც აზროვნებითი სახეა" [1].

ფ. ენგელსი აკრიტიკებს ფოიერბახის შეხედულებებს ადამიანთა ზნეობრივი ურთიერთობის დარგში. ფოიერბახს აბსტრაქტულად ესმოდა თვით ადამიანი და, ბუნებრივია, რომ ადამიანთა ზნეობრივი ურთიერთობის ფოიერბახისეული გაგება მოკლებულია რეალურ საფუძველს. ფოიერბახის აზრით, ადამიანს თანდაყოლილი აქვს მისწრაფება ბედნიერებისაკენ, მაგრამ ამ მისწრაფების დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ შეიძლება. თუ პატიეს ვცემთ სხვა ადამიანების ანალოგიურ მისწრაფებას, შევიყვარებთ სხვა ადამიანებს.

ფოიერბახს არ ესმის, რომ ანტაგონისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია ბედნიერებისაკენ მისწრაფების თანასწორუფლებიანობა. ეკონომიკური უთანასწორობის პირობებში ადამიანთა დიდ ნაწილს არა აქვს ბედნიერებისაკენ მისწრაფების დამაკმაყოფილებელი საშუალებები, მაშასადამე, განუხორციელებელია ბედნიერებაც.

უფრო მეტიც, თუ საფონდო ბირჟაზე სპეკულაცია სწორი ანგარიშით ხდება, მაშინ იგი ფოიერბახის მორალის უმკაცრეს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, რამდენადაც ორივე მხარის ბედნიერებას უწყობს ხელს. ამით მტკიცდება, რომ ფოიერბახის მორალი კაპიტალისტური საზოგადოების თარგზეცაა გამოჭრილი. „ერთი სიტყვით, ფოიერბახის მორალის თეორიასაც იგივე მოუვიდა, რაც ყველა მის წინამორბედს. იგი ყველა დროისა, ყველა ხალხისა, ყველა მდგომარეობისათვისაა გამოჭრილი, და სწორედ ამიტომ არსად და არასოდეს არ გამოდგება. ნამდვილ სამყაროში იგი ისევე უძლურია, როგორც კანტის კატეგორიული იმპერატივი, სინამდვილეში ყოველ კლასს, თვით ყოველ პროფესიას თავისი საკუთარი მორალი აქვს, რომელსაც იგი ყოველთვის არღვევს, როცა ამის გაკეთება დაუსჯელად შეუძლია; ხოლო სიყვარული, რომელმაც ყოველივე უნდა გააერთიანოს, მეღავნდება ომებსა, შუღლსა, დავასა, ოჯახურ კინკლაობასა, ცოლ-ქმრის გაყრასა და ერთი ადამიანის მიერ მეორის რაც შეიძლება მეტ ექსპლოატაციაში" [2].

საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ ფოიერბახის შეხედულებე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 464—465.
[2] იქვე, გვ. 469.

ბის მცდარობას ფ. ენგელსი იმით ხსნის, რომ ფოიერბახმა ვერ გაიგო 1848 წლის რევოლუცია, რაშიც ბრალი მიუძღვის კვლავ და კვლავ იმდროინდელ გერმანულ პირობებს. მართალია, ფოიერბახმა მძლავრი ბიძგი მისცა ამ პერიოდის გონებრივ მოძრაობას, მაგრამ თვით მისთვის ამას ნაყოფი არ მოყოლია.

ფ. ენგელსის ნაწარმოების **მეოთხე თავი** ეთმობა იმ რევოლუციური გადატრიალების გარკვევას, რაც მარქსიზმის წარმოშობამ მოახდინა საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. ამ თავის შესწავლის მიზნით რამდენიმე საკითხზე შევჩერდებით:

ჰეგელის სკოლის დაშლის ერთადერთი ნაყოფი. ჰეგელის სკოლა დაიშალა. ამ სკოლის დაშლის შედეგად წარმოიშვა ერთადერთი მიმართულება, რომელმაც ნაყოფი მოიტანა. იგი მარქსისა და თვით ენგელსის სახელებთან არის დაკავშირებული. ჰეგელის სკოლის სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, მარქსმა და ენგელსმა კრიტიკულად დასძლიეს ჰეგელის ფილოსოფია, უარყვეს მისი სისტემა, ხელი ჩასჭიდეს ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციურ მხარეს, მის დიალექტიკურ მეთოდს, „მატერიალისტურ მსოფლმხედველობას პირველად მოეპყრნენ ნამდვილად სერიოზულად და იგი, ყოველ შემთხვევაში ძირითად ხაზებში, თანამიმდევრულად გაატარეს ცოდნის ყველა დარგში“ [1].

რასაკვირველია, თვით ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციური მხარე, მისი დიალექტიკური მეთოდიც გამოუსადეგარი იყო იმ სახით, როგორიც მას ჰეგელის მიერ ჰქონდა მიცემული. ჰეგელისათვის აბსოლუტური ცნება მთელი არსებული სამყაროს საფუძველია და თავის თავისაკენ ვითარდება ჯერ წმინდა აზრში, შემდეგ ბუნებასა და საზოგადოებაში. ისე რომ, დიალექტიკური განვითარება, რომელიც ბუნებაში და საზოგადოებაში არსებობს, ჰეგელის მიხედვით, ცნების პროგრესული თვითმოძრაობის ასახვაა. „საჭირო იყო ამ იდეოლოგიური უკუღმართობის გასწორება. ჩვენ ხელახლა მატერიალისტურად შევხედეთ ჩვენს თავში არსებულ ცნებებს, განვიხილეთ ისინი როგორც ნამდვილი საგნების ასახვა, იმის მაგივრად, რომ ნამდვილი საგნები აბსოლუტური ცნების ამა თუ იმ საფეხურის ასახვად მიგვეჩნია. ამით დიალექტიკა გადაიქცა მეცნიერებად, რომელიც იკვლევს როგორც გარეგანი სამყაროს, ისე ადამიანური აზროვნების მოძრაობის ზოგად კანონებს. ესაა კანონების ორი რიგი, რომელნიც არსებითად იდენტურნი არიან, გამოხატულებით კი განსხვავდებიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანის გონებას მათი შეგნებულად გამოყენება შეუძლია, მაშინ როცა ბუნებასა და დღემდე უმეტესად თვით კაცობრიობის ისტორიაშიც ისინი შეუგნებლად, გარეგნული აუცილებლობის სახით, უსასრუ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 471.

ლო რიგის მოჩვენებით შემთხვევითობათა გარემოცვაში მოქმედებენ. ამრიგად, ცნებათა დიალექტიკა თვით გადაიქცა მხოლოდ ნამდვილი სამყაროს დიალექტიკური მოძრაობის ცნობიერ ანარეკლად, და ამით ჰეგელის დიალექტიკა ყირამალა გადატრიალდა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ყირამალა გადატრიალებული ფეხზე დადგა".[1]

მარქსმა და ენგელსმა მატერიალისტურ საფუძველზე აღადგინეს ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციური მხარე. ახლა უკვე სამყარო და მისი აზროვნებითი გამოხატულება — ცნებები, განიხილებოდა როგორც პროცესების კომპლექსი, რომლებიც მუდმივი ცვალებადობისა და განვითარების კანონზომიერებას ექვემდებარებიან, სადაც მოჩვენებით შემთხვევითობებსა და დროებით უკანდახევის მიუხედავად, ბოლოს მაინც აღმავალი განვითარება ხდება. ამის შესაბამისად, ადამიანის ცოდნაც არ შეიძლება იყოს უცვლელი, გარკვეული დროითა და პირობებით შეუზღუდველი. საბოლოო და მუდმივი ჭეშმარიტების მოთხოვნაც აზრს კარგავს: „იმას, რაც ახლა ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, ფარული მხარე აქვს, რომელიც მომავალში გამოაშკარავდება, როგორც შეცდომა, ისევე როგორც ის, რაც ახლა შეცდომადაა აღიარებული, ჭეშმარიტ მხარეს შეიცავს, რომლის წყალობით იგი წინათ ჭეშმარიტებად შეიძლება ჩათვლილიყო"[2].

აქვე ფ. ენგელსი გვაძლევს შემთხვევითობისა და აუცილებლობის დიალექტიკური კავშირის განსაზღვრას, რომელსაც იგი არაერთხელ იმეორებს თავის მომდევნო შრომებში, სახელდობრ, რომ „აუცილებლობა წმინდა შემთხვევითობათაგან შედგება და ეს მოჩვენებითი შემთხვევითობა ფორმაა, რომლის უკან აუცილებლობა იმალება"[3].

მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი ძირეულად უპირისპირდება მეტაფიზიკურ მეთოდს, რომელიც საგნებს მზამზარეული, უცვლელი, დამთავრებული სახით განიხილავს. ფრ. ენგელსი აღნიშნავს, რომ მეტაფიზიკურ მეთოდს ჰქონდა ისტორიული გამართლება, ვინაიდან ჯერ ის უნდა გაგებულიყო, თუ რას წარმოადგენდა ესა თუ ის საგანი, ვიდრე მასში მიმდინარე ცვლილებების შესწავლას შეუდგებოდნენ. სწორედ ასე მოხდა ბუნებისმეცნიერებაში XVIII საუკუნის დასასრულამდე; ბუნებისმეცნიერება არსებითად შ ე მ გ რ ო ვ ე ბ ე ლ ი მეცნიერება იყო, იგი კრებდა ცნობებს საგნების; როგორც მზამზარეული საგნების შესახებ. მაგრამ როცა ეს მასალა სათანადოდ დაგროვდა, ბუნებისმეცნიერება იქცა მ ო მ წ ე ს რ ი გ ე ბ ე ლ მეცნიერებად, რომელიც იკვლევს ამ საგნების წარმოშობას, ურთიერთკავშირს და განვითარე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 472.
[2] იქვე, გვ. 473.
[3] იქვე.

ბას, ე. ი. იკვლევს ბუნებაში მიმდინარე პროცესებს და მათ ერთიანობას. ამ ერთიანობის გაგება კი აღარ შეიძლებოდა მეტაფიზიკური მეთოდის საფუძველზე, იგი სულ უფრო და უფრო აუცილებელს ხდიდა დიალექტიკურ მიდგომას ბუნების მოვლენებისა და პროცესების შემეცნებისადმი, მაშასადამე, მათ შემეცნებას მათივე საკუთარი კავშირის თვალსაზრისით. ამრიგად, ბუნებისმეტყველების მონაპოვრები ორგანულად დაუკავშირდა მათი ახლებური, დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგებისა და განზოგადების აუცილებლობას.

მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბუნებისმეტყველო აზრის განვითარებას, ახალ საბუნებისმეტყველო მიღწევებს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბუნებისმეტყველებამ დააგროვა უმდიდრესი მასალა, რომელიც სავსებით ადასტურებდა სამყაროსადმი დიალექტიკური მიდგომისა და სამყაროს მატერიალისტური ახსნის ჭეშმარიტებას. ამ საბუნებისმეტყველო აღმოჩენების მეცნიერულ-ფილოსოფიური განზოგადება უკვე ნიშნავდა დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციების დაკავებას. მაშასადამე, სხვა თეორიულ წანამძღვრებთან ერთად ბუნებისმეტყველებაც თავისდაუნებურად ამწიფებდა დიალექტიკური მატერიალიზმის წარმოშობას.

ახალმა საბუნებისმეტყველო აღმოჩენებმა საფუძველი შეურყიეს მეტაფიზიკურ მეთოდს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა ბუნებისმეტყველებასა და ფილოსოფიაში. ასე მაგალითად, გეოლოგიურმა მეცნიერებამ დაადასტურა, რომ დედამიწის ქერქი და აგებულება მუდმივი ცვალებადობის მდგომარეობაშია. პალეონტოლოგიამ ნამარხების შესწავლის გზით დაადგინა ორგანიზმთა ცვალებადობა-განვითარების კანონზომიერება. ქიმიამ შეძლო ორგანული შენაერთების მიღება, რითაც არსებითად ფარდა ახადა ორგანული სამყაროს წარმოშობის საიდუმლოებას. ასტრონომიამ წამოაყენა მზის სისტემის ისტორიულობისა და ცვალებადობის იდეა (კანტ-ლაპლასის თეორია).

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი დიდი მეცნიერული აღმოჩენა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა დიალექტიკური მატერიალიზმის წარმოშობასა და საბუნებისმეტყველო დასაბუთებაში. ესაა ცოცხალი ორგანიზმების უჯრედული აგებულების თეორია (შვანი, შლეიდენი, გორიანინოვი), ენერგიის გარდაქმნის კანონი (ლომონოსოვი, მაიერი, ლავუაზიე) და დარვინის ევოლუციური მოძღვრება.

პირველი აღმოჩენების თანახმად, უჯრედი ეს ის ერთეულია, რომლის გამრავლებისა და დიფერენციაციისაგან ვითარდება მცენარისა და ცხოველის ორგანიზმი. ამით დასაბუთდა, რომ ცოცხალი არსებანი განვითარების ერთ ზოგად კანონზომიერებას ემორჩილებიან.

მეორე აღმოჩენამ ცხადყო, რომ სამყაროში მიმდინარე პროცესები

მხოლოდ უნივერსალური მოძრაობის გამოხატულების სხვადასხვა ფორმაა და ისინი, განსაზღვრული შეფარდებით ერთმანეთში გადადიან, რომ ბუნების მთელი მოძრაობა ერთი ფორმიდან მეორე ფორმად გარდაქმნის შეუწყვეტელი პროცესის სახეს იღებს.

მესამე აღმოჩენით დადასტურდა, რომ ცოცხალი ორგანიზმები თვით ადამიანის ჩათვლით ხანგრძლივი განვითარების პროდუქტია.

ამ აღმოჩენებმა შესაძლებელი გახადა ბუნებაში არსებული კავშირის მთლიანი სურათის შედგენა.

ახალმა საბუნებისმეტყველო აღმოჩენებმა გამოააშკარავეს ბუნების მოვლენებისადმი მეტაფიზიკური მიდგომის მთელი სიყალბე, გამოამჟღავნეს ბუნების მოვლენების იდეალისტური და რელიგიური ახსნის სიცრუე და უსაფუძვლობა. ასე გაიკაფა გზა ახალი, მეცნიერული მსოფლმხედველობისაკენ, დიალექტიკური მატერიალიზმისაკენ.

საბუნებისმეტყველო აღმოჩენებს დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკური მატერიალიზმის შემდგომი განვითარებისათვის, რამდენადაც, როგორც უკვე ვიცით, მატერიალიზმი სახეს იცვლის ყოველ ეპოქისშემქმნელ აღმოჩენასთან ერთად ბუნებისმეტყველების სფეროში.

ისტორიის მატერიალისტური გაგება. ახალი მსოფლმხედველობის წარმოშობისათვის აუცილებელი იყო არა მარტო ბუნებაში არსებული, არამედ აგრეთვე საზოგადოებაში არსებული კავშირების აღმოჩენა და დადგენა. ძველი ფილოსოფოსები და სოციოლოგები მოგონილ კავშირებს აბამდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს შორის, ნაცვლად იმისა, რომ ეს კავშირები თვით საზოგადოებაში აღმოეჩინათ.

მართალია, საზოგადოების განვითარების ისტორია ერთ პუნქტში განსხვავდება ბუნების განვითარების ისტორიისაგან, ვინაიდან ბუნებაში ბრმა ძალები მოქმედებენ, საზოგადოებაში კი ცნობიერებით დაჯილდოებული, მიზნის დამსახველი და მიმდევნო ადამიანები, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც შინაგანი ზოგადი კანონები განაგებენ. ეს კანონები თავს იჩენენ საზოგადოების მატერიალური და იდეალური ძალების ურთიერთმოქმედებაში. როგორიც არ უნდა იყოს იდეალური ძალები, ადამიანთა იდეური მოტივები და მისწრაფებანი, ისინი ყოველთვის წარმოიშობიან მატერიალური ძალების საფუძველზე და განიცდიან ცვალებადობა-განვითარებას ამავე ნიადაგზე.

„ერთადერთი გზა იმ კანონების შესაცნობად, რომელნიც ისტორიაში ბატონობენ საერთოდ ან ცალკეულ პერიოდებსა და ქვეყნებს განაგებენ, იმ მამოძრავებელი მიზეზების გამოკვლევაა, რომელნიც მოქმედი მასებისა და მათი ბელადების, ე. წ. დიდი ადამიანების, თავებში შეგნებული მოტივების სახით იხატებიან ნათლად ან ბუნდოვნად, უშუალოდ, ან იდეოლოგიურ, თვით ფანტასტიკურ სამოსელში გახვეუ-

ლი. ადამიანის თავში უნდა განელოს ყველაფერმა, რაც მას ამოძრავებს; მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს მის თავში, დიდად არის დამოკიდებული გარემოებაზე...

მაგრამ თუ ყველა წინანდელ ეპოქაში ისტორიის ამ მამოძრავებელი მიზეზების გამოკვლევა თითქმის შეუძლებელი იყო, შედეგებთან მათი კავშირის დახლართულობისა და დაფარულობის გამო, ჩვენმა თანამედროვე ეპოქამ ეს კავშირი იმდენად გაამარტივა, რომ შესაძლებელი გახდა საიდუმლოების ახსნა“ [1].

მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებისათვის ინგლისისა და საფრანგეთის ისტორიულმა გამოცდილებამ ყველასათვის ნათელი გახადა, რომ ყველაზე დაწინაურებული ქვეყნების ისტორია არსებითად წარმოადგენდა სამი დიდი კლასის — ფეოდალების, ბურჟუაზიის, ხოლო შემდეგ პროლეტარიატის ინტერესთა შეჯახებისა და ბრძოლის ისტორიას, რომელიც „ეკონომიური განთავისუფლების გარშემო ტრიალებს“ (ფ. ენგელსი).

ამრიგად, მოიძებნა მატერიალურ-ეკონომიკური საძირკველი, რომელსაც მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება ემყარება.

ისტორიული მატერიალიზმი ისტორიის მატერიალისტური თეორიაა, ვინაიდან საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების გაგებას ამყარებს ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ მატერიალურ, საწარმოო-ეკონომიკურ საფუძველზე. რთულ და ურთიერთგადაჯაჭვულ საზოგადოებრივ მოვლენებში გზას იკაფავს ობიექტური ეკონომიკური აუცილებლობა. ამიტომ ისტორიული მატერიალიზმი საზოგადოების ისტორიას უწინარეს ყოვლისა წარმოების განვითარებას უკავშირებს. საზოგადოების განვითარების ისტორიას იგი წარმოსახავს, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების წარმოშობის, განვითარებისა და შეცვლის კანონზომიერ პროცესს. ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით, მატერიალურ-ეკონომიკური ფაქტორებით არის დეტერმინირებული კლასების და კლასთა ბრძოლის წარმოშობა, საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ცვალებადობა, სოციალური რევოლუციები, ამავე საფუძვლებით აიხსნება საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციათა, ადამიანთა ერთობის ცვალებადი ფორმები, საზოგადოების სულიერი განვითარება და სოციალური ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანესი მხარეები. ამასთან, ისტორიულ მატერიალიზმს ეკონომიკური განვითარება არ მიაჩნია ისტორიული პროგრესის ერთადერთ აქტიურ მიზეზად, არამედ ეკონომიკური პირობებისაგან საყოველთაო დამოკიდებულების ფარგლებში ისტორიულ პროცესებზე უდიდეს გავლენას ახდენს პოლიტი-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 479.

კური, იდეალისტური, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა შეხედულებანი, ზეკნაშენური ხასიათის სხვა მოვლენები.

ისტორიული მატერიალიზმისათვის შეუწყნარებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნა ამ ცხოვრებისაგან მოწყვეტილი აბსტრაქტული სქემების შემწეობით, იგი საზოგადოებრივ ცხოვრებას განიხილავს ისე, როგორც ის სინამდვილეშია, ე. ი. მატერიალისტურად, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მატერიალისტური ახსნა აუცილებლობით მოითხოვს დიალექტიკური მეთოდის გამოყენებას სინამდვილის ამ სპეციფიკური ნაწილის შემეცნებისათვის. საზოგადოებრივი სინამდვილის გაგება მისსავე საკუთარ საფუძველზე დაყრდნობით აყენებს სოციალური ცხოვრების განვითარების შინაგან კანონზომიერებათა შეცნობის ამოცანას. ვინაიდან საზოგადოებრივი განვითარებაც დიალექტიკურია თავისი ბუნებით. ამიტომ ისტორიული მატერიალიზმი არ არის მხოლოდ ისტორიის მატერიალისტური თეორია, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების შემეცნების ერთადერთი მეცნიერული მეთოდიცაა. საზოგადოებრივი მოვლენებისადმი დიალექტიკური მიდგომა არსებითად დამახასიათებელია მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმისათვის.

განსხვავებით ბურჟუაზიული სოციოლოგიისაგან, რომელიც არ ცნობს ორგანულ კავშირურთიერთობას სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, ისტორიული მატერიალიზმი მათ განიხილავს კონკრეტულ-ისტორიულად, ურთიერთკავშირსა და განპირობებულობაში, ერთიანობაში.

საზოგადოებრივი მოვლენების გაგება და შეფასება მათ შორის არსებული მჭიდრო კავშირის ნიადაგზე ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური მოთხოვნაა, რომლის დაცვის გარეშე ისტორიული სინამდვილის კვლევას შეუძლებელია ჰქონდეს მეცნიერული ხასიათი.

საზოგადოებაში მოქმედებენ ძალები, რომლებიც იწვევენ მის მუდმივ მოძრაობას და ცვალებადობას. ისტორიული მატერიალიზმი მეცნიერულად არკვევს საზოგადოების მამოძრავებელ ძალებს, მათ ურთიერთკავშირსა და დროისა და ვითარების შესაბამის მნიშვნელობას. ერთი საზოგადოებრივი წყობილება რევოლუციური გზით იცვლება მეორე წყობილებით, ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ადგილს იკავებს ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. ისტორიული მატერიალიზმი იკვლევს იმ საფუძვლებს, რომლებიც გარდუვალობით იწვევენ ერთი წყობილებიდან მეორე წყობილებაზე გადასვლას, საზოგადოებრივი პროგრესის განხორციელებას.

ისევე როგორც ბუნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მოძრაობა-ცვალებადობა ხორციელდება დაპირისპირებულ მხარეთა შორის

ბრძოლის გზით, შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებისა და დაძლევის გზით. ისტორიული მატერიალიზმი მეცნიერული სიზუსტით დაადგენს კანონზომიერებებს, რომელთა ბაზაზე იქმნება წინააღმდეგობანი საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კლასობრივ, იდეოლოგიურ და სხვა სფეროში.

მატერიალისტურად გვიხსნის რა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ისტორიული მატერიალიზმი მისი შემეცნების ჭეშმარიტი მეთოდია. საზოგადოებრივი მოვლენების მატერიალისტური ახსნის და მათდამი დიალექტიკური მიდგომის ორგანული ერთიანობა ისტორიული მატერიალიზმის — ერთადერთი მეცნიერული სოციოლოგიის — არსებითი ნიშანთვისებაა.

ფ. ენგელსის ნაშრომის „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული" მეოთხე თავის დასკვნით ნაწილში გადმოცემულია ისტორიის მარქსისეული თეორიის მიმოხილვა. აქ დასაბუთებულია, თუ როგორაა განსაზღვრული ეკონომიკური, მატერიალურ-საწარმოო მიზეზებით ისეთი საზოგადოებრივი მოვლენების წარმოშობა, ცვალებადობა და განვითარება, როგორიცაა კლასები და კლასთა ბრძოლა, სახელმწიფო და სამართალი, ფილოსოფია, რელიგია. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ფ. ენგელსის რამდენიმე დებულებას: კლასები, მაგალითად, ბურჟუაზია და პროლეტარიატი, „წარმოიშვნენ ეკონომიური ურთიერთობის, უფრო სწორად, წარმოების წესის ცვლილების წყალობით".[1]

„სახელმწიფო, საერთოდ და მთლიანად, მხოლოდ წარმოებაში გაბატონებული კლასის ეკონომიური საჭიროების გამომხატველია კონცენტრირებული ფორმით"[2].

„სამართლის ნორმები მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური პირობების იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენენ"[3].

ფილოსოფიაში წარმოდგენათა კავშირი „მატერიალური არსებობის პირობებთან კიდევ უფრო დახლართული და ბუნდოვანი ხდება შემაერთებელი რგოლების წყალობით. მაგრამ ეს კავშირი მაინც არსებობს"[4].

რელიგიაში, ისევე როგორც ყოველგვარ იდეოლოგიაში ადამიანთა „წარმოებული აზროვნების პროცესს, ბოლოს, ცხოვრების მატერიალური პირობები განსაზღვრავენ"[5]. რელიგიური ცვლილებები ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობის ცვლილებებიდან გამომდინარეობენ.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 480.
[2] იქვე, გვ. 482.
[3] იქვე, გვ. 483.
[4] იქვე, გვ. 484.
[5] იქვე, გვ. 485.

ამრიგად, ისტორიაშიც შესაძლებელი გახდა ნამდვილი ურთიერთობებისა და კავშირის დადგენა, რაც ფ. ენგელსის სიტყვებით, საზოგადოების მოძრაობის ზოგადი კანონების აღმოჩენას უდრიდა.

ისევე როგორც ბუნების დიალექტიკურმა გაგებამ ბოლო მოუღო ნატურფილოსოფიას, რომელიც ბუნებას თავს ახვევდა მოგონილ კავშირებს, ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ განდევნა ისტორიის ფილოსოფია, რომელიც ხელოვნური კავშირებით ცდილობდა საზოგადოების ახსნას.

აქვე ფ. ენგელსი გვაძლევს ფილოსოფიის საგნის ფორმულირებას. ფილოსოფია ეს არის „მოძღვრება თვით აზროვნების პროცესის კანონებზე. ლოგიკა და დიალექტიკა“ [1]. ფ. ენგელსის ამ დებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მარქსისტული ფილოსოფიის საგნის განსაზღვრისათვის.

ასეთია ფ. ენგელსის წიგნში „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“ განვითარებული მთავარი დებულებები. წიგნს წითელ ზოლად გასდევს ძირითადი იდეა, რომ მარქსისა და ენგელსის მიერ შემუშავებული ახალი მსოფლმხედველობა — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი — კომუნიზმის ლოგიკური საფუძველია.

ვ. ი. ლენინი. „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“

ვ. ი. ლენინის ეს სტატია მიეძღვნა კ. მარქსის გარდაცვალების 30 წლისთავს. იგი გამოქვეყნდა 1913 წელს ჟურნალ „პროსვეშჩენიეში“.

როგორც თვით სათაურიდანაც ჩანს, ამ ნაწარმოებში გადმოცემულია მარქსიზმის — მწყობრი პროლეტარული იდეოლოგიის თეორიული წ ყ ა რ ო ე ბ ი და მისი შემადგენელი ნ ა წ ი ლ ე ბ ი.

ვ. ი. ლენინის ეს ნაწარმოები შედგება მოკლე შესავლისა და სამი ნაწილისაგან.

შესავალ ნაწილში ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, რომლებიც მარქსიზმს „მავნე სექტად“ სახავდნენ. სინამდვილეში კი მარქსიზმში არაფერია „სექტანტობის“ მსგავსი, იგი არ აღმოცენებულა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შარაგზის მიღმა, მას მკვიდრი საფუძვლები ჰქონდა კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში და ადრინდელი ფილოსოფიური, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალისტური მოძღვრების უშუალო და პირდაპირი გაგრძელებაა.

ამასთან, მარქსიზმმა კრიტიკულად გადაამუშავა საკაცობრიო აზროვნების თეორიული მონაპოვრები და „არის კანონიერი მემკვიდრე

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 488.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 4.

იმისა, რაც კი რამ საუკეთესო შექმნა კაცობრიობამ XIX საუკუნეში გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის, ფრანგული სოციალიზმის სახით"[1].

მარქსიზმის სამი თეორიული წყაროა: ა) კლასიკური გერმანული ფილოსოფია, ბ) ინგლისური პოლიტიკური ეკონომია, გ) ფრანგული უტოპიური სოციალიზმი.

მარქსიზმის სამი შემადგენელი ნაწილია: ა) დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ბ) მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია, გ) მეცნიერული სოციალიზმი.

ვ. ი. ლენინი ახასიათებს მარქსიზმის თეორიულ წყაროებს და შემადგენელ ნაწილებს.

სტატიის პირველ ნაწილში ვ. ი. ლენინი ეხება მარქსიზმის ფილოსოფიურ წყაროს — კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიას, მარქსიზმის ფილოსოფიის თვისებრივ განსხვავებას კლასიკური გერმანული ფილოსოფიისაგან. მარქსისტული ფილოსოფიის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობაში განსაკუთრებული წელილი მიუძღვის ადრინდელი, სახელდობრ. კლასიკური გერმანული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას. მარქსისტული ფილოსოფია არაა წინანდელი ფილოსოფიის არც უბრალო განგრძობა, არც მისი მექანიკური უარყოფა, როგორც ამას მარქსიზმის მტრები ირწმუნებიან. მარქსისტული ფილოსოფია გადაჭრით უარყოფს ძველ ფილოსოფიას, მაგრამ იმ დადებითის კრიტიკული გადამუშავებით და შემონახვით, რაც მას მოეპოვებოდა.

წინამორბედ ფილოსოფოსებთან მარქსისა და ენგელსის კავშირის ნათელსაყოფად ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ჰეგელსა და ფოიერბახზე.

ჰეგელმა ჩამოაყალიბა დიალექტიკის ძირითადი ნიშნები, შეიმუშავა განვითარების იდეა, რაც მისი ფილოსოფიის „რაციონალურ მარცვალს" შეადგენს. მაგრამ ჰეგელის ფილოსოფიის „რაციონალური მარცვალი" გამოუსადეგარი იყო იმ სახით, რა სახითაც მას ჰეგელის ფილოსოფია მოიცავდა. მარქსმა და ენგელსმა ჩამოაშორეს მას მისტიკურ-იდეალისტური გარსი, კრიტიკულად გადაამუშავეს და შემდგომ განავითარეს დიალექტიკა, გააერთიანეს იგი თვისებრივად ახალ უმაღლეს სინთეზში — დიალექტიკურ მატერიალიზმში. „მარქსი XVIII საუკუნის მატერიალიზმზე კი არ შეჩერებულა, არამედ მან წინ წასწია ფილოსოფია. მან გაამდიდრა იგი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მონაპოვრებით, განსაკუთრებით ჰეგელის სისტემის მონაპოვრებით, რომელმაც თავის მხრივ ფოიერბახის მატერიალიზმამდე მიგვიყვანა. ამ მონაპოვართაგან მთავარია — დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა, ე. ი. მოძღვრება

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 4.

განვითარებაზე მისი ყველაზე სრული, ღრმა და ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით, მოძღვრება ადამიანის ცოდნის შეფარდებითობაზე, რაც მუდმივს განვითარებაში მყოფი მატერიის ანარეკლს გვაძლევს".[1]

თავისი ბუნებრივი სახით გამოუსადეგარი იყო აგრეთვე ფოიერბახის მატერიალიზმი, მასაც გააჩნდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები: ფოიერბახმა თავის უფლებებში აღადგინა მატერიალიზმი, დაიცვა მატერიალიზმის პრინციპები, რაც მისი ფილოსოფიის „ძირითად მარცვალს" შეადგენდა. მაგრამ ფოიერბახის მატერიალიზმი მეტაფიზიკური და არათანმიმდევრული იყო. იგი ვერ გათავისუფლდა იდეალისტური ბორკილებისაგან, რელიგიურ-ეთიკურ თვალსაზრისს ვერ გაშორდა საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებაში. მარქსმა და ენგელსმა ფოიერბახის მატერიალიზმიდან გამოყვეს „ძირითადი მარცვალი", გაათავისუფლეს იგი იდეალისტური, რელიგიურ-ეთიკური, მეტაფიზიკური დანაშრევებისაგან, შემდგომ განავითარეს მატერიალიზმი, მისცეს მას მეცნიერული სახე.

ისტორიული მატერიალიზმის აღმოჩენა მარქსის დიდი დამსახურებაა, რითაც ბოლო მოეღო ქაოსსა და თვითნებობას საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებაში და სოციოლოგია მეცნიერებად იქცა. მარქსამდელი ფილოსოფოსები, განურჩევლად იმისა, იდეალისტურ ბანაკს მიეკუთვნებოდნენ ისინი თუ მატერიალისტურს, — საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალად იდეურ მოტივებს მიიჩნევდნენ. ისტორიულმა მატერიალიზმმა იდეალიზმი გააძევა მისი უკანასკნელი თავშესაფრიდან, ისტორიის სფეროდან.

„მარქსმა გააღრმავა და განავითარა ფილოსოფიური მატერიალიზმი და ბოლომდე მიიყვანა იგი, ბუნების ფილოსოფიურ-მატერიალისტური შეცნობა ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს შეცნობაზე გავრცელა. მარქსის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი მეცნიერული აზროვნების უდიდესი მონაპოვარია. ქაოსი და თვითნებობა, რაც აქამდე გამეფებული იყო შეხედულებებში ისტორიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა საოცრად მთლიანი და მწყობრი მეცნიერული თეორიით, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან, საწარმოო ძალების ზრდის გამო, მეორე, უფრო მაღალი წყობა, — მაგალითად, ბატონყმობიდან ვითარდება კაპიტალიზმი"[2].

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ შ ი ვ. ი. ლენინი არკვევს მარქსიზმის მნიშვნელოვან ეკონომიკურ წანამძღვარს. ამ მხრივ გარკვეული როლი შეასრულა XVIII საუკუნის ინგლისურმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მოძღვრებამ (ა. სმიტი, დ. რიკარდო). ა. სმიტი და დ. რიკარდო ცდილო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 19, გვ. 5.

[2] ი ქ ვ ე.

ბდნენ გამოეკვლიათ საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლები. მათ კიდეც შეეტანეს მრავალი სიახლე ეკონომიკურ მოძღვრებაში: შრომა ღირებულების შექმნელია (ა. სმიტი); საქონლის ღირებულება განისაზღვრება მისი შექმნისათვის აუცილებელი სამუშაო დროთი; არსებობს კლასობრივი განსხვავებულობა, რაც დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორზე, კერძოდ შემოსავლის სხვადასხვა წყაროებზე (დ. რიკარდო) და სხვა. მათ წამოაყენეს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ცალკეული დებულება, მაგრამ საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლების მეცნიერული გაგება ვერ შესძლეს. ა. სმიტისა და რიკარდოს მრავალი დასკვნა მიუღებელი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ა. სმიტი და დ. რიკარდო კაპიტალისტური ეკონომიკურ-საზოგადოებრივი წყობილების მარადიულობას ქადაგებდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ეკონომიკურ სისტემაში აღმოჩნდა ისეთი ელემენტებიც, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობდნენ და აახლოებდნენ ახალი იდეოლოგიის წარმოშობას. ასე იქცა ინგლისური პოლიტიკური ეკონომია ერთ-ერთ თეორიულ წყაროდ მარქსიზმის წარმოშობისათვის.

კ. მარქსმა შეიმუშავა ზედმეტი ღირებულების თეორია, რაც მისი ეკონომიკური მოძღვრების ქვაკუთხედია, გამოიკვლია კაპიტალიზმის განვითარება სასაქონლო მეურნეობის პირველი ჩანასახებიდან მსხვილ წარმოებამდე, დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში „მხოლოდ წინამორბედია შრომის გამარჯვებისა კაპიტალზე".[1]

ახალი, პროლეტარული იდეოლოგიის წარმოშობისათვის ნიადაგი შემზადებული იყო აგრეთვე უტოპიური სოციალიზმით, რასაც ვ. ი. ლენინი თავისი ნაწარმოების უკანასკნელ მესამე ნაწილში ეხება.

XIX საუკუნის დასაწყისის უტოპიური სოციალიზმი (ანრი სენ-სიმონი, შარლ ფურიე, რობერტ ოუენი) იმ დროის პირმშოა, როცა კაპიტალისტური წარმოების წესი და მასთან ერთად ბურჟუაზიის და პროლეტარიატის წინააღმდეგობა განუვითარებელი იყო, ახალი საზოგადოებრივი წყობილებიდან გამომდინარე კონფლიქტები ჯერ კიდევ წარმოშობის პროცესში იმყოფებოდნენ. მით უმეტეს მოუმწიფებელი იყო ამ კონფლიქტების გადაჭრის საშუალებანი. პროლეტარიატს არ გააჩნდა დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედების უნარი და მხოლოდ გარედან ელოდა ხსნას.

უტოპიური სოციალისტები მოსწრებულად აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმს. მათ კაპიტალისტური წარმოების მიერ შექმნილ წინააღმდეგობათა შთაბეჭდილებით წამოაყენეს მრავალი მნიშვნელოვანი იდეა, შეიმუშავეს მოძღვრება მომავალი სოციალისტური საზოგადოების შესახებ. მაგრამ მათი სოციალისტური თეორია არ იდგა რეალურ ნიადაგ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 8.

ზე სწორედ იმის გამო, რომ უტოპისტები არ იცნობდნენ საზოგადოების განვითარების კანონებს, იდეალისტები იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებაში. მათი აზრით, საზოგადოებრივ განვითარებას განსაზღვრავს მეცნიერული ცოდნის, მორალისა და რელიგიის პროგრესი. ამასთან სოციალისტ-უტოპისტები მეტაფიზიკოსები იყვნენ. ისინი უარყოფდნენ კაპიტალისტური წყობილების რევოლუციურ გარდაქმნას და სოციალიზმს არ განიხილავდნენ, როგორც კაპიტალიზმის ეკონომიკური მოძრაობის ბუნებრივ, გარდაუვალ შედეგს.

მიუხედავად ამისა, სოციალისტ-უტოპისტების დამსახურებაა ის, რომ მათ შენიშნეს კაპიტალიზმის მრავალი მნიშვნელოვანი მხარე, პროცესი, წინააღმდეგობა, დააგროვეს დიდძალი მასალა, რაც მეცნიერულ ანალიზს და განზოგადებას საჭიროებდა. ამ მასალის ჭეშმარიტი ანალიზი და განზოგადება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე.

საზოგადოებრივი განვითარების კანონების აღმოჩენით, კლასთა ბრძოლის თანამიმდევრული მოძღვრების შემუშავების შედეგად მარქსიზმმა დაასაბუთა კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების მოსპობისა და სოციალისტური წყობილების დამყარების აუცილებლობა. მან აღმოაჩინა „**საზოგადოებრივი ძალა**", რომელსაც „უნარი შესწევს ახალი საზოგადოების შემოქმედი გახდეს".[1]

კლასობრივი მტრის „წინააღმდეგობის გასატეხად კი მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი საშუალება არსებობს: თვით ჩვენს გარშემო არსებულ საზოგადოებაში გამოვნახოთ, გავანათლოთ და ბრძოლისათვის დავრაზმოთ ისეთი ძალები, რომელთაც შეუძლიათ — და თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით მ ო ვ ა ლ ე ნ ი ც ა რ ი ა ნ — შეადგინონ ძალა, რომელსაც შეეძლება ძველის აღგვა და ახლის შექმნა.

მხოლოდ მარქსის ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა უჩვენა პროლეტარიატს გამოსავალი იმ სულიერი მონობიდან, რომელშიც დღემდე სული ეხუთებოდა ყველა დაჩაგრულ კლასს. მხოლოდ მარქსის ეკონომიურმა თეორიამ განმარტა პროლეტარიატის ნამდვილი მდგომარეობა კაპიტალიზმის საერთო წყობილებაში".[2]

ვ. ი. ლენინი. „კარლ მარქსი"

ვ. ი. ლენინმა სტატია კარლ მარქსის შესახებ 1913 წელს დაწერა. სტატია გათვალისწინებული იყო გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის. დაიბეჭდა ამ ლექსიკონში 1915 წელს.

ვ. ი. ლენინის ეს ნაწარმოები სამი ძირითადი მონაკვეთისაგან შედგება: ა) უპირველეს ყოვლისა გადმოცემულია კ. მარქსის ბიოგრაფიუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 9.

[2] იქვე, გვ. 10.

ლი ცნობები, მარქსის შეხედულებათა ევოლუციის მთავარი ეტაპები, ბ) შემდეგ, დალაგებულია მარქსის მოძღვრება, გ) ბოლო ნაწილი დათმობილი აქვს ლიტერატურას; აქ ქრონოლოგიური წესით შედგენილია მარქსის ნაწარმოებთა, აგრეთვე მარქსისა და მარქსიზმის შესახებ არსებული ლიტერატურის სია.

ვ. ი. ლენინი ამ ნაწარმოებში ყოველმხრივად არკვევს მარქსის დიადი მოძღვრების ძირითად პრინციპებს; მარქსის ფილოსოფიას, ეკონომიკურ მოძღვრებასა და სოციალიზმს.

ნაწარმოებში „კ. მარქსი" განხილული მრავალი საკითხიდან ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმეს, რაც მარქსიზმის ფილოსოფიასა და მისი ფორმირების ისტორიასთანაა დაკავშირებული.

მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წანამძღვრები: გასული საუკუნის 40-იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნები სწრაფ საწარმოო აღმავლობას განიცდიდნენ. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კაპიტალიზმის ეკონომიკური მოძრაობის კანონებმა გამოიწვიეს ისტორიის ასპარეზზე დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის — პროლეტარიატის გამოსვლა. წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა პროლეტარიატის უუფლებობა, სიღატაკე და უმუშევრობა, ღვივდებოდა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი. გარდაუვალი გახდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამძაფრება და გაფართოება, მუშათა ორგანიზაციების წარმოშობა. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მძლავრი გამოვლინება იყო ლიონის მუშების აჯანყება (1831 წ.), გაფიცვები ლუარის ქვანახშირის რაიონში (1844, 1846, 1847 წლებში), სილეზიის ფეიქართა აჯანყება (1844 წ.), ჩარტისტული მოძრაობა ინგლისში და სხვა.

კაპიტალისტური წარმოების აღმავლობისა და პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობის გამწვავების პირობებში პროლეტარიატს რევოლუციური გამოსვლა წარმატებით არ შეუძლია იმ საკუთარი, მეცნიერული იდეოლოგიის გარეშე, რომელიც მის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს. ასეთ ისტორიულ ვითარებაში აღმოცენდა მარქსიზმი — პროლეტარიატის იდეოლოგია, რომელიც ორგანულად მოიცავს დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს — მარქსიზმის ფილოსოფიურ და მეცნიერულ-ისტორიულ საფუძვლებს.

მარქსის ფილოსოფიური ევოლუცია რთული და მრავალმხრივი პროცესია. თავდაპირველად კ. მარქსი ჰეგელიანელი იყო, ჰეგელიანელთა მემარცხენე სკოლას ეკუთვნოდა და ისწრაფოდა იმისაკენ, რომ ჰეგელის ფილოსოფიიდან ათეისტური და რევოლუციური დასკვნები გამეკეთებინა.

კ. მარქსი იმთავითვე დაადგა რევოლუციური დემოკრატიზმის პოზიციებზე, ებრძოდა ფეოდალურ რეაქციას, ამხელდა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს, მოითხოვდა მშრომელთა დემოკრატიულ თავისუფლებას.

მალე ფოიერბახის ზეგავლენით მარქსი ხელს იღებს ჰეგელის ფილოსოფიაზე, რომლის მართლმორწმუნე მიმდევარი არც ადრე ყოფილა. 1842 წლის ოქტომბრიდან იგი რედაქტორობდა „რეინის გაზეთს"; ამ პერიოდში „ისახება მარქსის გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ".[1] გადასვლა დამთავრდა 1844 წელს, რაც დასტურდება ჟურნალ „გერმანულ-ფრანგულ წელიწდეულში" მარქსის მიერ გამოქვეყნებული სტატიებით. ამ პერიოდში მარქსმა უკვე წამოაყენა სოციალისტური რევოლუციის იდეა და განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა მთავარი საზოგადოებრივი ძალა.

მეცნიერული კომუნიზმის შემოქმედის იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს ენგელსთან ერთად დაწერილ შრომაში „წმინდა ოჯახი", რომელშიც გაკრიტიკებულია მემარცხენე ჰეგელიანელები, ფორმულირებულია პროლეტარიატის რევოლუციური როლის საბოლოოდ ჩამოყალიბებული გაგება, განსაზღვრულია ხალხთა მასების, პიროვნების, იდეების როლი ისტორიაში, გამოვლენილია ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგობანი, ნაჩვენებია XVII საუკუნის მატერიალიზმის კავშირი XIX საუკუნის ინგლისურ და ფრანგულ კომუნიზმთან.

შემდგომი პერიოდის ნაწარმოებში „ფილოსოფიის სიღატაკე" კ. მარქსი აკრიტიკებს პრუდონის ანარქისტულ მსოფლმხედველობას, ახასიათებს თავის დიალექტიკურ მეთოდს, აყენებს უმნიშვნელოვანეს დებულებებს საზოგადოების საწარმოო საფუძვლების, კლასობრივი ბრძოლის, სახელმწიფოს მომავლის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ 1844 — 1847 წლებში შემუშავებული მსოფლმხედველობის, მეცნიერული კომუნიზმის ძირითადი პრინციპები და დებულებები სისტემატური სახით არის გადმოცემული და და განვითარებული მეცნიერული კომუნიზმის პირველ საპროგრამო დოკუმენტში „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". ამ წიგნში, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „გენიალური სიცხადით და სიმკვეთრით გადმოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარებაზე, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის,

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 82.

როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა“ [1].

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობა უდიდესი რევოლუციური გადატრიალებაა კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. მისი აღმოჩენისა და დასაბუთების ნიადაგზე შესაძლებელი გახდა ბუნებისა და საზოგადოების კანონების თანამიმდევრულ-მეცნიერული გაგება, საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების სწორი შეცნობა.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობა განპირობებული იყო კაცობრიობის მთელი მატერიალური და თეორიული მოღვაწეობით, საზოგადოებრივ-ისტორიული და რევოლუციური მოქმედების პრაქტიკით.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობა ნიშნავდა არა მარტო იდეალისტური ფილოსოფიის ძირეულ უარყოფას, არამედ მარქსამდელი მატერიალიზმის ყველა ნაკლოვანების სამუდამო გადალახვასაც.

მარქსიზმის მიერ ფილოსოფიაში მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსი ძირითადად შემდეგში მეღავნდება:

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ანგარიში გაუსწორეს ძველ ფილოსოფიას. მათ აღმოაჩინეს და დაასაბუთეს ერთადერთი მეცნიერული მეთოდოლოგია—მატერიალისტური დიალექტიკა.—ბოლომდე თანმიმდევრული დიალექტიკა, რომელიც მატერიალიზმთან არის შერწყმული და მის გამოსავალ პრინციპებს ემყარება. სწორედ მატერიალიზმის პოზიციიდან შეიძლებოდა დიალექტიკის ჭეშმარიტი მოძღვრების შექმნა. ამ საფუძველზე დიალექტიკა გადაიქცა მეცნიერებად როგორც გარეგანი სამყაროს, ისე ადამიანური აზროვნების მოძრაობის ზოგადი კანონების შესახებ.

მატერიალისტური დიალექტიკის შექმნით მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს აგრეთვე თვით მატერიალიზმის თეორიაც. თავის მხრივ, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი დიალექტიკური ბუნებისაა და როგორც ასეთი თვისებრივად განსხვავდება მატერიალიზმის ადრინდელი ფორმებისაგან.

ამრიგად, დიალექტიკური მატერიალიზმის აღმოჩენა მოიცავს ორ უმნიშვნელოვანეს მხარეს: იმის დასაბუთებას, რომ მატერიალიზმი დიალექტიკურია, ხოლო დიალექტიკა — მატერიალისტური.

პარაგრაფში „დიალექტიკა“ ვ. ი. ლენინი ერთმანეთისაგან განასხვავებს ჰეგელისა და მარქსის დიალექტიკას. კ. მარქსმა შეითვისა ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციური მხარე, შექმნა თვისებრივად ახალი დიალექტიკა — მატერიალისტური დიალექტიკა. დიალექტიკა კ. მარ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 41.

ქსის გაგებით შეიცავს აგრეთვე შემეცნების თეორიას, „რომელმაც თავისი საგანი უნდა განიხილოს აგრეთვე ისტორიულად, შეისწავლოს და განაზოგადოს შემეცნების წარმოშობა და განვითარება, — არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა“ [1].

ამ პარაგრაფის შემდგომ ნაწილში ვ. ი ლენინი განსაზღვრავს დიალექტიკის ძირითად ნიშნებს: „განვითარება, რომელიც თითქოს იმეორებს უკვე განვლილ საფეხურებს, მაგრამ იმეორებს სხვანაირად, უფრო მაღალ ბაზაზე („უარყოფის უარყოფა“), განვითარება, ასე ვთქვათ, სპირალისებურად და არა პირდაპირი ხაზით, — განვითარება ნახტომისებრი, კატასტროფული, რევოლუციური; — „თანდათანობის შეწყვეტანი“; რაოდენობის გადაქცევა თვისებრიობად, განვითარების შინაგანი იმპულსები, რასაც იძლევა წინააღმდეგობა, შეტაკება სხვადასხვა ძალებისა და ტენდენციებისა, რომლებიც მოქმედებენ მოცემულ სხეულზე ან მოცემული მოვლენის ფარგლებში ან მოცემული საზოგადოების შიგნით; — თვითეული მოვლენის ყ ვ ე ლ ა მხარის ურთიერთდამოკიდებულება და უმჭიდროესი, განუყრელი ჯავშირი (ამასთან ისტორია ააშკარავებს სულ ახალ-ახალ მხარეებს), კავშირურთიერთობა, რომელიც იძლევა მოძრაობის ერთიან, კანონზომიერ მსოფლიო პროცესს, — ასეთია ზოგიერთი ნიშანი დიალექტიკისა, როგორც განვითარების უფრო შინაარსიანი (ვიდრე ჩვეულებრივი) მოძღვრებისა“.[2]

„კ. მარქსის“ მომდევნო პარაგრაფში, **„ისტორიის მატერიალისტური გაგება“**, ვ. ი. ლენინი გვაძლევს ისტორიის მატერიალისტური გაგების არსის ფორმულირებას, ეხება ისტორიული მატერიალიზმის ძირეულ განსხვავებას მარქსამდელი სოციოლოგიისაგან.

ისტორიული მატერიალიზმის აღმოჩენა კ. მარქსის სახელთან არის დაკავშირებული. რასაკვირველია, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან არსებობდა მრავალგვარი თეორია კაცობრიობის ისტორიის განვითარების საფუძვლების შესახებ, მაგრამ მარქსამდელი სოციოლოგია და ისტორიოგრაფია ვერ ამაღლდა საზოგადოების ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე. ეს ამოცანა კ. მარქსმა გადაწყვიტა.

კ. მარქსმა მატერიალიზმის ძირითადი დებულება ყოფიერების პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის შესახებ თანამიმდევრულად გაავრცელა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე, რითაც ბოლო მოუღო ადრინდელი მატერიალიზმის საუკუნოებრივ შეზღუდულობას ამ საკითხში.

„ძველი მატერიალიზმის არათანმიმდევრულობის, დაუმთავრებლობისა და ცალმხრივობის შეგნებამ მარქსი დაარწმუნა, რომ აუცილებელია „შევუთანხმოთ მეცნიერება საზოგადოების შესახებ მატე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 49.

[2] იქვე.

რიალისტურ საფუძველს და გარდავქმნათ იგი ამ საფუძვლის შესაბამისად". თუ მატერიალიზმი საერთოდ ცნობიერებას ყოფიერებით ხსნის და არა პირიქით, კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ გამოყენებისას მატერიალიზმი მოითხოვდა საზოგადოებრივი ცნობიერების ახსნას საზოგადოებრივი ყოფიერებით".[1]

ისტორიის მატერიალისტური გაგების არსი მდგომარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური საფუძვლის აღმოჩენაში, საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობის პრინციპის დასაბუთებაში.

ადამიანთა ცხოვრება რომ მოიცავდა ორ მხარეს — სულიერსა და მატერიალურს, — ამას ძველთაგანვე ამჩნევდნენ; მაგრამ ამ ორი მხარის ურთიერთობის პრობლემებს მარქსამდე მეცნიერულად ვერ არკვევდნენ არა მარტო იდეალისტები, არამედ აგრეთვე მატერიალისტებიც. ისინი აზვიადებდნენ იდეური მოტივების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საზოგადოებრივ ცნობიერებას საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელ ძალად მიიჩნევდნენ. მარქსიზმის წარმოშობამდე იდეალიზმი განუყოფლად ბატონობდა საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებაში.

ისტორიული მატერიალიზმი ძირეულად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ცნობიერების პირველადობისა და საზოგადოებრივი ყოფიერების მეორადობის იდეალისტურ პრინციპს.

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება საზოგადოებრივი ცხოვრების ორი განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული მხარეა. ადამიანთა მატერიალური ცხოვრება, მათი სოციალური მოღვაწეობის მატერიალური მხარე შეადგენს საზოგადოებრივ ყოფიერებას, ხოლო მათი სულიერი ცხოვრება, სულიერი მოღვაწეობა — საზოგადოებრივ ცნობიერებას.

საზოგადოების სულიერი მოღვაწეობის შინაარსი მისივე მატერიალური ცხოვრების, საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვაა.

საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთქმედებაში განმსაზღვრელი როლი საზოგადოებრივ ყოფიერებას ეკუთვნის. როგორიცაა საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოების მატერიალური პირობები, ისეთივეა ადამიანთა ცნობიერება, მათი იდეები და თეორიები. ჯერ იცვლება მატერიალური მხარე, საზოგადოებრივი ყოფიერება, ხოლო შემდეგ და მის შესაბამისად — საზოგადოებრივი შეხედულებები და თეორიები, საზოგადოებრივი ცნობიერება.

საზოგადოებრივი ყოფიერება არსებობს საზოგადოებრივი ცნობი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 49—50.

ერებისაგან დამოუკიდებლად, წინ უსწრებს მისი შესაბამისი სურათის წარმოშობას ადამიანთა შეხედულებებში, თეორიებში და ა. შ. თავის მხრივ, საზოგადოებრივი ცნობიერების შინაარსი ადამიანთა მატერიალური ცხოვრებიდან, საზოგადოებრივი ყოფიერებიდან მომდინარეობს. ადამიანთა შეხედულებებში მათივე ცხოვრებაა ასახული; ისინი ფიქრობენ იმაზე, რასთანაც კავშირი აქვთ პრაქტიკულად, მატერიალურ ცხოვრებაში.

მარქსამდელი სოციოლოგიის ძირითადი ნაკლოვანებანი. ვ. ი. ლენინი ნაშრომში „კ. მარქსი" მიუთითებდა მარქსამდელი სოციოლოგიური და ისტორიული თეორიების ორ ძირითად ნაკლოვანებაზე.

1. ეს თეორიები უკეთეს შემთხვევაში განიხილავდნენ ადამიანთა ისტორიული მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს და არა მათ გამომწვევ მატერიალურ მიზეზებს.

კითხვაზე, თუ რა განსაზღვრავს საზოგადოებრივ წყობილებებს, სოციალურ სტრუქტურას, ისტორიული ცვალებადობისა და განვითარების პროცესებს — ყველა მარქსამდელი სოციოლოგი იდეალისტურ პასუხს იძლეოდა. მათი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრება და განვითარება განსაზღვრულია სულიერი ფაქტორებით, სხვადასხვაგვარი იდეებითა და შეხედულებებით, თეორიებითა და მისწრაფებებით.

მარქსამდელი სოციოლოგები გამოდიოდნენ იმ ჩვეულებრივი ფაქტიდან, რომ თითოეული ადამიანი ჯერ ფიქრობს და მერე ეწევა გარკვეულ პრაქტიკულ საქმიანობას, რომ ყველაფერმა, რაც ადამიანს ამოქმედებს, წინასწარ აუცილებლად მის თავში უნდა გაიაროს. რაკი თითოეული ადამიანი შეგნებულად დასახულ მიზანს მისდევს, საზოგადოებასაც. როგორც ადამიანთა გაერთიანებას, იდეალური მამოძრავებელი ძალები ამოქმედებს. მაშასადამე, საზოგადოების რეალური, პრაქტიკული ცხოვრების უკანასკნელი მიზეზი იდეალური მამოძრავებელი ძალებია. საზოგადოებრივი ცნობიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ყოფიერებას — ასეთი იყო მარქსამდელი სოციოლოგიის მცდარი დასკვნა. ამ დასკვნას იზიარებდა ყველა მარქსამდელი მატერიალისტიც.

მაგრამ მარქსამდელ სოციოლოგიასა და ისტორიოგრაფიას თავისთვის არასოდეს არ დაუსვამს კითხვა, თუ როგორი მამოძრავებელი ძალები იმალებიან თვით ამ იდეური მოტივების უკან. ისტორიული მატერიალიზმის აღმოჩენით დადგინდა, რომ იდეალური მამოძრავებელი ძალები სრულიადაც არაა საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო მიზეზები. ცხადია, ადამიანის თავში უნდა განვლოს ყველაფერმა, რაც მას ამოძრავებს, მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს მის თავში, დიდად არის დამოკიდებული გარემოებაზე (ფ. ენგელ-

სი). ისტორიულ მოღვაწეთა იდეური მოტივების მამოძრავებელი ძალებია თვით საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, საზოგადოების ეკონომიკური განვითარება და მისი გარკვეული დონე, საზოგადოებრივი ყოფიერება. სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენების ძირები განსხვავებული იდეური მოტივებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ პირიქით, მატერიალური ცხოვრების პირობათა სხვადასხვაობის ბაზაზე აღმოცენდება მრავალფეროვანი იდეები და მისწრაფებანი, იდეური მოტივები, საზოგადოებრივი ცნობიერება საერთოდ.

მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს მისი პასიურობა, უმოქმედობა. ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, საზოგადოებრივი ცნობიერება განსაზღვრულია საზოგადოებრივი ყოფიერებით, მაგრამ, თავის მხრივ, ნეიტრალური როდია მის მიმართ. იგი აქტიურ უკუმოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, აჩქარებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას.

საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების თანაფარდობის მეცნიერული გაგებით კ. მარქსმა გადატრიალება მოახდინა სოციოლოგიაში, მსგავსად კოპერნიკისა, რომელმაც გეოცენტრული სისტემა ჰელიოცენტრული სისტემით შეცვალა.

2. მარქსამდელი სოციოლოგიის ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა მეორე არსებითი ნაკლოვანება: რაკი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად იდეურ მოტივებს მიიჩნევდნენ, ისტორიის წამყვან ძალად გამოჩენილ პიროვნებებს აცხადებდნენ. სწორედ ამ პიროვნებათა შეხედულებებს, მისწრაფებებს და მიზნებს ჰქონდა უპირატესი მნიშვნელობა მარქსამდელი სოციოლოგების შეგნებაში. ისტორია პიროვნებათა შემოქმედების შედეგად ითვლებოდა.

ამ მცდარ თვალსაზრისს განამტკიცებდა ის გარემოება, რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ბატონობა ექსპლოატატორულ უმცირესობას ეკუთვნოდა. მჩაგვრელები დაინტერესებული იყვნენ მათი ინტერესების გამომხატველ პიროვნებათა ყოველმხრივი განდიდებით. რაც შეეხება მასებს, მარქსამდელი სოციოლოგები უარყოფდნენ მათ როლს ისტორიაში. საზოგადოების ისტორია დაყვანილი იყო მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა, მეფეების, მხედართმთავრების, კანონმდებლების, გამოჩენილი ადამიანების შემოქმედებამდე.

ხალხის მასების როლის უგულებელყოფა და პიროვნების მოღვაწეობის აბსოლუტიზაცია ყოვლად შეუძლებელს ხდიდა საზოგადოებრივი პროგრესის, კლასებისა და კლასთა ბრძოლის, სახელმწიფოს,

რევოლუციის, ომების, ეროვნული მოძრაობის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეების მეცნიერულ ახსნას.

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, სწორედ ხალხია საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტი ძალა, ისტორიის ნამდვილი შემოქმედი. ისტორიული მატერიალიზმი საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად თვლის მატერიალური დოვლათის წარმოების, ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებების მოპოვების წესს. როგორიცაა წარმოების წესი, ისეთივეა საზოგადოება, მისი იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებანი და დაწესებულებანი; საზოგადოების ისტორია, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების, წარმოების წესთა ცვალებადობის ისტორიაა. წარმოების პროცესის ძირითადი ძალები კი მშრომელი მასებია. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი განვითარების ისტორია არის მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ისტორია, მშრომელი მასების ისტორია; ამით გადალახულ იქნა მარქსამდელი სოციოლოგიის ნიჰილისტური დამოკიდებულება ხალხთა მასებისადმი. კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში პირველად გაირკვა მეცნიერულ საფუძველზე ხალხთა მასების ისტორიული როლი.

მაგრამ აღიარებს რა ხალხის მასების გადამწყვეტ როლს, ისტორიული მატერიალიზმი სრულიადაც არ გამორიცხავს პიროვნების მოღვაწეობის მნიშვნელობას ისტორიულ განვითარებაში. იგი მოითხოვს, რომ საზოგადოებრივი მოძრაობის ხელმძღვანელ პიროვნებათა როლი შეფასდეს ხალხის მოღვაწეობასთან ორგანულ კავშირში. დიდ ადამიანებს მხოლოდ იმდენად შეუძლიათ შეასრულონ სერიოზული როლი საზოგადოებრივ განვითარებაში, დააჩქარონ ისტორიული განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა, რამდენადაც ისინი შეძლებენ საზოგადოების განვითარების პირობების სწორად გაგებას და მათ შესაბამის მოქმედებას. და პირიქით, ხელმძღვანელი პიროვნებანი ანელებენ ისტორიულ განვითარებას, თუ ისინი ვერ იგებენ ხალხის მოღვაწეობის ობიექტურ პირობებს და დაიწყებენ მათ წინააღმდეგ სვლას.

ამრიგად, დაძლეულ იქნა აგრეთვე მარქსამდელი სოციოლოგიის ანტიმეცნიერული წარმოდგენები პიროვნების როლზე ისტორიაში.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებში „კარლ მარქსი" მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე მარქსის ეკონომიკური მოძღვრების, სოციალიზმის და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკის საკითხებს. ამრიგად, „კარლ მარქსი" — ესაა ნაწარმოები, რომელიც ყოველმხრივ არკვევს კ. მარქსის დიადი მოძღვრების შემადგენელ ნაწილებს, მარქსიზმის ადგილს საკაცობრიო აზროვნების განვითარების ისტორიაში, მის მნიშვნელობას პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისათვის.

ეს ნაწარმოები ლენინმა დაწერა 1912 წლის მაისში, გერცენის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. მისი შესწავლა საშუალებას მოგვცემს წარმოდგენა ვიქონიოთ დიდი რუსი მოაზროვნის—გერცენის ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ შეხედულებებზე, ჯეროვნად შევაფასოთ XIX საუკუნის დიდი რევოლუციური დემოკრატის წვლილი რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა და რევოლუციური თეორიის განვითარებაში.

ა. გერცენის უმნიშვნელოვანეს დამსახურებად ვ. ი. ლენინი თვლის იმას, რომ მან „უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში [1]. გერცენი ეკუთვნოდა გასული საუკუნის თავადაზნაურულ-მემამულურ რევოლუციონერთა თაობას და დეკაბრისტების ზეგავლენით რევოლუციურ გზას დაადგა; ამ რევოლუციონერთა წრე ვიწრო იყო, მაგრამ გერცენის მიერ გაჩაღებულმა რევოლუციურმა აგიტაციამ ხელი შეუწყო რევოლუციონერ-რაზნოჩინელი მებრძოლების რიგების გაფართოებას, მათ დაახლოებას ხალხის მასებთან. ამით კი ნიადაგი მომზადდა თვით მასების მოძრაობისათვის, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბოლომდე თანმიმდევრულად რევოლუციური კლასი,—პროლეტარიატი. მაშასადამე, გერცენის მოღვაწეობა აუცილებელი რგოლი იყო რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, მის საქმეს უკვალოდ არ ჩაუვლია.

გერცენი იბრძოდა გლეხობის განთავისუფლებისათვის. გასული საუკუნის 40-იან წლებში, სახელდობრ, 1847 წლიდან მან დატოვა რუსეთი, თავდაპირველად ვერ ხედავდა რუსეთის რევოლუციურ ხალხს, რის გამოც რწმენაც დაკარგა მისადმი. ამიტომ გერცენმა დაიწყო მერყეობა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ, მიუხედავად გერცენის მთელი მერყეობისა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა“ [2]. გერცენის სუსტ მხარეებს ყოველთვის აჭარბებდა ძლიერი მხარეები.

60-იანი წლებიდან კი, როდესაც გერცენმა უკვე დაინახა რევოლუციური ხალხი რუსეთში, იგი უშიშრად დადგა რევოლუციური დემოკრატიზმის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ, ებრძოდა ცარიზმს, მოუწოდებდა ხალხს რევოლუციისაკენ.

დიდია გერცენის ღვაწლი თეორიის დარგშიც. მან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, შეძლო გასული საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში ასულიყო უდიდეს მოაზროვნეთა სიმაღლეზე.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 11.

[2] ი ქ ვ ე ე, გვ. 16.

მან კრიტიკულად შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა, გაიზიარა ამ დიალექტიკის რევოლუციური მხარე, ბუნების გაგებაში მტკიცედ დადგა მატერიალიზმის მხარეზე და გაჰყვა ფოიერბახის კვალს. უკვე 1844 წელს დაწერილი მისი შრომები „წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ", „ემპირია და იდეალიზმი", „გვიჩვენებს მოაზროვნეს, რომელიც, ახლაც კი, მთელი თავით უფრო მაღლა დგას უამრავ თანამედროვე ბუნებისმეტყველ-ემპირიკოსზე და აურაცხელ ახლანდელ ფილოსოფოსსა, იდეალისტსა და ნახევრად იდეალისტზე" [1]. — წერდა ვ. ი. ლენინი.

თუ რამდენად სწორად ესმოდა გერცენს დიალექტიკის მნიშვნელობა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი დიალექტიკას „რევოლუციის ალგებრას" უწოდებდა. აქ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკის რევოლუციური ბუნების აღნიშვნა ხშირად გვხვდება თვით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერცენის ფილოსოფიური შეხედულებები თანამიმდევრულ-მეცნიერული იყო. გერცენი, ვ. ი. ლენინის კლასიკური დახასიათებით, „უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე"[2]. გერცენს, რუსეთის იმდროინდელი ჩამორჩენილობის გამო არ შეეძლო გაერკვია პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი. იგი მთავარ იმედს ამყარებდა გლეხობაზე და მის განთავისუფლებას მოითხოვდა.

მან საფუძველი ჩაუყარა რუსულ „სოციალიზმს", „ნაროდნიკულ სოციალიზმს", რომლის მოთხოვნაა გლეხების განთავისუფლება და თემური მიწათმფლობელობა, გლეხების უზრუნველყოფა მიწის ფლობის უფლებით. აქედან ჩანს, რომ გერცენმა ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ბუნება. გლეხების განთავისუფლებას და მებატონე მემამულეების ძალაუფლების შეცვლას რომ ობიექტურად კაპიტალიზმის ფართოდ განვითარება უნდა მოყოლოდა — ეს მისთვის უცნობი დარჩა. მაშასადამე, მისთვის სოციალიზმი არ იყო დაკავშირებული პროლეტარიატთან, ყველაზე პროგრესულ კლასთან ისტორიაში, რომლის ჩასახვა და ზრდა კაპიტალიზმის ჩასახვისა და ზრდის პარალელურად უნდა წარმართულიყო.

სწორედ ამით ხსნის ვ. ი. ლენინი იმ გარემოებას, რომ გერცენის, და, საერთოდ, რუსული ნაროდნიკობის „სოციალისტურ" მოძღვრებაში „სოციალიზმის ნ ა ს ა ხ ი ც არ არის"[3].

ის შეფასება, რომელსაც ვ. ი. ლენინი გერცენის რევოლუციურ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 12.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 14.

დემოკრატიულ მსოფლმხედველობაზე გამოთქვამს, არსებითად და ძირითად ხაზებში XIX საუკუნის რუსი რევოლუციური დემოკრატების მთელ ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ შეხედულებებზეც ვრცელდება. ამაში დასარწმუნებლად საჭიროა გავეცნოთ ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ IV თავის § 1-ის დამატებას —„რა მხრივ უდგებოდა ნ. გ.ჩერნიშევსკი კანტიანობის კრიტიკას?“, აგრეთვე ვ. ი. ლენინის სხვა შრომებს: „კიდევ ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ“ (თხზ., ტ. 18), „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან“ (თხზ., ტ. 20) და სხვ.

მეორე განყოფილება

დიალექტიკური მატერიალიზმი

ამ განყოფილებაში მოცემულია მეთოდური რჩევა-მითითებანი მარქსიზმის კლასიკოსების იმ შრომების შესასწავლად, რომლებშიც ჩამოყალიბებულია უპირატესად დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი დებულებები. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფ. ენგელსის შრომებს „ანტი-დიურინგი“ და „ბუნების დიალექტიკა“, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „დიალექტიკის საკითხისათვის“ და სხვ. ამ შრომებში გარკვეულია ფილოსოფიური მატერიალიზმის საფუძვლები, დიალექტიკის კანონები და კატეგორიები, შემეცნების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია. მარქსიზმის კლასიკოსთა დასახელებული და სხვა ნაწარმოებები ქვემოთ ცალ-ცალკეა განხილული. ეს შრომები შეიცავენ აგრეთვე პასუხს ისტორიული მატერიალიზმის კარდინალურ საკითხებზე. მათ შესახებ მსჯელობა გვექნება შემდგომ, მესამე განყოფილებაში.

ფ. ენგელსი. „ანტი-დიურინგი“

ფ. ენგელსის წიგნი „ბატონ ევგენი დიურინგის მიერ მეცნიერებაში მოხდენილი გადატრიალება“, ანუ „ანტი-დიურინგი“, მარქსიზმის გენიალური თეორეტიკოსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქმნილებაა. ამ წიგნში, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „განხილულია ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი საკითხები... ეს გასაოცრად შინაარსიანი და საგულისხმო წიგნია“.[1]

წიგნის სტრუქტურა. ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგი“ შედგება სამი გამოცემის წინასიტყვაობის, ზოგადი შენიშვნებისა და სამი განყოფილებისაგან: 1) ფილოსოფია, 2) პოლიტიკური ეკონომია, 3) სოციალიზმი. დამატების სახით წიგნს თან ერთვის „ძველი წინასიტყვაობა „ანტი-დიურინგი“-სათვის—დიალექტიკის შესახებ“, „ნაწყვეტები „ანტი-დი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 13.

ურინგის“ მოსამზადებელი სამუშაოებიდან“, „შენიშვნები -ანტი-დიუ-რინგი“-სათვის.“

უწინარეს ყოვლისა გავეცნოთ ფ. ენგელსის წიგნის „ანტი-დიურინ-გის“ დაწერის ისტორიულ პირობებს, შემდეგ კი ამ ნაწარმოებში განხილულ ძირითად ფილოსოფიურ საკითხებს.

ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგის“ დაწერის ისტორიული პირობები. ამის შესახებ ფ. ენგელსი თვითონვე მოგვითხრობს წიგნის სამი გამოცემის — 1878, 1885 და 1894 წლების გამოცემათა წინასიტყვაობებში.

ფ. ენგელსის ნაწარმოები მიმართულია ე. დიურინგის „ახალი სოციალისტური თეორიის წინააღმდეგ“. ეს „თეორია“ ე. დიურინგმა გამოსცა სამ წიგნად: — „ფილოსოფიის კურსი“ (1875 წ.), „ნაციონალური და სოციალური ეკონომიის კურსი“ (1876 წ.), „ნაციონალური ეკონომიისა და სოციალიზმის კრიტიკული ისტორია“ (1875 წ.). რაკი „სოციალისტური თეორიის“ სახელწოდებით გამოდიოდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „Volksstaat“ თხოვნით მიმართა ფ. ენგელსს, კრიტიკულად განეხილა ე. დიურინგის პრეტენზიული მოძღვრება. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთიანობის ინტერესებისათვის ფ. ენგელსი იძულებული გახდა დათანხმებოდა ჟურნალის რედაქციას.

ზემოთ დასახელებულ წიგნებში ე. დიურინგმა ბრძოლა გამოუცხადა „მთელ თავის საუკუნეს“, იჩემებდა, რომ გადატრიალება მოახდინა ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში და სოციალიზმში. ამიტომ ენგელსი კვალდაკვალ მიყვება ე. დიურინგის „სისტემას“. ყოველმხრივ აკრიტიკებს მის ფილოსოფიურ, ეკონომიკურ და სოციალისტურ შეხედულებებს. ამით აიხსნება „ანტი-დიურინგის“ პოლემიკური ხასიათი.

ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგს“ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ აქ ფ. ენგელსმა პოზიტიურად განავითარა თავისი შეხედულებანი მარქსიზმის მთელ რიგ საკვანძო საკითხებზე. ფ. ენგელსი რწმენას გამოთქვამს, რომ მის მიერ აქ წამოყენებულ შეხედულებებში „მკითხველს არ გამოეპარება შინაგანი კავშირი“ [1].

ამ წიგნის მთავარ დანიშნულებას 1885 წლის მეორე გამოცემის წინასიტყვაობის მიხედვით ფ. ენგელსი იმაში ხედავს, რომ აქ დიურინგის „ნეგატიური კრიტიკა პოზიტიურად იქცა. პოლემიკა გადაიქცა მარქსისა და ჩემს მიერ წარმოდგენილი დიალექტიკური მეთოდისა და კომუნისტური მსოფლმხედველობის მეტნაკლებ დალაგებულ გადმოცემად, ისეთ გადმოცემად, რომელიც ამასთან ერთად ცოდნის საკმაოდ მრავალ დარგს მოიცავს“ [2].

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 11.

ფ. ენგელსმა დაბეჭდვამდე გააცნო კ. მარქსს „ანტი-დიურინგის“ ხელნაწერი. ამავე წიგნის მეორე განყოფილების — პოლიტიკური ეკონომიის მეათე თავი („კრიტიკული ისტორიიდან“) თვით მარქსმა დაწერა.

ბუნებისმეტყველების მნიშვნელობა სამყაროს დიალექტიკური და მატერიალისტური გაგებისათვის. „ანტი-დიურინგის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ფ. ენგელსი ასაბუთებს დიალექტიკური მატერიალიზმისა და ბუნებისმეტყველების კავშირის აუცილებლობას. „მარქსი და მე თითქმის ერთადერთი ადამიანები ვიყავით, რომლებმაც გერმანული იდეალისტური ფილოსოფიიდან შეგნებული დიალექტიკა გადავარჩინეთ და ბუნებისა და ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში გადავიტანეთ. მაგრამ ბუნების დიალექტიკური და ამასთანავე მატერიალისტური გაგებისათვის მათემატიკისა და ბუნებისმეცნიერების ცოდნაა საჭირო“ [1].

ბუნებისმეტყველება საშუალებას იძლევა, რომ ყოველ ცალკეულ დარგში დიალექტიკური მოძრაობის კანონების მოქმედება დავადასტუროთ, კანონებისა, რომლებიც, ამასთანავე, ისტორიის სფეროშიც მოქმედებენ და აზროვნების სფეროშიც. მისტიფიცირებული ფორმით სინამდვილის მოძრაობის ეს საყოველთაო კანონები ჰეგელს ჰქონდა აღმოჩენილი, მაგრამ, ჰეგელი, მხოლოდ „სულს“ მიაწერდა პროგრესულ ისტორიულ განვითარებას. ფ. ენგელსი ემიჯნება ჰეგელს და წერს, რომ „ჩემი ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ბუნებაში გარედან შემეტანა დიალექტიკური კანონები, არამედ იმაში, რომ ისინი მასში აღმომეჩინა და მისგან განმევითარებინა“ [2].

საჭიროა კატეგორიულად აღინიშნოს, რომ მარქსისტული ფილოსოფია ძირეულად განსხვავდება ძველი ფილოსოფიისაგან ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივი მეცნიერების დარგებისადმი დამოკიდებულების ხასიათით.

მარქსამდელი ფილოსოფია გამოდიოდა „მეცნიერებათა მეცნიერების“ პრეტენზიით. იგი საკუთარი სქემების არტახებში აქცევდა ბუნებისმეტყველებას და საზოგადოებრივ მეცნიერებას, თავს ახვევდა მათ არა ობიექტური კანონზომიერების შესაბამის, არამედ სისტემის მოთხოვნილებისაგან გამომდინარე დასკვნებს. მარქსისტული ფილოსოფიისათვის უცხოა მეცნიერებაზე მაღლა დგომა, „მეცნიერებათა მეცნიერების“ პრეტენზიული მოთხოვნა. მარქსისტული ფილოსოფია მეცნიერული მსოფლმხედველობაა, რომელიც სამყაროს შეცნობის იარაღია ნებისმიერი დარგისათვის. მაგრამ როგორც მსოფლმხედველობა, როგორც სინამდვილის კვლევის უბადლო ინსტრუმენტი, იგი ბუნებისმეტყველე-

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 13—14.
[2] იქვე, გვ. 16.

ბილა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა. მონაცემებს ემყარება, მდიდრდება ამ მეცნიერებათა მონაცემებით მათი განვითარების მსვლელობაში.

ბუნებისმეტყველების მონაპოვრები სულ უფრო და უფრო ნათელს ხდის ბუნების მოვლენათა დიალექტიკურ ხასიათს. იმ აღმოჩენებს შორის, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამყაროს შესახებ დიალექტიკური წარმოდგენების საბუნებისმეტყველო დასაბუთებას, ფ. ენგელსი ასახელებს კანტის ნისლოვანების თეორიას, რომლის თანახმად, მზის სისტემას დასაბამი აქვს, ენერგიის გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს კანონს, რომელმაც „წაშალა უკანასკნელი მოგონება სამყაროს გარეშე შემოქმედზე" (ფ. ენგელსი), დარვინის ევოლუციურ მოძღვრებას.

„ადამიანმა შეიძლება დიალექტიკურ გაგებას მიაღწიოს, როცა ამას აიძულებს ბუნებისმეცნიერების მიერ მრავალად დაგროვილი ფაქტები; იგი ამას უფრო ადვილად აღწევს, როცა ამ ფაქტების დიალექტიკურ ხასიათს დიალექტიკური აზროვნების კანონების შეგნებას ახვედრებს. ყოველ შემთხვევაში ბუნებისმეცნიერებამ იმდენად წინ წაიწია, რომ ვეღარ გაექცევა დიალექტიკურ განზოგადებას".[1]

მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში ფ. ენგელსი განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი ნაწარმოების ძირითადი შეხედულებანი ფართოდ გავრცელდა. „როგორც მეცნიერთა, ისე მუშათა კლასის საზოგადოებრივ შეგნებაში და ისიც მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში".[2]

ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგის" შ ე ს ა ვ ა ლ ნ ა წ ი ლ შ ი, რომელსაც ავტორი „ზ ო გ ა დ შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ს" უწოდებს, უწინარეს ყოვლისა, დახასიათებულია მეცნიერული კომუნიზმის უშუალო თეორიული წინამორბედი — უტოპიური სოციალიზმი, ნაჩვენებია, რომ მეცნიერული სოციალიზმი, მართალია, ეკონომიკურ ფაქტებშია ფესვგადგმული, მაგრამ იგი მანამდე დაგროვილ იდეურ მასალასაც ეყრდნობა. თუმცა ადრინდელი სოციალიზმი არ გამოხატავდა პროლეტარიატის ინტერესებს, მოითხოვდა არა განსაზღვრული კლასის, არამედ მთელი კაცობრიობის განთავისუფლებას, საზოგადოებრივი პროგრესის წყაროდ მიიჩნევდა არა მატერიალურ, არამედ იდეურ ფაქტორებს, სამართლიანობის, გონების მოთხოვნებს.

დიდ ინტერესს იწვევს „ზოგადი შენიშვნების" წმინდა ფილოსოფიური ნაწილიც, სახელდობრ, დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს ა და მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ი ს დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ა. დიალექტიკური შეხედულება სამყაროზე დამახასიათებელი იყო ჯერ კიდევ ბერძნული ფილო-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 19.

სოფიისათვის. ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მიხედვით, სამყაროს სხვა არაფერია, თუ არა „კავშირთა და ურთიერთზემოქმედებათა დაუსრულებული გადახლართვის სურათი, სადაც არაფერი იქ და ისე არ რჩება, რაც, სადაც და როგორიც იყო, არამედ ყოველივე მოძრაობს, იცვლება, წარმოიშობა და ისპობა“.[1] ეს თავდაპირველად გულუბრყვილო, არსებითად სწორი შეხედულება გამოთქმული ჰქონდა ჰერაკლიტეს, რომლის თანახმად, ყველაფერი მიმდინარეობს, მუდმივ შოძრაობა-ცვალებადობას და ქმნადობას განიცდის.

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ არა მარტო ჰერაკლიტე, არამედ საერთოდ სხვა ბერძენი ფილოსოფოსებიც სტიქიურად იდგნენ დიალექტიკის ნიადაგზე, ხოლო ყველაზე დიდმა წარმომადგენელმა მათ შორის — არისტოტელემ, — „ძველი მსოფლიოს ჰეგელმა“, „დიალექტიკური აზროვნების უკვე ყველაზე არსებითი ფორმებიც გამოიკვლია“.[2]

გულუბრყვილო დიალექტიკა სწორად ასახავდა მოვლენათა საერთო სურათის ზოგად ხასიათს, მაგრამ საკმაო არ იყო მისი ცალკეული მხარეების ასახსნელად. სამყაროს ცალკეული მხარეების სწორი შეცნობა არ შეიძლებოდა ისე, თუ თითოეული მათგანი არ იქნებოდა გამოთიშული მათი ბუნებრივი ან ისტორიული კავშირიდან და სპეციალურ გამოკვლევას არ დაექვემდებარებოდა. ამას კი ბუნებისმეტყველება აკეთებს. იგი ძველ საბერძნეთში განვითარებული არ იყო.

ნამდვილი ბუნებისმეტყველება ვითარდება XV საუკუნის მეორე ნახევრიდან. მან ბუნება განიხილა ცალკე ნაწილებად, ბუნების სხვადასხვა პროცესები დააჯგუფა განსაზღვრულ კლასებად და თითოეული ცალ-ცალკე შეიმეცნა. „მაგრამ,— როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს,— მან დაგვიტოვა აგრეთვე ჩვეულება ბუნების საგნებისა და პროცესების განცალკევებულად განხილვისა, დიდი საერთო კავშირის გარეშე, მაშასადამე, არა მათს მოძრაობაში, არამედ მათს უძრაობაში, არა როგორც არსებითად ცვალებადი, არამედ როგორც მყარი მდგომარეობანი, არა როგორც ცოცხალნი, არამედ როგორც მკდარნი“ [3]. ბუნების შეცნობის ეს მეთოდი შემდგომში ბეკონისა და ლოკის შემწეობით ფილოსოფიაში გადმოიტანეს და აქ დამკვიდრდა, როგორც აზროვნების მეტაფიზიკური წესი.

აქვე ფ. ენგელსი გვაძლევს მეტაფიზიკური მეთოდის არსის განსაზღვრას. მეტაფიზიკისათვის „საგნები და მათი აზროვნებითი ასახვანი, ცნებანი, წარმოადგენენ კვლევა-ძიების განცალკევებულ ერთიმეორის მიყოლებით და ერთიმეორის დამოუკიდებლად განსახილველ, მყარ, გა-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი გვ. 26.
[2] იქვე, გვ. 25.
[3] იქვე, გვ. 27.

ქვავებულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საგნებს. იგი აზროვნებს აშკარა უშუალო დაპირისპირებებით, ის ამბობს: „ჰო-ჰო, არა-არა, ამას გარდა ყოველივე ბოროტებაა“. მისთვის საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს; აგრეთვე შეუძლებელია საგანი ერთსა და იმავე დროს თავის თავიც იყოს და სხვაც. დადებითი და უარყოფითი აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთმანეთს. მიზეზი და შედეგიც ერთიმეორისადმი გაქვავებულ დაპირისპირებაშია“ [1].

მეტაფიზიკური მეთოდი ცალმხრივი, შეზღუდული, აბსტრაქტულია.

მეტაფიზიკა ცალკეულ საგნებში მათ კავშირს ივიწყებს. მათს მდგრადობაში — წარმავლობას, უძრაობის იქით ვერ ხედავს მოძრაობას, ხეებს იქით — ტყეს.

მეტაფიზიკის საწინააღმდეგოდ დიალექტიკა ცნობს: ა) მოვლენათა საყოველთაო კავშირსა და ურთიერთზემოქმედებას, ბ) საყოველთაო ცვალებადობასა და განვითარებას, გ) პოლარულ დაპირისპირებულობებს და მათ ურთიერთგანმსჭვალვას. „ზუსტი წარმოდგენა სამყაროზე, მის განვითარებასა და კაცობრიობის განვითარებაზე, ისევე როგორც ამ განვითარების ასახვაზე ადამიანთა თავებში, შეიძლება შეძენილ იქნეს მხოლოდ დიალექტიკური გზით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუდამ მხედველობაში მივიღებთ ქმნადობისა და წარმავლობის, პროგრესული და რეგრესული ცვლილებების საერთო ურთიერთ ზეგავლენას“ [2].

დიალექტიკური თვალსაზრისი ახალ ფილოსოფიაში ჰეგელმა განავითარა. მან მთელი ბუნებრივი, ისტორიული და სულიერი სამყარო მუდმივი მოძრაობა-ცვალებადობის, გარდაქმნა-განვითარების პროცესად წარმოსახა, სცადა საყოველთაო მოძრაობა-განვითარებაში შინაგანი კავშირის გამომჟღავნება. მაგრამ საკუთარი ცოდნის და მთელი იმდროინდელი ეპოქის ცოდნათა შეზღუდულობის, ამასთან, იდეალისტური საფუძვლის გამო ჰეგელის დიალექტიკა ხელოვნური, მოგონილი, დამახინჯებული აღმოჩნდა.

მარქსის დიალექტიკა მატერიალისტურია, ჰეგელის დიალექტიკისაგან ძირეულად განსხვავებით, იგი აღიარებს თვით მატერიალური სამყაროს მოძრაობა-განვითარებას, რაც დასტურდება ბუნებისმეტყველების უახლესი მიღწევებით და მათი განზოგადებით. მატერიალისტურ საფუძველზე არკვევს მარქსის მსოფლმხედველობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასაც. მართალია, ჰეგელი ცნობდა საზოგადოების განვითარებას, მაგრამ ისტორიის ჰეგელისეული გაგება იდეალისტური იყო. მარქსმა იდეალიზმი გააძევა ისტორიის გაგები-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურინგი, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 29.

დანაც, აღმოაჩინა გზა, რომ ადამიანთა შეგნება ახსნილიყო მათი ყოფიერებით და არა პირიქით. ამით მოისპო იდეალიზმის უკანასკნელი თავშესაფარი.

„ის, რაც მთელი ადრინდელი ფილოსოფიიდან დამოუკიდებელ მნიშვნელობას კიდევ ინარჩუნებს, არის მოძღვრება აზროვნებისა და მისი კანონების შესახებ — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა“[1].

მატერიალისტური დიალექტიკის შემუშავებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ მისი გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი გახდა თვით კაპიტალისტური წარმოების წესის, მისი ისტორიული ხასიათის ახსნა, რაც თავის მხრივ აუცილებელი გზა იყო უტოპიური სოციალიზმის მეცნიერულ სოციალიზმად გადაქცევისათვის.

ისტორიის მატერიალისტური გაგების და ზედმეტი ღირებულების თეორიის შემუშავებას ფ. ენგელსი კ. მარქსის ორ დიდი აღმოჩენას უწოდებს. ეს აზრი ფ. ენგელსმა გაიმეორა კ. მარქსის დასაფლავებისას წარმოთქმულ სიტყვაში 1883 წლის 17 მარტს.

„ა ნ ტ ი-დ ი უ რ ი ნ გ ი ს“ პირველი განყოფილებიდან (ფილოსოფია) მიზანშეწონილია გამოვყოთ და შევეხოთ რამდენიმე ძირითად საკითხს:

1. ფილოსოფიის პრინციპების აპრიორისტული გაგების კრიტიკა; 2. სამყაროს მატერიალური ერთიანობის საკითხი; 3. დრო და სივრცე; 4. მოძრაობა; 5. სიცოცხლე; 6. ჭეშმარიტება; 7. თავისუფლება და აუცილებლობა; 8. დიალექტიკის კანონები.

შევჩერდეთ ამ საკითხებზე ცალ-ცალკე.

ფილოსოფიის პრინციპების აპრიორისტული გაგების კრიტიკა. განყოფილება „ფილოსოფიის“ დასაწყისში ფ. ენგელსი აკრიტიკებს დიურინგის შეხედულებას ფილოსოფიის დანაწილების შესახებ. დიურინგი აგდებით ლაპარაკობს ჰეგელზე, როგორც „ვიღაც ჰეგელზე“, სინამდვილეში კი იგი ფილოსოფიას ისევე სამ ნაწილად ყოფს როგორც ჰეგელი. ჰეგელის „ენციკლოპედია“ შედგებოდა ნაწილებისაგან: ლოგიკა, ბუნების ფილოსოფია, სულის ფილოსოფია. დიურინგი კი ფილოსოფიას ასე ყოფს: ზოგადი მსოფლიო სქემატიკა, მოძღვრება ბუნების პრინციპებზე, მოძღვრება ადამიანზე. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ფილოსოფიის დანაწილების დარგში დიურინგს არავითარი გადატრიალება არ მოუხდენია, პირიქით, მისი დანაწილება პირწმინდად ჰეგელის დანაწილებიდანაა გადმოღებული.

ასევე მოკლებულია ყოველგვარ სიახლეს დიურინგის მიერ ფილოსოფიის პრინციპების, ძირითადი დებულებების არსის გაგება. მისთვის, ისევე როგორც ჰეგელისათვის სამყარო ყირამალაა დაყენებუ-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 32.

ლი, რამდენადაც ქვეყნიერებას წინ უსწრებს სამარადისო მსოფლიო სქემები, ბუნება ამ ზოგადი სქემებისა და პრინციპების მიხედვით მიიმართება. მაგრამ, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, არავითარი ლოგიკური სქემები არ შეიძლება არსებობდეს ბუნებამდე. ეს ფორმები „აზროვნებას შეუძლია შექმნას და გამოიყენოს არა თავის თავიდან, არამედ მხოლოდ გარექვეყნიდან. ამრიგად, მთელი მიმართება უკუღმა ტრიალდება: პრინციპები ყველევა-ძიების გამოსავალ პუნქტს კი არ წარმოადგენენ, არამედ მის საბოლოო შედეგს. ისინი ბუნებასა და ადამიანთა ისტორიაზე კი არ გამოიყენება, არამედ ხდება მათგან მათი აბსტრაქცია... ესაა საქმის ვითარების ერთადერთი მატერიალისტური გაგება, ხოლო ბატონი დიურინგის საწინააღმდეგო თვალსაზრისი იდეალისტურია, საქმის ვითარებას ყირამალა აყენებს, ნამდვილ ქვეყნიერებას აგებს აზრიდან“[1].

როგორც ამას იდეალური მხარის წარმოშობისა და განვითარების ისტორია გვიჩვენებს, იდეალურ მხარეს სხვა დანიშნულება არა აქვს გარდა იმისა, რომ გარესამყაროს ასახვის გზით ცოცხალ ორგანიზმს მისცეს ბუნების მოვლენებში ობიექტურად მიზანშეწონილი ორიენტაციის ძალა. იგივე ითქმის ადამიანის ცნობიერებაზეც, მაგრამ იმ თვისებრივი განსხვავებით, რომ ადამიანი პასიურად კი არ ეგუება ბუნებას, არამედ აქტიურად გარდაქმნის მას ობიექტურ კანონზომიერებათა ცოდნის საფუძველზე. ამიტომ ცნობიერება, როგორც მატერიის პროდუქტი, როგორც განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის — ტვინის თვისება, არ ეწინააღმდეგება მის მშობელს — მატერიას. იდეალიზმის გამოსავალი პრინციპი ცნობიერების და მატერიის აბსოლუტური წინააღმდეგობის შესახებ ყალბი და არამეცნიერულია.

ფ. ენგელსი ეკამათებოდა დიურინგს, და აღნიშნავდა:

„... ადამიანის ტვინის ქმნილებანი, რომელნიც საბოლოო ინსტანციაში ბუნების პროდუქტებიც არიან, ბუნების დანარჩენ კავშირს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ შეესაბამებიან“[2].

ამრიგად, დიურინგმა აზროვნება ჩამოაშორა მის ერთადერთ, ნამდვილ საფუძველს — მატერიას, აზროვნების შედეგები განიხილა აპრიორისტულად, ცდისეული წყაროსაგან მოწყვეტით, ცდის გამოუყენებლად. მაგრამ, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, არა მარტო ფილოსოფიას, არამედ თვით წმინდა მათემატიკასაც კი თავისი ძირები მიწიერ, მატერიალურ სამყაროში აქვს გადგმული. მათემატიკის „რიცხვისა და ფიგურის ცნებები არსაიდან არ არის ამოღებული, გარდა ნამდვილი

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 43.

[2] იქვე, გვ. 44.

ქვეყნიერებისა. ყველაფრად შეიძლება მივიჩნიოთ ათი თითი, რომელზედაც ადამიანმა დათვლა, მაშასადამე, პირველი არითმეტიკული ოპერაციების წარმოება ისწავლა, მხოლოდ არა გონების თავისუფალ ქმნილებად" [1].

სინამდვილეში მათემატიკა შეისწავლის სწორედ ნამდვილი ქვეყნიერების სივრცის ფორმებს და რაოდენობრივ ურთიერთობებს და მისი წარმოშობა, სხვა მეცნიერებათა წარმოშობის მსგავსად ადამიანთა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ებ ი თ ა ა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი. მოთხოვნილება მათემატიკაზე მაშინ გაჩნდა, როცა ადამიანებს პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის დასჭირდათ მიწის ნაკვეთების ფართობის გაზომვა, ჭურჭლის მოცულობის გაზომვა, დროის გამოანგარიშება. ამრიგად, მათემატიკა ცდისეული წარმოშობისაა, „ტლანქი სინამდვილიდან არის აღებული" (ფ. ენგელსი). მართალია, მათემატიკა აბსტრაქტულ ფორმაში გვევლინება მაგრამ ეს ვერ ჩქმალავს მის წარმოშობას გარეგანი ქვეყნიერებიდან.

იგივე ითქმის ფილოსოფიის პრინციპების, მისი ძირითადი დებულებების შესახებ, რომლებიც წმინდა აზროვნების პროდუქტს კი არა, არამედ გარეგანი სამყაროდან გამოყვანილ განზოგადებებს წარმოადგენენ, თავისი წარმოშობით რეალური სამყაროდან გამომდინარეობენ.

სამყაროს მატერიალური ერთიანობა. პარაგრაფში „მსოფლიო სქემატიკა" ფ. ენგელსი განიხილავს სამყაროს მატერიალური ერთიანობის საკითხს, აკრიტიკებს დიურინგის თვალსაზრისს ამ საკითხთან დაკავშირებით.

დიურინგი არ უარყოფს სამყაროს ერთიანობას; ამასთან სამყაროს ერთიანობა დიურინგისათვის მის არსებობაშია. ფ. ენგელსი აკრიტიკებს დიურინგს სამყაროს ერთიანობის არასწორი გაგების გამო. სამყაროს ერთიანობა, რასაკვირველია, თავისთავად გულისხმობს მის არსებობას. ყველა ნივთს სამყაროში საერთო აქვს ის, რომ არსებობს, არსებობის პრედიკატი ყველას მიეწერება. ისე რომ, სამყარო ჯერ უნდა არსებობდეს, სანამ ე რ თ ი ა ნ ი გახდებოდეს. მაგრამ არსებობა არ შეიძლება მივიჩნიოთ სამყაროს ერთიანობის საფუძვლად. იგი შეიძლება არამატერიალურ, ფანტასტიკურ ძალებსაც მიეწეროს. ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ „სამყაროს ნამდვილი ერთიანობა მის მატერიალობაში მდგომარეობს" [2], რაც ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების ხანგრძლივი განვითარებით მტკიცდება.

სამყარო ერთიანია იმის გამო, რომ იგი მატერიალურია, მისი ერ-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 46—47.
[2] იქვე, გვ. 53.

თანობა მისსავე მატერიალურობაში ვლინდება. ფ. ენგელსის ამ დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველგვარი იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ყოველგვარი შეზღუდულ-მატერიალისტური თვალსაზრისის დაძლევისათვის.

სივრცე და დრო. დიურინგის მიხედვით, სამყარო თავდაპირველად იმყოფებოდა თავისთავის თანასწორ მდგომარეობაში, როცა მას არ ახასიათებდა არც დროული, არც ვრცეული მაჩვენებლები. ამასთან, იგი აღიარებდა დროისა და სივრცის უსასრულობას. გამოდის, რომ, დიურინგის თანახმად, სამყაროს დასაწყისი აქვს, დასასრული კი არა.

ფ. ენგელსი აკრიტიკებს დიურინგს და აღნიშნავს, რომ სამყარო მარადიულია დროში და დაუსრულებელია სივრცეში.. უაზრობაა სამყაროს დასაწყისი ვცნოთ და ეს თეზისი სამყაროს უსასრულობის მოთხოვნას შევუთავსოთ. „უსასრულობა, რომელსაც დასასრული აქვს, მაგრამ დასაწყისი კი არა, არა მეტად და არა ნაკლებად დაუსრულებელია, ვიდრე უსასრულობა, რომელსაც დასაწყისი აქვს, მაგრამ დასასრული კი არა“ [1]. დრო და სივრცე უ ს ა ს რ უ ლ ო ა: უსასრულობა იმას ნიშნავს, რომ არ არის „დასასრული ა რ ა ვ ი თ ა რ ი მიმართულებით, არც წინ, არც უკან, არც ზევით, არც ქვევით, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“ [2]. თუ დროს წარმოვიდგენთ როგორც ერთი წერტილიდან გამომავალ ხაზს, ამით ჩვენ უსასრულობას ცალმხრივ ხასიათს ვაძლევთ. ვინაიდან მის დასაბამს ვცნობთ.

„ანტი-დიურინგის“ ამ ნაწილში ფ. ენგელსი გამოთქვამს უმნიშვნელოვანეს დებულებას დროისა და სივრცის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ დრო და სივრცე მატერიის, ყოფიერების არსებობის ფორმებია, და რომ ყოფიერება ისევე წარმოუდგენელია სივრცის გარეშე, როგორც დროის გარეშე. სამყარო გულისხმობს მოვლენათა უსასრულო თანაარსებობას. ამას გამოხატავს სივრცე. იგი გულისხმობს აგრეთვე მოვლენათა მარადიულ თანამიმდევრობას — ამას კი დრო გამოხატავს.

მოძრაობა. დიურინგს მიაჩნდა, რომ მატერია თავდაპირველად უმოძრაო მდგომარეობაში იმყოფებოდა; მაგრამ იგი შემდეგ გამოვიდა თავის თავისადმი თანაბარი მდგომარეობიდან. ასე განხორციელდა გადასვლა უმოძრაობიდან მოძრაობაზე. დიურინგს ჰეგელისაგან ჰქონდა აღებული იდეა სამყაროს თავდაპირველი უმოძრაო მდგომარეობის შესახებ. ჰეგელისთვისაც არსი „თავისთავად“, არსის „თავისთავადი“ იგივეობა შეიცავს განუვითარებელ დაპირისპირებულობას, რაც შემდეგ გათიშვაში გადადის. ზუსტად ასევე, დიურინგის

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 61.
[2] იქვე, გვ. 60.

უმოძრაო თავდაპირველი მდგომარეობა მატერიისა და მექანიკური ძალის ერთიანობაა, რაც ირღვევა მოძრაობაზე გადასვლით. ფ. ენგელსი აკრიტიკებს ამ ფანტასტიკურ წარმოდგენას უმოძრაობიდან მოძრაობაზე გადასვლის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად „სად იყო იმ მდგომარეობაში მექანიკური ძალა და როგორ შეიძლებოდა, რომ გარეგანი ბიძგის, ე. ი. ღმერთის დაუხმარებლად აბსოლუტური უმოძრაობიდან მოძრაობაზე გადავსულიყავით“ [1].

სინამდვილეში, მატერია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს უმოძრაო სახით; მოძრაობა მატერიის შინაგანი ატრიბუტია, მისი არსებობის ფორმაა. „**მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა.** არსად და არასოდეს მატერია არ არსებულა უმოძრაოდ, არც შეიძლება არსებობდეს“ [2].

აქვე ფ. ენგელსი ასახელებს მატერიის მოძრაობის ძირითად ფორმებს: ა) მექანიკურ, ბ) ფიზიკურ, გ) ქიმიურ და დ) ორგანულ მოძრაობას.

მსგავსად იმისა, რომ მატერია არ არსებობს მოძრაობის გარეშე, არც მოძრაობა არსებობს მატერიის გარეშე. „უმოძრაობოდ მატერია ისევე წარმოუდგენელია, როგორც მოძრაობა უმატერიოდ“ [3]. ამდენად მოძრაობა აბსოლუტურიცაა.

რაც შეეხება უმოძრაობასა და წონასწორობას მას აქვს მხოლოდ შეფარდებითი ხასიათი, მაგალითად, დედამიწაზე მექანიკურად უმოძრაოდ მყოფი სხეული მონაწილეობს დედამიწის გარშემო მოძრაობაში, აგრეთვე მზის სისტემის მოძრაობაში. საგანთა შეფარდებითი სიმყარის და წონასწორობის გარეშე შეუძლებელია თვით მათი თვისებრივი გარკვეულობაც. მაგრამ ეს შეფარდებითი უძრაობა და წონასწორობა საყოველთაო მოძრაობის მომენტია. „ყოველი უძრაობა, ყოველი წონასწორობა მხოლოდ შეფარდებითია, მათ აზრი აქვთ მხოლოდ ამა თუ იმ განსაზღვრული მოძრაობის ფორმის მიმართ“ [4].

დარვინის თეორიის შეფასება. სიცოცხლის ცნება. თავში „ნატურფილოსოფია, ორგანული სამყარო“ ფ. ენგელსი უწინარეს ყოვლისა გვაძლევს დარვინის თეორიის შეფასებას. იგი უსაყვედურებს დიურინგს იმ დებულების გამო, რომ დარვინმა ოითქოს მალთუსის თეორია გადაიტანა პოლიტიკური ეკონომიიდან ბუნებისმეცნიერებაში.

სინამდვილეში „დარვინს აზრადაც არ მოსვლია ეთქვა, არსებობი-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 71.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 72.
[4] იქვე.

სათვის ბრძოლის იდეის წარმოშობა მალთუსის აზროვნებაში უნდა ვეძებოთო“ [1].

დარვინის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ა) დაადგინა მცენარეებისა და ცხოველების სახეთა ცვალებადობა, ბ) გამოიკვლია და აღმოაჩინა ის ობიექტური საფუძველი, რომელიც იწვევს სახეთა ცვალებადობას — ბუნებრივი შერჩევა ყველაზე უფრო შეგუებულთა გადარჩენის შემწეობით, გ) შეიმუშავა სახეთა განვითარების თეორია.

რაც შეეხება დიურინგის საყვედურს დარვინის მიმართ, როგორც ამას ფ. ენგელსი წერს, „სრულიადაც არაა საჭირო მალთუსის სათვალეები, რათა ბუნებაში არსებობისათვის ბრძოლა შეევამჩნიოთ... ბუნებაშიც შეიძლება არსებობისათვის ბრძოლას ადგილი ჰქონდეს ყოველივე მალთუსიანური ინტერპრეტაციის გარეშეც“ [2].

სიცოცხლის ცნება. — დიურინგის თანახმად, სიცოცხლე არსებობს როგორც ნივთიერების ცვლის ფორმა, ხოლო შეგრძნება, როგორც ცოცხალი არსების თვისება დაკავშირებულია თუნდაც მარტივ ფიზიოლოგიურ აპარატთან.

ფ. ენგელსი აკრიტიკებს სიცოცხლის ამგვარ გაგებას, რამდენადაც ნივთიერებათა ცვლა სიცოცხლის გარეშეც არსებობს.

„სიცოცხლე არის ცილოვანი სხეულების არსებობის წესი, და არსებობის ეს წესი არსებითად ამ სხეულების ქიმიური შემადგენელი ნაწილების მუდმივ თვითგანახლებაში მდგომარეობს“ [3].

ამასთან, შეგრძნების უნარი, როგორც ამას ენგელსი აღნიშნავდა დიურინგთან კამათის დროს, არ წარმოადგენს მხოლოდ ნერვული აპარატის მქონე ცოცხალი ორგანიზმის კუთვნილებას, არამედ „დაკავშირებულია ერთგვარ ცილოვან სხეულებთან“ [4] (თანამედროვე ბუნებისმეტყველების თანახმად, აგრეთვე ნუკლეინის მჟავებთან), თუმცა თავის მხრივ, შეგრძნების განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა ნერვული სისტემის წარმოშობა-განვითარებამ.

გამღიზიანებლობა ცოცხალი ორგანიზმების ერთ-ერთი არსებითი თვისებაა. ცოცხალ არსებას განსაკუთრებული მოლეკულარული აგებულების გამო უნარი შესწევს პროტოპლაზმის სტრუქტურული ცვალებადობით უპასუხოს გარეგანი გამღიზიანებლების ზემოქმედებაზე. ამასთანავე, მას შემდეგ, რაც ცოცხალი ორგანიზმი პასუხს იძლევა სხვადა-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 82.
[2] იქვე, გვ. 82—83.
[3] იქვე, გვ. 96.
[4] იქვე, გვ. 95.

სხვაგვარი აგენტის გარკვეულ ზემოქმედებაზე, კვლავ უბრუნდება პირველყოფილ სტრუქტურულ მდგომარეობას და ინარჩუნებს მზაობას პასუხისათვის გარეგანი გამღიზიანებლების მიმართ.

ცილოვან არსებათა გაღიზიანების უნარი არის ცოცხალი ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი ასახვის უმარტივესი ფორმა.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ნივთიერების ცვლიდან, რომელიც ცილის არსებითი ფუნქციაა, გამომდინარეობს სიცოცხლის ყველა დანარჩენი, უმარტივესი ფაქტორი: „გაღიზიანების უნარი, რომელიც უკვე იგულისხმება ცილისა და მისი საკვების ურთიერთმოქმედებაში, შეკუმშვის უნარი, რომელიც უკვე მეტად დაბალ საფეხურზე იჩენს თავს საკვების შთანთქმის დროს; ზრდის უნარი, რომელიც უდაბლეს საფეხურზე გულისხმობს გამრავლებას გაყოფის შემწეობით; შინაგანი მოძრაობა ურომლისოდაც შეუძლებელია როგორც საკვების შთანთქმა, ისე მისი ასიმილაცია“ [1].

სამარადისო ჭეშმარიტება. ე. დიურინგი ცნობდა სამარადისო, უცვლელ ჭეშმარიტებას, უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებას. „ნამდვილი ჭეშმარიტებანი საზოგადოდ არ არიან ცვალებადნი. სასულელეა წარმოვიდგინოთ თითქოს შემეცნების სისწორე დამოკიდებული იყოს დროისა და რეალური ცვლილებებისაგან“[2] — წერდა იგი.

სინამდვილეში ადამიანური შემეცნების პროდუქტებს არ შეუძლიათ სუვერენული მნიშვნელობა იქონიონ და ჭეშმარიტებაზე უცილობელი პრეტენზია განაცხადონ. ერთი მხრივ, ადამიანური აზროვნება, სუვერენული, შეუზღუდველია, ვინაიდან მას უნარი შესწევს შეიცნოს სამყარო, შეიმუშაოს ჭეშმარიტი ცოდნა სინამდვილის საგნებსა და პროცესებზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანის აზროვნება არასუვერენული, შეზღუდულია, ვინაიდან ყოველ მოცემულ პირობებში, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზების გამო, მას არ შეუძლია ამომწურავი ცოდნა შეიმუშაოს სინამდვილეზე. ისე რომ. „აზროვნების სუვერენობა ხორციელდება უაღრესად არასუვერენულად მოაზროვნე ადამიანების მთელ რიგში... იგი სუვერენული და შეუზღუდველია ნიჭის, მოწოდების, შესაძლებლობის, ისტორიული საბოლოო მიზნის მიხედვით; არასუვერენული და შეზღუდულია განცალკევებული განხორციელებისა და ამა თუ იმ დროს მოცემული სინამდვილის მიხედვით“ [3].

ფ. ენგელსი გამოყოფს შემეცნების სამ ძირითად სფეროს: საბუ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 98.
[2] იქვე, გვ. 100.
[3] იქვე, გვ. 102—103.

ნებისმეტყველო, ისტორიულ და აზროვნების დარგებს და თითოეულის მიმართ ასაბუთებს, რომ ადამიანურ შემეცნებას არა აქვს ჭეშმარიტების უპირობო პრეტენზია; საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი — მათემატიკა, ასტრონომია, მექანიკა, ფიზიკა, ქიმია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზუსტ მეცნიერებებს უწოდებენ, სულ უფრო და უფრო ადასტურებენ უკვე მოპოვებულ ჭეშმარიტებათა შეფარდებით ხასიათს. იგივე მდგომარეობაა გეოლოგიის, ბიოლოგიის და სხვა საბუნებისმეტყველო დარგებში, სადაც ახალი აღმოჩენები გვაიძულებენ „სრულს რევიზიას დავუქვემდებაროთ უკანასკნელი ინსტანციის ყველა დღემდე დადგენილი საბოლოო ჭეშმარიტება“ [1].

აბსოლუტურ ჭეშმარიტებათა მოპოვება კიდევ უფრო რთულდება ისტორიულ მეცნიერებათა დარგში, რომელიც. ფ. ენგელსის თქმით, ბევრად უფრო ჩამორჩენილია საბუნებისმეტყველო დარგებთან შედარებით.

ადამიანის აზროვნების კანონების კვლევაშიც დღემდე განვითარებულია სრულიად სხვადასხვაგვარი შეხედულებანი და აქაც საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებანი ნაკლებად არის გაბნეული.

ჭეშმარიტებას და ცდომილებას აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს არა საზოგადოდ, არამედ შეზღუდულ პირობებში. ამ ფარგლებს იქით ჭეშმარიტება ცდომილება ხდება, ხოლო ცდომილება — ჭეშმარიტება, მაშასადამე, ჭეშმარიტება შეფარდებითი, რელატიურია, ამასთან შეცდომათა გროვაში ყოველთვისაა „ჭეშმარიტების მარცვალი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭეშმარიტების აბსოლუტურობაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ იგი შემეცნების დაუსრულებელ პროცესში ჰპოვებს თავის განსახიერებას, არამედ მისი პრაქტიკული განხოციელების თვალსაზრისითაც შემეცნების განვითარების ყოველ მოცემულ საფეხურზე. ბუნებრივია, რომ ადამიანთა შემეცნებით მოღვაწეობას დღემდე ფუჭად არ ჩაუვლია და კაცობრიობას, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯი აქვს გადადგმული შემეცნების განვითარების აღმავალ ხაზზე. თუ საკითხის ამ მხარეს შევეხებით, მაშინ აბსოლუტურ, მარადიულ ჭეშმარიტებად უნდა ჩავთვალოთ ადექვატური ცოდნა საგანთა და მოვლენათა შესახებ.

ჭეშმარიტების მხოლოდ აბსოლუტური ბუნების, ისევე როგორც მხოლოდ მისი შეფარდებითობის აღიარება, მის მეტაფიზიკურ, ცალმხრივ გაგებას ნიშნავს.

თავისუფლება და აუცილებლობა. „ანტი-დიურინგის“ პირველ განყოფილებაში სპეციალური თავი ეთმობა თავისუფლებისა და აუ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 105.

ცილებლობის საკითხს. ნაწილობრივ ეს საკითხი გარკვეულია აგრეთვე წიგნის მესამე განყოფილებაში. აღნიშნული პრობლემის სწორ გაგებას ფ. ენგელსი ჰეგელს მიაწერს.

„ჰეგელი პირველი იყო, ვინც სწორად გადმოსცა თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობა. მისი აზრით, თავისუფლება აუცილებლობის შეგნებაა. „აუცილებლობა ბრმაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არაა შეგნებული"[1].

მარქსისტული ფილოსოფია და სოციოლოგია ცნობს ერთმანეთთან დაკავშირებულ უზოგადეს მხარეებს — აუცილებლობასა და თავისუფლებას. გარემომცველი საზოგადოებრივი და ბუნებრივი სინამდვილე ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ, ობიექტურ აუცილებლობას ემორჩილება. საზოგადოება, განვითარების რა საფეხურზედაც არ უნდა იყოს იგი, გარკვეულ მიმართებას ამყარებს როგორც ბუნების, ისე მისსავე საკუთარ წიაღში მოქმედ აუცილებლობასთან. ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობის მიმართ ადამიანები შეიძლება აღმოჩნდნენ ან ბრმა მორჩილების, ან კიდევ ბატონობის მდგომარეობაში. პირველ შემთხვევაში მათზე ბატონობენ ბუნებისა და საზოგადოების ძალები, მეორე შემთხვევაში ისინი თავისუფალი არიან, ვინაიდან თვითონ აიძულებენ ბუნებასა და საზოგადოების ძალებს იმოქმედონ ადამიანთა მიზნების შესაბამისად. მას შემდეგ, რაც საზოგადოება წარმოიშვა, ადამიანები ამა თუ იმ ფორმით ამყღავნებენ გარკვეულ თავისუფლებას ობიექტური აუცილებლობის მიმართ. მაშასადამე, აუცილებლობასთან ერთად საზოგადოებაში ყოველთვის აქვს ადგილი თავისუფლებასაც.

თავისუფლება სოციალური მოვლენაა და მხოლოდ ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი. აუცილებლობა კი არ ახასიათებს მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მოვლენათა შორის კანონზომიერი, აუცილებელი კავშირი მთელ სამყაროში არსებობს. მაგრამ, თუ გადმოვრიცხავთ ადამიანს, ორგანული და მით უმეტეს არაორგანული სამყაროს მოვლენები და პროცესები ბრმად არიან გახლართული აუცილებელ კავშირთა ქსელში, სტიქიურად ემორჩილებიან აუცილებლობას. აქ ერთმანეთზე მოქმედებენ თავისთავადი სტიქიური ძალები, ხოლო ობიექტური აუცილებლობა ამ ძალთა ურთიერთმოქმედებაში მეღავნდება. ბუნებაში ყოველგვარი მოქმედება, ისევე როგორც ამ მოქმედების შედეგები, მხოლოდ ამ აუცილებლობის სხვადასხვა მხარეებს გამოხატავენ. აქ არ ჩანს ძალა, რომელიც მოუბრუნდება აუცილებლობას და თავის სასარგებლოდ წარმართავს მას, ბუნებაში საერ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 135.

თოდ არ არიან მიზნის დამსახველი და მიზნის მიმდევნი ძალები, ამიტომ ამ სფეროში განუყოფლად ბატონობს ბრმა აუცილებლობა.

ადამიანი ერთადერთი არსებაა სამყაროში, რომელსაც უნარი შესწევს პასიურად კი არ გაჰყვეს ობიექტურ აუცილებლობას, არამედ გაიგოს და გამოიყენოს იგი თავისი ინტერესებისათვის. ამის მიღწევა ადამიანისათვის შეუძლებელია მისი განვითარების ცხოველურ სტადიაზე. აქ მის წინაშე ჯერ კიდევ არ დგას ბუნებისაგან გამოყოფის და ბუნებისადმი აქტიური დაპირისპირების ამოცანა.

შეგნებულ ადამიანს არ აკმაყოფილებს ბუნებრივი პროცესების თავისთავადი მსვლელობა, იგი არ სჯერდება იმას, რაც მოცემულია ბუნებაში, და ისეთ პირობებში აყენებს ბუნების ძალებს, რომ მათგან მიიღოს ის, რაც ადრე მზამზარეული სახით არ მოიპოვებოდა. ადამიანს შეუძლია ობიექტურ აუცილებლობათა შეცნობის საფუძველზე იმოქმედოს ისე, რომ არ აღმოჩნდეს ობიექტურ ძალთა ტყვეობაში, იბატონოს ობიექტურ აუცილებლობაზე, ე. ი. იყოს თავისუფალი. „თავისუფლება მდგომარეობს ბუნებრივ აუცილებლობათა ...შემეცნებაზე დაყრდნობილ ბატონობაში თვით ჩვენ თავზე და გარეგან ბუნებაზე"[1].

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით საზოგადოებას შეუძლია იყოს თავისუფალი. იგი თავისუფალია მაშინ, როდესაც ბრმად კი არ ემორჩილება ობიექტურ კანონებს, არამედ შეიცნობს და თავის სასარგებლოდ იყენებს მათ, როდესაც გაბატონდება ობიექტურ აუცილებლობაზე. თავისუფლება მდგომარეობს ობიექტურად მოქმედ ძალებზე გაბატონებაში, რასაც აღწევენ ადამიანები პრაქტიკულად, თუკი შეცნობილი აქვთ ეს ძალები და აიძულებენ მათ გეგმიანად მოქმედებდნენ გარკვეული მიზნებისათვის. მაგალითად, ვიდრე ადამიანები შეიცნობდნენ ცეცხლის თვისებებს და გამოძებნიდნენ სითბური პროცესების რეგულირების საშუალებებს, ცეცხლი მოქმედებდა როგორც ბუნების მრისხანე სტიქიური ძალა, რომელსაც პასიურად ემორჩილებოდნენ ჩვენი შორეული წინაპრები. მაგრამ მათ თანდათანობით ისწავლეს ხანძრის ჩაქრობის, ცეცხლის დანთების და მისი საშუალებით ხორცის მოხარშვისა და შეწვის, საოჯახო და საწარმოო დანიშნულებისათვის ცეცხლის გამოყენების წესები, რითაც ბუნების ეს სტიქიური ძალა თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოიყენეს. ცხადია, ცეცხლი ცეცხლად რჩება მაშინაც, როცა იგი იწვევს ხანძარს და მაშინაც, როცა მისი გამოყენებით ადამიანები ამზადებენ საჭმელს, ათბობენ ბინებს, ადნობენ ლითონს და ა. შ. თუ იგი ჩვენს კონტროლს არ დავუქვემდებარეთ, იგი მოქმედებს გამანადგურებელი ძალით, თუ ვისწავლეთ მისი გამოყენების ხერხები და ცეცხლის მოქმედება ჩვენი მიზნე-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 136.

ბის დასაკმაყოფილებლად წარვმართეთ, მაშინ იგი ადამიანის ერთგულ-მსახურად იქცევა. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ელექტრობის, წყლის ენერგიისა და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენების შესახებ, რომელთა კანონზომიერებას ადამიანი შეიცნობს და თავის სამსახურში აყენებს. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა აგრეთვე საზოგადოებრივი ძალების მიმართაც. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ „საზოგადოებრივი ძალები სავსებით ისევე მოქმედებენ, როგორც ბუნების ძალები: ბრმად, ძალდატანებით, გამანადგურებლად, სანამ ჩვენ მათ არ შევიცნობთ და ანგარიშს არ გავუწევთ, ხოლო რაკიღა მათ ერთხელაც არის უკვე შევიცნობთ, გავიგებთ მათ მოქმედებას, მათ მიმართულებას, მათ ზეგავლენებს, უკვე ჩვენზეა დამოკიდებული მათი თანდათან დამორჩილება ჩვენი ნებისყოფისადმი და მათი შემწეობით ჩვენი მიზნების მიღწევა... ეს ისეთივე განსხვავებაა, როგორიც გამანადგურებელი მეხის ელექტრობასა და ტელეგრაფის ან რკალური ნათურის დაურვებულ ელექტრობას შორის არსებობს, ან კიდევ ისეთი განსხვავებაა, როგორიც ხანძარსა და ადამიანის სასარგებლოდ მოქმედ ცეცხლს შორის არსებობს"[1].

საზოგადრებრივი წარმოების განვითარება კაპიტალიზმის დროს გარდუვალად იწვევს დაპირისპირებას საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის, რაც გამოხატულებას პოვებს წარმოების ანარქიასა, კრიზისებსა, უმუშევრობასა, ბაზრებისა და ნედლეულის ბაზებისათვის გააფთრებულ ბრძოლასა და სხვა მოვლენებში. კერძო კაპიტალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე არამცთუ არ იძლევა საწარმო ძალების გეგმაზომიერად ზრდისა და მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის მათი გამოყენების შესაძლებლობას, არამედ იქცევა მათი შემდგომი წინსვლის მუხრუჭად და წარმოებას მწარმოებელთა წინააღმდეგ მიმართავს.

მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სტიქიურად მოქმედი ეკონომიკური კანონები შეიძლება დემონური მბრძანებლებიდან მორჩილ მსახურებად იქცნენ, თუ მათ შევიცნობთ და შეგნებულად გამოვიყენებთ, თუ წარმოების, მითვისების და გაცვლის წესი რევოლუციური გზით შეგუებული იქნება საწარმოო საშუალებების საზოგადოებრივ ხასიათთან (ფ. ენგელსი).

მუშათა კლასმა მშრომელ მასებთან კავშირში განახორციელა უდიდესი სოციალისტური გადატრიალება, გზა გაუკაფა სოციალური განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა მოქმედებას სოციალისტური რევოლუციის საფუძველზე. სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალები შესაბამისობაშია, შოყვანილი, წარმოებით ურთიერთობებთან, საკუთრების საზოგადოებრივ ფორმასთან, საზოგადოებრივი განვითარე-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 332—333.

ბის კანონები შეგნებულადაა გამოყენებული მშრომელი მასების ინტერესებისათვის.

როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური საზოგადოება გარკვეულ ობიექტურ კანონზომიერებებს ემყარება, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს კანონები ბატონდებიან ადამიანებზე, სოციალიზმის დროს კი ობიექტური აუცილებლობა შეცნობილია საზოგადოების მიერ და მის სამსახურშია ჩაყენებული.

ამით დასტურდება, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლების მოპოვება ბუნების და საზოგადოების აუცილებლობის მიმართ.

დიალექტიკის კანონები. *რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი.* მატერიალისტური დიალექტიკა ბუნების, საზოგადოების და აზროვნების მოვლენებსა და პროცესებს განიხილავს მუდმივი ცვალებადობისა და წინსვლითი მოძრაობის მდგომარეობაში. ამასთან იგი აღიარებს, რომ ყოველგვარ თვისებრივ შეცვლას წინ უსწრებს გარკვეული რაოდენობრივი ცვლილებები, რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვებას საბოლოო ანგარიშით საგნის თვისებრივი შეცვლა მოსდევს.

მატერიალისტური დიალექტიკა არ ცნობს განვითარებას ძველი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში გადასვლის გარეშე. ყოველი მოვლენა მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში ინარჩუნებს თავის თვისებრივ გარკვეულობას; ეს ხდება მანამდე, სანამ არ ირღვევა მოვლენისთვის დამახასიათებელი რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების ერთიანობა, მისი ზომა. მაგრამ მიუხედავად რაოდენობის გულგრილობისა თვისებრიობისადმი, წვრილ-წვრილი რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვება გარდუვალად იწვევს ზომის დარღვევას, ძველი თვისებრიობის მოხსნას და ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლას, რაც ნახტომისებური ბუნებისაა. განვითარების პროცესი შეუძლებელია ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორე თვისებრივ მდგომარეობაზე, მარტივიდან რთულზე გადასვლის გარეშე, რაც მოასწავებს თანდათანობის გაწყვეტას, ნახტომს, ძირეულ გარდატეხას. „ყოველივე თანდათანობის მიუხედავად გადასვლა მოძრაობის ერთი ფორმიდან მეორე ფორმაზე ყოველთვის ნახტომად, გადამწყვეტ შემობრუნებად რჩება“ [1].

აქედან გამომდინარე, მარქსისტული დიალექტიკა მოითხოვს, რომ განვითარების პროცესი გავიგოთ როგორც წინსვლითი მოძრაობა, მოძრაობა აღმავალი ხაზით, როგორც გადასვლა ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე, მარტივიდან რთულისაკენ, დაბალიდან უმაღლესისაკენ.

რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში და პი-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 79.

რუკუ გადასვლის კანონის არსებობას ფ. ენგელსი ადასტურებს მთელი რიგი მაგალითებით. სახელდობრ, რომ ყოველი ღირებულების ჯამი კი არ გვაძლევს კაპიტალს, არამედ ღირებულებათა თანხას მხოლოდ მაშინ შეუძლია კაპიტალად იქცეს, როდესაც ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას აღწევს.

ფ. ენგელსს მოჰყავს აგრეთვე რამდენიმე მაგალითი ქიმიიდან, წყლის აგრეგატული მდგომარეობის შეცვლის შესახებ, რაც ტემპერატურის ცვლილების შედეგად ზღვრულ წერტილებში ხდება, ნახშირბადის ნაერთთა ჰომოლოგიურ რიგებზე და სხვ.

რაოდენობრივი ცვლილებები საგნის თვისებრივ ცვლილებებს იწვევს ისევე, როგორც საგნის თვისებრივი ცვლილება მის რაოდენობას ცვლის. ამას გამოხატავს კოოპერაციის ფაქტიც, როცა მრავალ ძალთა შეკავშირება ერთ საერთო ძალად არსებითად განსხვავდება მისი შემადგენელი ცალკეული ძალების ჯამისაგან. აქვე ფ. ენგელსი იმოწმებს ნაპოლეონს, რომლის აზრითაც მამელუკებთან ბრძოლაში საჭირო იყო ცხენოსანთა მინიმალური რაოდენობა, რათა თავი ეჩინა დისციპლინის ძალას, გეგმიან შემჭიდროებულ ერთობლივ მოქმედებას; ეს კი იწვევდა გამარჯვებას მოწინააღმდეგის უფრო დიდ და კარგი ცხენოსნებისაგან შემდგარ მასებზე.

რაოდენობრივი ცვლილებების თავისებრივ ცვლილებებად და პირუკუ გადასვლის კანონის დასამტკიცებლად, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, ასობით ფაქტების მოყვანა შეიძლება როგორც ბუნების, ისე ადამიანთა საზოგადოების სფეროდან.

მოძრაობისა და განვითარების წინააღმდეგობრივი ხასიათი. ე. დიურინგი უარყოფდა წინააღმდეგობის არსებობას რეალურ სამყაროში მისი შეხედულებით წინააღმდეგობა შეიძლება იყოს მხოლოდ აზროვნებაში, „აზრთა კომბინაციაში". მაშასადამე, დიურინგისათვის გაუგებარია რეალური წინააღმდეგობის მნიშვნელობა, ხოლო წინააღმდეგობა აზროვნებაში მისთვის იგივეა, რაც უაზრობა.

ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ სამყაროში წინააღმდეგობის დიალექტიკა ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბერძენმა ფილოსოფოსებმა შენიშნეს.

წინააღმდეგობა რეალურად არსებობს სამყაროში, თვით მარტივი მექანიკური მოძრაობა უკვე წინააღმდეგობის შემცველია, რამდენადაც სხეული ერთსა და იმავე მომენტში ერთ ადგილზეცაა და იმავე დროს მეორე ადგილზეც, ერთ და იმავე ადგილზე კიდეც იმყოფება და არც იმყოფება.

წინააღმდეგობის არსებობა დგინდება მატერიის მოძრაობის მაღალ ფორმებშიც, როგორიცაა, მაგალითად, ბიოლოგიური მოძრაობა, აზროვნება.

„თუ მარტივი მექანიკური მოძრაობა, უბრალო ადგილგადანაცვლება უკვე წინააღმდეგობას შეიცავს, მით უმეტეს ეს ითქმის მატერიის მოძრაობის უფრო მაღალ ფორმებზე და განსაკუთრებით ორგანულ სიცოცხლესა და მის განვითარებაზე. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ სიცოცხლე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის არსება ყოველ წუთს იგივეცაა და მაინც სხვაც. მაშასადამე, სიცოცხლე აგრეთვე თვით საგნებსა და პროცესებში არსებული, თავის თავის მუდამ დამდგენი და გადამწყვეტი წინააღმდეგობაა; და როგორც კი წინააღმდეგობა ისპობა, ისპობა სიცოცხლეც, სიკვდილი იწყება. ასევე ჩვენ დავინახეთ, რომ აზროვნების სფეროშიც ვერ გავექცევით წინააღმდეგობებს და, მაგალითად, წინააღმდეგობა ადამიანური შემეცნების შინაგანად განუსაზღვრელ უნარსა და მის ნამდვილ განხორციელებას შორის მხოლოდ ცალკე, გარეგნულად შეზღუდულ და შეზღუდულად შემცნობ ადამიანებში, იხსნება, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, პრაქტიკულად, ერთიმეორის მომდევნო თაობათა დაუსრულებელ რიგში, დაუსრულებელ პროგრესში“ [1].

ამრიგად, უაზრობაა არა წინააღმდეგობის დაშვება სამყაროში, არამედ წინააღმდეგობის უარყოფა.

უარყოფის უარყოფის კანონი. უ ა რ ყ ო ფ ი ს უ ა რ ყ ო ფ ი ს ა პ რ ი ო რ ი ს ტ უ ლ ი გ ა გ ე ბ ი ს კ რ ი ტ ი კ ა. ე. დიურინგი ბრალს სდებდა კ. მარქსს იმაში, რომ მას არ ეკუთვნის უარყოფის უარყოფის კანონის მეცნიერული შინაარსის შემუშავების დამსახურება. ამასთანავე, იგი იმოწმებდა ჰეგელს, რომლის ფილოსოფიიდანაც მარქსმა თითქოს უცვლელად აიღო უარყოფის უარყოფის კანონი და იგი თავისი მოძღვრების ქვაკუთხედად გამოაცხადა.

უფრო მეტიც, ე. დიურინგის შეხედულებით კ. მარქსს არ შეუძლია დაამტკიცოს სოციალური რევოლუციის აუცილებლობა, მიწის, აგრეთვე შრომით შექმნილ წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების შემოღების აუცილებლობა ჰეგელის უარყოფის უარყოფის კანონის მოშველიების გარეშე. ე. დიურინგის თანახმად, მარქსის მოძღვრებაში ჰეგელის უარყოფის უარყოფას „ბებია ქალის როლის შესრულება უხდება, რომლის შემწეობითაც მომავალი იბადება წარსულის წიაღიდან... ძნელი საფიქრელია, რომ რომელიმე გონიერმა კაცმა ჰეგელის ფანდების საფუძველზე, როგორიცაა უარყოფის უარყოფა, თავისი თავი დაარწმუნებინოს — მიწისა და კაპიტალის საზოგადოებრივი მფლობელობა აუცილებელიაო“[2].

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 144.

[2] იქვე, გვ. 154.

ფრ. ენგელსი აკრიტიკებდა დიურინგს და მიუთითებდა, რომ დიალექტიკა საერთოდ და უარყოფის უარყოფის კანონი კერძოდ, სრულიადაც არაა მარტივი დასაბუთების საშუალება; დიალექტიკის კანონები, მათ შორის უარყოფის უარყოფის კანონი არის ობიექტურად არსებული ისტორიული აუცილებლობის გამოხატულება. მაგალითად, კაპიტალიზმის გარდუვალი დაღუპვა გამომდინარეობს არა უარყოფის უარყოფის კანონის რწმენიდან, არამედ იმ მატერიალური პირობებიდან, რომელსაც თვით კაპიტალიზმი ქმნის.

„თუ მარქსი ამ პროცესს უარყოფის უარყოფას უწოდებს, იგი სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ამით მის ისტორიულ აუცილებლობას დაამტკიცებს. პირიქით: მას შემდეგ რაც მან ისტორიულად დაამტკიცა, რომ ეს პროცესი ნაწილობრივ უკვე მოხდა, ხოლო ნაწილობრივ ჯერ კიდევ უნდა მოხდეს, მხოლოდ ამის შემდეგ იგი მას ახასიათებს როგორც ისეთ პროცესს, რომელიც ამასთან განსაზღვრული დიალექტიკური კანონის მიხედვით სრულდება“[1].

. დიურინგის ეს ბრალდება ემყარება რწმენას, რომ მარქსმა უარყოფის უარყოფის კანონი მარტივად გადმოიტანა ჰეგელის ფილოსოფიიდან და აბსოლუტურად არ ემიჯნება მას ამ კანონის გაგებაში, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ფაქტიურ ვითარებას.

ასეთივე „საბუთით“ გამოდიოდა, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, მარქსიზმის წინააღმდეგ რუსეთში ნაროდნიკი მიხაილოვსკი, რომლის თანახმად, მარქსის მოძღვრება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის შესახებ თითქოს ჰეგელისეული ტრიადების „საშუალებით“ საბუთდება. ენგელსი უკუაგდებს უარყოფის უარყოფის კანონის აპრიორისტულ გაგებას და მთელი სიცხადით არკვევს თვისებრივ სიახლეს, რომელიც მარქსიზმმა შეიტანა ამ პრობლემის გადაწყვეტის მხრივ ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი დ ა დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი უ ა რ ყ ო ფ ა. საგანი ან მოვლენა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების საფუძველზე შესაძლებელია ისე შეიცვალოს, რომ მისგან არ წარმოსდგეს განვითარება. „ანტი-დიურინგში“ ფ. ენგელსს მოჰყავს ასეთი მაგალითი: „მე ქერის მარცვალს უარვყოფ იმ შემთხვევაშიც, როცა მას ვფქვავ, მწერს, როცა მას ვჭყლეტ, დადებით სიდიდეს a-ს, როდესაც მას ვშლი და ა. შ.“[2]. ამ შემთხვევაში, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, უარყოფის აქტი ნიშნავს საგნის „ამა თუ იმ რიგად განადგურებას“.

ანალოგიური წესით უარყოფის მრავალ ნიმუშს ვხვდებით აზროვნების ისტორიაში. მაგალითად: ლ. ფოიერბახმა უარყო ჰეგელის იდე-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 159—160.

[2] იქვე, გვ. 168.

ალისტური დიალექტიკა, რაც იმაში გამოიხატა, რომ უბრალოდ უკუაგდო იგი. ამის იქით კი აღარ წასულა. ლ. ფოიერბახმა, ფ. ენგელსის სიტყვით, ჰეგელის „...სისტემა დაამსხვრია და უბრალოდ განზე გადაგდო. მაგრამ ამა თუ იმ ფილოსოფიის ყალბად გამოცხადება სრულიადაც არ ნიშნავს მის დაძლევას"[1]. როგორც ცნობილია, ფოიერბახმა ვერ შეამჩნია და, მაშასადამე, ვერ გამოიყენა ჰეგელის ფილოსოფიის დადებითი შინაარსი.

ზემოთ დასახელებულ და მსგავს შემთხვევებში საგნის უარყოფა არ გამომდინარეობს მისი საკუთარი კანონზომიერებიდან, მისი შინაგანი ბუნებიდან, ე. ი. არ ატარებს თვითუარყოფის ხასიათს; პირიქით. ასეთი უარყოფა უნდა გავიგოთ როგორც გარეგანი ფაქტორების მოქმედების შედეგად საგნის მექანიკური მოსპობა ან უკუგდება. ამიტომ ამგვარი უარყოფა მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი ა, მას შეიძლება ვუწოდოთ აგრეთვე გ ა რ ე გ ა ნ ი უარყოფაც. ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ გარეგანი მიზეზებით არის გამოწვეული.

დიალექტიკური უარყოფა ძირეულად განსხვავდება მექანიკური უარყოფისაგან. დიალექტიკური უარყოფა საგნის განვითარებასთანაა დაკავშირებული.

განვითარება, უწინარეს ყოვლისა, მოძრაობა-ცვალებადობის პროცესს გულისხმობს. მაგრამ ყოველგვარი მოძრაობა და ცვალებადობა როდი ნიშნავს განვითარებას. შესაძლებელია საგანი ან მოვლენა გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორების მოქმედების შედეგად შეიცვალოს და სავსებით კანონზომიერად. მაგრამ განვითარებას არ ჰქონდეს ადგილი.

მაშასადამე, მოძრაობა და ცვალებადობა არ კმარა განვითარების ბუნების ასახსნელად, მიუხედავად იმისა, რომ განვითარება წარმოუდგენელია მოძრაობა-ცვალებადობის გარეშე. განვითარება მაშინ ხდება, როდესაც მოძრაობა-ცვალებადობა იწვევს მარტივიდან რთულის წარმოქმნას, ძველი თვისებრიობიდან უფრო მაღალ თვისებრიობაში გადასვლას. განვითარება გულისხმობს სვლას აღმავალი ხაზით — დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ, სხვანაირად რომ ვთქვათ, განვითარება გარდაუვალობით მოითხოვს ძველი მდგომარეობის უკუგდებას და ახალი მდგომარეობის მოპოვებას, მოკლედ, უ ა რ ყ ო ფ ი ს აქტის ჩატარებას, უარყოფისა, რომელიც დიალექტიკური ბუნებით ხასიათდება.

„მ ო ხ ს ნ ა" — დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი უ ა რ ყ ო ფ ი ს მ ო მ ე ნ ტ ი. განვითარების პროცესი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს იმის შეცვლა-ცვალებადობას, რაც ადრე სხვა ან სხვაგვარი იყო. განვითარება ნიშნავს იმას, რომ ერთი, უკვე მ ო ძ ვ ე ლ ე ბ უ ლ ი თვი-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 450.

სებრიობიდან, მოხდა გადასვლა მეორე მდგომარეობაზე, რომელიც შეცვლილ პირობებს შეესაბამება. თუ განვითარების პროცესში რ ა ი მ ე ს ფარგლებიდან გასვლას, რაიმეს მოხსნას და უკუგდებას არ ექნა ადგილი, მაშინ, საკუთრივ აზრით შეუძლებელია განვითარებაზე ლაპარაკიც კი. არსებულის უცვლელად შენარჩუნება, ერთსა და იმავეს განმეორება აბსოლუტური გაგებით — ეწინააღმდეგება სინამდვილეს, შეუთავსებელია დიალექტიკის ბუნებასთან. ამრიგად, განვითარების ცალი მხარე უდავოდ ემყარება მოძველებული მდგომარეობის, ძველის ლიკვიდაციას, ძველის მოხსნას. ძველის მოსპობა განვითარების ერთ-ერთი არსებითი მხარეა.

აქედან გამომდინარე, მოხსნა ძველის მოსპობის პროცესია, რომელიც ახლის განმტკიცებისა და განვითარებისაკენ არის მიმართული.

მოხსნა არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც აბსოლუტური აქტი. მოხსნა არ იწვევს ვაკუუმს განვითარების აღმავალ ხაზზე. რაიმეს მოხსნა არ ნიშნავს რაიმეს „უნაშთოდ" მოსპობას, უკვალოდ დაკარგვას.

მოხსნა. შედარებითი ბუნებისაა და ხასიათდება რამდენიმე ნიშნით; მოხსნა გულისხმობს: საგნის ან მოვლენის ძველი სტრუქტურული მთლიანობის დარღვევას საგნის ან მოვლენის შინაგანი კანონზომიერების საფუძველზე, დარღვეული სტრუქტურული მთლიანობიდან იმ ელემენტების გამოთიშვას და უკუგდებას, რომლებიც ობიექტურად არ არიან აუცილებელი, რათა ახალ სტრუქტურულ მთლიანობაში ჩაერთონ. დაბოლოს, მოხსნა წარმოადგენს მოხსნას შენახვისათვის, ძველის დადებითი შინაარსის შენარჩუნებისათვის. მოხსნას გამართლება აქვს შენარჩუნებაში. დიალექტიკის თანახმად, მოხსნა შენარჩუნებაში გადადის. მოხსნა დიალექტიკური უარყოფის ისეთი მომენტია, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული მეორე პოლუსთან — შენახვა-შენარჩუნებასთან.

უ ა რ ყ ო ფ ი ს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ო ბ ა. მოხსნა და შენახვა მექანიკურად კი არ მონაცვლეობენ დიალექტიკურ უარყოფაში, პირიქით, ისინი დიალექტიკურ ერთიანობაში იმყოფებიან.

მოხსნა-შენახვის მჭიდრო ერთიანობა საფუძველია იმისა, რომ უარყოფილი საგანი გადავიდეს არა ყოველგვარ სხვაში, არამედ მხოლოდ გარკვეულ სხვაში, როგორც ჰეგელი იტყოდა, „თავის სხვაში".

ყოველ საგანს ან მოვლენას ახასიათებს მოხსნა-შენახვის სპეციფიკურობა, კონკრეტულობა, უარყოფა „ყოველ ცალკე შემთხვევის განსაკუთრებული ბუნების მიხედვით" (ფ. ენგელსი).

„ყოველი სახის საგნისათვის არსებობს განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი წესი ისეთი უარყოფისა, რომ ამ უკანასკნელიდან განვითარება წარმოსდგეს. იგივე ითქმის ყოველი სახის წარმოდგენებსა და ცნებებზე. უსასრულო მცირეთა აღრიცხვაში უარყო-

ფა სხვანაირად ხდება, ვიდრე უარყოფითი ფესვებიდან დადებითი ხარისხების მიღებაში. ამას შეესწავლა უნდა, როგორც ყოველივე დანარჩენს"[1].

უ ა რ ყ ო ფ ა რ ო გ ო რ ც კ ა ვ შ ი რ ი ს მ ო მ ე ნ ტ ი. პირველი შეხედვით თითქოს მოსალოდნელია, რომ უარყოფა ქმნიდეს გათიშვის, ერთი მოვლენის მიერ მეორე მოვლენის პირწმინდად უკუგდების, თავიდან მოშორების მდგომარეობას. მაგრამ ის, რაც ზემოთ ითქვა, მხოლოდ იმაზე მიგვითითებს, რომ უარყოფა კი არ წყვეტს განვითარებას, ჩინური კედლებით კი არ აშორებს ერთმანეთისაგან მოძრაობაში მყოფ მხარეებს, არამედ ახდენს სავალდებულო გამიჯვნას კავშირისათვის, რის გარეშეც შეუძლებელია წინსვლა, შეუძლებელია განვითარება.

ამიტომ უარყოფა გვევლინება არა როგორც წყალგამყოფი, არამედ როგორც დამაკავშირებელი, როგორც ხიდი, რომლის საშუალებითაც წარსული აწმყოში ახერხებს გადასვლას.

მარქსისტული დიალექტიკის თანახმად, უარყოფა, შესრულებული საგნის თვითმოძრაობის შესაბამისად არის გარდუვალი ეტაპი განვითარებაში, განვითარების მომენტი.

უ ა რ ყ ო ფ ა რ ო გ ო რ ც ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი. უარყოფის აუცილებლობას წარმოშობენ საგანთა და მოვლენათა სიღრმეში მოქმედი კანონები. მაგალითად, კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების უარყოფის საკითხი თვით ამ საზოგადოების არსებიდან გამომდინარეობს. ბურჟუაზიული საზოგადოება თვითვე ამზადებს თავის თავის მოხსნის პირობებს. კაპიტალიზმს წარმოშობის მომენტიდან თან ახლავს თავისი საკუთარი მესაფლავე პროლეტარიატის სახით. განვითარების პროცესში კაპიტალიზმი მწვავე წინააღმდეგობაში იხლართება და ვეღარ უძლებს კონფლიქტს საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის. კაპიტალიზმის შინაგანი მდგომარეობა ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე რკინისებური აუცილებლობით აყენებს კაპიტალიზმის უარყოფის საჭიროებას.

უარყოფა, თუ შეიძლება ითქვას, იქცევა საგნის „შინაგან მოთხოვნილებად" განვითარების პროცესში. უარყოფის აუცილებლობა ემყარება თვითგანვითარების დიალექტიკურ პრინციპს. მართლაც, თუ საგნის არსებობისა და განვითარების წყარო საგნის შინაგან სამყაროს ეკუთვნის, მის ბუნებაში ძევს, მაშინ საგნის უარყოფის საჭიროებაც იქვე უნდა მომწიფდეს. ამიტომ, უარყოფა თვითუარყოფის სახეს იღებს, იმანენტურია თავისი ბუნებით.

ცხადია, ზემოთქმული არ უკარგავს მნიშვნელობას გარეგან ფაქტო-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 169.

რებს უარყოფის აქტის განხორციელებაში. მართალია, უარყოფა გვევლინება როგორც საგნის შინაგანი ტენდენცია, მაგრამ ამ ტენდენციის გატარებაში დიდ როლს ასრულებენ გარეგანი პირობები. ისინი ან აჩქარებენ უარყოფის პროცესს, როცა გარედან უპასუხებენ მოსახსნელის შინაგან მდგომარეობას და უადვილებენ მას შეცვლას, ანდა პირიქით, აფერხებენ უარყოფის პროცესს, თუკი ეწინააღმდეგებიან მოსახსნელის ცვალებადობის შინავითარებას.

მაშასადამე, უარყოფა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის იმანენტური აუცილებლობის აქტია, რომლის განხორციელებაშიც, ცხადია, ამა თუ იმ ზომით მონაწილეობას იღებენ გარეგანი ფაქტორებიც.

უ ა რ ყ ო ფ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ში. განვითარების პროცესში უარყოფას უარყოფა ცვლის, უარმყოფელი ძველის მხრივ უარყოფილი ხდება. უარყოფის უარყოფა, როგორც დიალექტიკური კანონზომიერება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ასეც უნდა გავიგოთ.

თვით დიალექტიკური უარყოფის, როგორც მოხსნა-შენახვის პროცესის, ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ უარყოფის ერთ აქტს აუცილებლობით უნდა მოყვეს უარყოფის მეორე აქტი, მეორეს — მესამე და ასე დაუსრულებლად. განვითარებას ბოლო მოეღება, თუ უარმყოფელმა უცვლელად შეინარჩუნა თავისი ძველი მდგომარეობა და ახალ უარყოფას არ დაექვემდებარა. ასე წარმოგვიდგება განვითარება უარყოფათა იმ რგოლების სახით, რომლებიც მოძრაობის ერთ მთლიან ჯაჭვში არიან გაერთიანებული. უარყოფის უარყოფა გამოხატავს წყვეტილობისა და უწყვეტელობის ერთიანობას, განვითარების პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, არსებით მხარეს. უარყოფის უარყოფა წყვეტილობაა, რამდენადაც იგი ხსნის ძველ მდგომარეობას. ამასთანავე, იგი უწყვეტელობაცაა, რამდენადაც ინარჩუნებს განვითარებაში მყოფის დადებით შინაარსს, გადასცემს მას მომავალს.

უარყოფის უარყოფა არ არის განვითარების პროცესის უბრალო აღწერილობა, არამედ მისი უსასრულო ბუნების გამოვლენის ფორმაა. ყოველივე ახალი, რაც ძველს ცვლის, გარკვეულ დროსა და პირობებში თვით ხდება დრომოჭმული და სტოვებს ასპარეზს. უარყოფის უარყოფა სავსებით შეესაბამება დიალექტიკის ამ ზოგად ფორმულას: უარყოფა, როგორც კანონზომიერი ეტაპი განვითარებაში ასევე კანონზომიერად უნდა შესცვალოს უარყოფის მომდევნო ეტაპმა. უარმყოფელი უნდა უარიყოს. ეს ასეა, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ უარყოფის უარყოფის კანონზომიერების მნიშვნელობა მხოლოდ ამგვარი გაგებით განგვესაზღვრა. უარყოფის უარყოფა, ცხადია, განვითარების პროცესის ამ მხარეზეც მიგვანიშნებს, მაგრამ განვითარების პროცესის სხვა მნი-

შვნელოვან მომენტებსაც გამოხატავს. სახელდობრ, ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ უარყოფის უარყოფის კანონზომიერება განვითარების აღმავალ ხასიათსაც მოიცავს.

ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, უარყოფის უარყოფა იწვევს თვისებრივ გაუმჯობესებას, „...ამ პროცესის ყოველი განმეორება, ყოველი ახალი უარყოფის უარყოფა აძლიერებს ამ გაუმჯობესებას"[1]. უარყოფის უარყოფა არის არა უბრალო დაბრუნება დასაწყისისაკენ, ძველის უბრალო ხელახალი აღდგენა, არამედ „უფრო მაღალი, უფრო განვითარებული ფორმის დამყარება"[2].

ამრიგად, განვითარების აღმავალი ხასიათი ერთ-ერთი ძირითადი მომენტია, რომელსაც უარყოფის უარყოფის კანონი გამოხატავს.

მაგრამ, არც განვითარების აღმავლობა არ ამოწურავს უარყოფის უარყოფის კანონების ბუნებას. განვითარების აღმავლობა თავისთავად არ არსებობს წმინდა სახით. იგი ყოველთვის რ ა ი მ ე ს, მ ო ც ე მ უ ლ ი ს განვითარებაზე მიგვითითებს. აქ, მაშასადამე, ყოველთვის საქმე გვაქვს განვითარებაში მყოფის სხვადასხვა საფეხურებთან, ე. ი. საგანთან, რომელიც მ ე ო რ დ ე ბ ა გარკვეული აზრით, საგანთან, რომელიც ახალ ნიშნებს იძენს, ახალ ეტაპზე ადის.

ეს განმეორება, ცხადია, შეფარდებითი და არა აბსოლუტური ბუნებისაა.

განვითარების პროცესში უარყოფის უარყოფის კანონი ხშირად ვლინდება სამსაფეხურებრივად. ფ. ენგელსის მიხედვით, პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი ა გამოსავალი პუნქტი, ე. ი. საგანი, რომელიც იცვლება მოძრაობის პროცესში და სხვა თვისებრიობაში უნდა გადავიდეს. მ ე ო რ ე ს ა ფ ე ხ უ რ ი — უარყოფის პირველი აქტი, რომლის შედეგად ხდება მოცემული საგნის შეცვლა როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით, მ ე ს ა მ ე ს ა ფ ე ხ უ რ ი — უარყოფის მეორე აქტი ანუ უარყოფის უარყოფა. მეორე უარყოფის შედეგად ხდება გამოსავალი პუნქტის თითქოსდა აღდგენა, პირველად უარყოფილი საგნის ან მოვლენის განმეორება, მაგრამ ეს განმეორება გაცილებით მაღალ ეტაპზე მიმდინარეობს.

სამსტადიური განვითარების ილუსტრირებისათვის შეიძლება დავიმოწმოთ მრავალი ფაქტი სინამდვილიდან. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, „ესაა მეტისმეტად მარტივი, ყველგან და ყოველდღიურად წარმოებული პროცედურა"[3].

„მთელი გეოლოგია, — წერს ენგელსი, — წარმოადგენს უარყო-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 162.
[2] იქვე, გვ. 164.
[3] იქვე, გვ. 161.

ფილ უარყოფათა რიგს, ძველი მთის ჯიშების ფორმაციების თანმიმ-დევრად დაშლისა და ახალი ფორმაციების ფენებად დალაგების რიგს... მილიონი საუკუნეების განმავლობაში სულ ახალი და ახალი ფენები იქმნება, უმეტესწილად მუდმივად ხელახლა იშლება და კვლავ ხმარდე-ბა მასალის სახით ახალი ფენების შექმნას" [1].

უარყოფის უარყოფის კანონის სამსტადიური გამოვლენის ფორმა გვხვდება აგრეთვე ორგანულ სამყაროშიც. მაგალითად, ორგანიზმს უარყოფს ჩანასახი, თავის მხრივ კი ჩანასახი უარიყოფა ორგანიზმით და ა. შ. ცოცხალი ბუნების ეს ფაქტი უარყოფის უარყოფის კანონის მოქმედებას გამოხატავს.

ე. წ. ბიოგენეზური კანონი საუკეთესოდ ადასტურებს ბუნების აღ-მავალი განვითარების დიალექტიკურ პრინციპს, უარყოფის უარყო-ფის კანონის მოქმედებას როგორც მცენარეთა, ისე ცხოველთა სამყა-როში.

ბიოგენეზური კანონის თანახმად, ცალკეული ორგანიზმის ისტო-რია გარკვეულ საზღვრებში იმეორებს იმ ფორმებს, რომლებიც გა-იარა სახემ თავის განვითარებაში. ონტოგენია — ორგანულ სახეთა განვითარების ისტორია — ფილოგენიის — ერთი საერთო ძირიდან მომდინარე ორგანულ ჯგუფთა განვითარების მოკლე განმეორებაა.

მართალია, ცოცხალ ორგანიზმთა განვითარების მაღალი ფორმები თავისებურად იმეორებენ მათივე წინამორბედ ფორმებს, მაგრამ ორ-განიზმთა განვითარების ზედა ეტაპებზე ჩვენ ყოველთვის საქმე გვაქვს თვისებრივ განსხვავებულობასთან, სრულიად ახალ ნიშნებთან, რომლე-ბიც ცხოველს გარემოსთან შეგუების უკეთეს პირობებს უქმნიან.

უარყოფის უარყოფის კანონი გზას იკაფავს საზოგადოებრივი ცხო-რების როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და იდეოლოგიური განვითარების სფეროებში.

ასე, მაგალითად, კერძო საკუთრებას, რომელიც თავის მხრივ სა-ზოგადოებრივი საკუთრების უარყოფაა, განვითარების გარკვეულ ეტაპზე საზოგადოებრივი საკუთრება უარყოფს. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, „კაპიტალისტური წარმოების წესიდან გამომდინარე კა-პიტალისტური მითვისების წესი და, მაშასადამე, კაპიტალისტური კერძო საკუთრებაც პირველი უარყოფაა ინდივიდუალური, საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრებისა. მაგრამ კაპიტალისტუ-რი წარმოება ბუნებრივი პროცესის აუცილებლობით წარმოშობს თა-ვის საკუთარ უარყოფას. ეს უარყოფის უარყოფაა. იგი კვლავ აღადგენს არა კერძო საკუთრებას, არამედ ინდივიდუალურ საკუთრებას კაპი-ტალისტური ეპოქის მონაპოვართა საფუძველზე — კოოპერაციის სა-

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 162.

ფუძველზე და მიწისა და წარმოების იმ საშუალებათა კოლექტიური მფლობელობის საფუძველზე, რომელნიც თვით შრომის მიერ არის წარმოებული"[1].

ფილოსოფიის განვითარების ისტორიას რომ დავაკვირდეთ, შესამჩნევი იქნება ფაქტი, რომ შემდგომი პერიოდის ფილოსოფია ემყარება წინა პერიოდის ფილოსოფიურ აზროვნებას. ყველა ეპოქის ფილოსოფიას, აღნიშნავდა ფ. ენგელსი, წანამძღვრად აქვს გარკვეული საზროვნო მასალა, რომელიც მას წინამორბედისაგან გადმოეცა და რომლიდანაც ის გამოდის.

მაგალითად, ერთმანეთს შევუდაროთ მატერიალიზმის ორი თვისებრივად განსხვავებული ფორმა — ანტიკური დროის მატერიალიზმი — სტიქიური მატერიალიზმი და დიალექტიკური მატერიალიზმი. სტიქიური მატერიალიზმი და დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოიშვნენ სრულიად განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში, საზოგადოებრივი ყოფიერების განვითარების სრულიად განსხვავებულ ეტაპებზე და, ერთი შეხედვით, თითქოს გამორიცხული უნდა იყოს მემკვიდრეობითი კავშირი პირველისა მეორის მიმართ. მაგრამ სინამდვილეში, ანტიკურ მატერიალიზმსა და თანამედროვე დიალექტიკურ მატერიალიზმს შორის არ არსებობს არც აბსოლუტური ზღვარი და არც იგივეობა. დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც მატერიალიზმის უმაღლესი ფორმა ანტიკური მატერიალიზმის პრინციპების თავისებური შემონახვაა, თავისებური აღდგენაა, მაგრამ არა ძველი მატერიალიზმის უბრალო ხელახლა აღდგენა, არამედ მისი ურყევი საფუძვლების შეერთება ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერების ორი ათასი წლის განვითარების მთელ იდეურ შინაარსთან, თვით ამ ორი ათასი წლის ისტორიასთან (ფ. ენგელსი).

მართალია, უარყოფის უარყოფის კანონისათვის ხშირადაა დამახასიათებელი სამსაფეხუროვანი გამოვლენის ფორმა, მაგრამ კონკრეტულ-ფაქტობრივ პირობების შესაბამისად შესაძლებელია ამ კანონის მოქმედება გაცილებით მეტი საფეხურების დამატებით, ანდა რომელიმე საფეხურის გამოტოვებით.

მაგალითად, საკუთრების პირვანდელი საზოგადოებრივი ფორმა, რომელიც დამახასიათებელია უკლასო პირველყოფილი წყობილებისათვის უარიყოფა კერძო საკუთრებით, რომელიც, თავის მხრივ სხვადასხვა ფაზას გაივლის (მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე), ვიდრე საკუთრების საზოგადოებრივი ფორმებით იქნება უარყოფილი.

უარყოფის უარყოფის შესახებ ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ მთელ

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 957.

რიგ ცხოველებსა და მცენარეებში „ეს პროცესი ასე მარტივად არ მთავრდება, რომ ისინი სანამ დაიხოცებოდნენ, ერთხელ კი არა, მრავალჯერ აწარმოებენ თესლსა, კვერცხსა ან ჩვილებს"[1].

ყოველი საგნის ან მოვლენისათვის გარკვეულ პირობებში დამახასიათებელია გარდაქმნის სხვადასხვა ფაზები, რომლებიც განსხვავებულად გამოავლენენ უარყოფის უარყოფის კანონის მოქმედებას.

ეს დებულება დასტურდება თანამედროვე ფაქტიური მასალითაც. ასე მაგალითად, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოციალისტურ ცხოვრებას ეზიარა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ხალხი, რომელთათვის უცხო იყო კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და რომლებიც არსებითად პირველყოფილი თემური წესით ცხოვრობდნენ. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ეროვნება რევოლუციამდე ფეოდალური საზოგადოების ფარგლებს არ იყო გაშორებული და სოციალისტურ მშენებლობას შეუდგა წარმოების კაპიტალისტური წესის სტადიის გავლის გარეშე. ცხადია, ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთადერთი პირობით. კერძოდ, იმ ერების გავლენით და დახმარებით, რომლებსაც უკვე გავლილი ჰქონდათ საზოგადოებრივი განვითარების კაპიტალისტური სტადია. მაშასადამე, უარყოფის უარყოფის კანონი საბოლოო ჯამში გზას იკაფავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკური გამოვლენის ფორმით.

ასეთივე კონკრეტული გამოვლენის ფორმები გააჩნია დიალექტიკის სხვა უზოგადეს კანონებსაც.

ამრიგად, უარყოფის უარყოფის კანონის შინაარსეული მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობს: 1) განვითარების პროცესში კანონზომიერად კვდება ის, რაც დრომოჭმულია, ძველის ადგილს ახალი იჭერს; 2) ძველიდან ახალში გადმოდის მისი დადებითი შინაარსი; 3) ძველის უკუგდება —წყვეტილობაა განვითარებაში, ძველის დადებითი შინაარსისა და ფორმის შენარჩუნება კი განვითარების უწყვეტელობას გამოხატავს. განვითარება გვევლინება როგორც წყვეტილობისა და უწყვეტელობის ერთიანობა; 4) ყოველგვარი განვითარება საგნობრივი განვითარებაა. მაშასადამე, განვითარებაში მყოფი — ესაა საგანი სხვადასხვა საფეხურზე. რამდენადაც საქმე ეხება ს ა გ ნ ი ს — ე რ თ ი ს ა და ი გ ი ვ ე ს განვითარებას, იმდენად განვითარების პროცესი გულისხმობს განმეორების მომენტს, მაგრამ რამდენადაც განმეორებადი სულ უფრო ზედა საფეხურზე ადის, იმდენად განვითარების პროცესი აღმავლობას გულისხმობს. განვითარება აღმავალი წინსვლის პროცესია. განვითარებაში მყოფი თითქოსდა უბრუნდება ადრინდელ მდგომარეობას, მაგრამ არსებითად კი ესაა ასვლა ახალ საფეხურზე.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 162.

ანტი-დიურინგის" პირველ განყოფილებაში განხილულია აგრეთვე ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთი საკითხი. მათ ჩვენ შევეხებით წიგნის მესამე განყოფილებაში — „ისტორიული მატერიალიზმი".

ფ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა"

ამ ნაწარმოებში ფ. ენგელსი არსებითად ბუნებისმეტყველების ძირითად ფილოსოფიურ საკითხებს განიხილავს. აქ განზოგადებულია ბუნებისმეტყველების აღმოჩენები დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიის თვალსაზრისით, დასახულია ბუნებისმეტყველებისა და მარქსისტული ფილოსოფიის კავშირის განმტკიცების გზები.

აღნიშნული წიგნი დაუმთავრებელია. მასზე მუშაობა ფ. ენგელსმა 1873 წელს დაიწყო, მაგრამ ჯერ „ანტი-დიურინგის" დაწერის, ხოლო მარქსის სიკვდილის შემდეგ მისი ხელნაწერების მომზადების სამუშაოებთან დაკავშირებით ფ. ენგელსმა ბოლომდე ვერ განახორციელა განზრახვა; მან ზოგიერთი მასალის სისტემატიზაციაც კი ვერ მოასწრო.

„ბუნების დიალექტიკა" პირველად 1925 წელს გამოქვეყნდა გერმანულ და რუსულ ენებზე.

მიუხედავად იმისა, რომ დაუმთავრებელი ნაწარმოებია, „ბუნების დიალექტიკა" წარმოადგენს ბუნებისმეტყველების საკვანძო საკითხების ერთიანი, დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგების, კერძოსაბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მეცნიერული მსოფლმხედველობის ორმხრივი კავშირის განსაზღვრისა და დასაბუთების კლასიკურ ნიმუშს.

„ბუნების დიალექტიკა" გვაოცებს განხილული საკითხების სიღრმითა და მრავალფეროვნებით, ჩანაფიქრის სიდიადით. ამ საკითხებიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფთ და შევისწავლით:

ა) დიალექტიკა, დიალექტიკის კანონები; ბ) შემეცნების თეორიის საკითხები; გ) ისტორიული მატერიალიზმის საკითხები.

დიალექტიკა, დიალექტიკის კანონები. „ბუნების დიალექტიკაში", სახელდობრ „საერთო გეგმის მონასახში" ფ. ენგელსი დიალექტიკას განსაზღვრავს როგორც „მეცნიერებას საყოველთაო კავშირის შესახებ".

დიალექტიკის კანონები სამყაროს განვითარების უზოგადესი კანონებია. ისინი აბსტრაგირებულია ბუნებისა და საზოგადოებიდან. დამახასიათებელია მატერიალური სამყაროსათვის, ისევე როგორც აზროვნებისათვის.

ფ. ენგელსის თქმით, დიალექტიკის უზოგადესი კანონები შეიძლება სამ კანონზე დავიყვანოთ. ესაა რაოდენობის თვისებრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი; დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი; უარყოფის უარყოფის კანონი.

აქ ვხვდებით დიალექტიკის კანონების ასეთ ფორმულირებასაც: „დიალექტიკა როგორც მეცნიერება საყოველთაო კავშირის შესახებ, მთავარი კანონები: რაოდენობისა და თვისებრიობის გარდაქმნა — პოლარულ დაპირისპირებათა ურთიერთგამსჭვალვა და ერთმანეთში გადასვლა, როდესაც ისინი უკიდურესობამდე არიან მისული — განვითარება წინააღმდეგობის გზით ანუ უარყოფის უარყოფა — განვითარების სპირალური ფორმა"[1].

ეს კანონები ჰეგელმა აღმოაჩინა, მაგრამ ისინი იდეალისტურ საფუძველზე ახსნა, როგორც მხოლოდ აზროვნების კანონები. სინამდვილეში დიალექტიკის კანონები მთელი მატერიალური და სულიერი სამყაროს განვითარების კანონებია და მათი არსებობა დასტურდება უამრავი მაგალითებით ბუნებასა და საზოგადოებაში.

ფ. ენგელსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ობიექტურ და სუბიექტურ დიალექტიკას, ამასთან, მეორე სხვა არაფერია, თუ არა პირველის ასახვა. „ეგრეთწოდებული ობიექტური დიალექტიკა ბატონობს მთელს ბუნებაში, ხოლო ეგრეთწოდებული სუბიექტური დიალექტიკა, დიალექტიკური აზროვნება, მხოლოდ ასახვაა მთელს ბუნებაში საყოველთაოდ გაბატონებული მოძრაობისა დაპირისპირებულთა გზით; ეს დაპირისპირებულნი თავიანთი განუწყვეტელი ბრძოლითა და საბოლოო ურთიერთ გადასვლით ან უმაღლეს ფორმებში გადასვლით განაპირობებენ სწორედ ბუნების სიცოცხლეს"[2].

რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში და პირუკუ გადასვლის კანონი. ამ კანონს ენგელსი ასე ახასიათებს: „რაოდენობის თვისებრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი. ეს კანონი ჩვენი მიზნისათვის შეგვიძლია ასე გამოვთქვათ. რომ ბუნებაში თვისებრივ ცვლილებებს, თვითეული ცალკე შემთხვევისათვის ზუსტად და მტკიცედ დადგენილი წესით, მხოლოდ მატერიის ანუ მოძრაობის (ე. წ. ენერგიის) რაოდენობრივი მიმატების ან რაოდენობრივი გამოკლების გზით შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ყველა თვისებრივი განსხვავება ბუნებაში დამყარებულია ან სხვადასხვა ქიმიურ შემადგენლობაზე, ან მოძრაობის (ენერგიის) სხვადასხვა რაოდენობასა თუ ფორმაზე, ანდა ორივეზე, რასაც თითქმის ყოველთვის აქვს ადგილი. მაშასადამე, შეუძლებელია ამა თუ იმ სხეულის თვისებრიობის შეცვლა მატერიის ან მოძრაობის მიმატებისა თუ გამოკლების გარეშე, ე. ი. სათანადო სხეულის რაოდენობრივი ცვლილების გარეშე"[3].

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 3.
[2] იქვე, გვ. 218.
[3] იქვე, გვ. 53.

მაგალითად. სხეულების აგრეგატული მდგომარეობა იცვლება იმისდამიხედვით, თუ მოძრაობის რა რაოდენობა. კერძოდ მეტი ან ნაკლები რაოდენობა ენიჭება მას.

მართალია, როდესაც მოძრაობის ერთი ფორმა მოძრაობის მეორე ფორმაში გადადის, მოძრაობის საერთო რაოდენობა არ იკარგება, და ამდენად რაოდენობა იგივე რჩება, მაგრამ რა ზომითაც ერთი თვისებრიობის მოძრაობის გარკვეული რაოდენობა აკლდება, იმდენადაც სხვა, რომელიმე თვისებრიობის მოძრაობის შესაფერისი რაოდენობა ემატება.

ყოველი რაოდენობრივი ცვლილება არ გვაძლევს თვისებრივ ცვლილებას. მაგალითად, როდესაც რომელიმე საგანს წვრილ ნაწილებად ვყოფთ, მისი თვისებრივი შეცვლა გარკვეულ საზღვრამდე არ ხდება. მაგრამ თუ ამ დაყოფას გარკვეულ საზღვრამდე გავაგრძელებთ — მაშინ რაოდენობის შეცვლას თვისებრივი ცვლილება მოჰყვება, სახელდობრ, ნივთიერების დანაწილების შემდეგ მოლეკულამდე მივალთ, ხოლო მოლეკულის დაშლით ატომებს მივიღებთ. ატომები თვისებრივად განსხვავდებიან მათ მიერ შედგენილი მოლეკულისაგან, ისე როგორც მოლეკულები — მათ მიერ შედგენილი მასისაგან. „მასა მარტოოდენ მოლეკულებისაგან შედგება, მაგრამ იგი არსებითად მოლეკულებისაგან განსხვავებული რამ არის, ისევე როგორც, მოლეკულა თავის მხრივ ატომისაგან განსხვავებული რამ არის"[1].

მექანიკის სფეროში სხვადასხვა მდგომარეობა (მაგ., წონასწორობა, პოტენციალური ენერგია, მოძრაობა) სათანადო რაოდენობრივი ცვალებადობითაა შეპირობებული.

ფიზიკის სფეროშიც იგივე კანონი მოქმედებს. მოლეკულების მოძრაობის რაოდენობის ცვლილებას თვისებრივი ცვლილება მოსდევს: ტემპერატურის ცვლით ხდება წყლის გადასვლა ორთქლის ან ყინულის მდგომარეობაში; თითოეულ ლითონს სპირდება გავარვარებისა და დნობის გარკვეული ტემპერატურა, ყოველ სითხეს — გარკვეული წნევის პირობებში გაყინვისა და დუღილის წერტილები. სწორედ რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლას გამოხატავენ ფიზიკის კონსტანტები.

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლის კანონი ქიმიის დარგში. ამიტომ, ფ. ენგელსის თქმით, ქიმიას საერთოდ შეიძლება ეუწოდოთ მეცნიერება სხეულების იმ თვისებრივ ცვლილებებზე, რაც რაოდენობრივი შემადგენლობის ცვლილებების გზით ხდება. მაგალითად, ორი ატომი ჟანგბადის შეერთება ერთ მოლეკულად ჩვეულებრივ ჟანგბადს გვაძ-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 55.

ლევს, სამი ატომის შეერთება კი მისგან თვისებრივად განსხვავებულ ოზონს. თვისებრივად სრულიად განსხვავებულ სხეულებს ვიღებთ სხვადასხვა პროპორციებით, რომლითაც ჟანგბადი აზოტს ან გოგირდს უერთდება, ანდა ნახშირბადის ნაერთთა ჰომოლოგიურ რიგებში და ა. შ. ეს კანონი მოქმედებს იზომერული სხეულების მიმართაც, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოლეკულაში თანაბარი რაოდენობის ატომები გვაქვს. ამ შემთხვევაში თვისებრივად განსხვავებულ იზომერულ სხეულებს განაპირობებს ატომთა დაჯგუფება მოლეკულებად თითოეული რიგისათვის განსაზღვრული სიდიდით.

თვით ქიმიური ელემენტების თვისებების ცვლა ატომური წონის რაოდენობითაა განსაზღვრული.

აქვე ფ. ენგელსი დიდად აფასებს ცნობილი რუსი მეცნიერის, მენდელეევის აღმოჩენებს. იგი წერს, რომ „რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლის ჰეგელისეული კანონის არაცნობიერად გამოყენებით მენდელეევმა ისეთი მეცნიერული გმირობა ჩაიდინა, რომელიც თამამად შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ლევერიეს ღვაწლს, რომელმაც მანამდე ჯერ კიდევ უცნობი პლანეტის — ნეპტუნის ორბიტი გამოიანგარიშა“[1].

რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი ცოცხალ, ბიოლოგიურ სამყაროშიც მოქმედებს, მაგრამ, ფ. ენგელსის თქმით, აქ იგი „ძალიან დახლართულ პირობებში ვლინდება“ და ხშირად ამ სფეროში რაოდენობრივი გაზომვა ჯერ კიდევ ძნელია. ამ კანონის მოქმედებას „ყოველ ნაბიჯზე“ ვაწყდებით აგრეთვე ადამიანთა საზოგადოების ისტორიაშიც.

ამრიგად, დაასკვნის ფ. ენგელსი, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი ესაა „ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების საყოველთაო კანონი“[2].

დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ თ ა ე რ თ ი ა ნ ობ ა და ბ რ ძ ო ლ ა. „ბუნების დიალექტიკაში“ მრავალი საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი და აზროვნებითი მასალის ანალიზის გზით ფ. ენგელსი ასაბუთებს, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კანონია. ეს კანონი გულისხმობს: ა) ერთიანის გაორებას. ყოველი საგანი, მოვლენა და პროცესი ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხველ მხარეებს შეიცავს; ბ) გაორებული მხარეები ერთიანობაში იმყოფებიან, ისინი, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთმანეთს მსჭვალავენ; გ) ცვალებადობის

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 58.
[2] იქვე, გვ. 59.

პროცესში მიმდინარეობს ურთიერთსაწინააღმდეგდო ძალებისა და ტენდენციების ბრძოლა.

ენგელსს მრავალი მაგალითი მოჰყავს იმის ნათელსაყოფად, რომ საყოველთაო მოძრაობა დაპირისპირებულობათა გზით ხორციელდება.

„მიზიდულობა და განზიდულობა, მაგნეტიზმში იწყება პოლარობა; აქ იგი მეღავნდება ერთსა და იმავე სხეულში; ელექტრობაში კი ის ნაწილდება ორ ან რამდენიმე სხეულში, რომლებიც ურთიერთის მიმართ დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებიან! ყველა ქიმიური პროცესი დაიყვანება ქიმიური მიზიდულობისა და განზიდულობის მოვლენებზე. დაბოლოს, ორგანულ სიცოცხლეში უჯრედის ბირთვის წარმოშობაც აგრეთვე განხილულ უნდა იქნეს როგორც ცოცხალი ცილის პოლარიზაცია, ხოლო განვითარების თეორია გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ყოველი წინსვლა მარტივი უჯრედიდან დაწყებული თვით ურთულეს მცენარემდე, ერთი მხრივ, და ადამიანამდე, მეორე მხრივ, მემკვიდრეობისა და შეგუების მუდმივი განუწყვეტელი ბრძოლით“[1].

თვით სიცოცხლე მისი ანტიპოდის — სიკვდილის შემცველია და არ მოიაზრება მის გარეშე. „სიცოცხლის უარყოფა არსებითად თვითონ სიცოცხლეშია, ისე რომ სიცოცხლე ყოველთვის გაიაზრება იმ თავის აუცილებელ შედეგთან, სიკვდილთან მიმართებაში, რომელიც მასში მუდამ არის ჩანასახის სახით. სიცოცხლის დიალექტიკური გაგება სწორედ ეს არის და სხვა არაფერი“[2].

იგივე ხდება საზოგადოების ისტორიაში, სადაც კლასობრივ ძალთა შეჯახება მიმდინარეობს და პროგრესი არსებული, დრომოჭმული წყობილების უარყოფის სახით გამოდის.

ფაქტია არა მარტო ბუნების და საზოგადოების მოვლენების პოლარიზაცია, არამედ ადამიანის აზრების მოძრაობაც დაპირისპირებულობათა გზით. ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„ის ფაქტი, რომ იგივეობა შეიცავს განსხვავებას, გამოხატულია ყ ო ვ ე ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი, სადაც შემასმენელი ქვემდებარისაგან აუცილებლად განსხვავებულია. მ თ ი ს შ რ ო მ ა ნ ა არის მ ც ე ნ ა რ ე, ვ ა რ დ ი არის წ ი თ ე ლ ი, სადაც ან ქვემდებარეში ან შემასმენელში არის ისეთი რამ, რაც შემასმენელის ან ქვემდებარის მიერ ვერ იფარება... რა თქმა უნდა, თავისთავად გასაგებია, რომ თ ა ვ ი ს თ ა ვ თ ა ნ ი გ ი ვ ე ო ბ ა ს თავიდანვე უკვე აუცილებლად აქვს შესაძლებლობა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ყ ო ვ ე ლ ა სხვა დანარჩენისაგან“[3].

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 218.
[2] იქვე, გვ. 312.
[3] იქვე, გვ. 222.

ამრიგად, ფ. ენგელსი არკვევს დიალექტიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონის — დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის საყოველთაო მნიშვნელობას.

უარყოფის უარყოფის ჰეგელისეული გაგების კრიტიკა. კანონის ფორმით უარყოფის უარყოფა პირველად იქნა აღმოჩენილი და გამოყენებული ჰეგელის მიერ. ჰეგელისათვის უარყოფის უარყოფის კანონი არის „ძირითადი კანონი მთელი სისტემის ასაგებად“ [1].

ჰეგელის თანახმად, უარყოფა აბსოლუტის მისტიკური უნარია. ეს ძალა არ ასვენებს აბსოლუტს, განასხვისებს მას თავის თავისაგან და საბოლოოდ პირვანდელ მდგომარეობაში დააბრუნებს. აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების მთელი პროცესი ატარებს ტრიადული მოძრაობის სახეს. თეზისი, ანტითეზისი, სინთეზი — ასეთია აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების საფეხურები ჰეგელის მიხედვით.

უარყოფის უარყოფის ჰეგელისეულ გაგებას გააჩნია მრავალი ნაკლი. როგორც ობიექტური იდეალისტი, ჰეგელი ყოფიერებას ცნობიერების გამოვლენის ფორმად აცხადებს. ამით იგი უარყოფის უარყოფის კანონს ჩამოაშორებს საყოველთაობის ატრიბუტს და წმინდა ლოგიკურ ოპერაციად აქცევს. მისთვის დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონის მსგავსად უარყოფის უარყოფის კანონი მხოლოდ აზროვნების კანონია. „შეცდომა ის არის, რომ ეს კანონები როგორც აზროვნების კანონები ბუნებასა და ისტორიას აქვს თავს მოხვეული და მათგან არ არიან გამოყვანილი“ [2]. — წერდა ფ. ენგელსი.

ჰეგელის აზრით, ის, რაც მომავალში გაშლა-განვითარებას განიცდის, ლოგიკურად ყოველთვის ნაგულისხმევია დაბალ საფეხურზე. მაღალი საფეხური საწყისშივე აზრობრივადაა დაპროექტებული დაბალ საფეხურზე, მოხაზულია მის აბრაზე.

ისე რომ, მაღალ საფეხურს ჰეგელის უარყოფის უარყოფაში მოცემული აქვს ლოგიკური წინაჩანაფიქრის სახე. აქედან ნათელია, რომ უარმყოფელის კავშირი უარსაყოფთან გვევლინება როგორც ნაწვალები კონსტრუქცია და არა როგორც ობიექტური აუცილებლობა.

მარქსისტული დიალექტიკის თანახმად, ცხადია, უარმყოფელს ნიადაგი უარსაყოფში აქვს მომზადებული. მაგრამ პირველის კავშირი მეორესთან და პირიქით, უარმყოფელის გარკვეულად მოცემულობა უარსაყოფში განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა და არა სუბიექტური ნაგულისხმებობა.

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 52.
[2] იქვე.

უარყოფის უარყოფის კანონი, როგორც წინსვლითი მოძრაობის შინაგანი ძაფი თავის ჩამკეტის როლს ასრულებს ჰეგელის დიალექტიკაში. ჰეგელი უარყოფის უარყოფის კანონის მოქმედების არეს შემოფარგლავს მისი ფილოსოფიური სისტემის დასაწყისიდან დასასრულამდე. საწყისი ფილოსოფიური პოზიციის აღდგენამდე. ამრიგად, უარყოფის უარყოფის კანონი ფალსიფიცირებული აღმოჩნდა მეტაფიზიკურადაც.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად უარყოფის უარყოფის კანონის ჰეგელისეულ ვაგებაში მოიპოვება რაციონალური მარცვალიც, რაც არსებითად შემდეგში მდგომარეობს: ა) განვითარების პროცესი არ არსებობს უარყოფის მომენტის გარეშე; ბ) უარყოფის პროცესი დიალექტიკური ბუნებისაა. იგი გულისხმობს „მოხსნისა" და „შენახვის" ელემენტების ერთიანობას. ყოველი ახალი საფეხური განვითარებაში ძველს მოხსნის და უკუაგდებს, მაგრამ იმავე დროს რაკი მის ფესვებზეა ამოზრდილი. ძველის დადებით შინაარსს შემოინახავს; გ) განვითარება ხორციელდება უარყოფის უარყოფის ფორმით. უმაღლესი ეტაპი განვითარებაში წარმოადგენს საწყისი პუნქტის რეპროდუქციას, მაგრამ გაცილებით მაღალ საფეხურზე.

მ ო ძ რ ა ო ბ ა. მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ფ ო რ მ ე ბ ი.

„ანტი-დიურინგიდან" უკვე ვიცით, რომ ფ. ენგელსი მოძრაობას განსაზღვრავდა, როგორც მატერიის არსებობის ფორმას. ამით ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ მატერია არ არსებობს უმოძრაოდ, რომ მოძრაობა მატერიის შინაგანი ატრიბუტია.

„ბუნების დიალექტიკაში" ფ. ენგელსი კვლავ გვაძლევს მოძრაობის არსის განსაზღვრას. იგი წერს: „მოძრაობა, მატერიაზე გამოყენებით, ესაა **ცვალებადობა საზოგადოდ**"[1].

მატერია მარადიულია, ამიტომ მარადიულია მისი ცვალებადობაც. „თუ კი მატერია ჩვენს წინაშე არსებობს როგორც მოცემული რამ, ამასთან როგორც შეუქმნადი და მოუსპობადი რამ, მაშინ აქედან ის გამომდინარეობს, რომ მოძრაობაც შეუქმნადია და მოუსპობადი"[2].

„ჩვენ ვხედავთ თუ როგორ ჩამოყალიბდა ბუნებისმეცნიერებათა ისტორიულ განვითარებაში პირველად მარტივ ადგილგადანაცვლებათა თეორია, სამყაროს სხეულებისა და მიწიერი მასების მექანიკა; მას მოსდევს მოლეკულური მოძრაობის თეორია, ფიზიკა, ხოლო ამ უკანასკნელს მაშინვე კვალ-დაკვალ, თითქმის მის გვერდით, და ადგილადგილ კი მის უწინაც, მეცნიერება ატომების მოძრაობის შესახებ, ქიმია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც უსიცოცხლო ბუნებაში გაბატონებული

---

[1] ფ. ენ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 259.
[2] იქვე, გვ. 61.

მოძრაობის ფორმების შემეცნების სხვადასხვა დარგებმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწიეს, შესაძლებელი შეიქმნა წარმატებით დაწყებულიყო მოძრაობის იმ მოვლენების ახსნა, რომლებიც სიცოცხლის პროცესს წარმოადგენენ. იგი წინ მიდიოდა იმ ზომით, რა ზომითაც მიდიოდა წინ მექანიკა, ფიზიკა, ქიმია“ [1].

მოძრაობის ფორმებს შორის განუყრელი კავშირი არსებობს.

მოძრაობის მაღალი ფორმა შეიცავს დაბალ ფორმას. მაგალითად, ყოველგვარი მოძრაობა დაკავშირებულია რაიმე ადგილგადანაცვლებასთან, თუმცა რაც უფრო მაღალია მოძრაობის ფორმა, ადგილგადანაცვლებაც მით უფრო მცირეა. სიცოცხლე, როგორც მოძრაობის მაღალი ფორმა, შეუძლებელია მექანიკური, მოლეკულური, ქიმიური, თერმული, ელექტრული და სხვა სახის ცვალებადობის გარეშე. მაგრამ ამასთან, მოძრაობის ყოველი მაღალი ფორმა არ დაიყვანება მოძრაობის დაბალ ფორმაზე.

შემეცნების თეორიის საკითხები. ა) **სამყაროს შეცნობადობა.** სამყაროს შეცნობადობის საკითხი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის შემადგენელი ნაწილია. ყოფიერებისადმი ცნობიერების დამოკიდებულების საკითხი ყოველმხრივად გაირკვევა მაშინ, როცა სწორი პასუხი გაეცემა კითხვას: შეუძლია თუ არა ადამიანის ცნობიერებას სინამდვილის შეცნობა, გარემომცველი სამყაროს შესახებ სარწმუნოცოდნის გამომუშავება.

მატერიალიზმი დადებითად უპასუხებს ამ კითხვას. მატერიალიზმის თანახმად, ადამიანის ცნობიერებას გააჩნია გარემომცველი სამყაროს შეცნობის, ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედი კანონების ასახვის უნარი. ამ დებულების სისწორე დასტურდება ადამიანთა მთელი ისტორიული პრაქტიკით.

კაცობრიობამ განვლო ხანგრძლივი გზა თავის განვითარებაში. ამის შესაბამისად განუწყვეტლივ წინ მიიწევდა და ღრმავდებოდა ადამიანთა შემეცნება. ადრეულ საფეხურზე ადამიანებს მხოლოდ უმეცარი წარმოდგენები ჰქონდათ ბუნების მოვლენების და პროცესების, ასევე თავის საკუთარი თავის შესახებ. მას შემდეგ საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი XIX საუკუნიდან გიგანტური ნაბიჯები გადადგა სამყაროს შემეცნების დარგში. მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური პროცესების მეცნიერულმა შემეცნებამ უაღრესად გაზარდა ადამიანის ბატონობის ძალა ბუნების მოვლენების მიმართ.

კაცობრიობის შემეცნებითი გენია აქამდე უცნობ მწვერვალებს იპყრობს მეცნიერული აზროვნების ნებისმიერ მონაკვეთზე. საზოგადოების განვითარების კანონების აღმოჩენით, რაც მარქსიზმის წარმოშო-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 60.

ჩასთან არის დაკავშირებული, მშრომელმა კაცობრიობამ მიიღო სოციალური ცხოვრების გარდაქმნის ყოვლისმძლე მოძღვრება.

ფ. ენგელსი განაზოგადებდა კაცობრიობის შემეცნებითი მოღვაწეობის ხანგრძლივ ისტორიულ გამოცდილებას და აღნიშნავდა:

„...ჩვენ ყოველდღიურად ვსწავლობთ ბუნების კანონების სულ უფრო და უფრო სწორ გაგებას და ბუნების ჩვეულებრივ მსვლელობაში ჩვენი აქტიური ჩარევის როგორც უახლოესი, ისე უფრო შორეული შედეგების შემეცნებას. განსაკუთრებით ამ საუკუნეში ბუნებისმეცნიერების უდიდეს წარმატებათა დღიდან სულ უფრო და უფრო მეტი საშუალება გვეძლევა, რომ ვისწავლოთ აგრეთვე ყოველ შემთხვევაში ჩვენი ყველაზე ჩვეულებრივი საწარმოო მოქმედებების უფრო შორეული ბუნებრივი შედეგების გაგება და ამით მათი დაუფლებაც. მაგრამ რაც უფრო მეტად მოხდება ეს, მით უფრო ადამიანები არამც თუ მეტად იგრძნობენ კვლავ ბუნებასთან ერთიანობას, არამედ შეიგნებენ და ეცოდინებათ ეს თავიანთი ერთიანობა ბუნებასთან, და მით უფრო შეუძლებელი გახდება ის უაზრო და ბუნების საწინააღმდეგო წარმოდგენა რაღაც დაპირისპირებაზე გონსა და მატერიას, ადამიანსა და ბუნებას, სულსა და სხეულს შორის, რომელიც ევროპაში კლასიკური ანტიკურობის დაცემის დღიდან გაჩნდა და რომელმაც ქრისტიანობაში უმაღლეს განვითარებას მიაღწია“ [1].

ბ) ემპირიული შემეცნების როლი შემეცნების პროცესში. გრძნობადი აღქმა, „ემპირიული შემეცნება“ დასაწყისი ეტაპია ადამიანური შემეცნების რთულ პროცესში. პირველი ცნობები გარემომცველი სამყაროს საგნებისა და მოვლენების შესახებ სწორედ გრძნობადი მონაცემების სახით გვეძლევა. შეგრძნებები, აღქმები, გრძნობადი მონაცემები უშუალოდ აკავშირებენ ადამიანს გარემომცველ საგნებთან, აწვდიან მას მრავალ ცნობას საგანთა შესახებ.

„გრძნობადი განჭვრეტა“ შემეცნების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. თუ ნებისმიერი ადამიანის მოქმედებას დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ გარემოსთან პრაქტიკული ურთიერთობის დროს იგი აუარებელ საგნებს და მოვლენებს აწყდება. რა მოხდებოდა, რომ ადამიანი ვერ ერკვეოდეს ამ საგნებსა და მოვლენებში, მათ მრავალგვარ თვისებებში? ცხადია, იგი ვერ დაიმორჩილებდა ბუნებას და სტიქიური ძალების მსხვერპლი გახდებოდა. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ადამიანს შეუძლია იცოდეს გარემომცველი საგნების ბუნება, ვთქვათ, მათი ადგილმდებარეობა, მოყვანილობა, ფერი, გემო, სუნი და ა. შ. მას შეუძლია აქტიურად გაერკვეს ვითარებაში, იმოქმედოს საგანთა ობიექტური ბუნების შესაბამისად.

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა. გვ. 185—186.

მიუხედავად ამისა, სინამდვილის ცოცხალი განჭვრეტა არ შეადგენს ცოდნის შემუშავების საკმარის საშუალებას. იგი აუცილებელი, მაგრამ მაინც არასაკმარისი პირობაა ცოდნის ჩამოყალიბებისათვის.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი განჭვრეტა იფარგლება საგნების და მოვლენების მხოლოდ ზედაპირული მხარეებისა და თვისებების ასახვით. ასე მაგალითად, ცოცხალ განჭვრეტაში გვეძლევა წყალი, მაგრამ სრულიადაც არ გვეძლევა წყლის ქიმიური შემადგენლობა. მდინარე, მისი დინება აისახება გრძნობად აღქმაში, მაგრამ შეუძლებელია გრძნობადად აღვიქვათ კანონზომიერება, რომელიც მდინარის მექანიკური ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნაში მჟღავნდება.

ადამიანის შეგრძნებებსა და აღქმებში სინამდვილე ასახულია მხოლოდ გარეგნულად, ზედაპირულად, არასრულად, ცალმხრივად. ადამიანურ შეგრძნებებსა და აღქმებში არ აისახება აუცილებლობა, ობიექტური კანონები, ზოგადი, მოვლენათა არსება.

„მარტო ემპირიულ დაკვირვებას არასოდეს არ შეუძლია საკმაოდ დაამტკიცოს აუცილებლობა... აუცილებლობის დამტკიცება ადამიანთა მოღვაწეობაშია, ექსპერიმენტშია, შრომაშია“ [1]. ადამიანები კი, ცხადია, თავისთავად ვერ დაკმაყოფილდებიან მოვლენათა გარეგნული ჭვრეტით. რა სარგებლობას მისცემდა ადამიანებს, მაგალითად, ბუნების მდიდარი რესურსების პასიური ჭვრეტა, თუკი ისინი ვერ მოახერხებდნენ მათი გარდაქმნის კანონზომიერებათა აღმოჩენას და ამ კანონზომიერებაზე დაყრდნობით ბუნების რესურსების გამოყენებას საკუთარი მოთხოვნილების შესაბამისად? ცხადია, არავითარს. მაშასადამე, ადამიანი ვერ შემოიფარგლება გარესამყაროს მოვლენათა პასიური ჭვრეტით. აუცილებელია ამ მოვლენათა სიღრმეში შეღწევა, მათი არსებითი კავშირების აღმოჩენა და დადგენა. სწორედ აქ იჩენს თავს ადამიანის აზროვნების ძალა.

„ჩვენს თვალს ემატება არა მარტო კიდევ სხვა გრძნობები, არამედ ჩვენი აზროვნების მოქმედებაც... რის გაგება შეუძლია ჩვენს გონებას, ჩვენ იქიდანაც ვხედავთ, რაც მას უკვე გაუგია, გამოუკვლევია და რასაც კიდევ ყოველდღიურად იკვლევს და იგებს“ [2].

მაგალითად, თანამედროვე მეცნიერების მონაპოვრები რომ დავიმოწმოთ, პროტონის მასა 1836,6-ჯერ მეტია ელექტრონის მასაზე, თუმცა არც პროტონი და არც ელექტრონი, ისევე როგორც სხვა უმცირესი ნაწილაკი გრძნობად აღქმაში არ გვეძლევა. მით უმეტეს არ გვეძლევა გრძნობად აღქმაში ატომგულის დაშლის კანონზომიერებანი, რომელიც

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 239.
[2] იქვე, გვ. 250—251.

მეცნიერებამ შეიცნო, რითაც მიაღწია ატომის ენერგიის პრაქტიკულ გამოყენებას. მეცნიერების მიერ ზუსტად არის გამოთვლილი, რომ დედამიწის მოცულობა 1.300.000-ჯერ ნაკლებია მზის მოცულობაზე, თუმცა არც მზის მოცულობა და არც დედამიწის მოცულობა გრძნობად აღქმაში არ გვეძლევა.

ამრიგად, თუ შეცნობის ობიექტი გრძნობად აღქმაში უშუალოდ არ გვეძლევა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი ასახვა ადამიანისათვის მიუწვდომელია. „აქ კი, — წერდა ფ. ენგელსი, — გინდა თუ არ გინდა, საჭიროა ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა: ატომი და მოლეკული და ა. შ. მიკროსკოპით არ დაინახება, არამედ მხოლოდ აზროვნებით“ [1].

ბ) შ ე გ რ ძ ნ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ე ბ ი ს ურ თ ი ე რ თ შ ე მ ო წ მ ე ბ ა, ურ თ ი ე რ თ დ ა მ ა ტ ე ბ ა და ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი გ ა შ უ ა ლ ე ბ ა. შეგრძნების თითოეული ორგანო საგანთა მხოლოდ გარკვეულ თვისებებს გვაცნობს; მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს შეგრძნების ორგანოებს შორის არ იყოს აუცილებელი ორგანული კავშირი. პირიქით, შეგრძნების ორგანოებისათვის დამახასიათებელია მჭიდრო ურთიერთმოქმედება და ისტორიულად განმტკიცებული ნათესაური კავშირი, რაც ნათლად მეღავნდება შემოწმებასა და ურთიერთდამატებაში. შეხების გრძნობა და მხედველობის გრძნობა იმდენად ავსებენ ერთმანეთს, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — რომ ჩვენ საკმაოდ ხშირად რომელიმე ნივთის შეხედვით წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ მისი ტაქტილური თვისებები. მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან შეგრძნების სხვა ორგანოებიც [2].

შეგრძნების ორგანოების ურთიერთშემოწმებას და ურთიერთგაგებას განსაკუთრებული როლი ენიჭება შემეცნების პროცესის სწორად წარმართვისათვის.

ამ მხრივ გარკვეულ როლს ასრულებს აგრეთვე შეგრძნების ორგანოების ხელოვნური გაშუალება. როგორც ცნობილია, შეგრძნების ორგანოებს ბუნებრივი შეზღუდულობა ახასიათებს. მაგალითად, ადამიანის თვალს უნარი არ შესწევს ახლო მანძილიდან გაარჩიოს მეტად მცირე ნაწილაკი, ანდა შორი მანძილიდან შეამჩნიოს თავისთავად დიდი სხეულო. ადამიანის ყურს ყოველგვარი ინტენსიობის ბგერის შეგრძნება როდი შეუძლია. იდეალიზმის მქადაგებლები ყოველთვის ხელს ავლებდნენ შეგრძნების ორგანოების ბუნებრივი შეზღუდულობის ფაქტს და მასში თავიანთი თეორიების დამადასტურებელ საბუთს ეძებდნენ. კერძოდ, იდეალისტები ამ ფაქტს იყენებდნენ იმის „დასამტკიცებლად“, რომ ადამიანს უნარი არ შესწევს შეიცნოს სამყარო. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარადაა.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 221.

[2] იქვე, გვ. 243.

შეგრძნების ორგანოების ბუნებრივი შეზღუდულობა არ წარმოადგენდა და არც წარმოადგენს გადაულახავ ზღუდეს საზოგადოებრივი ადამიანისათვის. ფ. ენგელსი წერდა:

„ჭიანჭველებს სხვანაირი თვალები აქვთ, ვიდრე ჩვენ, ისინი ხედავენ ქიმიური (?) სინათლის სხივებს... მაგრამ ამ ჩვენთვის თვალით დაუნახავი სხივების შემეცნებაში გაცილებით უფრო ღრმად შევიჭერით, ვიდრე ჭიანჭველები, და უკვე ის ფაქტი, რომ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ჭიანჭველები ისეთ რამეებს ხედავენ, რაც ჩვენთვის უხილავია, და რომ ეს მტკიცება მხოლოდ და მხოლოდ ჩ ვ ე ნ ი თვალების აღქმებზეა დამყარებული, გვიჩვენებს, რომ ადამიანის თვალის სპეციალური აგებულება ადამიანის შემეცნების აბსოლუტურ ზღუდეს არ წარმოადგენს“ [1].

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესმა აუცილებლობით გამოიწვია შეგრძნების ორგანოების ბუნებრივი შეზღუდულობის გადალახვა ხელოვნური გზით განსაკუთრებული ხელსაწყოების, ინსტრუმენტებისა და აპარატების გამოყენების ნიადაგზე. ამ ხელსაწყოების საშუალებით ადამიანები ერთიასად, ერთიათასად და უფრო მეტად იმძაფრებენ თავის გრძნობის ორგანოებს, იმდიდრებენ ცნობიერებას ისეთი შთაბეჭდილებებით, რომლებსაც ვერ მიიღებდნენ გრძნობათა ორგანოების ხელოვნური გაშუალების გარეშე.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ ამ საფეხურზეც არ შეაჩერა ადამიანი. იგი ველარ დაკმაყოფილდა შეგრძნების იმ ორგანოების გაგრძელებით, რომლებითაც ისედაც აღჭურვილია ბუნებითვე, შექმნა სპეციალური „მგრძნობიარე“ ხელსაწყოები, მათი საშუალებით კი მისწვდა პირდაპირი გზით მისთვის საერთოდ მიუწვდომელ მოვლენებს და საგნებს. თუ ადამიანს არ გააჩნია სპეციალური შეგრძნების ორგანო, მაგალითად, ელექტრული და მაგნიტური მოვლენების აღსაქმელად, მან ეს ხარვეზი დიდი ხანია რაც ამოივსო გალვანომეტრისა და კომპასის საშუალებით.

მთვარის მეორე მხარე დასაბამიდანვე უხილავი იყო ადამიანებისათვის; მაგრამ საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა შექმნეს ისეთი მოწყობილობა ხელოვნურ თანამგზავრზე, რომელმაც შემოუარა მთვარეს, გადაიღო მისი უხილავი მხარის სურათი და იგი დედამიწას გადმოსცა.

ამრიგად, შეგრძნების ორგანოების ბუნებრივი შეზღუდულობა ადამიანს ხელს არ უშლის სამყაროს საგნებისა და მოვლენების სწორად ასახვის საქმეში. შეგრძნების ორგანოები პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აგროვებენ იმ მასალას, რომელიც სინამდვილის შემეცნებისათვის არის საჭირო.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 250.

ღ) აზროვნების როლი შემეცნების პროცესში. გრძნობადი აღქმებისაგან განსხვავებით აზროვნება ასახავს სინამდვილეს არა უშუალოდ, არამედ შუალობით. იგი სინამდვილეს განზოგადებულად ასახავს. აზროვნება გვაკავშირებს ზოგადთან, არსებასთან, გრძნობადი აღქმა კი კონკრეტულთან, ერთეულთან.

აზროვნებისათვის მისაწვდომია ის, რაც გრძნობადი აღქმისათვის მიუწვდომელია.

„ფაქტიურად ყოველგვარი ნამდვილი, ამომწურავი შემეცნება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აზრებში ერთეულადს ერთეულობიდან კერძოობამდე. ხოლო ამ უკანასკნელიდან ზოგადობამდე ავამაღლებთ; იმაში მდგომარეობს, რომ უსასრულოს სასრულოვანში, ხოლო სამარადისოს წარმავალში აღმოვაჩენთ და დავადასტურებთ. მაგრამ ზოგადობის ფორმა შინაგანი დასრულებულობის და, მაშასადამე, უსასრულობის ფორმაა; იგი არის მრავალი სასრულოვანის უსასრულობად გაერთიანება. ჩვენ ვიცით, რომ ქლორი და წყალბადი გარკვეული წნევისა და ტემპერატურის პირობებში სინათლის ზემოქმედებით ქლოროვანი წყალბადის აირად შეერთდება და აფეთქებას იძლევა; ხოლო რაკიღა ჩვენ ეს ვიცით, მაშინ ჩვენ აგრეთვე ისიც ვიცით, რომ ეს ყოველთვის და ყველგან ხდება, სადაც კი ზემოაღნიშნული პირობები არსებობს, და, სულ ერთია, მოხდება იგი ერთხელ, თუ მილიონჯერ განმეორდება და სამყაროს რამდენ სხეულზე. ზოგადობის ფორმა ბუნებაში კანონია“ [1].

აზროვნება მისაღწევს ხდის იმას, რაც მიუღწეველია გრძნობადი განჭვრეტისათვის. მაგრამ ზემოთქმულიდან ისეთი დასკვნა კი არ უნდა გამოვიტანოთ, თითქოს ადამიანის აზროვნება თვითკმარი მომენტია შემეცნების პროცესში, არ ემყარება გრძნობადი განჭვრეტის მონაცემებს, არ საჭიროებს მათ. სინამდვილეში ხდება სწორედ პირიქით. აბსტრაქტული აზროვნება და გრძნობადი აღქმა ურთიერთს ერწყმიან და ავსებენ, ურთიერთს ამდიდრებენ. ცოცხალი განჭვრეტა აზროვნების პროცესის განუყოფელი თანამგზავრია და აქტიურ დახმარებას უწევს მას განმაზოგადებელი მუშაობის პროცესში.

გარესამყაროს ასახვის პროცესი ხორციელდება გრძნობადი მასალის აზრობრივი გადამუშავების გზით, მსჯელობის, დასკვნების, ცნებების ჩამოყალიბების გზით.

მსჯელობა აზროვნების ისეთი ფორმაა, რომელიც ასახავს სინამდვილის საგნებისა და მოვლენების მრავალფეროვან ნიშნებს, მიმართებებსა და კავშირებს.

შრომის, წარმოების პროცესში ადამიანი უკავშირდება ობიექტური

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 244.

საგნებისა და მოვლენების გარკვეულ ჯგუფს. იგი აკვირდება ამ საგნებს, მათ ნიშნებს, მათ მიმართებებს სხვა საგნებთან; ადამიანის აზროვნებას უნარი შესწევს გამოჰყოს ამ საგნებისა და მოვლენებისაგან არსებითი ნიშნები და კავშირები, რომლებიც საგანთა ბუნებას განსაზღვრავენ და, ამასთანავე, განსაკუთრებულ ღირებულებას შეიცავენ თვით ადამიანისათვის, მისი წარმოებითი საქმიანობისათვის.

აზროვნებას აქვს უნარი საგნის არსებითი ნიშანი გამოაცალკევოს სხვა არაარსებითი და უმნიშვნელო ნიშნებიდან, ე. ი. მოახდინოს ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ა, განყენება. აბსტრაქტული აზროვნება სხვადასხვა ხერხს იყენებს სინამდვილის ასახვის პროცესში. იგი, ობიექტის სირთულის გამო დაშლის საგანს მის შემადგენელ მხარეებად და თითოეულ მხარეს ცალ-ცალკე შეისწავლის. ანალიზი შემეცნების ობიექტის აზრობრივი დანაწევრებისა და მისი ყოველი შემადგენელები ელემენტის შესწავლის ხერხია. ცხადია, ანალიზი იმისათვის ესაჭიროება აზროვნებას, რომ მიიღოს მასალა განზოგადებისათვის და შეიმუშაოს სრული სურათი საგნის შესახებ. ამ მიზნით აზროვნება მიმართავს ს ი ნ თ ე ზ ი ს ოპერაციას. სინთეზი ახდენს ანალიზით მოპოვებული მასალის გაერთმთლიანებას, რითაც სისრულით გამოხატავს საგნის ბუნებას. „ა ნ ა ლ ი ზ ი, — რაც ფ. ენგელსის მიხედვით,— კვლევის გაბატონებული ფორმაა, არაფერია მოპირდაპირე პოლუსის — სინთეზის გარეშე“ [1].

მსჯელობაში გამოთქმულია აზრი საგანთა შესახებ, რომლითაც რაიმე დასტურდება ან რაიმე უარიყოფა. უკვე შემუშავებული მსჯელობებიდან ადამიანებს გამოჰყავთ ახალი მსჯელობები. მსჯელობათა ისეთი კავშირი, რომლიდანაც აუცილებლობით გამომდინარეობს ახალი მსჯელობა — დასკვნაა.

მსჯელობებისა და დასკვნების გამოყვანის გზით ადამიანები იმუშავებენ ცნებებს. ცნებები ასახავენ საგანთა და მოვლენათა არსებით მხარეებს, არსებით ნიშნებს.

ლოგიკური აზროვნების ფორმების — მსჯელობების, დასკვნების, ცნებების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საგანთა არსების, ობიექტური კანონების ასახვა, რაც თავის მხრივ აუცილებელი პირობაა საგანთა და მოვლენათა ბუნებაში გასარკვევად, მათ გარდასაქმნელად წარმოებითი საქმიანობის პროცესში.

ადამიანის აზროვნება, რა ლოგიკურ ფორმაშიც არ უნდა გვეელინებოდეს იგი, გრძნობადი განჭვრეტით არის გაშუალებული და არ არსებობს მისგან გამოთიშულად. მარქსისტული გნოსეოლოგია გრძნობადი აღქმისა და აბსტრაქტული აზროვნების უშუალობისა და გაშუალების დიალექტიკურ ერთიანობას ემყარება.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 232.

ე) ემპირიზმი და რაციონალიზმი, მათი კრიტიკა. მარქსამდელმა ფილოსოფოსებმა მეცნიერულად ვერ გადაჭრეს გრძნობადი და რაციონალური მომენტების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. ემპირისტების თანახმად, რაკი სინამდვილეს ვუკავშირდებით უშუალოდ, გრძნობათა ორგანოების საშუალებით, იმდენად შეგვიძლია მხოლოდ ცალკეული მოვლენების, ერთეული საგნებისა და საგანთა თვისებების შემეცნება, სწორედ ისინი გვეძლევიან ცდაში, აღქმაში. მაგრამ ვერ შევიმეცნებთ არსებას, ზოგადს, მიმართებებს და ა. შ. ვინაიდან ცდაში ასეთი არაფერი გვეძლევა.

ნამდვილი შემეცნება — გრძნობადი შემეცნებაა ემპირიზმისათვის. როგორც ვხედავთ, ემპირისტი არ მიდის გრძნობადი მონაცემების იქით; მისთვის საკმარისია გაუგებარია აბსტრაქტული აზროვნების სპეციფიკურობა და მისი როლი შემეცნების პროცესში.

პრინციპულად საწინააღმდეგო დებულებას იცავს რაციონალიზმი. რაციონალიზმის მიხედვით, შეუძლებელია ცდის, გრძნობადი აღქმის მონაცემებზე დაყრდნობა, ვინაიდან, გრძნობადი აღქმა გვაკავშირებს მხოლოდ ცვალებადთან (მოვლენა), ერთეულთან. ცოდნა ცვალებადისა და ერთეულის შესახებ კი არ შეიძლება გარკვეულ ცოდნად ჩაითვალოს. გარკვეული ცოდნა არსებას, ზოგადს უნდა გამოხატავდეს, რასაც აბსტრაქტული აზროვნება გვაძლევს. აქედან, ნამდვილი შემეცნება აზროვნებითი, „ინტელექტუალური შემეცნებაა" — აცხადებს რაციონალისტი.

როგორც ვხედავთ, რაციონალიზმი არ შორდება აბსტრაქტული აზროვნების ფარგლებს, უნდობლობას უცხადებს გრძნობადი აღქმის მონაცემებს. მისთვის საკმარისია გაუგებარია გრძნობადი აღქმის სპეციფიკურობა და მისი როლი შემეცნების პროცესში.

ემპირიზმი „მარტო ცდით ყოყოჩობს, აზროვნებას უაღრესი ათვალწუნებით ეპყრობა" [1].

მეორე მხრივ, უკიდურესობაში ეშვება აგრეთვე რაციონალიზმი, რომელიც უარყოფს ადამიანის აზროვნების კავშირს ცდასთან, გრძნობად აღქმასთან. „თანამედროვე ბუნებისმეცნიერებამ იმგვარად გააფართოვა აზროვნების მთელი შინაარსის ცდისეული წარმოშობის თეზისი, რომ მისი ძველი მეტაფიზიკური შეზღუდულობა და ფორმულირება უკუგდებულ იქნა" [2]. ამ თვალსაზრისით დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორია არ ეწინააღმდეგება XVIII საუკუნის მატერიალიზმის მტკიცებას, რომ „ყოველგვარი აზროვნებისა და ცოდნის შინაარსი გრძნობადი გამოცდილებიდან უნდა წარმოსდგებოდესო" [3].

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 39.
[2] იქვე, გვ. 281.
[3] იქვე, გვ. 280.

ადვილი შესამჩნევია, რომ ემპირიზმი, ისევე, როგორც რაციონალიზმი უკიდურეს ცალმხრივობამდეა დაშვებული. ერთიც და მეორეც აკერპებს შემეცნების პროცესის ცალკეულ მხარეებს, საკითხსაც არ სვამს მათი ორგანული ერთიანობის და ურთიერთშერწყმის შესახებ. მეორე მხრივ, ემპირიზმი, ისევე, როგორც რაციონალიზმი, არსებას სწყვეტს მოვლენისაგან, ზოგადს — კერძოსაგან, რაც აგრეთვე უხეში შეცდომაა.

მარქსისტულმა გნოსეოლოგიამ დასძლია შემეცნების წინანდელი თეორიების ყველა ნაკლოვანება და მეცნიერულად გადასჭრა ემპირიულისა და რაციონალური მომენტების ურთიერთობის პრობლემაც.

გრძნობადი აღქმა და აბსტრაქტული აზროვნება ერთიანი მთლიანის — ადამიანური ცნობიერების ორ განსხვავებულ მხარეს შეადგენს. გრძნობადი აღქმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გვაკავშირებს საგანთა გარეგნულ მხარეებთან და თვისებებთან. აბსტრაქტული აზროვნება კი იჭრება მოვლენათა სიღრმეში, სწვდება მათ არსებას, კანონზომიერებას. მაგრამ არა გრძნობადი მონაცემებისაგან მოწყვეტით, არამედ მათზე დაყრდნობით, ამ მონაცემების გადამუშავების გზით. სინამდვილის აზრობრივი ასახვის ძირები გრძნობადი აღქმიდან მომდინარეობს.

ამრიგად, გრძნობადი აღქმა და აბსტრაქტული აზროვნება შემეცნების პროცესის ორი ურღვევად დაკავშირებული მომენტია. თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკური ფუნქცია გააჩნია. გადასვლა პირველიდან მეორეზე შემეცნების დიალექტიკური ბუნების არსებით მხარეს შეადგენს.

ისტორიული მატერიალიზმის საკითხები არსებითად განხილულია ფ. ენგელსის „ბუნების დიალექტიკის" ერთ-ერთ თავში „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში". ამ ნაწარმოებში შემუშავებულ ძირითად დებულებებს ჩვენ შევეხებით მესამე განყოფილებაში, ისტორიული მატერიალიზმის პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"

შემოქმედებითი მარქსიზმის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური ნაწარმოების მიზანმიმართულებისა და მასში განხილული საკითხების გაგებისათვის აუცილებელია მოკლედ მაინც გაეცნოთ ისტორიულ ვითარებას, რომელშიც „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" დაიწერა.

ვ. ი. ლენინის ეს გენიალური ნაწარმოები შეიქმნა იმ დროს, როდესაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთში რეაქცია ზეიმობდა. მთავრობა სასტიკად გაუსწორდა რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიებს. მათ შორის კი ვინც რევოლუციას მიემხრო

მისი აღმავლობის პერიოდში, რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაქსაქსულობა და რევოლუციური იდეალებისაგან განდგომა შეიმჩნეოდა. ზოვიერთმა ახლა უკვე ეჭვი შეიტანა თვით პროლეტარული იდეოლოგიის — მარქსიზმის სისწორეში და მისი „შესწორება“ მოითხოვა. ასე დაიწყო მარქსიზმის რევიზია, რაც, უწინარეს ყოვლისა მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძვლებს ეხებოდა. ეს გასაგებიცაა, მარქსიზმის მტრებმა კარგად იცოდნენ, რომ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი მარქსიზმის მთლიანი მოძღვრების თეორიული დასაყრდენია. ამ დასაყრდენის გამოცლით ისინი ცდილობდნენ დაენგრიათ მარქსიზმის მთლიანი სისტემა, მარქსის ფილოსოფიასთან ერთად მცდარად წარმოედგინათ მისი ეკონომიკური მოძღვრება და სოციალიზმის თეორია. ამრიგად, სოციალ-დემოკრატიის რიგებიდან გაქცეული „კრიტიკოსები“ მარქსიზმის აშკარა იდეოლოგიური მტრების ბანაკში გადაბარგდნენ. ასე მაგალითად, ბოლშევიკი ოტზოვისტები ა. ა. ბოგდანოვი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ვ. ა. ბაზაროვი, ასევე მენშევიკი ფილოსოფოსები ნ. ვ. ვალენტინოვი, პ. ს. იუშკევიჩი და სხვები ერთად ფრონტით გამოდიოდნენ როგორც მახიზმის სუბიექტური იდეალიზმის მქადაგებლები და მას „უახლოეს მარქსისტულ ფილოსოფიად“ მიიჩნევდნენ. ბაზაროვმა, ბოგდანოვმა, ლუნაჩარსკიმ, ბერმანმა, გელფონდმა, იუშკევიჩმა, სუვოროვმა 1908 წელს გამოსცეს სტატიების კრებული „ნარკვევები მარქსიზმის ფილოსოფიის შესახებ“, აგრეთვე იუშკევიჩმა, ბერმანმა და ვალენტინოვმა ცალკე წიგნები, რომლებშიც თითქმის მთლიანადაა განხორციელებული თავდასხმა დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმზე.

ყველაზე პარადოქსული ის იყო, რომ მარქსიზმის ფილოსოფიური რევიზიონისტები ფილოსოფიაში მარქსისტობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. ეს „სინამდვილეში — დიალექტიკური მატერიალიზმისაგან ე. ი. მარქსიზმისაგან სრული განდგომაა. სიტყვიერად — დაუსრულებელი ხრიკები. ცდები — გვერდი აუარონ საკითხის არსს, დაფარონ თავიანთი უკან დახევა, დასვან საერთო მატერიალიზმის ადგილას ერთ-ერთი რომელიმე მატერიალისტი, გადაჭრით უარი თქვან მარქსისა და ენგელსის უთვალავ მატერიალისტურ განცხადებათა პირდაპირ გარჩევაზე. ესაა — ნამდვილი „ამბოხება მუხლმოდრეკილთა“. ერთი მარქსისტის სამართლიანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ესაა — ტიპიური ფილოსოფიური რევიზიონიზმი, ვინაიდან მხოლოდ რევიზიონისტებმა მოიხვეჭეს სავალალო სახელი მარქსიზმის ძირითადი შეხედულებებიდან გადახვევით და შიშით ან უუნარობით — აშკარად, პირდაპირ, გადაჭრით და ნათლად „გაესწორებინათ ანგარიში“ უარყოფილ შეხედულებებთან“ [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 8.

პარტიის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ფილოსოფიური რევიზიონიზმის მხილებისა და განადგურების ამოცანა. ეს ამოცანა შეასრულა ვ. ი. ლენინმა თავისი კლასიკური ნაწარმოებით „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომელშიც დაიცვა და ახალ თეორიულ სიმაღლეზე აიყვანა მარქსის ფილოსოფია — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

წიგნის დასაწერად ვ. ი. ლენინმა შეისწავლა და კრიტიკულად განიხილა 200-ზე მეტი წიგნი და სტატია. ამ უზარმაზარ ლიტერატურას ვ. ი. ლენინი ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმში გაეცნო. მან წიგნზე მუშაობა 1908 წლის ოქტომბრისათვის დაამთავრა. წიგნი გამოვიდა 1909 წელს, მაისში.

ვ. ი. ლენინის წიგნის — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" — სტრუქტურა. ვ. ი. ლენინის წიგნს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობები პირველი და მეორე გამოცემისათვის. მეორე გამოცემის წინასიტყვაობა დათარიღებულია 1920 წლის 2 სექტემბრით.

წინასიტყვაობებში არსებითად მსჯელობაა იმის შესახებ, თუ რა მიზნით დაიწერა აღნიშნული ნაწარმოები, რით იყო შეპირობებული მისი შექმნის აუცილებლობა. მართალია, ეს წიგნი პოლემიკური ხასიათის ნაწარმოებია, მაგრამ თვით ვ. ი. ლენინის თავმდაბლური განცხადებით „იგი უსარგებლო არ იქნება როგორც დამხმარე წიგნი მარქსიზმის ფილოსოფიის, დიალექტიკური მატერიალიზმის და ასევე ბუნებისმეტყველების უახლეს აღმოჩენათა, ფილოსოფიური დასკვნების გასაცნობად" [1].

წინასიტყვაობების შემდეგ წიგნი შეიცავს შესავალ ნაწილს, ექვს თავს, დასკვნას და IV თავის § I-ის დამატებას.

შესავალ ნაწილში, რომელსაც ვ. ი. ლენინი „შესავლის მაგიერს" უწოდებს, არსებითად გარკვეულია XVIII ს. მოაზროვნეების — ბერკლისა და იუმის ფილოსოფიური შეხედულებები. ვ. ი. ლენინს მათი დახასიათება იმისათვის სჭირდება, რომ დაადგინოს გენეტიკური კავშირი ბერკლის სუბიექტურ იდეალიზმსა, იუმის აგნოსტიციზმსა და მახიზმს შორის, შემდეგ კი მახიზმის რუს მიმდევრებს შორის.

„მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის" პირველი სამი თავი ეხება ძირეულ განსხვავებულობას ემპირიოკრიტიციზმისა და დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიებს შორის.

მეოთხე თავში ვ. ი. ლენინი ამხელს და აკრიტიკებს ემპირიოკრიტიციზმის მიმდევრების თეორიულ პოზიციებს.

მეხუთე თავში ნაჩვენებია ბუნებისმეტყველებაში მიმდინარე რევოლუციის თავისებურებანი, თანამედროვე ფიზიკის კრიზისი, განსა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 10.

ზღვრულია „ფიზიკური იდეალიზმის“ დედაარსი, დასახულია კრიზისული მდგომარეობიდან ფიზიკის მეცნიერების გამოსვლის გზები.

მეექვსე თავში მოცემულია ემპირიოკრიტიციზმის კრიტიკა ისტორიული მატერიალიზმის საკვანძო საკითხებში.

წიგნის დასკვნაში შეფასებულია ემპირიოკრიტიციზმი ოთხი თვალსაზრისით.

უწინარეს ყოვლისა შევეხოთ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ შესავალში განხილულ საკითხებს.

რევიზიონიზმის წარმომადგენელთა ბრალდებები მატერიალიზმის მიმართ. რუსი მახისტები, ილაშქრებდნენ რა მატერიალიზმის წინააღმდეგ, აღნიშნავდნენ, რომ მატერიალიზმი აღიარებს „საგანს თავისთავად“, მატერიას „ცდის გარეშე“, და ამის გამო „კანტიანობაში“ ვარდებაო. ამრიგად, რუსი მახისტები მატერიალიზმს ბრალად დებდნენ კანტიანელობას.

ისინი ბრალად სდებდნენ მატერიალიზმს მისტიციზმსაც, რადგან ეს უკანასკნელი თითქოს ცნობს მიღმურს, ჩვენი ცნობიერების საზღვრებს იქით მყოფ რეალობას, „რელიგიის ორეულს“.

რევიზიონისტები მატერიალიზმს წარმოსახავდნენ როგორც დუალიზმს, იმის გამო, რომ მატერიალისტები აღიარებენ, ერთი მხრივ, თავისთავადი საგნების, ხოლო მეორე მხრივ, უშუალო გრძნობადი მონაცემების, მოვლენების არსებობას.

ამ ბრალდებებს როდესაც აყენებდნენ, რევიზიონისტები არსებითად ებრძოდნენ და უარყოფდნენ მატერიალიზმს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ამასთან მათ თავი ისე მოჰქონდათ, თითქოს საერთოდ კი არ იბრძოდნენ მატერიალიზმის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ ერთ მატერიალისტს — სახელდობრ პლეხანოვს ებრძოდნენ და ისიც თანამედროვე ბუნებისმეტყველების თვალსაზრისით. სინამდვილეში რუს ფილოსოფიურ რევიზიონისტებს უფრო შორს მიმავალი ზრახვები ჰქონდათ. ისინი პლეხანოვს შირმად იყენებდნენ, არსებითად კი ილაშქრებდნენ საერთოდ მატერიალიზმის, განსაკუთრებით კი მარქს-ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ. ამასთან, საბუთები, რომლებსაც უპირისპირებდნენ ისინი მატერიალიზმს, სრულიადაც არ იყო ახალი. ეს საბუთები ნასესხები იყო მახისა და ავენარიუსის, უფრო ადრე კი ბერკლისა და იუმის ფილოსოფიურ შეხედულებათა არქივიდან. მაშასადამე, რუსი ფილოსოფიური რევიზიონისტები დიალექტიკურ მატერიალიზმს ებრძოდნენ მახიზმის, უფრო ზუსტად, სუბიექტური იდეალიზმის პოზიციიდან. ეს საბუთები, ვ. ი. ლენინის თქმით, „ერთი ბეწოთითაც კი არ განსხვავდება ბერკლის საბუთებისაგან“ [1].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 16.

იმისათვის, რომ ცხადყოს რუსი და საზღვარგარეთელი მახისტები, ისევე როგორც მათი მასწავლებლების, მსოფლმხედველობრივი მსგავსება ბერკლის სუბიექტურ იდეალიზმთან, ვ. ი. ლენინი თავისი წიგნის შესავალ ნაწილში გვაცნობს ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის ძირითად დებულებებს. ვ. ი. ლენინის აზრთა მსვლელობა ასეთია: ჯერ უნდა ვიცოდეთ სუბიექტური იდეალიზმის „პირველწყარო" — ჯორჯ ბერკლის ფილოსოფია, რაც ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში შემუშავდა, შემდეგ კი ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების სუბიექტური იდეალიზმი, რომელსაც მახი და ავენარიუსი ქადაგებდნენ, სხვა არაფერია, თუ არა ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის ნაირსახეობა და გადამღერება. თავის მხრივ კი, მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსული და საზღვარგარეთული „ფილოსოფიური რევიზიონიზმი" არსებითად მახიზმის, ემპირიოკრიტიციზმის განმეორებაა.

ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკა ვ. ი. ლენინის მიერ. ბერკლი მატერიალიზმის წინააღმდეგ სუბიექტური იდეალიზმის პოზიციიდან იბრძოდა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმართულება აღიარებს მატერიის, ბუნების პირველადობას და ცნობიერების, სულიერის მეორადობას, ცნობს ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას, ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის ასახვას ჩვენსავე აზრებში, წარმოდგენებში, შეგრძნებებში.

„მატერიალიზმი — ეს აღიარებაა ,ობიექტებისა თავისთავად, ანუ გონების გარეშე; იდეები და შეგრძნებანი — ეს ამ ობიექტების ასლი ან ასახვაა" [1].

ბერკლი, როგორც სუბიექტური იდეალისტი, სრულიად გარკვეულად ილაშქრებდა მატერიალიზმის ამ პრინციპულ დებულებათა წინააღმდეგ. იგი ცდილობდა მატერიალიზმის ამოსავალი დებულებების უარყოფას, უწინარეს ყოვლისა, თვით მატერიის ცნების უარყოფის გზით, მატერიას „არარსებულ არსად", „არარად" აცხადებდა. რატომ იწყებდა იგი მატერიალიზმის წინააღმდეგ ლაშქრობას მაინც და მაინც მატერიის ცნების უარყოფიდან? ამაზე პასუხს თვით ბერკლი იძლევა. იგი აღნიშნავს, რომ ყველა მატერიალისტური და ათეისტური სისტემა „იმდენად აუცილებლად არის დამოკიდებული მატერიალური სუბსტანციისაგან, რომ, რაკი ამ ქვაკუთხედს გამოვაცლით, — მთელი შენობაც აუცილებლად დაინგრევა" [2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გ. 16—17.

[2] იქვე, გვ. 19.

ახლა საკითხავია, თუ რა საბუთებს აყენებს ჯ. ბერკლი მატერიის-ცნების უკუსაგდებად? ჯერ ერთი, იგი უარყოფს ზოგადის არსებობას. სამყარო, ბერკლის აზრით, გვევლინება მხოლოდ ცალკეული საგნებისა და მოვლენების სახით. ზოგადი საგანი და მოვლენა კი სამყაროში არ არსებობს, ზოგადი არ წარმოიდგინება. ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს სამყაროს მრავალფეროვანი მოვლენების ზოგადი საფუძველიც, ე. ი. მატერია. „თუ სიტყვა სუბსტანციას ფილოსოფიური აზრით გავიგებთ, — როგორც ცნობიერების გარეშე (არსებულ) აქციდენციათა ან თვისობრიობათა საფუძველს, — მაშინ მე მართლაც ვაღიარებ. რომ ვსპობ მას, თუ კი შეიძლება ისეთი რამის მოსპობაზე ლაპარაკი, რაც არასოდეს არ არსებობდა, არ არსებობდა თვით წარმოდგენაშიც“ [1]. — წერს ჯ. ბერკლი.

ბერკლის ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ზოგადი არ არსებობს ცალკეული საგნებისაგან მოწყვეტით, მაგრამ იგი არსებობს თვით საგნებში როგორც საერთო და იგივეობრივი, მსგავსი ცალკეული საგნებისათვის. მაშასადამე, ზოგადობის ბერკლისეული უარყოფა სრულიადაც არ გამოდგება მატერიის უარსაყოფად.

ბერკლი არ ცნობს არც ცალკეული საგნების დამოუკიდებელ არსებობას. „ჩემთვის სრულიად გაუგებარიაო, — ამბობს იგი, — როგორ შეიძლება ლაპარაკი საგნების აბსოლუტურ არსებობაზე იმისდა დამოუკიდებლად, რომ მათ ვინმე აღიქვამს? არსებობა ნიშნავს აღქმას“[2].

ბერკლის სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი შეგრძნებისა და მისი ობიექტის გაიგივებაა. მთავარი საბუთი, რომელიც, ბერკლის აზრით, უარყოფს შეგრძნების გამოცხადებას მატერიალური საგნების სახედ, ისაა, რომ შეგრძნებას აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო მატერიალურ საგნებთან. თვით ბერკლი თავის შეხედულებას ასე გადმოგვცემს:

„თქვენ იტყვით, რომ იდეები შეიძლება იმ საგნების ასლი ან გამონაკრთომი იყოს, რომელნიც გონების გარეშე არსებობენ არამოაზროვნე სუბსტანციაში. მე გიპასუხებთ, რომ შეუძლებელია იდეა სხვა რასმე ჰგავდეს, გარდა იდეისა. ფერი ან ფიგურა სხვას ვერაფერს დაემსგავსება, გარდა მეორე ფერისა, მეორე ფიგურისა“ [3].

ბერკლი უარყოფს მატერიალურ რეალობას, რომელიც შეგრძნებაში აისახება და ერთადერთ სინამდვილედ შეგრძნებაში მოცემულ სინამდვილეს აღიარებს. აქედან წარმოსდგება მისი ძირითადი დებულება: esse is percipi, რაც ფაქტიურად ნიშნავს შეგრძნებისა და მისი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 14, გვ. 21.
[2] იქვე, გვ. 14.
[3] იქვე, გვ. 15.

ობიექტის, სახისა და საგნის გაიგივებას სუბიექტურ ნიადაგზე, ე. ი. სუბიექტურ იდეალიზმს.

ბერკლი უხეშ შეცდომას უშვებს, როდესაც შეგრძნებასა და მატერიას შორის გაუვალ ნაპრალს ავლებს. სინამდვილეში კი შეგრძნება მატერიის შინაგანი განვითარების შედეგია, ამიტომ არ ეწინააღმდეგება მას, არ შეიძლება მისი მოწყვეტა მატერიისაგან.

რაკი „უარყო" როგორც მატერიის, ისე ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ცალკეული მატერიალური საგნების არსებობა ბერკლიმ საერთოდ „მოხსნა" შეგრძნებათა მატერიალური წყაროს საკითხი. ვ. ი. ლენინი ბერკლის აკრიტიკებს შეგრძნებათა წყაროს გაგების საკითხშიც.

რასაკვირველია, ბერკლის, როგორც სუბიექტური იდეალიზმის მქადაგებელს არ შეეძლო გვერდის ავლა შეგრძნებათა წყაროს საკითხისათვის. საიდან წარმოსდგება თვით შეგრძნებები, რა იწვევს მათ, რატომ მყარდება შეგრძნებათა შორის აუცილებელი კავშირი და თანამიმდევრობა? ბერკლის თანახმად, ყოველივე ამის მიზეზი მხოლოდ სულიერი შეიძლება იყოს (რამდენადაც მისთვის მატერიალური არ არსებობს). თუ ადამიანის ცნობიერებაში ჩნდება იდეები, მაშინ მათი წარმოშობის წყარო ან თვით ადამიანის გონებაშია (ასეთ შემთხვევაში მკრთალი იდეები გვეძლევა), ან ძლიერ სულიერ ძალაში, ღმერთში (მისგან გამოწვეული შეგრძნებები და იდეები ობიექტურ რეალობად, საგნებად გვევლინებიან). სწორედ ის იწვევს „წესრიგს" შეგრძნებათა შორის.

„ბერკლი უარს ამბობს აღიაროს საგნების არსებობა ცნობიერების გარეშე და ცდილობს მონახოს კრიტერიუმი რეალურის და ფიქციურის გასარჩევად. ...იგი ამბობს, რომ ადამიანის გონების მიერ თვითნებურად გამოწვეული „იდეები" „მკრთალი, სუსტი და მერყეევია იმ იდეებთან შედარებით, რომელთაც გრძნობებით აღვიქვამთ. ეს უკანასკნელი იდეები, რომელნიც ჩვენში ბუნების განსაზღვრული წესების იმ კანონების მიხედვით აღიბეჭდებიან, უფრო ძლიერი და ბრძენი გონების არსებობას მოწმობენ, ვიდრე ადამიანის გონებაა. როგორც იტყვიან, ასეთ იდეებს მეტი რ ე ა ლ ო ბ ა აქვთ, ვიდრე წინათ აღნიშნულთ; ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უფრო ნათელნი, მოწესრიგებულნი, განცალკევებულნი არიან და მათი აღმქმელი გონების ფიქციას არ წარმოადგენენ" [1].

ასე გადადის ბერკლი სუბიექტური იდეალიზმიდან ობიექტური იდეალიზმის ნიადაგზე. მისი შეხედულებით, სწორედ ღვთაება ზემოქმედებს ადამიანის გონებაზე და საბოლოოდ „სამყარო სუბიექტის წარმოდგენა კი არ ყოფილა, არამედ ერთი უზენაესი სულიერი მიზეზის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 23—24.

შედეგი; ეს სულიერი მიზეზი ქმნის „ბუნების კანონებსაც“ და „უფრო რეალურ“ და ნაკლებ რეალურ იდეებს შორის განსხვავების კანონებსაც და სხვ.“ [1]

თვით ბერკლი შემდეგნაირად განასხვავებდა თავის შეხედულებას მატერიალისტების თვალსაზრისისაგან შეგრძნებათა წყაროს გაგების საკითხში:

„მე ვამტკიცებ ისევე, როგორც თქვენ“ (მატერიალისტები), „რომ, რაკი ჩვენზე რაღაც გარედან მოქმედებს, ჩვენ უნდა ვაღიაროთ (ჩვენს) გარეშე მყოფი ძალების არსებობა, ძალებისა, რომლებიც ჩვენგან განსხვავებულ არსებას ეკუთვნის. მაგრამ აქ, ჩვენ ერთმანეთს აღარ ვეთანხმებით იმ საკითხში, როგორია ეს ძლიერი არსება. მე ვამტკიცებ, რომ იგი სულია-მეთქი, თქვენ ამბობთ — მატერიააო“ [2].

როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, ბერკლის სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიის ყველა ძირითადი დებულება: ზოგადის და ამ საფუძველზე მატერიის უარყოფა, საგანთა დაყვანა შეგრძნებათა კომბინაციაზე, შეგრძნებათა არამატერიალური წყაროს დაშვება და სხვ., იმ თეორიულ ბაზად იქცა, რომელსაც შემდეგ დაემყარა მახისა და აევნარიუსის ემპირიოკრიტიციზმი, ისევე როგორც უახლესი მახიზმი.

ბერკლის ზოგიერთი მოსაზრება გაიზიარა, მაგრამ მისგან განსხვავებულ აგნოსტიკურ თვალსაზრისამდე მივიდა ინგლისელი ფილოსოფოსი დავით იუმი; ბერკლის მსგავსად იუმი ცნობს, რომ ადამიანური შემეცნება ცდას — შეგრძნებებს და აღქმებს ემყარება, რომ ზოგადი არ არსებობს, რამდენადაც იგი ცდაში არ გვეძლევა, რომ არ არსებობს ადამიანის შეგრძნებათა მატერიალური წყარო. მაგრამ ბერკლისაგან განსხვავებით იუმი უფრო შორს მიდის. იგი საერთოდ უარყოფს შეგრძნებათა ყოველგვარ ობიექტურ წყაროს — როგორც მატერიალურს, ისე იდეალურს, უარყოფს ცოდნას ბუნების შესახებ, უარყოფს კანონზომიერებას სამყაროში. ვ. ი. ლენინს მოჰყავს დებულებები დ. იუმის წიგნებიდან: „გამოკვლევა ადამიანის შემეცნების შესახებ“, „ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ“, სადაც აღნიშნულია: „საგნები „მხოლოდ ჩვენი გონების აღქმებია და მეტი არაფერი“ [3], „გონების განკარგულებაში არასოდეს არავითარი საგნები არაა, გარდა აღქმებისა და მას არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს რაიმე ცდა მოახდინოს აღქმათა და ობიექტთა თანაფარდობის შესახებ“ [4]. „ჩვენი აღქმანი ჩვენი ერთადერთი ობიექტებია“ [5], „მიმართო უზენაესი არსების სიმართლეს ჩვენი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 24.
[2] იქვე, გვ. 25.
[3] იქვე, გვ. 27.
[4] იქვე, გვ. 27—28.
[5] იქვე, ვვ. 28.

გრძნობების სიმართლის დასამტკიცებლად, — ნიშნავს საკითხს გვერდი-აუარო"[1].

სამყაროს შემეცნების უარყოფით დ. იუმი აგნოსტიციზმს ქადაგებდა, ხოლო შეგრძნებებისა და შთაბეჭდილებების მიღმა არსებული სამყაროს უარყოფით — სოლიფსიზმს. დ. იუმის აგნოსტიკური და სოლიფსისტური შეხედულებანი აგრეთვე იქცა ისტორიულ-ფილოსოფიურ არსენალად, რომელიც შემდგომ მახიზმმა და მისმა უახლოესმა მიმდევრებმა გამოიყენეს.

სუბიექტურ-იდეალისტური და აგნოსტიკური მოძღვრების წინააღმდეგ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იბრძოდნენ მატერიალისტები, რომლებიც სამყაროს საფუძვლად მიიჩნევდნენ მატერიალურს, ხოლო შეგრძნებას განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის პროდუქტად თვლიდნენ. ამის ნათელსაყოფად ვ. ი. ლენინს მოჰყავს ვრცელი ამონაწერი დიდროს წიგნიდან „დალამბერისა და დიდროს საუბარი" და ხაზს უსვამს დიდროს მატერიალიზმის სიახლოვეს თანამედროვე მატერიალიზმთან.

თუ წიგნის შესავალ ნაწილში ვ. ი. ლენინი მახიზმის ფილოსოფიური წინამორბედების ძირითად შეხედულებებს არკვევს, პირველი თავი უკვე უშუალოდ მახისა და ავენარიუსის, — რუსი მახისტების მასწავლებელთა თვალსაზრისის გადმოცემასა და კრიტიკას ეთმობა. თუმცა ნაწილობრივ მახისა და ავენარიუსის შეხედულებების კრიტიკას წიგნის სხვა თავებშიც ვხვდებით.

შევეხოთ წიგნის პირველ და მომდევნო თავებში განხილულ ძირითად საკითხებს.

შემეცნების თეორიის საკითხები ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში". საკითხის დაყენების ისტორიისათვის. მარქსსა და ენგელსს შემეცნების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია არ გაუხდიათ ყოველმხრივი სპეციალური განხილვის საგნად. მათ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „მთელი თავიანთი ყურადღება მიაქციეს... მატერიალიზმის სერიოზულ თეორიულ განვითარებას, მის გამოყენებას ისტორიის მიმართ, ე. ი. მატერიალისტური ფილოსოფიის შენობის აგების დასრულებას საბუნებისმეტყველო-ისტორიულ ინტერესებამდე"[2]. რაც შეეხება შემეცნების თეორიის დარგს, მარქსი და ენგელსი დაკმაყოფილდნენ ფოიერბახის, დიურინგის, ბიუხნერის და სხვათა გნოსეოლოგიური შეცდომების გასწორებით.

ვ. ი. ლენინს მოღვაწეობა მოუხდა სხვა ისტორიულ ვითარებაში, როდესაც ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ გნოსეოლოგია აირჩია მატე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 28.

[2] იქვე. გვ. 206.

რიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად ასპარეზად და შემეცნების მატერიალისტურ თეორიას დაუპირისპირდა არსებითად სუბიექტურ-იდეალისტური, აგნოსტიკური პოზიციებიდან. ვ. ი. ლენინმა საკადრისი პასუხი გასცა მარქსიზმის აშკარა და ფარულ მტრებს, ბრწყინვალედ დაიცვა შემეცნების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია, გაამდიდრა იგი ახალი განმარტებებითა და დასკვნებით. ამასთან, ეს დიდი მუშაობა ვ. ი. ლენინმა შეასრულა მეტად ფართო მასშტაბით. არ არსებობს შემეცნების თეორიის არცერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ვ. ი. ლენინის საფუძვლიანი კვლევა-ძიების ობიექტი არ იყოს. მატერიალისტური გნოსეოლოგიის ყოველმხრივი დაცვა და განვითარება ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის არსებითი მხარეა.

ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" პირველ სამ თავში განხილული საკითხებიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით. იმ მიზნით, რომ ნაჩვენები იქნეს დიალექტიკური მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის შემეცნების თეორიის ძირეული დაპირისპირებულობა, ამასთან ის დამსახურება, რაც ვ. ი. ლენინს მარქსისტული გნოსეოლოგიის საკვანძო საკითხების გარკვევასა და განვითარებაში მიუძღვის.

შ ე მ ე ც ნ ე ბ ა. შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი. შ ე მ ე ც ნ ე ბ ა ა რ ი ს გ ა რ ე გ ა ნ ი ს ა მ ყ ა რ ო ს ა ს ა ხ ვ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ი ე რ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. ამ განმარტებიდან ნათელია, რომ შემეცნების აქტის არსებობა გარკვეულ წანამძღვრებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, შემეცნების აქტის განხორციელება შეუძლებელია, თუ არ არსებობს გარკვეული ობიექტი — საგანი, რომელიც შემეცნებულ უნდა იქნეს. ადამიანებს არაფერი არ ეცოდინებათ, მაგალითად, მდინარეების, მცენარეების, ცხოველების, ელვისა და ქუხილის და სხვა საგნებისა და მოვლენების შესახებ, ბუნებაში რომ არ არსებობდნენ ასეთი საგნები და მოვლენები.

ობიექტური საგნებისა და მოვლენების, ანუ შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ი ს არსებობა შემეცნების აუცილებელი წანამძღვარია.

ცხადია, მხოლოდ გარეგანი სამყაროს, მხოლოდ შემეცნების ობიექტის არსებობა არ არის საკმარისი შემეცნების პროცესის განხორციელებისათვის. გარე სამყარო არსებობდა მოაზროვნე ადამიანის და საერთოდ ყოველგვარი ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობამდე; მაგრამ შემეცნების შესახებ ლაპარაკი მოაზროვნე ადამიანის წარმოშობამდე — შოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. შემეცნების პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია არა მარტო ის, რისი შემეცნებაც ხდება. არამედ აგრეთვე ისიც, რაც შეიმეცნებს. ცოდნას სინამდვილის შესახებ კი ქმნის მხოლოდ ადამიანი, მხოლოდ მოაზროვნე, შ ე მ მ ე ც-

ნ ე ბ ე ლ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი. მაშასადამე, შემეცნება ხორციელდება ობიექტისა და სუბიექტის ერთიანობის ბაზაზე.

სამყარო — შემეცნების ობიექტი და ადამიანი — შემეცნების სუბიექტი არ არის დამოკიდებული არც ღმერთზე, როგორც ღვთისმეტყველები ქადაგებენ, არც „აბსოლუტურ იდეაზე", „მსოფლიო სულზე" ან ინდივიდუალურ ცნობიერებაზე, როგორც იდეალისტები მსჯელობენ.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მიხედვით, სამყარო არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო ადამიანის ცნობიერება, წარმოშობილი მატერიის ხანგრძლივი განვითარების შედეგად, ყოფიერების, ობიექტურად არსებული ბუნების ასახვაა. ბუნების საგნები და მოვლენები, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის გრძნობათა ორგანოებზე და აისახებიან მის ცნობიერებაში.

მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიდგეთ მატერიალიზმის შემეცნების თეორიის ნიადაგზე, თუ ერთსა და იმავე დროს ვცნობთ როგორც ობიექტური მატერიალური სამყაროს არსებობას, ისე მის ასახვას სუბიექტის მიერ. ა ღ ი ა რ ე ბ ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა რ ს ე ბ უ ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც ა დ ა მ ი ა ნ თ ა შ ე გ რ ძ ნ ე ბ ე ბ შ ი, ა ღ ქ მ ე ბ შ ი, წ ა რ მ ო დ გ ე ნ ე ბ შ ი, ა ზ რ ე ბ შ ი ა ი ს ა ხ ე ბ ა, შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი თ ე ო რ ი ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ა, — ა ღ ნ ი შ ნ ა ვ დ ა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. მან შემდგომ დაამუშავა ასახვის თეორია — მარქსისტული გნოსეოლოგიის ქვაკუთხედი.

შ ე გ რ ძ ნ ე ბ ე ბ ი, ა ღ ქ მ ე ბ ი — გ რ ძ ნ ო ბ ა თ ა ო რ გ ა ნ ო ე ბ ზ ე უ შ უ ა ლ ო გ ა მ ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ლ ი ს ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ი. შეგრძნებები და აღქმები წარმოიშობიან ადამიანის გრძნობათა ორგანოებზე გარეგანი გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად.

არსებობს შეგრძნების სხვადასხვა რეცეპტორი: მხედველობის, სმენის, შეხების, ყნოსვის, გემოვნების, შინაგანი რეცეპტორები. თითოეულ მათგანს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობისათვის. მხედველობის ორგანოს საშუალებით ადამიანი შეიგრძნობს სინათლეს, ფერთა მრავალგვარობას, საგანთა სიდიდეს, მოყვანილობას და სხვ. მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სმენის ორგანო. იგი ადამიანს არკვევს საგანთა და მოვლენათა მრავალფეროვან ბგერით თვისებებში. სმენის ორგანოს გარეშე შეუძლებელია მეტყველების განვითარება, აზრთა ურთიერთგაცვლა საზოგადოების მასშტაბით. შეხების ორგანო ადამიანისათვის მისაწვდომს ხდის ობიექტური საგნების მრავალ თვისებას, მაგალითად: სითბოს, სიცივეს, სიმშრალეს, სისველეს, სიმაგრეს, სირბილეს და სხვ. გემოვნების ორგანოს საშუალებით ადამიანი შეიგრძნობს ტკბილს, მწარეს, მჟავეს,

მლაშეს და სხვ., ხოლო ყნოსვის ორგანოს საშუალებით — სუნს. ადამიანს გააჩნია აგრეთვე ორგანული შეგრძნებების გამომწვევი რეცეპტორები. მათი საშუალებით ეძლევა ადამიანს შიმშილის, წყურვილის, ტკივილის, დაღლილობის, დასვენების და სხვა ორგანული შეგრძნებები. სახსრების ჩანთებში მოთავსებულია სხეულის მდგომარეობისა და მოძრაობის შეგრძნებათა რეცეპტორები.

ი. პ. პავლოვმა და მისმა სკოლამ მეცნიერულად გამოიკვლია ის ფიზიოლოგიური საფუძვლები, რომლებიც განაპირობებენ სინამდვილის ანარეკლის წარმოშობას ადამიანის ცნობიერებაში.

ნებისმიერი გამღიზიანებელი, გარკვეულ „ტრანსფორმაციას" განიცდის ადამიანის ნერვული მოქმედების პროცესში.

თითოეული გრძნობის ორგანოსაგან, კუნთებისა და შინაგანი ორგანოებისაგან ასეული მილიონობით ნერვული ბოჭკო მიემართება თავის ტვინის ქერქისაკენ. ნერვული ბოჭკოები ატარებენ ნერვულ იმპულსებს, რომლებიც წარმოიშობიან ორგანიზმზე გარეგანი გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად და გადასცემენ მათ თავის ტვინის ქერქს. თავის ტვინის ქერქი ღებულობს ნერვულ იმპულსებს და ახდენს შესაბამისი ობიექტის ფსიქიკურ რეპროდუქციას. ასე მაგალითად, თვალის ბადურა შეერთებულია თავის ტვინის მხედველობით ცენტრთან მხედველობითი ნერვით, რომელიც დაახლოებით მილიონი ნერვული ბოჭკოსაგან შედგება. საკმარისია ადამიანის წინაშე თუნდაც ოდნავ შეიცვალოს გარემოს ოპტიკური სურათი, რომ ეს აისახოს თვალის ბადურის სინათლის შემგრძნობ ელემენტებში, რაც თავის მხრივ იწვევს ნერვული იმპულსების გზით შესაბამისი ობიექტის ცნობიერი ანარეკლის წარმოშობას ადამიანის თავში.

გრძნობადი აღქმა, ცოცხალი განჭვრეტა დასაწყისი ეტაპია ადამიანური შემეცნების რთულ პროცესში. პირველი ცნობები გარემომცველი სამყაროს საგნებისა და მოვლენების შესახებ სწორედ გრძნობადი მონაცემების სახით გვეძლევა. „ჩვენი ცოდნის ერთადერთი წყარო — შეგრძნებანია" [1] — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი. ამ დებულებას, ცხადია, არაფერი აქვს საერთო თეზისთან, რომელსაც სუბიექტური იდეალიზმი აყენებს. ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია, რომ შეგრძნებების გამოცხადებამ ცოდნის ერთადერთ წყაროდ თანაბრად შეიძლება მიგვიყვანოს როგორც მატერიალიზმამდე, ისე სუბიექტურ იდეალიზმამდე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა გაგებული შეგრძნება, რომელიც ცოდნის წყაროდ მიგვაჩნია. „მატერიალიზმი და იდეალიზმი — წერს ვ. ი. ლენინი, — განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ როგორ წყვეტენ საკითხს ჩვენი შემეცნების წ ყ ა რ ო ს შე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 150.

'სახებ, ფ ი ზ ი კ უ რ ი სამყაროსადმი შემეცნების (და საზოგადოდ „ფსიქიკურის") დამოკიდებულების შესახებ" [1].

შეგრძნება. შეგრძნების მახისტური გაგების კრიტიკა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბერკლისათვის გამოსავალი წერტილი შეგრძნებების, ცდის აღიარებაა. მისი აზრით, სწორედ შეგრძნებათა კომბინაცია გვაძლევს საგანს.

არსებითად ამავე თვალსაზრისს ქადაგებდნენ ავსტრიელი ფიზიკოსი მახი და გერმანელი ფილოსოფოსი ავენარიუსი. საგანი, როგორც ცდაში მოცემული, გარკვეული „ელემენტებისაგან" შედგება. ეს „ელემენტები" კი მახს შეგრძნებებზე დაჰყავს. „სამყაროს ნამდვილი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი არიან არა საგნები (სხეულები), არამედ ფერები, ხმები, წნევანი, სივრცენი, დრონი (რასაც ჩვენ ჩვეულებრივ შეგრძნებებს ვუწოდებთ)" [2]. საგანი მისთვის „შეგრძნებათა კომპლექსია".

ამავე თვალსაზრისს იზიარებდა ავენარიუსიც: „მ ხ ო ლ ო დ შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა წ ა რ მ ო ვ ი დ გ ი ნ ო თ რ ო გ ო რ ც ა რ ს ე ბ უ ლ ი" [3]. „არსებული უნდა გავიაზროთ როგორც შეგრძნება" [4] — წერდა იგი. ინგლისელი კარლ პირსონის მიხედვითაც, „რეალური საგნები" „გრძნობადი აღქმებია" [5]. ანალოგიურად განსაზღვრავდა საგნებს პუანკარე, რომელიც მათ „შეგრძნებათა „ჯგუფებს" [6] უწოდებდა.

მეცნიერებამ, მახის თანახმად, უნდა შეისწავლოს საგნები, მაგრამ ამ საგნებს არა აქვს ობიექტური მნიშვნელობა. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ჩვენსავე წარმოდგენებსა და შეგრძნებებთან, მათ შორის არსებულ კავშირებთან; ხოლო ის სურათი, რომელსაც მეცნიერება ქმნის, სრულიაღაც არ შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს.

ვ. ი. ლენინი ცხადყოფს, რომ ეს თვალსაზრისი „მთლიანი პლაგიატია ბერკლიდან" და იუმიდან. საქმე ოდნავადაც არ იცვლება იმით, რომ მახიზმი შეგრძნების ადგილზე „ელემენტს" აყენებს, ხოლო „შეგრძნებათა კომბინაციის" ნაცვლად „შეგრძნებათა კომპლექსს". სისულელეა „იმის ფიქრი, რომ ახალი სიტყვის გამოგონებით შეიძლება თავი დავაღწიოთ ძირითად ფილოსოფიურ მიმართულებებს" [7].

ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა მახისა და მისი მიმდევრების სუბიექტურ-იდეალისტურ თვალსაზრისს და მიუთითებდა: „ერნსტ მახის მო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 328.
[2] იქვე, გვ. 36.
[3] იქვე, გვ. 47.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 51.
[6] იქვე, გვ. 52.
[7] იქვე, გვ. 56.

ძღვრება საგნებზე. როგორც შეგრძნებათა კომპლექსებზე, სუბიექტური იდეალიზმია, ბერკლიანობის უბრალო გადაღეჭვაა. თუ სხეულები „შეგრძნებათა კომპლექსებია“, როგორც მახი ამბობს, ან „შეგრძნებათა კომბინაციები“, როგორც ბერკლი ამბობდა, აქედან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ მთელი სამყარო მხოლოდ ჩემი წარმოდგენა ყოფილა. თუ ასეთი დებულებიდან გამოვალთ, შეუძლებელია სხვა ადამიანების არსებობა ვცნოთ, გარდა თავის თავისა: ეს პირწავარდნილი სოლიფსიზმია“ [1].

ჩვენ ვხედავთ, რომ მახსა და ავენარიუსს არავითარი ახალი თეორია არ შეუმუშავებიათ. მართალია, მათ შესახებ დიდი ხმაური ატყდა, იმასაც კი გაიძახოდნენ, რომ მათ „სამყაროს ელემენტი აღმოაჩინეს“, მაგრამ სინამდვილეში დადასტურდა, რომ ეს „ელემენტი“ სხვა არაფერია, თუ არა შეგრძნება, რომ მათი გაგებით სამყარო საბოლოოდ ჩვენი შეგრძნებაა. „რაკი თქვენ მ ხ ო ლ ო დ შეგრძნებებიდან გამოდიხართ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კი ვერ ასწორებთ თქვენი იდეალიზმის „ცალმხრივობას“, არამედ მხოლოდ ხლართავთ საქმეს, ლაჩრულად ემალებით თქვენს საკუთარ თეორიას“ [2].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „ჩვენს გარეშე, ჩვენგან და ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს მატერიის მოძრაობა, ვთქვათ, განსაზღვრული სიგრძისა და განსაზღვრული სიჩქარის ეთერის ტალღებისა, რომელნიც თვალის ბადურაზე მოქმედებენ და ადამიანში ამა თუ იმ ფერის შეგრძნებას იწვევენ. სწორედ ასე უყურებს საქმეს ბუნებისმეტყველება. ამა თუ იმ ფერის სხვადასხვა შეგრძნებას იგი ხსნის იმ სინათლის ტალღების სიგრძის სხვადასხვაობით, რომელნიც ადამიანის თვალის ბადურის გარეშე, თვით ადამიანის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობს, სწორედ ეს არის მატერიალიზმი: მატერია ჩვენი გრძნობის ორგანოებზე მოქმედებს და შეგრძნებას იწვევს. შეგრძნება დამოკიდებულია ტვინსა, ნერვებსა, თვალის ბადურაზე და სხვ., ე. ი. განსაზღვრულად ორგანიზებულ მატერიაზე. მატერიის არსებობა დამოკიდებული არ არის შეგრძნებაზე. მატერია პირველადია. შეგრძნება, აზრი, ცნობიერება განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის უმაღლესი პროდუქტია, ასეთია საზოგადოდ მატერიალიზმის და კერძოდ მარქს-ენგელსის შეხედულებანი“ [3].

ავენარიუსის სუბიექტური იდეალიზმი ნათლად ჩანს მისი მოძღვრებიდან პრინციპული კოორდინაციის შესახებ, რასაც ვ. ი. ლენინი ცალკე პარაგრაფს უთმობს. ავენარიუსის მიხედვით ადამიანსა და გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 38.
[2] იქვე, გვ. 55.
[3] იქვე, გვ. 56.

რემოს შორის, მ ე-ს და ა რ ა-მ ე ს შორის განუწყვეტელი კავშირი, ე. ი. განუწყვეტელი კოორდინაცია არსებობს, მე-ს და არა-მეს, ავენარიუსის თანახმად, „ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ერთად ვპოულობთ". ამასთან, ამ კავშირის ცენტრალური წევრია მე, ხოლო მოპირდაპირე წევრი — არა-მე — საგანი. არა-მე განუყრელადაა დაკავშირებული ცნობიერებასთან, ჩვენს მესთან.

ავენარიუსს მიაჩნდა, რომ პრინციპული კოორდინაციის აღიარებით იგი გულუბრყვილო რეალიზმის ნიადაგზე იდგა. სინამდვილეში კი აღნიშნული თვალსაზრისი ფიხტეს და ბერკლის თვალსაზრისს იმეორებს. მატერიალიზმის თანახმად, „საგნები, გარემო, სამყარო არსებობს ჩვენი შეგრძნების, ჩვენი ცნობიერების, ჩვენი მე-ს და საზოგადოდ ადამიანის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ. სწორედ ის ც დ ა (ამ სიტყვის არა მახისტური, არამედ ადამიანური მნიშვნელობით), რომელმაც ჩვენში შექმნა ურყევი დაჯერებულობა, რომ ჩვენს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ არსებობენ სხვა ადამიანები და არა უბრალო კომპლექსები მაღალის, დაბალის, ყვითელის, მაგარის და სხვ. ჩემი შეგრძნებისა, — სწორედ ეს ც დ ა ქმნის ჩვენს რწმენას, რომ საგნები, სამყარო, გარემო არსებობს ჩვენს დამოუკიდებლად. ჩვენი შეგრძნებანი, ჩვენი ცნობიერება მხოლოდ ს ა ხ ე ა გარეგანი სამყაროსი, და თავისთავად გასაგებია, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად იარსებოს, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის" დამოუკიდებლად- მატერიალიზმმა თავის შემეცნების თეორიას შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ დაუდო საფუძვლად კაცობრიობის ეს „გულუბრყვილო" დაჯერებულობა" [1].

ის, ვინც პრინციპულ კოორდინაციას იზიარებს, ლოგიკურად უნდა მივიდეს ადამიანისაგან დამოუკიდებელი ბუნების, და, მაშასადამე, ადამიანამდე ბუნების არ არსებობის აღიარებამდე. სწორედ ასეთ, ბუნებისმეტყველების მონაცემებისადმი სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებამდე მივიდნენ რ. ავენარიუსი და მისი მოწაფეები. ვიდრე ადამიანი გაჩნდებოდა, ავენარიუსის აზრით, ადამიანი ამ კოორდინაციის პ ო ტ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი ცენტრალური წევრი იყო. ვილის თანახმად, პოტენციალური წევრის როლს ადამიანის გაჩენამდე სხვა რომელიმე ცოცხალი არსება ასრულებდა (მაგალითად, ჭია). ემპირიოკრიტიკოსების სუბიექტურ-იდეალისტური თეზისის საწინააღმდეგოდ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა:

„ბუნებისმეტყველება დადებითად ამტკიცებს, რომ დედამიწა ყოფილა ისეთს მდგომარეობაში, როცა მასზე არ არსებობდა არც ადამიანი და საერთოდ არც სხვა რამე ცოცხალი არსება და შეუძლებელიც იყო არსებულიყო. ორგანული მატერია უგვიანესი მოვლენაა, ხან-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 75.

გრძლივი განვითარების ნაყოფია. მაშასადამე, მაშინ არ ყოფილა შემგრძნები მატერია, — არ ყოფილა არავითარი „შეგრძნებათა კომპლექსები, — არავითარი მე, რომელიც ავენარიუსის მოძღვრებით, ვითომდა „განუყოფლადაა" დაკავშირებული გარემოსთან. მატერია პირველადი რამ არის, ხოლო აზრი, ცნობიერება, შეგრძნება — უმაღლესი განვითარების პროდუქტია. ასეთია შემეცნების მატერიალისტური თეორია, რომელზედაც სტიქიურად დგას ბუნებისმეტყველება" [1].

შ ე გ რ ძ ნ ე ბ ი ს ლ ე ნ ი ნ უ რ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა. გამოდის რა შეგრძნების წარმოშობისა და განვითარების მეცნიერული გაგებიდან, მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს შეგრძნება მოძრაკი მატერიის ერთ-ერთი თვისებად მიაჩნია. შეგრძნების არსებობა წარმოუდგენელია მატერიის უმაღლეს ქმნილებათა: ტვინის, ცენტრალური ნერვული სისტემის, გრძნობათა ორგანოების გარეშე, ე. ი. შეგრძნების შესახებ მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი, სადაც განსაკუთრებულად ორგანიზებულ მატერიასთან გვაქვს საქმე.

„შეგრძნება არის ფუნქცია განსაზღვრულად ორგანიზებული მატერიისა" [2].

„შეგრძნება" განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის უმაღლესი პროდუქტია" [3].

ამგვარად, შეგრძნება ყოველგვარი მატერიის თვისება კი არაა, არამედ მხოლოდ განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის ერთ-ერთი თვისებაა.

ამ თვისების — შეგრძნების საშუალებით ხდება სინამდვილის ასახვა ადამიანის ცნობიერებაში. „შეგრძნება გარეგანი სამყაროს სახეა" [4].

ასახვა არ არსებობს ასახულისაგან, — ობიექტური საგნებისა და მოვლენებისაგან დამოუკიდებლად. პირიქით, ასახვა უკვე წინასწარ გულისხმობს იმის ობიექტურ მოცემულობას, რის ასახვასაც იგი წარმოადგენს. ობიექტური საგნები და მოვლენები ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად იმყოფებიან და წინ უსწრებენ მათი სურათის გაჩენას ჩვენს ცნობიერებაში. ისინი ზემოქმედებენ ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე და იწვევენ შეგრძნებებს, აღქმებს — გარეგანი ქვეყნის სახეებს, ასლებს, გამოხატულებებს. რომ არ ყოფილიყო საგანთა ზემოქმედება ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე, ადგილი აღარ ექნებოდა გარეგანი ქვეყნის სახეების წარმოშობასაც ჩვენს ცნობიერებაში.

ამრიგად, შეგრძნება, აღქმა, არის გრძნობათა ორგანოებზე ობიექტური საგნების ზემოქმედების შედეგი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 82.
[2] იქვე, გვ. 67.
[3] იქვე, გვ. 56.
[4] იქვე, გვ. 61, 75.

მარქსისტული გნოსეოლოგია განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენი შეგრძნებები და აღქმები **ს წ ო რ ა დ** ასახავენ ბუნების საგნებსა და მოვლენებს. ადამიანი ვერც შეეგუებოდა გარემოს „მისი შეგრძნებანი რომ ობიექტურად-სწორ წარმოდგენას არ აძლევდეს მას ამ გარემოზე“ [1].

რაკი გარეშე საგნების ზემოქმედება გრძნობათა ორგანოებზე მათი **შ ე ს ა ბ ა მ ი ს ი** სახეების წარმოშობას იწვევს, აქედან ცხადია, რომ ადამიანის გრძნობად აღქმასა და მატერიალურ სინამდვილეს შორის გაუვალი ნაპრალი კი არ არსებობს, არამედ მჭიდრო უშუალო კავშირი. **შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა** გვეელინება გარე სამყაროსთან ცნობიერების უშუალო კავშირის გამომხატველად.

მარქსიზმის კლასიკოსებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ცნობიერება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მის მშობელს — მატერიას, რომ ცნობიერება ადამიანის თავში გადმოტანილი, იდეალური სახით წარმოდგენილი ყოფიერებაა. იგივე ითქმის შეგრძნების შესახებაც. შეგრძნების სახით ხორციელდება მატერიალური „გარეშე გაღიზიანების ენერგიის“ გარდაქმნა ცნობიერების ფაქტად“ (ვ. ი. ლენინი).

აქედან ნათელია, რომ შეგრძნება — ობიექტური სინამდვილის სახე, გამონაკრთომი, გამოხატულება, ასლი — ცნობიერებაშია და არა მის გარეშე. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „შეგრძნებანი ესე იგი გარეგანი სამყაროს სახეები ჩვენში არსებობენ“ [2]. როგორც ფენომენი, შეგრძნება სუბიექტურია, იგი არ არსებობს შემგრძნები სუბიექტისაგან გამოცალკევებულად. მაგრამ, რამდენადაც მასში ასახულია შემგრძნები სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მატერიალური სინამდვილე, იმდენად იგი ობიექტურია. შეგრძნებაში დიალექტიკურადაა შერწყმული სუბიექტურობისა და ობიექტურობის მომენტები. შეგრძნება ობიექტური საგნების სუბიექტური სახეა. შეგრძნების ეს ლენინური განსაზღვრა მარტო იმაზე კი არ მიგვითითებს, რომ გარეგანი საგნების ზემოქმედების შედეგად ჩვენს ცნობიერებაში ასახული შინაარსი დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, ობიექტურია, არამედ იმაზეც, რომ ეს შინაარსი იდეალური სახით სუბიექტშია მოცემული. და რომ იგი გვაძლევს ცოდნას გარეგანი სამყაროს საგნებისა და მოვლენების შესახებ.

„მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ მეორე თავში ვ. ი. ლენინი აყალიბებს სამ მნიშვნელოვან გნოსეოლოგიურ დასკვნას: 1) საგნები არსებობენ ჩვენი ცნობიერებისა და შეგრძნებებისაგან დამოუკიდებლად; 2) არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობს საგანსა თავისთავად და მოვლენას შორის, ის რაც შეგრძნებებში გვეძლევა არის ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე საგნების, ნივთების, სხეუ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 220.

[2] იქვე, გვ. 102—103.

ლების ზემოქმედების შედეგი; 3) შემეცნების თეორიაში უნდა ვიმსჯელოთ დიალექტიკურად, ჩვენი ცოდნა არ არის მზამზარეული, იგი ცვალებადია, არცოდნიდან იბადება ცოდნა, ნაკლებად ზუსტი და არასრული ცოდნიდან ხდება გადასვლა უფრო სრულ და ზუსტ ცოდნაზე.

დიალექტიკური მატერიალიზმისათვის შეგრძნება ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი მატერიალური სინამდვილის ასახვაა, სახეა, გამოხატულებაა. „ჩვენი შეგრძნებანი, ჩვენი ცნობიერება მხოლოდ სახეა გარეგანი სამყაროსი“ [1]. „ჩვენი შეგრძნებანი ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული გარეგანი სამყაროს ობიექტურად სწორ სახეს იძლევიან“ [2]. „შეგრძნება არის ობიექტური სამყაროს სუბიექტური სახე“ [3]. — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი.

სუბიექტური იდეალიზმი არ ცნობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი რეალობის არსებობას, რომელიც ჩვენს შეგრძნებებში აისახება. იგი ერთადერთ სინამდვილედ შეგრძნებაში მოცემულ სინამდვილეს მიიჩნევს.

ასახვის ლენინური თეორია ძირეულად ეწინააღმდეგება შეგრძნების იდეალისტურ გაგებას. სუბიექტური იდეალიზმის ამოსავალ წერტილს შეგრძნებისა და მისი ობიექტის, სახისა და საგნის გაიგივება წარმოადგენს. ზთავარი საბუთი, რომელიც სუბიექტური იდეალიზმის მიხედვით უარყოფს შეგრძნების გამოცხადებას მატერიალური საგნების სახედ, იმაში მდგომარეობს, რომ შეგრძნება, როგორც იდეალური, აბსოლუტურად განსხვავდება საგნისაგან, როგორც მატერიალურისაგან. ამით სუბიექტური იდეალიზმი გაუვალ ნაპრალს აცლებს შეგრძნებასა და მატერიას შორის, სახესა და საგანს შორის. სინამდვილეში კი შეგრძნება მატერიის განვითარების შედეგია, ამიტომ არ შეიძლება მისი მოწყვეტა მატერიალურისაგან. სუბიექტურ იდეალიზმს არ ესმის, რომ შეგრძნებებში, აღქმებში, ობიექტური სინამდვილე აისახება, რომ ამის გამო სახისა და საგნის აბსოლუტური გაიგივებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

ასახვის მატერიალისტურ პრინციპს ვ. ი. ლენინი მკვეთრად უპირისპირებს სახისა და საგნის მეტაფიზიკური გათიშვის „თეორიებს“, კერძოდ, „იეროგლიფების თეორიას“, „იეროგლიფების თეორია“. მართალია, ცნობს გარეშე საგნების ზემოქმედებას გრძნობათა ორგანოებზე, მაგრამ ამ ზემოქმედების შედეგები — შეგრძნებები, მას საგნების სახეებად კი არ მიაჩნია, არამედ პირობით ნიშნებად, სიმბოლოებად. ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა „იეროგლიფების თეორიის“ სიყალბე. ამ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 75.
[2] იქვე, გვ. 225.
[3] იქვე, გვ. 141.

თეორიას, წერდა ვ. ი. ლენინი „...შემოაქვს ერთგვარი უნდობლობა გრძნობადობისადმი, უნდობლობა ჩვენი გრძნობის ორგანოების ჩვენებისადმი. უცილობელია, რომ გამოხატულება ვერასოდეს ვერ შეედრება სავსებით მოდელს, მაგრამ ერთია გამოხატულება, ხოლო სულ სხვაა სიმბოლო, პირობითი ნიშანი. გამოხატულება აუცილებლად და გარდუვალად გულისხმობს „გამოსახატავის“ ობიექტურ რეალობას. „პირობითი ნიშანი“, სიმბოლო, იეროგლიფი ისეთი ცნებებია, რომელთაც აგნოსტიციზმის სრულიად უმაქნისი ელემენტი შემოაქვთ“ [1].

სამყაროს შემეცნება იწყება მისი „ცოცხალი განჭვრეტით“. შეგრძნებები და აღქმები უშუალოდ აკავშირებენ ადამიანს გარემომცველ საგნებთან, აწვდიან მას მრავალ ცნობას საგანთა შესახებ. ისინი ადამიანს შესაძლებლობას აძლევენ იცოდეს გარემომცველი საგნების ზოგიერთი მხარე, გაერკვეს ვითარებაში და იმოქმედოს საგანთა ობიექტური ბუნების შესაბამისად.

მიუხედავად ამისა, სინამდვილის ცოცხალი განჭვრეტა არაა ცოდნის შემუშავების საკმარისი საშუალება; ცოცხალი განჭვრეტა უწინარეს ყოვლისა, იფარგლება საგნებისა და მოვლენების მხოლოდ ზედაპირული მხარეებისა და თვისებების ასახვით. მასში სინამდვილე ასახულია ცალმხრივად, არასრულად. გრძნობად აღქმებში აბსოლუტურად არ გვეძლევა ობიექტური კანონები და კანონზომიერებანი, მოვლენათა არსება.

ადამიანი ვერ კმაყოფილდება გარესამყაროს მოვლენათა გარეგნული თვისებებისა და მარტივი მიმართებების პასიური ჭვრეტით: ის უფრო შორს მიდის. იჭრება მოვლენათა სიღრმეში. აღმოაჩენს კანონებს, რომლებსაც მოვლენები ექვემდებარებიან. სწორედ აქ იჩენს თავს ადამიანის აბსტრაქტული აზროვნების ძალა.

გრძნობადი ასახვისაგან განსხვავებით აზროვნება ასახავს სინამდვილეს არა უშუალოდ, არამედ შუალობით.

მართალია, აზროვნება უშუალოდ არ უკავშირდება სინამდვილის საგნებს და მოვლენებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს იგი კავშირს წყვეტს კონკრეტულთან, შორდება მის ნამდვილ არსებას. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „აზროვნება, კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე ასვლისას, არ შორდება — თუ იგი სწორია ...ჭეშმარიტებას... არამედ მასთან მიდის... ყ ვ ე ლ ა მეცნიერული... აბსტრაქცია ბუნებას ასახავს უფრო ღრმად, უფრო სწორად, უფრო ს რ უ ლ ა დ“ [2].

აზროვნება, როგორც ადრეც ითქვა, სინამდვილეს განზოგადებულად ასახავს. იგი წვდება ზოგადს, არსებას, ნათელს ხდის იმას, რაც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 296.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 167.

წყვდიადით არის მოცული გრძნობადი აღქმისათვის. ცნება უშუალო მოვლენებში არსებას აღმოაჩენს, გრძნობადი აღქმა გვაძლევს უშუალო რეალობას, აზრი კი ზოგადს, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. ამასთანავე, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა შემეცნების ამ ორი განსხვავებული კომპონენტის ორგანულ ერთიანობაზე. ცოცხალი განჭვრეტა და აბსტრაქტული აზროვნება თვითკმარ მომენტებს არ წარმოადგენენ შემეცნების პროცესში. გარესამყაროს შემეცნება ხორციელდება გრძნობადი მასალის აზრობრივი გადამუშავების გზით. ამის შესახებ მარქსი აღნიშნავდა, რომ „მეცნიერება ცდაზეა დაყრდნობილი და იმაში მდგომარეობს, რომ რაციონალური მეთოდით მიუდგეს გრძნობად მასალას". „მთელი ჩვენი ცოდნა დამყარებულია იმ მონაცემებზე, რომელთაც ვღებულობთ ჩვენი გრძნობების საშუალებით" — წერდა ფ. ენგელსი.

ვ. ი. ლენინი თანამიმდევრულად იცავდა მარქსისა და ენგელსის ამ პრინციპული მნიშვნელობის მქონე დებულებებს, ხაზს უსვამდა იმას, რომ აზროვნებითი ასახვის ძირები გრძნობადი აღქმიდან მომდინარეობს. „აზროვნებითი გამოხატულებანი მხოლოდ შეგრძნებებისაგან წარმოსდგებიან" [1] — წერდა ვ. ი. ლენინი, სწორედ ამავე გარემოებაზე მიგვითითებს აგრეთვე შემეცნების დიალექტიკური გზის ლენინური ფორმულირება. ადამიანის აზროვნება, რა ლოგიკურ ფორმაშიც უნდა გვეელინებოდეს იგი, გრძნობადი განჭვრეტით არის გაშუალებული და არ არსებობს მისგან გამოთიშულად. მარქსისტულ-ლენინური გნოსეოლოგია გრძნობადი აღქმისა და აბსტრაქტული აზროვნების, უშუალობისა და გაშუალების დიალექტიკურ ერთიანობას ემყარება.

ცოცხალი განჭვრეტისა და რაციონალური შემეცნების ერთობლივი მოღვაწეობის ბაზაზე ადამიანი აღწევს სინამდვილის ადექვატურ ასახვას, წვდება ჭეშმარიტებას.

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მიხედვით, ადამიანს უნარი შესწევს ს წ ო რ ა დ ასახოს ობიექტური სინამდვილე. სინამდვილის სწორად შეცნობის შედეგად კი იგი ერკვევა ობიექტურ სამყაროში, იარაღდება მისი გარდაქმნის გზების ცოდნით, წინასწარ განჭვრეტს მოვლენათა მსვლელობას.

მთელ თავის შემეცნებით მოღვაწეობას ადამიანი იქითკენ წარმართავს, რომ სწორი შეხედულება შეიმუშაოს გარემომცველ სამყაროზე, მიაღწიოს ჭეშმარიტებას.

თავისთავად ცხადია, ჭეშმარიტების მოპოვება დიდ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ადამიანი ყოველთვის როდი მიდის ჭეშმარიტ დასკვნამდე. იგი მთელ რიგ შემთხვევებში ცალკეულ შეცდომებს უშვებს, არასწორად ასახავს სინამდვილეს, ზოგჯერ ამახინჯებს მას. სხვა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 36.

ნაირად შეუძლებელიცაა. შემეცნება არ არის სინამდვილის უშუალო ფოტოგრაფიული ასლი. იგი რთული, მრავალმხრივი პროცესია და არ გამორიცხავს ცალკეული შეცდომების, არასწორი დასკვნებისა და დებულებების გამომუშავების შესაძლებლობას. მაგრამ ადამიანის შემეცნება არ ჩერდება ერთ წერტილზე. არ კმაყოფილდება უკვე მოპოვებულით, ახდენს მოპოვებულის გადასინჯვას, არღვევს და თავიდან იშორებს შეცდომების ქსელს, მიისწრაფვის ჭეშმარიტებისაკენ, აღწევს ჭეშმარიტებას.

ჭეშმარიტება სინამდვილის სწორი ასახვაა ადამიანის ცნობიერებაში. იგი გამოხატავს გრძნობადი, აზრობრივი ასახვის თანხმობა-შესაბამისობას ასახვის ობიექტთან, ობიექტურ რეალობასთან. ჭეშმარიტება ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის უძვირფასესი შედეგია.

იდეალისტები არსებითად უარყოფენ სამყაროს ჭეშმარიტ შემეცნების შესაძლებლობას.

მაგალითად, ობიექტური იდეალიზმი (ჰეგელი) სიტყვიერად არ უარყოფს შემეცნების შესაძლებლობას და კერძოდ, ჭეშმარიტ ცოდნის შემუშავების შესაძლებლობას, მაგრამ ობიექტური იდეალიზმისათვის შემეცნების პროცესი არის იმის შეცნობის პროცესი, რაც იმთავითვე აზროვნების შინაარსს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ობიექტური იდეალიზმის თანახმად, ჭეშმარიტება გამოხატავს აზრის შესაბამისობას არა ცნობიერების გარეთ არსებულ და ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ საგანთან, არამედ იდეალურ ობიექტთან, აზრად „ქცეულ" საგანთან, ე. ი. აზრის შესაბამისობას აზრთან.

რაც შეეხება სუბიექტურ იდეალიზმს, მას ჭეშმარიტება ესმის, როგორც გრძნობადი მონაცემების შესატყვისობა შემეცნების ობიექტთან, მაგრამ სუბიექტური იდეალიზმი არ ცნობს ადამიანის ცნობიერების გარეშე არსებულ შემეცნების ობიექტს, ადამიანის ცნობიერებაზე დამოკიდებულს ხდის მათ შეგრძნებათა „კომბინაციების", „კომპლექსების", „ლოგიკური კონსტრუქციების" და სხვათა სახით. ობიექტური იდეალიზმის მსგავსად, სუბიექტური იდეალიზმი მისტიფიცირებულად განსაზღვრავს ჭეშმარიტებას.

ბოლომდე რეაქციულია რელიგიის პოზიცია ჭეშმარიტების რაობის განსაზღვრის საკითხში. რელიგიის მიხედვით, ჭეშმარიტება ღვთაებრივი სიბრძნის განსახიერებაა და არა ადამიანური გონების პროდუქტი. ჭეშმარიტება არის ცოდნა, რომელიც რელიგიურ „ღვთაებრივ" წიგნებშია გადმოცემული. რელიგია ჭეშმარიტებას აიგივებს დოგმებთან სამყაროს და ადამიანის წარმოშობის შესახებ.

შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორია პრინციპულად ეწინააღმდეგება იდეალიზმისა და რელიგიის ამ მონაჩმახს.

შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით, ადამიანს

უნარი შესწევს შეიცნოს სამყარო. ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს ჭეშმარიტად შეეიცნობთ მაშინ, თუკი ასახავ ადამიანისაგან დამოუკიდებელ ასახვის ობიექტს შეესაბამება. მაშასადამე, ცოდნის სარწმუნო ხასიათი გაიზომება მისი შესაბამისობით სინამდვილესთან. აზრი ჭეშმარიტია, თუკი გამოხატავს ობიექტის საგნობრივ ბუნებას.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა ჭეშმარიტების დიალექტიკური ბუნების ღრმა მეცნიერული ანალიზი.

ჭეშმარიტი ცოდნის ბუნების შესახებ არაერთი დებულება აქვთ გამოთქმული მარქსიზმის ფუძემდებლებს, განსაკუთრებით ფ. ენგელსს. ვ. ი. ლენინი დაეყრდნო მარქსისა და ენგელსის სახელმძღვანელო დებულებებს და განავითარა ჭეშმარიტების დიალექტიკურ-მატერიალისტური მოძღვრების ის მხარე, რომელსაც ადრე შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

გნოსეოლოგიის დარგში მარქსს და ენგელსს ძირითადად ბრძოლა უხდებოდათ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მხოლოდ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ცნობდნენ და ცოდნის შეფარდებითობის პრინციპს უგულებელყოფდნენ. სხვა მდგომარეობა შეიქმნა ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის დროს. ფილოსოფიური სუბიექტივიზმისა და „ფიზიკური" იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივად განიხილა მეცნიერული შემეცნების და მისი შედეგის — ჭეშმარიტების არსება. ვ. ი. ლენინმა ამხილა და გააკრიტიკა მცდარი გნოსეოლოგიური მიმართულება, რომელიც საერთოდ უარყოფდა აბსოლუტური ჭეშმარიტების შესაძლებლობას და იზიარებდა ცოდნის რელატურობის სუბიექტურ-იდეალისტურ თვალსაზრისს. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჭეშმარიტების ობიექტურობის საკითხისადმი, რომელიც მარქსს და ენგელსს სპეციალურად არ დაუმუშავებიათ, თუმცა ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება ლოგიკურად გამომდინარეობს დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებიდან. მეორე მხრივ, აქედანვე გამომდინარეობს ის, რომ ვ. ი. ლენინმა დაწვრილებით განიხილა ცოდნის რელატიურობისა და აბსოლუტურობის თანაფარდობის პრობლემა.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ობიექტური ჭეშმარიტების საკითხის სწორ გაგებას. „ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება — შემეცნების მატერიალისტური თეორიის თვალსაზრისზე დადგომა, — ეს ერთი და იგივეა" [1] — წერდა იგი.

მარქსიზმის მრავალრიცხოვანმა მტრებმა სრული არევ-დარევა შეიტანეს ჭეშმარიტების საკითხში. რუსი მახისტი ბოგდანოვი ეკლექტი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 155.

კურს უწოდებდა ფ. ენგელსის შეხედულებებს ჭეშმარიტების შესახებ. უფრო მეტიც, იგი ბრალს სდებდა მარქსიზმს ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფაში. „მარქსიზმი შეიცავს ყოველგვარი ჭეშმარიტების ობიექტურობის უარყოფას, ყოველი მარადიული ჭეშმარიტების უარყოფას“ — აცხადებდა იგი.

ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტების ობიექტურობის უარყოფა თვით სუბიექტური იდეალიზმისათვისაა გარდუვალი. „სუბიექტური იდეალიზმის თვალსაზრისისათვის — შეუძლებელია ობიექტური ჭეშმარიტება არსებობდეს. მეორე თვალსაზრისისათვის, ე. ი. მატერიალიზმისათვის, არსებითია ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება“ [1].

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ობიექტური ჭეშმარიტების ცნება, განსაზღვრა ჭეშმარიტების არსებითი ნიშნები და მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. ამით მან მნიშვნელოვნად განაკითარა მარქსისტული მოძღვრება ჭეშმარიტების შესახებ.

შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით, ადამიანს უნარი შესწევს ჭეშმარიტად შეიცნოს სამყარო. სინამდვილის მოვლენებს ჭეშმარიტად შევიცნობთ მაშინ, თუკი ასახვა ასახვის ობიექტს შეესაბამება. აზრი ჭეშმარიტია, როცა იგი გამოხატავს ობიექტის საგნობრივ ბუნებას.

ვ. ი. ლენინი თავის შრომებში გამოყოფს ჭეშმარიტების შემდეგ დამახასიათებელ თავისებურებებს: ობიექტურობას, შეფარდებითობას, აბსოლუტურობასა და კონკრეტულობას.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თანახმად, ჭეშმარიტება ობიექტურია. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება გაიგივებულია ობიექტურ სინამდვილესთან. ცხადია, აზრი ყოველთვის სუბიექტურია, იმდენად, რამდენადაც იგი ადამიანის, მოაზროვნე სუბიექტის ცნობიერებაში არსებობს. ჭეშმარიტების ობიექტურობა სხვა მხარეზე მიგვითითებს.

ვ. ი. ლენინის კლასიკური განმარტებით ობიექტური ჭეშმარიტება არის ადამიანის წარმოდგენების ისეთი შინაარსი, „...რომელიც დამოკიდებული არ არის სუბიექტზე, დამოკიდებული არ არის არც ადამიანსა და არც კაცობრიობაზე“ [2].

ჭეშმარიტების ობიექტურობას ვცნობთ მაშინ, როდესაც დადებით პასუხს ვიძლევით კითხვაზე: არსებობს თუ არა ადამიანის ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად ის, რაც ჩვენს ცნობიერებაში აისახება. ცოდნის ობიექტურ მნიშვნელობას საგნის ობიექტურობა განსაზღვრავს. „საგნობრივი ჭეშმარიტება“ ობიექტური ჭეშმარიტებაა, ე. ი. როგორც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 14, გვ. 155.

[2] იქვე, გვ. 145.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, იგი სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ არსებობენ ჩვენგან დამოუკიდებელი საგნები, რომლებსაც აზროვნება ჭეშმარიტად ასახავს. არ არსებობს სუბიექტური, ობიექტური შინაარსით განუსაზღვრელი ჭეშმარიტება, როგორც ამას სუბიექტური იდეალიზმი მოითხოვს. ცნობილია, რომ სუბიექტური იდეალიზმი უარყოფს ჭეშმარიტების ობიექტური, ადამიანის ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი შინაარსის არსებობას.

არსებითად ამავე თვალსაზრისს იცავს თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის ფართოდ გავრცელებული მიმდინარეობანი — პრაგმატიზმი, პოზიტივიზმი და სხვ. პრაგმატიზმის, პოზიტივიზმის და სხვათა სახელწოდებით თანამედროვე იმპერიალისტური იდეოლოგია მარქსისტულ ფილოსოფიას და მის შემეცნების თეორიას ახლებურად შენიღბულ სუბიექტურ იდეალიზმს უპირისპირებს. ვ. ი. ლენინი, რომელმაც აღმოაჩინა ორგანული კავშირი მახიზმსა, პოზიტივიზმსა და პრაგმატიზმს შორის, აღნიშნავდა:

„განსხვავება მახიზმსა და პრაგმატიზმს შორის მატერიალიზმის თვალსაზრისით ისევე უმნიშვნელო და მეათეხარისხოვანია, როგორც ემპირიოკრიტიციზმსა და ემპირიომონიზმს შორის“ [1].

ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა სუბიექტური იდეალიზმისა და მისი თანამედროვე დამცველების მიერ, უშუალოდ ემყარება ყალბ ამოსავალ პრინციპს, რომლის თანახმად რეალობა დამოკიდებულია ინდივიდუალურ ცნობიერებაზე. საქმეს ოდნავადაც ვერ ცვლის სიტყვა „ობიექტურის“ ბოგდანოვისებური თამაში. ცნობილია, რომ ბოგდანოვი, რომელიც ობიექტურ ჭეშმარიტებას უარყოფდა, ამავე დროს ცნობდა ცოდნის „ობიექტურ“ ბუნებას. მაგრამ „ობიექტური“ ბოგდანოვისათვის არსებითად იგივეა, რაც კანტის გაგებით. კანტის მიხედვით, გრძნობადობისა და განსჯის აპრიორული ფორმები ობიექტურია, ვინაიდან საყოველთაო და აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ობიექტურია ცოდნაც. თითქმის ასევე მსჯელობს ბოგდანოვი: მისთვის ობიექტურია ცდა, შეხედულებები, აზრები, სწორედ იმის გამო, რომ ისინი საზოგადოებრივად მოწესრიგებული, სოციალურად — ორგანიზებული არიან.

ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა ბოგდანოვის იდეალისტური თვალსაზრისი. შთაბეჭდილებათა ერთნაირობიდან არ გამომდინარეობს მათი შინაარსის საგნობრიობა, მათი შინაარსის ობიექტურობა—წერდა ვ. ი. ლენინი.

„უცილობელიცაა, რომ კათოლიციზმი სოციალურად — ორგანიზებული ცდაა; ოღონდ იგი გამოხატავს არა ობიექტურ ჭეშმარიტებას

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 436.

(რომელსაც ბოგდანოვი უარყოფს და რომელსაც მეცნიერება ასახავს), არამედ ხალხის სიბნელის ექსპლოატაციას გარკვეული საზოგადოებრივი კლასების მიერ“ [1].

ვ. ი. ლენინის დებულებები ობიექტურად ჭეშმარიტი ცოდნის შესაძლებლობის შესახებ გამანადგურებლად უპირისპირდება სუბიექტური იდეალიზმის გნოსეოლოგიურ ნიჰილიზმს.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მიხედვით, ადამიანის აზროვნებას არ შეუძლია აბსოლუტურად ამომწურავი სახით შეიცნოს სამყარო, შეიმუშაოს ადეკვატური სურათი მთელ სინამდვილეზე. ეს გარემოება აიხსნება სხვადასხვა ფაქტორით. კერძოდ, სამყარო რთული და უსასრულოა, რაც ობიექტურად ხელს უშლის ადამიანს აბსოლუტური სიზუსტით შეიცნოს მთელი სინამდვილე. მთელ რიგ შემთხვევებში ეს იმითაც აიხსნება, რომ ჩვენთვის ხშირად უცნობია, თუ რა მიმართულებით იცვლება სინამდვილე. მარქსიზმი სინამდვილეს ეყრდნობა და, ცხადია, მარადიულ ჭეშმარიტებად ვერ გამოაცხადებს ამ დებულებას, რომელიც შეცვლილ სინამდვილეს აღარ შეესაბამება.

მაგრამ იმ გარემოებიდან, რომ ადამიანებს უნარი არ შესწევთ ერთბაშად და აბსოლუტური სისრულით ასახონ მთელი გარემომცველი სამყარო, სრულიად არ გამომდინარეობს სკეპტიკურ-აგნოსტიკური დასკვნები. პირიქით, ადამიანი თავის შემეცნების უნარს წარმართავს ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების უფრო და უფრო ღრმა, ისტორიულად დაუსრულებელი შეცნობისაკენ, თავს აღწევს ერთსა და იმავე ადგილზე დგომა-გაყინვისა და მიღწეულით დაკმაყოფილების, შემდგომი შემეცნებითი პროგრესისადმი ზურგის შექცევის მდგომარეობას.

სინამდვილის შემეცნების ყოველი ახალი საფეხური კიდევ მეტად გვაახლოვებს მის ადეკვატურ ასახვასთან, ხოლო ამ დაახლოებას, თავის მხრივ, დაუსრულებელი ხასიათი აქვს. აბსოლუტური ჭეშმარიტების მარქსისტული გაგება იმ ამოსავალ დებულებას ემყარება, რომ ცნობიერებაში ასახული ადეკვატურად შეესაბამება ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ ასასახავ შინაარსს.

აბსოლუტური ჭეშმარიტება ხორციელდება მოაზროვნე ინდივიდის დაუსრულებელი თაობების რიგში. ყოველი ახალი თაობა ახალ-ახალ მარცვალს უმატებს აბსოლუტური ჭეშმარიტების ადრე დაგროვებულ მარცვლებს.

„ბუნებაზე ბატონობა, — წერდა ლენინი, — რაც კაცობრიობის პრაქტიკაში მეღავნდება, იმის შედეგია, რომ ბუნების პროცესები და მოვლენები ობიექტურად სწორად აისახება ადამიანის თავში, იმის დამამტკიცებელია, რომ ეს ასახვა (იმ საზღვრებში, რასაც პრაქტიკა გვიჩ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 289.

ვენებს) ობიექტური, აბსოლუტური, მარადიული ჭეშმარიტებაა"[1]. როგორც ვხედავთ, მოპოვებული ცოდნა აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ცხადდება არა ყოველგვარი პირობის გარეშე, არამედ, განსაზღვრულ ფარგლებში. საკმარისია ამ საზღვრების იქით წასვლა, რომ ჭეშმარიტება ცდომილებად იქცეს ან პირუკუ. ამიტომ ამბობდა ვ. ი. ლენინი ბოილის კანონის შესახებ, რომ „ჭეშმარიტების მარცვალი", რომელიც ამ კანონშია, მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას"[2].

მართალია, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ადამიანებს არ აძლევენ მთელი სამყაროს აბსოლუტურად ამომწურავი შემეცნების შესაძლებლობას, მაგრამ ისინი ხელს არ უშლიან მათ დაახლოებით სწორად, თანდათანობით ზედმიწევნით, შეფარდებით ჭეშმარიტების სახით შეიცნონ გარემომცველი სამყარო.

ჭეშმარიტებას ახასიათებს შეფარდებითობის ნიშანიც. ჭეშმარიტება შეფარდებითია. სინამდვილის ამა თუ იმ სურათის სისწორის საზღვრები შეიძლება გაფართოვდეს, შეიძლება დავიწროვდეს საზოგადოების ისტორიული განვითარების, ეპოქის მონაცემების შესაბამისად; მიუხედავად ამისა, სინამდვილის ესა თუ ის სურათი, ყოველ ისტორიულ მომენტში მოიცავს აბსოლუტური ჭეშმარიტების გარკვეულ მარცვლებს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება მიიღწევა შეფარდებითი ჭეშმარიტების მოპოვების გზით.

პ რ ა ქ ტ ი კ ი ს რ ო ლ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ა შ ი. მართალია, შემეცნება ცოცხალი განჭვრეტით იწყება და ბუნებრივ გაგრძელებას ჰპოვებს აბსტრაქტულ აზროვნებაში, მაგრამ ამით როდი მთავრდება. ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ სვლა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ჩვენი შეხედულებების ჭეშმარიტებაში დავრწმუნდეთ. აზროვნებითი მოღვაწეობის შედეგებიდან თავისთავად არ ჩანს, ჭეშმარიტად ასახავენ ისინი სინამდვილეს თუ არა.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი ცნობს ჩვენი ცოდნის სისწორის ან უსწორობის კრიტერიუმის არსებობას, მაგრამ არა თვით ცოდნაში, არამედ ცოდნის გარეთ. ასეთი კრიტერიუმი პრაქტიკაა.

პრაქტიკის მეცნიერული გაგება, რომელიც მარქსისა და ენგელსის შემდეგ ახალ თეორიულ სიმაღლეზე აიყვანა ვ. ი. ლენინმა, ერთ-ერთ ძირეულ გადატრიალებას მოასწავებს ფილოსოფიაში. ადამიანთა საზოგადოებრივ წარმოებითი მოქმედება, ბუნებისადმი და საზოგადოებისადმი მათი დამოკიდებულების გარდამქმნელი ხასიათი, რაც, თავის მხრივ, ადამიანთა ცხოვრების აქტიურობას განაპირობებს, მარქსამდე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 235.
[2] იქვე, გვ. 162.

ლი ფილოსოფიისათვის სრულიად უცნობი იყო. მარქსამდელი მატერიალისტების საუკეთესო წარმომადგენლებსაც კი უნარი არ შეუწევდათ გაეგოთ რევოლუციური პრაქტიკული მოღვაწეობის პირობები და დაეფასებინათ პრაქტიკის მნიშვნელობა (ვ. ი. ლენინი).

ადამიანთა პრაქტიკული მოქმედება ყალიბდება ბუნებაზე აქტიური ზემოქმედების პროცესში.

პრაქტიკა ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებითი, რევოლუციური მოქმედებაა. ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითად მომენტს წარმოებითი მოღვაწეობა შეადგენს. ადამიანთა წარმოებითი მოღვაწეობა განაპირობებს ადამიანთა მოქმედებას საერთოდ, იგი თავისებურად აისახება ადამიანის საქმიანობის ყოველ მონაკვეთზე. ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროში შემოდის აგრეთვე მეცნიერულ-ექსპერიმენტული დაკვირვების პრაქტიკა, ასტრონომიულ დაკვირვებათა, ხელოვნურ ნათა პრაქტიკა (ვ. ი. ლენინი). ბუნებრივია, რომ ადამიანთა მეცნიერულ-ექსპერიმენტული მოღვაწეობა წარმოების წინსვლის საქმეს ემსახურება, პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია წარმოებასთან.

კლასობრივ საზოგადოებაში უდიდეს როლს ასრულებს კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკა, პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკა.

ადამიანის პრაქტიკული დამოკიდებულება ბუნებისადმი და საზოგადოებისადმი პირველადია, ძირითადია. პრაქტიკა ჩვენი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე მიმდინარე მატერიალური პროცესია.

შემეცნებისა და პრაქტიკის კავშირის უარყოფის მახისტური ცდების საწინააღმდეგოდ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა:

„ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის ძირითად და უპირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს“ [1]. ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად განსაზღვრა პრაქტიკის როლი შემეცნების პროცესში. ვ. ი. ლენინის განმარტებით პრაქტიკა, უწინარეს ყოვლისა, არის შემეცნების საფუძველი, მისი ამოსავალი პუნქტი. ადამიანს, როგორც მწარმოებელ არსებას, გარემომცველი სამყაროს შემეცნებისაკენ უბიძგებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრაქტიკული საჭიროება. პრაქტიკა წარმართავს აზროვნებას გარკვეული ობიექტის შემეცნებისაკენ. ადამიანები შემეცნების ობიექტად იხდიან იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია მათსავე საზოგადოებრივ-საწარმოო და რევოლუციურ პრაქტიკასთან. კაცობრიობის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ მეცნიერული აზროვნების წარმოშობასა და წინსვლას საფუძვლად უდევს ადამიანთა საზოგადოებრივი პრაქტიკა,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 172.

პრაქტიკის მოთხოვნილებანი. ყოველი ახალი ნაბიჯი პრაქტიკაში მეცნიერული აზროვნების ჰორიზონტის გაფართოვებას იწვევს.

პრაქტიკა, როგორც შემეცნების საფუძველი სინამდვილის შემეცნების პროცესს გასდევს. ადამიანი ვერასოდეს ვერ მივა ჭეშმარიტების დადგენამდე, თუ იგი შემეცნებას მხოლოდ აფუძნებს პრაქტიკაზე, შემდეგ კი წყდება მას, კარგავს მასთან კავშირს. პრაქტიკა უნდა შეიჭრას შემეცნების მთელ პროცესში, რათა უზრუნველყოს შემეცნების სწორი მსვლელობა და მის მიერ მოპოვებული შედეგების ჭეშმარიტება. პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირი ცოცხალი შინაარსით ავსებს შემეცნების მთელ პროცესს. ეს იმას ოდი ნიშნავს, რომ მოვლენებისა და საგნების შემეცნების დროს ჩვენ არ უნდა მოვწყდეთ მათს შემთხვევით, ცალკეულ მხარეებს, არ უნდა მოვახდინოთ არსებითის გამოყოფა და მისი ანალიზი. პირიქით, ცალკეული მხარეებისაგან აბსტრაგირების გარეშე შეუძლებელია მეცნიერული შემეცნების განხორციელება; მაგრამ აბსტრაგირების პროცესშიც აზროვნებას ობიექტური საფუძველი უნდა ამაგრებდეს, იგი კვლავ პრაქტიკას უნდა ემყარებოდეს. პრაქტიკა მიმართულებას აძლევს მეცნიერულ აბსტრაქციას, თვით დაადგენს განყენების საზღვრებს.

ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა იდეალიზმის სიყალბე, რაც იმაშიც მდგომარეობს, რომ იდეალიზმი სინამდვილიდან გამოყოფილ რომელიმე მხარეს მოწყვეტს საგანს, აბსოლუტურად აზვიადებს ცალმხრივს, ამიტომ იდეალისტური აბსტრაქცია, რეალობისაგან გამოთიშული, შინაარსისაგან დაცლილი აბსტრაქციაა; მეცნიერული აბსტრაქცია კი არ წყდება პრაქტიკას; იგი კონკრეტულ სინამდვილეს შორდება მხოლოდ ერთადერთი წესით — მისდამი უფრო დაახლოების წესით. „შემეცნების მოძრაობა ობიექტისაკენ შესაძლებელია მიმდინარეობდეს მხოლოდ დიალექტიკურად: მოსცილდე, რათა მიზანს უკეთესად მიაღწიო“. მეცნიერულ აბსტრაქციაში კონკრეტობა კი არ იკარგება, არამედ მთელი მრავალმხრივობით წარმოგვიდგება.

ამრიგად, ვ. ი. ლენინის მიხედვით, პრაქტიკა შემეცნების მთელი პროცესის საფუძველია, ვ. ი. ლენინის ეს დებულება სიახლეს მატებს მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გნოსეოლოგიას.

პრაქტიკის როლის განსაზღვრა შემეცნების თეორიაში მარქსის და ენგელსის სახელებთან არის დაკავშირებული; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მარქსი და ენგელსი უფრო მეტად ყურადღებას უთმობდნენ პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის საკითხის გარკვევას.

ვ. ი. ლენინმა წინა პლანზე წამოსწია პრაქტიკის, როგორც შემეცნების ობიექტური საფუძველისა და ჭეშმარიტების ობიექტური საზომის პრობლემა. ამის გარეშე შეუძლებელი იყო წარმატებით ბრძოლა სუ-

ზიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის იმ მრავალრიცხოვან მიმართულებათა წინააღმდეგ. რომლებიც XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე აღორძინდნენ.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ პრაქტიკა — შემეცნების ობიექტური საფუძველი არღვევს ყოველგვარ ფილოსოფიურ ახირებულობას სინამდვილის შეცნობის შეუძლებლობის შესახებ. მისი საშუალებით მოწმდება ჩვენი შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები. იგი გვიჩვენებს, გამართლდება თუ არა ჩვენი დებულებები, დასკვნები, საქმის რეალური მსვლელობით დადასტურდება თუ არა ის, რასაც ჩვენ თეორიული მოღვაწეობის საფუძველზე მოველით.

„კაცობრიობის პრაქტიკა ამოწმებს ჩვენს წარმოდგენებს და ადასტურებს მათში იმას, რაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას შეესაბამება“ [1].— აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შევიდეს საგნის სრულ „განსაზღვრაში“, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმიც და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელიც საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება“ [2].

მახი და მისი რუსი მიმდევრები ჭეშმარიტების კრიტერიუმს ადამიანის ცნობიერებაში ეძებდნენ. ასეთად აცხადებდა მახი „აზროვნების ეკონომიის პრინციპს“, ბოგდანოვი — „საზოგადოებრივად ორგანიზებულ ცდას“. ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა და უკუაგდო სუბიექტურ-იდეალისტური კონცეფციები ჭეშმარიტების კრიტერიუმის შესახებ.

სუბიექტივისტურად განმარტავენ ჭეშმარიტების კრიტერიუმს თანამედროვე რეაქციული ფილოსოფიური მიმართულებანი — პრაგმატიზმი, ნეოპოზიტივიზმი და სხვ.

ასე მაგალითად, პრაგმატიზმის მიხედვით, შეხედულებათა ჭეშმარიტების კრიტერიუმია „სარგებლობის“ პრინციპი, ჭეშმარიტება გაიგივებულია პრაქტიკულ ხელსაყრელობასთან. ამით პრაგმატიზმი უარყოფს პრაქტიკას, როგორც ობიექტურ კრიტერიუმს და სუბიექტივიზმამდე ეშვება შემეცნების თეორიაში.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი უპირისპირდება პრაგმატიზმს და აღიარებს საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის ობიექტურობას. ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ სარგებლობისა და ეკონომიურობის პრინციპი აბსოლუტურად არ გამოდგება ჭეშმარიტების დამდგენ კრიტერიუმად. სინამდვილეში მეცნიერული თეორიები და წარმოდგენები ამა თუ იმ წარმატებას იწვევენ მხოლოდ პრაქტიკაში დადასტურებისა და განმტკიცების საფუძველზე. „მატერიალისტისათვის ადამიანის პრაქტიკის „წარმატება“ ამტკიცებს, რომ ჩვენი წარმოდგენანი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 124.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 102—103.

შეესაბამებიან იმ საგნების ობიექტურ ბუნებას, რომელთაც ჩვენ აღ-ვიქვამთ. სოლიფსისტისათვის „წარმატება“ არის ყველაფერი ის, რაც მე მჭირია პრაქტიკაში, ხოლო პრაქტიკა შეიძლება განხილულ იქნას შემეცნების თეორიის დამოუკიდებლად“ [1].

ამრიგად, საზოგადოებრივი პრაქტიკა არა მარტო საფუძვლად უდევს თეორიულ მოღვაწეობას, არამედ აგრეთვე ამოწმებს და განაპი-რობებს შეხედულებათა სისწორეს ან უსწორობას, წარმატებას ან წა-რუმატებლობას.

ვ. ი. ლენინმა გამოიყენა მატერიალისტური დიალექტიკა პრაქტიკის ბუნების გაგებაში და ჩამოაყალიბა პრაქტიკის რელატიურობის პრინ-ციპი.

პრაქტიკა ექვემდებარება საყოველთაო ცვალებადობის კანონზო-მიერებას, განსაზღვრულია წარმოების განვითარების დონით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოქცეულია ეპოქის ჩარჩოებში. პრაქტიკა, როგორც ცვალებადი, რელატიური განაპირობებს მეცნიერული ასახვის რელატიურობას, ხელს უშლის თეორიის გადაქცევას დოგმად, თეორი-ის გაქვავებას.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პრაქტიკის კრიტერიუმი „...ადამია-ნის ცოდნას ნებას არ აძლევს „აბსოლუტად“ იქცეს“ [2]. ისტორიულად განსაზღვრულ ჩარჩოებში პრაქტიკა ადასტურებს შემეცნების მართე-ბულობას ან უმართებულობას, ცხადყოფს ცოდნის სარწმუნო ხასიათს, ანდა აუშკარავებს შეცდომებს და ამსხვრევს მათ. პრაქტიკის უდიდესი გნოსეოლოგიური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აზროვ-ნებას წარმართავს განუწყვეტელი შემეცნებითი პროგრესისაკენ, შეც-დომების დაძლევის, არასწორად გამომუშავებული დასკვნებისა და სა-მოქმედო გეზის შეცვლა-გამოსწორებისაკენ. პრაქტიკის არახელსაყრე-ლი გაკვეთილები იწვევენ ჩვენი შეხედულებებისა და გადაწყვეტილე-ბების ძირეული შეცვლის აუცილებლობას.

კომუნისტური პარტიის თეორიული, იდეოლოგიური, ორგანიზაცი-ული, ტაქტიკური შეხედულებანი, რომლებიც სინამდვილის კანონზო-მიერებათა ღრმა ანალიზს ემყარებიან, თავის სისწორეს და უძლეველო-ბას პოულობდნენ და პოულობენ რევოლუციურ პრაქტიკასთან მტკი-ცე კავშირში. საკუთრივ გნოსეოლოგიური საკითხების განხილვის დრო-საც კი ვ. ი. ლენინს არ ჰქონია განყენებული თეორიული ინტერესებით შემოზღუდვის ამოცანა. იგი შემეცნების მარქსისტულ თეორიას იცავ-და და ავითარებდა რევოლუციური საზოგადოებრივი პრაქტიკის მო-თხოვნილებათა საფუძველზე.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 168.
[2] იქვე, გვ. 172.

ვ. ი. ლენინის კლასიკურ შრომაში ბრწყინვალე გაშუქება ჰპოვა შემეცნების მატერიალისტური თეორიის ყველა ძირეულმა საკითხმა. შემეცნების მატერიალისტური თეორიის თანამედროვე დონე განუყრელად არის დაკავშირებული მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ლენინურ ეტაპთან.

მატერიის ლენინური განსაზღვრება. ვ. ი. ლენინი მახიზმის წინააღმდეგ იბრძოდა მარქსისტული ფილოსოფიის კარდინალურ საკითხებში, მათ შორის მატერიის გაგების საკითხში.

სუბიექტური იდეალისტები და აგნოსტიკოსები უარყოფდნენ მატერიის ცნების ობიექტურ შინაარსს. მაგალითად, ავენარიუსის მიხედვით, „მატერია" მეტაფიზიკური აბსოლუტური გაგებით სრული უაზრობაა"[1]. მახის თანახმად, „ის, რასაც ჩვენ მატერიას ვუწოდებთ, მხოლოდ ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს („შეგრძნებების") ერთგვარი კანონ-ზომიერი კავშირია"[2]. მახისტ პირსონს მიაჩნდა, რომ „მატერია არის შეგრძნებათა მუდმივი შესაძლებლობა, — მაგრამ მატერიის ასეთი განსაზღვრა სრულიად არ ჰგავს იმას, რომ მატერია არის ნივთი, რომელიც მოძრაობს"[3].

მატერიის ამ განსაზღვრებებით უარყოფილია ობიექტური რეალობა, რომელიც ჩვენს შეგრძნებებში აისახება, მაშასადამე, ეს განსაზღვრებანი სუბიექტურ-იდეალისტური და აგნოსტიკურია.

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა მატერიის ცნების კლასიკური განსაზღვრება: „მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მოცემული აქვს მის შეგრძნებებში, რომლის ასლს, ფოტოგრაფიას, ანარეკლს ჩვენი შეგრძნებანი იძლევა, რომელიც არსებობს მათ დამოუკიდებლად"[4]. მეორეგან ვ. ი. ლენინი წერს: „მატერია არის ის, რაც მოქმედებს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებას. მატერია არის ობიექტური რეალობა, რომელიც შეგრძნებაში გვეძლევა"[5]. „მატერიის ცნება სხვას არაფერს გამოხატავს, გარდა ობიექტური რეალობისა, რომელიც შეგრძნებაში გვაქვს მოცემული" [6].

მატერიის ლენინისეულ განსაზღვრაში სამი მომენტი იგულისხმება: ა) ის, რომ მატერია არსებობს როგორც ობიექტური რეალობა, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი რეალობა; ბ) ის, რომ მატერია ზემოქმედებას ახდენს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე;

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 174.
[2] იქვე, გვ. 175.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 155.
[5] იქვე, გვ. 176.
[6] იქვე, გვ. 338.

გ) ის, რომ მატერია აისახება ადამიანთა ცნობიერებაში, შეგრძნებებში.

მატერიის ლენინური განსაზღვრება ძირეულად უპირისპირდება ყოველგვარი სახის იდეალიზმს. იგი მიმართულია სუბიექტური იდეალიზმის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ ცნობს ცნობიერების, შეგრძნების, ცდის გარეშე არსებულ რეალობას.

მატერიის ლენინური განსაზღვრება საფუძველს აცლის აგნოსტიციზმს, რომელიც შეუძლებლად მიიჩნევს ჩვენი შეგრძნებების შესაბამისობას მათგან დამოუკიდებელ ობიექტურ გამომწვეე წყაროსთან;

ეს განსაზღვრება ეწინააღმდეგება აგრეთვე ობიექტურ იდეალიზმს ვინაიდან ობიექტური იდეალიზმი გამორიცხავს იმ ობიექტური რეალობის ზემოქმედებას ადამიანის გრძნობის ორგანოებზე, რომელიც მას შეგრძნებაში ეძლევა.

ამასთან მატერიის ლენინური გაგება ძირეულად განსხვავდება მატერიის იმ განსაზღვრებისაგან, რომელსაც ადრე მატერიალიზმი იცავდა. ადრინდელი მატერიალიზმი მატერიას აიგივებდა ნივთიერებასთან, ნივთიერების რომელიმე სახეობასთან, მათი სპეციფიკური თავისებურებებით. მატერიის ფილოსოფიური გაგება, რომელიც ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა, სამყაროს მრავალფეროვანი მოვლენებისა და პროცესების უზოგადეს ნიშნებს გამოხატავს.

ცდის ორგვარი გაგება. ამასთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვით შევჩერდებით თვით წიგნის სახელწოდების შესახებაც.

ვ. ი. ლენინის წიგნის სახელწოდება (მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი) უკვე თავისთავად ასახავს დაპირისპირებულობას მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს — სუბიექტური იდეალიზმის ერთ-ერთ მიმართულებას შორის, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა.

ემპირიოკრიტიციზმი წარმოსდგება სიტყვებიდან ემპირია, ე. ი. ცდა და კრიტიკა. ემპირიოკრიტიკოსებს მიაჩნდათ, რომ ისინი ეწეოდნენ ცდის კრიტიკას, ცდის გაწმენდას. ადამიანს რომ გააჩნია შეგრძნებებისა და აღქმების სიმრავლე, ე. ი. ცდა, ამას არც მატერიალისტები უარყოფენ. მაგრამ ძირეული განსხვავება აქ იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალისტები ჩვენი შეგრძნების წყაროდ ობიექტურ სინამდვილეს თვლიან; ის, რაც ცდაში, შეგრძნებებში გვეძლევა — მატერიალისტისათვის ობიექტურ სინამდვილესთანაა დაკავშირებული და მას ასახავს.

ემპირიოკრიტიკოსები კი პირიქით, უარყოფენ ცდაში მოცემულის ობიექტურ წყაროს. ცდიდან უნდა გავაძევოთ ყოველივე ის, რაც შეგრძნებისეული ბუნების არ არის, რასაც მატერიალურის,

მიზეზობრიობის, აუცილებლობის, დროის, სივრცის და ა. შ. ასახვად მიიჩნევენ. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ცდასთან, შეგრძნებათა სიმრავლესთან, „ნეიტრალური ელემენტების" გროვასთან, რომელიც სისტემაში მოგვყავს ეკონომიკური აღწერის გზით. ემპირიოკრიტიკოსების მიხედვით, ასე ვქმნით და ვაზუსტებთ სამყაროს სურათს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალურ სინამდვილესთან.

ცდის ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გაგება მატერიალიზმისა და იდეალიზმის დაპირისპირებულობის გამომხატველია. „თუ ცდა „ობიექტის" შეცნობაა"... ეს ცხადია, მატერიალიზმი ყოფილა... მატერიალიზმის ძირითადი ნიშანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი გ ა მ ო დ ი ს მეცნიერების ობიექტურობიდან, იმ ობიექტური რეალობის აღიარებიდან, რომელსაც მეცნიერება ასახავს..."[1].

ცდა კვლევა-ძიების საგანია მატერიალისტისთვისაც და იდეალისტისათვისაც. ეს გარემოება თავისთავად ერთმანეთისაგან არ მიჯნავს მატერიალიზმსა და იდეალიზმს. სწორედ ამის გაუგებლობიდან წარმოსდგა პლეხანოვის შეცდომა. პლეხანოვი უაზრობად აცხადებდა მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის დაპირისპირებას იმის გამო, რომ თითოეული მათგანი ცდას კვლევა-ძიების საგნად თვლიდა.

სინამდვილეში საქმის არსი ისაა, თუ როგორ ესმის ცდა მატერიალიზმს და ემპირიოკრიტიციზმს. „სიტყვაში „ცდა", უეჭველად, შეიძლება იმალებოდეს როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური ხაზი ფილოსოფიაში, აგრეთვე ჰიუმისტური და კანტიანურიც. მაგრამ არც ცდის განსაზღვრა, როგორც კვლევა-ძიების საგნისა, არც მისი განსაზღვრა, როგორც შემეცნების საშუალებისა, არაფერს არ წყვეტს ამ მხრივ", მას „არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ემპირიოკრიტიციზმის და მატერიალიზმის დაპირისპირების საკითხთან"[2].

მიზეზობრიობის და აუცილებლობის ობიექტურობის საკითხი. ვ. ი. ლენინი გნოსეოლოგიური ასპექტით არკვევს დიალექტიკური მატერიალიზმის მთელ რიგ კატეგორიებს, მათ შორის მიზეზობრიობისა და აუცილებლობის კატეგორიებს. მახისტები უარყოფდნენ მიზეზობრიობისა და აუცილებლობის კატეგორიების ობიექტურ შინაარსს, ისინი მიზეზობრიობას და აუცილებლობას ცნობიერებაზე დამოკიდებულად, რეალურ სამყაროში არარსებულად თვლიდნენ. მახის მიხედვით, „გარდა ლ ო გ ი კ უ რ ი ს ა ...სხვა რომელიმე აუცილებლობა, მაგალითად, ფიზიკური, არ არსებობს", „ბუნებაში არ არის არც ძიზეზი, არც შედეგი"[3]. ავენარიუსი ასევე უარყოფდა მოვლენათა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 373—374.

[2] იქვე, გვ. 185—186.

[3] იქვე, გვ. 193.

მიზეზ-შედეგობრივ, აუცილებელ კავშირებს ობიექტურ სამყაროში. ჩვენ „არ განვიცდით... რაიმე მოძრაობის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს“[1] — აღნიშნავდა იგი. ანალოგიურად განსაზღვრავდა აუცილებლობას მახისტი პირსონი: „ადამიანი ბუნების კანონის შემოქმედია“, „ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ც ნ ე ბ ა თ ა ს ა მ ყ ა რ ო ს ე კ უ თ ვ ნ ი ს დ ა ა რ ა ა ღ ქ მ ა თ ა ს ა მ ყ ა რ ო ს“[2], აგრეთვე პეცოლდტი: „ბუნების აუცილებლობა რაღაც გაურკვეველს და მისტიკურს შეიცავს“. ვილი, რომელიც აუცილებლობას „წმინდა ლოგიკურ დახასიათებად“ მიიჩნევდა და სხვ.

ამ სუბიექტურ-იდეალისტურ თვალსაზრისს ბუნების აუცილებლობასა და მიზეზობრიობაზე მხარს უჭერდნენ მახიზმის რუსი მიმდევრებიც. მაგალითად, იუშკევიჩი აღნიშნავდა, რომ „ეგრეთწოდებული ბუნების კანონები“ ემპირიოსიმბოლოებია[3], ბოგდანოვისათვის „მოვლენათა საყოველთაო მიზეზობრივი კავშირი · ადამიანის შემეცნების უკანასკნელი, საუკეთესო ნაყოფია“. მას „ადამიანის გონება ბუნებას უკარნახებს“[4].

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მიზეზობრიობის საკითხის გარკვევისას სუბიექტური იდეალიზმის ბანაკში დგება ის, ვინც უარყოფს მიზეზობრივი და აუცილებელი კავშირების არსებობას ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ, ობიექტურ სამყაროში.

მიზეზობრიობის საკითხის ჭეშმარიტი გადაწყვეტა მხოლოდ მატერიალიზმის ნიადაგზეა შესაძლებელი. ასე წყვეტდა მიზეზობრიობისა და აუცილებლობის საკითხს, მაგალითად, ლ. ფოიერბახი, რომელსაც ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში იმოწმებს.

მოყავს რა დებულებები ლ. ფოიერბახის ნაწერებიდან, ვ. ი. ლენინი დაასკვნის:

„ამგვარად ფოიერბახი აღიარებს ობიექტურ კანონზომიერებას ბუნებაში, ობიექტურ მიზეზობრიობას, რომელიც მხოლოდ დაახლოებით სისწორით აისახება ადამიანის წარმოდგენებში წესრიგის. კანონისა და სხვ. შესახებ. ფოიერბახის მიერ ბუნების ობიექტური კანონზომიერების აღიარება მჭიდროდაა დაკავშირებული გარეგანი სამყაროს, საგნების, სხეულების, ნივთების ობიექტური რეალობის აღიარებასთან, რომელთაც ჩვენი ცნობიერება ასახავს. ფოიერბახის შეხედულებანი თანამიმდევრად მატერიალისტურია“[5].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 192.
[2] იქვე, გვ. 196.
[3] იქვე, გვ. 204.
[4] იქვე, გვ. 205—206.
[5] იქვე, გვ. 188.

ვ. ი. ლენინი იმოწმებს აგრეთვე ფ. ენგელსს, მოჰყავს ამონაწერები ფ. ენგელსის შრომებიდან „ანტი-დიურინგი", „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული", სადაც აღიარებულია ობიექტური კანონზომიერება, მიზეზობრიობა და აუცილებლობა ბუნებაში, ისევე, როგორც მათი ასახვის შეფარდებითი ხასიათი.

ვ. ი. ლენინი იმოწმებს ი. დიცგენსაც, რომელიც მატერიალისტურ ხაზს ატარებდა მიზეზობრიობის საკითხში. იდეალიზმი და მატერიალიზმი, ისევე როგორც სხვა საკითხებში, მიზეზობრიობის საკითხშიც, ერთმანეთს ეთიშებიან იმისდამიხედვით, თუ რას მიიჩნევენ ჩვენი ცოდნის წყაროდ, რა წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირის „შეცნობის წყაროს — ბუნების ობიექტური კანონზომიერება, თუ ჩვენი გონების თვისება"... „ბუნების აუცილებლობის აღიარება და იქიდან აზროვნების აუცილებლობის გამოყვანა მატერიალიზმია, ხოლო აუცილებლობის, მიზეზობრიობის, კანონზომიერების და სხვათა აზროვნებიდან გამოყვანა — იდეალიზმია"[1].

თუ საკითხს ძირითადად გნოსეოლოგიურ ასპექტში დავაყენებთ ასევე ორ, ერთმანეთისადმი ძირეულად დაპირისპირებულ თვალსაზრისამდე მივალთ აგრეთვე დროისა და სივრცის ობიექტურობის პრობლემის გარკვევისას.

სივრცისა და დროის ობიექტურობის საკითხი. მახი და მისი მიმდევრები უარყოფდნენ დროისა და სივრცის ობიექტურ რეალობას. მათი აზრით, დრო და სივრცე დამოკიდებულია ადამიანზე, ადამიანის ცნობიერებაზე. ასე მაგალითად, მახი აღნიშნავდა, რომ „სივრცე და დრო შეგრძნებათა რიგების მოწესრიგებული... სისტემებია"[2]. მახისტი პირსონი წერდა: „ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროსა და სივრცეს რეალური არსებობა აქვს; ისინი არიან არა საგნებში, არამედ ჩვენ მიერ საგანთა აღქმის წესში"[3]. პუანკარეს განცხადებით, სივრცისა და დროის ცნებებს „ბუნება კი არ გვაძლევს", „არამედ ჩვენ ვაძლევთ მათ ბუნებას, ვინაიდან ისინი მოხერხებულად მიგვაჩნია"[4].

ამ იდეალისტურ თვალსაზრისს დროსა და სივრცეზე რუსი მახისტებიც იცავდნენ. მაგალითად, ბაზაროვის მიხედვით, ფ. ენგელსის შეხედულება „სივრცესა და დროზე, ახლა უკვე მოძველებულია"[5], ხოლო ბოგდანოვის თანახმად, დრო და სივრცე ობიექტური

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 195, 204.
[2] იქვე, გვ. 218.
[3] იქვე, გვ. 226.
[4] იქვე, გვ. 225.
[5] იქვე, გვ. 228.

შინაარსის მქონე კი არ არის, არამედ „სხვადასხვა ადამიანის ცდის სოციალური შეთანხმების ფორმაა“ [1].

ამ ყალბ, იდეალისტურ თვალსაზრისს საფუძველშივე უპირისპირდება მატერიალიზმი, რომელსაც დროისა და სივრცის ობიექტურობა ლოგიკურად გამოჰყავს თვით სამყაროს, კანონზომიერად მოძრავი მატერიის ობიექტურობისაგან.

„რაკი მატერიალიზმი ჩვენი ცნობიერების დამოუკიდებლად ობიექტური რეალობის, ე. ი. მოძრავი მატერიის არსებობას ცნობს, მან აუცილებლად უნდა ცნოს აგრეთვე დროისა და სივრცის ობიექტური რეალობაც, უწინარეს ყოვლისა, კანტიანობისაგან განსხვაებით, რომელიც ამ საკითხში იდეალიზმის მხარეზე დგას და დროსა და სივრცეს ობიექტურ რეალობად კი არა თვლის, არამედ ადამიანის ჭვრეტის ფორმებად“ [2].

მატერიალისტები სივრცესა და დროს ყოფიერების ობიექტურ-რეალურ ფორმებად თვლიან. ვ. ი. ლენინს მოჰყავს დებულებები ლ. ფოიერბახის, ფ. ენგელსის თხზულებებიდან. ამ დებულებების არსი დროისა და სივრცის ობიექტურად არსებობის აღიარებაში მდგომარეობს. მოძრავი მატერია დროსა და სივრცეშია. მისი არსებობა დროისა და სივრცის გარეშე ისევე შეუძლებელია, როგორც დროისა და სივრცისა მატერიისაგან დამოუკიდებლად.

რასაკვირველია, ადამიანთა შეხედულებები ყოფიერების არსებობის ფორმებზე — დროსა და სივრცეზე, იცვლება მეცნიერული შემეცნების წინსვლის კვალობაზე, რითაც დასტურდება, რომ ჩვენი ცოდნა დროისა და სივრცის შესახებ ისევე შეფარდებითია, როგორც ცოდნა მთელი სამყაროს შესახებ. მაგრამ დროსა და სივრცეზე ჩვენი შეხედულებების ცვალებადობიდან არ გამომდინარეობს, რომ ისინი ობიექტურად არ არსებობენ, რომ ისინი ცნობიერების პროდუქტს წარმოადგენენ. „განვითარების პროცესში მყოფი ჩვენი ცნებები დროისა და სივრცისა ობიექტურად-რეალურ სივრცესა და დროს ასახავენ; აქაც, როგორც საზოგადოდ, ობიექტურ ჭეშმარიტებას უახლოვდებიან“ [3].

„ერთია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი გრძნობათა სხვადასხვა ორგანოს შემწეობით სივრცეს და ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შემწეობით როგორ მუშავდება ამ აღქმებიდან სივრცის აბსტრაქტული ცნებანი, ხოლო სულ სხვაა საკითხი იმის შესახებ, შეეფერება თუ არა კაცობრიობის ამ აღქმებსა და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 231.
[2] იქვე, გვ. 215.
[3] იქვე, გვ. 217.

ცნებებს ობიექტური რეალობა, რომელიც დამოუკიდებელია კაცობრიობისაგან"[1].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინი დროისა და სივრცის საკითხს განიხილავს გნოსეოლოგიურ ასპექტში, კერძოდ იმ ასპექტში, წარმოადგენს თუ არა ჩვენი ცოდნა დროისა და სივრცის შესახებ თვით ობიექტურად არსებული დროისა და სივრცის ასახვას, შეესაბამება თუ არა ჩვენს შეხედულებებს დროსა და სივრცეზე გარკვეული ობიექტები კანონზომიერად მოძრავ სამყაროში.

სწორედ ამიტომაა, რომ დროისა და სივრცის საკითხს, ისევე როგორც მიზეზობრიობის, აუცილებლობის, კანონზომიერების და სხვა საკითხებს ვ. ი. ლენინი შემეცნების თეორიის საკითხთა რიგს მიაკუთვნებს.

„აზროვნების ეკონომიის პრინციპის" კრიტიკა. მახისტები ერთადერთ რეალობად შეგრძნებათა სიმრავლეს თვლიდნენ. სწორედ ამ შეგრძნებათა სიმრავლეს აწესრიგებს ადამიანის ცნობიერება, ამყარებს შეგრძნებებს შორის გარკვეულ კავშირს, საბოლოოდ კი მიდის ცნებების შემუშავებამდე. ცნებების საშუალებით ადამიანი ეკონომიკურად გაიაზრებს სინამდვილეს, რაც, რასაკვირველია, მხოლოდ შეგრძნებათა სინამდვილეა და არა ადამიანისაგან დამოუკიდებელი რეალობა. მეცნიერების მიერ შექმნილი სამყაროს სურათი, ესაა სურათი, რომელიც იქმნება შეგრძნებათა სისტემაში მოყვანის შედეგად „ძალთა უმცირესი ხარჯვის" პრინციპის მიხედვით.

ავენარიუსის თეორია, რომელიც ქადაგებს აზროვნებას სამყაროზე ძალთა ეკონომიური ხარჯვის პრინციპის მიხედვით, ადამიანისაგან დამოუკიდებელი, რეალური სამყაროს უარყოფას ემყარება. ეს ვერ გაიგეს რუსმა მახისტებმა. მაგალითად, ბაზაროვი „ძალთა უმცირესი ხარჯვის" პრინციპს მარქსისტულ ტენდენციად თვლიდა გნოსეოლოგიაში.

ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა ავენარიუსის „აზროვნების ეკონომიის" პრინციპს და წერდა:

„აზროვნების ეკონომიის პრინციპი, თუ იგი მართლად დაეუდეთ „ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ შემეცნების თეორიას", სხვა ა რ ა ფ რ ა მ დ ე არ მიგვიყვანს, გარდა სუბიექტური იდეალიზმისა. ყველაზე უფრო „ეკონომიურია" „გააზრება", რომ ვარსებობ მხოლოდ მე და ჩემი შეგრძნებანი, — ეს უცილობელია, რაკი გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი ა შ ი ესოდენ უაზრო ცნება შეგვაქვს...

ადამიანის აზროვნება მაშინაა „ეკონომიური", როცა იგი ს წ ო რ ა დ ასახავს ობიექტურ ჭეშმარიტებას, და ამ სისწორის კრიტერი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 230—231.

უმია პრაქტიკა, ექსპერიმენტი, ინდუსტრია. მხოლოდ ობიექტური რეალობის უარყოფისას, ე. ი. მარქსიზმის ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს უარყოფისას, შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი აზროვნების ეკონომიაზე შემეცნების თეორიაში!"[1].

თავისუფლება და აუცილებლობა. მახიზმის საზღვარგარეთელი და რუსი მიმდევრების წინააღმდეგ ბრძოლაში ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივად გაარკვია თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემის გნოსეოლოგიური მნიშვნელობა.

თავისუფლების დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარი თვით ობიექტური აუცილებლობის არსებობაში მდგომარეობს. ვცნობთ თუ არ ვცნობთ ადამიანთა თავისუფლებას, ტოლმნიშვნელოვანია საკითხისა — ვბატონობთ თუ არ ვბატონობთ ობიექტურ აუცილებლობაზე.

მარქსისტული ფილოსოფია აღიარებს ბუნებისა და საზოგადოების კანონების ობიექტურ ხასიათს, კანონზომიერი კავშირურთიერთობის არსებობას სამყაროში. ამასთან, ეს კანონზომიერებანი გარედან კი არ არის თავსმოხვეული სამყაროზე, არამედ თვით ბ უ ნ ე ბ ი ს ა და ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს იმანენტური კანონებია. სწორედ ამაში მდგომარეობს „... შემეცნების მატერიალისტური თეორიის ძირითადი განსხვავება აგნოსტიციზმისა და იდეალიზმისაგან, რომელნიც უარყოფენ ბუნების კანონზომიერებას, ან მას მხოლოდ „ლოგიკურად" თვლიან"[2]. მათი დასკვნების თანახმად, გარდა ლ ო გ ი კ უ რ ი ს ა, სხვა რომელიმე აუცილებლობა არ არსებობს (მახი), „ბუნების აუცილებლობა რაღაც გაურკვეველს და მისტიკურს შეიცავს"[3] (პეტოლდტი), „აუცილებლობა" წმინდა ლოგიკური დახასიათებაა"[4] (ვილი). არსებითად ამავე თვალსაზრისს იზიარებდნენ რუსი ემპირიოკრიტიკოსებიც.

„ემპირიოსიმბოლოებს წარმოადგენენ... ეგრეთწოდებული ბუნების კანონები"[5] (იუშკევიჩი), „კანონები... იქმნებიან აზროვნების მიერ", „კანონები შემეცნების აბსტრაქციაა"[6] (ბოგდანოვი).

ვ. ი. ლენინს თავისუფლების უ პ ი რ ვ ე ლ ე ს წანამძღვრად სწორედ ობიექტური აუცილებლობა მიაჩნდა. ობიექტური აუცილებლობა ის ამოსავალია, რომელთა მიმართებაშიც შეიძლება განისაზღვროს ადამიანის მოქმედების თავისუფლება და ამ თავისუფლების ხარისხი. ადამიანთა თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ მათ უნარი შესწევს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 208, 209.
[2] იქვე, გვ. 233.
[3] იქვე, გვ. 198.
[4] იქვე, გვ. 201.
[5] იქვე, გვ. 204.
[6] იქვე, გვ. 206.

განახორციელონ ყოველივე, რაც კი მოესურვებათ. სინამდვილეში მათი სურვილები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საამისო ობიექტური საფუძველი არსებობს. ადამიანთა თავისუფალი მოქმედება ემყარება ობიექტურ კანონზომიერებებს, ამ კანონზომიერებათა ზუსტ გათვალისწინებას და საკუთარი მოქმედების წარმართვას მათი მოთხოვნების შესაბამისად. ისტორიული მატერიალიზმი არ უარყოფს ადამიანთა აქტიურ დამოკიდებულებას ბუნებისა და სოციალური აუცილებლობის მიმართ, მაგრამ ამ აქტიურობას ცნობს იმ ფარგლებში, რომლებიც თვით ობიექტური სამყაროს კანონზომიერებებითაა განსაზღვრული. ადამიანთა თავისუფალი მოქმედება ყოველთვის დეტერმინირებულია შესაბამისი ობიექტური აუცილებლობით და აღმოცენებულია ამ უკანასკნელის ბაზაზე, ემყარება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც აყენებს ობიექტური აუცილებლობა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „გარესამყაროს, ბუნების კანონები... ადამიანის მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი მოქმედების საფუძველია"[1].

მაგრამ ადამიანთა მოქმედების განსაზღვრულობა ობიექტური აუცილებლობით ადამიანთა გარკვეულ სურვილებსა და მისწრაფებებს როდი გამორიცხავს. ერთი და იგივე ობიექტური აუცილებლობის მოქმედების პირობებში ადამიანებს შეუძლიათ სხვადასხვა მიზნის დასახვა. ადამიანები არჩევენ მიზნის მიღწევის საშუალებებს, ეძებენ და პოულობენ ყველაზე ხელსაყრელ და რაციონალურ საშუალებებს დასახული მიზნის მისაღწევად.

გარკვეული მიზნის და მისი განმახორციელებელი საშუალებების შერჩევის შემდეგ ადამიანები პრაქტიკულად იწყებენ ობიექტური ძალების დამორჩილებას, უქვემდებარებენ მათ თავიანთ კონტროლს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა რომ თავისუფლების მ ე ო რ ე აუცილებელი წანამძღვარი თვით ადამიანის ცნობიერების, მისი ნებისყოფის, მიზეზებისა და სურვილების არსებობაა. თავისუფალი რომ იყო ობიექტური აუცილებლობის მიმართ, ეს ნიშნავს აიძულო იგი მოქმედებდეს ადამიანთა მიზნების, მათი ნება-სურვილის შესაბამისად. ამასთან, ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობა არ დგინდება ადამიანთა ცნობიერების, მათი მიზნების და ნებისყოფის მიხედვით; ეს შეუძლებელია, ვინაიდან აუცილებლობა ობიექტურია, პირველადია, დამოუკიდებელია ადამიანთა ცნობიერებისაგან. თვით ადამიანები უნდა შეუთავსდნენ ობიექტურ აუცილებლობას, მისი გათვალისწინების შედეგად გაბატონდნენ მასზე. „...ბუნების აუცილებლობა პირველა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 185.

დია, ხოლო ადამიანის ნება და ცნობიერება — მეორადია. ეს უკანასკნელნი გარდუვალად და აუცილებლად პირველს უნდა შეეგუონ“ [1].

ბუნების ძალებისადმი თავისუფალი დამოკიდებულების საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ იქ, სადაც ადგილი აქვს შეგნებულ მიმართებას ბუნების აუცილებლობასთან, მაშასადამე, სადაც საქმე გვაქვს ცნობიერებითა და ნებისყოფით აღჭურვილ ადამიანებთან, სადაც არსებობს ადამიანის მიზანი და მისწრაფება აქტიური პრაქტიკული მოქმედებისაკენ. „თავისუფლება=სუბიექტურობა, („ან“) მიზანი, ცნობიერება, მისწრაფება“[2], — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

მაგრამ ჩვენი სურვილები და მისწრაფებანი არარაობად იქცევა, თუ მოვწყდით ბუნების აუცილებლობას და არ გავითვალისწინეთ მისი მოთხოვნები. ობიექტური აუცილებლობა არ იძლევა მასზე ბატონობის საშუალებას ისე, თუ იგი წინასწარ არ შევიცნეთ და მას არ ღაეეყრდენით. მართალია, წარმოების გზით ადამიანები სახეს უცვლიან ბუნების მასალას მათთვის სასარგებლო მიმართულებით, მაგრამ საამისოდ აუცილებელია იმ წესების ცოდნა და გათვალისწინება, რომლებიც ბუნების მასალის გარდაქმნისათვისაა საჭირო.

„ადამიანს თავის პრაქტიკულ მოქმედებაში წინ აქვს ობიექტური სამყარო, იგი დამოკიდებულია მასზე, ამით განსაზღვრავს თავის მოქმედებას“[3].

მაგრამ თავისუფლების განხორციელებისათვის არაა საკმარისი ობიექტური აუცილებლობისა და ადამიანთა ცნობიერების არსებობა, ადამიანთა სურვილი და გადაწყვეტილება, — გაბატონდნენ ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურად მოქმედ ძალებზე. ამისათვის აგრეთვე საჭიროა, რომ შევიცნოთ ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობა, წინასწარ განვსაზღვროთ ის გზები და საშუალებანი, რომელთა გამოყენებით იქნება შესაძლებელი ობიექტური აუცილებლობის ჩაყენება ადამიანთა სამსახურში. აუცილებლობა „ბრმაა“ მანამდე, ვიდრე იგი მოქმედებს ადამიანებისათვის უცნობი სახით, ვიდრე საზოგადოება კონტროლს ვერ უწევს მის მოქმედებას და მონურ დამოკიდებულებაშია მისდამი. მაგრამ როგორც კი შევიცნობთ ბუნებაში და საზოგადოებაში მოქმედ აუცილებლობას, მისი გავრცელების საზღვრებსა და შედეგებს, აუცილებლობა „თავისთავად“ იქცევა აუცილებლობად ჩვენთვის, ჩვენ მიერ შეგნებულ აუცილებლობად“. ეს უკანასკნელი მომენტი აგრეთვე შეადგენს ერთ-ერთ აუცილებელ წანამძღვარს ადამიანთა თავისუფ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 233.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, 159.
[3] იქვე, გვ. 185.

ლების უზრუნველსაყოფად. ვ. ი. ლენინი წერდა: „როგორც თვითეული ცალკე ადამიანის ინდივიდის ცნობიერების განვითარება, ისე მთელი კაცობრიობის კოლექტიური ცოდნის განვითარება ყოველ ფეხის გადადგმაზე გვიჩვენებს, რომ შეუცნობელი „საგანი თავისთავად“ იქცევა შეცნობილ „საგნად ჩვენთვის“, ბრმა, შეუცნობელი აუცილებლობა, „აუცილებლობა თავისთავად“— შეცნობილ „აუცილებლობად ჩვენთვის“[1].

დაბოლოს, თავისთავად არც ობიექტური აუცილებლობის მხოლოდ შეცნობით აღწევს ადამიანი თავისუფლებას. საჭიროა პრაქტიკული გაბატონება ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობაზე, საჭიროა ამ ძალების ჩაყენება ადამიანთა სამსახურში. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება ადამიანთა მხოლოდ საზოგადოებრივი — საწარმოო, პრაქტიკული მოქმედების პროცესში.

შრომის, წარმოების აუცილებლობა თავისუფლების მოპოვების აუცილებლობაცაა ადამიანებისათვის.

თავისუფალი მოქმედება თავისთავად არ გამომდინარეობს შეცნობილი აუცილებლობიდან საერთოდ, არამედ მხოლოდ იმ შეცნობილი აუცილებლობიდან, რომელიც თავის მხრივ ემორჩილება საზოგადოებრივ-ისტორიულ პრაქტიკას, რომელიც მოექცევა ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებითი ზემოქმედების ორბიტაში. „...ადამიანის მთელი ცოცხალი პრაქტიკა იჭრება თვით შემეცნების თეორიაში და ჭეშმარიტების ო ბ ი ე ქ ტ უ რ კრიტერიუმს იძლევა: სანამ ჩვენ ბუნების კანონები არ ვიცით, იგი, არსებობს და მოქმედებს რა ჩვენი შემეცნების გარეშე, ჩვენ „ბრმა აუცილებლობის“ მონებად გვხდის. რაკი ჩვენ გავიგეთ ეს კანონი, რომელიც (როგორც მარქსს ათასჯერ გაუმეორებია) ჩვენი ნების და ჩვენი ცნობიერების დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ მოქმედებს, — ჩვენ ბუნების ბატონები ვართ“[2].

ადამიანთა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - ი ს ტ ო რ ი უ ლ ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა ს გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი მნიშვნელობა აქვს მათი თავისუფლების უზრუნველყოფისათვის.

წარმატება, რომელსაც აღწევენ ადამიანები ბუნების ძალებთან ბრძოლაში, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ სწორად გვაქვს შეცნობილი ობიექტური აუცილებლობანი და სწორედ წარვმართავთ მოქმედებას მათი გამოყენების მიზნით. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ბუნებაზე ბატონობა, რაც კაცობრიობის პრაქტიკაში მყღავნდება, იმის შედეგია, რომ ბუნების პროცესები და მოვლენები ობიექტურად სწორედ აისახება ადამიანის თავში“[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 234.

[2] იქვე, გვ. 235.

[3] იქვე.

სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მხოლოდ მშრომელ ხალხს შეუძლია საზოგადოებრივი განვითარების კანონების გამოყენების საფუძველზე შეგნებულად და დაჩქარებული ტემპით იაროს წინ დღემდე უკვალავი გზებით და წარმატებებით აშენოს თავისი ბედნიერი და ნათელი ცხოვრება, პირველად კაცობრიობის ისტორიაში მოიპოვოს რეალური თავისუფლება.

მხოლოდ სოციალიზმი უზრუნველყოფს ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებას, სიტყვის, პრესის, შემოქმედებითი კრიტიკის და სხვა სახის დიდმნიშვნელოვან თავისუფლებებს და უფლებებს, რომელთა შინაარსი კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

კანტის ფილოსოფიის ორგვარი კრიტიკის შესახებ. წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", ვ. ი. ლენინი ყოველმხრივად არკვევს კანტის ფილოსოფიის დადებითს და ამასთან დაკავშირებით აღგენს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებას კანტიანელობის შეფასებაში. აქ სპეციალური პარაგრაფიცაა: „კანტიანობის კრიტიკა მარცხნივ და მარჯვნივ".

კანტიანელობის ეს ყოველმხრივი ანალიზი ვ. ი. ლენინს იმიტომ დასჭირდა, რომ ემპირიოკრიტიციზმი სწორედ კანტის ფილოსოფიიდან ამოვიდა და, მაშასადამე, მახიზმის დამოკიდებულება კანტიანელობისადმი ამ უკანასკნელის არსის გაგების გარეშე შეუძლებელია. კანტის ფილოსოფიის არსებას ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად გადმოსცემს:

„კანტის ფილოსოფიის ძირითადი ნიშანია მატერიალიზმის შერიგება იდეალიზმთან, კომპრომისი მათ შორის, ერთ სისტემაში სხვადასხვაგვარი, მოწინააღმდეგე ფილოსოფიური მიმართულებების შეთავსება. როცა კანტი აღიარებს, ჩვენს წარმოდგენებს შეესაბამება რაღაც ჩვენს გარეშე არსებული, რაღაც საგანი თავისთავად, — კანტი აქ მატერიალისტია, როცა კანტი აცხადებს, ეს საგანი თავისთავად შეუცნობადი, ტრანსცენდენტური, მიღმურიაო, — იგი გამოდის როგორც იდეალისტი. რამდენადაც კანტი ჩვენი ცოდნის ერთადერთ წყაროდ ცდას, შეგრძნებებს ცნობს, იმდენად იგი თავის ფილოსოფიას სენსუალიზმის ხაზით წარმართავს, ხოლო სენსუალიზმის მეშვეობით, განსაზღვრულ პირობებში, — მატერიალიზმის ხაზითაც. რამდენადაც კანტი სივრცის, დროის, მიზეზობრიობის და სხვ. აპრიორობას ცნობს, — იგი თავის ფილოსოფიას იდეალიზმის მიმართულებით წარმართავს. ამ ნახევრულობის გამო კანტის წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლას აწარმოებდნენ თანამიმდევარი მატერიალისტებიც და თანამიმდევარი იდეალისტებიც"[1].

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 14, გვ. 244—245.

მატერიალისტები კანტს აკრიტიკებდნენ არათანმიმდევრული მატერიალიზმის, იდეალისტური მხარეების გამო. მათი აზრით, საგანი თავისთავად შეუცნობელი კი არ არის, არამედ შეცნობადი, რომ აუცილებლობა, მიზეზობრიობა, დრო, სივრცე და ა. შ. ადამიანის გონების პროდუქტი კი არ არის, არამედ თვით ობიექტური სინამდვილიდან უნდა გამოვიყვანოთ. მაშასადამე, მატერიალისტები კანტს აკრიტიკებდნენ მარცხნიდან, მისი არასაკმარისი მატერიალიზმის, იდეალიზმისადმი დათმობების გამო. კანტს მარცხნიდან აკრიტიკებდნენ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, ლ. ფოიერბახი, ა. რაუ, ფ. ენგელსი, ენგელსის მოწაფე ლაფარგი და თვით კაუცკიც კი. ვ. ი. ლენინი დაასკვნის, რომ „ამრიგად ფოიერბახის, მარქსისა და ენგელსის მ თ ე ლ ი ს კ ო ლ ა წავიდა კანტიდან მარცხნივ, ყოველგვარი იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის სრული უარყოფისაკენ“ [1].

მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ IV თავის § 1-ის დამატებაში ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევს დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატს ნ. გ. ჩერნიშევსკის, რომელიც კანტიანობის კრიტიკას მატერიალიზმის პოზიციიდან ახორციელებდა. იგი კანტს აკრიტიკებდა აგნოსტიციზმისა და სუბიექტივიზმისათვის, ცნობდა გრძნობადი აღქმის შესაბამისობას ობიექტურ-რეალურად არსებულ საგნებთან, აზროვნების კანონებისა — სინამდვილის კანონებთან, ობიექტურ მიზეზობრიობას, აუცილებლობას და მათი ასახვის შესაძლებლობას ადამიანის მიერ. ამრიგად, ნ. გ. ჩერნიშევსკი კანტს აკრიტიკებდა მარცხნიდან, მიუხედავად იმისა, რომ მან, რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, ვერ შეძლო მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის სიმაღლეზე ასულიყო.

რაც შეეხება აგნოსტიკოსებსა და იდეალისტებს, ისინი კანტს აკრიტიკებდნენ არათანმიმდევრული იდეალიზმისათვის, მატერიალიზმისადმი დათმობის გამო. მათ უკმაყოფილებას იწვევდა ის, რომ კანტმა დაუშვა თავისთავადი საგნების არსებობა, მატერიალიზმის ელემენტები; ისინი კანტს აკრიტიკებდნენ ამ ელემენტების დაშვების გამო, ე. ი. მარჯვნიდან, ავითარებდნენ რეაქციულ დასკვნებს კანტის ფილოსოფიიდან. კანტს მარჯვნიდან აკრიტიკებდნენ შულცე—ენეზიდემი, ფიხტე, მახი, ავენარიუსი, ლეკლერი, რემკე და სხვები.

მახიზმის ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ იგი კანტის ფილოსოფიიდან ამოვიდა, მაგრამ ამ ფილოსოფიიდან მატერიალიზმის გზით კი არ წავიდა, არამედ ბერკლისა და იუმის გზით. ე. ი. მატერიალიზმის საწინააღმდეგო მიმართულებით.

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 254.

მ ხ ა რ ე. როდესაც დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის საკვანძო პრობლემებს განიხილავს, ვ. ი. ლენინი მრავალი ასპექტით იკვლევს აგრეთვე მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის საკითხსაც. ეს ბუნებრივიცაა. ფილოსოფიის ძირითადი საკითხის პირველი მხარის — ყოფიერების პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის საკითხის დიალექტიკურ-მატერიალისტური გადაწყვეტა მარქსისტულ-ლენინური გნოსეოლოგიის ამოსავალი წანამძღვარია. ამიტომ საჭიროა მოკლედ მაინც შევეხოთ მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის საკითხთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემას.

წიგნში დასაბუთებულია, რომ ყოფიერებისა და ცნობიერების დაპირისპირებას აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხის ფარგლებში, თუ რა ვცნოთ პირველადად და რა მეორადად. ამ საზღვრებს იქით მოცემული დაპირისპირება შეფარდებითი ხასიათისაა.

სამყარო მატერიალურ ერთიანობაშია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს, იგი მხოლოდ მატერიალური საგნებისა და მოვლენების ერთობლიობაა. მატერიალური საგნებისა და მოვლენების გარდა სინამდვილეში არსებობენ და განვითარებას განიცდიან ისეთი მოვლენები, როგორიცაა შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება, გრძნობა, ნებისყოფა და სხვ., რომლებიც თავიანთი ბუნებით არამატერიალური ანუ იდეალური არიან. სამყაროში ვხვდებით ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა ორ ჯგუფს — მატერიალურსა და იდეალურს, ობიექტურ-რეალურსა და სულიერს, სუბიექტურს.

მატერია და ცნობიერება, მატერიალური და იდეალური თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცნობიერებას არ მიეკუთვნება მატერიალური საგნებისათვის დამახასიათებელი არცერთი ფიზიკური თვისება (სიგრძე, სიდიდე, მოცულობა, წონა და სხვ.). როგორ აღმოცენდა მატერიიდან ისეთი მოვლენა, რომელსაც არცერთი ფიზიკური თვისება არ გააჩნია? ეს აიხსნება სამყაროს შინაგანი მიზეზებით, თუ ასეთ მიზეზად დაშვებული უნდა იქნეს არაამქვეყნიური, ზებუნებრივი ძალების არსებობა? თუ ცნობიერება მატერიალურის შინაგანი განვითარების შედეგად ჩნდება, მაშინ რა თვისებები ახასიათებს მატერიას ისეთი, რომელიც მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე იდეალურის წარმოშობას ედება საფუძვლად? ცნობიერების წარმოშობისა და არსის გარკვევა დაკავშირებულია უდიდეს საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ სიძნელეებთან. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გასული საუკუნის ცნობილმა ფიზიოლოგმა დიუბუა-რეიმონმა აზროვნების წარმოშობის საკითხი შეიტანა „შვიდი სა-

ყოველთაო ამოცანის“ სიაში: მისივე განცხადებით, ამ ამოცანის ამოხსნა „არ ვიცით და არც გვეცოდინება“.

მარქსამდელმა ფილოსოფიამ მართლაც ვერ გაარკვია ცნობიერების წარმოშობისა და არსის პრობლემა.

იდეალისტური წარმოდგენები ცნობიერების შესახებ და მათი კრიტიკა. იდეალიზმის თანახმად, ცნობიერება „იდეალური“, მსოფლიო სული“, „აბსოლუტური იდეა“ და ა. შ. სამყაროს პირველსაფუძველს წარმოადგენს. როგორც სამყაროს სუბსტანცია, იდეალური არსებობდა მატერიალური სინამდვილის წარმოშობამდე და დამოუკიდებელია მისგან. „აბსოლუტური იდეა“, „მსოფლიო სული“, ცნობიერება ამ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს სამყაროს წარმოშობის შემდეგაც. ცნობიერება, მაშასადამე, არის სტიქია, რომელიც ქმნის სინამდვილეს, იქვემდებარებს მატერიალურს. ის, ვინც სამყაროს დემიურგად სუბიექტის ცნობიერებას აცხადებს — სუბიექტური იდეალიზმის მიმართულებას (ბერკლი) მიეკუთვნება; ხოლო; ვინც სამყაროს შემოქმედად ობიექტურად არსებულ „იდეას“, „მსოფლიო სულს“ და ა. შ. აცხადებს, ის ობიექტურ იდეალიზმს (პლატონი, ჰეგელი) ქადაგებს.

დებულება, რომლის თანახმად, ცნობიერება არის მატერიალურის საფუძველი და მატერიალურისაგან დამოუკიდებელი ძალა, ყალბი და მიუღებელია.

ამის საწინააღმდეგოდ ბუნებისმეტყველება, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, შეურყეველად დგას იმ თვალსაზრისზე, რომ „აზრი ტვინის ფუნქციაა, ხოლო შეგრძნებანი ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციაა“[1].

სამყაროს მატერიალურ არსებობას წინ არ უსწრებდა სამყაროს იდეალური ფორმით არსებობა. ბუნებისმეტყველება ადასტურებს, რომ სულიერი, იდეალური არის მაღალგანვითარებული მატერიის, კერძოდ ტვინის ფუნქცია და საერთოდ არ არსებობს მისგან დამოუკიდებლად, მით უმეტეს მასზე უფრო ადრე. კიდეც რომ ვცნოთ იდეების არსებობა ბუნების წარმოშობამდე, აბსოლუტურად შეუძლებელია ხიდის გადება იდეალურიდან მატერიალურისაკენ, ლოგიკურიდან რეალურისაკენ, ესეც ძირეულად ეწინააღმდეგება მეცნიერების საფუძვლებს.

იდეალიზმისათვის, რელიგიის მსგავსად, იდეალური გარეგნულია მატერიალურის მიმართ. სინამდვილეში, იდეალური, სულიერი ჩნდება როგორც მატერიალურის თვისება, მატერიის თვითმოძრაობის შედეგი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 102.

იდეალიზმისა და რელიგიისათვის ადამიანის ცნობიერების წარმოშობის გზა მიემართება სრულყოფილიდან, რთულიდან (აბსოლუტური იდეა, მსოფლიო სული, ღმერთი) მარტივისაკენ (ინდივიდუალური სუბიექტი), დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით კი, მარტივიდან (უსიცოცხლო მატერია) რთულისაკენ (მაღალგანვითარებული ადამიანური ორგანიზმი). მაშასადამე, იდეალიზმისა და რელიგიისათვის ცნობიერება არის არა ისტორიული პროგრესის, არამედ მისტიკური რეგრესის პროდუქტი.

იდეალიზმი ცნობიერებას მიიჩნევს მარადიულ, თავისთავად სტიქიად, ხოლო ნივთიერს, მატერიალურს თვლის წარმავლად, დამოკიდებულად. ეს მოსაზრებაც ვერ უთავსდება მეცნიერების მონაცემებს. სინამდვილეში, ცნობიერება, როგორც ისტორიული განვითარების ნაყოფი, მხოლოდ მაღალორგანიზებულ მატერიასთან არის დაკავშირებული და არ არსებობს მუდმივად, მაღალორგანიზებული მატერიისაგან დამოუკიდებლად.

დუალიზმი ცნობიერების შესახებ და მისი კრიტიკა. დუალიზმი ცნობიერებას თვლის საწყისად, რომელიც მატერიალურის პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად არსებობდა, არსებობს და მუდმივად იარსებებს. დუალიზმს რჩება იმის მოჩვენებითობა, რომ ორი საწყისის აღიარებით გადაჭრა მატერიისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების ძნელი პრობლემა და, მაშასადამე, ბოლო მოუღო ფილოსოფიურ დავას მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. მაგრამ ფაქტიურად საქმე არც ისე მარტივადაა. ის, ვინც სამყაროს საფუძვლად ორ საწყისს აღიარებს, ფილოსოფიის საკითხს კი არ წყვეტს, არამედ უფრო ართულებს. მართლაც, თუ სამყაროს ორი საწყისი გააჩნია, მაშინ კანონზომიერად იბადება კითხვა ამ ორი საწყისის ერთიანი პირველსაფუძვლის შესახებ. ზემოთ უკვე ითქვა, რომ სამყარო ე რ თ ი ა ნ ი ა თავისი ბუნებით. დუალიზმი მცდარია უკვე იმის გამო, რომ უგულებელყოფს სამყაროს ერთიანობის ფილოსოფიურ პრინციპს და არ გადის პარალელიზმის ფარგლებიდან.

მეცნიერება უკუაგდებს დუალისტურ კონცეფციას მატერიისა და ცნობიერების, მატერიალურისა და იდეალურის თანაარსებობის შესახებ. დუალისტური მოძღვრების სიყალბეს ააშკარავებს ყოველმხრივად შემოწმებული საბუნებისმეტყველო დასკვნა, რომ იდეალურ მხარეს, ცნობიერებას ისტორიულად წ ი ნ უ ს წ რ ე ბ.დ ა „უსიცოცხლო“, არაშემგრძნები მატერია.

დუალიზმის თანახმად, მატერიალური და იდეალური მხარეები, მატერია და ცნობიერება აბსოლუტურად უარყოფენ ერთმანეთს, შეუთავსებელი არიან ერთმანეთთან. ეს შეცდომაა. ცნობიერება არ

უნდა მოვწყვიტოთ მის მშობელს — მატერიას და მასთან ერთიანობაში უნდა განვიხილოთ.

დუალიზმი თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს მატერიალურ და სულიერ მხარეებს, რაც აგრეთვე მიუღებელია დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით. განმსაზღვრელ მომენტს ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში წარმოადგენს მატერიალური მხარე; ჯერ ერთი, იმის გამო, რომ იდეალური მატერიალურის ნიადაგზე აღმოცენდება, მეორეც, ჯერ გარეშე პირობები, მატერიალური მხარე იცვლება და ამის შესაბამისად იცვლება იდეალური მხარე, ცნობიერება. მაშასადამე, მატერიალურ და იდეალურ მხარეებს არა აქვს თანაბარი მნიშვნელობა ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში.

„სულისა და სხეულის დუალიზმის" მატერიალისტურად გადალახვა (ე. ი. მატერიალისტური მონიზმი) იმაში მდგომარეობს, რომ სული არ არსებობს სხეულის დამოუკიდებლად, რომ სული მეორადია, ტვინის ფუნქციაა, გარეგანი სამყაროს ასახვაა. „სულისა და სხეულის დუალიზმის" იდეალისტური გადალახვა (ე. ი. იდეალისტური მონიზმი) იმაში მდგომარეობს, რომ სული ა რ ა რ ი ს სხეულის ფუნქცია, რომ, მაშასადამე, სული პირველადია, რომ „გარემო" და „მე" მხოლოდ ერთი და იმავე „ელემენტების კომპლექსთა" განუყრელ კავშირში არსებობს. გარდა ამ ორი, ერთიმეორის მოწინააღმდეგე, წესისა არავითარი მესამე წესი არ არსებობს „სულისა და სხეულის დუალიზმის" გადასალახავად, თუ არ ჩავთვლით ეკლექტიციზმს, ე. ი. მატერიალიზმისა და იდეალიზმის უაზრო არევ-დარევას" [1].

მარქსამდელი მატერიალიზმი ცნობიერების შესახებ, მისი ნაკლოვანებანი და შეზღუდულობანი. ვერც მარქსამდელი მატერიალიზმი ამაღლდა ცნობიერების ბუნების ჭეშმარიტ გაგებამდე.

მარქსამდელ მატერიალისტებს ეპვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ ცნობიერება მატერიალურ საფუძვლებთან არის დაკავშირებული. ისინი ერთხმად აღიარებდნენ მატერიას პირველადად, ხოლო ცნობიერებას მეორადად. ეს არის მათი სწორი მატერიალისტური გამოსავალი პრინციპი. მაგრამ მათთვის გაურკვეველი იყო, თუ რა საფუძველზე ხდება გადასვლა „უსიცოცხლო" მატერიიდან შეგრძნებით, ცნობიერებით აღჭურვილ მატერიაზე.

მარქსამდელი მატერიალიზმისათვის ცნობიერება არის მატერიალურის თვისება, მაგრამ არა მისი ხანგრძლივი აღმავალი განვითარების უმაღლესი პროდუქტი.

მარქსამდელი მატერიალისტები ცნობიერებას განიხილავდნენ,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 14, გვ. 103.

როგორც ბიოლოგიურ მოვლენას, ბუნებრივ ნიშანს, რომლითაც სხვა სასიცოცხლო ნიშნებთან ერთად დაჯილდოებულია ყოველი ცოცხალი ორგანიზმი. ე. ი. მარქსამდელ მატერიალიზმს სწორი წარმოდგენა არ ჰქონდა ცნობიერების არსებაზე. მარქსამდელმა მატერიალიზმმა სრულიად არ იცოდა, რომ ცნობიერება — საზოგადოებრივი, სპეციფიკურად ადამიანური მოვლენაა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მარქსამდელი მატერიალიზმის თანახმად, ცნობიერებას პასიური ბუნება გააჩნია, რაც ცნობიერების არსის დამახინჯებაა. მარქსამდელი მატერიალიზმისათვის უცნობი იყო ცნობიერების მოქმედი, აქტიურ-გარდამქმნელი როლი.

მარქსამდელი მატერიალიზმის ნაკლოვანებები ცნობიერების ბუნების გაგებაში განსაკუთრებული სიცხადით გამოამჟღავნა ვულგარულმა მატერიალიზმმა. ვულგარული მატერიალიზმი (ფოხტი, ბიუხნერი, მოლეშოტი) ახდენს ცნობიერების მატერიალიზაციას, აიგივებს ცნობიერებას მატერიასთან, მიიჩნევს მას ტვინის ნივთიერ გადმონადენად. ვულგარული მატერიალისტების თანახმად, „ტვინი ისევე გამოყოფს აზრებს, როგორც ღვიძლი ნაღველს". ეს თვალსაზრისიც მცდარია და მიუღებელი.

მართალია, ცნობიერება არ არსებობს მატერიალური მხარისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს ცნობიერებისა და მატერიის იგივეობა. „რომ აზრიც და მატერიაც „ნამდვილია", ე. ი. არსებობენ, ეს სწორია. მაგრამ აზრის მატერიალურ რამედ დასახვა ნიშნავს შემცდარი ნაბიჯის გადადგმას მატერიალიზმისა და იდეალიზმის შერევისაკენ"[1].

თუ ცნობიერებას ტვინის ნივთიერ გამონაყოფთან გავაიგივებთ, მაშინ საერთოდ აღარც დადგება ცნობიერების წარმოშობის პრობლემა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მატერიალური არ არის იდეალური და პირიქით.

ზემოთ დასახელებული ნაკლოვანებანი სავსებით კანონზომიერია მარქსამდელი მატერიალიზმისათვის. ეს ნაკლოვანებანი განაპირობა ისტორიულმა შეზღუდულობამ:

მარქსამდელი მატერიალიზმი არ იყო დიალექტიკური; მას არ შეეძლო ცნობიერების შეფასება, როგორც მოვლენისა, რომელიც განვითარების კანონზომიერებებს ემორჩილება. ხოლო მეტაფიზიკური მეთოდოლოგიის პოზიციებიდან მარქსამდელმა მატერიალიზმმა ვერ მოახერხა ვერც ცნობიერების გენეზისის პრობლემის გარკვევა, ვერც ცნობიერებისა და მატერიის კავშირის სწორი გაგება. ნამდვი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 307.

ლი გზა ცნობიერების წარმოშობისა და მისი ბუნების გასარკვევად გაიხსნა დიალექტიკური მატერიალიზმის აღმოცენების შემდეგ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარქსამდელ მატერიალიზმს არ გააჩნდა საბუნებისმეტყველო მასალა ცნობიერების წარმოშობისა და არსის უმნიშვნელოვანესი საკითხების გაგებისათვის.

ამასთან, მარქსამდელ მატერიალისტებს მოღვაწეობა უხდებოდათ ისეთ ვითარებაში, როცა სოციოლოგიაში იდეალიზმი ბატონობდა. მაშასადამე, მათ არ შეეძლოთ საზოგადოებრივი განვითარების პრიზმიდან შეეხედათ ცნობიერებისათვის.

ამ შეზღუდულობათა მიუხედავად მარქსამდელი მატერიალიზმი წარმატებით ებრძოდა რელიგიასა და იდეალიზმს ცნობიერების ბუნების გაგების საკითხში. ამ მხრივ იგი მაქსიმალურად იყენებდა თავის შესაძლებლობებს.

ცნობიერება როგორც მეორადი, წარმოებული, მატერიალურის პროდუქტი. დიალექტიკურმა მატერიალიზმმა შეისისხლხორცა მარქსამდელი მატერიალიზმის დადებითი მონაპოვარი — მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის პრინციპი. მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის პრინციპს დიალექტიკური მატერიალიზმი ასაბუთებს როგორც ზოგადფილოსოფიური, ისე საბუნებისმეტყველო მონაცემებით.

ბუნებისმეტყველებისათვის ამჟამად უდავოა, რომ ცნობიერების, იდეალურის ჩანასახების გაჩენა უშუალოდაა დაკავშირებული არაორგანული მატერიიდან ორგანული მატერიის, პირველი ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობასთან. ცნობიერება — მეორადი მოვლენაა. მის წარმოშობას წინ უსწრებდა მატერიის ხანგრძლივი ისტორიული განვითარება.

საკითხავია, როგორ აღიქვრა პირველი ცოცხალი ორგანიზმი იდეალურის უმარტივესი ჩანასახებით? გააჩნდა თუ არა უსიცოცხლო მატერიას ისეთი თვისება, რომელიც გენეტიკურ საფუძვლად დაედო ცნობიერების ჩანასახების წარმოშობას ცოცხალ ორგანიზმებში?

ასეთი თვისება ნამდვილად, ობიექტურად გააჩნია მთელს მატერიას. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...ლოგიკურია იმის ვარაუდი, რომ მთელ მატერიას აქვს თვისება, რომელიც არსებითად ენათესავება შეგრძნებას, ასახვის თვისება“[1] (ხაზგასმა ჩვენია — ბ. ლ.).

მთელი მატერიისათვის დამახასიათებელი ასახვის თვისების არსებობა საყოველთაოდ დასტურდება. ყოველი საგნის ზემოქმედება გარკვეულად აღიბეჭდება მეორე საგანზე. მაგალითად, მიწა სველდება

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 106.

წეიმისაგან, რკინის ნაჭერი ფართოვდება სითბოსაგან, იკუმშება სიცივისაგან, წყლის დინებით იცვლება მდინარის კალაპოტი და სხვ.

ასახვის ეს თვისება არსებითად მატერიალური ასახვის თვისებაა, ვინაიდან კვალი, რომელიც ამ ასახვის ფორმით ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურია. მატერიალური ასახვა ელინ�საგნებს. მოვლენების და პროცესების ურთიერთდაკავშირებისა და ურთიერთმოქმედების დროს. იგი მატერიის შენობის ფუნდამენტში ძევს, მთელი მატერიის უნივერსალური თვისებაა. იმის გამო, რომ მატერიალური საგნები და პროცესები არ არსებობენ ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების გარეშე.

მატერიალური ასახვის თვისება შემდეგი ნიშნებით ენათესაურება ასახვის იმ უნარს, რომელიც მატერიის ორგანული განვითარების სტადიაზე წარმოიშობა: ა) მატერიალური ასახვა, იდეალური ასახვის მსგავსად, აღმოცენდება სხვადასხვა მხარეების ურთიერთკავშირის და ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, ბ) როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაში იგულისხმება სამი კომპონენტი: ასასახავი, ამსახველი და ანაბეჭდი, — კვალი, ანასახი.

სწორედ ეს საერთო ნიშნები გვაძლევს საფუძველს მატერიალური ასახვა იდეალური ასახვის წინაპირობად გამოვაცხადოთ. მაგრამ უხეშ შეცდომას დავუშვებდით, თუ ტოლობის ნიშანს დავსვამდით მატერიალურ ასახვასა და ასახვის თუნდაც იმ უმარტივეს ფორმას შორის, რომელიც პირველი ცოცხალი ორგანიზმებისათვის არის დამახასიათებელი.

იდეალური ასახვა მაღალი, თვისებრივად განსხვავებული ფორმაა მატერიალურ ასახვასთან შედარებით. აქაში დასარწმუნებლად საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ მატერიალური ასახვა და გ ა მ ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ლ ო ბ ა — ცოცხალი ორგანიზმებისათვის სპეციფიკური ასახვის ელემენტარული ფორმა. მატერიალური ასახვა გარეგანი ზემოქმედების პასიური აღბეჭდვაა. გამღიზიანებლობა კი არა მარტო ასახავს ზემოქმედებას, არამედ იწვევს ორგანიზმის საპასუხო რეაქციას. მაგალითად, ერთუჯრედოვანი ორგანიზმი ინფუზორია. გაურბის ცხელ წყალს. სინათლის, მიწის მიზიდულობის. საკვების შედგენილობის და სხვა გამღიზიანებლის ზემოქმედება მცენარეზე იწვევს მისი ფესვების, ღეროს, ტოტების ან ფოთლების შესაბამის მოძრაობას (ტროპიზმის მოვლენა).

გამღიზიანებლობა მეორადია, ე. ი. თვით მატერიალურის, ამ შემთხვევაში ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციაა. ჯერ ერთი, თუ მარტივი ცოცხალი ორგანიზმი არ არსებობს, არ იარსებებს გამღიზიანებლობაც, როგორც გარემოში მაორიენტირებელი თვისება. მეორეც, გამ-

ღიზიანებლობა მეორადია, რამდენადაც ამ უნარის ამოქმედება ხდება გარესამყაროს, მატერიალურის ზემოქმედების საფუძველზე.

მრავალუჯრედოვანი ორგანიზმების წარმოშობით ახალი ეტაპი იწყება ასახვის უნარის განვითარებაში. გარემოსთან ორგანიზმის ხანგრძლივ ურთიერთობას შედეგად მოჰყვა უჯრედთა დიფერენციაცია და სპეციალიზაცია. თანდათანობით შეიქმნა გამღიზიანებლობის აღმნუსხველი მგრძნობიარე უჯრედები, ნერვული უჯრედები. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ნერვულ იმპულსებს გადასცემენ კუნთოვან უჯრედებს და გამღიზიანებლის ზემოქმედების საპასუხოდ იწვევენ ორგანიზმის ცალკეული ორგანოების ამოძრავებას. ასე ყალიბდება რეფლექტორული მუშაობის მექანიზმი.

საწყის საფეხურებზე ნერვულ სისტემას არ გააჩნია ცენტრი და ქსელისებური ხასიათისაა. მაგრამ, შემდგომ, ორგანიზმებში მიმდინარეობს თვით ნერვული უჯრედების სპეციალიზაცია. წარმოიშობა ნერვული ცენტრი, ცენტრისაკენ და პირუკუ მიმავალი ნერვული გზები. უხერხემლო ორგანიზმთა შორის ყველაზე მეტად ნერვული სისტემა განვითარებულია მწერებში (ფუტკარი, ჭიანჭველა, ობობა და სხვ.). აქ უკვე ვხვდებით გრძნობის ორგანოებს, მხედველობის, ყნოსვის, შეხების რეცეპტორებს.

ამრიგად, უხერხემლო ორგანიზმებს უკვე აქვთ გარემოს დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ი ა ს ა ხ ვ ი ს უ ნ ა რ ი.

სინამდვილის დიფერენცირებული ასახვის შედარებით სრულყოფილი ფორმები არსებობენ ხერხემლიან ცხოველებში, ე. ი. იმ ცხოველებში, რომლებსაც თავის ტვინის ქერქი გააჩნიათ. თავის ტვინის ქერქთან ერთად ამ ცხოველებს უაღრესად განვითარებული აქვთ რეცეპტორები, რომლებითაც ისინი ასახავენ როგორც გარეგან, ისე შინაგან გამღიზიანებლებს. ამ საფეხურზე ხორციელდება პირობითრეფლექტორული, ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ა ს ა ხ ვ ა.

დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა ი. პავლოვმა დაასაბუთა, რომ ცენტრალური ნერვული სისტემა აერთიანებს ორ ფუნქციას — ასახვისა და ორგანიზმის რეგულირების ფუნქციას, რომლის საფუძველზე ცენტრალური ნერვული სისტემა რეფლექტორულ მუშაობას აწარმოებს. ცენტრალური ნერვული სისტემის რეფლექტორული მუშაობა რთულდება გარემოსთან ორგანიზმის მუდმივი ურთიერთობის პროცესში, რის შედეგად ორგანიზმის პასუხი გარეგანი გამღიზიანებლებისადმი ობიექტურად უფრო და უფრო მიზანშეწონილ სახეს ღებულობს.

მაღალგანვითარებულ ცხოველებს გააჩნიათ როგორც გამღიზიანებლისადმი პასუხის თანდაყოლილი ფორმები ე. წ. უ პ ი რ ო ბ ო რ ე ფ ლ ე ქ ს ე ბ ი, ი ს ე პ ი რ ო ბ ი თ ი რ ე ფ ლ ე ქ ს ე ბ ი. უპირობო რეფლექსები (მაგალითად, სოროების გათხრა, ბუდეების გა-

კეთება, ნერწყვის გამოყოფა საჭმლის დანახვაზე და სხვ.) შემუშავდება არა ცალკეული ცხოველის სიცოცხლეში, არამედ მისი გვარის ხანგრძლივი განვითარების პროცესში და ცხოველს მემკვიდრეობით გადმოეცემა, მაგრამ გარეგანი ფაქტორების ხშირი და სწრაფი ცვლილებების გამო, ცხოველი იძულებული ხდება შეიძინოს ბევრი ისეთი რეფლექსი, რომელიც მას მემკვიდრეობით არ მიუღია. როგორც პავლოვის ცდით დამტკიცდა, ძაღლის ნერწყვის გამოყოფა შეიძლება მაშინაც, თუ ნერწყვის გამოყოფის ამ უპირობო რეფლექსს დაუკავშირდება ბგერის, სინათლის, ფერის ან სხვა რაიმე პირობითი გამღიზიანებელი.

შეცვლილ გარემოსთან შეგუებას ცხოველი ახერხებს სწორედ პირობით რეფლექსების შემწეობით. საამისოდ ცხოველს განვითარებული აქვს შესაბამისი ფიზიოლოგიური მექანიზმი — აღგზნებადი კერები თავის ტვინის ქერქში. ეს კერები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთის გაღიზიანება იწვევს მეორის აღგზნებას, ხოლო გარეგანი გამღიზიანებლის ხშირი ზემოქმედების შედეგად მყარდება კერებს შორის „დროებითი კავშირი" — პირობითი რეფლექსის ფიზიოლოგიური საფუძველი.

პირობითი რეფლექსები ორგანიზმს საშუალებას აძლევს ასახოს გარემომცველი სამყაროს განუწყვეტლად ცვალებადი აგენტები და დაამყაროს არსებობისათვის აუცილებელი კავშირი მათთან.

უპირობო რეფლექტორული და პირობით-რეფლექტორული ასახვის უნარი მაღალ განვითარებას აღწევს ძუძუმწოვარა ცხოველებში და ადამიანში. იგი არსებობს როგორც განსაზღვრულად ორგანიზებული სხეულებრივის ფუნქცია, ორგანულად არის დაკავშირებული მატერიის ურთულეს ქმნილებებთან: ტვინსა, ცენტრალურ ნერვულ სისტემასა, გრძნობათა ორგანოებსა და სხვა მატერიალურ პროცესებთან.

„მატერიალიზმი სრულიად ეთანხმება ბუნებისმეტყველებას და პირველადად მოცემულად მატერიას თვლის, ხოლო მეორადად — ცნობიერებას, აზროვნებას, შეგრძნებას, ვინაიდან ნათლად გამოხატული ფორმით შეგრძნება მხოლოდ მატერიის უმაღლეს ფორმებთან (ორგანულ მატერიასთან) არის დაკავშირებული"[1].

ცნობიერების დამახასიათებელი თავისებურებანი. ცნობიერება მატერიალურის პროდუქტია, მაგრამ თავისი ბუნებით სრულიადაც არ არის მატერიალური. იგი იდეალური მოვლენაა და როგორც ასეთი ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით:

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 43.

ა) ცნობიერება — ყოფიერების ასახვა. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, ცნობიერება ყოფიერების ასახვაა. ეს არის პირველი ძირითადი დებულება, რომლითაც დიალექტიკური მატერიალიზმი გამოხატავს ცნობიერების არსების უმნიშვნელოვანეს მხარეს. „ცნობიერება საზოგადოდ ასახავს ყოფიერებას, — ეს მთელი მატერიალიზმის ზოგადი დებულებაა“ [1].

ცნობიერება როგორც ასახვა არ არსებობს ასახვის საგნისაგან დამოუკიდებლად. იმთავითვე იგულისხმება იმ საგნის წინასწარი მოცემულობა, რომელსაც ცნობიერება ასახავს. ეს საგანია ყოფიერება, გარემომცველი სინამდვილე, ობიექტი. ცნობიერების როგორც სინამდვილის ასახვის ფაქტში აგრეთვე მეღავნდება მისი მეორადი და დამოკიდებული ბუნება.

მართლაც, რომ დავაკვირდეთ, რა შინაარსს შეიცავენ ადამიანის შეგრძნებები, აღქმები, აზრები? ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ამ აქტებში ასახულია სინამდვილის საგნებისა და მოვლენების დამახასიათებელი თვისებები, მიმართებები, კანონზომიერებები, მდგომარეობა და სხვ. ადამიანი ბუნების ძალების მსხვერპლი გახდებოდა, მოკლებული რომ იყოს ცნობიერების საშუალებით სინამდვილის ასახვის უნარს. „ადამიანი ბიოლოგიურად ვერ შეეგუებოდა გარემოს, მისი შეგრძნებანი რომ ობიექტურად-სწორ წარმოდგენას არ აძლევდეს მას ამ გარემოზე“[2]. სწორედ ცნობიერების საშუალებით ახერხებს ადამიანი ობიექტურად მიზანშეწონილ ორიენტაციას გარემოში.

ამრიგად, ცნობიერება მოწოდებულია იმისათვის, რომ სინამდვილე ასახოს. ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: ისტორია იცნობს ადამიანთა ისეთ წარმოდგენებს და შეხედულებებს, რომლებსაც უშუალოდ არაფერი შეესაბამება ბუნებაში. მაგალითად, დღემდე ცოცხლობენ ადამიანთა მიერ ისტორიულად შემუშავებული წარმოდგენები ღმერთის, ანგელოზის, ეშმაკის და სხვა არარსებული ძალების შესახებ. ამ შემთხვევაში ასახავენ თუ არა ადამიანური შეხედულებანი გარემომცველ სინამდვილეს? ხომ არ ეწინააღმდეგება ზემოთ დასახელებული მაგალითი მატერიალისტურ დებულებას იმის შესახებ, რომ ცნობიერება ყოფიერების ასახვაა? ცხადია, არა. საქმე ისაა, რომ ღმერთის, ანგელოზის ან სხვა ფანტასტიკური არსების შესაქმნელი მასალა ადამიანის ცნობიერებას ისევ და ისევ სინამდვილიდან აქვს აღებული, თუმცა უკიდურესად გაცალმხრივებული, თვითნებურად გაზვიადებული ფორმით. მორწმუნე ადამიანის წარმოდგენით ღმერთს ახასიათებს სრულყოფი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 411.

[2] იქვე, გვ. 220.

ლი სიკეთისა და სიბრძნის, ხოლო ანგელოზს — სილამაზის თვისებები. მაგრამ როგორ „აღმოაჩნდათ“ მათ ეს თვისებები. ფაქტიურად ჩვენ აქ საქმე გვაქვს თვისებებთან, რომლებსაც გარემომცველი საზოგადოებრივი წრიდან ვიცნობთ და რომლებიც თავის დროზე მატერიალური და გონებრივი ჩამორჩენილობის გამო, ადამიანებმა მათ მიერ შეთხზულ არამიწიერ ძალებს მიაწერეს.

ადამიანთა ფანტასტიკური წარმოდგენები კი, „...აუცილებელი პროდუქტებია, თავისებური ანაორთქლებია მათი მატერიალური საარსებო პროცესისა, რომელიც შეიძლება დადგენილ იქნეს ემპირიულად და რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ წანამძღვრებთან“[1].

ცნობიერება ასახული ყოფიერებაა, ყოფიერების გამოხატულებაა. „ბუნების ობიექტური კანონზომიერების და ამ კანონზომიერების დაახლოებით სწორი ასახვის აღიარება ადამიანის გონებაში — ეს არის მატერიალიზმი“[2].

ბ) ცნობიერება როგორც სუბიექტური. როდესაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცნობიერება ყოფიერების ასახვაა, იგულისხმება, რომ ეს ასახვა მოცემულია ადამიანში, პიროვნებაში, მე-ში, სუბიექტში. სწორედ ადამიანის, სუბიექტის ცნობიერებაა ყოფიერების სახე, გამონაკრთომი, გამოხატულება, ასლი. „შეგრძნებანი ესე იგი **გარეგანი ქვეყნის სახეები ჩვენში** არსებობენ“[1]. აქედან გამომდინარე, ცნობიერება სუბიექტურია, ე. ი. არ არსებობს სუბიექტის გარეშე, მისგან გამოცალკევებულად. ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი სინამდვილე, რომელსაც ცნობიერება ასახავს, ობიექტია. ცხადია, ობიექტის ცნებაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება გარემომცველი მატერიალური სამყარო. მაგრამ ცნობიერება ასახვის ობიექტად აქცევს აგრეთვე თავის საკუთარ თავსაც, სულიერ, ფსიქიკურ პროცესებს, ახდენს მათ ობიექტივიზაციას, ე. ი. სულიერ პროცესებს განიხილავს როგორც ასახვის ობიექტებს. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ცნობიერება სინამდვილის ფაქტებისა, პროცესების, კანონზომიერებების ასახვაა და რამდენადაც ასახვაა — სუბიექტურია, მაგრამ ცნობიერების სუბიექტურობა არ გამორიცხავს ობიექტურობის მომენტს. ცნობიერება სუბიექტურია ფენომენალურად და ობიექტურია მისგან დამოუკიდებელი, სინამდვილის ამსახველი შინაარსის თვალსაზრისით.

პრაქტიკულ-მატერიალური საქმიანობის პროცესში ადამიანი, როგორც სუბიექტი ურთიერთობაშია გარემოსთან, როგორც ობიექტთან.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 17.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 189.
[3] იქვე, გვ. 102—103.

გ) ცნობიერების როგორც ასახულის გაცნობიერება. ცნობიერება არის სინამდვილის არა უბრალო, არამედ გაცნობიერებული ასახვა, ასახულის გაცნობიერება. ყოველდღიური ცხოვრება „ადამიანს უჩვენებს, თუ როგორ იქცევა „საგანი თავისთავად“ „საგნად ჩვენთვის“[1].

ადამიანის ნებისმიერი აღქმა და შეგრძნება უკვე გარკვეული ობიექტების ცნობიერი რეპროდუქციაა. ადამიანმა უკვე იცის, თუ რას შეიგრძნობს და რას აღიქვამს იგი; ამ მხრივ, ადამიანის ცნობიერება ძირეულად განსხვავდება ცხოველის ფსიქიკისაგან. პირველ შემთხვევაში ასახვას თან ახლავს ასახვის გარკვეულობისა და მნიშვნელობის ცოდნა, მეორე შემთხვევაში — არა.

ადამიანის ცნობიერება აღწევს როგორც გარეგანის, ისე შინაგანის საკუთარი მეობის გაცნობიერებასაც. ადამიანმა იცის არა მარტო გარემომცველი ბუნების მოვლენები, არამედ აგრეთვე საკუთარი მისწრაფებები და მოთხოვნილებები. ამასთან, ადამიანს შეუძლია გააცნობიეროს თავისი მოქმედება და უფრო მეტიც, ამ მოქმედების ფაქტამდე იცოდეს მოქმედების შედეგები.

მაშასადამე, ცნობიერება ამავე დროს არის ადამიანის მოქმედების და მოქმედების შედეგად ბუნების მასალის მოსალოდნელი ცვალებადობის გაცნობიერებაც. ამ ნიადაგზე ცნობიერება ადამიანს გამოუმუშავებს მოქმედების მიზანს და მძლავრ ბიძგს აძლევს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მრავალმხრივ გაშლას.

გაცნობიერების უნარი კ. მარქსსა და ფ. ენგელსს მიაჩნდათ ადამიანური ასახვის არსებით სპეციფიკურ ნიშნად. სწორედ ამიტომ აღნიშნავდნენ ისინი, ცნობიერება არასდროს არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა შეცნობილი ყოფიერება.

დ) ცნობიერება, როგორც შემეცნება. რამდენადაც ადამიანი ცნობიერად ასახავს სინამდვილეს, იმდენად მის შემეცნებას ახორციელებს. იგი, საკუთარი ამსახველობითი უნარის წყალობით გარემომცველ საგნებსა და პროცესებს გაიგებს, შეაფასებს, შეიმეცნებს.

მაშასადამე, ცნობიერება, გარკვეული ასპექტით შეიძლება დავახასიათოთ როგორც შემეცნება, ვინაიდან შემეცნება არსებობს სინამდვილის მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერი ასახვის სახით.

გარესამყარო აისახება ისეთ შემეცნებით აქტებში, როგორიცაა შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება. შეგრძნება უმარტივესი შემეცნებითი აქტია; იგი საგნებისა და მოვლენების ამა თუ იმ თვისებას ასახავს. უფრო რთულ ცნობიერ აქტს წარმოადგენს აღქმა. აღქმა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 120,

ასახავს საგანს მისი თვისებების ორგანულ მთლიანობაში, მაშინ, როდესაც შეგრძნება საგნის მხოლოდ რომელიმე თვისებასთან გვაკავშირებს.

როგორც შეგრძნება, ისე აღქმა სინამდვილის გრძნობადი ასახვის სფეროს, ცნობიერების გრძნობად საფეხურს მიეკუთვნება.

ცნობიერების გვირგვინია აზროვნება. მისთვის დამახასიათებელი წესებითა და საშუალებებით აზროვნება ასახავს სამყაროში არსებულ ურთულეს მიმართებებს. აზროვნებით ვუკავშირდებით ზოგადს, საერთოს ამა თუ იმ კლასისათვის. აზროვნება სინამდვილის განზოგადებული ასახვაა. მოვლენათა არსებითი და ზოგადი მხარეებისა და მიმართებების ასახვით ადამიანი იმეცნებს სინამდვილის კანონებს. სინამდვილის კანონების ასახვის თვისება აზროვნების უნიკალური თვისებაა. „ადამიანის აზროვნებას თავის ბუნებით შეუძლია მოგვცეს და კიდეც გვაძლევს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც სდგება შეფარდებით ჭეშმარიტებათა ჯამისაგან"[1].

ობიექტური კანონების შემეცნებით ცნობიერება საშუალებას უქმნის ადამიანს შეიმუშაოს ცოდნის სისტემა მატერიის მოძრაობის ამა თუ იმ ფორმის შესახებ, ე. ი. შექმნას მეცნიერება მრავალრიცხოვანი განშტოებებით, ამ კანონების პრაქტიკული გამოყენების შედეგად გარდაქმნას საგანი მისთვის სასურველი მიმართულებით.

ბუნებასთან ადამიანის აქტიური მატერიალური დამოკიდებულების აუცილებლობა წარმოშობს მის მიერ გარემომცველი სამყაროს აქტიურად ასახვის აუცილებლობას. ადამიანი ასახავს სინამდვილეს არა მშვრეტელობითი ფორმით, პასიურად, არამედ აქტიურად, პრაქტიკული ზემოქმედების საფუძველზე მოსალოდნელი ცვალებადობის გათვალისწინებით. შრომის პროცესში ადამიანის მოქმედება იარაღების შემწეობით, შრომის საგნის ცვლილებას იწვევს. ცნობიერების ძალა ის არის, რომ იგი გარემომცველი სამყაროს კანონზომიერებათა ასახვის გზით ხატავს სინამდვილის შეცვლის კონკრეტულ სურათს, აიარაღებს ადამიანებს სინამდვილის გარდაქმნის გზების ცოდნით. „ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ქმნის მას"[2].

ცნობიერება გვაძლევს სამყაროს გარდაქმნის სურათს იდეალურად, ხოლო ადამიანები, ამ იდეალური პროექტის შესაბამისად სახეს უცვლიან სამყაროს მატერიალურად, წარმოების იარაღების გამოყენების, რევოლუციური მოღვაწეობის შედეგად.

ცნობიერების ქმედითი ბუნება ამჟღავნებს მის შეფარდებით და-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 162.
[2] იქვე, გვ. 210.

მოუკიდებლობას. ყოფიერებაზე აქტიური ზემოქმედება ცნობიერებას გარკვეულ დამოუკიდებლობას და თავისთავად ძალას ანიჭებს. მაგრამ ცნობიერების თავისთავადობა და დამოუკიდებლობა მხოლოდ შეფარდებითი ხასიათისაა, რამდენადაც ცნობიერება მატერიალურის პროდუქტია, მას ასახავს და მისითაა განსაზღვრული.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცნობიერების აქტიური უკუმოქმედება ყოფიერებაზე ორმხრივად მეღავნდება. იგი ან ხელს უწყობს საზოგადოებრივ განვითარებას, ან პირიქით აფერხებს მას. მოწინავე იდეები და შეხედულებანი ადამიანებს შესაძლებლობას აძლევენ აქტიურად გაერკვნენ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებში, გარდაქმნან ისინი. რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

რეაქციული შეხედულებანი და თეორიები ხელს უშლიან მშრომელი მასების გათვითცნობიერებას, უკარგავენ მათ სინამდვილის მოვლენებში ორიენტაციის საშუალებას, იწვევენ მათი რიგების დაქსაქსვას, საერთოდ საზოგადოებრივი პროგრესის შენელებას.

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"; მეხუთე თავი. ემპირიოკრიტიციზმის ერთ-ერთი თავისებურება ადრინდელი სუბიექტური იდეალიზმისაგან განსხვავებით ისაა, რომ იგი ცდილობდა ბუნებისმეტყველების უახლესი აღმოჩენების, განსაკუთრებით კი ფიზიკის თანამედროვე მონაპოვრების გამოყენებას ყალბი, იდეალისტური მსოფლმხედველობის „დასაბუთებისათვის". მახიზმი ფიზიკის მეცნიერებასთან კავშირის დროშით გამოდიოდა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი არამც თუ არ უარყოფს კავშირს ბუნებისმეტყველებასთან, არამედ, პირიქით, ამ კავშირს მატერიალისტური მსოფლმხედველობის განვითარების აუცილებელ და გადამწყვეტ ფაქტორადაც კი თვლის. მაგრამ ემპირიოკრიტიციზმი აღმოჩენებს ბუნებისმეტყველებაში, სახელდობრ, ფიზიკაში სწორედ საწინააღმდეგო მიმართულებით იყენებდა, რათა რევიზიონისტულად გადაესინჯა და უკუეგდო ის, რაც ძირითადი და არსებითია მარქსისტულ ფილოსოფიაში. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

„ახალ ფიზიკასა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ახალი ფიზიკის განსაზღვრულ სკოლასა და მახიზმსა და თანამედროვე იდეალისტური ფილოსოფიის სხვა სახესხვაობათა შორის რომ კავშირი არსებობს, ეს უეჭველია. მახიზმის გარჩევა და ამ კავშირის უგულებელყოფა, როგორც ამას პლეხანოვი სჩადის, —ნიშნავს დიალექტიკური მატერიალიზმის რაობის აბუჩად აგდებას, ე. ი. ენგელსის მეთოდის მსხვერპლად შეწირვას ენგელსის ამა თუ იმ ანბანის გულისათვის. ენგელსი პირდაპირ ამბობს, რომ „ყოველ ეპოქალურ აღმოჩენასთან ერთად თუნდაც საბუნებისმეტყველო სფეროში" (ცაცობრიობის ისტორია-

ზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია) „მატერიალიზმმა აუცილებლად თავისი ფორმა უნდა შესცვალოს“... მაშასადამე, ენგელსის მატერიალიზმის „ფორმის“ რევიზია, მისი ნატურფილოსოფიური დებულებების რევიზია არათუ არაფერს შეიცავს „რევიზიონისტულს“, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. არამედ, პირიქით, ამას აუცილებლად მოითხოვს თვით მარქსიზმი. მახისტებს ჩვენ ვუსაყვედურებთ სრულიადაც არა ასეთ გადასინჯვას, არამედ მათს წ მ ი ნ დ ა რ ე ვ ი ზ ი ო ნ ი ს ტ უ ლ მეთოდს — მატერიალიზმის ფ ო რ მ ი ს კრიტიკის სახით მისი დ ე დ ა ა რ ს ი ს შეცვლას...“[1].

თავის ნაშრომში ვ. ი. ლენინი ფართოდ ეხება თანამედროვე ფიზიკის პრინციპულ ფილოსოფიურ საკითხებს, ნათლად და ღრმად აშუქებს ფიზიკის ფილოსოფიურ პრობლემებს და ცხადყოფს მატერიალისტური დიალექტიკის როლს ფიზიკის განვითარების საქმეში. იგი გვიჩვენებს, რომ ბუნებისმეტყველების სფეროში ახალ ეპოქის შემქმნელ აღმოჩენასთან ერთად მატერიალისმმა აუცილებლად უნდა მოგვცეს შესაბამისი განზოგადებანი, მეორე მხრივ, ვ. ი. ლენინი ასაბუთებს, რომ ბუნებისმეტყველების უახლესი აღმოჩენების დიალექტიკურ-მატერიალისტური განზოგადება აუცილებელი წანამძღვარია თვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მძლავრი განვითარებისათვის, მათი მეთოდოლოგიური პოზიციების დადგენა-დამკვიდრებისათვის.

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ფ ი ზ ი კ ი ს კ რ ი ზ ი ს ი ს ა რ ს ი. ვ. ი. ლენინმა გამოამეღავნა XIX საუკუნის ბოლო წლებში და XX საუკუნის დამდეგს ფიზიკის ახალი აღმოჩენების ბაზაზე ამ მეცნიერებაში შექმნილი კრიზისის არსი, დასახა გზები ფიზიკური იდეალიზმის დაძლევისათვის.

ფიზიკის ახალ აღმოჩენათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის დასაბუთება, რომ ატომი არაა განუყოფელი ელემენტი, იგი შედგება დადებითად და უარყოფითად დამუხტული ნაწილაკებისაგან, რომელთა მასა, განსაკუთრებით კი უარყოფითად დამუხტული ელექტრონებისა, „სავსებით და მხოლოდ და მხოლოდ ელექტროდინამიკური ყოფილა“ (ვ. ი. ლენინი). რაკი სხეულები ატომებისაგან შედგება, ხოლო ატომის მექანიკური მასა ქრება, აქედან გამომდინარე, დაასკვნიდნენ მახისტები, საფუძველი ეცლება თვით მექანიკასაც, კლასიკური მექანიკის ნიუტონისეულ პრინციპებს. აღმოჩნდა, მაშასადამე, რომ ფიზიკას ხელიდან ეცლება ობიექტი, რომელიც მან უნდა შეისწავლოს; ვ. ი. ლენინი გვაძლევს თანამედროვე ფიზიკის კრიზისის კლასიკურ ფორმულირებას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 317—318,

„ფილოსოფიურად“ თანამედროვე ფიზიკის კრიზისის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ძველი ფიზიკა თავის თეორიებში „მატერიალური სამყაროს რეალურად შეცნობას“, ე. ი. ობიექტური რეალობის ასახვას ხედავდა. ფიზიკის ახალი მიმდინარეობა კი თეორიაში ხედავს მხოლოდ სიმბოლოებს, ნიშნებს, აღნიშვნებს პრაქტიკისათვის, ე. ი. უარყოფს იმ ობიექტური რეალობის არსებობას, რომელიც დამოუკიდებელია ჩვენი ცნობიერებისაგან და ასახულია მის მიერ“[1].

„მატერია გაქრა“, მოხდა ატომის „დემატერიალიზაცია“ — ამ ფორმულირებით გამოჰყავდათ მახისტებს ძირითადი ფილოსოფიური დასკვნები ფიზიკის უახლესი აღმოჩენებიდან.

სინამდვილეში, რასაკვირველია, არც ატომის „დემატერიალიზაცია“ მომხდარა, არც „მატერია გამქრალა“, მატერია — მატერიად, ჩვენგან დამოუკიდებელ რეალობად რჩება ყოველთვის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ჩვენი ცოდნა მის შესახებ. თუ ადრე მატერია უცვლელი ნაწილაკებისაგან შემდგარი, ჩვენი ცნობიერების მიერ ამომწურავად შეცნობილი რეალობა ეგონათ, ამჟამად დასაბუთდა მისი შემადგენელი ცვალებადი ელემენტების არსებობა, დასაბუთდა საერთოდ მისი ამოუწურავი ბუნება.

„მატერია ქრება“ — ეს იმას ნიშნავს, რომ ქრება ის საზღვარი, სადამდისაც ჩვენ დღემდე ვიცნობდით მატერიას, ჩვენი ცოდნა უფრო ღრმად მიდის; ქრებიან მატერიის ისეთი თვისებანი, რომელნიც წინათ აბსოლუტური, უცვლელი, პირველადი გვეგონა (შეუღწევადობა, ინერცია, მასა და სხვ.) და რომელნიც დღეს გვევლინებიან როგორც შედარებითი, როგორც მატერიის ზოგიერთი მდგომარეობის დამახასიათებელი თვისებანი. ვინაიდან მატერიის ერთადერთი „თვისება“, რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, არის მისი თვისება ობიექტურ რეალობად ყოფნისა, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობისა“[2].

ელექტროდინამიკური მასის აღმოჩენა იმაზე კი არ მიგვითითებს, რომ მექანიკური მასა მასზე დაიყვანება და, მაშასადამე, ქრება, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდა მატერიის კიდევ ერთი, აქამდე უცნობი ფიზიკური თვისება.

რაკი მატერია „უარყვეს“, აქედან მახისტები ლოგიკურად უნდა მისულიყვნენ „წმინდა მოძრაობის“, უმატერიო მოძრაობის აღიარებამდე. სწორედ ამას ქადაგებდა ოსტვალდი თავისი „ენერგეტიზმის“, თეორიით. ამის საწინააღმდეგოდ ვ. ი. ლენინი წერდა:

„ძირითადი განსხვავება მატერიალისტისა იდეალისტური ფილო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 14, გვ. 324.

[2] იქვე, გვ. 329—330.

სოფიის მომხრისაგან იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეგრძნებას, აღქმას, წარმოდგენას და საზოგადოდ ადამიანის ცნობიერებას ობიექტური რეალობის სახედ თვლის. სამყარო მოძრაობაა ამ ობიექტური რეალობისა, რომელსაც ჩვენი ცნობიერება ასახავს. წარმოდგენათა, აღქმათა და სხვ. მოძრაობას შეესაბამება მატერიის მოძრაობა ჩემს გარეშე. მატერიის ცნება სხვას არაფერს გამოხატავს, გარდა ობიექტური რეალობისა, რომელიც შეგრძნებაში გვაქვს მოცემული. ამიტომ მოძრაობის გამოთიშვა მატერიისაგან იმას უდრის, რომ აზროვნება გამოვთიშოთ ობიექტური რეალობისაგან, ჩემი შეგრძნებანი გამოვთიშოთ გარეგანი სამყაროსაგან, ე. ი. იდეალიზმის მხარეზე გადავიდეთ"[1].

„ენერგეტიზმის" თეორიას საფუძველი გამოაცალა ფიზიკის მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ, სახელდობრ, კლასიკური ფიზიკის მიერ წამოყენებული კანონების — მასისა და ენერგიის მუდმივობის კანონების გაერთიანებამ ერთ კანონად — მასისა და ენერგიის კავშირის კანონად. აინშტაინის მიერ დადგენილი მასისა და ენერგიის პროპორციულობის კანონის საფუძველზე გაირკვა, რომ ენერგია არ არის სუბსტანცია და, მაშასადამე, შეუძლებელია მასისა და ენერგიის ერთმანეთში გარდაქმნა. ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ოსტვალდის „ენერგეტიზმის" თანამედროვე დამცველების წინააღმდეგ ბრძოლაში, სამყაროს მატერიალურობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპის დადასტურებისათვის.

ვ. ი. ლენინი უზარმაზარი საბუნებისმეტყველო-ფილოსოფიური მასალის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს ორ ძირითად, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებას თანამედროვე ფიზიკაში, ეს მიმართულებანი არსებობდნენ როგორც ინგლისში, ისე გერმანიასა, საფრანგეთსა და რუსეთში. პირველი ფიზიკის მეცნიერებას ობიექტური რეალობის ასახვად თვლის, მეორეს კი პირიქით, ფიზიკა მხოლოდ „მეთოდოლოგიად", „წმინდა სიმბოლოდ", „ცდის ორგანიზაციის ფორმად" მიაჩნია. რასაკვირველია, ბუნების ასახვა ადამიანის მიერ არ შეიძლება იყოს ამომწურავი, მაგრამ ბუნების შესახებ ჩვენი ცოდნის ცვალებადობიდან არ გამომდინარეობს თვით ბუნების, ობიექტური რეალობის უარყოფა.

„ატომის დაშლადობა, მისი ამოუწურველობა, მატერიის და მისი მოძრაობის ყველა ფორმის ცვალებადობა ყოველთვის დიალექტიკური მატერიალიზმის დასაყრდენს წარმოადგენდა. ყოველი მიჯნა ბუნებაში პირობითია, შედარებითია, მოძრავია, გამოხატავს ჩვენი გონების მიახლოებას მატერიის შემეცნებისადმი, — მაგრამ ეს სრულიადაც არ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 338,

აშტკიცებს, რომ თვით ბუნება, მატერია, სიმბოლო, პირობითი ნიშანი, ე. ი. ჩვენი გონების პროდუქტი იყოს"[1].

„ფ ი ზ ი კ უ რ ი" ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს მ ი ზ ე ზ ე ბ ი დ ა მ ი ს ი დ ა ძ ლ ე ვ ი ს გ ზ ა. „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" ვ. ი. ლენინმა გამოიკვლია „ფიზიკური" იდეალიზმის გამომწვევი მიზეზები.

„ფიზიკური" იდეალიზმის პირველ მიზეზად ვ. ი. ლენინი ფიზიკის მეცნიერების მათემატიზაციას ასახელებს. რაც უფრო წინ მიდის ფიზიკა, მით უფრო მეტად იყენებს იგი მათემატიკურ მეცნიერებას, მით უფრო მეტად ემყარება მათემატიკურ გამოხატვას, განტოლებებს, ფორმულებს და ა. შ. ამან ფიზიკოსებს და ფიზიკის აღმოჩენათა მახისტ კომენტატორებს შეუქმნა რწმენა, რომ ადამიანის გონება კარნახობს სინამდვილეს თავის კანონებს, რომ ფიზიკის თეორიამ დაკარგა თავისი ობიექტური ღირებულება.

„ასეთია „ფიზიკური" იდეალიზმის პირველი მიზეზი. რეაქციულ ზრახვებს თვით მეცნიერების პროგრესი იწვევს. ბუნებისმეტყველების დიდი წარმატება, მიახლოვება მატერიის ისეთ ერთგვაროვან და მარტივ ელემენტებთან, რომელთა მოძრაობის კანონები შესაძლებლად ხდის მათემატიკურ დამუშავებას, იწვევს მატერიის დავიწყებას მათემატიკოსების მიერ. „მატერია ჰქრება", რჩებიან მხოლოდ განტოლებანი. განვითარების ახალ საფეხურზე და, ვითომდა, ახლებურად, ძველ კანტიანურ იდეას ვღებულობთ: გონება კანონებს უკარნახებს ბუნებას"[2].

2. „ფიზიკური" იდეალიზმის მეორე მიზეზი რ ე ლ ა ტ ი ვ ი ზ მ შ ი, ადამიანური ცოდნის შეფარდებითი ბუნების აბსოლუტიზაციაში მდგომარეობს, რასაც დიალექტიკის უცოდინარობა იწვევს. რაკი ფიზიკის ძველი პრინციპები შეფარდებითი აღმოჩნდა, რაც ადრე უცვლელ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, აქედან გამოტანილ იქნა ყალბი დასკვნა, რომ ობიექტური ჭეშმარიტება დამოკიდებული ყოფილა ადამიანზე, კაცობრიობაზე. მახისტებმა ვერ გაიგეს ის, რომ შეფარდებითში აბსოლუტურის მომენტებია, რომ შემეცნების პროგრესის კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო იზრდება აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცელები, რომ ადამიანური ცოდნა შეფარდებითობის მიუხედავად ადამიანისა და კაცობრიობისაგან დამოუკიდებელ, ობიექტურ სინამდვილეს და მის კანონზომიერებებს ასახავს.

„აღმოჩნდა, რომ ფიზიკის ყველა ძველი ჭეშმარიტება, თვით ისეთი, რომელიც უცილობლად და ურყევად ითვლებოდა, შეფარებითი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 357.

[2] იქვე, გვ. 391.

ჭეშმარიტება ყოფილა. — მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, შეუძლებელია რაიმე ობიექტური ჭეშმარიტება, რომელიც დამოუკიდებელი იყოს კაცობრიობისაგანო. ასე მსჯელობს არა მარტო მთელი მახიზმი, არამედ მთელი „ფიზიკური" იდეალიზმიც საზოგადოდ. შედარებითი ჭეშმარიტებათა ჯამიდან რომ მათს განვითარებაში აბსოლუტური ჭეშმარიტება სდგება, — შედარებითი ჭეშმარიტებანი რომ კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი ობიექტის შედარებით სწორ გამონაკრთობთ წარმოადგენენ, — ეს გამონაკრთობნი რომ უფრო და უფრო სწორნი ხდებიან, — თითოეულ მეცნიერულ ჭეშმარიტებაში რომ მისი შედარებითობის მიუხედავად აბსოლუტური ჭეშმარიტების ელემენტი მოიპოვება, — ყველა ეს დებულება თავისთავად იგულისხმება"[1].

მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის ნიადაგზე დგომა იხსნის ფიზიკას კრიზისისაგან. თუ ფიზიკოსებმა დღემდე ვერ შეძლეს დიალექტიკურ მატერიალიზმამდე ასულიყვნენ, ეს, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — გამოწვეულია იმით, რომ ბუნებისმეტყველები სწორი ფილოსოფიისაკენ მიდიან არა პირდაპირი ხაზით, არამედ ზიგზაგებით, არა შეგნებულად, არამედ სტიქიურად. დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებზე დგომა ბუნებისმეტყველებას ათავისუფლებს მერყეობისა და გაურკვევლობისაგან.

„თანამედროვე ფიზიკა მშობიარობას განიცდის. იგი შობს დიალექტიკურ მატერიალიზმს. მშობიარობა მტკივნეულია. ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი არსების გარდა, ეს მშობიარობა აუცილებლად ზოგიერთ ისეთ მკვდარ ნაყოფსაც, ნაყარ-ნუყარსაც იძლევა, რომელიც სანაგვეში უნდა გადავაგდოთ. ამ ნაყარ-ნუყარს ეკუთვნის მთელი ფიზიკური იდეალიზმი. მთელი ემპირიოკრიტიკული ფილოსოფია ემპირიოსიმბოლიზმსა, ემპირიომონიზმსა და სხვ. ამგვარებთან ერთად"[2].

ფიზიკისა და დიალექტიკური მატერიალიზმის კავშირის ცხოველმყოფელობა მთელი ძალით დადასტურდა ამ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებით. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს დროისა და სივრცის ფარდობითობას და მის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას, მოძრაობის ბუნების, მიზეზობრიობის პრინციპის, უწყვეტობისა და წყვეტილობის, ელემენტარული ნაწილაკების ბუნების და სხვა საკითხების კვლევის თანამედროვე შედეგებს.

თანამედროვე ფიზიკა, ფიზიკის ახალი მიღწევები კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების სისწორეს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 393,

[2] იქვე, გვ. 398.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად განვრიტა ფიზიკის მეცნიერების განვითარების გზები, დასახა ფიზიკის პრინციპული საკითხების დიალექტიკურად გადაწყვეტის აუცილებლობა.

თანამედროვე ფიზიკის მეცნიერებამ ყოველმხრივ დაასაბუთა ვ. ი. ლენინის დებულება მატერიის უსასრულობის, კერძოდ, ელექტრონისა და ელემენტარული ნაწილაკების ამოუწურაობის შესახებ, რაც საბუთდება, მაგალითად, თანამედროვე ფიზიკის აღმოჩენით—ელექტრონის, ყოველი ელემენტალური ნაწილაკის, ელექტრომაგნიტური ველის ორმაგი — კორპუსკულური და ტალღური ბუნების დადგენით. მატერიის ამოუწურაობის ლენინური იდეის დადასტურებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიის ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთგარდაქმნადობის თვისებას, რომლის აღმოჩენა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

ურთიერთგადასვლებისა და ურთიერთგარდაქმნების დიალექტიკური პრინციპის დასასაბუთებლად შეიძლება დავიმოწმოთ ელექტრონისა და პოზიტრონის წყვილის გაქრობის და მათ ნაცვლად ფოტონების წარმოშობის, და პირიქით, ატომების მიერ სინათლის გამოსხივების კანონზომიერებები და სხვ.

ფიზიკის მონაპოვრებზე დაყრდნობით საბუთდება მატერიის წყვეტილობისა და უწყვეტობის დიალექტიკური პრინციპის მართებულობა. ცნობილია, რომ კლასიკური ფიზიკა იცნობდა მატერიის ორ, ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებულ სახეს — ნივთიერებას და ელექტრომაგნიტურ ველს. კლასიკური ფიზიკის თანახმად, ნივთიერება წარმოადგენდა განუყოფელი ატომების ერთობლიობას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მხოლოდ წყვეტილობა, მატერიის მეორე სახე კი, კლასიკური ფიზიკის თანახმად, ხასიათდებოდა მხოლოდ უწყვეტობით.

შემდგომში გამოირკვა, რომ ელექტრომაგნიტურ ველს გააჩნია არა მარტო უწყვეტობის, არამედ დისკრეტულობის თვისებაც და, ამგვარად, მთელი ნიუტონის კორპუსკულური თეორია და ჰიუგენს-ფრენელის ტალღური თეორია სინთეზის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. ეს სინთეზი, არსებითად შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეცნიერული აზროვნების დიალექტიკური განვითარების ნიადაგზე. როგორც შემდგომ გამოირკვა, ორმაგი ბუნება ახასიათებს. ნივთიერებასაც; თუ ადრე კლასიკური ფიზიკა ნივთიერებას განიხილავდა როგორც წყვეტილი ბუნების მქონეს, შემდგომში დევისონისა და ჯერმერის ცდების საფუძველზე დამტკიცდა, რომ ნივთიერებას აქვს უწყვეტობის თვისებაც.

ფიზიკის უახლესი აღმოჩენები შეუთავსებელია მეტაფიზიკურ წარმოდგენებთან სამყაროს უცვლელ ელემენტებზე და სარწმუნო საბუნე-

ბისმეტყველო მასალით განამტკიცებს განვითარების მარქსისტულ-ლენინურ კონცეფციას, ურთიერთგარდაქმნადობის დიალექტიკურ პრინციპს.

ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ ბოლო, მეექვსე თავს ჩვენ შევეხებით მესამე განყოფილებაში — ისტორიული მატერიალიზმის საკითხების განხილვისას. ახლა კი მოკლედ შევჩერდებით ამ გენიალური ნაწარმოების დასკვნაზე. ვ. ი. ლენინი „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის“ დასკვნაში აღნიშნავს, რომ ემპირიოკრიტიციზმის შეფასება ოთხი ძირითადი თვალსაზრისით უნდა მოხდეს: ა) ემპირიოკრიტიციზმი უნდა შევადაროთ დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიულ საფუძვლებს, რაც გვიჩვენებს, რომ იგი, ტერმინოლოგიური საფარველის მიუხედავად, იდეალიზმი და აგნოსტიციზმია, რომ მახიზმისა და მარქსიზმის შეერთება უაზრობაა; ბ) ემპირიოკრიტიციზმის ევოლუცია მოხდა კანტიანელობიდან ბერკლისა და იუმისაკენ და თავისი ადგილით ემპირიოკრიტიციზმი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთ-ერთ ყველაზე რეაქციულ იდეალისტურ სკოლას, იმანენტებს; გ) ემპირიოკრიტიციზმი შეუერთდა „ფიზიკურ“ იდეალისტებს — ფიზიკოსთა იმ უმცირესობას, რომლებმაც უკანასკნელი წლების დიდ აღმოჩენათა გამო ფილოსოფიურად სწორად ვერ გაიაზრეს ძველი თეორიების მსხვრევა და რელატივიზმის გზით იდეალიზმისაკენ დაქანდნენ; დ) ზუსტად უნდა შეფასდეს ემპირიოკრიტიციზმის ობიექტური, კლასობრივი როლი. მატერიალიზმის წინააღმდეგ გამოსელით იგი რეაქციული კლასების ინტერესებს გამოხატავს და იდეოლოგიურად მავნე ზეგავლენას ახდენს მასებზე. საზოგადოებაში, რომელიც მტრული კლასების ტენდენციებს გამოხატავს ფილოსოფია ყოველთვის პარტიული იყო და იქნება.

დიდია ვ. ი. ლენინის კლასიკური ნაშრომის — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ პრაქტიკულ-თეორიული მნიშვნელობა:

ვ. ი. ლენინმა დაიცვა მარქსიზმის თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები რუსი მახისტების და მათი მოკავშირეების თავდასხმისაგან, გვიჩვენა მარქსისტული ფილოსოფიის სისწორე, მისი პრინციპების ურყეობა.

ვ. ი. ლენინმა იდეურად გაანადგურა რუსული ფილოსოფიური რევიზიონიზმი, ამხილა მისი ისტორიულ-თეორიული წანამძღვრები, გაარკვია მისი თავისებურებანი, განსაზღვრა მისი რეაქციული ხასიათი.

ვ. ი. ლენინმა არა მარტო დაიცვა, არამედ ახალ თეორიულ დონეზე აიყვანა მარქს-ენგელსის დიადი ფილოსოფიური მემკვიდრეობა, შემდგომ განავითარა იგი.

ვ. ი. ლენინმა დიალექტიკურ-მატერიალისტურ საფუძველზე განა-

ზოგადა ბუნებისმეტყველების უახლესი აღმოჩენები, დასახა გზები მისი შემდგომი განვითარებისათვის.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა იმპერიალიზმის პერიოდის ბურჟუაზიული ფილოსოფიის არსი, მისი შეცვლის ძირითადი გზები, რითაც უბადლო თეორიული და მეთოდოლოგიური იარაღით აღჭურვა მარქსისტები რეაქციული იმპერიალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლაში. რაც უფრო მწვავდება იდეოლოგიური ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, მით უფრო იზრდება ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაწარმოებში განვითარებული თეორიული დებულებების ძალა, მით უფრო მეტად ემსახურება ვ. ი. ლენინის ეს უკვდავი ქმნილება პროლეტარული მსოფლმხედველობის პოზიციის განმტკიცების საქმეს.

ასეთია მოკლედ ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" ისტორიული და თანამედროვე მნიშვნელობა.

ნაწარმოებში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი," კერძოდ მის მეექვსე თავში ვ. ი. ლენინმა განიხილა აგრეთვე მარქსისტული სოციოლოგიის კარდინალური საკითხები, გააღრმავა და განავითარა ისტორიის მატერიალისტური გაგება. ამის შესახებ მსჯელობა გვექნება მესამე განყოფილებაში — „ისტორიული მატერიალიზმი".

ვ. ი. ლენინი. „დიალექტიკის საკითხისათვის"

ვ. ი. ლენინმა „დიალექტიკის საკითხისათვის" დაწერა 1915 წელს, ბერნში. ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს.

ამ ნაწარმოებში მოკლედ და ღრმაშინაარსეულადაა გარკვეული დიალექტიკის ძირითადი საკითხები. ამათგან ჩვენ შემდეგს გამოვყოფთ: დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი; განვითარების ორი კონცეფცია; ზოგადისა და ცალკეულის დიალექტიკა; შემეცნების დიალექტიკური ბუნება. იდეალიზმის გნოსეოლოგიური და კლასობრივი ფესვები.

დიალექტიკის არსების გადმოცემას ვ. ი. ლენინი დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონით იწყებს. ეს იმიტომ, რომ განვითარების წყაროს, მოძრაობა-ცვალებადობის შინაგან მამოძრავებელ ძალას ერთიანის გაორება და დაპირისპირებულთა ბრძოლა წარმოადგენს. „ერთიანის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნება... არის დიალექტიკის დედაარსი"[1].

მეცნიერული შემეცნების განვითარება გვიჩვენებს, რომ ყოვე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 371.

ლი საგანი, პროცესი, მოვლენა ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეებსა და ტენდენციებს შეიცავს და სწორედ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების შეჯახების შედეგად ხდება წინსელა. პროგრესული განვითარება. სინამდვილის ჰეშმარიტი შემეცნება შეუძლებელია განვითარების პროცესის შინაგანი შინაარსის — დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონზომიერების გათვალისწინების გარეშე.

ვ. ი. ლენინს მოჰყავს მაგალითები ცალკეულ მეცნიერებათა დარგებიდან, რითაც შესაბამის სფეროებში საპირისპირო ძალებისა და ტენდენციების არსებობა დასტურდება: მათემატიკაში — დადებითი და უარყოფითი, დიფერენციალი და ინტეგრალი, მექანიკაში — ქმედება და უკუქმედება, ქიმიაში — ატომების შეერთება და დაშლა. საზოგადოებრივი მეცნიერების სფეროდან ვ. ი. ლენინი ასახელებს კლასთა ბრძოლას, როგორც ერთიანი საზოგადოების შიგნით საპირისპირო ძალების გამოვლინებას. რაკი განვითარება მიმდინარეობს დაპირისპირებულ ძალთა შეჯახების წესით, კლასობრივი ბრძოლა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს.

დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა გვეელინება როგორც უზოგადესი კანონზომიერება. იგი არის „წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხველი, დაპირისპირებული ტენდენციების აღიარება (აღმოჩენა) ბუნების ყ ვ ე ლ ა მოვლენასა და პროცესში (მ ა თ რ ი ც ხ ვ ე შ ი აგრეთვე სულისა და საზოგადოებისაშიც“) [1].

ამასთან ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული მხარეების ერთიანობა დროებითია, წარმავალია; დაპირისპირებულობათა ერთიანობა უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს მოითხოვენ, ერთი არ არსებობს მეორის გარეშე. ეს არის ერთიანში დამთხვევის, იგივეობის, ტოლქმედების მომენტი. ამიტომ გარკვეული აზრით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ დაპირისპირებულთა იგივეობის შესახებ. მაგრამ თუ დაპირისპირებულთა ერთიანობა დროებითია, რელატიურია, ეს არ გამორიცხავს ერთიანის შიგნით მუდმივ ბრძოლას საწინააღმდეგო მხარეებს შორის. ურთიერთგამომრიცხველი მხარეები ყოველთვის ებრძვიან ერთმანეთს. ამიტომ დაპირისპირებულთა ბრძოლა აბსოლუტურია.

გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ო რ ი კ ო ნ ც ე ფ ც ი ა. განვითარებას აღიარებს როგორც დიალექტიკა, ისე მისი ანტიპოდი — მეტაფიზიკა. მთავარი აქ ისაა, თუ როგორ ესმის თითოეულ მათგანს განვითარება. ამის შესაბამისად ყალიბდება განვითარების ორი კონცეფცია, — განვითარების მეტაფიზიკური და დიალექტიკური კონცეფციები.

მეტაფიზიკური კონცეფცია განვითარებას განიხილავს როგორც

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 371—372.

წმინდა რაოდენობრივ ცვალებადობას, რომელსაც არ მოყვება თვისებრივი სიახლე, ძველი მდგომარეობიდან თვისებრივად ახალ მდგომარეობაზე გადასვლა. რასაკვირველია, მეტაფიზიკოსებიც ცნობენ მოძრობას, მაგრამ ამ მოძრაობას, მათი შეხედულებით შედეგად მოსდევს წინასწარ განვლილი ეტაპების პირწმინდად აღდგენა; ესაა მოძრაობა წრეში, მეტი არაფერი. „განვითარება როგორც შემცირება და გადიდება, როგორც განმეორება“ [1], — ასეთია მეტაფიზიკური თვალსაზრისი განვითარების შესახებ.

ის, ვინც მეტაფიზიკურ თვალსაზრისს იზიარებს, ღიად ტოვებს განვითარების წყაროს საკითხს, ანდა განვითარების წყაროდ გარეგან ძალას აცხადებს. რაკი განვითარების შინაგან, სპონტანურ წყაროს უარყოფს, მეტაფიზიკა მოძრაობა-ცვალებადობის მიზეზს საგანთა მიღმა ეძებს. ასეთ ძალად ცხადდება ღმერთი, სუბიექტი და ა. შ.

მაშასადამე, მეტაფიზიკა ვერ ხსნის საკუთრივ მოძრაობა-განვითარების შინაგან იმპულსს, ე. ი. ვერ ხსნის „თვითმოძრაობას“. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოძრაობის პირველი კონცეფციის დროს ჩრდილში რჩება თ ვ ი თ მოძრაობა, მისი მ ა მ ო ძ რ ა ვ ებ ე ლ ი ძალა, მისი წყარო, მისი მოტივი (ან ეს წყარო გადაიტანება გ ა რ ე თ — ღმერთი, სუბიექტი...)[2].

განვითარების მეორე, დიალექტიკური კონცეფცია განვითარებას განიხილავს როგორც „ძველის მოსპობისა და ახლის წარმოშობის“ პროცესს, რომელიც გულისხმობს „თანდათანობის შეწყვეტას“, „ნახტომებს“, რაოდენობრივი ცვლილებების გადასვლას ძირეულ თვისებრივ ცვლილებებში.

ამასთან, რაც მთავარია, დიალექტიკური კონცეფცია გვიხსნის განვითარების შინაგან საფუძველს, მის იმანენტურ მამოძრავებელ ძალას. „მეორე კონცეფციის დროს მთავარი ყურადღება მიპყრობილია სწორედ „თ ვ ი თ“-მოძრაობის წ ყ ა რ ო ს შემეცნებაზე... მხოლოდ მეორე იძლევა ყოველივე არსებულის „თვითმოძრაობის“ გასაღებს“[3].

როგორც ვხედავთ, განვითარების ორი კონცეფციის დახასიათებით ვ. ი. ლენინი აქ ერთმანეთისაგან განასხვავებს და ძირითად პუნქტებში ერთმანეთს უპირისპირებს კვლევა-ძიების ორ მეთოდს — დიალექტიკურსა და მეტაფიზიკურს.

ც ა ლ კ ე უ ლ ი ს ა და ზ ო გ ა დ ი ს დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა. დიალექტიკა საშუალებას გვაძლევს შევიცნოთ შესასწავლი ობიექტის წინააღმდეგობრივი მხარეები, ყოველ ცალკეულში აღმოვაჩინოთ ის, რაც არსებითი, ძირითადი და მასობრივია. დიალექტიკური მეთოდის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 372.
[2] იქვე.
[3] იქვე.

საფუძველზე კაპიტალისტური საზოგადოების შემეცნების კლასიკური ნიმუში მოგვცა კ. მარქსმა, რომელიც თავის „კაპიტალში“, „თავდაპირველად ანალიზს უკეთებს ბურჟუაზიული (სასაქონლო) საზოგადოების ყველაზე მარტივ, ჩვეულებრივ, ძირითად, ყველაზე მასობრივად თვალსაჩინო, ყველაზე ყოველდღიურ ურთიერთობას, მილიარდჯერ რომ გვხვდება: საქონელთა გაცვლას. ამ უმარტივეს მოვლენაში (ბურჟუაზიული საზოგადოების ამ „უჯრედში“) ანალიზი ამეღავნებს თანამედროვე საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას“ [1].

მაგრამ ის, რაც ითქმის კაპიტალისტური საზოგადოების შესწავლის მიმართ, რომელიც მარქსისათვის დიალექტიკის გამოყენების კერძო შემთხვევაა, აგრეთვე მთელი სინამდვილის შემეცნებასაც ეხება.

ესა თუ ის საგანი, მოვლენა ან პროცესი ცალკეულის სახით არსებობს. იგი შეიცავს საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ, ინდივიდუალურ თვისებებსა და ნიშნებს, რაც მას სხვა საგნებისაგან განასხვავებს. ამგვარი ნიშნები და თვისებები ყოველ საგანს გარკვეულ თავისთავადობას უქმნის, მაგრამ საგნის თავისთავადობა სრულიადაც არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. საგანი არ არის დაცლილი ისეთი თვისებებისა და ნიშნებისაგან, რომელიც მას საერთო და მსგავსი აქვს სხვა საგნებთან. ცალკეული საგნის ბევრი თვისება სხვა საგნებსაც გააჩნია. სხვანაირად შეუძლებელიცაა. კონკრეტული საგნები კანონზომიერად მოძრავ მატერიას გამოავლენენ, ხოლო ეს ერთიანი საფუძველი განაპირობებს მათ შორის ბევრი საერთო და მსგავსი ნიშნის არსებობას. ამ ნიადაგზე ყალიბდება ცალკეულ საგანთა და მოვლენათა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ერთსა და იმავე კანონზომიერებებს ემორჩილებიან, ყოველ ცალკეულ საგანში ზოგადიც გამოსჩვივის. ზოგადი სწორედ იმას გამოხატავს, რაც იგივეობრივი და მსგავსია განსხვავებულთა შორის.

ვ. ი. ლენინი ახასიათებდა ცალკეულისა და ზოგადის ამ დიალექტიკურ ურთიერთდამოკიდებულებას და აღნიშნავდა, რომ „ცალკეული არ არსებობს სხვანაირად, თუ არა იმ კავშირში, რომელსაც ზოგადისაკენ მივყევართ“ [2], და მეორე მხრივ, „ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით“ [3].

ვ. ი. ლენინს მოჰყავს მსჯელობები — ხის ფოთლები მწვანეა, ივანე ადამიანია, ცუგა ძაღლია და აღნიშნავს, რომ უკვე ამ მარტივი წინადადებებიდან ჩანს, რომ ცალკეულში არის ზოგადი, რომ ყოველ ცალკეულს მიეწერება ის, რაც საერთოა სხვებისთვისაც. გამოდის,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 373.
[2] იქვე.
[3] იქვე.

რომ „ყოველი ცალკეული არის (ასე თუ ისე) ზოგადი. ყოველი ზოგადი არის ცალკეული (ნაწილაკი ან მხარე, ანდა არსება). ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს“ [1].

სინამდვილის შემეცნების პროცესში ეწვდებით მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობრივ ნიშნებს, რაც უკვე მარტივი მსჯელობებიდანაც კი ჩანს. ყოველ წინადადებაში, როგორც ითქვა, ერთიანობაშია ცალკეული და ზოგადი — საწინააღმდეგო მხარეები. ამაეე წესით შემეცნების პროცესში გვეძლევა სხვა წინააღმდეგობრივი მხარეებიც, შემთხვევითობა და აუცილებლობა, მოვლენა და არსება და ა. შ. როდესაც ვამბობთ, მაგალითად, რომ ივანე ადამიანია, ამით ჩვენ უკუვაგდებთ ამ კონკრეტული პიროვნების სხვა ნიშნებს, განყენებას ვახდენთ მათგან, როგორც შემთხვევითისაგან და გამოვყოფთ იმას, რაც აუცილებელი და არსებითია მასში. „ადამიანის მთელ შემეცნებას საერთოდ დიალექტიკა ახასიათებს. ბუნებისმეტყველება კი გვიჩვენებს... ობიექტურ ბუნებას მის იმავე თვისებებში, გარდაქმნას ცალკეულისას ზოგადად, შემთხვევითისას აუცილებლად, დაპირისპირებულობათა გადასვლებს, გადადინებას, ურთიერთკავშირს“ [2].

მეტაფიზიკურ მატერიალიზმს არ შეეძლო დიალექტიკის მიყენება შემეცნების თეორიისადმი, რაც მის ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს.

ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი უ რ ი და კ ლ ა ს ობ რ ი ვ ი ფ ე ს ვ ე ბ ი. დიალექტიკური მიდგომა მოვლენებისადმი სინამდვილის ჭეშმარიტი შემეცნების უცილობელი პირობაა. დიალექტიკა შესაძლებლობას გვაძლევს, ამასთანავე, ამოვიცნოთ ის ძირები, საიდანაც მომდინარეობს სინამდვილის ყალბი, ანტიმეცნიერული შემეცნება. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ფილოსოფიურ იდეალიზმსა და რელიგიას, აღმოჩნდება, რომ ერთსაც და მეორესაც შემეცნებითი ფესვები კვებავს.

იდეალიზმიც სინამდვილიდან ამოდის, ისევე, როგორც მატერიალიზმი, მაგრამ მისგან განსხვავებით იძლევა სინამდვილის დამახინჯებულ სურათს, ვინაიდან სწყდება რეალურ ობიექტს, ცალმხრივად და გაზვიადებულად წარმოადგენს მას, ხოლო ასეთი შეცდომის დაშვების შესაძლებლობა თვით ადამიანის შემეცნების ბუნებაშია. „ადამიანის შემეცნება არ არის პირდაპირი ხაზი (resp. არ მიდის პირდაპირი ხაზით), არამედ მრუდე ხაზია, რომელიც უსასრულოდ უახლოვდება წრეთა მწკრივს, სპირალს. ამ მრუდე ხაზის ყოველი ნაწყვე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 373.

[2] იქვე. გვ. 374.

ტი, ნატეხი, ნაპერი შეიძლება გადავაქციოთ (ცალმხრივად გადავაქციოთ) დამოუკიდებელ, მთელ, პირდაპირ ხაზად“ [1].

აღნიშნულის ნათელსაყოფად შევეხოთ იდეალიზმის მთავარ პრინციპს: როგორც ვიცით, იდეალიზმი სამყაროს საფუძველად, შემოქმედად ცნობიერებას, იდეალურს, ხოლო დანარჩენ სინამდვილეს მისგან წარმოებულად აცხადებს. ისმის კითხვა:

შეიძლება თუ არა საერთოდ უარეყოთ ცნობიერების აქტიური, ქმედითი ბუნება. ცხადია, არა. ცნობიერებას ნამდვილად ახასიათებს აქტიურობა, გარდამქმნელი ხასიათი. „ფილოსოფიურ რეფლექსიებში“ ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ ცნობიერება არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ ქმნის კიდეც მას. მაგრამ გამოდის რა ცნობიერების აქტიურობის ფაქტიდან, იდეალიზმი მიდის ყალბ დასკვნამდე: იგი ცნობიერებას წყვეტს მატერიალურ სუბსტრატისაგან და მას დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებს. უფრო მეტიც, იდეალიზმს ცნობიერება სინამდვილის დემიურგადაც მიაჩნია. სწორედ ამიტომ აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, რომ „ფილოსოფიური იდეალიზმი არის ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი. გაზვიადებული... განვითარება (გაბერვა, გაფუება) შემეცნების ერთ-ერთი ნიშნისა, მხარისა, მიჯნისა აბსოლუტად, რომელიც მ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ა მატერიას, ბუნებას, გალმერთებულია“[2].

მაშასადამე, გამოდის, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, იდეალიზმი არაა მ ხ ო ლ ო დ სისულელე. მას სწორედ ასეთად თვლიდა მეტაფიზიკური მატერიალიზმი. იგი ისეთ მხარესაც შეიცავს, რასაც გარკვეული საფუძველი აქვს, მაგრამ შემეცნების პროცესში, თვით შემეცნების რთული და მრავალმხრივი ბუნების გამო, წყდება სინამდვილეს, კავშირს კარგავს მასთან. რელიგიას, ფილოსოფიური იდეალიზმის მსგავსად, აქვს „გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი უ რ ი ფესვები, იგი არაა უნიადაგო, იგი გუდაფშუტაა, უდავოდ, მაგრამ გუდაფშუტა, რომელიც ცოცხალი, ნაყოფიერი, ჭეშმარიტი, მძლავრი, ყოვლისშემძლე, ობიექტური, აბსოლუტური, ადამიანური შემეცნების ცოცხალ ხეზე იზრდება“ [3].

ყალბი იდეალისტური და რელიგიური იდეოლოგიის არსებობას კლასობრივ საზოგადოებაში განამტკიცებს კლასობრივი ფესვებიც. გაბატონებული ექსპლუატატორული კლასების კლასობრივი ინტერესები მოითხოვს იმას, რომ ყოველმხრივად გაავრცელოს იდეალისტური და რელიგიური მსოფლმხედველობა, როგორც მშრომელი მასების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 375.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 375—376.

დამონების მძლავრი საშუალება, ჩამოაშოროს ისინი ამქვეყნური ცხოვრების გარდაქმნის ამოცანებს, აღუთქვას მას ბედნიერება „იმქვეყნიურ სამყაროში“.

ვ. ი. ლენინი. „ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკისა და ბუხარინის შეცდომებზე“

ვ. ი. ლენინის ბროშურა ამ სახელწოდებით გამოიცა 1921 წელს. ამ ნაწარმოებში გარკვეულია პროფკავშირების ადგილი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, მისი მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში, გაკრიტიკებულია ტროცკის, ბუხარინის და სხვათა შეხედულებები პროფკავშირებზე.

ჩვენი პროგრამით ვ. ი. ლენინის ამ ნაწარმოების შესწავლა მოგვეთხოვება იმის გამო, რომ აქ განხილულია ფილოსოფიური საკითხებიც. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ამ საკითხებს შევეხებით და ისიც მეტად მოკლედ.

აქ ლენინი, უწინარეს ყოვლისა, ეხება დიალექტიკისა და ეკლექტიციზმის დაპირისპირებულობას მოვლენათა საყოველთაო კავშირების გაგებაში.

დიალექტიკური მეთოდის გამოყენება ტაქტიკურ და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ძირითადი რგოლი მოვლენათა ჯაჭვში. მარქსისტული დიალექტიკა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მოვლენათა საყოველთაო ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობას აღიარებს. დიალექტიკის თანახმად, ყოველი საგანი, მოვლენა და პროცესი ამოუწურავ მხარეებს შეიცავს და უამრავ მიმართებებში სხვა საგნებთან, მოვლენებთან და პროცესებთან, მაგრამ ამ მხარეებსა და მიმართებებს შორის სრულიადაც არ არის განურჩევლობა და ტოლმნიშვნელობა. არის ისეთი მხარე ან მიმართება, რომელიც ძირითადია ამა თუ იმ საგნისა თუ პროცესისათვის და ობიექტურად გადამწყვეტ როლს ასრულებს მისი არსებობისა და განვითარებისათვის; არის ისეთიც, რაც გარკვეულ პირობებში არაარსებითი და მეორეხარისხოვანია. აქედან გამომდინარე მარქსისტული დიალექტიკა გვავალებს, ყოველმხრივად შევისწავლოთ მოვლენები, პროცესები; მაგრამ ამ ყოველმხრივი მიმართებებიდან და კავშირებიდან გამოვყოთ არსებითი მხარე, ძირითადი რგოლი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სხვებთან შედარებით და რაზედაც ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია ყველა სხვა რგოლი, ყველა სხვა კავშირი.

სოციალური მოვლენების მიმართ ამ დებულების თეორიული დასაბუთებისა და პრაქტიკული გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშს გვაძლევს ვ. ი. ლენინი შრომაში „ერთხელ კიდევ პროფკავშირების, მიმ-

დინარე მომენტის და ტროცკის და ბუხარინის შეცდომების შესახებ".

ცნობილია, რომ 1921 წელს პარტიაში გაჩაღდა დისკუსია პროფკავშირების შესახებ. დისკუსიაზე სხვა ანტიპროლეტარული ელემენტების გვერდით ბუხარინი ავითარებდა აზრს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მარქსისტული დიალექტიკის მოთხოვნებს, ვ. ი. ლენინის სიტყვით, წარმოადგენდა „მარქსიზმის დიალექტიკის შეცვლას ეკლექტიციზმით".

ბუხარინი პროფკავშირს განიხილავდა, ერთი მხრივ, როგორც კომუნიზმის სკოლას, მეორე მხრივ, და უპირატესად, როგორც წარმოების გამძღოლ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ აპარატს. ბუხარინის აზრით, ორივე ეს დებულება ცალ-ცალკე მართალია, ამიტომ ისინი უნდა შეეაერთოთ და გავხადოთ სახელმძღვანელო ძაფად პროფკავშირის მნიშვნელობის გარკვევის საქმეში.

ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა ბუხარინის თვალსაზრისი, როგორც ეკლექტიკური. ეყრდნობოდა რა მარქსისტული დიალექტიკის მოთხოვნებს, ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ობიექტური რეალობის შესწავლას, როგორ უნდა შევისწავლოთ იგი, რას უნდა მივაქციოთ ყველაზე მეტი ყურადღება მოვლენებში.

რასაკვირველია, ვ. ი. ლენინი სრულიადაც არ უარყოფდა მოვლენის ყოველმხრივად განხილვის აუცილებლობას. პირიქით, ამის განმარტებისათვის მას მოჰყავდა სულ უბრალო მაგალითი — მაგალითი ჭიქის შესახებ, რომელიც თვით ბუხარინმა გამოიყენა თავის მსჯელობაში პროფკავშირების შესახებ. ბუხარინის აზრით, როგორც შეცდომა არ არის თუ ვიტყვით, რომ ჭიქა შუშის ცილინდრიცაა და სასმისი ჭურჭელიც, ისევე არ შეიძლება უარვყოთ, რომ პროფკავშირები „სკოლაცაა" და „აპარატიც".

ვ. ი. ლენინი უპასუხებდა რა ბუხარინს, ამასთან, მოითხოვდა მოვლენებისადმი დიალექტიკური მიდგომის პრინციპის დაცვას.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ჭიქა, ეჭვს გარეშეა, შუშის ცილინდრიც არის და სასმისი ჭურჭელიც. მაგრამ ჭიქას აქვს არა მარტო ეს ორი თვისება ანუ ნიშანი ანუ მხარე, არამედ აქვს უამრავი სხვა თვისება, ნიშანი, მხარე, ურთიერთდამოკიდებულება და „გამეშვეება" მთელ დანარჩენ მსოფლიოსთან. ჭიქა არის მძიმე საგანი, რომელიც შეიძლება საჭყორცნ იარაღადაც გამოდგეს. ჭიქა შეიძლება იხმაროთ, როგორც პრესპაპიე, როგორც დაბერილი პეპელას დასამწყვდევი, ჭიქას შეიძლება ღირებულება ჰქონდეს, როგორც მხატვრულ საგანს, ჩუქურთმით ან ნახატით შემკულს, სრულიად დამოუკიდებლად იმისა, ვარგა თუ არა იგი სასმისად, შუშისგანაა გაკეთებული თუ არა, ცილინდრუ-

ლი ფორმა აქვს თუ არა სავსებით ცილინდრული, და ასე შემდეგ და მისთანანი"[1].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, უკვე ისეთ საგანს, როგორიცაა ჭიქა, აღმოაჩნდა უამრავი კავშირი გარესამყაროსთან. ასევე, ყოველ მოვლენას ახასიათებს სამყაროსთან ურთიერთკავშირის მრავალი ნიშანი. მაგრამ როდესაც საკითხი დგება იმის შესახებ, თუ რომელია ამ კავშირებიდან უმთავრესი და რომელია მეორესარისსოვანი, ამის გარკვევა მოითხოვს სიზუსტეს, რაც მატერიალური სინამდვილის ღრმა შესწავლას ეყრდნობა. იმის შემდეგ, რაც ჩვენ მოვნახავთ არსებით, ძირითად რგოლს მოვლენათა ჯაჭვში, უმთავრესად სწორედ მასზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. სხვა შემთხვევაში, როცა ამავე მოვლენების ურთიერთკავშირი შეიცვლება, ძირითადის როლი შეიძლება შეასრულოს სულ სხვა რგოლმა მოვლენათა ჯაჭვიდან.

„თუ მე ჭიქა მჭირდება ამჟამად, როგორც სასმისი ჭურჭელი, ჩემთვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმის ცოდნას, სავსებით ცილინდრულია მისი ფორმა, ნამდვილად შუშისაგან არის იგი გაკეთებული თუ არა, სამაგიეროდ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძირი გაბზარული არა ჰქონდეს, რომ ამ ჭიქის ხმარების დროს არ შეიძლებოდეს-ტუჩების გაკაწვრა და სხვ., ხოლო თუ ჭიქა მჭირდება არა სასმისად, არამედ ისეთ სახმარებელ საგნად, რისთვისაც გამოსადეგია შუშის ყოველი ცილინდრი, მაშინ გამოდგება ძირგაბზარული ან სრულიად უძირო ჭიქაც და სხვ."[2].

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ პროფკავშირები მართლაც სკოლას წარმოადგენენ, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, — აპარატს, მესამე მხრივ, — მშრომელთა ორგანიზაციას, მეოთხე მხრივ, — თითქმის მარტო სამრეწველო მუშების ორგანიზაციას, მეხუთე მხრივ, — ორგანიზაციას წარმოების მიხედვით და ასე შემდეგ. მაგრამ რომელია აქედან უმთავრესი, რომელია ის ძირითადი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირის სხვა მხარეებთან შედარებით იმ პერიოდში, როდესაც მშრომელი ხალხი შეუდგა სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების ჩაყრას? ისტორიული განვითარების არსებულ ეტაპზე, იმ მრავალი მხარეებიდან, რომელიც პროფკავშირს გააჩნია, უმთავრესი მხარე მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ პროფკავშირი არის კომუნიზმის სკოლა, რომ ვ. ი. ლენინის მიხედვით, პროფკავშირი არის „სკოლა გაერთიანებისა, სკოლა სოლიდარობისა, სკოლა საკუთარი ინტერესების დაცვისა, სკოლა მეურნეობის გაძღოლისა, სკოლა მმართველობისა"[3].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 101.

[2] იქვე, გვ. 102.

[3] იქვე, გვ. 106.

ძირითადისა და არსებითის გამოყოფა მოვლენათა ჯაჭვიდან მეტად რთული პრობლემაა, რაც ამოუწურავი და მრავალმხრივი მატერიალური რეალობით არის განპირობებული. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „მოვლენათა ისტორიულ ჯაჭვში რგოლთა რიგი, მათი ფორმა, ადგილი გადაბმულობა, მათი განსხვავება ერთიმეორისაგან ისე მარტივი და სულელური როდია, როგორც ჩვეულებრივ, მკვლელის მიერ გაკეთებულ ჯაჭვში“ [1].

მოვლენათა უსასრულოდ მრავალ მიმართებაში გარკვევა და მათგან ძირითადის გამოყოფა მოითხოვს დიდ მეცნიერულ აღქურვილობას — ობიექტური სამყაროს კანონზომიერებათა ღრმა ცოდნას, მეცნიერული წინასწარხედვის უნარს, მოვლენებისა და პროცესებისადმი კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას. პარტია ვალდებულია გითვალისწინოს სინამდვილის ეს მხარე და თავისი ტაქტიკის მეცნიერული ხაზის გასატარებლად ტაქტიკური მოქმედების ყოველი ეტაპისათვის შეარჩიოს ყველაზე განსაკუთრებული, ყველაზე უმთავრესი ამოცანა, იბრძოლოს ამ ძირითადი ამოცანის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ძირითადი რგოლის საკითხს ბოლშევიკურ ტაქტიკაში. იგი წერდა: „არ კმარა რევოლუციონერი და სოციალიზმის მომხრე ან საერთოდ კომუნისტი იყო. საჭიროა გქონდეს უნარი — ყოველ განსაკუთრებულ მომენტში მონახო ჯაჭვის ის განსაკუთრებული რგოლი, რომელსაც მთელი ძალღონით უნდა ჩაეჭიდო, რათა შეინარჩუნო მთელი ჯაჭვი და მტკიცედ მოამზადო შემდგომ რგოლზე გადასვლა“ [2].

ეკლექტიციზმის თავისებურება ის არის, რომ იგი არ არჩევს განსხვავებას ძირითადსა და არაძირითადს შორის, არ მოითხოვს თანაფარდობათა ყოველმხრივ გათვალისწინებას. მისი ფორმულაა „ესეც და ისიც“, „ერთი მხრივ, მეორე მხრივ“, ისე რომ, არსებითი არ არის გამოყოფილი იმისაგან, რაც არაარსებითია, ეკლექტიციზმის პოზიცია უკავია იმას, ვინც „დგას ფორმალური ანუ სქოლასტიკური ლოგიკის თვალსაზრისზე და არა დიალექტიკური ანუ მარქსისტული ლოგიკის თვალსაზრისზე“ [3].

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი ეხება ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის განსხვავებულობის პრობლემას.

ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა. ამ ნაწარმოებში ვ. ი. ლენინი აყალიბებს მეტად მნიშვნელოვან დებულებას ფორმალური და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 325.
[2] იქვე.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 101.

დიალექტიკური ლოგიკის შესახებ. ამ დებულებებს სახელმძღვანელოდ ვიყენებთ ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის და მათ შორის მიმართების ბუნების გარკვევისათვის.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგში" ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის ურთიერთობას დაბალი და უმაღლესი მათემატიკის ურთიერთობას ადარებდა.

ამავე პოზიციიდან არკვევს ვ. ი. ლენინი ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის ურთიერთმიმართებას. ერთიც და მეორეც აუცილებელია სინამდვილის შემეცნებისათვის, მაგრამ დიალექტიკური ლოგიკა გაცილებით მეტ მოთხოვნებს უყენებს შემეცნებას, ვიდრე ფორმალური ლოგიკა.

„ფორმალური ლოგიკა, რითაც კმაყოფილდებიან სკოლებში (და უნდა კმაყოფილდებოდნენ კიდეც — ზოგიერთი შესწორებით — სკოლის დაბალი კლასებისათვის), იღებს ფორმალურ განსაზღვრებებს, ხელმძღვანელობს რა იმით, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია, ანდა რაც ყველაზე ხშირად გვეცემა თვალში, და ამას სჯერდება. თუ ამასთანავე აიღებენ ორს ან მეტს სხვადასხვა განსაზღვრას და აერთებენ მათ სრულიად შემთხვევით (შუშის ცილინდრიც და სასმისი პურჭელიცო), ჩვენ მივიღებთ ეკლექტიკურ განსაზღვრას, რომელიც სხვადასხვა მხარეს აღნიშნავს და სხვას არაფერს" [1].

თუ მოვლენების შემეცნების პროცესში ფორმალურ-ლოგიკური მიდგომით დავკმაყოფილდებით, მაშინ ჩვენ ანგარიშს არ ვუწევთ შესაცნობი ობიექტის თვითმოძრაობას, ცვალებადობა-განვითარებას, გარესამყაროსთან მისი კავშირის მრავალგვარობას, ამ მრავალგვარი კავშირებიდან და მიმართებიდან მოცემულ პირობებში ყველაზე არსებითსა და მნიშვნელოვანს. სწორედ ეს იქცევა ბაზად ეკლექტიციზმისათვის, რომელიც მექანიკურად აერთებს შესაცნობი ობიექტის სხვადასხვა მხარეებს, არ ახდენს კონკრეტული სიტუაციის კონკრეტულ ანალიზს. ერთ სიბრტყეზე ათავსებს მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს, არსებითსა და არაარსებითს.

ძირეულად სხვაგვარ მოთხოვნებს უყენებს სინამდვილის შემეცნებას დიალექტიკური ლოგიკა.

„დიალექტიკური ლოგიკა ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს. რათა ნამდვილად გაიცნოთ საგანი, საჭიროა მოიცვათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და „გამეშვეება"... დიალექტიკური ლოგიკა მოითხოვს, რომ საგანი განვიხილოთ მის განვითარებაში, „თვითმოძრაობაში" (როგორც ხანდახან ჰეგელი ამბობს), ცვალებადობაში" [2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 102,

[2] ი ქ ე ვ.

მაშასადამე, საგნის შეცნობა მის ცვალებადობა-განვითარებაში, გარემომცველ სამყაროსთან კავშირთა მრავალფეროვნებაში დიალექტიკური ლოგიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

ამასთან საგნის ყოველმხრივი შემეცნებისათვის აუცილებელია ამოვიდეთ პრაქტიკიდან. „ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შეიიდეს საგნის სრულ „განსაზღვრაში", როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმიც და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელიც საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება" [1].

სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შემეცნება ადამიანის პრაქტიკული მოქმედების პროცესში ხდება და მაშასადამე, ადამიანი მხოლოდ იმას იმეცნებს, რისი შემეცნებაც პრაქტიკულად აუცილებელია მისთვის. შემეცნების შედეგებსაც ადამიანი პრაქტიკის საზომით, პრაქტიკული გამოყენების საზომით უდგება.

დაბოლოს, „დიალექტიკური ლოგიკა გვასწავლის, რომ „აბსტრაქტული ჭეშმარიტება" არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია" [2]. „დიალექტიკა მოითხოვს თანაფარდობათა ყოველმხრივ გათვალისწინებას მათ კონკრეტულ განვითარებაში" [3].

ობიექტური სინამდვილე კონკრეტული საგნების და მოვლენების სახით არსებობს. მის შესახებ ცოდნა მხოლოდ მაშინ იქნება ჭეშმარიტი, თუ კონკრეტულის აზრობრივ რეპროდუქციას მოახდენს, კონკრეტულისა, რომელიც თავის თავში მრავალ განსაზღვრებებს აერთიანებს. მაშასადამე, ჭეშმარიტება არსებობს, როგორც კონკრეტული ჭეშმარიტება.

აბსტრაქტული ჭეშმარიტების აღიარება უშუალოდ გამომდინარეობს ობიექტური სინამდვილის მეტაფიზიკური გაგებიდან. თუკი საგანი განხილულია სხვა საგნებისაგან მოწყვეტით, თუკი უარყოფილია საგნის კავშირი გარკვეულ პირობებთან, დროსა და ადგილთან, მაშინ ცოდნა არც არის განსაზღვრული საგნის ბუნებით და მას აბსტრაქტული ხასიათი აქვს. მეტაფიზიკოსებისათვის ჭეშმარიტება გულგრილია სინამდვილის ცვალებადობის მიმართ და მარადიულად ინარჩუნებს თავის უცვლელ ბუნებას.

მაგრამ ცოდნას, სინამდვილის აზრობრივ ასახვას არ შეიძლება მიეწეროს აბსოლუტური ბუნება უპირობოდ, გარკვეული დროის, ადგილის და ვითარების გათვალისწინების გარეშე, როგორც ამას მეტაფიზიკოსები მოითხოვენ. ბუნებისა და განსაკუთრებით კი საზოგადოების რთული და ცვალებადი საგნები და მოვლენები მათ აზ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 102—103.
[2] იქვე, გვ. 103.
[3] იქვე, გვ. 98.

რობრივ ასახვას არ აძლევენ აბსოლუტურად იგივეობრივ მდგომარეობაში ღარჩენის საშუალებას. ის, რაც ჭეშმარიტებას გამოხატავდა სინამდვილის განვითარების ერთ ეტაპზე, ჭეშმარიტების ძალას კარგავს სინამდვილის განვითარების შემდგომი ეტაპის მიმართ. ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები არ არსებობენ ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, უცვლელი, ყოველი დროსა და ეპოქისათვის გამოსადეგი სახით, სამყაროს დასრულებული. მომავალში შეუსწორებელი სურათის სახით.

მაშასადამე, ადამიანის აზრებს, მეცნიერული შემეცნების შედეგებს არ უნდა ჩამოვხსნათ ისტორიული განსაზღვრულობის ჩარჩოები და არ უნდა მივანიჭოთ ყოველი დროისათვის და პირობებისათვის გამოსადეგი. აბსოლუტური მნიშვნელობა.

ლენინური მოძღვრება ჭეშმარიტების კონკრეტულობის შესახებ სახელმძღვანელო მეთოდოლოგიური დასაყრდენია ყოველგვარი მეცნიერებისათვის. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, პარტიის პოლიტიკისა და ტაქტიკის სწორად წარმართვისათვის. კომუნისტური პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობა ყოველთვის ემყარებოდა კონკრეტული სიტუაციის კონკრეტული ანალიზის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპს.

დიალექტიკური ლოგიკის პრინციპი ჭეშმარიტების კონკრეტულობის შესახებ მოითხოვნას უყენებს მეცნიერულ შემეცნებას უფრო ახლოს იდგეს ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, გულდასმით გაითვალისწინოს ცხოვრებაში და პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებები, სწორად განაზოგადოს ისინი.

ვ. ი. ლენინი. „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ"

ვ. ი. ლენინის ნაშრომი „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ" დაიწერა და დაიბეჭდა 1922 წელს, ჟურნალში „პოდ ზნამენემ მარქსიზმა". ამ ნაწარმოებს ვ. ი. ლენინის ფილოსოფიურ ანდერძს უწოდებენ. მასში ვ. ი. ლენინი არკვევს თეორიულ-ფილოსოფიურ ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმას" მუშაობის შინაარსსა და პროგრამას, სახავს ჟურნალის მუშაობის აქტუალურ ამოცანებს. ამ ჟურნალის გამოსვლა დაიწყო 1922 წლის იანვრიდან (იგი გამოდიოდა 1944 წლის იანვარამდე).

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებში „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ" მთელი სიცხადითაა გარკვეული, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ფილოსოფიურ-თეორიული ჟურნალი სოციალისტურ საზოგადოებაში და როგორი უნდა იყოს მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი და საშუალებანი.

მებრძოლი მატერიალიზმის პოზიციების დაკავება და განმტკი-

ცება. მას შემდეგ, რაც მუშათა კლასი პოლიტიკურად ამხობს ბურჟუაზიას და ძირეულ ეკონომიკურ გარდაქმნებს ახორციელებს, იდეოლოგიური ბრძოლა შინაგანი კონტრრევოლუციური ძალებისა და საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ კი არ ნელდება, არამედ ძლიერდება. იგი ახალი საზოგადოებისაკენ წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამიტომ არაა საკმარისი მატერიალიზმის პოზიციაზე უბრალოდ დადგომა, აუცილებელია, რომ მატერიალიზმი მებრძოლი, შემტევი იყოს, ულმობლად ამხილოს ბურჟუაზიული ფილოსოფიური ცრურწმენები.

ამის შესაბამისად ვ. ი. ლენინი განსაზღვრავს ფილოსოფიური ჟურნალის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომ ეს ჟურნალი „მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო“ უნდა იყოს.

ამ მიზნის შესასრულებლად საჭიროა საერთო მუშაობაში ჩავაბათ არა მარტო კომუნისტები, არამედ ის არაკომუნისტებიც, რომლებიც თანმიმდევარ მატერიალიზმს უჭერენ მხარს.

„ჩვენი უცილობელი მოვალეობაა ეგრეთწოდებული „განათლებული საზოგადოების“ ფილოსოფიური რეაქციისა და ფილოსოფიური ცრურწმენის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთო მუშაობაში ჩავაბათ თანმიმდევრული და მებრძოლი მატერიალიზმის ყველა მომხრე“[1].

ბრძოლაში მატერიალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიული იდეოლოგები რელიგიას, ხუცობის ახალ საშუალებებს იყენებენ. ამიტომ ფილოსოფიური ჟურნალის ერთ-ერთ დანიშნულებას ისიც წარმოადგენს, რომ იყოს მებრძოლი ათეიზმის ორგანო.

ანტირელიგიური პროპაგანდა — იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა. მშრომელთა განთავისუფლება რელიგიური ბანგისაგან ჟურნალის წინაშე აყენებს ფართო ანტირელიგიური პროპაგანდის გაშლის მოთხოვნას. საჭიროა, რომ „ჟურნალი, რომელიც ამოცანად ისახავს — მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო გახდეს, დაუღალავად ათეისტურ პროპაგანდას და ბრძოლას ეწეოდეს“[2].

ამ მიზნით ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლის აგრეთვე XVIII საუკუნის ათეისტების ნაწარმოებთა თარგმნას სათანადო შენიშვნების თანდართვით. უნდა გაძლიერდეს რელიგიის კრიტიკა თანამედროვე მეცნიერულ დონეზე. „მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად მრავალფეროვანი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დაეინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 263,

[2] იქვე, გვ. 265.

ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებებით“ [1].

ჟურნალმა უნდა აწარმოოს ათეისტური ლიტერატურის სისტემატური შიმოხილვა და დახასიათება.

ბუნებისმეტყველებისა და დიალექტიკური მატერიალიზმის ორგანული კავშირის უზრუნველყოფა. ჟურნალმა უნდა განამტკიცოს მჭიდრო კავშირი ბუნებისმეტყველებასა და დიალექტიკურ მატერიალიზმს შორის, რაც აუცილებელია როგორც ბუნებისმეტყველების, ისე მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებისათვის. „საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერავითარი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუძლებს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ... ბუნებისმეტყველი უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი“ [2].

ჰეგელის დიალექტიკის შესწავლა მატერიალისტური თვალსაზრისით. ჟურნალმა სისტემატურად უნდა შეისწავლოს და მატერიალისტურ საფუძველზე განმარტოს მარქსის დიალექტიკის წინამორბედი — ჰეგელის დიალექტიკა. სწორედ ასე გაგებულ დიალექტიკას იყენებდა კ. მარქსი თავის „კაპიტალში“ ეკონომიკური მოძღვრების დასაბუთებისათვის, აგრეთვე ისტორიულ და პოლიტიკურ ნაშრომებში. მარქსის დიალექტიკა აუცილებელია არა მარტო ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად, არამედ თანამედროვე ბუნებისმეტყველების რთულ პრობლემატიკაში გასარკვევად. „თანამედროვე ბუნებისმეტყველნი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკაში ჰპოვებენ... მთელ რიგ პასუხს იმ ფილოსოფიურ საკითხებზე, რომელთაც აყენებს რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში და რომლებზედაც „ფეხი უსხლტებათ“ რეაქციისაკენ ბურჟუაზიული მოდის ინტელიგენტ თაყვანისმცემლებს“ [3].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ თანამედროვეობა სულ უფრო და უფრო აყენებს უახლეს საბუნებისმეტყველო აღმოჩენათა ფილოსოფიური განზოგადების ამოცანას. ხოლო ბუნებისმეტყველების ღრმა რევოლუციური ცვლილებების პერიოდში სწორი ფილოსოფიური განზოგადებებისა და დასკვნების მოპოვება შეუძლებელია ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტურად შესწავლის, მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენების გარეშე. საილუსტრაციოდ ვ. ი. ლენინი ასახელებს კ. ტიმირიაზევის სტატიას აინშტაინის რელატიეობის თეორიის შესახებ,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ 33, გვ. 266.
[2] იქვე, გვ. 270.
[3] იქვე, გვ. 271.

რეკ იმას ადასტურებს, რომ საკმაოდ შესაძლებელია მიღწეულ იქნას ბუნებისმეტყველების უახლეს მონაპოვართა განზოგადება მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციიდან. ამ მეთოდის გამოყენების გარეშე ბუნებისმეტყველნი „უმწეონი იქნებიან თავიანთ ფილოსოფიურ დასკვნებსა და განზოგადებაში“ [1].

სოციოლოგიური საკითხების დამუშავების ამოცანა. ვ. ი. ლენინი ყურადღებას ამახვილებს ჟურნალის საქმიანობის ამ მხარეზე. იგი აკრიტიკებს პ. სოროკინის „სოციოლოგიურ“ გამოკვლევებს ოჯახის და ქორწინება-განქორწინების საკითხებზე, ჟურნალს ავალებს სისტემატურად ბრძოლას საბჭოთა საზოგადოებრივ სინამდვილეზე ცრუმეცნიერული და რეაქციული შეხედულებების წინააღმდეგ, რასაც საზოგადოებას თავაზობენ „სოციოლოგიური გამოკვლევების“ სახით.

ასეთია ის პრაქტიკული და სახელმწიფოებრივი მოთხოვნები, რომელთაც უყენებს ვ. ი. ლენინი ფილოსოფიურ ჟურნალს მისი მუშაობის სწორად წარმართვისათვის.

ვ. ი. ლენინის მიერ ფილოსოფიური ჟურნალის წინაშე დასახული ამოცანები საფუძვლად დაედო წარსულის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისების, ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკის, თვით მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრობლემატიკის შემოქმედებითი დამუშავებისა და განვითარების ფართო პროგრამას, რომელსაც წარმატებით ახორციელებდნენ და ახორციელებენ საბჭოთა ფილოსოფოსები.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33. გვ. 272.

მესამე განყოფილება

ისტორიული მატერიალიზმი

ქვემოთ წარმოდგენილი მეთოდური მითითებები განკუთვნილია მარქსიზმის კლასიკოსების ძირითად სოციოლოგიურ ნაწარმოებთა შესასწავლად.

ამ ნაშრომებში დახასიათებულია მათ მიერ აღმოჩენილი საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი კანონები: საზოგადოებრივი ყოფიერებით საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრულობის, საწარმოო ძალთა ხასიათისა და დონისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონები, კანონები, რომლებიც მოქმედებენ სოციალურ, კლასობრივ, პოლიტიკურ, ეროვნულ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სფეროებში. გარკვეული ადგილი ეთმობა აგრეთვე ისტორიული მატერიალიზმის ცნებებსა და კატეგორიებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მთლიანი სისტემის გააზრება და რომელთაც უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დაფუძნებისა და განვითარებისათვის.

კ. მარქსი — პ. ვ. ანენკოვს. 1846 წ. 28 დეკემბერი

კ. მარქსის წერილი პ. ვ. ანენკოვისადმი [1] საყურადღებოა იმით, რომ ანარქიზმის ერთ-ერთი მამამთავრის — პრუდონის კრიტიკასთან ერთად აქ გადმოცემულია ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი. ეს პრინციპები კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა უფრო ადრე შეი-

[1] პ. ვ. ანენკოვი (1812—1887) — რუსი ლიტერატორი და კრიტიკოსი, მემუარისტი, სოციალური მრწამსით — ლიბერალი მემამულე. ხშირად მოგზაურობდა ევროპაში; პირადად იცნობდა კ. მარქსს და მიმოწერა ჰქონდა მასთან. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ფრანგი უტოპისტი სოციალისტებით, რომლებსაც აცნობდა რუს მკითხველებს. ერთ-ერთ წერილში ანენკოვი სთხოვდა კ. მარქსს ეცნობებინა მისი აზრი პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფიის“ შესახებ. კ. მარქსმა ამის საპასუხო წერილი მისწერა ანენკოვს 1846 წლის 28 დეკემბერს.

მუშავეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მათი ერთობლივი შრომა — „გერმანული იდეოლოგია“ (1845 წ.). პ. ვ. ანენკოვისადმი მიწერილ წერილში კ. მარქსი შემდგომ ავითარებს და აკონკრეტებს ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთ ძირეულ დებულებას.

1. პრუდონის კრიტიკა. თავის წერილში ანენკოვისადმი მარქსი პრუდონის „ფილოსოფიის სიღატაკეს“ ასე აფასებს: „გულახდილად ვაღიარებ, — წერს იგი, — რომ ეს წიგნი საერთოდ ცუდ, ძალიან ცუდ წიგნად მიმაჩნია“ [1].

პრუდონის ერთ-ერთ ძირითად შეცდომად მარქსი თვლის იმას, რომ პრუდონს არ ესმის კაცობრიობის ისტორიული განვითარების, და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების არსი.

კ. მარქსი აკრიტიკებს პრუდონს, როგორც იდეალისტს, ჰეგელიანელს. პრუდონი არ უარყოფს იმას, რომ ისტორია გვევლინება საზოგადოებრივ ევოლუციათა მწკრივის სახით, რომ ისტორიაში პროგრესი ხორციელდება; მისი აზრით, ცალკეულ ადამიანებს მცდარად აქვთ წარმოდგენილი თავიანთი საკუთარი მოძრაობა; მათი საზოგადოებრივი განვითარება, ერთი შეხედვით, ინდივიდუალური განვითარებისაგან განსხვავებულ, განცალკევებულ და დამოუკიდებელ მოვლენად მოსჩანს. მაგრამ პრუდონს არ შეეძლო სწორად ეხსნა ეს ფაქტები; იგი საზოგადოებრივი ევოლუციის, კაცობრიობის პროგრესის საფუძვლად „საყოველთაო გონებას“, უპიროვნო გონებას, ღმერთს აცხადებდა.

პრუდონის მიხედვით, „ადამიანი მხოლოდ იარაღია, რომელსაც იდეა ანუ მარადიული გონება იმისათვის იყენებს, რომ თვით განვითარდეს. ევოლუციები, რომლებზეც ბ-ნი პრუდონი ლაპარაკობს, გაგებულია ისეთ ევოლუციებად, რომელნიც აბსოლუტური იდეის მისტიკურ წიაღში მიმდინარეობენ“ [2].

კ. მარქსი ასაბუთებს, რომ პრუდონი საზოგადოების ახსნას ჰეგელის ფილოსოფიის პოზიციიდან ცდილობს.

პრუდონი ვერ წვდება ეკონომიკური კატეგორიების არსს. კ. მარქსი აკრიტიკებს მას ამის გამო. პრუდონისათვის „კატეგორიები მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ, საჭირო აღარაა პრაქტიკული ცხოვრების შეცვლა იმისათვის, რომ კატეგორიები შეიცვალოს. სრულიად პირიქით: უნდა შევცვალოთ კატეგორიები და ამის შედეგი არსებული საზოგადოების შეცვლა იქნებაო“ [3]. „პრუდონისათვის კი, პირიქით, აბსტრაქციები, კატეგორიები პირველადს მიზეზს წარმოადგენენ. მისი

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 540.
[2] იქვე, გვ. 544.
[3] იქვე, გვ. 552.

აზრით, ისტორიას ქმნიან სწორედ ისინი, და არა ადამიანები"[1]. ამასთან, პრუდონის მიხედვით, კატეგორიები მარადიული, ზეისტორიულია. ამის გამო კ. მარქსი აკრიტიკებს პრუდონს, როგორც მეტაფიზიკოსს. პრუდონს არ ესმის განსაზღვრული ეპოქის წარმოების ფორმების ისტორიული და წარმავალი ხასიათი. იგი ეკონომიკურ კატეგორიებში ხედავს „მარადიულ კანონებს და არა ისტორიულ კანონებს, რომელნიც კანონებს წარმოადგენენ მწარმოებლურ ძალთა განვითარების მხოლოდ რომელიმე გარკვეული სტადიისათვის"[2].

პრუდონს არასწორად ესმის დაპირისპირებულთა ერთიანობა, ერთმანეთისაგან წყვეტს და იზოლირებულად განიხილავს ერთიანობაში მყოფ საპირისპირო მხარეებს.

კ. მარქსი აკრიტიკებს პრუდონს, როგორც დოქტრინერს. მისი აზრით, „ისტორიას ქმნიან სწავლულები, ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი მოსტაცონ ღმერთს მისი ფარული აზრი. მდაბიო ხალხის საქმე კი მხოლოდ ისაა, რომ მათი ზეშთაგონებანი პრაქტიკულად გამოიყენონ"[3]. „თანამედროვე პრობლემების გადაჭრა მისთვის საზოგადოებრივ მოქმედებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მისი საკუთარი თავის დიალექტიკურ წრეებრუნვაში"[4].

კ. მარქსი აკრიტიკებს პრუდონს ისეთი კატეგორიების მცდარად გაგების გამო, როგორიცაა შრომის დანაწილება, კონკურენცია, კრედიტი, მონობა და სხვ. აკრიტიკებს აგრეთვე მას მანქანის ეკონომიკურ კატეგორიად გამოცხადების გამო.

პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფიის" ვრცელ და ყოველმხრივ კრიტიკას მარქსი უთმობს სპეციალურ ნაშრომს, რომელსაც მან „ფილოსოფიის სიღატაკე" (1847 წ.) უწოდა. აღნიშნული ნაწარმოების ფილოსოფიურ ნაწილს ჩვენ უკვე გავეცანით.

ამ წერილში კ. მარქსი ააშკარავებს პრუდონის შეხედულებების კლასობრივ მიზანდასახულობას. როგორც ფილოსოფოსი და ეკონომისტი, პრუდონი გამოხატავდა წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს, რამდენადაც „წვრილი ბურჟუა განვითარებულ საზოგადოებაში, აუცილებლად თავისი მდგომარეობის მეოხებით, ერთი მხრივ, სოციალისტი ხდება; მეორე მხრივ კი, — ეკონომისტი, ე. ი. იგი დაბრმავებულია მსხვილი ბურჟუაზიის დიდსაჩინოებით და ხალხის ტანჯვასაც თანაუგრძნობს"[5].

2. ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულებები. ა) სა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ტ. II, გვ. 550.
[2] იქვე, გვ. 547.
[3] იქვე, გვ. 551.
[4] იქვე, გვ. 551—552.
[5] იქვე, გვ. 553.

ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ც ნ ე ბ ა. ამ წერილში მარქსი აყალიბებს საზოგადოების ცნებას. იგი წერს: „რა არის საზოგადოება, როგორიც უნდა იყოს მისი ფორმა? პროდუქტი ადამიანთა ურთიერთმოქმედებისა". საზოგადოება სპეციფიკურია მხოლოდ ადამიანებისათვის, იგი იქმნება ადამიანების, როგორც მწარმოებლების ურთიერთობის შედეგი.

აქედან ნათელია, რომ საზოგადოების ცვალებადობისა და განვითარების საფუძველი უნდა ვეძებოთ თვით საზოგადოებაში, მწარმოებელ ადამიანთა კავშირურთიერთობის შიგნით და არა მის მიღმა.

ბ) ა დ ა მ ი ა ნ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრულია **საწარმოო, ეკონომიკური** საფუძვლებით.

საზოგადოება, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმი საწარმოო-ეკონომიკურ საფუძველს ემყარება. ამიტომ თაობათა კავშირი თვით არის შედეგი, რომელიც საზოგადოებრივი წარმოების აუცილებლობითაა გამოწვეული. საზოგადოება ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება მატერიალური წარმოების, ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებების შეუქმნელად. აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს იმის გარდუვალობა, რომ ადამიანთა ყოველმა მომდევნო თაობამ განაგრძოს წინა თაობის საწარმოო-შრომითი საქმიანობა. ამის გამო საწარმოო კავშირი გვევლინება როგორც თაობათა კავშირის ობიექტური საფუძველი. თვით კაცობრიობის ისტორია, რომელიც თაობათა საზოგადოებრივი კავშირის შედეგად ხორციელდება, პირველად და ძირითად გამოხატულებას სწორედ წარმოების სფეროში ჰპოვებს.

გ) წ ა რ მ ო ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა, დამოუკიდებელია ადამიანთა ნებისყოფისაგან, ცნობიერებისაგან. კ. მარქსი აქ პირველად გამოთქვამს იმ შეხედულებას, რომ წარმოების დროს ადამიანები შედიან მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ წარმოებით ურთიერთობებში. ადამიანები თავისუფალი არ არიან არც საწარმოო ძალების, არც წარმოებით ურთიერთობათა ფორმების არჩევაში.

საზოგადოებრივი განვითარების ყოველ საფეხურზე საზოგადოებისათვის დამახასიათებელია საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონე. ადამიანთა ყოველი თაობა ყოველთვის იმ საწარმოო ძალებით მოიპოვებს საარსებო საშუალებებს, რომლებიც მის განკარგულებაშია. მაგრამ მის განკარგულებაშია მხოლოდ ის საწარმოო ძალები, რომელიც მიღებული აქვს წინა თაობისაგან. ყოველ მოცემულ მომენტში ადამიანებს მზად ხვდებათ წინა თაობის მიერ მოპოვებული საწარმოო ძალები, რომელთაც ისინი უფარდებენ თავიანთ მოქმედებას და გაუმჯობესებული სახით მომდევნო თაობას გადასცემენ. მაშასადამე, ადა-

მიანები ყოველთვის განსაზღვრული არიან იმ საწარმოო ძალებით, რომლებიც წინა თაობის საქმიანობის შედეგია.

„ყოველი მწარმოებლური ძალა მოპოვებული ძალაა, წინანდელი საქმიანობის ნაყოფი. ამრიგად, მწარმოებლური ძალები ადამიანთა პრაქტიკული ენერგიის შედეგია, მაგრამ თვით ეს ენერგია განსაზღვრულია იმ პირობებით, რომლებშიც ადამიანები ჩაყენებულნი არიან უკვე მოპოვებული მწარმოებლური ძალების მიერ, ამ ადამიანებამდე არსებული იმ საზოგადოებრივი ფორმის მიერ, რომელიც მათ არ შეუქმნიათ და რომელიც წინა თაობის ნამოქმედარს წარმოადგენს. იმ უბრალო ფაქტის წყალობით, რომ ყოველი შემდგომი თაობა მზად პოულობს წინა თაობის მიერ მოპოვებულ მწარმოებლურ ძალებს. და იყენებს მას ნედლ მასალად ახალი წარმოებისათვის, იქმნება კავშირი ადამიანთა ისტორიაში, იქმნება კაცობრიობის ისტორია“ [1].

ყოველი თაობისათვის ობიექტურად განსაზღვრულია არა მარტო საწარმოო ძალთა განვითარების დონე, არამედ აგრეთვე წარმოებითი ურთიერთობის მოცემული ფორმები.

ადამიანთა ესა თუ ის თაობა თავისუფალი არ არის არც საზოგადოებრივი ყოფიერების მეორე მნიშვნელოვანი მხარის — წარმოებით ურთიერთობათა ფორმების არჩევაში. ის კონკრეტული წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებშიც ადამიანებს უხდებათ არსებობა, შეპირობებულია სწორედ მოცემული საწარმოო ძალების, შრომის საშუალებების განვითარების დონით. შრომის საშუალებანი, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, ერთი მხრივ, საზომია ადამიანის ძალის განვითარებისა, მეორე მხრივ კი მაჩვენებელია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელშიც შრომა წარმოებს. ყოველ გარკვეულ საფეხურს საწარმოო ძალთა განვითარებაში შეესაბამება მათთვის სპეციფიკური წარმოებითი ურთიერთობანი, საკუთრების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების განსაზღვრული ფორმები. მაგალითად, ფეოდალური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობანი ვერ დაემყარებოდა მონათმფლობელური საზოგადოების საწარმოო ძალებს, კაპიტალისტური ეკონომიკური ფორმაციის წარმოებითი ურთიერთობანი — ფეოდალური საზოგადოების საწარმოო ძალებს. „აიღეთ ადამიანთა საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრული საფეხური და თქვენ მიიღებთ გაცვლისა და მოხმარების შესაბამის ფორმას. აიღეთ წარმოების, გაცვლის, მოხმარების განვითარების განსაზღვრული საფეხური და თქვენ მიიღებთ საზოგადოებრივი წყობილების შესაბამის ფორმას, ოჯახის, წოდებათა ან კლასთან შესაბამის ორგანიზაციას, ერთი სიტყვით, შესაბამის სამოქალაქო საზოგადოებას. აიღეთ ასეთი სამოქალაქო საზოგადოება და თქვენ

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II. ვვ. 542.

მიიღებთ შესაბამის პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ოფიციალური გამოხატულებაა“ [1].

ამრიგად, ყოველ ახალ თაობას თავისი მოღვაწეობის გაშლა უსდება ობიექტურად არსებული მზა წარმოებითი ურთიერთობების პირობებში. ეს ურთიერთობანი განსაზღვრულია არა ადამიანთა ნება-სურვილით და გადაწყვეტილებებით, არამედ საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალებით, საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეული დონით. წარმოებითი ურთიერთობანი ისევე დამოუკიდებელია საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან, როგორც თვით საწარმოო ძალები.

როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, „ადამიანები თვით ქმნიან საკუთარ ისტორიას, მაგრამ ქმნიან არა თვითნებურად, არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულ და გადმოცემულ პირობებში“ [2].

დ) როცა წარმოებით ურთიერთობათა ფორმა აღარ შეესაბამება მოპოვებულ საწარმოო ძალებს, ადამიანები ცვლიან მას. ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს, რომ ადამიანთა ახალ თაობებს არ შეუძლიათ შეცვალონ წარმოებით ურთიერთობათა მოძველებული, განვითარებული საწარმოო ძალებისათვის შეუფერებელი ფორმები. „ადამიანები არასოდეს არ ამბობენ უარს იმაზე, რაც მოუპოვებიათ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი არასოდეს არ იტყვიან უარს იმ საზოგადოებრივ ფორმაზეც, რომელშიც მათ მოიპოვეს გარკვეული საწარმოო ძალები. პირიქით, რათა მიღწეული შედეგები არ მოესპოთ, რათა ცივილიზაციის ნაყოფი არ დაჰკარგონ, ადამიანები იძულებულნი არიან შესცვალონ ყველა, მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი ფორმა იმ მომენტიდან, როცა მათი ურთიერთობის წესი უკვე აღარ შეეფერება მოპოვებულ საწარმოო ძალებს“ [3].

მაგრამ როდესაც ადამიანები სპობენ ძველ წარმოებით ურთიერთობებს და მათ ნაცვლად ახალ წარმოებით ურთიერთობებს ამკვიდრებენ, ეს ძირეული შემობრუნებაც არ არის განსაზღვრული მათი ნება-სურვილით. ჯერ ერთი, საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობების რევოლუციური გარდაქმნის ამოცანას ისინი მხოლოდ მაშინ ისახავენ, როცა საამისოდ უკვე არსებობს ანდა წარმოშობის პროცესშია მატერიალური პირობები. მეორეც, ადამიანები იბრძვიან მხოლოდ იმ წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრებისათვის, რომლებიც ახალ საწარმოო ძალთა განვითარების დონესა და ხასიათს შეესაბამება. მაშასადამე,

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 541—542.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 268.
[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 542—543.

ადამიანები გზას უკაფავენ წარმოებით ურთიერთობათა ახალ ფორმებს საწარმოო ძალთა მოთხოვნების შესაბამისად.

საზოგადოების პროგრესული ძალების შეგნებული ბრძოლა საზოგადოების დრომოჭმული ძალების წინააღმდეგ აჩქარებს და აგვირგვინებს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის პროცესს, რაც მისივე ობიექტური მატერიალური საფუძვლებითაა მომზადებული.

ამრიგად, ყოველი ახალი თაობა მემკვიდრეობით იღებს წინა თაობისაგან არა მარტო საწარმოო ძალებს, არამედ წარმოებით ურთიერთობათა უკვე არსებულ ფორმებს და ცვლის მათ, თუკი შექმნილია ან წარმოშობის პროცესშია ამისათვის საჭირო მატერიალური პირობები.

„ახალი მწარმოებლური ძალების მოპოვებასთან ერთად ადამიანები ცვლიან თავიანთ წარმოების წესს, ხოლო წარმოების წესთან ერთად ცვლიან ყველა იმ ეკონომიკურ ურთიერთობას, რომელიც მარტოოდენ წარმოების ამ განსაზღვრული წესის აუცილებელ ურთიერთობას წარმოადგენდა“ [1].

აქედან გამომდინარე, ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობის ფორმები არ შეიძლება იყოს უცვლელი და სამარადისო. „ეკონომიური ფორმები, რომლებშიც ადამიანებს წარმოება, მოხმარება, გაცვლა უხდებათ, **წარმავალი** და **ისტორიული** ფორმებია“ [2]. წარმოების ბურჟუაზიული ფორმა ისევე ისტორიული და წარმავალია, როგორც ფეოდალური ფორმა.

ამასთან, ეს ეკონომიკური ურთიერთობა მატერიალური ურთიერთობაა, ხოლო ადამიანთა „მატერიალური ურთიერთობა შეადგენს ყველა მათი ურთიერთობის საფუძველს“ [3].

ამ ნაშრომში მოცემულია საწარმოო ძალთა ცვალებადობის შესაბამისად წარმოებით ურთიერთობათა ცვალებადობის იდეა. თუმცა მარქსს აქ ჯერ კიდევ არა აქვს ტერმინი „წარმოებითი ურთიერთობა“. მის ნაცვლად ხმარობს ტერმინებს: „ეკონომიკური ურთიერთობა“, „საზოგადოებრივი ურთიერთობა“, „მატერიალური ურთიერთობა“. იგი აღნიშნავს: „როდესაც ადამიანები თავიანთ მწარმოებლურ ძალებს ანვითარებენ, ე. ი. როდესაც ცხოვრობენ, ისინი ქმნიან ერთმანეთს შორის გარკვეულ ურთიერთობებს და ...ამ ურთიერთობათა ხასიათი აუცილებლად იცვლება ამ მწარმოებლურ ძალთა ცვლილებასა და ზრდასთან ერთად“ [4].

ანენკოვისადმი მიწერილ წერილში გადმოცემული მოსაზრებები

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 543.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 542.
[4] იქვე, გვ. 547.

განვითარებული სახით გვხვდება მარქსის შემდგომი პერიოდის შრომებში, განსაკუთრებით მის ცნობილ ნაშრომში „წინასიტყვაობა პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

კ. მარქსი. „წინასიტყვაობა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859 წ.)

„წინასიტყვაობაში“ ძირითადად განხილულია ორი საკითხი:

1. პოლიტიკური ეკონომიის შესწავლით კ. მარქსის დაინტერესების ისტორია.

2. ისტორიის მატერიალისტური გაგების არსის ფორმულირება.

„წინასიტყვაობაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ კ. მარქსი მოგვითხრობს, რომ თავდაპირველად იგი არ იყო დაინტერესებული პოლიტიკური ეკონომიის შესწავლით. მის სპეციალურ შესასწავლ საგანს იურისპრუდენცია შეადგენდა, მაგრამ იგი მას სწავლობდა, როგორც მეორეხარისხოვან დისციპლინას ფილოსოფიასა და ისტორიასთან ერთად. შემდეგ კი, „რაინის გაზეთის“ რედაქტორად მუშაობისას (1842—1843 წლები) მოზელის გლეხების მდგომარეობის, თავისუფალი ვაჭრობის და მფარველობითი ბაჟების შესახებ გამართული კამათის გამო მას პირველი ბიძგი მიეცა ეკონომიკური საკითხების შესწავლისათვის.

ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკული გადასინჯვის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ურთიერთობანი ფესვგადგმულია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში და რომ „სამოქალაქო საზოგადოების ანატომია პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ“ [1].

პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საფუძველზე (პარიზსა და ბრიუსელში) მარქსმა მიაღწია შედეგს, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახელმძღვანელო ძაფი გახდა“ ყველა შემდგომ გამოკვლევაში. ეს შედეგია ისტორიის მატერიალისტური გაგება; სხვა გზით იგივე შედეგამდე მივიდა ფ. ენგელსიც.

კ. მარქსი აღნიშნავს, რომ მან ენგელსთან ერთად გადაწყვიტა ერთობლივად შეემუშავებინათ ეს შეხედულება, რაც განხორციელებულ იქნა ჯერ მათ შრომაში „გერმანული იდეოლოგია“ (რომელიც იმ პერიოდში არ გამოცემულა), ხოლო შემდეგ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, აგრეთვე კ. მარქსის შრომებში „სიტყვა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“, „ფილოსოფიის სიღატაკე“, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“ და სხვ.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 9.

კ. მარქსმა პოლიტიკური ეკონომიის საკითხების შესწავლა განაგრძო 1850 წლიდან ლონდონში, იქ გაეცნო და კრიტიკულად გადაამუშავა ახალი მასალები. პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მან გამოსცა წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის".

ისტორიის მატერიალისტური გაგების არსის ფორმულირება. „წინასიტყვაობაში" გენიალურად არის ფორმულირებული ისტორიული მატერიალიზმის არსი, ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი კანონები, ნაჩვენებია სიახლე, რაც შეტანილია საზოგადოების დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგებით საკაცობრიო სოციოლოგიური აზროვნების ისტორიაში. აქ გადმოცემულია ისტორიული მატერიალიზმის შემდეგი ძირითადი დებულებები:

ადამიანთა ცხოვრება იქმნება საზოგადოებრივი წარმოების საფუძველზე. საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ წარმოებით ურთიერთობას. ეს ურთიერთობა აუცილებელია, ვინაიდან ბუნების ძალების წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანებს არ შეუძლიათ ერთიმეორისაგან იზოლირებულად; არ არსებობს ადამიანთა ურთიერთობებით გაუშუალებელი ურთიერთობა თვით ბუნებასთან. ბუნებაზე პრაქტიკული წარმოებითი ზემოქმედებისათვის გარდაუვალია, რომ მათ ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან.

წარმოებით ურთიერთობებს ყოველთვის გ ა რ კ ვ ე უ ლ ი, განსაზღვრული ფორმა აქვთ. არ არსებობენ საკუთრების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ფორმები საერთოდ, კონკრეტული სახით გამოვლენის გარეშე.

წარმოებითი ურთიერთობანი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ა ადამიანთა ნებისყოფისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები თავისუფალი არ არიან წარმოებით ურთიერთობათა ფორმების არჩევაში. ეს ურთიერთობანი არსებობენ და ვითარდებიან მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად.

~~წარმოებითი ურთიერთობანი~~ ყოველთვის უნდა განვიხილოთ საწარმოო ძალებთან ორგანულ კავშირში. მოცემული წარმოებითი ურთიერთობანი ყოველთვის განსაზღვრულია საწარმოო ძალთა განვითარების შესაბამისი დონით.

საზოგადოებრივი წარმოებით იქმნება ადამიანთა მატერიალური ცხოვრება. საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ეკონომიკურ მხარეს წარმოებითი ურთიერთობანი გამოხატავენ. აქ იგულისხმება საკუთრების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ურთიერთობანი, რასაც საზოგადოება ემყარება. აქვე მარქსი გვაძლევს ბაზისის განსაზღვრებას:

„წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს“ [1].

ეკონომიკურ ბაზისზე აღმართულია პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენი, საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები, კ. მარქსის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, პოლიტიკური, იურიდიული, რელიგიური, ხელოვნებითი ან ფილოსოფიური, მოკლედ, იდეოლოგიური ფორმები. როგორიცაა ბაზისი, ისეთივეა ზედნაშენი.

საზოგადოების მატერიალური ცხოვრება, ამ ცხოვრების წარმოების წესი საფუძვლად უდევს მის სულიერ ცხოვრებას, საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს. „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას“ [2]. სწორედ ამაში მეღავნდება კ. მარქსის მიერ სოციოლოგიურ მოძღვრებაში მოხდენილი რევოლუციური გადატრიალების არსი.

საზოგადოების მატერიალური ცხოვრების შეცვლა იწყება საწარმოო ძალთა ცვალებადობიდან. განვითარების გარკვეულ საფეხურამდე საწარმოო ძალთა ცვალებადობას ხელს უწყობს წარმოებით ურთიერთობათა დამკვიდრებული ფორმები, საკუთრების ურთიერთობანი.

განვითარების პროცესში საწარმოო ძალები წინააღმდეგობაში ვარდებიან წარმოებით ურთიერთობებთან, რომლის შიგნითაც ისინი ადრე ვითარდებოდნენ. ეს იწვევს საწარმოო ძალების დამუხრუჭებას. წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის კონფლიქტში გადადის. განვითარებულმა საწარმოო ძალებმა უნდა შეიმოიმსხვრიონ ძველი წარმოებითი ურთიერთობების ბორკილები, რაც ხორციელდება სოციალური რევოლუციის გზით. კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის შეადგენს სოციალური რევოლუციის ეკონომიკურ საფუძველს. ძველიდან ახალ წარმოებით ურთიერთობებზე გადასვლას სოციალური რევოლუციის ეპოქა შეესაბამება.

სოციალური რევოლუციის საშუალებით ხდება გადატრიალება წარმოების ეკონომიკურ პირობებში, იცვლება საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი, რაც იწვევს მეტი თუ ნაკლები სისწრაფით მთელი ზედნაშენის ძირეულ შეცვლას.

ყოველი საზოგადოებრივი ფორმაცია მანამდე ინარჩუნებს თავის სიცოცხლისუნარიანობას, ვიდრე გასაქანს აძლევს საწარმოო ძალთა განვითარებას. ახალი წარმოებითი ურთიერთობანი მხოლოდ მაშინ წარმოიშობიან, როდესაც ძველ საზოგადოებაში მომწიფებულია მატერიალური პირობები მათი არსებობისათვის.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 10.

[2] იქვე.

ის ამოცანები, რომელსაც კაცობრიობა ისახავს, ყოველთვის განსაზღვრულია მათი გადაწყვეტისათვის საჭირო მზა ან წარმოშობის პროცესში მყოფი მატერიალური პირობებით.

წარმოების ერთ წესს ცვლის წარმოების მეორე, უფრო პროგრესული წესი. ამის შესაბამისად „წარმოების აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე, ბურჟუაზიულ წესებს შეიძლება ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები ეწოდოს“ [1]. წარმოების საზოგადოებრივი პროცესი მოითხოვს მითვისების საზოგადოებრივ ფორმას. ყველა სხვა ანტაგონისტურ ფორმაციებთან შედარებით ბურჟუაზიული საზოგადოება რეალურად ამზადებს მატერიალურ პირობებს იმ ანტაგონიზმის გადასაწყვეტად, რომელიც არსებობდა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის. ამიტომ „ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი წარმოების საზოგადოებრივი პროცესის უკანასკნელი ანტაგონისტური ფორმაა... ამ საზოგადოებრივი ფორმაციით მთავრდება ადამიანთა საზოგადოების წინაისტორია“ [2]. ამიერიდან წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი შესაბამისობაში მოდის მითვისების საზოგადოებრივ ფორმასთან.

ასეთია ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი იდეები, რომელთა ფორმულირება მოცემულია კ. მარქსის წინასიტყვაობაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

კ. მარქსი. „კაპიტალი“, თავი V. § 1. „შრომის პროცესი“

კ. მარქსის გენიალური ნაწარმოების — „კაპიტალის“ V თავის პირველი პარაგრაფი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ აქ გარკვეულია შრომის არსი, განსაზღვრული და დახასიათებულია შრომის შემადგენელი ელემენტები.

შ რ ო მ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა. კ. მარქსი აყალიბებს შრომის ცნების განსაზღვრებას: „შრომა არის უწინარეს ყოვლისა პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით მოსაშუალეობს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის“ [3].

ადამიანს, ცხოველებისაგან განსხვავებით, არ შეუძლია არსებობა იმ საშუალებებით, რომელსაც ბუნება მზამზარეული სახით იძლევა. ადამიანებისათვის საჭირო საარსებო საშუალებები — საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ბინები და ა. შ. თვით მისივე ძალ-ღონით უნდა შეიქმნას. ბუნება მხოლოდ მასალას იძლევა ამ საარსებო საშუალებათა შესაქმნელად. მაგრამ ბუნების მასალა ადამიანისათვის საჭირო სახეს

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 11.

[2] იქვე.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1. 1954, გვ. 227.

ვერ მიიღებს მასზე ზემოქმედებისა და გარკვეული მიმართულებით მისი გარდაქმნის გარეშე. ეს კი შრომის მეოხებით ხდება. „შრომის პროცესის პროდუქტი არის სახმარი ღირებულება, ბუნების ნივთიერება, რომელიც ფორმის ცვლილების გზით შეგუებულია ადამიანის მოთხოვნილებებთან“ [1].

ამრიგად, ბუნების ნივთიერებას საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმა რომ მისცენ, ადამიანებმა თავიანთი სამუშაო ძალა უნდა მოიხმარონ, ე. ი. ხელი მიჰყონ მატერიალური დოვლათის დამზადებას, შრომას, წარმოებას.

„შრომის პროცესი... არის მიზანშეწონილი მოქმედება სახმარ ღირებულებათა შესაქმნელად, მითვისება ბუნების მონაცემებისა ადამიანის მოთხოვნილებათათვის, საყოველთაო პირობა ნივთიერებათა ცვლისა ადამიანსა და ბუნებას შორის, მარადიული ბუნებრივი პირობა ადამიანთა ცხოვრებისა და, მაშასადამე, იგი დამოუკიდებელია ამ ცხოვრების ამა თუ იმ ფორმისაგან, პირიქით, საერთოა მისი ყველა საზოგადოებრივი ფორმისათვის“ [2].

შრომის ეს განსაზღვრება კ. მარქსს მოცემული ჰქონდა უფრო ადრეც. მაგალითად, ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ კ. მარქსი აღნიშნავდა:

„ყოველი წარმოება არის ბუნების საგნების მითვისება ინდივიდის მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით“ [3].

შ რ ო მ ი ს პ რ ო ც ე ს ე ბ ი ს მ ა რ ტ ი ვ ი მ ო მ ე ნ ტ ე ბ ი. კ. მარქსის განსაზღვრებით შრომის პროცესის მარტივი მომენტებია: შრომის საგანი, შრომის საშუალებები, მიზანშეწონილი მოქმედება ანუ თვით შრომა.

თუ არ არსებობს ს ა გ ა ნ ი, რომლის გარდაქმნაც უნდა მოხდეს, შეუძლებელია შრომა, წარმოება. მაშასადამე, შ რ ო მ ი ს ს ა გ ა ნ ი შეჭრილია წარმოების პროცესში და მის ერთ-ერთ მომენტს შეადგენს. შრომის საგანში იგულისხმება ყოველივე ის, რაზეც ადამიანი თავის შრომას მიმართავს, დედამიწა ადამიანის შრომის საყოველთაო საგანია. თუ ადამიანი გამოაცალკევებს რაიმე ნივთს გარემომცველი გარემოდან მისი გარდაქმნის მიზნით, მაშინ ეს ნივთი ბუნების მიერ მოცემული შრომის საგანია. მაგრამ შრომის საგანი შეიძლება შეიცავდეს ადამიანთა წინანდელი შრომის შედეგსაც (მაგ., მადანი); ამ შემთხვევაში შრომის საგანი ნედლი მასალაა. წარმოებისათვის აუცილებელია როგორც

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ 231.

[2] იქვე, გვ. 235—236.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 262.

ბუნების მიერ მოცემული შრომის საგანი, ისე ნედლი მასალა, რომელშიც უკვე განივთებულია ადამიანის შრომა.

შრომის საგანი თავისთავად არ გარდაიქმნება ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მისი გარდაქმნა ადამიანთა მოთხოვნილებების შესაბამისად მასზე გარკვეული მატერიალური საშუალებების ზემოქმედების გზით უნდა მოხდეს. ეს საშუალებები შრომის საშუალებებია, რამდენადაც მათი გამოყენებით ადამიანები ზემოქმედებენ შრომის საგანზე და გარდაქმნიან მას. კ. მარქსის განმარტებით: „შრომის საშუალება არის ნივთი ანუ კომპლექსი ნივთებისა, რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელნიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადამტანის როლს ასრულებენ“ [1].

თავდაპირველად, კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე შრომის საშუალება იყო ბუნების რაიმე საგანი, მაგალითად, ქვა, რომელსაც იყენებდა ადამიანი სასროლად, სახეხად, საწნევად, საჭრელად და ა. შ. ამ დროს შრომის საშუალებები ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. შემდგომში კი შრომის პროცესის განვითარების კვალობაზე ადამიანი სარგებლობს შრომის დამუშავებული საშუალებებით (მაგ., ქვის სამუშაო იარაღები, ასევე დამუშავებული ხის, ძვლების, ნიჟარების იარაღები).

მაგრამ განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს საზოგადოება, წარმოების ფუნქციონირება შეუძლებელია შრომის საშუალებების გარეშე.

კ. მარქსი შრომის საშუალებებს ორ ჯგუფად ყოფს: ა) შრომის მექანიკური საშუალებები. ესაა ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი, რომლითაც ადამიანები შრომის პროცესს ახორციელებენ. აქ უპირატესად იგულისხმება შრომის იარაღების ერთობლიობა, რასაც კ. მარქსი წარმოების ძვალ-კუნთოვან სისტემას უწოდებს. ბ) შრომის საშუალებები, რომლებიც ემსახურება შრომის საგნის შენახვას (მაგალითად, მილები, კასრები, ქილები, კალათები და სხვ.); შრომის ამგვარ საშუალებათა ერთობლიობა, კ. მარქსის სიტყვებით, წარმოების სისხლ-ძარღვოვანი სისტემაა.

შრომის საგნები შრომის საშუალებებთან ერთად წარმოების საშუალებებს შეადგენენ.

შრომის პროცესში შრომის საშუალებები შრომის საგანს უნდა დაუკავშირდნენ. შრომის საშუალებების დაკავშირება შრომის საგანთან კი ხდება ადამიანთა უნარის მწარმოებლური ხარჯვის გზით, ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედების საფუძველზე.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 229.

მიზანშეწონილი მოქმედება შრომის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია.

ადამიანი შეგნებულ, მიზანდასახულ ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, მისთვის წინასწარვე ცნობილია, თუ რა საშუალებებით უნდა იმოქმედოს საგანზე, როგორ უნდა წარმართოს ეს მოქმედება, რა საბოლოო შედეგი უნდა მიიღოს შრომითი მოქმედების გზით. „შრომის პროცესის დასასრულს ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად, უკვე არსებობდა“ [1].

ადამიანი წარმოების სუბიექტია. შრომის პროცესში იგი აუცილებლად ხარჯავს საკუთარ, იმანენტურ ძალებს მიუხედავად იმისა, თუ რა სახისა და სრულყოფის იარაღებს აყენებს თავის თავსა და ბუნებას შორის. ამ ძალების და უნარის გამოყენება მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ფიზიკურად და გონებრივად. სუბსტანციური ბუნების მიხედვით ადამიანის შრომა არის მისი „საკუთარი ფიზიკური და გონებრივი ძალების თავისუფალი მოძრაობა“ [2]. ადამიანს „მოძრაობაში მოჰყავს თავისი სხეულის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს“ [3].

შრომა, როგორც სპეციფიკური ადამიანური მოქმედება. შრომა მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ცხოველიც „შრომობს“, მაგალითად, როდესაც ობობა ქსელს აბამს, ფუტკარი ფიჭის უჯრედს აშენებს და ა. შ. მაგრამ ამგვარი ოპერაციების შესრულება თვისებრივად განსხვავდება ადამიანის შრომითი საქმიანობისაგან. ადამიანთა საზოგადოების მიღმა შრომა არ სცილდება „ცხოველისებურ ინსტინქტურ ფორმას“ (კ. მარქსი). „ობობა ასრულებს ისეთ ოპერაციებს, რომელნიც ფეიქრის ოპერაციებს მოგვაგონებენ, და ფუტკარი თავისი ფიჭის უჯრედების აშენებით ბევრ ხუროთმოძღვარს გააწბილებს. მაგრამ რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფუტკრისაგან განასხვავებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიჭის უჯრედს ააშენებდეს, უკვე თავის თავში ააშენა იგი... იმაში, რაც ბუნებით მოცემულია, მუშას მარტო ფორმის ცვლილება როდი შეაქვს: იგი ამასთანავე ამ ბუნებით მოცემულში ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს“ [4].

ამრიგად, ადამიანის შრომითი მოქმედება ცხოველის ინსტინქტური მოქმედებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი იმთავითვე მიზანდასახუ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 228.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 227—228.
[4] იქვე, გვ. 228

ლია. ცხოველის ინსტინქტური მოქმედება მიზანშეწონილი მოქმედებაა, მაგრამ იგი არ არის და არც შეიძლება რომ იყოს მიზანდასახული ხასიათის.

შრომა რომ სპეციფიკურად ადამიანური მოქმედებაა ეს დასტურდება სხვა ძირეული მაჩვენებლებითაც. სახელდობრ, ცხოველისგან განსხვავებით ადამიანი აკეთებს და იყენებს შრომის იარაღებს. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შრომის საშუალებათა გამოყენება და შექმნა, თუმცა ეს ჩანასახის ფორმით უკვე ზოგიერთი გვარეობის ცხოველებსაც მოეპოვებათ, სპეციფიკურად ადამიანის შრომის პროცესს ახასიათებს“ [1].

ამრიგად, ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს როგორც მიზანშეწონილი მოქმედების, ისე შრომის იარაღების შექმნისა და გამოყენების უნარი.

ფ. ენგელსი. „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში“

ვარაუდობენ, რომ ფ. ენგელსის ეს ნაწარმოები დაიწერა 1876 წელს. იგი წარმოადგენდა შესავალს ავტორის მიერ ჩაფიქრებული ფართო ნაშრომისათვის „მონობის სამი ძირითადი ფორმა“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. შესავალ ნაწილს კი ფ. ენგელსმა უწოდა „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში“. იგი პირველად გამოქვეყნდა 1896 წელს ჟურნალში „ახალი დროება“.

ამ ნაშრომში, როგორც თვით სათაური გვიჩვენებს, გარკვეულია შრომის განმსაზღვრელი როლი ადამიანის ჩამოყალიბებაში. შრომა არ წარმოადგენს მხოლოდ წყაროს სიმდიდრის შესაქმნელად, იგი ამასთანავე „ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველი ძირითადი პირობაა და მასთან იმდენად, რომ ჩვენ გარკვეული აზრით უნდა ვთქვათ: შრომამ შეჰქმნა თვით ადამიანი“ [2].

შრომით საქმიანობას მხოლოდ ადამიანი ეწევა. საამისოდ კი მას შესაბამისი სხეულებრივი ორგანიზაცია გააჩნია. ფ. ენგელსი თავის ნაწარმოებში მსჯელობს ორ აუცილებელ პირობაზე, რამაც შესაძლებელი გახადა ადამიანის მსგავსი მაიმუნიდან ადამიანის წარმოშობა.

ხელსაყრელი სხეულებრივი ორგანიზაცია. ბუნებრივმა პირობებმა, რომელშიც ადამიანის მსგავსი მაიმუნები ცხოვრობდნენ, ადამიანის მსგავს მაიმუნს სხვა ცხოველებთან შედარებით განსაკუთრებით განუვითარა ზოგიერთი ორგანო, სასიცოცხლო ფუნქცია და უნარმიდრეკილება. მაგალითად, ხეებზე ცოცვამ ხელი შეუწყო წინა კიდურების გან-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 230.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 173.

ვითარებას. მიწაზე ჩამოსვლის შემდეგ ადამიანის მსგავსი მაიმუნები ხელების დახმარებას გადაეჩვევნენ და ამართული სიარული შეითვისეს. ამრიგად, შესაძლებელი გახდა ხელისა და ფეხის ფუნქციების დიფერენცირება, მათ სხვადასხვა ფუნქციები დაეკისრათ: ფეხების საშუალებით ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ისწავლეს სიარული, გადაადგილება, განთავისუფლებული ხელების საშუალებით კი გარკვეული, შრომითი ოპერაციების შესრულება. ორი ფეხით სიარული, ისე, როგორც მარტივი ოპერაციების ხელით შესრულება გვხვდება შიმპანზეს, ორანგუტანსა და სხვა მაიმუნებშიც, მაგრამ ამ ორგანოების დიფერენცირებულ გამოყენებას ეს ცხოველები მიმართავენ მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს. ადამიანებისათვის კი იგი ყოველთვის აუცილებლობას შეადგენს.

ადამიანი განსხვავდება ცხოველისაგან სხეულებრივი ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი ნიშნებით. ადამიანის სხეულებრივი ორგანიზაციის უპირატესობა ცხოველთან შედარებით გამოიხატება არა მარტო იმით, რომ მას შეუძლია ვერტიკალურად დგომა და მოქმედება, განთავისუფლებული წინა კიდურების გამოყენება. ადამიანს გააჩნია საუკეთესო აგებულებაც. ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ „ხელი იარაღის იარაღია". ასეთ „იარაღს" კი მხოლოდ ადამიანი ფლობს. ადამიანი ცხოველისაგან განსხვავდება თავის ტვინის წონითაც სხეულის წონასთან შედარებით. ადამიანის თავის ტვინის წონა მისი სხეულის საერთო წონის ერთ მეორმოცედს უდრის, მაშინ, როდესაც, მაგალითად, ძაღლისათვის ასეთი შეფარდება შეადგენს 1/250, ხოლო მაიმუნისათვის 1/150. რაც მთავარია, ადამიანის თავის ტვინი გამოირჩევა ფუნქციონალური, ფიზიოლოგიური განვითარებით. ადამიანის თავის ტვინის ქერქი გაცილებით მეტ ნაოჭებს შეიცავს, ვიდრე ცხოველის.

ადამიანის მსგავს მაიმუნს მართალია განუვითარებელი ხორხი და პირის ორგანოები ჰქონდა, მაგრამ ეს ორგანოები გარდაქმნისა და დანაწევრებული მეტყველებისათვის საჭირო სრულყოფის მაქსიმალურ შესაძლებლობას შეიცავდნენ. იგივე ითქმის ტვინზე, რომლის განვითარებას მძლავრი სტიმული უნდა მიცემოდა და მიეცა კიდეც დანაწევრებული მეტყველების წარმოშობისათვის. „მაიმუნის ტვინი თანდათან იქცა ადამიანის ტვინად, რომელიც მაიმუნის ტვინთან მთელი მსგავსების მიუხედავად გაცილებით უფრო დიდია და უფრო სრულქმნილი" [1]. თავის მხრივ, ტვინის სრულყოფამ გამოიწვია ადამიანის ყველა გრძნობის ორგანოს განვითარება.

ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს სხვა სხეულებრივი ნიშნებიც. მაგრამ, სხეულებრივი ორგანიზაციის სიმპტომატური განსხვავება

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 178.

არ გვაძლევს საკმაო საფუძველს, რომ ადამიანის წარმოშობა მხოლოდ ამ ნიადაგზე ავხსნათ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ადამიანი არა მარტო განსხვავდება ცხოველისაგან ფიზიოლოგიურ-ანატომიური ნიშნებით, არამედ ენათესავება კიდეც მას (ჰეკელის გამოთვლით სხეულებრივი ორგანიზაციის მხრივ ადამიანს აქვს საერთო 613 ნიშანი ისეთ მაიმუნებთან, როგორიცაა შიმპანზე, გორილა, ორანგუტანი. მაგალითად. ადამიანის, აგრეთვე მისი მსგავსი მაიმუნის ჩონჩხი 200 ძვლისაგან შედგება. ამ ძვლების ასამოძრავებლად თითოეულს აქვს 300 კუნთი. როგორც ადამიანს, ისე მაიმუნს გააჩნია 32 კბილი და სხვ.). მეორეც. ზოგიერთი ცხოველის ცალკეული ორგანო აგებულების მხრივ უფრო სრულყოფილია, ვიდრე ადამიანის შესაბამისი ორგანო. არწივი ბევრად უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანი, ძაღლს უფრო ფაქიზი ყნოსვა აქვს, ვიდრე ადამიანს.

მაშასადამე, ადამიანის წარმოშობას მხოლოდ სხეულებრივი ორგანიზაციის მონაცემებით ვერ ავხსნით, თუმცა სრულყოფილი სხეულებრივი ორგანიზაცია აუცილებელი მატერიალური წინაპირობა იყო მის წარმოსაშობად.

ამრიგად, ადამიანების შორეულ წინაპრებს უცილობლად ხელსაყრელი სხეულებრივი ორგანიზაცია ჰქონდათ იმისათვის, რომ შრომითი საქმიანობა დაეწყოთ. ამ გარემოებას ფ. ენგელსი ხაზს უსვამდა კ. მარქსთან ერთად ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომში „გერმანული იდეოლოგია", სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ ისტორიის პირველი წანამძღვარია ცოცხალ ადამიანურ ინდივიდთა არსებობა და „პირველი კონკრეტული ფაქტი, რომელიც კონსტატირებულ უნდა იქნეს, ეს არის ამ ინდივიდთა სხეულებრივი ორგანიზაცია და ამით მათი გაპირობებული დამოკიდებულება დანარჩენ ბუნებასთან" [1], რომ საარსებო საშუალებათა წარმოება — ესაა „ნაბიჯი, რომელიც გაპირობებულია მათი სხეულებრივი ორგანიზაციით" [2].

მაგრამ ხელსაყრელი სხეულებრივი ორგანიზაცია მხოლოდ ბუნებრივ შესაძლებლობას შეიცავდა იმისათვის, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნი ადამიანად გარდაქმნილიყო. ამ გარდაქმნის განმსაზღვრელ ფაქტორს საარსებო საშუალებათა წარმოება, შრომა შეადგენდა.

სოციალური ფაქტორის, შრომის როლი ადამიანის წარმოშობაში. იმ ფაქტორს, რომელმაც ადამიანის მსგავსი მაიმუნი გამოყო და დაშორა ცხოველთა დანარჩენ სამყაროს და ადამიანად აქცია, შრომა წარმოადგენს. შრომა არის „ადამიანთა უარსებითესი ისტორიული საქმიანობა, ის საქმიანობა, რომელმაც ისინი ცხოველობიდან ადამიანო-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 11.

ბამდე აამაღლა და რომელიც ყველა მისი დანარჩენი მოქმედებების მატერიალურ საფუძველს შეადგენს“ [1].

თავდაპირველად ჩვენი წინაპრები ხელს აჩვევდნენ ძალიან მარტივ შრომით ოპერაციებს. „ვიდრე ადამიანის ხელი პირველ კაჟს დანად გადაქცევდა, ალბათ, დროის ისეთი გრძელი პერიოდი უნდა გასულიყო, რომელთან შედარებით ჩვენთვის ცნობილი ისტორიული ხანა უმნიშვნელო პერიოდად მოჩანს“ [2].

შრომამ ახალი ყოფიერება შეუქმნა ადამიანს. მან ადამიანს მისცა ის, რასაც ბუნება თავისთავად, ადამიანის უკუმოქმედების გარეშე არ იძლევა. ამიტომ შრომამ გარდაქმნა ადამიანის გარემომცველი გარემო, თვით ადამიანიც.

ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანები თანდათანობით ეუფლებიან უფრო რთული ოპერაციების შესრულებას. ადამიანის ხელი არა მარტო შრომის ორგანოდ, არამედ მის პროდუქტადაც იქცევა. იგი სულ უფრო და უფრო იყო გამოყენებული გართულებული ოპერაციების შესასრულებლად. ხელის განვითარება, ამასთან, არ შეიძლება განვიხილოთ მთელის — ადამიანის ორგანიზმისაგან დამოუკიდებლად.

ხელის განვითარება არსებითად ნიშნავდა ადამიანის სრულყოფას შრომითი საქმიანობისათვის. შრომითმა საქმიანობამ კი ობიექტურად მოითხოვა ადამიანის სხვა ორგანოების, მაგალითად, მეტყველების ორგანოს განვითარებაც. საერთო მოქმედების სარგებლობის შეგნებამ წარმოშვა იმის მოთხოვნილება, რომ ადამიანებს აზრები გაეცვალათ ერთმანეთისათვის, ცალ-ცალკე ბრძოლა ბუნების ძალების წინააღმდეგ შეუძლებელი იყო. ადამიანები უნდა შეკავშირებულიყვნენ, გაერთიანებულიყვნენ, რათა მიეღწიათ სასარგებლო შედეგისათვის ბუნების ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბუნების მასალის გარდაქმნის საქმეში. აზრთა ურთიერთგაგებინების, ადამიანთა შორის კომუნიკაციის აუცილებლობამ შესაბამისი ორგანოც — მეტყველების ორგანო წარმოშვა, ადამიანებმა დაიწყეს აზრების ურთიერთგაცვლა ენის შემწეობით. ამრიგად, ენა წარმოიშვა „შრომიდან და შრომასთან ერთად“ (ფ. ენგელსი).

ენაც სპეციფიკური ადამიანური უნარია, ცხოველებს არა აქვთ ენა, დანაწევრებული მეტყველება. ისინი დანაწევრებული მეტყველების გარეშეც აგებინებენ ერთმანეთს იმას, რისი შეტყობინებაც უნდათ. ბუნებრივ მდგომარეობაში ისინი ლაპარაკს არ საჭიროებენ.

ენის გაჩენით მძლავრი ბიძგი მიეცა ადამიანის ტვინის განვითარე-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 23.
[2] იქვე, გვ. 175.

ბას, ტვინისა, რომლის თვისებაც ცნობიერებაა. ტვინის განვითარებას კი თან ახლდა გრძნობის ყველა ორგანოს დახვეწა — სრულყოფა.

„ტვინისა და მისდამი დაქვემდებარებული გრძნობების განვითარების, სულ უფრო და უფრო ნათელქმნილი ცნობიერების, აბსტრაქციისა და დასკვნის უნარის განვითარების უკუზეგავლენა შრომასა და ენაზე, ორივეს სულ ახალ-ახალ ბიძგს აძლევდა შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც არამც თუ არ დასრულდა მას შემდეგ, რაც ადამიანი საბოლოოდ მაიმუნს გამოეყო, არამედ მას შემდეგ, საერთოდ და მთლიანად მძლავრი ნაბიჯით წავიდა წინ სხვადასხვა ხალხებსა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხარისხითა და მიმართულებით“ [1].

ადამიანის ტვინის, მთელი ადამიანური ორგანიზმის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხორცეულ საჭმელს, ცეცხლის გამოყენებას, ცხოველთა მოშინაურებას. ადამიანმა ისწავლა ვარგისი საჭმელების ჭამა, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში ცხოვრება. იგი მოედო საცხოვრებლად გამოსადეგ მთელ დედამიწას, ხოლო ცხელი ჰავიდან ცივ მხარეებში გადასვლამ ახალი საჭიროებანი წარმოშვა — ბინის, ტანსაცმლის დამზადების, მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის.

როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს ხელის, მეტყველებისა და ტვინის ერთობლივი მოქმედებით ადამიანებმა შეიძინეს სულ უფრო და უფრო რთული ოპერაციების შესრულების, მაღალი მიზნების დასახვისა და მიღწევის უნარი. შრომა თაობიდან თაობაში მრავალმხრივი ხდებოდა. „ნადირობასა და მესაქონლეობას მიემატა მიწათმოქმედება, ამ უკანასკნელს რთვა და ქსოვა, ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, ნაოსნობა. ვაჭრობისა და ხელოსნობის გვერდით გაჩნდა ბოლოს ხელოვნება და მეცნიერება, ტომებიდან განვითარდნენ ერები და სახელმწიფოები. განვითარდა სამართალი და პოლიტიკა და მათთან ერთად ადამიანური ყოფის ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში: რელიგია“ [2].

ამრიგად, შრომა ის საფუძველია, რომელმაც ადამიანი შექმნა და მისი ცხოვრების მრავალფეროვნება გამოიწვია. რაკი შრომა იარაღის გამოყენებას ემყარება, თვით იარაღის შექმნა შრომის პირველი აუცილებელი კომპონენტია. ფ. ენგელსი აღნიშნავს კიდეც, რომ „შრომა იარაღების დამზადებით იწყება“ [3].

წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი. წარმოება საზოგადოებრივია ყოველთვის და ყველა პირობებში, იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ და მხო-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 178.
[2] იქვე, გვ. 182.
[3] იქვე, გვ. 180.

ლოდ ადამიანებს შეუძლიათ შრომის იარაღების შექმნა და გამოყენება მიზანდასახული მოქმედების საფუძველზე.

ცხოველებს არ გააჩნიათ არც შრომის იარაღების შექმნის, არც მიზანდასახული მოქმედების უნარი. რასაკვირველია, „შრომის იარაღები" ჩანასახოვანი ფორმით ცხოველებსაც აქვთ. მაგრამ ამ შემთხვევაში შრომის იარაღები უნდა გავიგოთ არა სპეციფიკურად ადამიანური, არამედ წმინდა ბიოლოგიური მნიშვნელობით. „იარაღები, სიტყვის ვიწრო გაგებით, ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ როგორც მხოლოდ საკუთარი სხეულის ასოები: ჭიანჭველებს, ფუტკრებს, წავებს" [1]. ისეთი იარაღები, როგორიცაა ნესტარი — ფუტკრისათვის, ნისკარტი — ფრინველისათვის, ბრჭყალები, კბილები, რქები — ცხოველებისათვის — ამ ცხოველთა სხეულის ბუნებრივ გაგრძელებას, წამონაზარდს წარმოადგენს.

წარმოება შეუძლებელია შრომის იარაღების შექმნის გარეშე. მაგრამ ცხოველი ვერ ამზადებს შრომის იარაღს, მას არც სჭირდება შრომის იარაღის დამზადება. ამ მხრივ ცხოველისაგან ძირეულად განსხვავდება ჯერ კიდევ ველური ადამიანი. „...ველურის ხელს ასობით ისეთი ოპერაციების შესრულება შეუძლია, რომელთაც ვერც ერთი მაიმუნის ხელი ვერ წაბაძავს. არც ერთი მაიმუნის ხელს არასოდეს არ დაუმზადებია თუნდაც სულ უხეში ქვის დანაც კი" [2]. იარაღის შექმნა და გამოყენება სპეციფიკურად ადამიანური მოქმედებაა.

წარმოება შეუძლებელია მიზანდასახული საქმიანობის გარეშე, რასაც აგრეთვე ვერ ვხედებით ცხოველთა სამყაროში. ცხოველის მოქმედება ობიექტურად მიზანშეწონილია, მაგრამ არა სუბიექტურად წინასწარ გააზრებული, მიზანდასახული. ცხოველის ზემოქმედება გარემოზე ინსტინქტურ, შეუგნებელ ხასიათს ატარებს. „...როდესაც ცხოველები თავიანთ გარემოზე ხანგრძლივ ზეგავლენას ახდენენ, ეს განუზრახველად ხდება" [3].

ფ. ენგელსს მოჰყავს ცხოველის მოქმედების მაგალითი იმის დასასაბუთებლად, რომ ცხოველისათვის წინასწარ უცნობია ამ მოქმედების შედეგი; ვთქვათ, როდესაც ცხოველი ანადგურებს რომელიმე კუთხის მცენარეულობას, მან არ იცის რას სჩადის; არა აქვს იმის უნარი, რომ ამა თუ იმ რაიონიდან საზრდო იმაზე მეტი მიიღოს, რასაც ეს რაიონი ბუნებით იძლევა. ადამიანი კი, თუ მცენარეულობას ანადგურებს, ეს იმისათვის, რათა განთავისუფლებული მიწა მოხნას, , მარცვლეული

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 22.
[2] იქვე, გვ. 174.
[3] იქვე, გვ. 183.

დათესოს, ხეები და ვაზები დარგოს და ა. შ. ადამიანმა იცის, რომ ამ გზით უფრო მეტ მოსავალს მიიღებს.

ცხოველის არაცნობიერ, შეუგნებელ მოქმედებაზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ ცხოველი უკიდურესად ფლანგავს საზრდოს, ჩანასახშივე სპობს საზრდოს ნამეტს. „მგელი, მონადირისაგან განსხვავებით, არ ზოგავს შველს, რომელიც მომავალ წელს მას ნუკრებს მისცემდა“ [1]. მართალია, ცხოველებსაც არ შეუძლიათ სიცოცხლის შენარჩუნება საარსებო საშუალებების გარეშე, მაგრამ საარსებო საშუალებების მოპოვებისათვის ცხოველები არ მიმართავენ და ვერც მიმართავენ შრომის იარაღების შექმნას და გამოყენებას, მიზანდასახულ მოქმედებას, წარმოებას. ცხოველებისათვის აუცილებელი საარსებო საშუალებები ბუნებაში მოიპოვება მზამზარეული სახით. საკმარისია მხოლოდ ცხოველმა მას მიაგნოს, საუკეთესო შემთხვევაში, შეაგროვოს იგი; ცხოველი კიდეც ახერხებს ამას ბუნებაში თავისი არსებობის, ბუნებასთან უშუალო დამოკიდებულების ძალით. ცხოველის არსებობის ბუნებრივი მდგომარეობა გამორიცხავს შრომის, წარმოების გზით საარსებო საშუალებების მოპოვების საჭიროებას. „ცხოველი მარტო უბრალოდ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ს გარე ბუნებით, და მასში ცვლილებები მხოლოდ თავისი არსებობით შეაქვს; ადამიანი კი მის მიერ შეტანილი ცვლილებებით ბუნებას აიძულებს მის მიზნებს ემსახუროს, მასზე ბ ა ტ ო ნ ო ბ ს“ [2]. ადამიანთა ზეგავლენას გარემოზე აქვს გარკვეული, წინასწარ ცნობილი მიზნისაკენ მიმართული მოქმედების ხასიათი. ეს გარემოება შეპირობებულია იმით, რომ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ადამიანებისათვის აუცილებელი არსებობის საშუალებები ბუნებაში არ მოიპოვება უშუალო, მზამზარეული სახით. მით უფრო არ არსებობს ბუნებაში ადამიანთა განცხრომისა და განვითარების საშუალებები, რომლებიც აბსოლუტურად უცნობია ცხოველთა სამყაროსათვის. ადამიანებმა თვითონ უნდა შექმნან ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებანი, რათა იარსებონ და განვითარდნენ. ამიტომ კი საჭიროა ბუნების საგნების და ძალების გადამუშავება და გამოყენება, მათთვის ადამიანის მოთხოვნილების შესაბამისი სახის მიცემა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ბუნებაზე ზემოქმედების გზით, წარმოების, შრომის იარაღების შექმნისა და გამოყენების გზით. ამიტომ ადამიანთა ბუნებრივი არსებობა შეუძლებელია შრომის, წარმოების მეოხებით საარსებო საშუალებათა მოპოვების გარეშე. თუ ცხოველი ბუნებას ეგუება, ადამიანი იგუებს ბუნებას, თავის სამსახურში აყენებს მას. ამისათვის კი წინასწარ შეიცნობს ბუნების საიდუმლოებებს, ავითარებს მეცნიერების

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 179.
[2] იქვე, გვ. 184.

სხვადასხვა დარგებს, სწვდება ბუნების კანონებს და მათზე დაყრდნობით აღწევს ბატონობას ბუნებაზე. „ჩვენ ყველა სხვა ქმნილებასთან შედარებით უპირატესობის გამო შეგვიძლია ბუნების კანონები შევიცნოთ და სწორად გამოვიყენოთ“ [1].

საწარმოო მოქმედების ბუნებრივი და საზოგადოებრივი შედეგები. ფ. ენგელსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ადამიანთა საწარმოო მოქმედების ბუნებრივ და საზოგადოებრივ შედეგებს. ბუნებრივს იგი უწოდებს საწარმოო მოქმედებით ბუნებაში გამოწვეულ შედეგს. თავის მხრივ, ბუნებრივი შედეგები შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი, ე. ი. უახლოესი და შორეული. ადამიანებისათვის ყოველთვის ცნობილია მათი საწარმოო საქმიანობის უახლოესი, პირდაპირი ბუნებრივი შედეგები, თუმცა მათ მეტად უძნელდებათ არაპირდაპირი, შორეული ბუნებრივი შედეგების გამოცნობა. მეტნაკლები წარმატებით ისინი ამას მაინც ახერხებენ.

„ჩვენ ყოველდღიურად ვსწავლობთ ბუნების კანონების სულ უფრო და უფრო სწორ გაგებას და ბუნების ჩვეულებრივ მსვლელობაში ჩვენი აქტიური ჩარევის როგორც უახლოესი, ისე უფრო შორეული შედეგების შემეცნებას“ [2].

მაგრამ საწარმოო მოქმედებას მოსდევს არა მხოლოდ ბუნებრივი, არამედ აგრეთვე ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შედეგებიც, შედეგები, რომელსაც იგი საზოგადოებაში იწვევს. ამ საზოგადოებრივი შედეგების წინასწარი გათვალისწინება გაცილებით უფრო ძნელია საწარმოო მოქმედების ბუნებრივ შედეგებთან შედარებით. მაგალითად, როდესაც ორთქლის მანქანა აღმოაჩინეს, არავის ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ამით მკვიდრი საფუძველი ჩაეყრებოდა ახალი, კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალებს, უმცირესობის ხელში კაპიტალის კონცენტრაციას და უმრავლესობის პროლეტარიზაციას, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მწვავე კლასობრივ ბრძოლას. როდესაც კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, არავის უფიქრია, რომ ამას დიდი ხნის წინათ გადავარდნილი მონობის აღდგენა და ზანგებით ვაჭრობა მოყვებოდა.

საზოგადოებაში, რომელიც გეგმიურ მართვას არ ემორჩილება, საწარმოო მოქმედების შორეული საზოგადოებრივი შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია. „წარმოების ყველა დღემდე არსებული წესი მიზნად ისახავდა მხოლოდ შრომის უახლოესი, ყველაზე უშუალო სასარგებლო ეფექტების მიღწევას. შემდგომი შორეული შედეგები კი, რომლებიც მხოლოდ მოგვიანებით იჩენდნენ თავს და მოქმედებას თან-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 185.
[2] იქვე.

დათანი განმეორებისა და დაგროვების წყალობით იწყებდნენ, სრულიად უყურადღებოდ რჩებოდნენ“ [1]. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება ყოველთვის ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ ყოველი მომდევნო თაობების საწარმოო მოქმედება წინააღმდეგობაში მოხვდება წინა თაობების საწარმოო მოქმედებასთან, რაც დღემდე მხოლოდ პირველი, ყველაზე ხელშესახები ბუნებრივი და საზოგადოებრივი შედეგებისაკენ იყო მიმართული. „ჩვენ თანდათან ვსწავლობთ ჩვენი მწარმოებლური მოღვაწეობის არა პირდაპირი, უშორეულესი საზოგადოებრივი შედეგების ნათელყოფას, ამით კი შესაძლებლობა გვეძლევა ეს შედეგებიც ჩვენს ბატონობას და რეგულირებას დავუმორჩილოთ.

მაგრამ იმისათვის, რომ ეს რეგულირება განვახორციელოთ, საჭიროა უფრო მეტი რამ, ვიდრე უბრალო შემეცნება. ამისათვის საჭიროა ჩვენი დღემდე არსებული წარმოების წესისა და მასთან ერთად მთელი ჩვენი ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილების სრული გადატრიალება“ [2].

მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება ქმნის მკვიდრ პირობებს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს უკონტროლო ტექნიკურ განვითარებას, ყოველმხრივ გაითვალისწინოს საწარმოო მოქმედების ბუნებრივი და სოციალური შედეგები და წარმოება თვით მშრომელთა ინტერესების სამსახურში ჩააყენოს.

ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ფ. ენგელსის ნაშრომებში „ანტი-დიურინგი“

მორალის კლასობრივი ხასიათი კლასობრივ საზოგადოებაში. მარქსიზმის მიხედვით მორალი საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის წარმოშობა და ცვალებადობა დამოკიდებულია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებზე, საზოგადოებრივ ყოფიერებაზე.

სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი ზნეობრივი ნორმები არსებობდა, ადამიანთა მორალური სახეც სხვადასხვაგვარი იყო. მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში მორალი კლასობრივ ხასიათს ატარებს, ამა თუ იმ კლასის ინტერესებს გამოხატავს და მასვე ემსახურება. ფ. ენგელსი წერდა: „რადგან საზოგადოება დღემდე კლასობრივი დაპირისპირებებით ვითარდებოდა, მორალიც ყოველთვის კლასობრივი მორალი იყო; იგი ან გაბატონებული კლასის ბატონობას და ინტერესებს ამართლებდა, ან, როცა დაჩაგრული კლასი საკმაოდ ძლიერდებო-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 187.
[2] იქვე, გვ. 187.

ედა, წარმოადგენდა მის აღშფოთებას ამ ბატონობის წინააღმდეგ და აკრეთვე ჩაგრულთა მომავლის ინტერესებს“ [1].

რაკი უცვლელი მორალური ნორმები არ არსებობს, რაკი ყველა მორალური თეორია საბოლოოდ საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის ნაყოფია, ხოლო საზოგადოება დღემდე კლასობრივი დაპირისპირებებით ვითარდება — ამიტომ მორალიც კლასობრივ ხასიათს იძენს.

კაპიტალისტური საზოგადოების სამი ძირითადი კლასიდან, როგორც ფ. ენგელსი წერს, თითოეულს, ე. ი. ფეოდალურ არისტოკრატიას, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს თავისი განსაკუთრებული მორალი აქვს, რაც თითოეული მათგანის კლასობრივ, საბოლოოდ კი ეკონომიკურ მდგომარეობას შეესაბამება.

ყველაზე პროგრესული კლასის — პროლეტარიატის მორალი, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჩაისახა, თვისებრივად განსხვავდება ბურჟუაზიული მორალისაგან, ექსპლოატატორული კლასების მორალი ყველა სხვა სახეობისაგან. პროლეტარული მორალი თავისი არსით მიმართულია კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ და სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის დამკვიდრებას მოითხოვს და ემსახურება. პროლეტარული მორალი „...აწმყოში თანამედროვე წყობილების დამხობას მოითხოვს და მომავალს იცავს“ [2].

მაგრამ მორალის კლასობრივი ხასიათი ისევე არაა აბსოლუტური, როგორც თვით მორალის ნორმები, იგი დაძლეულ იქნება კლასობრივ წინააღმდეგობათა დაძლევის ნიადაგზე. „მართლაც ადამიანური მორალი შესაძლებელი გახდება მხოლოდ კლასობრივი განვითარების ისეთ საფეხურზე, რომელზეც კლასობრივი წინააღმდეგობა არა მარტო გადალახული, არამედ ცხოვრების პრაქტიკაშიც დავიწყებული იქნება“ [3].

ამრიგად, მორალის სფეროშიც შეუძლებელია ვეძიოთ უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი. პრაქტიკა უარყოფს მორალური დოგმატიკის, უცვლელი ზნეობრივი კანონის უსაფუძვლო მოთხოვნას, რასაც დიურინგი ქადაგებდა.

თანასწორობა. მარქსიზმს თანასწორობა არ ესმის როგორც ადამიანთა ნიველირება, მათი მექანიკური შეთანაბრება. ბურჟუაზიული იდეოლოგები დიდი ხანია, რაც ცილს სწამებენ კომუნისტებს ამ მიმართულებით.

რასაკვირველია, ადამიანთა შორის არის და ყოველთვის იქნება განსხვავება უნარის, მიდრეკილების, ხასიათის, გემოვნების. ცოდნის და სხვა თვალსაზრისით. ამ მხრივ ისინი არასოდეს არ გაუთანაბრდე-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 112.
[2] იქვე, გვ. 111.
[3] იქვე.

ბიან ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში ყოველ ინდივიდს პიროვნული ნიჭისა და მიდრეკილებების შეუზღუდველი განვითარების ყველა პირობა ექმნება.

მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, სრული თანასწორობა გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მთლიანად მოისპოს კლასები და კლასობრივი განსხვავებულობა. მარქსიზმს არაფერი არა აქვს საერთო თანასწორობის სხვაგვარ გაგებასთან.

„თანასწორობის პროლეტარული მოთხოვნის ნამდვილ შინაარსს კ ლ ა ს თ ა მ ო ს პ ო ბ ი ს მოთხოვნა წარმოადგენს. თანასწორობის ყოველი მოთხოვნა, რომელიც ამაზე შორს მიდის, აუცილებლად უაზრობაში გადადის“ [1].

ფ. ენგელსის ამ დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში. ამჟამადაც იმპერიალიზმის იდეოლოგები ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ კაპიტალისტური სამყარო „ყველასათვის თანასწორ შესაძლებლობათა“, „ჰუმანიზმისა“ და „დემოკრატიის“ სამყაროა.

მაგრამ ასეა ეს სინამდვილეში? როგორ შეიძლება თანასწორნი იყვნენ ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები? რას შეიძლება ნიშნავდეს მათი თანასწორობა? ნამდვილი თანასწორობა ფიქციაა იმ საზოგადოებაში, სადაც ერთ პოლუსზეა მდიდარი. კერძო მესაკუთრე, მეორე პოლუსზე კი ღარიბი, არაფრისმქონე.

შეეხოთ საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ უბანს — მატერიალური წარმოების სფეროს. ვის ეკუთვნის კაპიტალისტურ საზოგადოებაში ქარხნები, ფაბრიკები, მიწა, წიაღისეული სიმდიდრე და წარმოების სხვა საშუალებანი, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საზოგადოების არსებობა და განვითარება? წარმოების საშუალებების მფლობელები არიან კაპიტალისტები, თანამედროვე პირობებში — მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებანი. ვინ არ არის წარმოების საშუალებათა მფლობელი, ვინ არის მოკლებული შესაძლებლობას ისარგებლოს საკუთარი შრომით შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულებებით? — მუშათა კლასი, გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია, მშრომელი მასები საერთოდ. მაგრამ ყოველივე ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის სფეროში კაპიტალიზმი არ ცნობს ფაქტიურ თანასწორობას, რომ სადაც ანტაგონისტური კლასებია, იქ მოსპობილია თანასწორობის შესაძლებლობა.

თანასწორი არიან თუ არა კაპიტალისტური საზოგადოების წევრები პოლიტიკური თვალსაზრისით, მინიჭებული აქვთ თუ არა მათ თანასწორი რეალური უფლებები? რასაკვირველია არა. ვის ხელშია ძალა-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 127.

უფლება, ვინ იყენებს მას თავისი ინტერესების გატარებისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით? — ბურჟუაზია. თანამედროვე პირობებში — მონოპოლისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლები. რაც შეეხება მუშათა კლასს, საზოგადოების მშრომელ უმრავლესობას, — მას წართმეული აქვს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობაში, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღების საშუალება და პოლიტიკურ მონობაში იმყოფება.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკის სფეროში კაპიტალიზმი აგრეთვე არ ცნობს თანასწორობას, ხოლო თუ მას ფორმალურად მაინც აღიარებს, — ეს გახვრეტილ გროშადაც არ ღირს მშრომელებისათვის.

დაბოლოს, შევეხოთ იდეოლოგიური ცხოვრების სფეროს. ვის იდეებს ეწევა სისტემატური, სახელმწიფოებრივად სანქცირებული და უკიდურესად დაფინანსებული პროპაგანდა, ვინ ამართლებს კაპიტალის ყოვლისშემძლეობას იდეოლოგიურად, ვინ არის მუშათა იდეოლოგიის დაუძინებელი მტერი? — ბურჟუაზია, მისი დაქირავებული აპოლოგეტების არმიით. ვინ არის მოკლებული საკუთარი მარქსისტული იდეოლოგიის თავისუფალ პროპაგანდას, ვინ განიცდის დევნას და შევიწროებას პროგრესული იდეებისათვის, — მუშათა კლასი და მის მხარეზე მყოფი სოციალური ჯგუფები.

ყოველივე ეს აგრეთვე იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს იდეოლოგიური ცხოვრების თანასწორი შესაძლებლობანი, რომ იდეოლოგიური წინააღმდეგობანი. რომელიც შიგნიდან არყევს კაპიტალისტურ სამყაროს, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის გამოხატულებაა.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტიური თანასწორობა არ გამომდინარეობს თვით კაპიტალიზმის ბუნებიდან.

„პროლეტარები კრიჭაში უდგებიან ბურჟუაზიას: თანასწორობა უნდა იყოს არა მარტო მოჩვენებითი, ის უნდა ხორციელდებოდეს არა მარტო სახელმწიფოს ასპარეზზე, არამედ იგი ნამდვილიც უნდა იყოს, აგრეთვე საზოგადოებრივ, ეკონომიურ ასპარეზზეც უნდა გატარდესო... თანასწორობის პროლეტარული მოთხოვნა წარმოსდგა რეაქციიდან თანასწორობის ბურჟუაზიული მოთხოვნის წინააღმდეგ“ [1].

თუ ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ბურჟუაზიის თანასწორობის მოთხოვნა კლასობრივი პრივილეგიების მოსპობაში მდგომარეობდა, პროლეტარიატისათვის თანასწორობის მოთხოვნა თვით კლასების მოსპობაში და უკლასო საზოგადოების აშენებაში მდგომარეობს.

ფ. ენგელსი. „ანტი-დიურინგი“ (მესამე განყოფილება). „სოციალიზ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 126—127.

მი“ ფ. ენგელსის წიგნის — „ანტი-დიურინგის“ მესამე განყოფილებაა. ეს განყოფილება ხუთი თავისაგან შედგება: 1. ისტორიული ნარკვევი; 2. თეორიული ნარკვევი; 3. წარმოება, 4. განაწილება, 5. სახელმწიფო, ოჯახი, აღზრდა.

ისტორიულ ნარკვევში ფ. ენგელსი გვაძლევს მეცნიერული კომუნიზმის უშუალო თეორიული წანამძღვრის — ფრანგული უტოპიური სოციალიზმის დახასიათებას, განსაზღვრავს უტოპიური სოციალიზმის დადებით შინაარსს, ნაკლოვანებებს, შეზღუდულობას.

რაც შეეხება ამ განყოფილების მეორე თავს „თეორიული ნარკვევი“, აგრეთვე მომდევნო თავებს, აქ დალაგებულია მეცნიერული კომუნიზმის ძირითადი პრინციპები, — კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის და თვით კომუნისტური საზოგადოების კანონზომიერებანი.

მოკლედ შევჩერდეთ „ანტი-დიურინგის“ მესამე განყოფილებაში განვითარებულ ძირითად იდეებზე.

ფ რ ა ნ გ უ ლ ი უ ტ ო პ ი უ რ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი, მ ი ს ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ა დ ა ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა ნ ი.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ფრანგული უტოპიური სოციალიზმი მარქსიზმის ერთ-ერთი თეორიული წყაროა. ფ. ენგელსი დიდად აფასებს ფრანგ უტოპისტ-სოციალისტებს — ა. ს ე ნ-ს ი მ ო ნ ს. შ. ფ უ რ ი ე ს. აგრეთვე ინგლისელ უტოპისტ-სოციალისტს რ. ო უ ე ნ ს, რომელნი „გენიოსური იდეებისა და გენიოსური აზრების ჩანასახები“ (ფ. ენგელსი) მნიშვნელოვანი პირობა იყო მეცნიერული კომუნიზმის განვითარებისათვის.

ფ. ენგელსს უტოპიური სოციალისტების ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად მიაჩნდა არსებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გონებამახვილური და ღრმა კრიტიკა.

ფრანგი უტოპისტები კაპიტალისტურ საზოგადოებას აკრიტიკებდნენ მისი ეკონომიკური საფუძვლების, კერძო საკუთრების არსებობის გამო. კერძო საკუთრება მათი მტკიცებით უდიდესი სოციალური ბოროტებაა. კერძო საკუთრება ქმნის ერთ მხარეზე უკიდურეს სიღატაკეს და გაჭირვებას, დამამცირებელ შრომას, მეორე მხარეზე სიმდიდრე-ფუფუნებას, უსაქმურობას. ფურიეს თქმით, „ცივილიზაციაში სიღარიბე თვით სიჭარბისაგან წარმოსდგება“. ამასთან, სწორედ კერძო საკუთრება აღვივებს ადამიანებში ისეთ თვისებებს, როგორიცაა ქურდობა, გაიძვერობა, გაუმაძღრობა, ცბიერება, ვერაგობა, ქედმაღლობა და სხვ. კერძო საკუთრების გაუქმებით საზოგადოების წევრები თავს დააღწევენ არაადამიანურ ქონებრივ-პრივილეგირებულ და სულიერ დიფერენციაციას.

უტოპისტები აკრიტიკებდნენ ბურჟუაზიულ წყობილებას მისი ანტიჰუმანური პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი სისტემის გამო. სენ-სი-

მონი იმ აზრამდეც კი მივიდა, რომ პოლიტიკური მმართველობა, რომელიც ადამიანებს განაგებს, უნდა შეიცვალოს მმართველობით, რომელიც საგნებს განაგებს. მაშასადამე, მან ნათლად გამოთქვა სახელმწიფოს გაუქმების აზრი.

უტოპისტები გამოდიოდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ იმის გამო, რომ ეს წყობილება აკანონებდა უთანასწორობას ადამიანთა შორის, უსამართლობას, ქალის დამონებას საზოგადოებაში და ა. შ.

ამასთან, უტოპისტები არ იფარგლებოდნენ ფორმირებაში მყოფი კაპიტალისტური წყობილების კრიტიკით. ისინი აყენებდნენ აგრეთვე ახალი სოციალური სისტემების პროექტებს. აქედან მეტად მნიშვნელოვანია კერძო საკუთრების გაუქმების მოთხოვნა, რასაც უტოპისტები სოციალისტური საზოგადოების ქვაკუთხედად მიიჩნევდნენ.

უტოპისტების თანახმად, კერძო საკუთრების გაუქმებით და საზოგადოებრივი საკუთრების შექმნით ბოლო მოეღება ეკონომიკურ უთანასწორობას. საზოგადოება, რომელიც საერთო მფლობელობის საძირკველზე დაშენდება, ძირფესვიანად იქნება განსხვავებული კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებისაგან, ვინაიდან იგი თითოეულ ადამიანს ჩააყენებს ეკონომიკურად თანაბარ პირობებში. შეიცვლება საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების პრინციპი; განაწილება მოხდება საზოგადოებისა და მისი ნებისმიერი წევრის ინტერესთა თანხმობის გზით. წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაცია ბუნებრივი გარდუვალობით გამოიწვევს ცვალებადობის გაცვლა-გამოცვლის სისტემაში: საზოგადოების შიგნით ზედმეტი გახდება ფულადი მეურნეობა. ადამიანები შექმნიან მატერიალური დოვლათის გარკვეულ სახეობას და ჩააბარებენ მას საზოგადოებრივ საწყობს. სამაგიეროდ, საზოგადოებრივი საწყობიდან მიიღებენ ყოველივე იმას, რაც მათ საარსებო საჭიროებას უპასუხებს. წარმოების ეს იდეალური სისტემა, უტოპისტების აზრით, მოითხოვს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზუსტად აღრიცხვას და საზოგადოებრივი საჭიროების წინასწარ გათვალისწინებას.

უტოპიურ სოციალისტებს შესანიშნავად ესმით, რომ თანასწორობისა და სამართლიანობის გარეშე დაემყარება აგრეთვე საზოგადოების ყველა წევრის შრომითი ცხოვრების საწყისებს. ასეთ საზოგადოებაში შრომა ყველას მოვალეობად გადაიქცევა.

ახალ საზოგადოებაში დარჩება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სპეციალიზაცია, რაც წარიმართება გონივრული წესით, მთელი ხალხისათვის აუცილებელ და მისაღებ ფარგლებში.

უტოპიური საზოგადოების ყველა წევრი იქნება მცოდნე, განათლებული, და ამის ფაქტიურ უფლებას მოგვცემს საერთო მფლობელო-

ბაზე დამყარებული წყობილება. ეს საზოგადოება ყოველ ადამიანს დაახვედრებს მზა მატერიალურ და სულიერ პირობებს გონებრივი პროგრესისათვის. ვინც ამ პირობებსა და უფლებებს ვერ გამოიყენებს, მან პასუხი საკუთარ თავს უნდა მოთხოვოს. განათლებული პიროვნება ისევეა საჭირო საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც განათლებული საზოგადოება ინდივიდის განვითარებისათვის.

ადამიანთა აღზრდა განხორციელდება შრომისა და სწავლების შეკავშირების გზით, ამით გადაწყდება ორი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემა: საზოგადოებრივი შრომის გონიერული დანაწილება და პიროვნების თავისუფლება პროფესიის არჩევაში.

ადამიანთა ყოველმხრივი აღზრდა და უნივერსალური განვითარება უნდა გამოცხადდეს თავისუფალი და თანასწორუფლებიანი საზოგადოების ერთ-ერთ პრინციპად, რომელიც გამომდინარეობს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარების შინაგანი აუცილებლობიდან. ფ. ენგელსი აღნიშნავს ფურიესა და ოუენის შესახებ: „ორივე მოიოხოვს, რომ, როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში შემოღებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი მონაცვლეობა თვითეული პიროვნების საქმიანობაში, და ამის მიხედვით ახალგაზრდობამ აღზრდა მიიღოს რაც შეიძლება უ ფ რ ო ყოველმხრივი ტექნიკური მოღვაწეობისათვის. ორივე იმ აზრისაა, რომ ადამიანი უნივერსალურად უნდა განვითარდეს უნივერსალური პრაქტიკული მოღვაწეობის შემწეობით, შრომას ხელახლა უნდა დაუბრუნდეს დანაწილების წყალობით დაკარგული მიმზიდველობა, ეს უნდა მოხდეს, უწინარეს ყოვლისა, ამ მონაცვლეობისა და თვითეული სამუშაოსადმი მიძღვნილი მოკლე „სეანსის“ შემწეობით, ფურიეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ“ [1].

ამასთან ფ. ენგელსი ახასიათებს უტოპისტ-სოციალისტების ნაკლოვანებებს.

თუ უტოპისტ-სოციალისტებმა ნაწილობრივად მაინც შენიშნეს მატერიალური საფუძველი, სახელდობრ, კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, რომელზეც აღმოცენებულია ეკონომიკური და უფლებრივი უთანასწორობა, სამაგიეროდ, სრულიად აუარეს გვერდი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის მატერიალურ საშუალებებს და საერთო-იდეალისტური მსოფლმხედველობრივი წანამძღვრის შესაბამისად საზოგადოების თვისებრივი შეცვლის ძირების ძიება იდეური მოტივებით განსაზღვრეს.

უტოპისტების აზრით, სრულიად საკმარისია შევაგნებინოთ ადამიანებს, პირველ რიგში კი მმართველ წრეებს, ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების მიზანშეწონილება და სარგებლობა, საკმარისია აღვ-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 351.

ზარდოთ ადამიანები ახალი თვისებებით ამ უკანასკნელთა უპირატესობაში დარწმუნების გზით, რომ საქმე ძირეულად შეიცვლება და საზოგადოება სამუდამოდ დაამკვიდრებს თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის სამეფოს თითოეული ინდივიდისათვის.

ფრანგი უტოპისტი სენ-სიმონი თავის ნაწარმოებში „მეწარმეთა კატეხიზისი“ სოციალური ორგანიზაციის გაუმჯობესების ძირითად პირობად თვლიდა განათლებისა და ცივილიზაციის შეტანას ხალხის მასებში. მისი შეხედულებით განათლებულ ხალხში საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა აღარ იქნება დაკავშირებული რაიმე სირთულესთან. „მეფეს შეუძლია ეს უბრალოდ, ბრძანების საშუალებით“ — აღნიშნავდა სენ-სიმონი. როგორც სენ-სიმონის, ისე სხვა უტოპიური სოციალისტების მიხედვით, საზოგადოებრივი გონიერება და აღზრდა გეევლინება როგორც თვითკმარი და თავისთავადი ძალა, რომელიც იქნება ადამიანთა მატერიალური ცხოვრების საერთო-საკეთილდღეო გარდაქმნის უნარმქონე, ისევე როგორც ყველა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების მომწესრიგებელი.

რაკი არ ემყარებოდა საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნას, ეს სოციალიზმი უტოპიური, განუხორციელებელი იყო.

მართალია, უტოპიური სოციალისტები მოსწრებულად აკრიტიკებდნენ კაპიტალისტურ წყობილებას, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ამ წყობილების მეცნიერული ახსნა. ისინი უარყოფდნენ კაპიტალიზმის რევოლუციურ გარდაქმნას და იფარგლებოდნენ წმინდა რეფორმისტული, მშვიდობიანი ამოცანებით. მათ არც შეეძლოთ რევოლუციური დასკვნების გამოტანა, ვინაიდან მათი მოღვაწეობის პერიოდში პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ იყო ფორმირებული დამოუკიდებელ კლასად და არ გამოდიოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეურიგებელი პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე. „პროლეტარიატი, რომელიც ის იყო ამ ქონებასმოკლებულ მასებს გამოეყო როგორც ახალი კლასის ჩანასახი, ჯერ კიდევ სრულიად მოკლებული იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედების უნარს, ჩაგრული, ტანჯულ წოდებას წარმოადგენდა“ [1].

უტოპისტმა სოციალისტებმა ვერ შეამჩნიეს კლასი, რომელსაც უნდა ეკისრა კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენების მისია. მათ პროლეტარიატი მიაჩნდათ მხოლოდ ტანჯულ კლასად, რომელიც შებრალებისა და თანაგრძნობის ღირსია.

უტოპისტების შეხედულებათა ეს ნაკლოვანი მხარეები კაპიტალისტური წყობილების განვითარების იმდროინდელი დონითაა შეპირობე-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 304.

ბული. „კაპიტალისტური წარმოების უმწიფარ ვითარებას, კლასების უმწიფარ მდგომარეობას უმწიფარი თეორიები შეეფერებოდა“ [1].

იმისათვის, რომ სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად განვითარებულიყო, იგი საზოგადოებრივი განვითარების კანონებს უნდა დამყარებოდა. ამ კანონების აღმოჩენა შესაძლებელი გახდა გასული საუკუნის 40-იან წლებში.

„ანტი-დიურინგის“ მომდევნო თავში — „თეორიული ნარკვევი“ — ფ. ენგელსი აანალიზებს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს, რომელთა მოქმედება აუცილებლობით იწვევს კაცობრიობის გადასელას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე., მეცნიერული კომუნიზმი ისტორიის მატერიალისტურ გაგებას ემყარება. ისტორიის მატერიალისტური გაგება იმ დებულებიდან გამოდის, რომ წარმოება და წარმოების კვალდაკვალ პროდუქტების გაცვლა ყოველი საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველია და ამიტომ საზოგადოებრივი ცვლილებების და პოლიტიკური გადატრიალებების საბოლოო მიზეზები უნდა ვეძებოთ თვით წარმოებისა და გაცვლის წესის ცვლილებებში და არა ადამიანთა თავებში და ეს ცვლილებები უნდა განხორციელდეს არა გამოგონილი, არამედ ობიექტურად არსებული მატერიალური საშუალებებით.

კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს ღრმა წინააღმდეგობანი, რომლებიც იწვევენ მისი მოსპობის აუცილებლობას.

ა) კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობაა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. კაპიტალიზმის დროს, როდესაც განვითარდა მანქანური წარმოება, აუცილებელი გახდა ათასობით ადამიანის შეთანხმებული მუშაობა. ახლა უკვე წარმოების საშუალებათა ამოძრავება ადამიანთა მთელი მასის ერთობლივ შრომას გულისხმობდა. მაშასადამე, წარმოებამ სულ უფრო მეტად შეიძინა საზოგადოებრივი ხასიათი. ასევე, შრომის პროდუქტიც საზოგადოებრივ პროდუქტად იქცა, რამდენადაც იგი მრავალი მუშის შრომის შედეგი იყო. „არც ერთ პიროვნებას არ შეეძლო ცალკე ეთქვა: ეს მ ე გავაკეთე, ეს ჩ ე მ ი პროდუქტიაო“ [2]. მაგრამ „საზოგადოებრივად წარმოებულ პროდუქტებს ახლა ითვისებდნენ არა ისინი, ვინც საწარმოო საშუალებანი ნამდვილად აამოძრავა და პროდუქტები ნამდვილად შექმნა, არამედ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი“ [3].

ამრიგად, „საწარმოო საშუალება და წარმოება არსებითად საზოგა-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 304.
[2] იქვე, გვ. 319.
[3] იქვე, გვ. 320.

დოებრივი გახდა. მაგრამ ისინი დაექვემდებარნენ მეოცისების ეკონომას, რომლის წანამძღვარს ცალკე პირთა კერძო პროდუქცია წარმოადგენს, როდესაც, მაშასადამე, თვითეული პირი ფლობს თავის საკუთარ პროდუქტს და ბაზარზე გააქვს იგი“ [1].

ბ) კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობის ბაზაზე, წარმოიშობა წინააღმდეგობა ამ საზოგადოების კლასებს შორის, სახელდობრ, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. „საზოგადოებრივ წარმოებასა და კაპიტალისტურ მეოცისებას შორის არსებულმა წინააღმდეგობამ თავი იჩინა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ანტაგონიზმის სახით“ [2].

გ) კაპიტალისტური საზოგადოება არაგეგმიურ საწყისებს ემყარება, ვინაიდან იგი წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზეა დაფუძნებული. მას, როგორც მთელს, წარმოების ანარქია ახასიათებს. მაგრამ კაპიტალისტური მოგების ამოქაჩვა შეუძლებელია ისე, თუ თითოეული საწარმო შრომას ორგანიზებულად არ წარმართავს. ასე იქმნება „წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, წარმოების ორგანიზაციასა ცალკე ფაბრიკაში და, მეორე მხრივ, მთელ საზოგადოებაში გაბატონებულ წარმოების ანარქიას შორის“ [3]. ანვითარებს რა საწარმოო ძალებს, აუმჯობესებს რა მანქანურ წარმოებას, კაპიტალიზმი ქმნის და ამრავლებს უმუშევართა არმიას. ყოველი ახალი ტექნიკურ-ორგანიზაციული პროგრესი ცალკეულ საწარმოთა შიგნით მწვავე სოციალურ შედეგებს იწვევს საზოგადოების მასშტაბით გაბატონებული ანარქიულობის გამო.

კაპიტალისტური საზოგადოების ამ ძირეული წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს საყოველთაო ჭარბი წარმოების კრიზისები. წარმოებული პროდუქცია უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოხმარებით, გასაღებით, სათანადო ბაზრებით. მაგრამ კაპიტალიზმის დროს მოხმარება, ბაზრების გაფართოება ფეხდაფეხ არ მისდევს წარმოებას. სწორედ პირიქით. წარმოების სწრაფი ტემპით ზრდა მნიშვნელოვნად აჭარბებს მას, რაც იწვევს პერიოდულ კრიზისებს დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ. „აღებ-მიცემობა ჩერდება, ბაზრები ავსებულია, გაუსაღებელი პროდუქტები მასიურად ჰყრია, ნაღდი ფული უჩინარი ხდება, კრედიტი ჰქრება, ფაბრიკები უქმად დგანან, მშრომელ მასებს საარსებო საშუალებები აკლიათ, იმიტომ, რომ ბევრი საარსებო საშუალება აწარმოეს, გაკოტრება გაკოტრებას მოსდევს, აუქციონი — აუქციონს.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 320—321.
[2] იქვე, გვ. 322.
[3] იქვე, გვ. 324—325.

წლობით გრძელდება ეს შეფერხება, საწარმოო ძალები და პროდუქტები მასიურად ნიავდება და ნადგურდება, სანამ დაგროვილი საქონლის მასა მეტი ან ნაკლები გაიაფების ზეგავლენით ბოლოს არ გასაღდება და წარმოება და გაცვლა ხელახლა თანდათან არ ამოძრავდება".[1]

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების წესი შეუძლებელს ხდის საწარმოო ძალთა შეუფერხებელ განვითარებას. აუცილებელი ხდება მისი რევოლუციური შეცვლა. საზოგადოებრივი საწარმოო ძალების შესაბამისობაში მოყვანა საკუთრების და მითვისების საზოგადოებრივ ფორმებთან. ხდება „საწარმოო ძალების აჯანყება წარმოების წესის წინააღმდეგ, რომლის არტახებში ისინი აღარ ეტევიან".[2] ამ კონფლიქტის გადაჭრის საფუძველზე აღიარებულ იქნება საწარმოო ძალების საზოგადოებრივი ბუნება, რასაც შეესაბამება წარმოების, მითვისებისა და გაცვლის წესი.

კონფლიქტი კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წყდება პროლეტარული რევოლუციის გზით. ამ გადატრიალების პირველი აქტია პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობა, რაც აუცილებელია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევისათვის. ამით პროლეტარიატი აუქმებს თავის თავს, როგორც პროლეტარიატს. მოისპობა შრომის დანაწილება, რომლის პირობებშიც მწარმოებლური შრომიდან განთავისუფლებული კლასი საზოგადოების საერთო საქმეებს განაგებდა (შრომის ხელმძღვანელობა, სახელმწიფოს მართვა, მეცნიერება. ხელოვნება და ა. შ.), ხოლო მწარმოებლები იძულებით შრომას ეწეოდნენ. ექსპლოატატორული სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენებული პროლეტარული სახელმწიფო ამოწურავს თავის ფუნქციებს და თანდათანობით მოკვდება კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე.

„სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში ზედმეტი გახდება დარგზე დარგის მიყოლებით და ბოლოს თავისთავად მოისპობა. იმ მთავრობის ადგილს, რომელიც პიროვნებებს განაგებს, დაიჭერს საგნების მმართველობა და საწარმოო პროცესების ხელმძღვანელობა"[3].

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანები თვითონვე იქცევიან თავიანთი გაბატონებული ცხოვრების ბატონ-პატრონად, საზოგადოების ობიექტური ძალები ადამიანთა სრულ კონტროლს დაექვემდებარებიან. „მხოლოდ ამიერიდან შექმნიან თვით ადამიანები

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 327.
[2] იქვე, გვ. 328.
[3] იქვე, გვ. 334.

თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით, მხოლოდ ამიერიდან მოჰყვება ნათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზეზებს უმთავრესად და თანდათან გაზრდილი ზომით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები. ესაა კაცობრიობის ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“ [1].

„ანტი-დიურინგის“ მესამე განყოფილების მ ე ს ა მ ე თ ა ვ შ ი — „წარმოება“ — ფ. ენგელსი, უწინარეს ყოვლისა, აკრიტიკებს დიურინგის არასწორ შეხედულებებს სამრეწველო კრიზისების, მსოფლიო ბაზრის, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შესახებ.

ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით ჩვენთვის აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფ. ენგელსის დებულებებს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე და ამასთან დაკავშირებით იმ შედეგებზე. რასაც იგი პიროვნების განვითარებაში იწვევს. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ დღემდე არსებული წარმოების ძირითადი ფორმა შრომის დანაწილებაა, როგორც საზოგადოების მასშტაბით, ისე ცალკეული საწარმოს შიგნით. ფ. ენგელსი ვრცლად აანალიზებს შრომის დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას ქალაქსა და სოფელს შორის, რამაც „სოფლის მოსახლეობას ათასი წლების განმავლობაში ხვედრად გონებრივი დაჩლუნგება არგუნა, ხოლო ქალაქელებს — თვითეულის დამონება მისივე სპეციალური ხელობის მიერ. მან მოსპო სოფლის მოსახლეობის სულიერი განვითარების და ქალაქელთა ფიზიკური განვითარების საფუძველი“ [2]. შრომის დანაწილება კიდევ უფრო გაღრმავდა კაპიტალიზმის დროს, როდესაც ადამიანი დაექვემდებარა ერთ რომელიმე ვიწრო სპეციალობას ფიზიკური ან გონებრივი შრომის ამა თუ იმ დარგში, მოხდა ადამიანის ნიჭის კონცენტრაცია მისი მოღვაწეობის ერთადერთ უბანზე სხვა შემოქმედებითი უნარის ჩახშობისა და გაძევების ვითარებაში.

ფ. ენგელსს თავისი წიგნის ამ ნაწილში მოჰყავს კ. მარქსის დებულებები „კაპიტალის“ პირველი ტომიდან, სადაც მსჯელობაა შრომის მანუფაქტურული და მანქანური დანაწილების უარყოფით ზეგავლენაზე ცოცხალი საწარმოო ძალის მიმართ.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ამ დროს „რომელიმე ცალმხრივი ფუნქციისადმი შეჩვევა მუშას აქცევს ამ ფუნქციის ორგანოდ“[3]. განსხვავებით ყოველმხრივ განვითარებული პიროვნებისაგან, რომელსაც თავისუფლად შეუძლია საქმიანობის ცვლა სათანადო მომზადებითა და გაწაფულობით, ნაწილობრივ განვითარებული ადამიანი ცალმხრივ ფუ-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 338.
[2] იქვე, გვ. 349.
[3] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 444.

ნქციას ეგუება და მთელ სიცოცხლეს მას უკავშირებს. კ. მარქსი ეხებოდა სამუშაო ძალის დეგრადაციას შრომის მანუფაქტურული დანაწილების დროს, და წერდა: „მანუფაქტურა ამახინჯებს მუშას იმით, რომ ხელოვნურად ავითარებს მასში მარტოოდენ ერთ ცალმხრივ დახელოვნებას მთელი მისი დანარჩენი მწარმოებლური მიდრეკილებისა და ნიჭის ჩახშობის გზით“ [1].

ერთ პოლუსზე — გამოცალკევებულ შრომით ფუნქციაში დახელოვნება, ხოლო მეორეზე — ყველა სხვა უნარის და მიდრეკილების შეზღუდვა და დათრგუნვა — ასეთია დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები, რომელიც გამოწვეულია მუშის ცალმხრივი დახელოვნებით. „ერთი რომელიმე საქმიანობის განვითარებას მსხვერპლად ეწირება ყველა დანარჩენი ფიზიკური და სულიერი უნარი“ [2].

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ამ დებულებებიდან ნათელია, რომ პიროვნების განვითარების ცალმხრივობა ცალმხრივი შრომითი ფუნქციების შესრულებით განისაზღვრება. მდგომარეობას არ ცვლის მანქანური წარმოების განვითარებაც კაპიტალიზმის დროს. კ. მარქსი ახასიათებდა მანქანების კაპიტალისტური გამოყენების მავნე შედეგებს პიროვნების ფიზიკური და გონებრივი უნარის განვითარებაზე. იგი წერდა, რომ „მანქანური შრომა, რომელიც ნერვულ სისტემას მთლიანად იპყრობს, ახშობს კუნთების მრავალნაირ მოძრაობას და ართმევს ადამიანს თავისუფალი ფიზიკური და გონებრივი მოქნილობის ყოველგვარ შესაძლებლობას“[3] და რომ კაპიტალისტური წარმოების წესის მოსპობა აუცილებელია „ინდივიდთა თავისუფალი, გონებრივი და საზოგადოებრივი მოქმედებისათვის“ [4].

ექსპლოატატორული წყობილებისაგან განსხვავებით, სადაც შრომის დამმონებელი დანაწილება ადამიანში ანვითარებდა ცალმხრივ დახელოვნებას მისი მრავალფეროვანი უნარისა და მიდრეკილებების ჩახშობისა და შეიწროების ფასად, კომუნისტური საზოგადოება სპობს შრომის ძველ დანაწილებას. ძირეულად ცვლის შრომის ხასიათს და ამით იწვევს ინდივიდის გონებრივი და ფიზიკური ძალების სრულყოფას და თანაბარზომიერ ამოქმედებას. პიროვნების გონებრივი და ფიზიკური უნარების ყოველმხრივი გაშლა და სრულყოფა განსაზღვრულია შრომის, წარმოების განვითარების მაღალი დონით, მისი თავისებურებებით.

ამასთან დაკავშირებით ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში „მწარმოებლური შრომა ადამიანის დამონების საშუა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 458.
[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 349.
[3] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 535.
[4] იქვე, გვ. 667.

ლეის მაგიერ ადამიანის განთავისუფლების საშუალებად გადაიქცევა, რამდენადაც იგი თვითეულ პიროვნებას შესაძლებლობას მიანიჭებს ყველა მიმართულებით განავითაროს და აამოქმედოს ყოველი თავისი უნარი, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი" [1]. ფ. ენგელსის მიხედვით საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული წყობილება ყველა წევრს „მათი ფიზიკური და სულიერი ნიჭის სრულიად თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების გარანტიას მისცემს" [2].

ამრიგად, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება ნიშნავს ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ სრულყოფას მრავალმხრივი შრომითი საქმიანობისათვის, სამუშაო ძალის სრულ ქმედითუნარიანობას სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებისათვის. საქმიანობა რომ ცვალოს როგორც საწარმოო, ისე არამწარმოებლურ სფეროში, პიროვნება განვითარებული უნდა იყოს ფიზიკურადაც და გონებრივადაც, და ამასთანავე თითოეულ მათგანში სრულყოფას უნდა აღწევდეს ყველა მიმართულებით. აღიზრდება მწარმოებელთა თაობა, „რომელსაც მთელი ინდუსტრიული წარმოების მეცნიერული საფუძვლები ესმის და რომლის თითოეულ წევრს პრაქტიკულად ცალ-ცალკე წარმოების დარგების მთელი რიგი აქვს შესწავლილი თავიდან ბოლომდე" [3].

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება გულისხმობს აგრეთვე ადამიანის გონებრივი და ფიზიკური უნარების გაერთიანებას და სრულყოფას ყველა მიმართულებით, განსხვავებით ინდივიდის ცალმხრივი განვითარებისაგან, რომლისთვისაც ნიშანდობლივია მისი გონებრივი უნარის ნაწილობრივი განვითარება ფიზიკური უნარისაგან გამოცალკევებით ანდა პირიქით.

ფიზიკური და გონებრივი უნარის ჰარმონიული გაერთიანება და განვითარება ყველა მიმართულებით აგრეთვე შეადგენს ახალი ადამიანის ერთ-ერთ არსებით ნიშანს.

„ანტი-დიურინგის" მესამე განყოფილების ბოლო თავები ეთმობა ე. დიურინგის კრიტიკას განაწილების, რელიგიის, სახელმწიფოს, ოჯახისა და აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფ. ენგელსის დებულებები უშუალო საზოგადოებრივი შრომისა და განაწილების შესახებ კომუნისტურ საზოგადოებაში. კომუნიზმის დროს აღარ იქნება სასაქონლო წარმოება. „თვითეული ცალკე პიროვნების შრომა, როგორ განსხვავებულიც უნდა იყოს მისი სპეციფიკური სასარგებლო ხასიათი, თავიდან-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 352.
[2] იქვე, გვ. 337.
[3] იქვე, გვ. 355.

ვე და უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა გახდება“ [1]. ამით განსაზღვრულია კომუნისტური შრომის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი.

ფ. ენგელსი აკრიტიკებს დიურინგს რელიგიის საკითხშიც. დიურინგის აზრით, მომავალ საზოგადოებაში რელიგია უნდა აიკრძალოს. დიურინგს არ ესმის, რომ რელიგიის წარმოშობას, ისევე როგორც მის ქრობას თავისი სოციალური მიზეზები გააჩნია. აქვე ფ. ენგელსი გვაძლევს „რელიგიის განსაზღვრებას: რელიგია ეს არის „გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ“ [2]. რელიგია ყოველთვის არ შეიძლება არსებობდეს. „რელიგიამ შეიძლება არსებობა განაგრძოს როგორც ადამიანთა უშუალო, ე. ი. გრძნობიერმა დამოკიდებულებამ მათზე გაბატონებული უცხო, ბუნებრივი და საზოგადოებრივი ძალებისადმი, სანამ ადამიანები ფაქტიურად ასეთი ძალების ქვეშ იმყოფებიან“ [3]. მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანი გაბატონდება ობიექტურად მოქმედ უცხო ძალებზე,როდესაც „ადამიანი არა მარტო იაზროვნებს, არამედ აგრეთვე კიდეც განაგებს“, მაშინ ეაქრება რელიგიური ასახვაც, „სარწმუნოება თავისი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდება“.

გაკრიტიკებულია დიურინგის თვალსაზრისი მომავლის სახელმწიფოს მოქალაქეთა აღზრდის თაობაზე, სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლაზე. დიდად მნიშვნელოვანია ფ. ენგელსის გამოთქმული დებულება, რომ „სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა და აღზრდა უნდა შეკავშირდეს და ამით უზრუნველყოფილი გახდეს როგორც ყოველმხრივი ტექნიკური მომზადება, ისე პრაქტიკული საფუძველი მეცნიერული აღზრდისათვისო“ [4].

ასეთია მოკლედ ფ. ენგელსის შრომის მესამე განყოფილებაში განვითარებული ძირითადი სოციოლოგიური იდეები.

ფ. ენგელსის ი. ბლოხისადმი წერილები

(ფ. ენგელსი — ი. ბლოხს [5], 1890 წ. 21 — 22 სექტემბერი: ფ. ენგელსი — კ. შმიდტს [6], 1890 წ. 27 ოქტომ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 370.

[2] იქვე, გვ. 378.

[3] იქვე, გვ. 379.

[4] იქვე, გვ. 386.

[5] იოზეფ ბლოხი (1871—1931). იმ პერიოდში, როცა ი. ბლოხმა წერილი მიიღო ენგელსისაგან, იგი ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. შემდგომში მუშაობდა ჟურნალისტად. რედაქტორობდა ჟურნალ „Sozialistische Monatshefte“-ს.

[6] კონრად შმიდტი (1863—1932). გერმანელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში იგი იზიარებდა მარქსის ეკონომიკურ მოძღვრებას. შემდგომში კი განუდგა მარქსიზმს.

ბერი; ფ. ენგელსი — ფ. მერინგს[1], 1893 წ. 14 ივლისი, ფ. ენგელსი — ბორგიუსს[2], 1894 წ. 25 იანვარი).

ფ. ენგელსის ზემოთ დასახელებული წერილები, რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლებით თარიღდება. განსაკუთრებით ცნობილია იმით, რომ აქ ყოველმხრივაა გარკვეული ზედნაშენის, საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების როლი ბაზისის. საზოგადოებრივი ყოფიერების მიმართ, მათი აქტიური უკუმოქმედება საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაზე. ამ წერილებში ფ. ენგელსი არკვევს ისტორიული მატერიალიზმის სხვა პრობლემებსაც, რომელთაც ჩვენ აგრეთვე მოკლედ შევეხებით.

ისტორიული ვითარება, რომელმაც აუცილებელი გახადა ზედნაშენის, საზოგადოებრივი ცნობიერების აქტიურობის საკითხის დამუშავება გასული საუკუნის 90-იან წლებში.

მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობა იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც გადაუდებელ ისტორიულ აუცილებლობად იქცა ბრძოლა იდეალიზმის წინააღმდეგ სოციოლოგიაში, ბრძოლა იდეალიზმის გასაძევებლად მისი „უკანასკნელი თავშესაფრიდან". იდეალიზმის განდევნა სოციოლოგიიდან, იდეების, ზედნაშენის როლის მეცნიერული გარკვევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე. ისტორიულად შექმნილი ვითარების გამო მარქსისა და ენგელსის მეცნიერული მოღვაწეობის ცენტრში იდგა საზოგადოებრივი ცნობიერებისა და მისი ფორმების, ზედნაშენის წარმოშობის საკითხის დამუშავება. იმის დასაბუთება, რომ საზოგადოების სულიერი ცხოვრება საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირველსაფუძველს კი არ წარმოადგენს, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პროდუქტს, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების ასახვას. ამაზე მიუთითებდა ენგელსიც. „ჩვენ იძულებული ვიყავით მოწინააღმდეგეთა საპირისპიროდ მათ მიერ უარყოფილი მთავარი პრინციპისათვის გაგვესვა ხაზი..."[3] — წერდა იგი. თავის წერილებში (1890 — 1894 წწ.) ენგელსი რამდენიმეჯერ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კ. მარქსთან ერთად იგი უწინარეს ყოვლისა ამუშავებდა იდეების წარმოშობის საკითხს, რაც უშუალოდ გამოწვეული იყო მარქსიზმის მტრებთან ბრძოლის თავისებურებებით.

---

[1] ფრანც მერინგი (1846—1919). თვალსაჩინო პუბლიცისტი და ისტორიკოსი. გერმანელი შემარცხენე სოციალ-დემოკრატების აღიარებული თეორეტიკოსი, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი შემქმნელი.

[2] კ. მარქსის და ფ. ენგელსის ნაწარმოებთა წინა გამოცემებში ბორგიუსის ნაცვლად შეცდომით დასახელებულია ჰ. შტარკენბურგი.

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 600.

ისტორიის მატერიალისტური გაგების ამოსავალი დებულება იმის შესახებ, რომ განმსაზღვრელ მომენტს ისტორიაში საბოლოო ანგარიშით მატერიალური ცხოვრების წარმოება წარმოადგენს, მარქსიზმის მტრების თავდასხმის ობიექტად იქცა ჯერ კიდევ ენგელსის სიცოცხლეში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იან წლებში. მარქსისტული ფილოსოფიის ამ პრინციპული საკითხის დამახინჯება წარმოებდა რევიზიონისტებისათვის დამახასიათებელი ხერხით, „მარქსიზმის დაცვის“ ლოზუნგით. მარქსიზმის მტრები გამოდიოდნენ მარქსიზმის ეშმარიტი დებულებიდან, რომ იდეოლოგიის სფეროს არ გააჩნია საზოგადოების მატერიალური ცხოვრებისაგან დამოუკიდებელი ისტორიული განვითარება. ისინი აბსტრაქტულ ფრაზად აქცევდნენ მას, ირწმუნებოდნენ, რომ იდეები, თეორიები, ზედნაშენი არავითარ აქტიურ როლს არ ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ საზოგადოებრივი განვითარების ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად ეკონომიკური მხარე უნდა მივიჩნიოთ.

საინტერესოა, ეს საკითხი პრინციპულად, ძირითად ხაზებში დამუშავებული იყო მარქსის მიერ. ფ. ენგელსი წერდა ი. ბლოხისადმი წერილში: „მარქსს ისეთი არა დაუწერია რა, სადაც ეს თეორია როლს არ ასრულებდეს“.[1] მარქსის შრომებში საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზისა და რომელიმე ისტორიული პერიოდის მეცნიერული გამოსახვის დროს ყოველთვის ნაჩვენებია ის როლი, რომელსაც ეკონომიკურ მხარესთან ერთად ასრულებს პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენი. იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმა, იდეოლოგების კონსერვატორული ან რევოლუციური შეხედულებები. მაგრამ ბრწყინვალე პრაქტიკული გამოყენების მიუხედავად საკითხს იდეების, მეცნიერული ასახვის გარდამქმნელი როლის შესახებ მარქსისა და ენგელსის შრომებში უფრო ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი, ვიდრე საკითხს იდეების წარმოშობის შესახებ. ამაზე არაერთხელ მიუთითებს ენგელსი, „საქმის ამ მხარეს... ჩვენ ყველანი, მე მგონია, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით, ვიდრე ის ამის ღირსი იყო“,[2] — სწერდა იგი ფ. მერინგს 1893 წ. 14 ივლისს. ამავე წერილში ენგელსი აღნიშნავდა, რომ ეს გარემოება „...არც მარქსის და არც ჩემს შრომებში, როგორც წესი, საკმაოდ არაა ხაზგასმული...“[3] რომ ამის გამო „ახალგაზრდობა ხანდახან ეკონომიურ მხარეს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს მას ეკუთვნის“.[4]

როგორც აღნიშნული იყო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარქსისა

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 600.
[2] იქვე, გვ. 611.
[3] იქვე, გვ. 609 — 610.
[4] იქვე, გვ. 600.

და ენგელსის შრომებში არ მოიპოვებოდეს სახელმძღვანელო დებულებები იდეების, მეცნიერული ასახვის აქტიური ბუნების შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

კ. მარქსი ჯერ კიდევ ადრინდელ შრომაში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი" წერდა: „თეორიაც მატერიალურ ძალად იქცევა, როგორც კი ის მასებს დაეუფლება. თეორიას აქვს უნარი, მასები დაიპყროს".[1]

მარქსი თეზისებში ფოიერბახის შესახებ მიუთითებდა თეორიისა და და პრაქტიკის ერთიანობაზე, თეორიის ფარგლებიდან გასვლისა და მეცნიერული შემეცნების როლზე სამყაროს პრაქტიკული გარდაქმნისათვის.

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად **განმარტავდნენ** სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი **შეცვლილ** იქნეს"[2].

მარქსამდელი მატერიალისტები, ფოიერბახის ჩათვლით, კმაყოფილდებოდნენ სამყაროს ახსნით, არსებული „გრძნობადი სამყაროს განმარტებით", მაგრამ, არსებითად, ვერც ხსნიდნენ სამყაროს. ვინაიდან მოწყვეტილი იყვნენ სოციალურ-ისტორიულ პრაქტიკას, არ იცნობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებებს. მარქ-სამდელი მატერიალიზმის საწინააღმდეგოდ მარქსიზმის ფილოსოფია მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურ გარდაქმნას საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერული გაგების საფუძველზე დასახული გზების მიხედვით.

„...**პრაქტიკული** მატერიალისტისათვის, ე. ი. **კომუნისტისათვის** მთელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ არსებული სამყარო გაარევოლუციუროს, რომ არსებული ვითარების წინააღმდეგ პრაქტიკულად გაილაშქროს და იგი შეცვალოს".[3]

შრომაში „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" მარქსი და ენგელსი ლაპარაკობენ იდეებზე, „რომელნიც მთელ საზოგადოებას არევოლუციურებენ". ამასთანავე მარქსი, და ენგელსი აღნიშნავენ, რომ იდეები, რომლებსაც კომუნისტები ქადაგებენ, არ ემყარებიან „მსოფლიოს ამა თუ იმ რეფორმატორის" მიერ აღმოჩენილ პრინციპებს. ეს იდეები „მხოლოდ არსებული კლასობრივი ბრძოლის ფაქტიური ვითარების, ჩვენს თვალწინ წარმოებული ისტორიული მოძრაობის საყოველთაო ვამოხატულებას წარმოადგენენ".[4] ამ იდეებიდან გამომდინარე, კომუ-

---

[1] კ. **მარქსი**, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, 1946, გვ. 15.

[2] კ. **მარქსი**, ფ. **ენგელსი**, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 494.

[3] კ. **მარქსი**, ფ. **ენგელსი**, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, 1968, გვ. 41.

[4] კ. **მარქსი**, ფ. **ენგელსი**, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 26.

სისტემები მოითხოვენ ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობას, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას პროლეტარიატის მიერ.

დებულებებს იდეების, ზედნაშენის, იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმის როლის შესახებ ვხვდებით მარქსის შრომებში: „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა", „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე", „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", „კაპიტალი" და სხვ.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფ. ენგელსის წერილები (1891 — 1894 წწ.), რომლებშიც ენგელსი სპეციალურად არკვევს იდეების, ზედნაშენური ხასიათის მოვლენების როლის საკითხს. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ზედნაშენური ხასიათის მოვლენები, ისევე როგორც ადამიანთა შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები, რომლებიც საზოგადოებრივ ყოფიერებას ასახავენ, თავის მხრივ უკუზეგავლენას ახდენენ მასზე.

„ეკონომიური მდგომარეობა ბაზისია, მაგრამ ისტორიული ბრძოლების მსვლელობაზე ზეგავლენას ახდენენ აგრეთვე და მრავალ შემთხვევაში უმთავრესად მის ფ ო რ მ ა ს განსაზღვრავენ ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები: ნამდვილი ბრძოლების თვით ასახვაც კი მონაწილეთა ტვინში, პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური თეორიები, რელიგიური შეხედულებანი"...[1] ადამიანთა შეხედულებები „მათი შეცდომების ჩათვლით, — უკუგავლენას ახდენენ მთელ საზოგადოებრივ განვითარებაზე, ეკონომიურზეც კი".[2]

ამრიგად, მარქსიზმის ფუძემდებლების შრომებში გარკვეულია ის როლი, რომელსაც ასრულებენ იდეები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, დასაბუთებულია მოწინავე თეორიის მნიშვნელობა მუშათა მოძრაობისათვის. ვ. ი. ლენინი მარქსიზმის ფუძემდებლებს უდიდეს ისტორიულ დამსახურებად უთვლიდა სოციალიზმის წარმართვას მუშათა მოძრაობასთან შეერთებისაკენ.

„სოციალიზმის წარმართვა მუშათა მოძრაობასთან შეერთებისაკენ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მთავარი დამსახურებაა: მათ შექმნეს რევოლუციური თეორია, რომელმაც გაარკვია ასეთი რევოლუციური შეერთების აუცილებლობა და სოციალისტებს ამოცანად დაუსახა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია".[3]

წერილში ი. ბლოხისადმი ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად განმსაზღვრელი მომენტი ისტორიულ პროცესში საბოლოო ანგარიშით მატერიალური წარმოებაა,

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 598.
[2] იქვე, გვ. 607.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 310.

მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა, ბაზისი არ არის ერთადერთი განმსაზღვრელი მიზეზი. ისტორიულ ბრძოლებზე გავლენას ახდენენ და მრავალ შემთხვევაში მის ფორმასაც კი განსაზღვრავენ ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები: პოლიტიკური ფორმები, კონსტიტუციები, საერთაალი, ფილოსოფიური, პოლიტიკური, იურიდიული თეორიები, რელიგიური შეხედულებები, ტრადიციებიც კი.

რაც შეეხება ისტორიულ მოვლენებს — ისინი გამომდინარეობენ საზოგადოებრივ ძალთა პარალელოგრამების ამ უსასრულო ჯგუფიდან. ამიტომ ისტორიული მოვლენის მიზეზები არ უნდა დავიყვანოთ ერთ რომელიმე ფაქტორზე, თუნდაც გადამწყვეტზე მათ შორის — ეკონომიკაზე. ფ. ენგელსი წერს, რომ „ძნელად თუ მოახერხებს ვინმე, ისე რომ სასაცილო არ შეიქნეს, მხოლოდ ეკონომიური მიზეზებით ახსნას წარსულისა და აწმყოს ყოველი პაწია გერმანული სახელმწიფოს არსებობა; ან ეკონომიურად ახსნას თანხმოვან ბგერათა ზემოგერმანული გადაწყვეტის წარმოშობა".[1]

წერილში კ. შმიტისადმი ფ. ენგელსი მეტწილად ეხება სახელმწიფოსა და სამართლის უკუზეგავლენას ბაზისზე, იგი აქაც აღნიშნავს, რომ ეკონომიკური მოძრაობა საერთოდ და მთლიანად იკაფავს გზას, მაგრამ იგი ამასთანავე განიცდის მის ბაზაზე აღმოცენებული და შეფარდებითი დამოუკიდებლობის მქონე პოლიტიკური მოძრაობის უკუქმედებას. ამასთან „სახელმწიფო ძალაუფლების უკუმოქმედება ეკონომიურ განვითარებაზე შეიძლება იყოს სამგვარი: ის შეიძლება მოქმედებდეს იმავე მიმართულებით, — მაშინ საქმე უფრო სწრაფად მიდის; იგი შეიძლება ეკონომიური განვითარების წინააღმდეგ მოქმედებდეს, — მაშინ ის, როგორც ეს დღესდღეობით ყოველ დიდ ხალხში ხდება, დიდი ხნით კრახს განიცდის; ან მას შეუძლია ეკონომიურ განვითარებას გარკვეული მიმართულებით გზა გადაუკრას და სხვა მიმართულება მოანვიოს თავს. ეს შემთხვევა საბოლოოდ ზემოაღნიშნული ორი შემთხვევიდან ერთ-ერთ შემთხვევაზე დაიყვანება".[2]

აქრიგად, პოლიტიკური ზედნაშენი ან ხელს უწყობს ბაზისის განვითარებას, ან პირიქით ხელს უშლის მას გარკვეულ ისტორიულ პირობებში.

იგივე ითქმის სამართალზეც, რომელიც უკუმოქმედებს წარმოებაზე, ვაჭრობაზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე, აგრეთვე ისეთ იდეოლოგიურ დარგებზე, როგორიცაა ფილოსოფია, რელიგია. ეკონომიკა აქაც განსაზღვრავს სააზროვნო მასალის ხასიათს, მისი შეცვლისა და განვითარების სახეს. მაგრამ ეკონომიკური პირობებისაგან მათი საერ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 599.

[2] იქვე, გვ. 604.

თო დამოკიდებულების ფარგლებში ეს იდეოლოგიური და პოლიტიკური ზედნაშენი აქტიურ ზეგავლენას ახდენს თავის წარმომშობ ბაზისზე. პოლიტიკურ ბრძოლებზე, პრაქტიკულ ცხოვრებაზე.

ამავე წერილში კ. შმიდტისადმი ფ. ენგელსი მიუთითებს იმ მიზეზებზე, რაც იწვევს ზედნაშენის როლის შეუფასებლობას: ეს არის დიალექტიკის უგულებელყოფა, მიზეზისა და შედეგის დიალექტიკის უცოდინარობა. „რაც ყველა ამ ვაჟბატონებს აკლიათ — ეს არის დიალექტიკა, ისინი მუდამ აქ მხოლოდ მიზეზს ხედავენ, იქ — შედეგს. ისინი ვერ ხედავენ... რომ მთელი დიადი პროცესი ძალთა ურთიერთქმედების ფორმით მიმდინარეობს, — თუმცაღა ურთიერთმოქმედი ძალები მეტად არათანასწორნი არიან: ეკონომიური მიძრაობა მათ შორის ყველაზე ძლიერი, ყველაზე თავდაპირველი, ყველაზე გადამწყვეტია, — რომ აქ აბსოლუტური არაფერია, არამედ ყველაფერი შეფარდებითია".[1] მსგავს შეხედულებას ფ. ენგელსი გამოთქვამს აგრეთვე ფ. მერინგისადმი მიწერილ წერილში. მცდარ თვალსაზრისს იმის შესახებ. რომ იდეოლოგიური სფერო გავლენას არ ახდენს ისტორიულ განვითარებაზე, „საფუძვლად უდევს ჩვეულებრივი არადიალექტიკური წარმოდგენა მიზეზსა და შედეგზე, როგორც უცვლელად ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ პოლუსებზე, საფუძვლად უდევს მათი ურთიერთზემოქმედების აბსოლუტური უგულებელყოფა. ეს ვაჟბატონები ხშირად თითქმის განზრახ ივიწყებენ, რომ ისტორიული მოვლენა, რაკიღა იგი ერთხელ წარმოიშვა სხვა, საბოლოო ანგარიშით ეკონომიური ფაქტებისაგან, თავის მხრივაც აგრეთვე გავლენას ახდენს და შეუძლია თავის გარემოზე და თვით თავის საკუთარ მიზეზებზეც კი უკუმოქმედოს".[2]

ეკონომიკური პირობების განმსაზღვრელ როლს ისტორიული განვითარების მიმართ ფ. ენგელსი ერთხელ კიდევ უბრუნდება ~~ბლოგიფ~~ სისადმი მიწერილ წერილში (1894 წლის 25 იანვარი). პოლიტიკური, სამართლებრივი, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, მხატვრული და სხვა ზედნაშენური მოვლენების განვითარება, მართალია, ეკონომიკურ განვითარებას ემყარება, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა არ არის ერთადერთი აქტიური მიზეზი, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი — მისი მხოლოდ პასიური შედეგი — აღნიშნავდა იგი.

ამავე წერილში ფ. ენგელსი გვაძლევს ეკონომიკურ ურთიერთობათა, ე. ი. ბაზისის ცნებას. იგი წერს: „ეკონომიურ ურთიერთობებში, რომელთაც ჩვენ საზოგადოების ისტორიის განმსაზღვრელ ბაზისად ვთვლით, ვგულისხმობთ იმ წესს, რომლითაც გარკვეული საზოგადოების ადამიანები თავიანთ საარსებო საშუალე-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 608—609.
[2] იქვე, გვ. 612.

ბებს აწარმოებენ და ერთმანეთს შორის პროდუქტებს ცვლიან".[1] აქ ეკონომიკური ურთიერთობების ცნებაში ფ. ენგელსს შეაქვს აგრეთვე ტექნიკა და გეოგრაფიული გარემო. რაც უნდა გავიგოთ ისე, რომ ეკონომიკური ურთიერთობები ტექნიკის მოპოვებულ დონეს შეესაბამება და აგრეთვე, გარკვეული აზრით, შეპირობებულია საზოგადოების გარემომცველი გეოგრაფიული პირობებით.

წერილში ბორგიუსისადმი განხილულია აგრეთვე ტ ე ქ ნ ი კ ი ს ა და მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს პრობლემა. ბორგიუსის შეხედულებით, ტექნიკის მდგომარეობა მეტწილად მეცნიერების განვითარების დონეზეა დამოკიდებული. ფ. ენგელსი აკრიტიკებს ამ აზრს და წერს, რომ მეცნიერება გაცილებით მეტადაა დამოკიდებული ტექნიკის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებზე, ვიდრე პირიქით. „როცა საზოგადოებას ტექნიკის მოთხოვნილება უჩნდება, მაშინ ეს მოთხოვნილება გაცილებით უფრო წინ სწევს მეცნიერებას, ვიდრე ათეული უნივერსიტეტი".[2] მაშასადამე, მეცნიერების ისტორიის გასაღებს წარმოების ისტორია წარმოადგენს.

ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა და შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ო ბ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი. პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს რ ო ლ ი ი ს ტ ო რ ი ა შ ი. საზოგადოება, ისევე, როგორც მთელი სამყარო გარკვეულ აუცილებლობას ექვემდებარება. მართალია, ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას და თითოეული თავის მიზანს მისდევს, მაგრამ მათი მისწრაფებები ერთმანეთს ეჯვარედინებიან და საზოგადოებაში ყოველთვის ყალიბდება გარკვეული აუცილებლობა, რაც საბოლოო ჯამში ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს სახეს იღებს. ყოველგვარი მოვლენა საზოგადოებაში საბოლოო ჯამში ეკონომიკური აუცილებლობით განისაზღვრება. მაგრამ აუცილებლობა გზას იკაფავს შემთხვევითობების საშუალებით. ფ. ენგელსი აქვე გვაძლევს შემთხვევითობის დეფინიციას, იგი აღნიშნავს, რომ აუცილებლობის „დამატება და გამოვლენის ფორმა შემთხვევითობაა".[3] რაც უფრო შორდება ესა თუ ის მოვლენა თავის ეკონომიკურ საფუძველს, მით უფრო შემთხვევითად გვეჩვენება იგი ისტორიაში. მაგრამ სინამდვილეში შემთხვევითობის მიღმა ყოველთვის აუცილებლობა დგას და რაც უფრო ზიგზაგისებურია შემთხვევითობათა მრუდი, მით უფრო უახლოვდება ამ მრუდის საშუალო ღერძი ეკონომიკური განვითარების ღერძს და მის პარალელურად მიემართება.

დიდი ადამიანების როლი ისტორიაში სწორედ იმით განისაზღვრე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 617—618.
[2] იქვე, გვ. 618.
[3] იქვე. გვ. 619.

ბა, თუ როგორ უპასუხებს მისი მოქმედება ისტორიულ აუცილებლობას, ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს. „ის გარემოება, რომ სწორედ ესა თუ ის დიდი პიროვნება ამა თუ იმ ქვეყანაში გარკვეულ ხანაში ჩნდება, რასაკვირველია, წმინდა შემთხვევითობაა, მაგრამ თუ ამ პიროვნებას მოვიშორებთ, გაჩნდება მოთხოვნა მისი სხვა პიროვნებით შეცვლისა და ასეთი შემცვლელიც გამოჩნდება. ავად თუ კარგად, მაგრამ დროთა ვითარებაში გამოჩნდება. რომ ნაპოლეონი, სწორედ ეს კორსიკელი, ის სამხედრო დიქტატორი იყო, რომელსაც ომით დაუძლურებული საფრანგეთის რესპუბლიკა საჭიროებდა, — ეს შემთხვევითობა იყო. მაგრამ ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყო, მის როლს სხვა ვინმე შეასრულებდა. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ყოველთვის, როცა კი ასეთი ადამიანი საჭირო ხდებოდა, იგი გამოინახებოდა ხოლმე: კეისარი, აუგუსტუსი, კრომველი და ა. შ.“.[1]

ამრიგად, დიდი პიროვნება თვით გარემოებათა პროდუქტია, იგი დიდია იმდენად, რამდენადაც გამოხატავს და აკმაყოფილებს ისტორიული აუცილებლობის მოთხოვნებს.

ფ. ენგელსის 90-იანი წლების წერილებში განხილულია სხვა საკითხებიც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფ. ენგელსის ღებულებები საზოგადოების ისტორიის, როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შესახებ (წერილი ი. ბლოხისადმი), შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შესახებ (წერილი კ. შმიდტისადმი), კ. მარქსის ისტორიული დამსახურების შესახებ (წერილი ფ. მერინგისადმი) და სხვ.

ვ. ი. ლენინი. „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“

ნაკვეთი პირველი (1894 წ.)

ისტორიული ვითარება, რომელშიც დაიწერა ვ. ი. ლენინის წიგნი „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“. ვ. ი. ლენინის ეს წიგნი მიმართულია ლიბერალ ნაროდნიკთა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ თავს სიტყვიერად „ხალხის მეგობრებად“ აცხადებდნენ, სინამდვილეში კი გამოხატავდნენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ინტერესებს, უარყოფდნენ მარქსიზმს, ებრძოდნენ რუს სოციალ-დემოკრატებს, უარს ამბობდნენ რევოლუციური ბრძოლის მეთოდებზე, ქადაგებდნენ შემარიგებლობას მეფის მთავრობასთან.

ლიბერალი ნაროდნიკები გასული საუკუნის 90-იან წლებში ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს მუშათა რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 619—620.

თავიანთი ლეგალური ლიტერატურით ისინი თავს ესხმოდნენ მარქსიზმს და ავრცელებდნენ ანტიმეცნიერულ შეხედულებებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამ მხრივ ლიბერალ ნაროდნიკთა ყოველთვიური ჟურნალი „რუსსკოე ბოგატსტვო“, რომელსაც იმ დროს ნ. მიხაილოვსკი და ს. კრივენკო რედაქტორობდნენ. ნ. მიხაილოვსკიმ თავისი ჟურნალის ფურცლებზე გამოაცხადა, რომ „პოლემიკას“ ვიწყებთ „ჩვენი ეგრეთწოდებული მარქსისტების ანუ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ინტერესები მოითხოვდა ლიბერალური ნაროდნიკობის იდეოლოგიის კრიტიკას, იმის მხილებას, რომ ისინი „ხალხის მეგობრები“ კი არა, „სოციალ-დემოკრატიის დაუძინებელი მტრები“ იყვნენ.

სწორედ ამ მიზნით დაიწერა ეს სახელგანთქმული პოლემიკური ნაშრომი, რომელშიც ვ. ი. ლენინმა იდეურად გაანადგურა ლიბერალური ნაროდნიკობა, დაიცვა მარქსიზმი, შემდგომ განავითარა მისი მთელი რიგი დებულებები.

ნ. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი ს ბ რ ა ლ დ ე ბ ე ბ ი მ ა რ ქ ს ი ს მ ი მ ა რ თ. ნ. მიხაილოვსკი გამოდიოდა მარქსიზმის თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ. იგი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ:

ა) მარქსს თითქოს არც ერთ შრომაში არ მოუცია ისტორიის მატერიალისტური გაგება. „რომელ თხზულებაში გადმოსცა მარქსმა თავისი მატერიალისტური გაგება ისტორიისა?... სადღაა მარქსის სათანადო ნაშრომი?“ — აყენებდა კითხვას ნ. მიხაილოვსკი და თვითონვე უპასუხებდა, — „იგი არ არსებობს... ამგვარი რამ არ მოიპოვება მთელს მარქსისტულ ლიტერატურაშიც“ [1].

ბ) მარქსს არ შეუქმნია „სრულიად ახალი“ გაგება ისტორიისა.

გ) მარქსი მიზნად ისახავდა მთელი ეკონომიკური ლიტერატურისა და სათანადო ფაქტების გამოკვლევას და არაფერი ახალი შეუტანია თვით ეკონომიკურ მეცნიერებაშიც.

ვ. ი. ლენინი ეხებოდა ნ. მიხაილოვსკის ამ ბრალდებებს მარქსის ნაწარმოებების — „კაპიტალის“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის წინასიტყვაობის“, „ფილოსოფიის სიღატაკის“, აგრეთვე „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ანალიზის ბაზაზე და აღნიშნავდა, რომ „ყველა, ვინც მარქსს იცნობს, ამაზე მეორე კითხვით უპასუხებდა: რომელ თხზულებაში არ გადმოუცია მარქსს თავისი მატერიალისტური გაგება ისტორიისა?“.

ვ. ი. ლენინი ახასიათებს კ. მარქსის დამსახურებას საზოგადოებრივ მეცნიერებაში:

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 141 — 142 .

კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების აღმოჩენა. მარქსამდე საზოგადოების შესახებ მსჯელობდნენ აბსტრაქტულად, ზოგადად; „რაში-ღა მდგომარეობდა ამ თეორიების ცხრა მეათედი? წმინდა აპრიორულ, დოგმატურ, აბსტრაქტულ აზრთწყობაში იმის შესახებ, თუ რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი? და სხვ... მაგრამ.. დაწყება საკითხებით — რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი? — ეს ხომ ბოლოდან დაწყებას ნიშნავს. საიდან მიიღებთ წარმოდგენას საზოგადოებასა და პროგრესზე საზოგადოდ. როცა თქვენ ჯერ კიდევ არცერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ შეგისწავლიათ კერძოდ“.[1] „გიგანტური ნაბიჯი, რომელიც ამ მხრივ მარქსმა წინ გადასდგა, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან უკუაგდო მთელი ეს ზოგადი მსჯელობანი საზოგადოებასა და პროგრესზე და სამაგიეროდ მოგვცა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ანალიზი ე რ თ ი საზოგადოებისა და ე რ თ ი პროგრესისა — კაპიტალისტურისა“[2]. აღმოაჩინა და გამოიკვლია კაპიტალისტური ფორმაციის ეკონომიკური კანონები.

მეცნიერული სოციოლოგიის შემუშავება. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება. ვ. ი. ლენინს მოჰყავს ის ადგილი კ. მარქსის ნაშრომიდან „წინასიტყვაობა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომელშიც ისტორიული მატერიალიზმის არსებაა ფორმულირებული. მარქსის მიერ შექმნილი მეცნიერული სოციოლოგიის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ის, რომ მან მოგვცა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება და საზოგადოებრივი განვითარება ბუნებრივ-ისტორიულ პროცესად წარმოსახა.

ვ. ი. ლენინი დიდ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნებას, რომელიც კ. მარქსმა შეიმუშავა. ეს ცნება უცნობი იყო მარქსამდელი სოციოლოგების, ისტორიოგრაფებისა და ეკონომისტებისათვის. მხოლოდ მისი შინაარსის ზუსტად განსაზღვრამ „შექმნა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი სოციოლოგიის შესაძლებლობა“, „პირველად აიყვანა სოციოლოგია მეცნიერების სიმაღლეზე“[3].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მეცნიერული განსაზღვრით, კ. მარქსი უპირისპირდებოდა ბურჟუაზიულ სოციოლოგებს, ეკონომისტებსა და ისტორიოგრაფებს, რომლებიც უარყოფდნენ საწარმოო-ეკონომიკური ფაქტორების გადამწყვეტ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ უკანასკნელის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად იდეურ მოტივებს აცხადებდნენ.

ვ. ი. ლენინს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მარქსის-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 155.

[2] იქვე, გვ. 157.

[3] იქვე, გვ. 150—151.

ტული გაგების დაცვა მოუხდა სხვადასხვა ჯურის იდეოლოგების, უმთავრესად კი ხალხოსნების (ნ. მიხაილოვსკი, პ. ლავროვი და სხვ.) სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. სუბიექტური სოციოლოგები არ ცნობდნენ საზოგადოებას, როგორც მთლიან სოციალურ ორგანიზმს. აბსტრაქტულად განიხილავდნენ მას, უგულებელყოფდნენ საზოგადოების მრავალგვარი მხარეების განსაზღვრულობას ეკონომიკური საფუძვლებით. მათთვის საზოგადოებრივი განვითარება არ წარმოადგენს ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, ხოლო საზოგადოებრივი პროგრესი მთლიანად დამოკიდებულია სუბიექტურ ფაქტორებზე.

ვ. ი. ლენინი ებრძოდა სუბიექტურ სოციოლოგიას. მან დაიცვა და განავითარა კ. მარქსის თვალსაზრისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესახებ. მან გამოჰყო და ყოველმხრივად გაანალიზა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების ისეთი არსებითი ნიშნები, როგორიცაა მთლიანობა, კონკრეტულობა, ზოგადობა. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საწარმოო საფუძვლების განმსაზღვრელი კავშირი ფორმაციის სხვა მხარეებთან, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პროგრესული ხასიათი და სხვა.

შევეხოთ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების ამ არსებით ნიშნებს ცალ-ცალკე.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია როგორც სოციალური ცხოვრების განსხვავებული მხარეების ორგანული მთლიანობა. საზოგადოება მოიცავს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ მხარეებსა და მიმართებებს.

საზოგადოებას, განვითარების რომელ საფეხურზეც არ უნდა იდგეს იგი, არ შეუძლია არსებობა საწარმოო ძალების, შრომის საშუალებების გარეშე, შრომის იარაღების გამოყენების გზით ბუნების ძალებზე აქტიური ზემოქმედების გარეშე. მაშასადამე, ადამიანები გარკვეულ საწარმოო პრაქტიკულ მიმართებას ამყარებენ ბუნებასთან.

როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი განვითარების დონე, ადამიანებს შორის აუცილებლობით ყალიბდება საკუთრების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების ურთიერთობანი, ე. ი. წარმოებითი ურთიერთობანი. მაშასადამე, ადამიანები გარკვეულ ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან.

ყოველ დროსა და ვითარებაში საზოგადოებაში აღმოცენებული და გავრცელებულია ესა თუ ის შეხედულებანი, იდეები, მისწრაფებანი, თეორიები, ე. ი. ადამიანთა შორის გაბმულია სულიერ ურთიერთობათა რთული ქსელი. საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ზედნაშენი.

საზოგადოებრივი განვითარების ანტაგონისტურ საფეხურებზე ადა-

მიანთა შორის ყალიბდება კლასობრივი, პოლიტიკური, ეროვნული და სხვა სახის ურთიერთობანი. აქ საზოგადოების წევრთა ერთი ნაწილის მისწრაფებანი ძირეულად ეწინააღმდეგება მეორე ნაწილის მისწრაფებებს, მიმდინარეობს ბრძოლა ხალხთა და საზოგადოებათა შორის, აგრეთვე მათ შიგნით. ყოველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც ამას ადასტურებს ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების ისტორია, ერთმანეთს ცვლიდა მშვიდობისა და ომების, შეჩერებისა და სწრაფი პროგრესის ანდა დაცემულობის პერიოდები.

ხომ არ გვევლინება ადამიანთა ისტორია როგორც საზოგადოებრივ ძალთა უწესრიგო თამაში, როგორც ქაოსი, სადაც შეუძლებელია დადგინდეს გარკვეული კანონზომიერი კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებსა და მხარეებს შორის? ხომ არ წარმოადგენს ისტორია ამ მხარეებისა და მიმართებების შემთხვევით თავმოყრას? საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ არსებითად ასეთი შეხედულება იყო გაბატონებული მარქსამდელ სოციოლოგიაში.

მარქსამდელი სოციოლოგებისათვის გაუგებარი დარჩა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კანონზომიერი კავშირი და ორგანული ერთიანობა. რასაკვირველია, მარქსამდელი სოციოლოგები ამჩნევდნენ სხვადასხვა ურთიერთობებსა და მხარეებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ მეტაფიზიკური შეხედულების, აგრეთვე საზოგადოების გაგების დარგში იდეალისტური შეხედულების გამო ვერ ხედავდნენ ორგანულ კავშირს მათ შორის. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ისინი „...უ კ ე თ ე ს შემთხვევაში იძლეოდნენ დაუმუშავებელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეკრებილი ფაქტების გროვას და ისტორიული პროცესის ცალკეული მხარეების სურათს".[1]

საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი გაგება გზას უხსნიდა სუბიექტივიზმს სოციოლოგიაში, ავანტიურიზმს პრაქტიკაში.

ადრინდელი სოციოლოგებისაგან განსხვავებით, კ. მარქსმა პირველად გვიჩვენა ისტორია, როგორც მთელ თავის მრავალმხრივობასა და წინააღმდეგობებში კანონზომიერი პროცესი. „მარქსმა ბოლო მოუღო შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდთა მექანიკურ აგრეგატზე, რომელიც შეიძლება ყოველგვარად შეიცვალოს უფროსის ნება-სურვილით (ან, რაც იგივეა, საზოგადოებისა და მთავრობის ნება-სურვილით), რომელიც წარმოიშობა და იცვლება შემთხვევით".[2] კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა მხარეებისა და ურთიერთობების უბრალო თავმოყრა კი არ არის, არამედ მათი ორგანული მთლიანობაა. სოციალური სინამდვილის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 52.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 153.

ყოველი მხარე განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან, მაგრამ. ამასთანავე, განუყრელ, აუცილებელ კავშირშია მათთან. ეს მხარეები და მიმართებანი მთლიანობას ქმნიან, ერთიან „სოციალურ ორგანიზმს" შეადგენენ.

კ. მარქსი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას განიხილავდა როგორც „სოციალურ ორგანიზმს", რომელიც გარკვეულ ეკონომიკურ კანონებს ემორჩილება. ეს კანონები „...აწესრიგებენ მოცემული საზოგადოებრივი ორგანიზმის წარმოშობას, არსებობას, განვითარებასა და სიკვდილს და მის შეცვლას სხვა, უფრო მაღალი ორგანიზმით" [1].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორია საშუალებას გვაძლევს სოციალური ცხოვრების ურთიერთგანსხვავებულ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს შორის შევნიშნოთ ბუნებრივ-ისტორიული კავშირები და მრავალფეროვანებით აღსავსე საზოგადოება წარმოვსახოთ როგორც მკაცრი ობიექტური კანონზომიერებით განსაზღვრული მთლიანობა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორია შესაძლებელს ხდის საზოგადოება განვიხილოთ როგორც ერთიანი. მთლიანი, რომელშიც კავშირში მყოფ მხარეებს თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავიათ, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობანი თანაარსებობენ არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად.

ამრიგად, საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულ მხარეთა მთლიან სისტემად გამოხატვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია.

კონკრეტულობა როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის არსებითი ნიშანი. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორია არ მიგვითითებს მხოლოდ იმაზე, რომ საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა მხარეების მთლიანობაა. ეს კატეგორია იმასაც გამოხატავს, რომ საზოგადოება *გარკვეული, კონკრეტული* მთლიანობაა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება გულისხმობს საზოგადოებას არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად. საზოგადოებას, რომელშიც სხვადასხვა მხარეები და ურთიერთობანი *გარკვეული, მხოლოდ* ამ ფორმაციისათვის დამახასიათებელი წესით არიან შეერთებული და დაკავშირებული.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების ეს ნიშანი — კონკრეტულობა — იმას აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წყობილება ყოველთვის გარკვეული ტიპისაა. საზოგადოებას, როგორც კონკრე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 1, გვ. 186.

ტულს, თავისი სპეციფიკური თავისებურებები, განვითარების საკუთარი კანონზომიერებანი ახასიათებს.

მარქსისტული სოციოლოგია ამ პუნქტშიც ძირეულად განსხვავდება არამარქსისტული სოციოლოგიისაგან, რომელიც აბსტრაქტულად განიხილავდა საზოგადოებას. ძველი სოციოლოგები და ეკონომისტები, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „მსჯელობენ საზოგადოებაზე საერთოდ", კამათობენ იმაზე, თუ „როგორია საერთოდ საზოგადოების მიზანი და არსი".[1] ამიტომ ძველი ეკონომისტებისა და სოციოლოგებისათვის „საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცნება სრულიად ზედმეტია".[2]

ასეთ პირობებში შეუძლებელია შევიმუშაოთ ჭეშმარიტი ცოდნა ერთი რომელიმე კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესახებ.

საზოგადოება სინამდვილის ნაწილია და, ისევე როგორც სინამდვილის სხვა საგნები და მოვლენები, კონკრეტული, გარკვეული მოცემულობის სახით არსებობს.

ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის ნიშანდობლივია წარმოების განსაკუთრებული, მისთვის სპეციფიკური წესი. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების დროს ერთ კონკრეტულ საზოგადოებაში სამუშაო ძალა სხვაგვარად არის შეერთებული წარმოების საშუალებებთან, ვიდრე მეორე საზოგადოებაში.

ეს შეერთების წესი პირველად გამოვლენას წარმოების საშუალებების საკუთრების ფორმებში ჰპოვებს. საზოგადოებრივი წყობილება სხვადასხვანაირია იმისდა მიხედვით, მთლიანად ფლობს სამუშაო ძალა წარმოების საშუალებებს თუ ნაწილობრივ, თუ მას საერთოდ არავითარი საკუთრება არ გააჩნია.

ამასთან, ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია გულისხმობს მისთვის სპეციფიკურ იდეებს, თეორიებს, ზედნაშენური ხასიათის სხვადასხვა მოვლენას. როდესაც ვმსჯელობთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს კონკრეტული, განვითარების გარკვეულ საფეხურზე მდგომი საზოგადოება, მისთვის დამახასიათებელი წარმოების წესით, საზოგადოებრივი ყოფიერებით და საზოგადოებრივი ცნობიერებით, მისი ზედნაშენით.

ვ. ი. ლენინი ახასიათებდა მარქსის თეორიას და აღნიშნავდა, რომ მისთვის წარმოებითი ურთიერთობანი არსებობენ როგორც მოცემული საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობანი, რომ მარქსისათვის ზოგადი და მარადიული არ არის „ერთი... ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმაციის კატეგორიები და ზედნაშენები"[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 146.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 170.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვაოთ განვითარების სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე მდგომი საზოგადოებანი. პირველყოფილი თემური საზოგადოება — მონათმფლობელურისაგან, მონათმფლობელური საზოგადოება — ფეოდალურისაგან, ფეოდალური საზოგადოება — კაპიტალისტურისაგან. კაპიტალისტური საზოგადოება — სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოებისაგან.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას განვიხილავთ როგორც კონკრეტულს, გარკვეული წარმოების წესით და მისი შესაბამისი ზედნაშენით, მონახული იქნება რეალური გზა არა მარტო საზოგადოებათა ურთიერთგანსხვავებისათვის, არამედ და უწინარეს ყოვლისა თვით მოცემული საზოგადოების არსების გაგებისათვის.

„მარქსის თეორიით, წარმოებითი ურთიერთობის ყოველი ასეთი სისტემა წარმოადგენს განსაკუთრებულ სოციალურ ორგანიზმს, რომელსაც თავისი ჩასახვის, მოქმედებისა და უმაღლეს ფორმაში გადასვლის, სხვა სოციალურ ორგანიზმად გადაქცევის განსაკუთრებული კანონები აქვს“ [1].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კონკრეტულობა გულისხმობს იმ საერთოს და ზოგადის მოცემულობას, რაც დამახასიათებელია ამა თუ იმ ქვეყნების მთელი ჯგუფისათვის. ამას უკავშირდება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი — ზოგადობა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია როგორც საერთოსა და განმეორებადის გამოხატულება. ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ ეკონომიკური განვითარების დონით, კლასობრივ ძალთა თანაფარდობით, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თავისებურებებით, წესჩვეულებებისა და ტრადიციების ნაირნაირობით, სხვადასხვაგვარი ისტორიული წარსულითა და აწმყოთი. მაგრამ არსებობს თუ არა ის, რაც საერთო და განმეორებადია სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხებისათვის, და რაც საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას შეადგენს?

მარქსამდელ სოციოლოგებს არც კი უცდიათ, შეემჩნიათ საერთო და განმეორებადი სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ მოვლენებში. მათ „არ გამოურკვევიათ თვით შესაძლებლობა სულ სხვადასხვა სოციალური წესების განზოგადებისა სოციალურ ორგანიზმთა განსაკუთრებულ სახეებად“.[2]

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 493.

[2] იქვე, გვ. 494.

ისტორიული მატერიალიზმი ემყარება ზოგადისა და ცალკეულის კავშირის დიალექტიკურ პრინციპს და მოითხოვს, რომ ის, რაც საერთოა სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, გამოვყოთ იმისგან, რაც სპეციფიკურია თითოეული მათგანისათვის. ისტორიულმა მატერიალიზმმა „სოციალური მეცნიერებისათვის გამოიყენა განმეორებადობის ის ობიექტური, „ზოგადმეცნიერული კრიტერიუმი, რომლის სოციოლოგიის მიმართ გამოყენების შესაძლებლობას სუბიექტივისტები უარყოფდნენ“ [1].

1) საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია გამოხატავს სწორედ იმ იდენტურს, რაც დამახასიათებელია განსხვავებული ქვეყნების მატერიალური და სულიერი ცხოვრებისათვის.

2) „მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზმა ერთბაშად მოგვცა შესაძლებლობა შეგვენიშნა განმეორებითობა და სისწორე და ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ფ ო რ მ ა ც ი ი ს ერთ ძირითად ცნებად განგვეზოგადებინა სხვადასხვა ქვეყნის წესები“ [2].

3) სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ისტორია პირველი შეხედვით გვეელინება რაოდენ განუმეორებელი ფაქტებისა და პროცესების ცვლა. მაგალითად, შეუძლებელია გამეორდნენ ისტორიული პიროვნებანი, მეფეები, მხედართმთავრები, შეუძლებელია განმეორდეს ესა თუ ის ომი, რევოლუცია და სხვა კონკრეტულ-ისტორიული მოვლენა. მაგრამ გვაძლევს თუ არა ეს იმის საფუძველს, რომ უარვყოთ განმეორადობა საზოგადოებაში? ცხადია, არა. საზოგადოებაში არსებობს განმეორადობა. მაგალითად, ადამიანები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირად აწარმოებდნენ მატერიალურ დოვლათს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოებას არასოდეს არ შეეძლო არსებობა გარკვეული წესით მატერიალური დოვლათის წარმოების გარეშე. მაშასადამე, მატერიალური დოვლათის წარმოება საზოგადოების ცხოვრების ობიექტური, განმეორებადი აუცილებლობაა. ეს საერთო, იგივეობრივი მხარეები იმაზე მიუთითებენ, რომ ამ განსხვავებულ ქვეყნებში ერთი და იგივე საზოგადოებრივი აუცილებლობა მოქმედებს.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორია ასახავს იმას, რაც საერთოა სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხისათვის.

ასასიათებდა რა მარქსის დამსახურებას, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ამ თანამედროვე წყობილებას, რომელიც სხვადასხვანაირია სხვადასხვა ევროპულ და არაევროპულ სახელმწიფოებში, მან გამოუნახა საერთო საფუძველი — კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 1, გვ. 493.
[2] იქვე, გვ. 150—151.
[3] იქვე, გვ. 174.

რომლის მოქმედებისა და განვითარების კანონებს ობიექტური ანალიზი გაუკეთა (მან დაგვანახვა ექსპლოატაციის აუ ცი ლ ე ბ ლ ო ბ ა ამ წყობილებაში") [1].

კ. მარქსის თეორიამ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, ამა თუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელი „ინდივიდუალობანი" გარკვეულ ზოგად კანონებს დაუქვემდებარა, ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციად წარმოადგინა იგივეობრივი განსხვავებულობაში. მაგრამ სხვადასხვა ქვეყნების ხალხებისათვის საერთოა არა მარტო რომელიმე კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, არამედ თვით ამ ფორმაციების კანონზომიერი ცვლა.

ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მოიცავს ზოგადობის მომენტს, ვინაიდან იგი იგივეობრივი და საერთოა განსხვავებული ხალხებისა და ქვეყნებისათვის.

ეს ცნება გამოხატავს იმ ზოგადს, რითაც სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე სოციალური ორგანიზმის არსებობა დასტურდება.

სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეროვნული და სხვა თავისებურებების მიღმა მოჩანს ის, რაც განმეორებადია ყოველი ცალკეული ქვეყნისათვის და რაც მათთვის საერთო მნიშვნელობის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციად არის გაერთიანებული.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის როგორც გარკვეული სოციალური მთლიანობის, მთლიანობაში მყოფი სხვადასხვა მხარეების საფუძველი მატერიალური დოვლათის წარმოებაა. მაგრამ თვით წარმოება, როგორც ცნობილია, გულისხმობს ადამიანთა დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, ბუნებისადმი და, მეორე მხრივ, ერთმანეთისადმი. რა განსაზღვრავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას? ბუნების ძალებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების ხასიათი თუ ადამიანთა შორის ურთიერთობის ხასიათი?

კ. მარქსის თანახმად, ადამიანთა ურთიერთობა ერთმანეთთან აშუალებს მათსავე ურთიერთობას ბუნებასთან. ისე რომ, არ არსებობს ადამიანთა ურთიერთობებით გაუშუალებელი ურთიერთობა თვით ბუნებასთან.

საქმე ისაა, რომ ბრძოლა ბუნების ძალების წინააღმდეგ ადამიანებს არ შეუძლიათ ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ერთიმეორისაგან მოწყვეტილი ერთეულების სახით. წარმოების პროცესი, რომელიც ბუნების ძალებს ადამიანებს უმორჩილებს, მოითხოვს ადამიანთა ერთობლივ მოქმედებას. მაშასადამე, ბუნებაზე პრაქტიკული წარმოებითი ზემოქმედებისათვის საჭიროა, რომ მათ თავდაპირველად გარკვეული ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 174.

ამრიგად, სხვადასხვა რიგის მიმართებებიდან, რომელთაც ადამიანები ამყარებენ ერთმანეთს შორის და ბუნებასთან, ძირითადია ადამიანთა შორის ურთიერთობა. წარმოება, როგორც მარქსი აღნიშნავდა, ყოველთვის წარმოადგენს ბუნების ძალების მითვისებას ადამიანების მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფ ო რ მ ი ს შიგნით და ამ ფ ო რ მ ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ.

ამრიგად, მატერიალური წარმოების პროცესში თვით წარმოებას გარკვეული სახე რომ მიეცეს, ეს წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობაზეა დამოკიდებული.

ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას განსაზღვრავდა როგორც „მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობას".[1] სწორედ წარმოებითი ურთიერთობანი შეადგენენ კ. მარქსის სიტყვებით, „ი ს ტ ო რ ი უ ლ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე მდგომ საზოგადოებას, თავისებური განსხვავებული ხასიათის საზოგადოებას".[2]

ამავე აზრს ავითარებდა კ. მარქსი თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", სადაც წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობას განსაზღვრავს როგორც საზოგადოების რეალურ ბაზისს. ამ მატერიალისტური პრინციპის დასაბუთებით კ. მარქსმა გადატრიალება მოახდინა სოციოლოგიური აზროვნების ისტორიაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „სანამდე სოციოლოგები, ვერ ახერხებდნენ რა ისეთ უმარტივეს და პირვანდელ ურთიერთობათა დანახვას, როგორიცაა წარმოებითი ურთიერთობანი, პირდაპირ ხელს ჰკიდებდნენ პოლიტიკურ-იურიდიული ფორმების გამოკვლევასა და შესწავლას, ეჯახებოდნენ იმ ფაქტს, რომ ეს ფორმები კაცობრიობის ამა თუ იმ იდეებიდან წარმოიშობიან ამა თუ იმ დროს — და ამაზე ჩერდებოდნენ; ისე გამოდიოდა, თითქოს საზოგადოებრივ ურთიერთობას ადამიანები შეგნებულად ქმნიან".[3]

მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძველია იმის გამოც, რომ სწორედ მისი შეცვლა იწვევს საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების, საზოგადოებრივი იდეებისა და თეორიების და საერთოდ ზედნაშენური მოვლენების შეცვლას.

რასაკვირველია, საწარმოო ძალებიც განიცდიან ცვალებადობას. უფრო მეტიც, საწარმოო ძალები უფრო სწრაფად ცვალებადი არიან, ვიდრე წარმოებითი ურთიერთობანი, მაგრამ საწარმოო ძალთა ცვალებადობა უშუალოდ არ იწვევს ზედნაშენის ცვალებადობას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 153.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 78.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 149.

საწარმოო ძალების და მისი ნივთიერი ელემენტების — შრომის იარაღებისა და მოწყობილობების — ცვლილებას ავტომატურად არ მოსდევს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა. ერთი საზოგადოების, ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ადგილს იკავებს მეორე საზოგადოება, მეორე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძველ წარმოებით ურთიერთობებს ახალი წარმოებითი ურთიერთობები ცვლიან.

საწარმოო ძალთა ცვალებადობამ ჯერ უნდა გამოიწვიოს წარმოებით ურთიერთობათა შეცვლა და მხოლოდ მათი შეცვლის საფუძველზე მიმდინარეობს გადატრიალება საზოგადოების იდეოლოგიურ ურთიერთობებში. მაშასადამე, წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა საზოგადოების სულიერი ცხოვრების, საზოგადოების პოლიტიკური, სამართლებრივი, მხატვრული და სხვა შეხედულებების და მათი შესაბამისი დაწესებულებების ცვალებადობა-განვითარების საფუძველია.

ვ. ი. ლენინი ახასიათებდა კ. მარქსის მიერ შექმნილ მეცნიერულ სოციოლოგიას, იგი წერდა: „ამ თეორიამ შეიმუშავა ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ-ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ფ ო რ მ ა ც ი ი ს ცნება. მან გამოსავალ წერტილად აიღო ადამიანთა ყოველგვარი თანაცხოვრების ძირითადი ფაქტი — საარსებო საშუალებათა მოპოვების წესი. მას დაუკავშირა ის ურთიერთობა ადამიანთა შორის, რომელიც მყარდება საარსებო საშუალებათა მოპოვების განსაზღვრული წესების გავლენით, და ამ ურთიერთობის („წარმოებითი ურთიერთობის“ — მარქსის ტერმინოლოგიით) სისტემაში აღნიშნა საზოგადოების ის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი, რომელიც პოლიტიკურ-იურიდიულ ფორმებსა და საზოგადოებრივი აზროვნების განსაზღვრულ მიმდინარეობათა სახეს იღებს“.[1]

გარდა ამისა, საწარმოო ძალთა განვითარების დონე თავისთავად არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მეორისაგან განვასხვაოთ. ეს შესაძლებელია ამასთანავე წარმოებით ურთიერთობათა ხასიათის გათვალისწინებით.

შაგალითად, ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი — მექანიზაცია და ავტომატიზაცია — არსებობს როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ საზოგადოებაში, ერთიც და მეორეც მატერიალური ბაზაა ორი ძირეულად განსხვავებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის. ცხადია, რომ მაღალგანვითარებული მანქანური წარმოების, თანამედროვე საწარმოო ძალების დონე, თავისთავად აღებული, არ იძლევა იმის საკმაო საფუძველს, რომ აეხსნათ განსხვავება დიამეტრულად საწინააღმდეგო, კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებას შორის. მაშინ, როდესაც ეს განსხვავება საკვლევით ნათელი გახდება, თუ ამოვალთ არა საწარმოო ძალთა განსხვავე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 1, გვ. 493.

ბულობის პრინციპიდან, არამედ წარმოებით ურთიერთობათა ბუნების სხვადასხვაობიდან.

ვ. ი. ლენინის თქმით, კ. მარქსის ისტორიის მატერიალისტური თეორიის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მან „...საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან გამოჰყო ეკონომიური დარგი, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობიდან გამოჰყო წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი, როგორც ძირითადი, პირვანდელი, ყველა დანარჩენი ურთიერთობის განმსაზღვრელი“.[1]

მაგრამ მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს მხოლოდ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძველს და არა მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება ასახავს საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ დონესაც. თვით წარმოებითი ურთიერთობანი ყოველთვის განმტკიცებული არიან საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონით. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია გულისხმობს არა მარტო საზოგადოებრივ-ურთიერთობათა გამომდინარეობას მოცემული წარმოებითი ურთიერთობებიდან, არამედ ამ წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის დონეს საწარმოო ძალთა განვითარების ხასიათთან, „მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის დაყვანამ წარმოებითს ურთიერთობამდე და საწარმოო ძალთა სიმაღლეზე ამ უკანასკნელის აყვანამ მოგვცა მტკიცე საფუძველი იმისათვის, რომ საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარება წარმოვიდგინოთ როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი“.[2]

ამასთან, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია არ დაიყვანება მხოლოდ მატერიალურ საფუძველზე — საზოგადოების წარმოებით ურთიერთობებზე, რომლებიც საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ დონეს შეესაბამებიან. ვ. ი. ლენინის ხატოვანი შედარებით„ წარმოებითი ურთიერთობანი „სოციალური ორგანიზმის“ მხოლოდ ჩონჩხს წარმოადგენენ. ამ ჩონჩხს ხორცი უნდა შეესხას, რათა მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბდეს. ლენინი წერდა, რომ კ. მარქსი, „...ხ ს ნ ი დ ა რა მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციის წყობასა და განვითარებას მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ წარმოებითი ურთიერთობებით — იგი, მიუხედავად ამისა, ყველგან და მუდამ თვალს ადევნებდა ამ წარმოებითი ურთიერთობებისადმი შესაფერ ზედნაშენებს, სისხლსა და ხორცს ასხამდა ჩონჩხს“.[3]

ყ ო ვ ე ლ ი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მოცემულ წარ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 147.
[2] იქვე, გვ. 151.
[3] იქვე, გვ. 152.

ბოებით ურთიერთობებთან ერთად მოიცავს გაბატონებულ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ზედნაშენსაც.

ამრიგად, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ დონეს შეესაბამება.

მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მატერიალური საფუძველია. საზოგადოების პრაქტიკული ცხოვრება შეუძლებელია ადამიანთა შორის გარკვეული ურთიერთობის დამყარების გარეშე. ადამიანთა შორის ყალიბდება საწარმოო-ეკონომიკური, იდეოლოგიური, ოჯახური, კლასობრივ საზოგადოებაში — კლასობრივი, პოლიტიკური, ეროვნული და მრავალგვარი სახის სხვა ურთიერთობანი. მაგრამ რაოდენ მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ისინი გამოვლინდებიან ან მატერიალური ცხოვრების, ანდა კიდევ სულიერი ცხოვრების სფეროში. ამისდა მიხედვით, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „საზოგადოებრივი ურთიერთობანი ორნაირია — მატერიალური და იდეოლოგიური".[1]

კ. მარქსის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება ასახავს ადამიანთა როგორც მატერიალური, ისე იდეოლოგიური ურთიერთობების ერთობლიობას. მაგრამ იგი ამასთანავე მიუთითებს მათ შორის ძირითადსა და განმსაზღვრელზეც.

რომელი მომენტია ძირითადი და განმსაზღვრელი ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ ორი ჯგუფიდან? რასაკვირველია, მარქსის მოძღვრება გამორიცხავს იმას, რომ ორივე რიგის ურთიერთობები, იდეოლოგიური და მატერიალური მომენტები ერთდროულად იყოს საზოგადოებრივი ფორმაციის განმსაზღვრელი.

თუ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძვლად ორ, ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებულ მხარეს მივიჩნევთ, მაშინ კი არ ვწყვეტთ, არამედ ხელახლა ვაყენებთ საკითხს, რომელი მხარე შეიძლება იყოს განმსაზღვრელი თვისებრივად განსხვავებულ ამ ურთიერთობათა შორის.

მარქსისტული მონისტური მსოფლმხედველობა მოითხოვს, რომ ერთი საფუძველი მივუყენოთ როგორც ბუნების, ისე საზოგადოების გაგებას. სწორედ ეს არ შეეძლო ძველ მატერიალიზმს.

„ძველი მატერიალიზმის არათანამიმდევრულობის, დაუმთავრებლობისა და ცალმხრივობის" შეგნებამ მარქსი დაარწმუნა, რომ აუცილებელია შევუთანხმოთ მეცნიერება საზოგადოების შესახებ მატერიალისტურ საფუძველს".[2] და შემდეგ: „თუ მატერიალიზმი საერთოდ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 165.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 49—50.

ცნობიერებას ყოფიერებით ხსნის და არა პირიქით, კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ გამოყენებისას მატერიალიზმი მოითხოვდა საზოგადოებრივი ცნობიერების ახსნას საზოგადოებრივი ყოფიერებით"[1].

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირითადი და განმსაზღვრელია ადამიანთა მატერიალური ურთიერთობები, რომელთა არსებობა დაკავშირებულია მატერიალური დოვლათის შექმნის აუცილებლობასთან. საზოგადოების თვით ფიზიკური არსებობა იმთავითვე მოითხოვს წარმოებას, შინაგან მატერიალურ ბაზას, რომელსაც იგი ემყარება: ბუნებაში არ მოიპოვება ადამიანთა არსებობისათვის საჭირო მზა საშუალებანი, არამედ მხოლოდ მასალა, ნივთიერება, რომელიც უნდა გადამუშავდეს, რათა ადამიანისათვის სასარგებლო სახე მიეცეს. ბუნების მასალა რომ საკუთარი ინტერესებისათვის შეცვალონ, ამისათვის ადამიანებმა ხელი უნდა მიჰყონ მატერიალური დოვლათის დამზადებას, წარმოებას; წარმოების პროცესში ხდება ბუნების ძალების გამოყენება და გადამუშავება, მატერიალური დოვლათის შექმნა.

საზოგადოების სულიერი მოღვაწეობაც, ადამიანთა შორის მრავალფეროვანი იდეოლოგიური კავშირურთიერთობის ჩამოყალიბება თავის წანამძღვრად აგრეთვე მატერიალური დოვლათის წარმოებას გულისხმობს. ადამიანები ვერ შეუდგებიან თეორიულ მოღვაწეობას, თუ წინასწარ არ უზრუნველყვეს საკუთარი მატერიალური არსებობა. „...ადამიანები არავითარ შემთხვევაში არ იწყებენ იმით, რომ „იდგნენ თეორიულ ურთიერთობაში გარე ქვეყნის საგნებთან"... ისინიც იწყებენ იმით, რომ ჭამენ, სვამენ და ა. შ... ე. ი. კი არ „დგანან" რაიმე ურთიერთობაში, არამედ აქტიურად მოქმედებენ, მოქმედების მეშვეობით ეუფლებიან გარე ქვეყნის განსაზღვრულ საგნებს და ამგვარად იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს (ისინი მაშასადამე, წარმოებით იწყებენ)"[2].

მეორე მხრივ, ადამიანთა შეხედულებები და წარმოდგენები, ადამიანთა იდეოლოგიური ურთიერთობანი მათსავე მატერიალურ ცხოვრებას ასახავენ. ამ თვალსაზრისითაც მატერიალური დოვლათის წარმოება ადამიანთა სულიერი მოღვაწეობის წინაპირობა და საფუძველია. ეხებოდა რა დამოკიდებულებას მატერიალურ და იდეოლოგიურ ურთიერთობათა შორის ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „უკანასკნელნი მხოლოდ პირველთა ზედნაშენს წარმოადგენენ, პირველნი კი ადამიანის ნებისყოფისა და ცნობიერების გარეშე იქმნებიან, როგორც (შედეგი)

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 185.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 50.

[3] კ. მარქსი, კრიტიკული შენიშვნები ადოლფ ვაგნერის წიგნზე, 1933, გვ. 14.

ფორმა ადამიანის საქმიანობისა, რომელიც მისი არსებობის შენარჩუ-ნებისაკენ არის მიმართული“ [1].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია როგორც სოციალური პროგრესის საფეხური. თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია სოციალური პროგრესის გარკვეულ საფეხურს გამოხატავს. სოციალური პროგრესის საფეხურები განსხვავდებიან როგორც საწარმოო ძალთა განვითარების დონით, ისე, განსაკუთრებით, წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით, პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენის თავისებურებებით. ისტორია მიემართება აღმავალი ხაზით, განვითარების დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ, ნაკლებად სრულყოფილი მდგომარეობიდან — უფრო სრულყოფილი მდგომარეობისაკენ. ისტორიის პროგრესული განვითარება არ არის განსაზღვრული ადამიანთა ნებისყოფით. „მარქსი საზოგადოებრივ მოძრაობას განიხილავს როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, დაქვემდებარებულს ისეთი კანონებისადმი, რომელნიც არა თუ დამოკიდებულნი არ არიან ადამიანების ნებისყოფასა, შეგნებასა და განზრახვებზე, არამედ, პირიქით, განსაზღვრავენ მათს ნებისყოფას, შეგნებასა და განზრახვებს“[2]

საზოგადოებრივი განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესია. ისტორიული პროცესი იმდენად, რამდენადაც იგი ადამიანთა მოქმედების შედეგია. ბუნებრივი პროცესი იმდენად, რამდენადაც დამოუკიდებელია მათი ნებისყოფისაგან, ობიექტურია, კანონზომიერია. მაგრამ ნამდვილად ხორციელდება თუ არა პროგრესული წინსვლა საზოგადოებაში, ნამდვილად წარმოადგენს თუ არა საზოგადოების მიერ მოპოვებული მდგომარეობა ახალ რგოლს აღმავალი მოძრაობის გზაზე — ამის განსაზღვრა შეუძლებელია ისე, თუ მხედველობაში არ მივიღეთ, რომელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციასთან არის დაკავშირებული თვით ეს მოძრაობა.

საზოგადოებრივი ცვალებადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს საზოგადოებრივ განვითარებას, თუ იგი ხელს უწყობს ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დამკვიდრებასა და სრულყოფას. მეორე მხრივ, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის აღმოცენება ყოველთვის შემზადებულია ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებით.

კაცობრიობის პროგრესული წინსვლა სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების თანმიმდევრობითი ცვლა. ამ განვითარების საწყისი ისტორიული მდგომარეობაა პირველყოფილი თემური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, ხოლო მისი უმაღ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 165.

[2] იქვე, გვ. 185.

ლესი საფეხური—კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. კ. მარქსი წერდა:

„ანტიკური საზოგადოება, ფ ე ო დ ა ლ უ რ ი საზოგადოება, ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი საზოგადოება წარმოებით ურთიერთობათა ისეთ მთლიან შეერთებას წარმოადგენს, რომ თვითეული მათგანი განსაკუთრებული საფეხურია კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში".[1]

მსჯელობა საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ უსაგნო და არაფრისმომცემია, თუ იგი არ ემყარება კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესწავლას, თუ იგი არ ითვალისწინებს მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თავისებურებებს, ამ ფორმაციის ადგილს სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების სისტემაში. სწორედ ასეთ თვალსაზრისს ავითარებდნენ სუბიექტური სოციოლოგიის წარმომადგენლები, რომლებიც უგულებელყოფდნენ სოციალური პროგრესის განმსაზღვრელ საწარმოო-ეკონომიკურ მატერიალურ ფაქტორებს. „სუბიექტივისტები სცნობდნენ ისტორიული მოვლენების კანონშესაბამისობას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ იმას, რომ მათი ევოლუცია განეხილათ, როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, — და ეს სწორედ იმიტომ, რომ ჩერდებოდნენ ადამიანის საზოგადოებრივ იდეებსა და მიზნებზე, ვერ ახერხებდნენ რა ამ იდეებისა და მიზნების დაყვანას მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობამდე."[2]

კ. მარქსმა პირველად კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში მეცნიერულად ახსნა საზოგადოებრივი პროგრესის მთელი მექანიზმი. მარქსის თეორიის თანახმად, ყოველგვარი ცვლილება საზოგადოების არასაწარმოო სფეროში პირდაპირ ან არაპირდაპირ განისაზღვრება ცვლილებებით წარმოების სფეროში. ჯერ მიმდინარეობს საზოგადოების მატერიალურ-საწარმოო საფუძვლების ცვალებადობა, ხოლო შემდეგ და მის შესაბამისად საზოგადოების სხვა დანარჩენი მხარეების ცვალებადობა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით შევეხოთ ნ. მიხაილოვსკის კიდევ ერთ ბრალდებას მარქსიზმის მიმართ. მისი აზრით, მარქსის თეორია თითქოს-და პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ ახსნას „კაცობრიობის მთელი წარსული".

ამის საწინააღმდეგოდ ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ მარქსის თეორია პრეტენზიას აცხადებს არა ყველა, არამედ მხოლოდ ერთი, „კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის ახსნაზე. მარქსმა შეიმუშავა მატერიალიზმის იდეა სოციოლოგიაში, რომელიც პირველად ქმნიდა ისტორიული საკითხებისადმი ზუსტი მეცნიერული თვალსაზ-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, 1975, ტ. I, გვ. 193.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. I, გვ. 151.

რისით ძიდგომის შესაძლებლობას. ისტორიის მატერიალისტური გაგების ეს იდეა ჰიპოთეზა იყო მანამდე. ვიდრე მარქსმა კაპიტალიზმის — ყველაზე რთული ანტაგონისტური საზოგადოებრივი ფორმაციის შესწავლისათვის არ გამოიყენა. მაგრამ ამის შემდეგ იგი მეცნიერულად შემოწმებულ თეორიად იქცა. „თუ მატერიალიზმის გამოყენებამ ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის ანალიზისა და ახსნისათვის ასეთი ბრწყინვალე შედეგები მოგვცა, სრულიად ბუნებრივია, რომ მატერიალიზმი ისტორიაში იქცევა უკვე არა ჰიპოთეზად, არამედ მეცნიერულად შემოწმებულ თეორიად; სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი მეთოდის აუცილებლობა ვრცელდება დანარჩენ საზოგადოებრივ ფორმაციებზეც. რომელნიც, შეიძლება, არც ყოფილა სპეციალური ფაქტიური შესწავლისა და დეტალური ანალიზის საგანი“.[1]

ამრიგად, მარქსმა მოგვცა არა მთელი ისტორიის ახსნა, არამედ მეცნიერული მეთოდი მთელი ისტორიის ახსნისათვის.

ვ. ი. ლენინის წიგნის „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ პირველ განაკვეთში განხილულია აგრეთვე სხვა მეტად მნიშვნელოვანი თეორიული საკითხები. აქედან შევჩერდეთ რამდენიმეზე:

ეროვნული კავშირების წარმოშობის ეკონომიკური საფუძველი. ნ. მიხაილოვსკის თანახმად, ეროვნული კავშირები წარმოიშვა გვაროვნული კავშირების გაგრძელების შედეგად. ვ. ი. ლენინი, უპირისპირდება მიხაილოვსკის და აღნიშნავს, რომ ეროვნული კავშირები არ შექმნილა გვაროვნული კავშირებიდან, ისინი არ არსებობდნენ არც ფეოდალიზმის დროს. მათი არსებობა დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალიზმის წარმოშობასთან და „გამოწვეული იყო ოლქებს შორის გაცვლა-გამოცვლის გაძლიერებით, საქონლის თანდათან მზარდი მიმოქცევით, მცირე ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციით ერთ სრულიად-რუსეთის ბაზრად. რადგანაც ამ პროცესის ხელმძღვანელნი და განმგებელნი კაპიტალისტი-ვაჭრები იყვნენ, ამ ნაციონალური კავშირის შექმნაც ბურჟუაზიული კავშირის შექმნა იყო და მეტი არაფერი“ [2].

ისტორიული აუცილებლობა და პიროვნების როლი მის მიმართ. ნ. მიხაილოვსკის მიაჩნდა, რომ კონფლიქტი არსებობს ისტორიულ აუცილებლობასა და პიროვნების მოღვაწეობას შორის, რომ პირველი გამორიცხავს მეორეს.

სინამდვილეში, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, აქ არავითარი კონფლიქტი არ არის. დეტერმინიზმის იდეა შეთავსებადია პიროვნების თავისუფლების იდეასთან. „დეტერმინიზმის იდეა ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 158.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 170.

ფის თავისუფლების შესახებ. მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინიდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას. სრულიად პირიქით, მხოლოდ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება, და არა ყველაფრის თავზე მოხვევა თავისუფალი ნებისყოფისათვის. ასევე ისტორიული აუცილებლობის იდეაც სრულიადაც არ უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში: მთელი ისტორია შედგება სწორედ იმ პიროვნებათა მოქმედებისაგან, რომელნიც უეჭველად მოღვაწეები არიან“ [1].

პიროვნების მოღვაწეობა და ამ მოღვაწეობის შედეგები დამოკიდებულია სწორედ იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება იგი საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს, ობიექტურ აუცილებლობას.

მიხაილოვსკის მიერ დიურინგის „საბუთის“ გამოყენება მარქსის თეორიის წინააღმდეგ და მისი კრიტიკა. ნ. მიხაილოვსკი ბრალად სდებდა მარქსს, თითქოს მისი თეორია ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის შესახებ ჰეგელისეული ტრიადების „საშუალებით“ საბუთდება. რომ იგი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხოლოდ და მხოლოდ ჰეგელის სამწვერიანი ჯაჭვის ბოლოზე ჰკიდია“ [2].

ჩვენთვის უკვე ცნობილია, ენგელსის მიერ დიურინგის კრიტიკა მარქსიზმისადმი ანალოგიური ბრალდების წაყენების გამო.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ენგელსის „...გამანადგურებელი პასუხი დიურინგის მიმართ სავსებით ეხება ბ-ნ მიხაილოვსკისაც, რომელიც სწორედ ასევე ამტკიცებს, რომ მარქსის მიხედვით მომავალი მხოლოდ და მხოლოდ ჰეგელის ჯაჭვის ბოლოზე ჰკიდია და რომ დარწმუნება მის აუცილებლობაში მხოლოდ რწმენაზე შეიძლება იყოს დაფუძნებული“ [3].

კაპიტალიზმის გარდაუვალი დაღუპვა ემყარება არა ჰეგელისეული ტრიადების, უარყოფის უარყოფის რწმენას, არამედ იმ მატერიალურ პირობებს, რომელსაც თვით კაპიტალიზმი ქმნის. მაშასადამე, თვით ეს ობიექტური პროცესი სრულდება უარყოფის უარყოფის დიალექტიკური კანონის მიხედვით.

ვ. ი. ლენინს ვრცელი ამონაწერები მოჰყავს ფ. ენგელსის „ანტიდიურინგიდან“, სადაც მხილებულია დიურინგის ანალოგიური „საბუთი“ მარქსის წინააღმდეგ.

შრომის განსაზოგადოების საკითხი. მიხაილოვსკის არასწორად ესმოდა შრომის განსაზოგადოების არსიც. მისი შეხე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 176.
[2] იქვე, გვ. 186.
[3] იქვე, გვ. 194—195.

ლელებით, შრომის საზოგადოებრივი ფორმა გამოიხატება მხოლოდ „ერთ შენობაში მუშაობით".

სინამდვილეში, შრომის საზოგადოებრივი ხასიათი კაპიტალიზმის დროს არ შეიძლება დავიყვანოთ იმაზე, რომ კაპიტალი ერთ ჭერქვეშ აერთიანებს მუშათა დიდ მასებს, თუმცა, რასაკვირველია, ეს გარემოება შრომის განსაზოგადოების ერთ-ერთი აუცილებელი მხარეა.

„შრომის განსაზოგადოება კაპიტალისტური წარმოების მიერ სრულიადაც არ მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები ერთ შენობაში მუშაობენ (ეს მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია პროცესისა), არამედ იმაში, რომ კაპიტალების კონცენტრაციას თან სდევს საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაცია, კაპიტალისტთა რიცხვის შემცირება მრეწველობის ყოველ მოცემულ დარგში და მრეწველობის განსაკუთრებული დარგების გამრავლება; — აგრეთვე იმაში, რომ მრავალი დაქუცმაცებული საწარმოო პროცესი წარმოების ერთ საზოგადოებრივ პროცესში ერთდება" [1].

კაპიტალიზმამდე წვრილი მწარმოებლები, თითოეული ცალ-ცალკე, ერთბაშად ასრულებდნენ რამდენიმე ოპერაციას და შედარებით დამოუკიდებელნი იყვნენ სხვებისაგან. კაპიტალიზმის დროს კი შრომის განსაზოგადოება აღწევს ისეთ დონეს, როდესაც კაპიტალისტების დამოკიდებულება ერთმანეთზე მაქსიმალურად იზრდება, როდესაც „ყველა წარმოება ერთ საზოგადოებრივ პროდუქტიულ პროცესში ერთდება, ამავე დროს კი თვითეულ წარმოებას ხელმძღვანელობს ცალკეული კაპიტალისტი" [2]. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ „წარმოების ფორმა უკვე შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფება მითვისების ფორმასთან..." „უკანასკნელი არ შეიძლება პირველს არ შეეგუოს, არ შეიძლება არ გასდეს ასევე საზოგადოებრივი, ე. ი. სოციალისტური" [3].

ამრიგად, კაპიტალიზმის დროს მიმდინარეობს შრომის საზოგადოებრივი პროცესის სპეციალიზაციის ზრდა, კაპიტალისა და საწარმოთა კონცენტრაცია, შრომის მთელი პროცესის განსაზოგადოება.

ნაშრომის „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" პირველ განაკვეთში ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ნ. მიხაილოვსკის აგრეთვე კაცობრიობის მომავლის, მორალის, მუშათა მოძრაობისადმი დამოკიდებულების საკითხში და სხვ. ამ განაკვეთის ბოლო ნაწილში იგი ეხება რუსი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მიხაილოვსკის ბრძოლის საკითხს. ააშკარავებს მიხაილოვსკის სუბიექტივისტურ სოციოლოგიურ შეხედულებათა კლასობრივ მიზანდასახულებას, ანტიხალხურ ბუნებას. ნ. მიხაი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 197.

[2] იქვე, გვ. 199

[3] იქვე.

ლოვსკი ცილს სწამებდა რუს მარქსისტებს, როცა ამბობდა, თითქოს „მარქსისტები აღიარებენ აბსტრაქტული ისტორიული სქემის შეურყეველობას“ [1].

სინამდვილეში კი „მარქსისტები მარქსის თეორიიდან უეჭველად სესხულობენ მხოლოდ ძვირფას ხერხებს, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვევა, და, მაშასადამე, ამ ურთიერთობათა შეფასების კრიტერიუმს ხედავენ სრულიადაც არა აბსტრაქტულ სქემებში და სხვა ამგვარ აბდაუბდაში, არამედ მის სისწორესა და სინამდვილესთან შესაბამისობაში“ [2].

ზემოთ განხილული საკითხების არასრული ჩამოთვლაც კი წარმოდგენას გვიქმნის იმ იდეურ სიმდიდრეზე, რომელიც გადმოცემული აქვს ვ. ი. ლენინს თავის წიგნში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“.

ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ვ. ი. ლენინის წიგნში — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“

ამ წიგნის მეექვსე თავში ვ. ი. ლენინი ეხება ემპირიოკრიტიციზმისა და მარქსიზმის სოციოლოგიური პოზიციების დაპირისპირებულობას. თავის სათაურია „ემპირიოკრიტიციზმი და ისტორიული მატერიალიზმი“.

როგორც ცნობილია, რუსი მახისტები ორ ჯგუფად იყოფოდნენ. ესენი იყვნენ: მარქსიზმის მთელი ფილოსოფიის, ე. ი. როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის, ისე ისტორიული მატერიალიზმის პირდაპირი და თანმიმდევრული მოწინააღმდეგეები და მახისტები, რომლებიც ცდილობენ მარქსიზმისა და მახიზმის შერიგებას, მახიზმის შეთავსებას ისტორიულ მატერიალიზმთან.

თავისი ნაწარმოების ამ ნაწილში ვ. ი. ლენინი უმთავრესად სწორედ რუსი მახისტების მეორე ბანაკის წარმომადგენელთა შეხედულებებს აანალიზებს და მიდის დასკვნამდე:

„მარქსიზმის სულ უფრო და უფრო მოხერხებული ფალსიფიკაცია, ანტიმატერიალისტურ მოძღვრებათა სულ უფრო და უფრო მოხერხებულად გასაღება მარქსიზმის ნიღაბით,—აი რა ახასიათებს თანამედროვე რევიზიონიზმს პოლიტიკურ ეკონომიაშიც, ტაქტიკის საკითხებშიც, ფილოსოფიაშიც სერთოდ — როგორც გნოსეოლოგიაში, ისე სოციოლოგიაში“ [3].

ამ თავიდან ჩვენ გამოვყოფთ სამ ძირითად საკითხს:

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 218.
[2] იქვე, გვ. 221.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 421.

1. გერმანელი ემპირიოკრიტიკოსების შეხედულებები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში.

2. რუსი მახისტების სოციოლოგიური შეხედულებები და მათი კრიტიკა. აქ უმთავრესად ყურადღებას გავამახვილებთ ბოგდანოვის, შემდეგ სუვოროვის თვალსაზრისის კრიტიკაზე.

3. ფილოსოფიის პარტიულობის საკითხი.

1. ამ თავის დასაწყისში ვ. ი. ლენინი გვაცნობს გერმანელი ემპირიოკრიტიკოსების ექსკურსებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

ვ. ი. ლენინს მოჰყავს რ. ავენარიუსის მოწაფის ფ. ბლეის ბრალდებები მარქსიზმის წინააღმდეგ მისივე წიგნიდან „მეტაფიზიკა პოლიტიკურ ეკონომიაში". სახელდობრ, ის, რომ ა) მარქსის პოლიტიკური ეკონომია მეტაფიზიკური წანამძღვრებიდან გამომდინარეობს, რომ მარქსი მეტაფიზიკოსია. ბ) მარქსიზმი პიროვნებას უმნიშვნელო მოვლენად აცხადებს, უქვემდებარებს მას რაღაც „იმანენტურ ეკონომიურ კანონებს", გ) მარქსის თეორია „არაბიოლოგიურია", რაც თითქოს ამ თეორიის არამეცნიერულობაზე მიუთითებს. დ) მარქსის თეორია პარტიულია, მიკერძოებითია, წინასწარ აკვიატებული აზრითაა ნაკარნახევი, ე) მარქსიზმი არ იცნობს ობიექტურ ჭეშმარიტებას ეკონომიკურ მოძღვრებაში.

ამის შემდეგ ვ. ი. ლენინი გადმოსცემს მეორე გერმანელი ემპირიოკრიტიკოსის —პეცოლდტის მოსაზრებებს ეთიკისა და ესთეტიკის საკითხებზე და დაასკვნის, რომ „ერთი და იგივე ამბავია გნოსეოლოგიაშიც და სოციოლოგიაშიც, იმავე მყვირალა ამბის უკან იგივე რეაქციული შინაარსი იმალება"[1].

2. რაც შეეხება რუსი მახისტების სოციოლოგიურ შეხედულებებს, აქ ვ. ი. ლენინი უწინარეს ყოვლისა სპეციალურად ეხება ბოგდანოვის თვალსაზრისს პარაგრაფში „როგორ ასწორებს და „ავითარებს" მარქსს ბოგდანოვი".

მარქსისტული სოციოლოგიის რევიზიას ბოგდანოვი ეწეოდა ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი საკითხის — საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების არსის გაგებაში.

მოკლედ შევეხოთ ამ საკითხს.

ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ყ ო ფ ი ე რ ებ ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ც ნ ო ბ ი ე რ ებ ი ს ა გ ა ნ. საზოგადოებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია ადამიანთა ნებისყოფისაგან, მათი ცნობიერებისაგან, ე. ი. ობიექტურია.

კ. მარქსი ახასიათებდა საზოგადოებრივი ყოფიერების ამ თავისებუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 421.

რებას მატერიალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის — წარმოებითი ურთიერთობის მიხედვით. იგი აღნიშნავდა, რომ „თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, წარმოებით ურთიერთობას“[1] (ხაზგასმა ჩვენია, — ბ. ლ.).

ამავე აზრს ავითარებდა ვ. ი. ლენინი: „საზოგადოებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია ადამიანთა საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან“[2].

საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობის დასაბუთებისათვის კ. მარქსი ემყარებოდა საზოგადოების მატერიალური საწარმოო საფუძვლების ანალიზს. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მარქსამდელი სოციოლოგია უგულებელყოფდა მატერიალური წარმოების განმსაზღვრელ როლს საზოგადოებაში. ამ მომენტზე უნდა გამახვილებულიყო სწორედ ყურადღება მაშინდელ პირობებში.

ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობის მარქსისტულ დებულებას ასაბუთებს განსხვავებული პოზიციიდან, სახელდობრ, გნოსეოლოგიური თვალსაზრისით. ეს გამოწვეული იყო მახისტური სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებებით.

საზოგადოებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან. ვ. ი. ლენინმა ახალი საბუთით განამტკიცა ისტორიული მატერიალიზმის ეს ძირეული დებულება. მან გვიჩვენა, რომ საზოგადოებრივი ყოფიერების ობიექტურობა დასტურდება საზოგადოებრივი ყოფიერებისადმი საზოგადოებრივი ცნობიერების უკუმიმართების ხასიათითაც. ვ. ი. ლენინმა ეს არგუმენტი წამოაყენა ბოგდანოვის სუბიექტურ-იდეალისტური სოციოლოგიური თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ.

ეწეოდა რა ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის რევიზიას სუბიექტურ-იდეალისტურ ნიადაგზე, ბოგდანოვი ერთმანეთთან აიგივებდა საზოგადოებრივ ყოფიერებას და საზოგადოებრივ ცნობიერებას. ბოგდანოვის თვალსაზრისით, ადამიანთა ყოფიერებაში არაფერია ისეთი, რაც იმთავითვე ცნობიერ, შეგნებულ ხასიათს არ ატარებდეს. ადამიანთა პრაქტიკული ურთიერთობა შეგნებული ურთიერთობაა, ხოლო ყოველგვარ შეგნებულ ურთიერთობას პრაქტიკული ურთიერთობის სახე აქვს. მაშასადამე, დაასკვნის ბოგდანოვი, ერთი და

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 10.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 414.

იგივეა საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება. „არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანებს არ შეუძლიათ სხვანაირად გაერთიანდნენ, თუ არ ცნობიერების შემწეობით: ცნობიერების გარეშე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ არსებობს. ამიტომ სოციალური ცხოვრება ყველა თავისი გამოსახულებით შეგნებულად-ფსიქიკურია... სოციალურობა განუყრელია ცნობიერებასთან. საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება, ამ სიტყვების ზუსტი გაგებით, ერთი და იგივეა"[1] — წერდა ბოგდანოვი.

ა. ბოგდანოვის ეს დებულება ლოგიკურად გამომდინარეობდა მისივე საერთო-ფილოსოფიური კონცეფციიდან, იგი როგორც ემპირიოკრიტიციზმის მიმდევარი ტოლობის ნიშანს სვამდა ფსიქიკურსა და ფიზიკურს, შეგრძნებასა და მის ობიექტს შორის: „ამრიგად,—დაასკვნიდა იგი, — „ფიზიკური სხეული" არის აღქმების ჯერ ინდივიდუალური, ხოლო შემდეგ კოლექტიური დაჯგუფებისა და სისტემატიზაციის შედეგი"[2]. „ფიზიკური ნიშნავს ცდის გარკვეულ კავშირს, ამ კავშირის ყველაზე მწყობრ ორგანიზებულ, ყველაზე დამუშავებულ ფორმას"[3].

ამ თვალსაზრისს ა. ბოგდანოვი ავრცელებს საზოგადოებრივი მოვლენების გაგებაზეც. ერთგან იგი წერს კიდეც, რომ „მანქანური წარმოების მუშაკს მის ყოველდღიურ შრომით ცდაში მუდმივად ეძლევა მასალა „ფსიქიკურის" და „ფიზიკურის" პრინციპული ერთგვაროვნების იდეისათვის"[4].

ამავე თვალსაზრისს იცავდა იმანენტი შუბერტ-ზოლდერნი. იგი წერდა: „გნოსეოლოგიურად წარმოების გარეგანი პროცესი კი არ არის პირველადი..., არამედ სუბიექტი ან სუბიექტები; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: წარმოების წმინდა-მატერიალურ პროცესსაც არ გამოვუყავართ ცნობიერების საერთო ურთიერთობიდან"[5].

ვ. ი. ლენინმა გამოამჟღავნა ბოგდანოვის, შუბერტ-ზოლდერნის და სხვათა არგუმენტაციის სიყალბე, უარყო საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაიგივების მცდარი იდეალისტური დებულება.

თავისთავად ცხადია, რომ ადამიანები ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან როგორც შეგნებული არსებანი, მაგრამ აქედან არ გა-

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 410.
[2] A. A. Богданов. Эмпириокритицизм. 1905. გვ. 19
[3] იქვე, გვ. 31.
[4] A. A. Богданов. Эмпириомонизм. 1906. გვ 151.
[5] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14. გვ. 412.

მომდინარეობს საზოგადოებრივი ცნობიერებისა და საზოგადოებრივი ყოფიერების იგივეობა. ყოველ ადამიანს, შეგნებული აქვს რა ინდივიდუალური მოქმედება, არა აქვს შეგნებული, თუ რა საზოგადოებრივ ურთიერთობას ამყარებს იგი სხვა ადამიანებთან, რა კანონებით ვითარდება ეს ურთიერთობანი, თუ რა ცვლილებას გამოიწვევს მისი ინდივიდუალური მოქმედება საზოგადოებრივ ყოფიერებაში.

ყოველი მწარმოებელი. რომელიც საქონელს ამზადებს და ცვლის, ამით ობიექტურად გარკვეულ ურთიერთობას ამყარებს სხვა საქონელმწარმოებლებთან. ღირებულება, რომელიც მის საწარმოში შეიქმნა, გადის მსოფლიო ბაზარზე, ერთვის მას და მონაწილეობს ღირებულებათა საერთო ტოლქმედის ჩამოყალიბებაში, რაც მიმდინარეობს ობიექტურად, მისი შეგნებისა და ნებისყოფისაგან სრულიად დამოუკიდებლად. „პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის დროს, — წერს ვ. ი. ლენინი, — ადამიანები შედიან წარმოებითს ურთიერთობაში, ისე რომ არც კი აქვთ შეგნებული, რომ აქ საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობაა“[1].

ყოველმა საქონელმწარმოებელმა იცის, თუ რა უშუალო სასარგებლო ეფექტი მოჰყვება ტექნიკურ გაუმჯობესებას, რომელსაც იგი ნერგავს თავის საწარმოში, მაგრამ მას არ შეუძლია იცოდეს ამ გაუმჯობესებათა საზოგადოებრივი შედეგები.

„ყოველ ცალკეულ მწარმოებელს მსოფლიო მეურნეობაში შეგნებული აქვს, რომ მას რაღაც ცვლილება შეაქვს წარმოების ტექნიკაში, ყოველ მეურნეს შეგნებული აქვს, რომ იგი ამა თუ იმ პროდუქტებს სხვა პროდუქტებზე ცვლის, მაგრამ ამ მწარმოებლებს და ამ მეურნეებს შეგნებული არა აქვთ, რომ ისინი ამით საზოგადოებრივ ყოფიერებას ცვლიან“[2].

ცხადია, ადამიანები თვით არიან შეგნებული არსებანი და ყოველგვარი ურთიერთობა, რომელიც მათ შორის მყარდება, შეგნებულ არსებათა ურთიერთობის სახეს იღებს. მაგრამ შეგნებულ ადამიანთა ურთიერთობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის შეგნებას, ინდივიდუალური კავშირურთიერთობის საზოგადოებრივი შედეგების გაგებას; „არც ერთ ცოტად თუ ბევრად რთულ საზოგადოებრივ ფორმაციაში — განსაკუთრებით კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციაში — ადამიანებს, ურთიერთობის დამყარების დროს, შეგნებული არა აქვთ, თუ რა საზოგადოებრივი ურთიერთობა მყარდება მათ შორის, რა კანონებით ვითარდება

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 150.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 413.

ეს ურთიერთობა და სხვ... მაგალითად, როცა გლეხი პურს ჰყიდის, იგი „ურთიერთობას“ ამყარებს პურის მსოფლიო მწარმოებლებთან მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ მას ეს შეგნებული არა აქვს, როგორც შეგნებული არა აქვს ისიც, რა საზოგადოებრივი ურთიერთობა იქმნება „ღებ-მიცემობაა“[1].

შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს მწარმოებელთა საზოგადოებრივ ყოფიერებაში ინდივიდუალური საწარმოო პრაქტიკული მოქმედებით შეტანილი ცვლილებანი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობაში ამ ცვლილებათა ჯამს მთელი მათი განშტოებით თავს ვერ გაართმევდა 70 მარქსიც კი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ მთავარ ხაზებში „ამ ცვლილებათა და მათი ისტორიული განვითარების ობიექტური ლოგიკა“. „კაცობრიობის უმაღლესი ამოცანაა — ზოგად და ძირითად ხაზებში მოიცვას სამეურნეო ევოლუციის (საზოგადოებრივი ყოფიერების ევოლუციის) ეს ობიექტური ლოგიკა, რათა რაც შეიძლება ნათლად, გარკვეულად და კრიტიკულად შეუთანხმოს მას თავისი საზოგადოებრივი ცნობიერება და ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მოწინავე კლასების ცნობიერება“[2].

ამასთან, როგორც არ უნდა ჰქონდეთ შეგნებული ადამიანებს თავიანთი საკუთარი მოქმედება, საზოგადოებრივი ყოფიერება მაინც ობიექტურ რეალობად რჩება და თავისი განვითარების ობიექტურ, ადამიანთა ნებისყოფისა და შეგნებისაგან დამოუკიდებელ კანონებს ექვემდებარება.

საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების იგივეობის იდეალისტურ მოძღვრებას არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან. „საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება ერთი და იგივე არ არის, — სწორედ ისევე, როგორც ერთი და იგივე არ არის ყოფიერება და ცნობიერება საზოგადოდ“[3].

საზოგადოებრივი ცნობიერება ისევე დამოკიდებულია საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, როგორც ცნობიერება ყოფიერებაზე საერთოდ. ვ. ი. ლენინი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა აუცილებელ კავშირს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ამ დებულებათა შორის.

„მატერიალიზმი საერთოდ ცნობს ობიექტურად რეალურ ყოფიერებას (მატერიას), დამოუკიდებელს კაცობრიობის ცნობიერებისა, შეგრძნებისა და ცდისაგან და სხვ. ისტორიული მატერიალიზმი ცნობს,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 411.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 410—411.

რომ საზოგადოებრივი ყოფიერება დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ა კაცობრიობის საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან"[1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან როგორც მისი სუბსტანციური ბუნების გამოხატულება ჯერ კიდევ არ ამოწურავს საზოგადოებრივი ყოფიერების არსებას. საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, მაგალითად, გეოგრაფიული გარემოც. მაშასადამე, საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლობა წარმოადგენს როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების, ისე გეოგრაფიული გარემოს საერთო ნიშანს. მაგრამ ის როლი, რომელსაც ასრულებენ ეს მატერიალური მხარეები საზოგადოებრივი ცნობიერების ცვალებადობასა და განვითარებაში, თვისებრივად სხვადასხვაა.

საზოგადოებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან, მაგრამ ამავე დროს მისი განმსაზღვრელიცაა, მაშინ როდესაც გეოგრაფიული გარემო არ ასრულებს განმსაზღვრელ როლს საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ.

მეორე რუსი მახისტი, რომელსაც აგრეთვე „სურს მარქსისტი იყოს", მაგრამ არსებითად ამახინჯებს მარქსიზმს, ს. სუვოროვია, თავის სტატიაში „სოციალური ფილოსოფიის საფუძვლები" ს. სუვოროვი „ძალთა ეკონომიის კანონს" აცხადებდა უნივერსალურ კანონად, რომელიც სოციალურ სფეროზეც ვრცელდება. იგი წერდა, რომ მარქსმა „დაადგინა სოციალური დინამიკის ძირითადი კანონი, რომლის მიხედვით საწარმოო ძალთა ევოლუცია მთელი სამეურნეო და საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრავი საწყისია. მაგრამ საწარმოო ძალთა განვითარება შეესაბამება შრომის ნაყოფიერების ზრდას, ენერგიის დახარჯვის შედარებითს შემცირებას და მისი დაგროვების გადიდებას... ეს ეკონომიური პრინციპია. ამრიგად, მარქსმა სოციალურ თეორიას საფუძვლად დაუდვა ძალთა ეკონომიის პრინციპი"[2].

სინამდვილეში ძალთა ეკონომიის კანონი არ არსებობს არც ბუნებაში (არაორგანულსა და ორგანულში), არც საზოგადოებაში. მარქსის თეორიას საფუძვლად უდევს არა ძალთა ეკონომიის პრინციპი.

„მარქსმა სრულიად ზუსტად განმარტა საწარმოო ძალთა ზრდის ცნება და შეისწავლა ამ ზრდის კონკრეტული პროცესი"[3]. საწარმოო ძალთა ზრდა, მარქსიზმის მიხედვით, უნდა განვიხილოთ, როგორც პროცესი, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული წარმოებით ურ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 415.

[2] იქვე, გვ. 425.

[3] იქვე.

თიერთობებთან, წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულების ფორმებთან, რაც ისტორიულად განსაზღვრულია. მარქსიზმის „ენერგეტიკული დასაბუთება“ სხვა არაფერია, თუ არა იმის ცდა, რომ სოციალური ცხოვრება, მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმა, დაყვანილ იქნეს მატერიის მოძრაობის დაბალ ფორმებზე, გაგებულ იქნეს მათ საფუძველზე.

სუვოროვს არასწორად ესმოდა აგრეთვე კლასობრივი ბრძოლა, როცა მას წინასწორობის ფორმების დამყარების გზად მიიჩნევდა. აგრეთვე სოციალური პროგრესი და სხვა სოციოლოგიური საკითხები.

3. ფილოსოფიის პარტიულობის საკითხს ვ. ი. ლენინი განიხილავს რელიგიისადმი მახისტების დამოკიდებულების გარკვევასთან დაკავშირებით. რელიგიისადმი დამოკიდებულებას მახისტები არ თვლიდნენ მათი პარტიულობის მაჩვენებლად. მაგალითად, პეცოლდტის აზრით, „ემპირიოკრიტიციზმი „არ ეწინააღმდეგება არც თეიზმს, არც ათეიზმს“[1]; ლუნაჩარსკი ქადაგებდა „რელიგიურ ათეიზმს“, იუშკევიჩი ცნობდა „ლოგოსს“, რომელიც „მოცემულის რაციონალურ მდინარეობაში“ შედის და ა. შ.

ამასთან, მახისტების თვალსაზრისით უპარტიულობა უნდა ვცნოთ არა მარტო რელიგიის დარგში, არამედ ფილოსოფიაშიც. ისინი უარყოფდნენ პარტიების არსებობას ფილოსოფიაში. მათ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — „თავი მოაქვთ თავიანთი უპარტიულობით“[2].

გასაგებია, ამის გამო, რომ პარტიულობის საკითხს ვ. ი. ლენინი არ აყენებს ვიწრო მასშტაბით, მხოლოდ რელიგიისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. „ეს საკითხი უნდა გავაფართოოთ, — აღნიშნავს იგი, — და დავსვათ კითხვა, არსებობს თუ არა საზოგადოდ პარტიები ფილოსოფიაში და რა მნიშვნელობა აქვს უპარტიობას ფილოსოფიაში“[3].

მარქსიზმის თანახმად, ფილოსოფია პარტიულია, იგი იყოფა ორ ძირითად ბანაკად, ხაზად, მიმართულებად ფილოსოფიური საკითხების გადაჭრაში. იმისდა მიხედვით, თუ რას ვცნობთ პირველადად, — მატერიას, ბუნებას თუ ცნობიერებას, იდეალურს, — შეუძლებელია ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებულ ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკში არ აღმოვჩნდეთ. „მივიღოთ თუ არა პირველადად ბუნება, მატერია, ფიზიკური, გარეგანი სამყარო, ხოლო მეორადად ცნობიერება, სული, შეგრძნება (— ცდა, ჩვენს დროში გავრცელებული ტერმინოლოგიით), ფსიქიკური და სხვ., აი ის ძირითადი საკითხი, რომელიც

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 439.
[2] იქვე, გვ. 435.
[3] იქვე, გვ. 427.

ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ჰყოფს ფილოსოფოსებს ო რ დ ი დ ბ ა ნ ა კ ა დ“[1]. ისინი ჯგუფდებიან ამ მატერიალისტების, ან იდეალისტების ბანაკში, ხოლო მათ შორის ყოველთვის ბრძოლა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

ვ. ი. ლენინს მოჰყავს ამონაწერები კ. მარქსის წერილიდან ფოიერბახისადმი (1843 წ. 30 ოქტომბერი), აგრეთვე კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობიდან“, სადაც კ. მარქსი ერთმანეთს უპირისპირებს მატერიალიზმსა და იდეალიზმს.

„მარქსის და ენგელსის გენიოსობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ძლიერ დიდი პერიოდის, თ ი თ ქ მ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ი ს ა უ კ უ ნ ი ს, განმავლობაში ისინი მატერიალიზმს ავითარებდნენ, წინ მიჰყავდათ ერთი ძირითადი მიმართულება ფილოსოფიაში“[2].

მატერიალიზმის და იდეალიზმის — ორი ბანაკის დაპირისპირებულობის საკითხი ნათლად არის გარკვეული ფ. ენგელსის შრომებში. ვ. ი. ლენინი იმოწმებს ფ. ენგელსის პირდაპირ მითითებებს ამ საკითხზე მისივე წიგნებიდან „ანტი-დიურინგი“ და „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“.

მატერიალიზმისაგან ცალკეული გადახვევების მიუხედავად პარტიულობას ფილოსოფიაში კატეგორიულად აღიარებდა ი. დიცგენიც. „როგორც ღმერთის ანტიპოდი ეშმაკია, ისე პროფესორ ხუცის... ანტიპოდი — მატერიალისტია“[3] — წერდა ი. დიცგენი.

რაც შეეხება მახისტებს, ისინი მიეკუთვნებოდნენ მატერიალიზმის საწინააღმდეგო, იდეალიზმის ბანაკს, მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა დადგომის პრეტენზიის მიუხედავად და შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მატერიალიზმის წინააღმდეგ.

კლასობრივ საზოგადოებაში ფილოსოფიური პარტიების მიღმა ყოველთვის დგანან გარკვეული კლასები, რომელთა შორის ბრძოლა მიმდინარეობს. „პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში... საბოლოო ანგარიშში გამოხატავს თანამედროვე საზოგადოების მტრული კლასების ტენდენციებსა და იდეოლოგიას. ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ იყო. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია... იდეალიზმი მხოლოდ დახვეწილი, ფაქიზი ფორმაა ფიდეიზმისა... ემპირიოკრიტიციზმის ობიექტური. კლასობრივი როლი მთლიანად განისაზღვრება ფიდეისტებისათვის სამსახურის გაწევით მათს ბრძოლაში მატერიალიზმის წინააღმდეგ საერთოდ და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ კერძოდ“[4].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 427.

[2] იქვე, გვ. 428.

[3] იქვე, გვ. 434.

[4] იქვე, გვ. 457.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის დებულებებს იმ მეცნიერებათა შესახებ, რომლებიც სპეციალურ დარგებში მუშაობენ და კაპიტალისტებს ემსახურებიან. ვ. ი. ლენინი არ უარყოფს ამ მეცნიერთა როლს სპეციალური დარგების განვითარებაში, მაგრამ ამასთან მათი ზოგად-თეორიული შეხედულებების შეფასებისას მოითხოვს, რომ მტკიცედ დავიცვათ პარტიულობის პრინციპი. ამ მეცნიერებს, „რომლებსაც შეუძლიათ მეტად საგულისხმო ნაშრომები მოგვცენ ქიმიის, ისტორიის, ფიზიკის სპეციალურ დარგებში, ერთი სიტყვაც არ დაეჯერება, რაკი ლაპარაკი ფილოსოფიაზე ჩამოვარდება. რატომ? იმავე მიზეზით, რომლის გამო პოლიტიკური ეკონომიის არც ერთ პროფესორს, რომელსაც შეუძლია უაღრესად საგულისხმო ნაშრომი მოგვცეს ფაქტიური, სპეციალური გამოკვლევების დარგში, არც ერთი სიტყვაც არ დაეჯერება, როცა ლაპარაკი პოლიტიკური ეკონომიის ზოგად თეორიაზე ჩამოვარდება. ვინაიდან პოლიტიკური ეკონომიაც ისეთივე პარტიული მეცნიერებაა თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც გნოსეოლოგია“ [1].

გარკვეული აზრით, კაპიტალისტური სამყაროს მიმართ ამჟამადაც უცვლელი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის დაბულებას, რომ „ცივილიზებულ და დემოკრატიულ ევროპაში დღის წესრიგში დგას მტრობა მატერიალიზმისადმი, ცილისწამებათა ნიაღვარი მატერიალისტების წინააღმდეგ“ [2]. თანამედროვე პირობებში, როცა მსოფლიო გათიშულია ორ საზოგადოებრივ სისტემად — კაპიტალიზმად და სოციალიზმად, რომელთა შორის ბრძოლა მიმდინარეობს, „ფილოსოფოსის ნეიტრალობა ამ საკითხში უკვე ლაქიობაა ფიდეიზმის წინაშე“ [3].

ვ. ი. ლენინის დებულებები ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ საშუალებას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის შინაარსი და კლასობრივი მიზანდასახულება, ყოველმხრივ ვებრძოლოთ ანტიკომუნისტურ იდეოლოგიას.

დაბოლოს, შეიძლება ვიკითხოთ, თუ რატომ განიხილავს ფილოსოფიის პარტიულობის საკითხს ვ. ი. ლენინი თავისი შრომის იმ ნაწილში, რომელიც ისტორიულ მატერიალიზმს ეძღვნება. ამის საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიის პარტიულობა გამოხატავს არა მხოლოდ იმას, რომ ფილოსოფია პარტიებად, მატერიალიზმის და იდეალიზმის მიმდინარეობებად იყოფა, არამედ იმასაც, რომ პარტიები ფილოსოფიაში საზოგადოების ურთიერთსაწინააღმდეგო კლასებად დაყოფის და მათ შორის ბრძოლის გამოხატულებაა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 437.
[2] იქვე, გვ. 439.
[3] იქვე.

სწორედ ისტორიული მატერიალიზმი გვიხსნის იმის საიდუმლოებას, თუ რატომ მიმდინარეობდა იდეური ბრძოლა მატერიალისტებსა და იდეალისტებს შორის მთელი კლასობრივი საზოგადოების არსებობის პერიოდში. ბრძოლა პარტიებს შორის ფილოსოფიაში წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის იდეურ გამოხატულებას.

კლასობრივი საზოგადოების განვითარების ისტორია არ იცნობს არცერთ ფილოსოფიურ სისტემას, რომელიც პარტიულ, კლასობრივ ხასიათს არ ატარებდეს. სხვანაირად შეუძლებელიცაა. კლასობრივ საზოგადოებაში საზოგადოებრივი თეორიები ყოველთვის ამართლებენ ამა თუ იმ კლასის მიზანსწრაფვას და მოქმედებას. ამაში მჟღავნდება ფილოსოფიის კლასობრივი, პარტიული ხასიათი.

ამასთან, მარქსამდელი ფილოსოფია საზოგადოებას განიხილავდა ამა თუ იმ კლასის ან სოციალური ჯგუფის ვიწრო ინტერესების პრიზმიდან, მიკერძოებით, ისე, როგორც ეს ამა თუ იმ კლასს ან სოციალურ ჯგუფს გამოადგებოდა. ამიტომ მარქსამდელი, აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პარტიულობა მოკლებულია მეცნიერული ობიექტურობის საფუძველს.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია პარტიული, კლასობრივია. კერძოდ, იგი ასახავს და იცავს მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ინტერესებს, არ ფარავს თავის მებრძოლ, კლასობრივ, პარტიულ ხასიათს. ამასთან, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისათვის სპეციფიკურია ის, რომ მისი პარტიულობა მეცნიერულ ობიექტურობას ემყარება. გამოხატავს რა მშრომელი მასების ინტერესებს, მარქსისტული ფილოსოფია ზუსტად შეესაბამება სინამდვილის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს, მას პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები გამოყავს საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებიდან, მისი მატერიალური და სულიერი ცხოვრების მეცნიერული ანალიზის გზით. მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესები, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია გამოხატავს, სავსებით შეესაბამება ისტორიული განვითარების ობიექტურ მსვლელობას. მებრძოლი პარტიულობის და მეცნიერული ობიექტურობის ორგანული ერთიანობა თვისობრივად ახალი, მარქსისტული ფილოსოფიის დამახასიათებელი თავისებურებაა.

თუ მარქსიზმის წარმოშობამდე ფილოსოფია, ჩვეულებრივ, მოწყვეტილი იყო ხალხის მასებისაგან და ხალხისათვის უცხო მცირე რაოდენობის ფილოსოფოსებისა და მათი მოწაფეების, ვიწრო ფილოსოფიური სკოლების საქმეს შეადგენდა, მარქსისტული ფილოსოფია მშრომელი მასების საკუთრებაა, მათი იდეური დროშაა. „... ეს მოძღვრება იქცა მთელი მსოფლიოს მილიონობით და ათეულ მილიონობით პრო-

ლეტართა მოძღვრებად, რომელნიც ამ მოძღვრებას იყენებენ თავიანთ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ"[1].

ამრიგად, მარქსისტული ფილოსოფია მშრომელი მასების ფილოსოფიაა. მაგრამ იგი სრულიადაც არ არის მიკერძოებული დოქტრინა. მარქსისტული ფილოსოფია, გამოხატავს რა მშრომელი მასების ინტერესებს, ამასთან იგი მკაცრად შეესაბამება სინამდვილის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს.

კ. მარქსი—ი. ვაიდემაიერს, 5 მარტი 1852 წ.

კ. მარქსის წერილი ვაიდემაიერისადმი[2] მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ მარქსი ეხება საკუთარ დამსახურებას კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიაში. ამასთან, იგი ახასიათებს ადრინდელ მოაზროვნეთა ღვაწლს ამ საკითხთან დაკავშირებით.

კლასებისა და კლასთა ბრძოლის არსებობის დადგენა კ. მარქსს თავის აღმოჩენად არ მიაჩნია. „მე არ მეკუთვნის, — წერს იგი, — არც თანამედროვე საზოგადოების კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება"[3]. ამ სოციალური მოვლენების არსებობა ჯერ კიდევ მარქსამდე იყო ცნობილი. კ. მარქსისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ადრე გადმოსცეს კლასთა ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიკური ანატომია.

კ. მარქსს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისელი ეკონომისტები საზოგადოების კლასებად დაყოფას ეკონომიკური საფუძვლით ხსნიდნენ. მაგალითად, დავით რიკარდოს მიხედვით წარმოების პროდუქტები ნაწილდება სამ კლასს შორის, სახელდობრ, მიწის მფლობელებს, კაპიტალის მფლობელებსა და მუშებს შორის. ამ კლასების არსებობა დამოკიდებულია მათი შემოსავლის წყაროზე — რენტასა, მოგებასა ანდა ხელფასზე. პირველს წარმოშობს მიწის საკუთრება, მეორეს — კაპიტალი, ხოლო მესამეს — დაქირავებული შრომა.

როდესაც მარქსი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა მასზე ადრე იცოდნენ „კლასთა ისტორია", კლასთა ბრძოლის ისტორი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 342.

[2] იოსებ ვაიდემაიერი (1818—1866) გერმანიისა და ამერიკის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი ითელება მარქსიზმის პირველ პროპაგანდისტად ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ მან 1852 წელს დააარსა მარქსისტული ჟურნალი „რევოლუცია", რომელშიც იბეჭდებოდა თეორიული სტატიები, მათ შორის კ. მარქსის „თერამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა".

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები. ტ. I, 1975, გვ. 655.

ული განვითარება, მას მხედველობაში ყავს რესტავრაციის დროის (XIX საუკუნის 20—30-იანი წლების) ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსები — ო. ტიერი, ფ. გიზო, ო. მინიე, ა. ტიერი, აგრეთვე ინგლისელი ეკონომისტი და პუბლიცისტი ჯონ უეიდი და სხვები. ამათი აზრით, საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკური ბრძოლების ღერძს კლასთა ბრძოლა წარმოადგენდა; ეს ბრძოლა მსხვილი მრეწველობის შემოღების დროიდან ინგლისში, ხოლო ბურბონების აღდგენის შემდეგ საფრანგეთში მიმდინარეობდა მიწათმფლობელ არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან კი მესამე მებრძოლ კლასად პროლეტარიატი იქნა აღიარებული.

ამრიგად, კლასებისა და კლასთა ბრძოლის არსებობა ჯერ კიდევ მარქსამდე იყო ცნობილი.

რა სიახლე შეიტანა კ. მარქსმა კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიაში? ამის შესახებ თვით კ. მარქსი წერდა: „ის ახალი, რაც მე გავაკეთე, იმის დამტკიცება იყო, რომ: 1) კლასთა არსებობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ ფაზებთან; 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურამდე; 3) რომ თვით ეს დიქტატურა წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას ყოველგვარი კლასების მოსპობაზე და უკლასო საზოგადოებაზე“[1].

იმისათვის, რომ საფუძვლიანად გავიაზროთ კ. მარქსის ზემომოყვანილი ფორმულირება, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ დებულებებზე:

კლასები ყოველთვის არ არსებობდნენ და ყოველთვის არც იარსებებენ; საზოგადოების კლასებად დაყოფა ისტორიული კატეგორიაა.

კლასების წარმოშობა უშუალოდ განსაზღვრულია კერძო საკუთრების წარმოშობით, რაც თავის მხრივ შეესაბამება საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ დონეს. კლასები აღარ იქნებიან მაშინ, როდესაც საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარების შედეგად საზოგადოების ყველა წევრი ერთგვაროვან დამოკიდებულებაში აღმოჩნდება წარმოების საშუალებებისადმი.

საწარმოო ძალთა პროგრესული ცვალებადობა აუცილებლობად იწვევდა საკუთრების ფორმების შეცვლას, ამის შესაბამისად კი, სხვადასხვა კლასების არსებობას სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში და თვით ფორმაციის შიგნით.

ანტაგონისტური კლასების წარმოშობით დასაბამი ეძლევა კლასობრივ ბრძოლას კაცობრიობის ისტორიაში. ამ ბრძოლის ეკონომიკური

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1975. ტ. I, გვ. 655.

საფუძველია წინააღმდეკობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის. საბოლოოდ ამ ბრძოლაში იმარჯვებს ის კლასი, რომლის ისტორიული მოქმედება შეესაბამება წარმოების განვითარების, მთელი სოციალური პროგრესის ობიექტურ მოთხოვნებს.

ყოველი წინა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ისტორიულად ამზადებს შემდგომ, უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას. დრომოქმული კლასების ადგილს პროგრესული კლასები იკერენ. ბრძოლა ანტაგონისტურ კლასებს შორის გრძელდება მანამდე, ვიდრე მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემქმნელნი, — მშრომელები ბოლოს არ მოუღებენ სოციალურ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას და არ შექმნიან თავიანთ, საკუთარ, სოციალისტურ საზოგადოებას.

ობიექტური და სუბიექტური პირობები სოციალისტური რევოლუციისათვის კაპიტალისტურ საზოგადოებაში მზადდება.

სოციალისტურ რევოლუციას ახდენს პროლეტარიატი, როგორც ყველაზე პროგრესული კლასი სხვა მშრომელ მასებთან კავშირში.

რაკი ექსპლოატატორული კლასები ნებით არ იღებენ ხელს თავიანთ ბატონობაზე, პროლეტარიატი რევოლუციური გზით ამხობს ბურჟუაზიას და ამყარებს საკუთარ დიქტატურას, რომელიც მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს.

პროლეტარიატის დიქტატურა მთავარი იარაღია პროლეტარიატის ხელში ახალი, კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

კომუნისტური საზოგადოება, რომელიც ემყარება უაღრესად განვითარებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ამკვიდრებს კომუნისტურ დამოკიდებულებას წარმოების საშუალებებისადმი, სპობს ობიექტურ საფუძველს ყოველგვარ კლასობრივ განსხვავებულობათა არსებობისათვის. იგი უკლასო საზოგადოებაა.

ასე შეიძლება გადმოვცეთ ძირითადი იდეები, რომლებსაც კ. მარქსი აკითარებს თავის წერილში ვაიდემაიერისადმი.

ამ წერილში საყურადღებოა აგრეთვე გერმანელი პუბლიცისტის გეინცენის კრიტიკა კ. მარქსის მიერ. იგი აკრიტიკებს გეინცენს იმის გამო, რომ გეინცენი უარყოფდა კლასთა არსებობის ობიექტურ საფუძველს. აქვე გაკრიტიკებულია ამერიკელი ეკონომისტი კერი, რომელიც კლასობრივ ინტერესთა ჰარმონიულობას ქადაგებდა. ეს კრიტიკა დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ვ. ი. ლენინი. „დიადი თაოსნობა"

ვ. ი. ლენინის ამ ნაშრომში განხილულია მეცნიერული კომუნიზმისა და ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთი საკვანძო საკითხი. აქედან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

1. კომუნისტური შაბათობების დახასიათება. კომუნისტური შრომის ძირითადი ნიშნები.

2. კლასების განსაზღვრება.

მოკლედ შეეეხოთ თითოეულ მათგანს.

ვ. ი. ლენინის „დიადი თაოსნობა“ დაიწერა 1919 წლის 28 ივნისს. ცალკე ბროშურად გამოვიდა 1919 წლის ივლისში. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, წითელი არმია გმირულად იცავდა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს. მაგრამ არანაკლებ გმირობას იჩენდნენ მუშები ზურგშიც: მათი თაოსნობით მოეწყო კომუნისტური შაბათობები საბჭოთა რუსეთის მთელ რიგ სამრეწველო ქალაქებში. ვ. ი. ლენინს მოყავს ცნობები კომუნისტური შაბათობების შესახებ, რომლებიც იმ პერიოდში გაზეთ „პრავდაში“ ქვეყნდებოდა; სახელდობრ, შაბათობები მოაწყვეს მოსკოვში, მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის, ალექსანდრეს რკინიგზის და ვიაზმის ხაზის, ტვერისა და სარატოვის რკინიგზების მუშებმა.

ამ შაბათობებმა ცხადყვეს, რომ „პროლეტარიატი წარმოადგენს და ახორციელებს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო მაღალ ტიპს, კაპიტალიზმთან შედარებით“[1].

ვ. ი. ლენინი განაზოგადებს რა კომუნისტური შაბათობების გამოცდილებას, აღნიშნავს, რომ კომუნისტური შაბათობა „გვიჩვენებს მუშების შეგნებულ და ნებაყოფლობით თაოსნობას შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ახალ შრომითს დისციპლინაზე გადასვლაში, მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტური პირობების შემოქმედებაში“[2].

კომუნისტური შაბათობების დროს მუშები ზედმეტ საათებში მუშაობდნენ სრულიად უსასყიდლოდ და მასთან აღწევდნენ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ისინი შრომობდნენ არა ექსპლუატატორისათვის, არამედ თავიანთი საკუთარი თავისათვის, სოციალისტური სამშობლოსათვის.

საზოგადოებრივი შრომის კომუნისტური ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია მშრომელთა თავისუფალი და შეგნებული დისციპლინა. შრომის ნაყოფიერების ამაღლება, უსასყიდლო შრომა. „კომუნიზმი, — წერს ვ. ი. ლენინი, — არის შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა. კომუნის-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 489.

[2] იქვე, გვ. 494—495.

ტური შაბათობა არაჩვეულებრივ საგულისხმო მოვლენაა, როგორც კომუნიზმის ფაქტიური დასაწყისი“ [1].

ვ. ი. ლენინი კომუნისტურ შაბათობას — მშრომელთა ამ დიად თაოსნობას „კომუნიზმის ყლორტებს“ უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ „ამ ყლორტების მოვლა ჩვენს საერთო და უპირველეს მოვალეობას შეადგენს“ [2].

თავისუფალი შრომის ის ნიშნები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა კომუნისტური შაბათობების დახასიათებისას დაადგინა, მომდევნო პერიოდის ნაწარმოებებში კომუნისტური შრომის არსებით თავისებურებად მიიჩნია. ამასთან ვ. ი. ლენინმა ერთმანეთისაგან განასხვავა სოციალისტური და კომუნისტური შრომა. პირველი არსებობს კომუნისტური საზოგადოების პირველდაწყებით საფეხურზე, სოციალიზმის დროს, მეორე კი ახალი საზოგადოებრივი წყობილების უმაღლეს საფეხურზე. საკუთრივ კომუნიზმის პირობებში. მაგრამ მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის უკვე სოციალისტურ საზოგადოებაში ისაჩება.

ემყარებოდა რა „დიად თაოსნობაში“ გამოთქმულ დებულებებს, ვ. ი. ლენინმა სტატიაში „საუკუნეობრივი წყობის რღვევიდან ახლის შემოქმედებისაკენ“ (1920 წ.) მოგვცა კომუნისტური შრომის განსაზღვრება:

„კომუნისტური შრომა, სიტყვის უფრო ვიწრო და უფრო ზუსტი გაგებით უსასყიდლო, უფასო შრომაა საზოგადოების სასარგებლოდ, შრომა, გაწეული არა განსაზღვრული ბეგარის მოსახდელად, არა გარკვეულ პროდუქტებზე უფლების მისაღებად, არა წინასწარ დადგენილი და დაკანონებული ნორმების მიხედვით, არამედ ნებაყოფლობითი შრომა, შრომა ნორმის გარეშე, შრომა გაწეული არა ანაზღაურების ანგარიშით, ანაზღაურების პირობის გარეშე, შრომა, გაწეული საერთო სარგებლობისათვის შრომის ჩვევის გამო და საერთო სარგებლობისათვის გაწეული შრომის აუცილებლობისადმი (ჩვევად ქცეული) შეგნებული დამოკიდებულებით, შრომა, როგორც ჯანსაღი ორგანიზმის მოთხოვნილება“ [3].

ნაწარმოებში „დიადი თაოსნობა“ ჩამოყალიბებულია კლასების განსაზღვრება, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ კლასების ლენინურ განსაზღვრებას. ვ. ი. ლენინის მიხედვით, „კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 499.
[2] იქვე, გვ. 504.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 30, გვ. 631.

ბულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ. კლასები, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის განსხვავების მეოხებით"[1].

საჭიროა მოკლედ დავახასიათოთ კლასების ეს არსებითი ნიშნები.

კლასების ლენინური განსაზღვრება ოთხ არსებით ნიშანს მოიცავს: 1) კლასები — ადამიანთა ისეთი დიდი ჯგუფებია, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ადგილით წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში. ეს ნიშანი გულისხმობს იმას, თუ როგორია კლასთა მდგომარეობა სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებაში, რომელს უკავია გაბატონებული ადგილი და რომელს არა, რომელია მჩაგვრელი და რომელია ჩაგრული. 2) კლასები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი. ეს ნიშანი იმაზე მიგვითითებს, თუ ვის მფლობელობაშია წარმოების საშუალებები, ვის ეკუთვნის ეს საშუალებები მთლიანად ან ნაწილობრივ, ან ვინ არის მათ მოკლებული საერთოდ. 3) კლასებს ერთმანეთისაგან განასხვავებს სხვადასხვა როლიც შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში: ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნი არიან წარმოების ორგანიზატორები, მეორენი კი შემსრულებლები, ხელმძღვანელობაში მყოფნი. 4) დაბოლოს, ადამიანთა დიდი ჯგუფები აგრეთვე განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ რა წესით და რა რაოდენობით ითვისებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს.

კლასების ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან განმსაზღვრელად ის ნიშანი ითვლება, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა დანარჩენი. ასეთია წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულება. იმისდა მიხედვით, თუ როგორია დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი — სხვადასხვაგვარია კლასების ადგილი წარმოების სისტემაში, მათი როლი შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, აგრეთვე საზოგადოებრივი დოვლათის მითვისების წესი და წილი.

ამავე ნაშრომში ვ. ი. ლენინი ეხება აგრეთვე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თავისებურებებს, პროლეტარიატის დიქტატურის, კლასობრივი განსხვავებულობის მოსპობის საკითხებს, ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკური და გონებრივი შრომის ადამიანთა შორის განსხვავებულობის დაძლევის ამოცანის, ძველი საზოგადოების გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას და სხვა საკითხებს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 491.

3. ი. ლენინი. „კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ“

ვ. ი. ლენინის ეს ნაწარმოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში გარკვეულია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ფორმის — პოლიტიკური ბრძოლის არსი, აგრეთვე პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის ურთიერთმიმართება.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კურსიდან ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სამი ძირითადი ფორმით ხორციელდება. ეს ფორმებია: ა) ეკონომიკური, ბ) პოლიტიკური, გ) იდეოლოგიური. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ეს ფორმები განსაზღვრულია ფ. ენგელსის შრომაში „გლეხთა ომი გერმანიაში“, განსაკუთრებით კი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებში „რა ვაკეთოთ?“. ამასთან, ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმების განვითარების საკითხი. მართალია, მარქსიზმი ძირითადად თვლის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სამივე ფორმას, როგორც ეკონომიკურს, ისე პოლიტიკურსა და იდეოლოგიურს, მაგრამ მათ შორის განმსაზღვრელ როლს პოლიტიკურ ბრძოლას ანიჭებს, ვინაიდან მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლა, სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვებაა ერთადერთი გზა პროლეტარიატის საბოლოო განთავისუფლებისათვის. ექსპლოატატორული კლასი თავის ეკონომიკურ ბატონობას პოლიტიკური ხელისუფლების საშუალებით უზრუნველყოფს და განამტკიცებს. მაშასადამე, ვიდრე სახელმწიფოებრივი ძალაუფლება მის ხელშია — იგი ბატონობს ეკონომიკურადაც და იდეოლოგიურადაც, და პირიქით, პოლიტიკური ძალაუფლების გამოცლით იგი ამასთანავე ემხობა ეკონომიკურად და იდეოლოგიურად. და რაკი ექსპლოატატორული კლასი თავისი ნება-სურვილით არასოდეს არ დათმობს თავის ბატონობას, გასაგებია, რომ სახელმწიფო ძალაუფლებისათვის ბრძოლა ის ასპარეზია, სადაც მან პროლეტარიატისაგან პირველი და გადამწყვეტი დარტყმა უნდა იგემოს.

აქედან ნათელია აგრეთვე, რომ ამა თუ იმ კლასის რევოლუციურობა, განისაზღვრება იმით, თუ რა დამოკიდებულებაშია იგი ექსპლოატატორული სახელმწიფოსადმი, როგორია მისი პოზიცია გაბატონებული კლასის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მიმართ.

ყოველი კლასის სოციალური ბუნება ყველაზე ნათლად სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხში, მისი პოლიტიკური ბრძოლის მიზანდასახულობაში ვლინდება. სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება პოლიტიკური ბრძოლისადმი კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვაგვარ გაგებას განსაზღვრავს. ეს თვალსაზრისი ყოველმხრივად არის დასაბუთებული ვ. ი. ლენინის ნაშრომში „კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ“.

ვ. ი. ლენინის სტატია „კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ“ დაიწერა 1913 წელს. იგი გამოქვეყნდა ჟურნალში „პროსვეშჩენიე“, 1913 წ. № 5.

სტატია მიმართულია ლიკვიდატორ ა. ერმანსკის წინააღმდეგ. ა. ერმანსკი და მისი მომხრეები — ლიკვიდატორები, შეადგენდნენ რეაქციულ-მენშევიკურ მიმართულებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ისინი მოითხოვდნენ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლისა და არალეგალური რევოლუციური პარტიის ლიკვიდაციას, ამიტომ ეწოდათ მათ ლიკვიდატორები. რევოლუციური პარტიის ნაცვლად ლიკვიდატორები საჭიროდ ცნობდნენ შემთანხმებლური პარტიის შექმნას, პარტიისა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ძირეული პოლიტიკური გარდაქმნების მომხრე და ლიბერალური ამოცანებით შემოიფარგლებოდა.

ა. ერმანსკიმ ჟურნალში „ნაშა ზარია“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ცდილობდა მარქსიზმის ლიბერალურ გაყალბებას, კერძოდ, კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული გაგების შეცვლას ლიბერალური გაგებით. ამ მიზნით იგი აკრიტიკებდა ვ. ი. ლენინის თეზისს, რომლის თანახმად, საერთო-ნაციონალური კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ნიშანია ბრძოლა სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისათვის.

ვ. ი. ლენინმა გამოამჟღავნა ლიბერალიზმის კლასობრივი არსი, მისი ძირეული დაპირისპირებულობა მარქსიზმისადმი კლასობრივი ბრძოლის გაგებაში.

რაში მდგომარეობს კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური გაგება? ლიბერალიზმი ა) ცნობს კლასობრივ ბრძოლას, აღიარებს მის არსებობას საერთო-ეროვნული მასშტაბით; ბ) ცნობს საერთო-ეროვნული ბრძოლის გამოვლინებას თვით პოლიტიკის სფეროშიც; გ) ამასთან, რაც მთავარია, უარყოფს ძირითადს — ბრძოლას სახელმწიფო წყობილებისათვის, პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის; დ) პოლიტიკის სფეროში სჯერდება მხოლოდ წვრილმანებს, აყენებს მოთხოვნებს, რომელიც ოდნავადაც არ ემუქრება ექსპლოატატორული კლასის პოლიტიკური ბატონობის საფუძვლებს.

რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის წარმატებები ლიბერალიზმის მქადაგებლებს აიძულებთ შენიღბონ თავიანთი პოზიცია, სიტყვიერად ცნონ კლასობრივი ბრძოლა და მოითხოვენ მის განვრცობას თვით პოლიტიკის სფეროზეც კი.

„ლიბერალიზმი, როდესაც მუშათა მოძრაობა რამდენადმე გამაგრდა, ვეღარ ბედავს უარყოს კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ ცდილობს შეზღუდოს. შეკვეცოს, გამოფიტოს კლასობრივი ბრძოლის გაგება. ლიბერალიზმი მზადაა აღიაროს კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკის სფე-

რეშიც, მაგრამ ერთი პირობით, რომ მის სფეროში არ შედიოდეს სახელმწიფო ხელისუფლების წყობა"[1].

ამრიგად, თუ ერთი შეხედვით იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ ლიბერალიზმი კლასობრივი ბრძოლის თეორიას ქადაგებს, სინამდვილეში, იგი პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგია.

წვრილმანებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა აგრეთვე „ეკონომისტების", ვ. ი. ლენინის თქმით, „ლიკვიდატორთა უფროსი ძმების" მოთხოვნას. „ეკონომისტებს", ლიკვიდატორების მსგავსად „არ სურდათ დაენახათ უფრო მაღალი, განვითარებული, საერთო-ნაციონალური კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბრძოლა პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ა თ ვ ი ს... „ეკონომისტები" აღიარებდნენ ჩანასახოვან კლასობრივ ბრძოლას და არ აღიარებდნენ მის განვითარებულ სახეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ეკონომისტები" კლასობრივ ბრძოლაში აღიარებდნენ მხოლოდ იმას, რაც ყველაზე უფრო შესაწყნარებელია ლიბერალური ბურჟუაზიის თვალსაზრისით და უარს ამბობდნენ გასცილებოდნენ ლიბერალებს, უარს ამბობდნენ ეღიარებინათ უფრო მაღალი, ლიბერალებისათვის მიუღებელი, კლასობრივი ბრძოლა"[2]. განსხვავება ეკონომისტებსა და ლიბერალებს შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ პირველნი იფარგლებოდნენ წვრილმანებისათვის ბრძოლით ეკონომიკის სფეროში, მეორენი კი პოლიტიკის სფეროში.

თავის სტატიაში ვ. ი. ლენინი გადმოსცემს კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებას. მარქსიზმი იმით განსხვავდება ლიკვიდატორების, „ეკონომისტების", ყოველი ჯურის ოპორტუნიზმისაგან, რომ მას კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკურ ბრძოლამდე აჰყავს, ხოლო თვით პოლიტიკურ ბრძოლაში ირჩევს ძირითადს — სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ბრძოლას, ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის შეცვლას პროლეტარიატის პოლიტიკური ხელისუფლებით. „კლასობრივი ბრძოლა, — წერს ვ. ი. ლენინი, — მხოლოდ მაშინ ხდება ნამდვილი თანამიმდევარი, განვითარებული, როცა იგი პოლიტიკის სფეროს ეხეიცავს, პოლიტიკაშიც შეიძლება დავჯერდეთ წვრილმანებს, შეიძლება უფრო ღრმადაც წავიდეთ, თვით ძირითადამდე. მარქსიზმი კლასობრივ ბრძოლას მ ხ ო ლ ო დ მაშინ აღიარებს სავსებით განვითარებულად. „საერთო-ნაციონალურად", როდესაც იგი არა თუ მოიცავს პოლიტიკას, არამედ პოლიტიკაშიც ირჩევს ყველაზე არსებითს: სახელმწიფო ხელისუფლების წყობას"[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 126.

[2] იქვე, გვ. 125.

[3] იქვე, გვ. 125—126.

ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისათვის სოციალისტური რევოლუციის ძირითადი საკითხია.

კ. მარქსი. „გოთას პროგრამის კრიტიკა"

„გოთას პროგრამის კრიტიკის" დაწერის ისტორიული პირობები. ეს ნაწარმოები კ. მარქსმა დაწერა 1875 წელს გოთას ყრილობაზე მიღებული პროგრამის გამო. გოთას ყრილობამ გააერთიანა იმ დროს არსებული ორი გერმანული მუშათა პარტია — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ე. წ. აიზენაიელები), რომელსაც ლიბკნეხტი და ბებელი ხელმძღვანელობდნენ, და ლასალური ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგნენ ჰაზენკლევერი, ჰასელმანი და ტელკე. გაერთიანების შემდეგ მათ ეწოდათ გერმანიის ერთიანი სოციალისტური მუშათა პარტია, რომელმაც საერთო პროგრამა შეიმუშავა.

კ. მარქსმა მკაცრად გააკრიტიკა გოთას პროგრამა, მით უმეტეს იმის გამოც, რომ ამ პროგრამის შედგენას პირადად მას და ფ. ენგელსს მიაწერდნენ. კ. მარქსის მიერ გოთას პროგრამის კრიტიკის შემდეგ მისმა შემქმნელებმა ხელი აიღეს გოთას პროგრამაზე, მათ ახალი პროგრამა შეადგინეს, რომელიც ერფურტის ყრილობამ (1891) წ.) მიიღო და ერფურტის პროგრამის სახელწოდებითაა ცნობილი.

კ. მარქსის „გოთას პროგრამის კრიტიკა" — შენიშვნები გერმანიის მუშათა პარტიის პროგრამის შესახებ ოთხი განყოფილებისაგან შედგება. აქ განხილული მრავალი საკითხიდან ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმეს:

1. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილება კომუნისტურ საზოგადოებაში. გოთას პროგრამის მიხედვით, მომავალ საზოგადოებაში შრომა განთავისუფლდება და „შრომის შემოსავალი შეუკვეცავად და თანასწორი უფლებით საზოგადოების ყველა წევრს ეკუთვნის".

კ. მარქსი აკრიტიკებს პროგრამის ამ პუნქტს იმის გამო, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის „შეუკვეცავი" განაწილება.

ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს, ვიდრე იგი ინდივიდუალურ მწარმოებელთა შორის განაწილდება, უნდა გამოაკლდეს გარკვეული ნაწილი წარმოების საშუალებებისათვის და მეორე ასევე განსაზღვრული ნაწილი მოხმარების საშუალებებისათვის. პირველ შემთხვევაში იგულისხმება ის ნაწილი, რაც საჭიროა: ა) მოხმარებულ საწარმოო საშუალებათა ასანაზღაურებლად; ბ) წარმოების გასაფართოებლად, გ) სარეზერვო ფონდის შექმნისათვის.

მეორე შემთხვევაში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტიდან უნდა გამოირიცხოს: ა) მმართველობის ხარჯები, რომელიც წარმოებას არ მიეკუთვნება; ბ) ხარჯები საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დაწესებულებებისათვის); გ) ფონდი შრომის უნარმოკლებულთა დახმარებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ რაც რჩება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტიდან ის განაწილდება კოლექტივის ინდივიდუალურ მწარმოებელთა შორის.

ამით კ. მარქსი ასაბუთებს „შრომის შეუკვეცავი შემოსავლის“ შესახებ დებულების უსაფუძვლობას.

კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზა. ამ ნაწარმოებში კ. მარქსი პირველად აყალიბებს იდეას კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის აუცილებლობა კ. მარქსმა ადრე დაასაბუთა. აქ იგი შემდგომ ავითარებს იდეას ამ გადასვლის შესახებ.

კომუნისტური საზოგადოება ორი ფაზისაგან შედგება: კომუნისტური საზოგადოების პირველი და უმაღლესი ფაზებისაგან. თითოეულ ფაზას გარკვეული თავისთავადობა გააჩნია.

კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი იქმნება კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური დამხობის შედეგად და, მაშასადამე, „აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ისეთ კომუნისტურ საზოგადოებასთან, რომელიც თავის საკუთარ საფუძველზე განვითარდა, არამედ, პირიქით, ისეთთან, რომელიც ეს არის ახლა გამოდის კაპიტალისტური საზოგადოებიდან“[1]. რაც შეეხება კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზას — საკუთრივ კომუნიზმს, იგი უკვე ვითარდება მისი პირველი ფაზიდან, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, — სოციალიზმიდან. ეს გარემოება საფუძვლად ედება არსებით განსხვავებას კომუნისტური საზოგადოების ორ ფაზას შორის. რაც შემდეგში ვლინდება:

რაკი კაპიტალისტური საზოგადოებიდან გამოდის, კომუნიზმის პირველ ფაზაზე საზოგადოებას „ყოველმხრივ, — ეკონომიკურად, ზნეობრივად, გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აზის ძველი საზოგადოებისა, რომლის წიაღიდან ის გამოვიდა“[2].

როდესაც კ. მარქსი მსჯელობს ეკონომიკურ დაღზე, რაც კომუნიზმის პირველ ფაზაზე მყოფ საზოგადოებას ახასიათებს, მას მხედველობაში აქვს განაწილების პრინციპი. სოციალიზმის დროს განაწილება

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 17.

[2] იქვე.

შრომის მიხედვით ხდება. ინდივიდი, რომელიც საზოგადოებას აძლევს გარკვეული რაოდენობით შრომას, მისგან საზოგადოებრივი ფონდებისათვის საჭირო შრომის გამორიცხვის შემდეგ, იღებს მოხმარების იმდენ საშუალებას, რამდენსაც იმავე რაოდენობის შრომა დასჭირდა. განაწილების ეს პრინციპი გულისხმობს არა მარტო შეცვლილ ფორმას, არამედ ახალ შინაარსსაც, ვინაიდან სოციალიზმის დროს საზოგადოებას შეიძლება მიეცეს მხოლოდ საკუთარი შრომა, ხოლო ცალკე პირის საკუთრებაში შეიძლება გადავიდეს მხოლოდ ინდივიდუალური მოხმარების საშუალებები.

ამ სპეციფიკის მიუხედავად სოციალიზმის დროს იგივე პრინციპი ბატონობს, რაც საქონლის გაცვლას აწესრიგებს. „განსაზღვრული რაოდენობის შრომა ერთი ფორმით გაიცვლება ტოლი რაოდენობის შრომაზე მეორე ფორმით“ [1].

აქედან გამომდინარე, მართალია, სოციალიზმის პირობებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი თანასწორი უფლების კოლექტივის ყოველ წევრს ეკუთვნის, მაგრამ „ეს თანასწორი უფლება ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ ზღუდეებშია მოქცეული. მწარმოებელთა უფლება მათ მიერ მიწოდებული შრომის პროპორციული ია. თანასწორობა იმაში მდგომარეობს, რომ გაზომვა თანასწორი მასშტაბით, შრომით ხდება“ [2].

მაგრამ შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი, რომელიც ერთნაირ სამართლებრივ საზომს გულისხმობს სხვადასხვა ადამიანისათვის, ვერ ხსნის უთანასწორობას წილში, რასაც ინდივიდები პროდუქტთა განაწილების დროს იღებენ. სოციალისტური საზოგადოება თანაბრად უნაზღაურებს მუშაკებს თანაბარი შრომისათვის. მაგრამ თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების დროს ადამიანები ფაქტიურად არათანაბარ შემოსავალს იღებენ, რადგან მათ სხვადასხვა, არსებითად „უთანასწორო ინდივიდუალური ნიჭი“, „უთანასწორო შრომისუნარიანობა“, განსხვავებული მდგომარეობა აქვთ: „ერთი მუშა ცოლიანია, მეორე არა; ერთს მეტი ბავშვები ჰყავს, ვიდრე მეორეს და ა. შ. თანასწორი მუშაობის დროს და, მაშასადამე, საზოგადოებრივი მოხმარების ფონდში თანასწორი მონაწილეობის დროს, ფაქტიურად ერთი მეტს მიიღებს, ვიდრე მეორე, ერთი უფრო მდიდარი აღმოჩნდება, ვიდრე მეორე და ა. შ.“ [3]. ამიტომ გამოდის, რომ აქ თანასწორი უფლება უთანასწორო უფლებაა უთანასწორო შრომისათვის.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 17.
[2] იქვე, გვ. 18.
[3] იქვე, გვ. 18.

კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის პირობებში საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული ეკონომიკურად, რომ გადავიდეს განაწილების უფრო მაღალ პრინციპზე — „მოთხოვნილების მიხედვით“ განაწილებაზე, რაც ბოლოს მოუღებს ბურჟუაზიული უფლების გადმონაშთებს სოციალისტურ საზოგადოებაში. ეს განხორციელდება კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაზე. მაგრამ ვიდრე ეს არ მომხდარა, ე. ი. კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში „ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილება შეუძლებელია“ [1]. უფლება მეორადია საზოგადოების ეკონომიკური წყობილების მიმართ და, მაშასადამე, არასოდეს არ შეიძლება იმაზე მაღალი იყოს, ვიდრე მისი განმსაზღვრელი ეკონომიკური წყობილებაა.

კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში დაძლეულ იქნება ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტი.

„გოთას პროგრამის კრიტიკაში“ კ. მარქსი განსაზღვრავს კომუნისტური საზოგადოების არსებით ნიშნებს; კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზის ეს კლასიკური განსაზღვრება მეცნიერული კომუნიზმის უდიდესი მონაპოვარია.

„კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში, მას შემდეგ, რაც გაქრება ინდივიდთა მონური დაქვემდებარება შრომის დანაწილებისადმი; როდესაც ამასთან ერთად გაქრება გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირება; როდესაც შრომა იქნება არა მარტო ცხოვრების საშუალება, არამედ —თვით გადაიქცევა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად; როდესაც ინდივიდთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად მწარმოებლური ძალებიც გაიზრდება და საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო უხვად გადმოდინდება — მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულად გადალახულ იქნეს ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტი და საზოგადოებამ თავის დროშას წააწეროს: თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს—მოთხოვნილების მიხედვით“ [2].

აქედან გამომდინარე, კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზისათვის დამახასიათებელია:

ა) შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილების მოსპობა;

ბ) ფიზიკური და გონებრივი შრომის ჰარმონიული გაერთიანება;

გ) შრომის გადაქცევა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად;

დ) პიროვნების ყოველმხრივი განვითარება საზოგადოებრივი მასშტაბით;

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 19.

ე) საწარმოო ძალთა განვითარების მაღალი დონე, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი სიმდიდრის სიუხვისათვის;

ვ) განაწილება პრინციპით — „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით".

უნდა შეგვეძლოს კომუნისტური საზოგადოების ამ ნიშნების არსის გახსნა.

კომუნისტური საზოგადოების ორ ფაზას კ. მარქსი იმითაც განასხვავებს, რომ პირველ ფაზაში საზოგადოებას კაპიტალიზმის დაღი აზის აგრეთვე ზნეობრივად და გონებრივად. ამ შემთხვევაში მარქსი გულისხმობს კაპიტალისტური საზოგადოების გადმონაშთებს ზნეობის, იდეოლოგიის, საერთოდ სულიერი განვითარების დარგში. ამ გადმონაშთების არსებობასაც კ. მარქსი ხსნის იმით, რომ პირველი ფაზის დროს კომუნისტური საზოგადოება „ეს არის წარმოიშვა კაპიტალისტური საზოგადოებიდან მშობიარობის ხანგრძლივი ტკივილების შემდეგ"[1]

კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე ბ ი. გოთას პროგრამა ერთადერთ რევოლუციურ კლასად მუშათა კლასს აცხადებს, დანარჩენ სხვებს კი ერთ რეაქციულ მასად თვლის. კ. მარქსი აკრიტიკებს პროგრამის ამ პუნქტსაც. პროლეტარიატი რევოლუციურია ბურჟუაზიის მიმართ, ვინაიდან იგი წარმოიშვა მსხვილი მრეწველობის ნიადაგზე და იბრძვის წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგ. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების „საშუალო წოდებები" აგრეთვე რევოლუციურნი ხდებიან, რამდენადაც მათ ელით პროლეტარიატში გადასვლა და მასთან ერთად მხარდამხარ გამოდიან. გარკვეულ პირობებში რევოლუციური არიან ხელოსნები, წერილი მეწარმეები, გლეხები და ა. შ.

კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო. მ ი ს ი ფ ო რ მ ე ბ ი დ ა ა რ ს ი. კაპიტალისტური სახელმწიფოები განსხვავდებიან თავიანთი ფორმებით.

ეს სახელმწიფო სხვადასხვაგვარია, როგორც კ. მარქსი აღნიშნავს პრუსია-გერმანიის იმპერიაში, შვეიცარიაში, შეერთებულ შტატებში და სხვ.. „მაგრამ სხვადასხვა ცივილიზებული ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფოს, მიუხედავად მათი ფორმების სხვადასხვაობისა საერთო ის აქვს, რომ ისინი თანამედროვე, კაპიტალისტურად მეტ-ნაკლებად განვითარებულ. ბურჟუაზიული საზოგადოების ნიადაგზე დგანან. ამიტომ მათ აქვთ ზოგიერთი საერთო არსებითი ნიშანი"[2].

კ ო მ უ ნ ი ზ მ ი დ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო. „გოთას პროგრამის კრიტიკა" შეიცავს დიდმნიშვნელოვან დასკვნებს კაპიტალიზმიდან კო-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები. ტ. II, გვ. 19.
[2] იქვე, გვ. 28.

მუნიზმზე გადასვლის კანონზომიერებების და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მომავლის შესახებ.

„გოთას პროგრამის“ ავტორებმა წამოაყენეს „თავისუფალი სახელმწიფოს“ მოთხოვნა. კ. მარქსი ააშკარავებს ამ მოთხოვნის რეაქციულ ხასიათს. იგი აყენებს კითხვას:

„თავისუფალი სახელმწიფო — რა არის ეს?

ის, რომ თავისუფალი გახადონ სახელმწიფო არაეითარ შემთხვევაში არ შეადგენს მიზანს მუშებისა, რომლებმაც უკუაგდეს ეს ქვეშევრდომული გონებაშეზღუდულობა... თავისუფლება ის არის, რომ სახელმწიფო საზოგადოების დამქვემდებარებელ ორგანოდან საზოგადოებისადმი სრულიად დაქვემდებარებულ ორგანოდ გარდაიქმნას“[1].

„გოთას პროგრამის კრიტიკა“ დაიწერა პარიზის კომუნის შემდეგ და განაზოგადებს ჩსოფლიოში პირველი პროლეტარული დიქტატურის ისტორიულ გამოცდილებას. ამ გამოცდილებამ კ. მარქსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჯერ-ერთი, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა აუცილებლად გულისხმობს გარდამავალ პერიოდს პირველის მეორედ რევოლუციური გარდაქმნისათვის. მეორე, „ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა“[2].

ამრიგად, სახელმწიფო ძირეულ ცვლილებას განიცდის კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური დამხობის შემდეგ, რადიკალურად იცვლება მისი საზოგადოებრივი ფუნქციები. იგი იქცევა იარაღად პროლეტარიატის ხელში ბურჟუაზიის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, ახალი, კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. იგი რჩება პოლიტიკურ ორგანოდ, რომელიც გამოყენებული იქნება პროლეტარიატის მიერ კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის დასათრგუნავად. პროლეტარიატის დიქტატურა რევოლუციურია, ვინაიდან ამხობს ძველს და გზას უკაფავს ახალ საზოგადოებას.

კ. მარქსის დებულება პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის შესახებ უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და იგი, სწორედ ამიტომ ყოველთვის იწვევდა და იწვევს მშრომელი ხალხის მტრების დიდ გაბოროტებას. იგი ამჟამადაც წარმოადგენს ბურჟუაზიული იდეოლოგების, ყოველი ჯურის რევიზიონისტების თავდასხმის ობიექტს. თავის შრომაში „სახელმწიფო და რევოლუცია“, ვ. ი. ლენინი, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, მტკიცედ იცავს კ. მარ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 28.

ქსის იდეას პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის შესახებ და ყოველმხრივ ავითარებს მას.

ს ხ ვ ა ს ა კ ი თ ხ ე ბ ი. „გოთას პროგრამის კრიტიკა“ შეიცავს აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან დებულებებს. აქ გაკრიტიკებულია ლასალიანური დებულება „ხელფასის რკინის კანონის“ შესახებ. ეს თეორია მალთუსის მოძღვრების სულისკვეთებას გამოხატავს. არავითარი „რკინის“ ხელფასი არ არსებობს და სიღატაკე არ შეიძლება „ბუნებრივად დამყარებული“ იყოს. კაპიტალიზმის მოსპობით მოისპობა მშრომელთა სიღატაკეც.

კ. მარქსი აკრიტიკებს პროგრამას სახალხო აღზრდისა და განათლების საკითხებში, აყენებს ტექნიკური სკოლების დაარსების, ეკლესიისაგან სკოლის ჩამოცილების მოთხოვნებს, ეხება მომავალ საზოგადოებაში ქალთა და ბავშვთა შრომის შეზღუდვის საკითხებს; ასაბუთებს, რომ ქალთა შრომა უნდა აიკრძალოს იმ დარგებში, რომლებიც მავნებელია მათი ორგანიზმისათვის, ხოლო ბავშვთა შრომისათვის ასაკობრივი საზღვარი უნდა აღინიშნოს. აქვე გამოთქმულია დიდმნიშვნელოვანი მოსაზრება, რომ „მწარმოებლური შრომის ადრეულ დაკავშირება სწავლა-განათლებასთან თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას წარმოადგენს“ [1].

აქ განხილულია აგრეთვე მწარმოებლური შრომის გზით ჩვეულებრივ დამნაშავეთა გამოსწორების, მუშათა ჯანმრთელობის დაცვის და სხვა საკითხები.

ფ. ენგელსი. „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“

აღნიშნული შრომა დაიწერა 1884 წელს. იგი შედგება 9 თავისაგან. შრომას წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის. ამ ნაწარმოების არსის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მეოთხე, ე. ი. 1891 წლის გამოცემის წინასიტყვაობასაც.

ფ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობაში“ განვითარებული ძირითადი იდეების შესწავლა მოსახერხებელი იქნება ასეთი გეგმით:

1. ისტორიული პირობები, რომელშიც დაიწერა ფ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“. 2. პრეისტორიული კულტურის საფეხურები. 3. ოჯახი და მისი ისტორიული ფორმები. 4. გვარი და მისი დაშლა. 5. სახელმწიფოს წარმოშობა და არსი.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 33.

მოკლედ შეეხოთ ამ საკითხებს.

1. ფ. ენგელსის ამ ნაწარმოების დაწერის ისტორიული პირობები დახასიათებულია მის მიერვე წიგნის პირველ და მეოთხე გამოცემების წინასიტყვაობებში. ფ. ენგელსის ნაწარმოების დაწერას საფუძველად დაედო ლ. მორგანის წიგნი „ძველი საზოგადოება", რომელიც 1877 წელს გამოქვეყნდა. ამ წიგნმა იმთავითვე მიიპყრო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყურადღება. კ. მარქსმა მისი კონსპექტიც კი შეადგინა და განზრახული ჰქონდა გადმოეცა მორგანის გამოკვლევის შედეგები ისტორიის მატერიალისტური შესწავლის მონაცემებთან დაკავშირებით. მაგრამ მარქსს ეს არ დასცალდა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ფ. ენგელსმა, რაც მას რამდენადმე მარქსის „ანდერძის შესრულებად" მიაჩნდა.

რატომ აქცევდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი ასეთ დიდ ყურადღებას ლ. მორგანის თითქმის 40 წლის გამოკვლევის შედეგებს? იმიტომ, რომ მორგანმა ამერიკაში „თავისებურად ხელახლა აღმოაჩინა მარქსის მიერ ორმოცი წლის წინათ აღმოჩენილი მატერიალისტური გაგება ისტორიისა, და ამ გაგებამ იგი, ბარბაროსობისა და ცივილიზაციის შედარებისას, მთავარ პუნქტებში იმავე შედეგებამდე მიიყვანა, რა შედეგებიც მარქსმა მიიღო"[1].

მორგანი სტიქიურად დადგა ისტორიის მატერიალისტური გაგების ნიადაგზე, მან შეისწავლა და აღადგინა წერილობითი ისტორიის წინაისტორიული საფუძველი; მან ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების გვაროვნულ კავშირებში მონახა ის გასაღები, რომელიც შესაძლებელს ხდის ძველი ბერძნული, რომაული და გერმანული ისტორიის უმნიშვნელოვანესი და გადაუჭრელი ამოცანების ამოხსნას.

წინასიტყვაობაში წიგნის მეოთხე, 1891 წლის გამოცემისათვის. ფ. ენგელსი იძლევა ოჯახის ისტორიული განვითარების შესწავლის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვას.

1860-იან წლამდე ოჯახის ისტორიაზე მეცნიერული პასუხი არ მოიპოვებოდა, ოჯახის საკითხზე რელიგიური წარმოდგენა ბატონობდა. მართალია, ცნობილი იყო ოჯახის სამი ფორმა: ერთცოლიანობა, მრავალცოლიანობა და ინდურ-ტიბეტური მრავალქმრიანობა. მაგრამ ამ ფორმებს ისტორიული თანმიმდევრობით და კავშირურთიერთობაში ვერავინ ალაგებდა.

1861 წლიდან ბახოფენის „დედის უფლების" გამოქვეყნებით დაიწყო ოჯახის ისტორიის შესწავლა. ამ შრომის მთავარი დასკვნებია ის, რომ ა) თავდაპირველად ადამიანები ცხოვრობდნენ შეუზღუდველ სქესობრივ ურთიერთობაში: ბ) ამიტომ წარმოშობა დედის უფ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 200.

ლების ხაზით მიდიოდა; გ) დედის უფლებამ გაზარდა ქალის ღირსება, გამოიწვია ქალის სრული ბატონობა; დ) ერთცოლიანობაზე გადასვლით დაირღვა ძველი სარწმუნოებრივი მცნება.

ბახოფენს მისტიკურად ესმოდა ოჯახის ფორმების შეცვლა, რამდენადაც მას საფუძვლად უდებდა არა მატერიალური ცხოვრების პირობების განვითარებას, არამედ რელიგიურ რწმენას. მიუხედავად ამისა, მისი მტკიცებები, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა. „სრულ რევოლუციას წარმოადგენდა 1861 წელს“.

ფ. ენგელსი ახასიათებს აგრეთვე ოჯახის მეორე მკვლევარს, ინგლისელ მაკ-ლენანს, რომელმაც 1865 წელს გამოქვეყნებულ წიგნში გადმოსცა „მოტაცების გზით ქორწინების“ კვლევის ძირითადი შედეგები“. მაკ-ლენანის მიხედვით, ქორწინების ეს ფორმა ცივილიზებულ ხალხებშიც კი ცოცხლობს. იგი ადრიდანვე არსებობდა. ე გ ზ ო გ ა მ უ რ ი ოჯახები მაშინ შეიქმნა, როცა ერთი ტომის მამაკაცები თავიანთ საცოლეებს სხვა ტომებიდან იტაცებდნენ, ნაცვლად ე ნ დ ო გ ა მ უ რ ი ტომებისა, სადაც ნათესავებშივე, ტომის შიგნით ხდებოდა დაქორწინება. ეგზოგამია გამოიწვია ველურთა ჩვეულებამ გოგოების მოკვლისა, რასაც შედეგად მოჰყვა მამაკაცების სიჭარბე და, მაშასადამე, მრავალქმრიანობა. ამით აგრეთვე დადგინდა ნათესაობა დედის მიხედვით.

ფ. ენგელსი მაკ-ლენანის დამსახურებას იმაში ხედავს, რომ მან მიუთითა ეგზოგამიის საყოველთაო გავრცელებულობის ფაქტზე და ცნო დედის უფლებაზე დამყარებული წესწყობილების პირველყოფილობა.

ფ. ენგელსი ეხება აგრეთვე ლ ე ბ ო კ ს, რომელმაც ჯგუფობრივი ცოლქმრობა, რამდენიმე მამაკაცის მიერ რამდენიმე დედაკაცის თანაზიარად ფლობის ოჯახური ფორმა აღმოაჩინა.

განსაკუთრებით დიდია მ ო რ გ ა ნ ი ს დამსახურება. მან ჯერ კიდევ 1871 წელს გამოიტანა დასკვნა, რომ ირიოკეზებში გავრცელებული ნათესაური სისტემა საერთოა შეერთებული შტატების მთელი პირვანდელი მოსახლეობისათვის, რომ ამერიკულ-ინდიური ნათესაობის სისტემა გავრცელებულია აზიაში და შეცვლილი ფორმით აფრიკა-ავსტრალიაში. მანვე დაასაბუთა, რომ ჰავაისა და ავსტრალიის კუნძულებზე არსებობს ჯგუფობრივი ქორწინება, რომელიც მოსპობის სტადიაშია, რაც მათზე ადრინდელი ჯგუფობრივი ცოლქმრობის ფორმით უნდა აიხსნას.

ძირითად ნაწარმოებში „ძველი საზოგადოება“ (1877 წ.) მორგანმა დედის უფლების მიხედვით ორგანიზებულ გვარებში აღმოაჩინა პირველყოფილი ფორმა, საიდანაც ისტორიულად მამის უფლების მიხედვით ორგანიზებული გვარები განვითარდნენ, სა-

ხელდობრ. ისეთი გვარები, როგორიცაა ბერძნული და რომაული გვარი. „ამით გამოინახა ახალი საფუძველი მთელი პირველყოფილი ისტორიისათვის“[1]. მან „წესრიგი შეიტანა“ პირველყოფილ ისტორიაში.

ფ. ენგელსი დიდად აფასებს ლ. მორგანის დამსახურებას. „ამ ხელახალ აღმოჩენას, რომ დედისუფლებიანი პირველყოფილი გვარები წინა საფეხურია კულტურულ ხალხთა მამის უფლებიანი გვარებისა, პირველყოფილი ისტორიისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დარვინის განვითარების თეორიას ბიოლოგიისათვის და მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიას პოლიტიკური ეკონომიისათვის“[2].

ამასთან ფ. ენგელსი წერს, რომ, მართალია, მორგანის შემდეგ შეგროვდა ახალი მასალა, რამაც შეარყია მისი ზოგიერთი ჰიპოთეზი, მაგრამ მისი ძირითადი თვალსაზრისი დიდად მნიშვნელოვანია და დღესაც ძალაში რჩება.

2. კულტურის წინაისტორიული საფეხურები. ფ. ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევს მორგანს, რომელმაც მეცნიერულად შეისწავლა კაცობრიობის წინაისტორია და მოახდინა მისი პერიოდიზაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მორგანმა კაცობრიობის განვითარების ეტაპებს საფუძვლად დაუდო საარსებო საშუალებათა წარმოების პროგრესი და ამის მიხედვით გამოყო სამი ისტორიული საფეხური: ა) ველურობა, ბ) ბარბაროსობა, გ) ცივილიზაცია, რომელთაგან შეისწავლა პირველი ორი და გადასცა ძესაძეზე. თითოეული ეპოქა სამი საფეხურისაგან შედგება.

ველურობას მორგანი ახასიათებს როგორც ადამიანთა „მოდგმის ბავშვობას“. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ის, რომ ადამიანები უმთავრესად ითვისებენ მზამზარეულ ბუნებრივ პროდუქტებს: მცენარეთა ნაყოფს, კაკალს, მცენარის ფესვებს და ა. შ. ამ პერიოდის პირველი საფეხურის მთავარ მიღწევად მორგანს დანაწევრებული მეტყველების განვითარება მიაჩნია; მეორე საფეხური იწყება თევზის საკვებად გამოყენებით და ცეცხლის მოხმარებით, ხოლო მესამე — მშვილდისრის გამოყენებით.

მეორე ეპოქის — ბარბაროსობის ეპოქის პირველი საფეხური მეპურეულეობით იწყება; აქ ამავე საფეხურზე ადამიანები მიეჩვიენენ ცხოველთა შოშინაურებას და მცენარეების გაშენებას, კულტურული მარცვლეულის (სიმინდის და სხვ.) გამოყვანას.

ბარბაროსობის მეორე საფეხურისათვის დამახასიათებელია აღ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 215.
[2] იქვე.

მოსავლეთში — ცხოველების მოშინაურება, დასავლეთში კი, საკვები მცენარეების გაშენება მორწყვის საშუალებით, მზეზე გამომშრალი აგურის გამოყენება სამშენებლო მიზნით. ამ საფეხურზე ადამიანები მიეჩვევნენ მწყემსურ ცხოვრებას. ქრება კაციჭამიობა.

ბარბაროსობის ზედა საფეხური იწყება რკინის მადნის გამოდნობით. მზადდება რკინის კავ-სახნისი, რომელსაც შინაური პირუტყვი ეწევა. ვითარდება მემინდვრეობა. ამ ეპოქის დამლევისათვის უკვე სარგებლობენ გაუმჯობესებული რკინის იარაღებით, სამქედლოს საბერვლით, ხელის წისქვილით, კეტით, განსაკუთრებულად ამუშავებენ ლითონს, რაც მხატვრულ ხელოვნებაში გადადის, ამზადებენ ურემს, იწყებენ გემების მშენებლობას და ა. შ.

ბარბაროსობის ეს საფეხური ასოებრივი დამწერლობის გამოგონებისა და სიტყვიერი შემოქმედების ჩასაწერად მისი გამოყენების გზით უკვე ცივილიზაციაში გადადის.

ასეთია მორგანის მიხედვით კაცობრიობის ისტორიული განვითარების მთავარი ეპოქები.

ფ. ენგელსი განაზოგადებს მორგანის გამოკვლევის შედეგებს და მიდის ასეთ დასკვნამდე, რომ ველურობის დროს, როდესაც ადამიანები უმთავრესად ბუნების მზა პროდუქტებს ითვისებენ. მათ მიერვე შექმნილი პროდუქტები მხოლოდ დამხმარე საშუალებაა არსებობისათვის. ბარბაროსობისათვის დამახასიათებელია ბუნების პროდუქტების წარმოების გადიდების მეთოდების ათვისება, სოლო ცივილიზაციისათვის ბუნების პროდუქტების შემდგომი დამუშავების ათვისება, მრეწველობა და ხელოვნება.

ფ. ენგელსი არ გამორიცხავდა იმას, რომ გაფართოებულმა მასალამ გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს კაცობრიობის ამ ისტორიული განვითარების ცალკეულ დეტალებში, მაგრამ მას კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციის საფუძველი — საზოგადოების განვითარება წარმოების, საწარმოო ძალთა განვითარება-ცვალებადობის საფუძველზე—ურყევად მიაჩნდა.

3. ოჯახი. ოჯახის ისტორიული ფორმები. თავისი წიგნის იმ ნაწილში, რომელსაც „ოჯახი" ეწოდება, ფ. ენგელსი აღწერს მორგანის გამოკვლევებს ოჯახის შესახებ და ახასიათებს ოჯახის ისტორიულ ფორმებს.

იროკეზების ტომების შესწავლის შედეგად მორგანმა დაადგინა, რომ იქ არსებული ნათესაური სისტემა და ოჯახური ურთიერთობა შესაბამისობაში არ იყვნენ ერთმანეთთან. შემდეგში, ჰაეაის კუნძულებზე აღმოჩნდა ოჯახის ფორმა, რომელიც ამერიკული ნათესაური სისტემის შესაბამისი იყო, მაგრამ ეწინააღმდეგება თვით ადგილობრივ ნათესაურ სისტემას, ეს უკანასკნელი უფრო პრიმიტიულ ოჯახს

გულისხმობდა. აქედან მორგანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოჯახი აქტიურია, ნათესაური სისტემა კი პასიური, ნათესაური სისტემა მხოლოდ მაშინ იცვლება რადიკალურად, თუ ოჯახიც რადიკალურად იცვლება. ისე რომ, ისტორიულად ნაანდერძევი ნათესაობის სისტემებიდან ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ მათი შესაფერისი ოჯახური ფორმის არსებობა. ამ გზით მორგანმა განსაზღვრა ოჯახის ისტორიული ფორმები.

მისი აზრით, პრეისტორიულ ხანაში ოჯახი არ არსებობდა, ტომის შიგნით გაბატონებული იყო შ ე უ ზ ღ უ დ ვ ე ლ ი სქ ე ს ო ბ რ ი ვ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა, როცა ყოველი მამაკაცი ეკუთვნოდა ყოველ დედაკაცს და პირიქით, არ არსებობდა ამკრძალავი ზნეობრივი ჩვევები.

ამ ეტაპზე ადამიანები სარგებლობდნენ შრომისა და თავდაცვის უკიდურესად მარტივი იარაღებით და არ არსებობდა პირობები დამოუკიდებელი ოჯახური გაერთიანებისათვის. „თავდაცვის უნარი, რომელიც ცალკეულ ინდივიდს აკლდა, უნდა შეცვლილიყო ჯგოგის გაერთიანებული ძალით და კოლექტიური მოქმედებით“[1].

უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის პირველყოფილი მდგომარეობიდან განვითარდა ოჯახის პირველი ფორმა — ს ი ს ხ ლ მ ო ნ ა თ ე ს ა ვ ე ო ჯ ა ხ ი. თუ უწესრიგო სქესობრივი ურთიეროობის დროს მშობლები ქორწინებაში ხვდებოდნენ შვილებთან, სისხლის ნათესაობის ოჯახი გამორიცხავს ასეთ ურთიერთობას. სამაგიეროდ ,ცოლქმრული ურთიერთობა მყარდება დებსა და ძმებს შორის, აგრეთვე ბიძაშვილებს . შორის.. ფ. ენგელსს მოჰყავს კ. მარქსის სიტყვები, რომ „პირველყოფილ ეპოქაში და ც ო ლ ი იყო და ეს ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ა დ ითვლებოდა“[2].

სისხლის ნათესაობის ოჯახს ქმნიდა „ერთი წყვილის შთამომავლობა, სადაც თავის მხრივ ყოველი შემდგომი ცალკეული საფეხურის შთამომავალნი ერთმანეთის ძმებად და დებად და სწორედ ამიტომ ქმრებად და ცოლებად ჩაითვლებოდნენ“[3].

პირველყოფილი ოჯახი რამდენიმე თაობის შემდეგ ითიშებოდ› და იშლებოდა. ძველი ჯგუფური ოჯახის ადგილი ისტორიული განვითარების პროცესში დაიკავა ოჯახის ახალმა ფორმამ — პ უ ნ ა ლ უ ა ო ჯ ა ხ მ ა, რომლის არსებობა დამტკიცდა ჰავაის კუნძულებზე. ამ ეტაპზე გაბატონებულია წარმოდგენა, რომ სქესობრივი ურთიერთობა და-ძმებს შორის, აგრეთვე პირველი, მეორე, მე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 232.

[2] იქვე, გვ. 236.

[3] ი ქ ვ ე.

სამე და ა. შ. საფეხურების ბიძაშვილებს შორის დაუშვებელია. დები, აგრეთვე შორეული ნათესავები ეწევიან ცალკე მეურნეობას და საერთო ქმრები ჰყავთ. ასევე ძმებს როგორც ღვიძლს, ისე შორეულ მონათესავეს ჰყავთ საერთო ცოლები. საერთო ცოლების ქმრები, ისევე, როგორც საერთო ქმრების ცოლები ერთმანეთს არ უწოდებენ ძმებსა და დებს, რისთვისაც არავითარი საფუძველი არ არსებობს, არამედ პ უ ნ ა ლ უ ა ს, რაც ჰავაის მდგმურთა ენაზე ნიშნავდა უახლოეს ~~ამხანაგს, თანამოზიარეს~~ —მორგანმა ამიტომ უწოდა მას პუნალუა ოჯახი. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, პუნალუა ოჯახის დამახასიათებელი ნიშანი იყო ქმრებისა და ცოლების გაერთიანება განსაზღვრული ოჯახის ფარგლებში, საიდანაც გამორიცხული იყვნენ ჯერ ქალების ღვიძლი ძმები, შემდეგ მათი ბიძაშვილები და, მაშასადამე, მამაკაცების ღვიძლი დები და ბიძაშვილებიც.

პუნალუა ოჯახი, სისხლის ნათესაობის ოჯახის მსგავსად, ჯგუფობრივი ოჯახის ისეთი ფორმაა, როდესაც გამოურკვეველია ბავშვის მამის ვინაობა, მხოლოდ მისი დედაა ცნობილი. ამიტომ ბავშვის წარმოშობის დამტკიცება მხოლოდ დედის მხრით შეიძლება. დედის მხრივ სისხლის ნათესაობაზე დამყარებული მრავალი ოჯახისაგან წარმოიშვა გვარი, ხოლო დედისუფლებრივ გვართა გაერთიანების შედეგად — ტომი.

ჯგუფობრივი ცოლქმრობის ეს ორი ფორმა, სისხლის ნათესაობის და პუნალუა ოჯახები დამახასიათებელია ველურობის მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისათვის. ველურობისა და ბარბაროსობის მიჯნაზე წარმოიშვა ოჯახის ახალი ფორმა — წ ყ ვ ი ლ ა დ ი ო ჯ ა ხ ი. იგი ბარბაროსობის პერიოდისათვისაა დამახასიათებელი.

როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, წყვილადი ოჯახის პირობებში „მამაკაცი ერთ ცოლთან ცხოვრობს, მაგრამ ისე, რომ მრავალცოლიანობა და შემთხვევის დროს ღალატი მამაკაცების უფლებად რჩება, თუმცა პირველ მოვლენას ეკონომიური მიზეზების გამო იშვიათად აქვს ადგილი; ამავე დროს კი დედაკაცებისაგან ცოლქმრობის მთელ მანძილზე მეტწილად უმკაცრეს ერთგულებას მოითხოვენ და ცოლქმრული ერთგულების დარღვევისათვის სასტიკად სჯიან“[1].

წყვილადი ოჯახის შედგენა დაუშვებელია არა მარტო ახლო, არამედ შორეული ნათესავებისაგანაც. „პუნალუა“ ოჯახისაგან წყვილადმა ოჯახმა მემკვიდრეობით მიიღო ბავშვის წარმოშობა დედის ხაზით. ამიტომ დედას კვლავ დიდი პატივისცემა ჰქონდა ქმართან შედარებით და ოჯახში გაბატონებული ადგილი ეჭირა. ქალის გაბატონებულ მდგომარეობას ძირი გამოუთხარა საზოგადოებრივი

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 246—247.

ცხოვრების შემდგომმა განვითარებამ, შრომის იარაღების გაუმჯობესებამ, ქონების დაგროვებამ. წყვილადმა ოჯახმა მშობელი დედის გვერდით დააყენა მშობელი მამა. მაგრამ ამ პერიოდისათვის „ქმარს წილად უწევდა საკვებისა და ამისათვის აუცილებელი შრომის იარაღების მოპოვება, მაშასადამე, ამ უკანასკნელთა მიმართ საკუთრების უფლებაც მას ენიჭებოდა“ [1]. სიმდიდრის დაგროვება და ის როლი, რომელსაც მამაკაცი ასრულებდა ამ საქმეში, აიძულებდა მას ტრადიციული მემკვიდრეობის წესი თავისი შვილების სასარგებლოდ შეეცვალა. ამას შედეგად მოჰყვა დედის მემკვიდრეობითი უფლების დარღვევა. ამიერიდან წარმოშობა გამორკვეული იყო მამის ხაზით და დედის უფლებას მამის უფლება ცვლის. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, „დედის უფლების დამხობა მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი ს ქ ე ს ი ს მსოფლიო-ისტორიული დამარცხება იყო“ [2]. დედის უფლებრივი ოჯახის ადგილი პატრიარქალურმა ოჯახმა დაიკავა, რაც რომაული ოჯახის ფორმით დასრულდა.

დედის უფლების დამხობის შემდეგ ვითარდება ოჯახის ახალი ფორმა — მ ო ნ ო გ ა მ ი უ რ ი ო ჯ ა ხ ი. მისი წარმოშობა ემთხვევა ადამიანთა განვითარების ცივილიზაციის ეპოქას, კერძო საკუთრების გაჩენის პერიოდს.

მონოგამია (ერთცოლიანობა) წყვილადი ოჯახისაგან წარმოსდგა, და მის მსგავსად წყვილთა შეუღლების შედეგია, მაგრამ იგი, წყვილადი ოჯახისაგან განსხვავდება იმით, რომ აქ გაბატონებული ადგილი მამაკაცს უკავია და ცოლქმრული კავშირის გაწყვეტა თვით მამაკაცზეა დამოკიდებული. ცოლი ქმრის საკუთრება ხდება. მონოგამიურმა ოჯახმა ქალის უუფლებობა და დამცირება უკიდურეს საზღვრამდე მიიყვანა. ამასთან მონოგამიური ოჯახი უფრო მტკიცეა, ვიდრე წყვილადი ოჯახი. მონოგამიური ოჯახი „დამყარებულია ქმრის ბატონობაზე და მის გარკვეულად გამოხატულ მიზანს შეადგენს ისეთი შვილების გაჩენა, რომელთა წარმოშობაც ამა თუ იმ მამიდან აუცილებლად გამორკვეულია, ხოლო წარმოშობის ეს უეჭველობა აუცილებელი ხდება იმიტომ, რომ შემდეგში შვილები, როგორც პირდაპირი მემკვიდრეები, მამის ქონებას უნდა დაეპატრონონ“ [3].

მონოგამიური ოჯახი კლასიკური ფორმით ძველ ბერძნებში გვხვდება. იგი პირველი ოჯახური ფორმაა. რომელიც დამყარებულია არა ბუნებრივ, არამედ ეკონომიკურ პირობებზე, სახელდობრ, კერძო საკუთრებაზე, რომელმაც განდევნა პირველყოფილი, ბუნებრივად აღმოცენებული საერთო საკუთრება.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 256.
[2] იქვე, გვ. 258.
[3] იქვე. გვ. 264.

მონოგამიური ოჯახი არსებობს როგორც მონათმფლობელურ, ისე ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ თითოეული ამ საზოგადოებისათვის სხვადასხვა სახეს იღებს. უფრო მეტიც. ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში ძირეული განსხვავებაა იმ მონოგამიურ ოჯახებს შორის, რომლებიც განსხვავებულ კლასებს მიეკუთვნებიან. ჩაგრული კლასების წარმომადგენელთა ოჯახები აღარც არის მონოგამიური ამ სიტყვის ზუსტი ისტორიული გაგებით; მაგალითად, პროლეტარულ ოჯახში არ ხდება საკუთრების შენარჩუნება და მემკვიდრეობით გადაცემა, მამაკაცის ბატონობა, ცოლიც ოჯახის მარჩენალია და ა. შ.

ფ. ენგელსი თავის ნაწარმოებში ვრცლად ახასიათებს ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ოჯახს.

ბურჟუაზიული და პროლეტარული ოჯახები დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" კითხვაზე, თუ „რაზეა დამყარებული თანამედროვე ბურჟუაზიული ოჯახი?" კ. მარქსი და ფ. ენგელსი ასეთ პასუხს იძლეოდნენ: „კაპიტალზე, კერძო შეძენაზე". ანვითარებს რა თავის ადრინდელ მოსაზრებას ფ. ენგელსი ასაბუთებს, რომ ბურჟუაზიული მონოგამიური ოჯახი წმინდა ეკონომიურ ანგარიშზე დაფუძნებული ცოლქმრული გაერთიანებაა. ამასთან მისი დამახასიათებელი თავისებურებაა ქალისა და კაცის უთანასწორობა.

ბურჟუაზიული ქორწინება „გაპირობებულია მონაწილეთა კლასობრივი მდგომარეობით და ამიტომ ყოველთვის ანგარიშზე დამყარებული ქორწინებაა"[1]. აქედან გამომდინარეობს დაქორწინებულთა უფლებრივი უთანასწორობაც.

„რაც შეეხება მამაკაცისა და დედაკაცის იურიდიულ თანასწორუფლებიანობას ცოლქმრობაში, არც აქა გვაქვს საქმის უკეთესი მდგომარეობა. ორივე მხარის უფლებრივი უთანასწორობა, რომელიც წინანდელმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ გვიანდერძა, ქალის ეკონომიური ჩაგვრის მიზეზი კი არაა, არამედ მისი შედეგია"[2].

აქვე თავში „ოჯახი" ფ. ენგელსი არკვევს ოჯახის განვითარების გზებს კომუნისტურ საზოგადოებაში.

ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ დიდ საზოგადოებრივ გადატრიალებასთან ერთად, როცა წარმოების საშუალებები მთელი საზოგადოების ხელში გადავა, მოისპობა მონოგამიის დღემდე არსებული ეკონომიკური საფუძვლები. მაგრამ თვით მონოგამია არ გაქრება და მხოლოდ მაშინ შეიძენს ჭეშმარიტად ნამდვილ შინაარსს. „ეს იმი-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 275.
[2] იქვე, გვ. 277.

ტომ, რომ წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევასთან ერთად გაქრება აგრეთვე დაქირავებული შრომა, პროლეტარიატი, მაშასადამე, იმის აუცილებლობაც, რომ ქალების გარკვეული რიცხვი, რისი გამოანგარიშებაც სტატისტიკურად შესაძლებელია, ფულის გულისთვის მამაკაცებს ნებდებოდეს“ [1].

ძირეული ცვლილებები მთელი საზოგადოების, ისევე, როგორც კაცისა და ქალის ცხოვრებაში საფუძველს გამოაცლის ოჯახის არსებობას საზოგადოების სამეურნეო ერთეულად. მთელი ძალით დამკვიდრდება ინდივიდუალური სიყვარული.

„დაქორწინების სრული თავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება საყოველთაოდ განხორციელდეს, როცა კაპიტალისტური წარმოებისა და მის მიერ შექმნილ საკუთრების ურთიერთობათა მოსპობა თავიდან მოგვაშორებს ყველა იმ თანამედროვე ეკონომიურ მოსაზრებას, რომელნიც დღესაც კიდევ ესოდენ მძლავრ გავლენას ახდენენ მეუღლის არჩევაზე. მაშინ უკვე აღარ დარჩება არავითარი სხვა მოტივი, გარდა ურთიერთ თანაგრძნობისა“ [2].

მონოგამიას ჩამოშორდება ის ნიშნები, როგორიცაა მამაკაცის ბატონობა ცოლქმრობაში, რაც მისი ეკონომიკური ბატონობის შედეგია, ცოლქმრობის გაუთიშველობა მაშინაც კი, როცა ამის აუცილებლობა არსებობს და რაც ნაწილობრივ კვლავ ეკონომიკური მიზეზებითაა შეპირობებული და სხვ.

4. გვარი. მისი წარმოშობა და დაშლა. ფ. ენგელსის შრომის „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის“ მომდევნო ნაწილებში დახასიათებულია ჯერ იროკეზული, შემდეგ კი ბერძნული, რომაული გვარი, აგრეთვე გვარი კელტებსა და გერმანელებში.

ენგელსი ამოცანად ისახავს გვიჩვენოს თუ როგორ „გამოიყურებოდნენ ადამიანები და ადამიანთა საზოგადოება, ვიდრე სხვადასხვა კლასებად საზოგადოების გათიშვა მოხდებოდა“ [3].

უწინარეს ყოვლისა, ეს გარკვეულია იროკეზული გვარის მაგალითზე. ფ. ენგელსი ლ. მორგანის მეორე დიდ აღმოჩენად გვაროვნული კავშირების აღმოჩენას თვლის. ამასთან ფ. ენგელსი ასაბუთებს, რომ „უძველესი ეპოქის ბერძნებისა და რომაელების მთელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას გვარის, ფრატრიისა და ტომის საბით თავისი ზუსტი პარალელი მოეპოვება ამერიკულ-ინდიურ ორგანიზაციაში; რომ გვარი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც საერთო

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 280.
[2] იქვე, გვ. 287.
[3] იქვე, გვ. 306.

მოელენა იყო ყველა ბარბაროსი ხალხისათვის, ვიდრე ცივილიზაციაში მათი შეესვლა მოხდებოდა შემდეგაც კი“ [1].

მორგანმა დაადგინა გვარის ძირითადი ნიშნები მისი კლასიკური ფორმის, — სენეკას ტომის გვარის ანალიზის ბაზაზე. სენეკას ტომი შედგებოდა 8 გვარისაგან. თითოეულს ჰყავდა სახემი და სარდალი. გვარს შეეძლო მათი გადაყენება. გვარს ჰქონდა საბჭო — დემოკრატიული კრება მამაკაცებისა და ქალების თანასწორი ხმის უფლებით, რომლის საშუალებითაც ხდებოდა სახემისა და სარდლის არჩევაც და დათხოვნაც. სახემი არ სარგებლობდა ძალდატანების უფლებით, არამედ მის ძალაუფლებას წმინდა მორალური ხასიათი ჰქონდა.

გვარის წევრები არ ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე; მიცვალებულის ქონება გვარში რჩებოდა და მეგვარეებზე გადადიოდა.

თანამეგვარეები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ, ეხმარებოდნენ და იცავდნენ. პიროვნების უშიშროება უზრუნველყოფილი იყო გვარის საერთო ძალებით. გვარს საერთო სამარხი ჰქონდა.

რამდენიმე გვარი შეადგენდა ერთ ფრატრიას, ხოლო რამდენიმე ფრატრია — ერთ ტომს, რომელსაც ჰქონდა თავისი საკუთარი ტერიტორია და სახელწოდება, საკუთარი დიალექტი, საერთო რელიგიური წარმოდგენები და კულტის დაწესებულებანი, საკუთარი საბჭო.

ტომთა შორის კავშირის ნამდვილ საფუძველს სისხლის ნათესაობა შეადგენდა; აქ ჯერ კიდევ უცნობია სახელმწიფო, საჯარო ხელისუფლება.

ირიკეზული გვარის ძირითადი ნიშნების გადმოცემის შემდეგ ფ. ენგელსი ბერძნულ გვარს ახასიათებს. ბერძნებიც იმავე რიგის მიხედვით იყვნენ ორგანიზებული, როგორც ამერიკელი ინდიელები: გვარებად, ფრატრიებად, ტომებად, ტომების კავშირებად. მართალია, ბერძნულ გვარს გარკვეული თავისებურებები გააჩნდა, მაგრამ კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბერძნულ გვარშიც აშკარად გამოიყურება ველური (მაგალითად, ირიკეზი)“ [2].

ბერძნული ტომების წესწყობილება ასეთი იყო: ხელისუფლების უზენაეს ორგანოს ს ა ბ ჭ ო (ბულე) წარმოადგენდა, რომელიც თავდაპირველად უხუცესებისაგან შედგებოდა, შემდეგ კი არჩეული პირებისაგან. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ საბჭო სენატად გადაიქცა. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა ხდებოდა ს ა ხ ა ლ ხ ო კ რ ე ბ ი ს (აგორა) საშუალებით, სადაც ყოველ მამა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 290.
[2] იქვე, გვ. 309.

კაცს ჰქონდა აზრის გამოთქმის უფლება, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ხელის აწევით ხდებოდა.

საბჭო ან სახალხო კრება ირჩევდა მხედართმთავარს (ბასილევსი). იგი ამავე დროს ასრულებდა მსაჯულისა და ქურუმის ფუნქციებს.

გმირული ეპოქის ბერძენთა ეს წყობილება სახელმწიფოს არ იცნობდა.

ფ. ენგელსი ცალკე, მეხუთე თავში დიდძალი ისტორიული მასალის ანალიზის ბაზაზე არკვევს ათენის სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს. „ჯოგების, მდიდრული ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის კერძო საკუთრების წარმოშობამ გამოიწვია ცალკეულ პირთა შორის პროდუქტების გაცვლა, პროდუქტების საქონლად გადაქცევა“ [1]. კერძო საკუთრების გაჩენით დასაბამი მიეცა საზოგადოების გათიშვას მქონებლებად და არამქონებლებად, თავისუფლებად და არათავისუფლებად. „ახალმა ჯგუფებმა, რომლებიც შრომის დანაწილებამ წარმოშვა ჯერ ქალაქსა და სოფელს შორის, შემდეგ კი ქალაქად შრომის სხვადასხვა დარგებს შორის, ახალი ორგანოები შექმნეს თავიანთი ინტერესების დასაცავად... ეს დაწესებულება ორნაირად უთხრიდა ძირს გვაროვნულ წყობილებას: ჯერ-ერთი იმით, რომ იგი ქმნიდა საჯარო ხელისუფლებას, რომელიც უკვე აღარ ემთხვეოდა უბრალოდ შეიარაღებული ხალხის ერთობლიობას; მეორე კი, იმით, რომ იგი საზოგადოებრივი მიზნით პირველად ჰყოფდა ხალხს არა ნათესაური ჯგუფების, არამედ ტერიტორიული ბინადრობის მიხედვით“[2]. ეს დაწესებულება სახელმწიფო იყო.

ფ. ენგელსის წიგნის შემდგომ ნაწილებში ფართოდაა გაანალიზებული გვარისა და სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია რომში, კელტებსა და გერმანელებში. ფ. ენგელსის მსჯელობა გვარსა და სახელმწიფოზე იმ დროს არსებულ უზარმაზარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სხვა სახის გამოკვლევებს ემყარება. ქართველი მკითხველისათვის საინტერესო იქნება, რომ აქ დასახელებულია აგრეთვე ფშავები, ხევსურები და სვანები, კავკასიური ტომები. რომლებშიც მ. კოვალევსკიმ გვარის არსებობა დაამტკიცა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფ. ენგელსის წიგნი „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის“ უკანასკნელი, მეცხრე თავი „ბარბაროსობა და ცივილიზაცია“. ეს თავი წიგნის შინაარსის კვინტესენციას შეადგენს. აქ მსჯელობაა იმის

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 325.

[2] იქვე.

შესახებ, თუ რა იყო ის საყოველთაო ეკონომიკური პირობები, რამაც ძირი გამოუთხარა გვაროვნულ წყობილებას ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე.

უწინარეს ყოვლისა ფ. ენგელსი არკვევს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსს, მის მნიშვნელობას კლასობრივი საზოგადოების განვითარებისათვის, საზოგადოების კლასებად დაყოფისათვის.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება გულისხმობს შრომითი საქმიანობის დიფერენციაციას და თანაარსებობას საზოგადოებრივი მასშტაბით.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებობა განსაზღვრულია თვით მატერიალური დოვლათის წარმოების აუცილებლობით. იმისათვის, რომ დაიკმაყოფილონ საარსებო მოთხოვნილებანი — ადამიანებმა ხელი უნდა მიყონ წარმოებას, უნდა შექმნან მატერიალური დოვლათი. მაგრამ მატერიალურ ფასეულობათა, მით უმეტეს სულიერ ფასეულობათა შექმნის პროცესი არ არის მარტივი და ერთგვაროვანი. ყოველი სახეობის პროდუქტის დამზადება ადამიანისაგან მოითხოვს განსხვავებული საწარმოო ოპერაციების შესრულებას თვით პროდუქტის დამუშავების თავისებურებების გათვალისწინებით და სხვადასხვა იარაღებისა და მასალების გამოყენებას სრულიად სხვადასხვა პირობებში. ამიტომ, ისტორიულად, ადამიანები იძულებული გახდნენ გაენაწილებინათ შრომა, შრომის იარაღები და საგნები, დახელოვნებულიყვნენ ამა თუ იმ სახეობის პროდუქტის წარმოებაში, ხოლო შემდეგ გაეცვალათ საქმიანობა ერთმანეთში. საზოგადოებაში იქმნება ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ყოველივე ეს იქმნება განსხვავებული ხელებით და იარაღებით. თითოეული მწარმოებელი მისი გარემომცველი საზოგადოებისაგან საქმიანობის ურთიერთგაცვლის გზით იღებს იმას, რაც მას ესაჭიროება.

ამრიგად, შრომის სხვადასხვა სახეობის თანაარსებობა და საქმიანობის ურთიერთგაცვლა ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობის განუყოფელი მხარეა და, საერთოდ რომ ითქვას, საზოგადოებრივი წარმოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

კაცობრიობის ისტორია იცნობს შრომის დანაწილების მრავალ ფორმას. საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე შრომის დანაწილების ყველაზე გავრცელებული სახეობაა შრომის ბუნებრივი დანაწილება, რომელიც წარმოიშვა ფიზიოლოგიურ საფუძველზე, ადამიანთა სქესობრივი და ასაკობრივი სხვაობიდან. სქესობრივი და ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით, პირველყოფილი საზოგადოების წევრები სხვადასხვა შრომით საქმიანობას ეწე-

ოდნენ და მათი შენაკრებით ოჯახის, გვარის, თემის, არსებობისათვის აუცილებელ ერთობლივ პროდუქტს ქმნიდნენ.

საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად შეუძლებელი გახდა მკაცრად დაცილებადი სხვადასხვა საწარმოო საქმიანობის შესრულება ერთი და იმავე ადამიანების მიერ. ერთი და იგივე ტომები ეწეოდნენ როგორც მიწათმოქმედებას, ისე მესაქონლეობას, მაგრამ მიწათმოქმედების, აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების ინტენსივობამ მოითხოვა შრომის ინტენსიური ხარჯვა თითოეულ მათგანში. გარდა ამისა, მეჯოგეობის განვითარებისათვის აუცილებელი იყო ხშირი ადგილგადანაცვლება და მოძრაობა, რაც შეუთავსებელია საკუთრივ სამიწათმოქმედო საქმიანობის ხასიათთან. ასე განხორციელდა შ რ ო მ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა — მეჯოგეობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან.

ისტორიული განვითარების შემდგომ ეტაპზე მიწათმოქმედების დარგშიც სულ უფრო მზარდი მოცულობით ვითარდებოდა პროდუქტების მრავალფეროვნება და მისი დამზადებისათვის საჭირო დასელოვნება. ერთსა და იმავე ადამიანებს უნდა დაემზადებინათ რკინის სხვადასხვა იარაღები, მოეყვანათ ხორბალი, ღვინო, ზეთი, ხილი და ა. შ. მაგრამ „ასეთი სხვადასხვაგვარი საქმიანობის შესრულება ერთი და იმავე პირს უკვე აღარ შეეძლო: მოხდა შ რ ო მ ი ს მ ე ო რ ე დ ი დ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა: ხელოსნობა გამოეყო მიწათმოქმედებას"[1].

მიწათმოქმედების, მეჯოგეობისა და ხელოსნობის ცალ-ცალკე განვითარება გულისხმობდა იმას, რომ თითოეულ დარგში შრომის პროდუქტის ნაწილი სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მზადდებოდა უშუალოდ გაცვლისათვის, რამდენადაც იგი აღემატებოდა საკუთარი მოხმარებისათვის საჭირო ზომებს. ამიტომ აუცილებელი გახდა საქმიანობის ახალი სახეობის წარმოშობა, ადამიანთა იმ ჯგუფის გაჩენა, რომელიც ჩადგებოდა მიწათმოქმედებსა, მეჯოგეებსა და ხელოსნებს შორის და პროდუქტებს გაცვლიდა. ასე შეიქმნა ვაჭართა კლასი, რომელიც წარმოებას კი არ მისდევდა, არამედ მხოლოდ პროდუქტებს ცვლიდა. ვაჭრობა აგრეთვე იქცა საქმიანობის ახალ სახეობად.

ხელოსნების გამოყოფამ და მისმა დიფერენციაციამ დასაბამი მისცა ქალაქური ცხოვრების წესის შემოღებას და შრომის განაწილების გაღრმავებას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შრომით საქმიანობაში.

მაგრამ შრომის დანაწილება, შრომის ცალკეული პროცესების

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 380—381.

გამოყოფა და თანაარსებობა განხორციელდა არა მარტო დარგებს შორის, არამედ დარგებს შიგნით: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და ა. შ. დარგებს შიგნით სულ უფრო და უფრო გაღრმავდა შრომის სპეციალიზაცია, წარმოიშვა ადამიანის შრომითი საქმიანობის სულ ახალ-ახალი სახეები.

5. სახელმწიფოს წარმოშობა, მისი ძირითადი ნიშნები, არსი. ეკონომიკის განვითარების ყოველ ეტაპზე საზოგადოებას არსებობა არ შეუძლია მმართველობის გარეშე, საზოგადოებრივი საქმეებისა და პროცესების გაძღოლის გარეშე. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში მმართველობის განსხვავებული ფორმები არსებობს, მაგრამ მმართველობა ისეთივე აუცილებლობას წარმოადგენს საზოგადოებისათვის, როგორც მატერიალური დოვლათის წარმოება.

თავდაპირველად მმართველობა წარმოიშვა როგორც სამეურნეო-საწარმოო აუცილებლობა.

რაც უფრო ნაწილდებოდა შრომა, რასაც საფუძვლად უდევს საწარმოო ძალთა პროგრესული ცვალებადობა, მით უფრო იზრდებოდა ადამიანთა შორის შრომითი ფუნქციების რეგულირების, მათი შეთანხმებული და ერთმანეთის მოქმედებით შეპირობებული საქმიანობის აუცილებლობა.

კლასების გაჩენამდე სამეურნეო მართვას ახორციელებდნენ საზოგადოების ცალკეული წევრები ან ამ წევრთა გარკვეული გაერთიანებანი, რომელნიც უკვე ჩართული იყვნენ საერთო საქმიანობაში როგორც ყველა სხვა დანარჩენი ადამიანი. აქ ადგილი არ ჰქონდა ადამიანების მიერ ადამიანთა იძულებით მართვას. არსებობდა მხოლოდ ადამიანთა მიერ სამეურნეო საქმეების მართვის და რეგულირების აუცილებლობა.

საზოგადოებრივი საკუთრება წარმოშობდა საერთო ინტერესებს თემის შიგნით, რომლის დაცვა ეკისრებოდათ ცალკე პირებს მთელი საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ. უწინარეს ყოვლისა, ამ პირთა მეთვალყურეობა ვრცელდებოდა სამეურნეო საქმეებზე, ცხელ ქვეყნებში. მაგალითად, მორწყვის საქმის მოწესრიგებაზე, რის გარეშეც შეუძლებელი იყო მიწათმოქმედება. ამასთან დაკავშირებით ფ. ენგელსი აღნიშნავდა:

„ასეთი თანამდებობის პირები ყოველ ეპოქაში გვხვდებიან პირველყოფილ თემებში... ისინი, რასაკვირველია, ერთგვარად უფლებამოსილნი არიან და სახელმწიფო ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენენ. საწარმოო ძალები თანდათან იზრდება: ხშირი მოსახლეობა აქ ქმნის საერთო ინტერესებს, იქ ერთიმეორის საწინააღმდეგო ინტერესებს ცალკე თემებს შორის, რომელთა დაჯგუფება დიდ ერთეულებად თავის მხრივ იწვევს შრომის ახალ დანაწილებას.

ორგანოების შექმნას საერთო ინტერესების დასაცავად და გამთიშავი ინტერესების დასათრგუნავად"[1].

მაგრამ საზოგადოებაში არსებობდა საზოგადოებრივი თანამდებობანი არა მარტო სამეურნეო საქმეების მოწესრიგებისა და გაძღოლის გამო, არამედ სხვა მიზნითაც.

პირველყოფილ-თემური წყობილების დროს წარმოიშვა სამხედრო საქმეების წარმართვის აუცილებლობაც. ადამიანთა სხვადასხვა ტომებსა და ჯგუფებს შორის ხშირად იყო ხოლმე სამხედრო შეტაკებანი სხვისი ტერიტორიის დაპყრობის ან სხვისგან თავდაცვის, საზრდოსათვის ბრძოლის და სხვა მიზეზების გამო.

თავდაპირველად ერთი თემის მიერ დაპყრობილ მეორე თემის წევრებს ჭამდნენ ან ხოცავდნენ, შემდეგ კი, საწარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე, სამუშაო ძალად იყენებდნენ მათ. თანამდებობის პირებს ეკისრებოდათ ურთიერთობის მოწესრიგება თემის წევრებს შორის, შფლის დაცხრობა, რეპრესიული ზომების მიღება იმათ წინააღმდეგ, ვინც გადააჭარბებდა თავის უფლებებს.

თანამდებობის პირები საჭირო იყო აგრეთვე რელიგიური რიტუალების შესრულების რეგულირებისათვის და სხვა საზოგადოებრივი საქმეებისათვის.

ამრიგად, პირველყოფილ-თემურ წყობილებაში ადამიანთა ერთობლივი მატერიალური და სულიერი საქმიანობის მოთხოვნილებებიდან აღმოცენდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციების მოწესრიგების აუცილებლობა, რომელსაც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი თანამდებობის პირები ასრულებდნენ.

კლასების წარმოშობასთან ერთად ისეთ საზოგადოებრივ საქმეებს, როგორიცაა შრომის ხელმძღვანელობა, შემდეგში კი სახელმწიფოს საქმიანობა, მართლმსაჯულება, მეცნიერება, ხელოვნება და ა. შ. განაგებს უკვე უშუალო მწარმოებლური შრომიდან განთავისუფლებული კლასი. ფ. ენგელსი წერს, რომ „...გაბატონებულ კლასს, რაკი ძალაუფლება ხელთ იგდო, არასოდეს ხელიდან შემოხვევა არ გაუშვია თავისი ბატონობა განემტკიცებინა მშრომელი კლასების ხარჯზე და საზოგადოებრივი საქმეების ხელმძღვანელობა მასების (გაძლიერებულ) ექსპლოატაციად გადაექცია"[2].

საზოგადოებრივი განვითარების პროცესში, როცა კლასები წარმოიშვნენ, სამეურნეო მართვა თვით ექვემდებარება ამა თუ იმ კლასის პოლიტიკურ ბატონობას, ხოლო ის, ვინც მეურნეობის საზოგადოებრივი განმგებელი იყო, თანდათანობით ხდება პოლიტიკური განმგებელიც. ფ. ენგელსის თქმით, „...ყოველი პოლიტიკური

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 211—212.
[2] იქვე, გვ. 335.

ძალაუფლება თავდაპირველად რაიმე ეკონომიკურ, საზოგადოებრივ ფუნქციას ეყრდნობა და იმდენად ძლიერდება, რამდენადაც პირველყოფილი თემების დაშლის გამო საზოგადოების წევრები კერძო მწარმოებლებად იქცევიან და ამრიგად კიდევ უფრო შორდებიან საერთო-საზოგადოებრივი ფუნქციების განმგებლებს"[1] (ხაზგასმა ჩვენია, — ბ. ლ.).

სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად ჩნდება პოლიტიკური მმართველობა — მმართველობის სრულიად ასალი ფორმა, რომელსაც ადრე არ იცნობდა კაცობრიობა. სახელმწიფო ისტორიული კატეგორიაა, იგი არ არსებობდა დასაბამიდან. მაგრამ ისტორიული განვითარების პროცესში სახელმწიფოს წარმოშობა აუცილებლობად იქცა.

სახელმწიფოს წარმოშობა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების განსაზღვრულ ფაზებთანაა დაკავშირებული. საწარმოო ძალთა განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და შეიქმნა პროდუქციის ერთგვარი ნაჭარბი, რომელიც საზოგადოების ავტორიტეტულმა ნაწილმა მიითვისა, საფუძველი ჩაეყარა ქონებრივ უთანასწორობას, კლასობრივ დაყოფასა და კლასთა შორის წინააღმდეგობას, რამაც წარმოშვა იმის აუცილებლობა, რომ ეკონომიკურად გაბატონებულ უმცირესობას ჰქონოდა სპეციალური პოლიტიკური ორგანო თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად. პოლიტიკური ბატონობის სწორედ ეს ორგანოა სახელმწიფო.

სახელმწიფოს წარმოშობის უშუალო მიზეზია კლასების წარმოშობა და კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობა. ამ მომენტიდან ადამიანთა უმნიშვნელო უმცირესობა ბატონდება ადამიანთა უდიდეს უმრავლესობაზე. ეს ბატონობა თვით არის შეუძლებელი იძულების სპეციალური ორგანოს გარეშე, რომელსაც ექსპლოატატორული უმცირესობა ექსპლუატირებული უმრავლეობის დასათრგუნავად იყენებს.

„ეკონომიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფო ამ გათიშვის გამო აუცილებლობად იქცა"[2]. „სახელმწიფო იმ მოთხოვნილებიდან წარმოიშვა, რომ აღვირი ამოედო კლასების წინააღმდეგობისათვის... იგი, როგორც საერთო წესი, იმ უძლიერესი, ეკონომიურად გაბატონებული კლასის სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოსავე დახმარებით პოლიტი-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 216.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 393.

კურადაც გაბატონებული კლასი ხდება და ამნაირად ახალ საშუალებას იძენს ჩაგრული კლასის დასათრგუნავად და საექსპლუატაციოდ"[1].

სახელმწიფოს ნიშნები. სახელმწიფო ისეთი ნიშნებით ხასიათდება, რომელიც უცხო იყო გვაროვნული წყობილებისათვის.

სახელმწიფოს პირველ ნიშნად ფ. ენგელსი ასახელებს ქვეშევრდომთა დანაწილებას ტერიტორიის დაყოფის მიხედვით. ძველი გვაროვნული კავშირები შექმნილი და განმტკიცებული იყო სისხლით ნათესაობის საფუძველზე. რასაკვირველია, გვარის წევრებს კავშირი ჰქონდათ გარკვეულ ტერიტორიასთან, მაგრამ ამ ტერიტორიაზე ისინი მიმაგრებული იყვნენ სისხლის ნათესაობითი ჯგუფების სახით, ეს ტერიტორია მხოლოდ მათ მიერ იყო დასახლებული.

სახელმწიფო გულისხმობს ქვეშევრდომთა დანაწილებას არა სისხლით ნათესაობის, გვაროვნული გაერთიანების პრინციპის მიხედვით, არამედ ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, როცა მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ იქ განახორციელონ თავიანთი საზოგადოებრივი უფლებანი და მოვალეობანი, სადაც ისინი სახლდებოდნენ, გვარისა და ტომის განურჩევლად.

სახელმწიფოს მეორე ძირითადი ნიშანი, რომელსაც აგრეთვე არ იცნობდა ძველი გვაროვნული წყობილება, ესაა საჯარო ხელისუფლება თავისი ნივთიერი დანამატით.

სახელმწიფოს წარმოშობა უკვე იმას ნიშნავს, რომ შეიქმნა საჯარო ხელისუფლება, ისეთი საჯარო ორგანო, რომელიც აღარ ემთხვევა თვით მოსახლეობას, გამოყოფილია საზოგადოებისაგან და მას განაგებს.

აღრე მოსახლეობა თვითონვე ორგანიზდებოდა როგორც შეიარაღებული ძალა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საზოგადოება კლასებად გაიყოფა და ეს კლასები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია შეუძლებელი გახდა. ამისათვის, რომ ეკონომიკურად გაბატონებულმა კლასმა პოლიტიკურადაც იბატონოს, აუცილებელია არა მთელი მოსახლეობის, არამედ განსაკუთრებული რაზმების შეიარაღება, რომელიც დაიცავდა გაბატონებული კლასის ინტერესებს. სახელმწიფო თავის მაიძულებელ ფუნქციის შესრულებას აღწევს შეიარაღებული რაზმებით და საჯარო ხელისუფლებით ისეთი ნივთიერი დამატებით, როგორიცაა დამსჯელი ორგანოები, იძულებითი დაწესებულებანი და სხვ. სწორედ ამ საშუალებათა გამოყენებით იცავს სახელმწიფო მქონებელთა კლასს უქონელთა კლასისაგან, გაბატონებული კლასი ყველა და-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 391.

ნარჩენ დაქვემდებარებულ კლასს იმორჩილებს. სახელმწიფო იქცევა საშუალებად ერთი კლასის მიერ მეორე კლასის ჩაგვრისათვის, იგი ჩაგრული კლასის ექსპლუატაციის იარაღია.

საჯარო ხელისუფლების შენახვისათვის გარკვეული სახსრებია საჭირო. ასე წარმოიშობა გადასახადებით მოსახლეობის დაბეგვრის საჭიროება. ამავე მიზანს ემსახურება სახელმწიფოს მიერ ვალების აღება. გადასახადები და სესხი აგრეთვე შეადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ თავისებურებას.

სახელმწიფოს მომავალი. ამ ნაშრომში ფ. ენგელსი მეცნიერულად განსაზღვრავს სახელმწიფოს მომავალს, მის მოსალოდნელ ცვალებადობას. რაკი სახელმწიფოს წარმოშობა ეკონომიკურ საფუძველთან, კლასების წარმოშობასთან არის დაკავშირებული, მისი მომავალიც განსაზღვრულ უნდა იქნეს ამაუე საფუძველზე. „ახლა ჩვენ სწრაფი ნაბიჯით ვუახლოვდებით წარმოების განვითარების ისეთ საფეხურს, როცა ამ კლასების არსებობა არათუ აღარ წარმოადგენს აუცილებლობას, არამედ იგი წარმოების პირდაპირ დაბრკოლებად იქცევა. კლასები ისევე გარდუვალობით გაქრებიან, როგორი გარდუვალობითაც ისინი წარსულში წარმოიშვნენ, კლასების გაქრობასთან ერთად გარდუვალად გაქრება სახელმწიფოც“[1].

კომუნიზმის დროს, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, „მწარმოებელთა თავისუფალი და თანასწორი ასოციაციის“ პირობებში სახელმწიფო აღარ იარსებებს, იგი მოკვდება.

ასეთია, მოკლედ საკითხების ის წრე, რომელსაც ფ. ენგელსი განიხილავს თავის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“.

ვ. ი. ლენინი. „სახელმწიფო და რევოლუცია“

იმისათვის, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია“ უწინარეს ყოვლისა მიზანშეწონილია გავეცნოთ ისტორიულ ვითარებას, რომელშიც დაიწერა ეს სახელგანთქმული ნაწარმოები. შემდეგ საჭიროა ვიცოდეთ წიგნის სტრუქტურა, ნაწარმოებში განხილული ძირითადი საკითხები, მასში განვითარებული მთავარი დასკვნები. დაბოლოს, უნდა შევითვისოთ ვ. ი. ლენინის დასახელებული წიგნის როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მნიშვნელობა.

წიგნის დაწერის ისტორიული პირობები. ვ. ი. ლენინის ნაშრო-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 393—394.

მი „სახელმწიფო და რევოლუცია“ დაიწერა 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში; როგორც ცნობილია, ესაა პერიოდი, როდესაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასი სხვა მშრომელ მასებთან კავშირში ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციისათვის ემზადება. და ბუნებრივია, აუცილებელი იყო იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ როგორი იქნებოდა სოციალისტური რევოლუციის დამოკიდებულება მემამულეთა და კაპიტალისტთა პოლიტიკურ ძალაუფლებისადმი. ამიტომ სახელმწიფოს საკითხს უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა მიენიჭა.

„სახელმწიფოსადმი პროლეტარიატის სოციალისტური რევოლუციის დამოკიდებულების საკითხს ენიჭება არა მარტო პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ უაღრესად საჭირბოროტო მნიშვნელობაც, როგორც მასებისათვის იმის განმარტების საკითხს, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, უახლოეს მომავალში“ [1].

ამასთან, სახელმწიფოს მარქსისტული თეორია ამ პერიოდისათვის მეტად დამახინჯებული იყო II ინტერნაციონალის ბელადების, სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტების მიერ, რამაც განაპირობა სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობა. მაშასადამე, სახელმწიფოს საკითხს დიდი თეორიული მნიშვნელობაც ჰქონდა.

სწორედ ასეთ პირობებში დაიწერა ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია“.

ვ. ი. ლენინის წიგნის „სახელმწიფო და რევოლუციის“ სტრუქტურა. ეს წიგნი შედგება წინასიტყვაობისა და ექვსი თავისაგან. წინასიტყვაობაში მსჯელობაა სახელმწიფოს საკითხის პრაქტიკულ-პოლიტიკურ და თეორიულ მნიშვნელობაზე.

პირველი თავი ეხება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს, აქ გარკვეულია სახელმწიფოს ადგილი კლასობრივ საზოგადოებაში.

ვ. ი. ლენინის წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ მეორე და მესამე თავებში გაანალიზებულია 1848—51 წლების და 1871 წლის რევოლუციების გამოცდილება და ამის საფუძველზე ნაჩვენებია, თუ როგორ ავითარებდა კ. მარქსი თავის მოძღვრებას სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

ვ. ი. ლენინის წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ მეოთხე თავში გადმოცემულია ფ. ენგელსის დამატებითი განმარტებანი სახელმწიფოს საკითხებზე.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ვ. ი. ლენინის დასახელებული

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, 468—469.

წიგნის მეხუთე თავი, რომელშიც განხილულია სახელმწიფოს კვდომის ეკონომიკური საფუძვლები.

წიგნის ბოლო, ე. ი. მეექვსე თავში გაკრიტიკებულია კაუცკის და ანარქისტების შეხედულებანი სახელმწიფოს საკითხზე, აგრეთვე გაკრიტიკებულია პლეხანოვის თვალსაზრისი ანარქისტებისადმი დამოკიდებულების საკითხში.

ასეთია ვ. ი. ლენინის წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ სტრუქტურა.

სახელმწიფოს წარმოშობა და არსი. ოპორტუნისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც სახელმწიფოს კლასთა „შერიგების“ ორგანოდ თვლიან, ვ. ი. ლენინი ასაბუთებს, რომ სახელმწიფო წარმოიშვა როგორც კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი. ვ. ი. ლენინს მოჰყავს ციტატები ფ. ენგელსის შრომიდან „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, სახელდობრ ის ადგილები, რომლებსაც ოპორტუნისტები ამახინჯებდნენ. ფ. ენგელსის დებულებას, რომ სახელმწიფო წარმოიშვა კლასობრივი წინააღმდეგობის გაჩენის გამო, და რომ მან კლასთა შორის „უნდა შეანელოს კონფლიქტი და „წესრიგის“ ჩარჩოებში დააკავოს იგი“ — ოპორტუნისტები სახეს უცვლიდნენ ისე, თითქოს სახელმწიფო კლასების შერიგების მოთხოვნილებამ წარმოშვა და ამჟამადაც ამისათვისაა მოწოდებული. ისინი უგულებელყოფენ იმას, რაც არსებითია. არსებითი კი ისაა, რომ „სახელმწიფო არის კლასობრივი ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს ორგანო, ერთი კლასის მიერ მეორის ჩ ა გ ვ რ ი ს ორგანო, არის ისეთი „წესრიგის“ შექმნა, რომელიც, ანელებს რა კლასების შეჯახებას, აკანონებს და განამტკიცებს ამ ჩაგვრას“[1]. „წესრიგი“ და „შეჯახების შენელება“ იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს საშუალებით გაბატონებული კლასი ჩაგრულ კლასს ართმევს მჩაგვრელთა დამხობისათვის საჭირო საშუალებებს. მაშასადამე, სახელმწიფოს არსებობა უკვე კლასების შერიგების შეუძლებლობაზე მიგვითითებს. ფ. ენგელსის ზემოთ მოყვანილი დებულება სწორედ იმის საწინააღმდეგოზე მეტყველებს, რასაც ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები ქადაგებენ. ამ დებულებაში „სრული სიცხადით გამოხატულია მარქსიზმის ძირითადი იდეა სახელმწიფოს ისტორიული როლისა და მნიშვნელობის საკითხზე. სახელმწიფო არის კლასობრივ წინააღმდეგობათა შ ე უ რ ი გ ე ბ ლ ო ბ ი ს პროდუქტი და გამოხატულება. სახელმწიფო ჩნდება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება ობიექტურად შ ე უ ძ ლ ე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 473.

ბ ე ლ ი ა. და პირიქით: სახელმწიფოს არსებობა ამტკიცებს, რომ კლასობრივი წინააღმდეგობანი შეურიგებელია"[1].

ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს აგრეთვე სახელმწიფოს მეორეგვარ, კაუცკისეულ გაგებას, რომლის თანახმად ჩაგრული კლასის განთავისუფლება შესაძლებელია სახელმწიფო ძალაუფლების აპარატის მოსპობლად.

ამრიგად, სახელმწიფო წარმოიშვა როგორც კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი. იგი იმთავითვე წარმოადგენდა ეკონომიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკური ბატონობის ორგანოს, მანქანას მჩაგვრელი კლასის ხელში ჩაგრული მასების წინააღმდეგობის დასათრგუნავად.

ამავე თავში ვ. ი. ლენინი ახასიათებს სახელმწიფოს ნიშნებს. ეს ნიშნებია: ა) ტერიტორიული დაყოფა არა სისხლის ნათესაობის პრინციპის მიხედვით; ბ) საჯარო ხელისუფლება, რომლის ნეთიერი დანამატია არმია, პოლიცია, დამსჯელი ორგანოები და დაწესებულებანი, შეიარაღება და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავისი წიგნის ამ ნაწილშიც, ისევე, როგორც მომდევნო ნაწილებში ვ. ი. ლენინი, ხშირად იმოწმებს ფ. ენგელსსა და კ. მარქსს, მოჰყავს ვრცელი ამონაწერები მათი ნაწარმოებებიდან. მას ეს აუცილებლად მიაჩნია, „რათა მკითხველს შეეძლოს შეიმუშაოს დამოუკიდებელი წარმოდგენა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შეხედულებების ერთობლიობაზე და ამ შეხედულებათა განვითარებაზე, აგრეთვე რათა მათი დამახინჯება აქამამდე გაბატონებული „კაუცკელობის" მიერ დოკუმენტურად იყოს დამტკიცებული და ცხადად ნაჩვენები"[2].

ვ. ი. ლენინს მუდმივი ჯარი და პოლიცია სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრეს იარაღად მიაჩნდა. შეიარაღებული რაზმები, საპყრობილეები და ა. შ. გაბატონებულ კლასს სწორედ იმისათვის სჭირდება, რომ მორჩილებაში იყოლიოს ჩაგრული კლასი, დათრგუნოს მისი წინააღმდეგობა. ამასთან, რაც უფრო მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, მით უფრო ძლიერდება საჯარო ხელისუფლება. „სახელმწიფო ჩაგრული კლასის ექსპლუატაციის იარაღია"[3]. ამაში მდგომარეობს მისი არსი. თვით საყოველთაო საარჩევნო უფლებასაც ბურჟუაზიული სახელმწიფო ბურჟუაზიის ბატონობის საშუალებად იყენებს.

სახელმწიფოს კვდომის მარქსისტული მოძღვრების დამახინჯება

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 472.
[2] იქვე, გვ. 471.
[3] იქვე, გვ. 479.

და მისი მხილება ვ. ი. ლენინის მიერ. „სახელმწიფო და რევოლუციის“ პირველ თავში ვ. ი. ლენინი ვრცლად ჩერდება დებულებაზე სახელმწიფოს კვდომის შესახებ, რაც ფ. ენგელსს გამოთქმული აქვს თავის ნაწარმოებში „ანტი-დიურინგი“, იცავს მას ოპორტუნისტული გაყალბებისაგან. ოპორტუნისტებს სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული შეხედულების არსი იმაზე დაჰყავდათ, რომ მარქსიზმი სახელმწიფოს „კვდომას“ აღიარებს, ანარქისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც „სახელმწიფოს გაუქმებას“ მოითხოვდნენ. მაგრამ როდესაც სახელმწიფოს კვდომაზე მსჯელობენ, ოპორტუნისტები შეგნებულად უვლიან გვერდს იმას, თუ რომელი სახელმწიფოს „კვდომას“ ეხება საქმე. სინამდვილეში ა) სოციალისტური რევოლუციის შედეგად პროლეტარიატი სპობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. „ბურჟუაზიული სახელმწიფო კი არ „კვდება“, ენგელსის მიხედვით, არამედ „ისპობა“ პროლეტარიატის მიერ რევოლუციაში. ამ რევოლუციის შემდეგ კვდება პროლეტარული სახელმწიფო ან ნახევარსახელმწიფო“[1].

ბ) სოციალისტური რევოლუციის შედეგად პროლეტარიატი ქმნის თავის საკუთარ „დათრგუნვის განსაკუთრებულ ძალას“, პროლეტარიატის დიქტატურას. სახელმწიფო ძველი გაგებით აღარ არსებობს, როგორც უმცირესობის იარაღი უმრავლესობის წინააღმდეგ. პირიქით, იგი უმრავლესობის იარაღია დამხობილი უმცირესობის დასათრგუნავად. გასაგებია, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს „კვდომის“ მოთხოვნა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ვ. ი. ლენინის წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ მეორე და მესამე თავები ეძღვნება სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის შემუშავებისა და განვითარების ისტორიის გარკვევას. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი თავიანთ იდეებს სახელმწიფოს შესახებ ავითარებდნენ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, კლასობრივი ბრძოლის ძირეულ ობიექტურ მოთხოვნათა შესაბამისად. სახელმწიფოსა და რევოლუციის ურთიერთმიმართების დადგენა წითელ ზოლად გასდევს ვ. ი. ლენინის მთელ ნაწარმოებს, რასაც თვით წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ სათაურიც გვიჩვენებს.

მარქსისტულ შეხედულებათა გადმოცემას სახელმწიფო საკითხთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი იწყებს კ. მარქსის შრომიდან „ფილოსოფიის სიღატაკე“ (1847 წ.). უკვე ამ ნაშრომში მარქსი მივიდა დასკვნამდე, რომ მომავალში მუშათა კლასი ისეთ ასოციაციას

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 486.

შექმნის, რომელიც გამორიცხავს კლასებს და კლასობრივ წინააღმ-
დეგობას და რომ აღარ იარსებებს არავითარი, საკუთრივ პოლიტი-
კური ხელისუფლება. რაც შეეხება ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ხე-
ლისუფლებას, იგი სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალისტური საზო-
გადოების კლასთა წინააღმდეგობის ოფიციალური გამოხატულება.

ამრიგად, ჯერ კიდევ 1847 წელს კ. მარქსმა გამოთქვა ახრი სა-
ხელმწიფოს გაქრობაზე კლასების მოსპობის შემდეგ. ამავე წლის
დამლეგს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ერთობლივ ნაწარმოებში „კო-
მუნისტური პარტიის მანიფესტი" შეიმუშავეს დასკვნა, რომ სოცია-
ლისტური რევოლუციის შედეგად შეიქმნება თვით პროლეტარია-
ტის პოლიტიკური ხელისუფლება, რომ მომავალი სახელმწიფო იქ-
ნება „გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატი".
„აქ, — როგორც ვ. ი. ლენინი წერს, — ჩვენ ვხედავთ სახელმწი-
ფოს საკითხის შესახებ მარქსიზმის ერთ-ერთი უაღრესად შესანიშ-
ნავი და უმნიშვნელოვანესი იდეის ფორმულირებას, სახელდობრ
„პროლეტარიატის დიქტატურის" იდეისა"[1] (აქვე უნდა შევნიშ-
ნოთ, რომ თვით ტერმინი „პროლეტარიატის დიქტატურა" კ. მარქ-
სმა პირველად გამოიყენა ნაშრომში „კლასობრივი ბრძოლა საფ-
რანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე").

ისმის კითხვა: რისთვის სჭირდება პროლეტარიატს თავისი სა-
ხელმწიფო, რა ფუნქციები უნდა შეასრულოს გაბატონებულ კლა-
სად ორგანიზებულმა პროლეტარიატმა. ამავე ნაწარმოებში „კომუ-
ნისტური პარტიის მანიფესტი" ჩვენ ვიღებთ პასუხს ამ კითხვაზეც.
პროლეტარიატს სახელმწიფო ჭირდება დამხობილი ბურჟუაზიის
წინააღმდეგობის დასათრგუნავადაც და „საწარმოო ძალთა ჯამის"
გამრავლებისათვის, ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სახელმწიფო არის ძალის განსაკუთ-
რებული ორგანიზაცია, არის ძალადატანების ორგანიზაცია რომელი-
მე კლასის დასათრგუნავად. რომელი კლასი უნდა დათრგუნოს
პროლეტარიატმა? რა თქმა უნდა, მხოლოდ ექსპლოატატორული
კლასი, ე. ი. ბურჟუაზია. მშრომელებს სახელმწიფო ესაჭიროებიან
მხოლოდ ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დასათრგუნავად. ხა-
ლო ამ დათრგუნვის ხელმძღვანელობა, მისი განხორციელება ძა-
ლუძს მხოლოდ პროლეტარიატს, როგორც ერთადერთს ბოლომდე
რევოლუციურ კლასს, ერთადერთ კლასს, რომელსაც უნარი შეს-
წევს ყველა მშრომელი და ექსპლუატირებული გააერთიანოს ბურ-
ჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, მის სავსებით დასამხობად"[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 493.
[2] იქვე, გვ. 494—495.

ამასთან, დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვასთან ერთად პროლეტარულმა სახელმწიფომ უნდა შეასრულოს უდიდესი აღმშენებლობითი ფუნქციაც, უხელმძღვანელოს შრომელ მასებს ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

„პროლეტარიატისათვის აუცილებელია სახელმწიფო ძალაუფლება, ძალის ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ძალდატანების ორგანიზაცია ექსპლუატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვისათვისაც და სოციალისტური მეურნეობის „მოწესრიგების" საქმეში მოსახლეობის უზარმაზარი მასის, გლეხობის... მიმართ ხელმძღვანელობის გასაწევადაც"[1].

ამრიგად, როგორც ვ. ი. ლენინი არკვევს მომწიფებული მარქსიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებში „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", უკვე ფორმულირებულია პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, განსაზღვრულია პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციები. ეს წარმოადგენდა დიდ მონაპოვარს რევოლუციის წინახანაში.

ვ. ი. ლენინი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მეცნიერული თეორიის შემუშავებაში ახალი ეტაპი აღინიშნა 1848—1851 წლების რევოლუციის გამოცდილების ანალიზის შედეგად: კ. მარქსმა გამოიტანა დასკვნა ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის აუცილებლობის შესახებ (ნაშრომში „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა"). „აქ საკითხი კონკრეტულად არის დაყენებული, დასკვნაც გამოყვანილია უაღრესად ზუსტი, გარკვეული, პრაქტიკულად ხელშესახები: ყველა წინანდელი რევოლუცია აუმჯობესებდა სახელმწიფო მანქანას, საჭირო კი არის მისი დამტვრევა, დამსხვრევაო.

ეს დასკვნა მთავარია, ძირითადია მარქსიზმის მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ"[2].

ამ დასკვნის უდიდესი მნიშვნელობა ხაზგასმულია აგრეთვე კ. მარქსის წერილში ვაიდემაიერისადმი (1851 წლის 5 მარტი). ეს წერილი ჩვენთვის უკვე ცნობილია. იგი უმთავრესად განვიხილეთ კლასობრივი ბრძოლის თეორიის საკითხთან დაკავშირებით. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს წერილში გამოთქმული ის იდეა, რომელიც კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის მიმართების განსაზღვრას ეხება. ამ წერილში კ. მარქსი აღნიშნავს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, სადამდეც მივყავართ კლასობრივ ბრძოლას, სხვა არაფერია, თუ არა საშუალება ყოველგვარი

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 496—497.

[2] იქვე, გვ. 499.

კლასების მოსპობისათვის და უკლასო საზოგადოებაზე გადასასვლელად. ამ დებულებიდან ჩანს, რომ მარქსიზმისათვის მთავარია არა კლასობრივი ბრძოლა, არამედ ამ ბრძოლის მიყვანა პროლეტარიატის დიქტატურამდე. ის, ვინც მარქსიზმის ძირითად საკითხად კლასობრივ ბრძოლას აღიარებს, ის არსებითად პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას უარყოფს, ე. ი. მარქსიზმის წინააღმდეგ გამოდის.

„მარქსის მოძღვრებაში მთავარია კლასობრივი ბრძოლაო. ასე ამბობენ და წერენ ძალიან ხშირად. მაგრამ ეს მართალი არ არის. და ამ შეცდომიდან ძალიან ხშირად გამომდინარეობს მარქსიზმის ოპორტუნისტული დამახინჯება, მისი გაყალბება ბურჟუაზიისათვის მისაღები სახით. ვინაიდან კლასობრივი ბრძოლის მოძღვრება შექმნილია არა მარქსის მიერ, არამედ ბურჟუაზიის მიერ მარქსამდე და, საერთოდ რომ ითქვას, იგი მისაღებია ბურჟუაზიისათვის. ვინც მხოლოდ კლასების ბრძოლას აღიარებს, ის ჯერ კიდევ არ არის მარქსისტი, ის შეიძლება ჯერ კიდევ არ სცილდებოდეს ბურჟუაზიული აზროვნებისა და ბურჟუაზიული პოლიტიკის ფარგლებს. მარქსიზმის შემოფარგელა კლასების ბრძოლის მოძღვრებით იმას ნიშნავს, რომ შეკვეცო მარქსიზმი, დაამახინჯო იგი, აქციო იმად, რაც მისაღებია ბურჟუაზიისათვის. მარქსისტი მხოლოდ ის არის, ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განავრცობს. ეს არის მარქსისტის ყველაზე ღრმა განსხვავება ჩვეულებრივი წვრილი (და აგრეთვე მსხვილი) ბურჟუისაგან"[1].

თავისი წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია" მეორე თავის დასასრულს ვ. ი. ლენინს გამოთქმული აქვს დიდმნიშვნელოვანი იდეა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმების შესახებ. სოციალისტური რევოლუცია არ მთავრდება მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებით, იგი აყენებს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური, კულტურული გარდაქმნის ძირეულ ამოცანებს, რაც წარმატებით წყდება სოციალიზმის მშენებლობის პროცესში. ამ მშენებლობის მთავარი იარაღი პროლეტარიატის დიქტატურაა. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა სხვადასხვა ქვეყნების კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვადასხვა ფორმით ხორციელდება.

საკვანძოთ გამართლდა ვ. ი. ლენინის დებულება: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 506—507.

მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: პ რ ო ლ ე ტ ა-რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა"[1]. ისტორიამ სავსებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის ამ დებულების ჭეშმარიტება. პროლეტარიატის დიქტატურის პირველი სახელმწიფო ფორმა იშვა 1871 წელს პარიზის კომუნის სახით. საბჭოთა კავშირში პროლეტარული სახელმწიფოს მმართველობის ფორმას წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ საბჭოები — მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციები. აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში კი ჩამოყალიბდა პროლეტარიატის დიქტატურის განსხვავებული ფორმა — სახალხო დემოკრატია. ამ სახელმწიფოს სოციალური საფუძველია პროლეტარიატის კავშირი ქალაქისა და სოფლის სხვა მშრომელებთან, ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილთან, აგრეთვე ეროვნული ბურჟუაზიის იმ ფენებთან, რომლებიც წინააღმდეგობას არ უწევდნენ სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას. თავის მხრივ სახალხო დემოკრატიას სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკური ორგანიზაციის, მმართველობის სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებს, ვინაიდან თითოეულ მათგანში სოციალისტური გადატრიალება განსხვავებული ისტორიული და ეროვნული პირობების ბაზაზე ხდებოდა.

„სახელმწიფო და რევოლუციის" მესამე თავში დახასიათებულია პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულად პირველი სახელმწიფოებრივი ფორმა — პარიზის კომუნა. ვ. ი. ლენინი ეხება კ. მარქსის ნაშრომს „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", რომელშიც გადმოცემულია პარიზის კომუნის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური ფორმის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი.

პარიზის კომუნის ძირითადი გაკვეთილი. 1871 წლის რევოლუციის გამოცდილების შედეგად კ. მარქსმა შემდგომ განავითარა მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. პარიზის კომუნამ 71 დღეს იარსება; კ. მარქსი აღტაცებული იყო პარიზის კომუნარების გმირობით. მართალია, ეს რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ იგი წარმოადგენდა „უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ ცდას, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს, ისეთ პრაქტიკულ ნაბიჯს, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ასობით პროგრამასა და მსჯელობას"[2].

პარიზის კომუნამ ნათელი გახადა, კ. მარქსის სიტყვებით თქვა, ეტყვით, რომ „მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 508.

[2] იქვე, გვ. 509.

მზა სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის". სწორედ ეს „შესწორება" შეიტანა მარქსმა ფ. ენგელსთან ერთად „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" 1872 წლის ახალი გამოცემის წინასიტყვაობაში.

ამრიგად, პარიზის კომუნის ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი ის იყო, რომ „მუშათა კლასმა უნდა **დაანგრიოს, დაამსხვრიოს** „მზა სახელმწიფო მანქანა" და კი არ დასჯერდეს მის უბრალო დაპყრობას"[1]. მართალია, კ. მარქსი თავის დასკვნას კონტინენტით ზღუდავდა, მას შესაძლებლად მიაჩნდა ინგლისში და ამერიკაში სახალხო რევოლუცია წინასწარი პირობის გარეშე — „მზა სამხედრო მანქანის" დაუმსხვრევლად, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ იმ დროს ინგლისსა და ამერიკაში სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფო მანქანა ჯერ კიდევ არ იყო მომძლავრებული. მეორე იმპერიალისტური ომის პერიოდში ინგლისისა და ამერიკის სამხედრო-ბიუროკრატიულმა სახელმწიფო მანქანამ დიდ სრულყოფას მიაღწია, რის გამოც მათი დამსხვრევა აგრეთვე იქცა სახალხო რევოლუციის წინაპირობად.

პ ა რ ი ზ ი ს კ ო მ უ ნ ი ს დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ებ ე ლ ი ნ ი შ ნ ებ ი. საფრანგეთის 1871 წლის რევოლუციამ დაამსხვრია ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და იგი ახალი ტიპის სახელმწიფოთი — პარიზის კომუნით, პროლეტარული, სოციალისტური რესპუბლიკით შეცვალა, ამ ახალი ტიპის სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები იყო: ა) მუდმივი ჯარის შეცვლა, მისი მოსპობა. მუდმივი ჯარის ნაცვლად დათრგუნვის ფუნქციას შეიარაღებული ხალხი ასრულებდა. ახლა უკვე „ხალხის უმრავლესობა თ ე ი თ ო ნ თრგუნავს თავის მჩაგვრელებს", „მაგრამ დამთრგუნავ ორგანოს აქ უკვე წარმოადგენს მოსახლეობის უმრავლესობა, და არა უმცირესობა"[2]. ბ) ყველა თანამდებობის პირის სრული არჩევითობა და გამოცვლის შესაძლებლობა. ეს პირები საყოველთაო საარჩევნო უფლების ძალით ირჩეოდნენ და მათი უმრავლესობა მუშების, მათი ცნობილი წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. გ) სახელმწიფო თანამდებობის პირთა ხელფასის დაყვანა მუშის ხელფასის დონემდე. ეს სპობდა სახელმწიფოს მოხელეთა ყოველგვარ პრივილეგიებს. ამასთან, ამით კომუნამ უზრუნველყო იაფი მთავრობა. დ) კომუნა არ წარმოადგენდა პარლამენტალურ დაწესებულებას, ხალხის დამთრგუნველ ორგანოს. იგი იყო მომუშავე კორპორაცია. რომელიც ერთდროულად ერთიანებდა როგორც კანონმდებელ, ისე აღმასრულებელ ფუნქ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 510.

[2] იქვე, გვ. 517.

ციებს. მაშასადამე, კომუნას არ მოუსპია წარმომადგენლობითი დაწესებულებები და არჩევითობა, არამედ ეს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები გადააქცია სალაყბოებიდან ხალხის ინტერესებისათვის მომუშავე დაწესებულებებად.

„ბურჟუაზიული საზოგადოების მოსყიდულ და დამპალ პარლამენტარიზმს კომუნა ისეთი დაწესებულებებით სცვლის, სადაც მსჯელობისა და განხილვის თავისუფლება მატყუარობად არ იქცევა, ვინაიდან პარლამენტარებმა თვითონ უნდა იმუშაონ, თვითონ უნდა შეასრულონ თავიანთი კანონები, თვითონ უნდა შეამოწმონ ის, თუ რა გამოდის ნამდვილად, თვითონ უშუალოდ უნდა აგონ პასუხი თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე. წარმომადგენლობითი დაწესებულებები რჩება, მაგრამ პარლამენტარიზმი, როგორც განსაკუთრებული სისტემა, როგორც კანონმდებლობითი და აღმასრულებელი შრომის დანაწილება, როგორც დეპუტატების პრივილეგიური მდგომარეობა, აქ არ არის, ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დემოკრატია, პროლეტარული დემოკრატიაც კი, თუ არ არის წარმომადგენლობითი დაწესებულებები, უპარლამენტარიზმოდ კი შეგვიძლია და უნდა წარმოვიდგინოთ“ [1].

ე) კომუნას არ ჰქონდა განზრახული ერის მთლიანობის მოსპობა. ფედერალიზმის დამყარება; არამედ პროლეტარული, დემოკრატიული ცენტრალიზმი, „ერის მთლიანობის მოწყობა“, „ნებაყოფლობითი ცენტრალიზმი, კომუნების ნებაყოფლობითი გაერთიანება ერად“, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კომუნების შეერთება ბურჟუაზიისა და მისი პოლიტიკური ძალაუფლების წინააღმდეგ.

ვ) კომუნამ არა მარტო დაამსხვრია ძველი სახელმწიფო მანქანა, არამედ იგი იყო იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმაც, რომელმაც ბურჟუაზიული „პარაზიტი“ სახელმწიფო შეცვალა, გვიჩვენა გზა შრომის ეკონომიკური განთავისუფლებისა და სახელმწიფო ძალაუფლების ქრობისაკენ.

„კომუნა რევოლუციის მიერ „ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი“ პროლეტარული ფორმაა, რომლის დროსაც შესაძლებელია მოხდეს შრომის ეკონომიკური განთავისუფლება.

კომუნა პროლეტარული რევოლუციის პირველი ცდაა ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ი ს ა და „ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი“ პროლეტარული ფორმაა, რომლითაც შესაძლებელია და უნდა შ ე ი ც ვ ა ლ ო ს დამსხვრეული მანქანა“ [2].

„სახელმწიფო და რევოლუციის“ მ ე ო თ ხ ე თ ა ვ შ ი ვ. ი. ლე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 523.

[2] იქვე, გვ. 534.

ნინი სპეციალურად ჩერდება ფ. ენგელსის დამატებით განმარტებებზე სახელმწიფოს საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინის შრომის ამ თავიდან ჩვენ რამდენიმე საკითხს გამოვყოფთ:

ა) პროლეტარული სახელმწიფოს საქმიანობის შინაარსი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ უკვე 1872 წელს, ემყარებოდა რა პარიზის კომუნის ისტორიულ გამოცდილებას, ფ. ენგელსმა თხზულებაში „ბინის საკითხი" განსაზღვრა პროლეტარული სახელმწიფოს საქმიანობის შინაარსი, კერძოდ საბინაო საკითხისადმი დამოკიდებულების მხრივ. ფ. ენგელსს აუცილებლად მიაჩნდა ის, რომ გარდამავალ პერიოდში პროლეტარულ სახელმწიფოს მოეგვარებინა საბინაო პრობლემა. ფ. ენგელსი საეჭვოდ თვლიდა პროლეტარული სახელმწიფოს მიერ ბინების უფასოდ დარიგებას გარდამავალ პერიოდში, მოითხოვდა ბინების დაქირავება-გაქირავების ურთიერთობათა შენარჩუნებას ამ დროისათვის. და სწორედ იმის გამო, რომ მოხდეს ბურჟუაზიისათვის ჩამორთმეული და ხალხის საკუთრებაში გადასული ბინების ქირით გაცემა ოჯახებისათვის, საჭიროა ქირის გადახდევინებაც, გარკვეული კონტროლიც, ბინების განაწილების ნორმირებაც. „ყოველივე ეს მოითხოვს სახელმწიფოს გარკვეულ ფორმას, მაგრამ სრულიად არ მოითხოვს განსაკუთრებულ სამხედრო და ბიუროკრატიულ აპარატს, თანამდებობის პირთა განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობას" [1].

ამრიგად, ფ. ენგელსი კი არ უარყოფდა პროლეტარიატის დიქტატურის არსებობას გარდამავალ პერიოდში, არამედ პირიქით, განსაზღვრავდა კიდეც მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

ბ) პოლიტიკური ავტორიტეტი გარდამავალ პერიოდში. ემყარებოდა რა კომუნარების გამოცდილებას, ფ. ენგელსი გარდუვალად მიიჩნევდა პოლიტიკური ავტორიტეტის შენარჩუნებასა და განმტკიცებას გარდამავალ პერიოდში. იგი ებრძოდა ანარქისტებს, „ანტიავტორიტარისტებს", რომლებიც მოითხოვენ პოლიტიკური მმართველობის გაუქმებას ერთი დაკვრით, მათი წარმომშობი სოციალური ურთიერთობების მოსპობის გარეშე. „ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს უთანხმოება ანარქისტებთან სახელმწიფოს გაუქმების, როგორც მიზნის, საკითხში. ჩვენ ვამტკიცებთ. რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების იარაღთა, საშუალებათა, ხერხთა დროებითი გამოყენება ექსპლოატატორების წინააღმდეგ, ისევე როგორც

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25. გვ. 537.

კლასების მოსასპობად აუცილებელია ჩაგრული კლასის დროებითი დიქტატურა"[1]. შეიარაღებული ხალხის პოლიტიკური აეტორიტეტის გარეშე შეუძლებელია ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვა. ბურჟუაზია შიშით უნდა ძრწოდეს პროლეტარიატისა და მისი პოლიტიკური ძალაუფლების წინაშე.

გ) „თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს" ანარქისტული მოთხოვნის კრიტიკა. წერილში ბებელისადმი (1875 წლის 18—28 მარტი) ფ. ენგელსი აკრიტიკებდა ანარქისტებს იმის გამო, რომ ისინი აყენებდნენ „თავისუფალი სახალხო სახელმწიფოს" მოთხოვნას. ამ წერილში ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ პროლეტარიატს სახელმწიფო ესაჭიროება მოწინააღმდეგეთა ძალდატანებითი დათრგუნვისათვის, და, მაშასადამე, თავისუფალ სახალხო სახელმწიფოს შესახებ მსჯელობა უაზრობაა. როცა საზოგადოებაში თავისუფლება გამეფდება, მაშინ სახელმწიფოც აღარ იქნება საჭირო. რაც შეეხება კომუნას, იგი უკვე აღარ იყო სახელმწიფო საკუთარი აზრით, რამდენადაც მას უხდებოდა მოსახლეობის არა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის, — ექსპლუატატორების დათრგუნვა.

ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს „სახალხო სახელმწიფოს" ანარქისტულ მოთხოვნას. იგი წერს, რომ „სახალხო სახელმწიფო" ისეთივე უაზრობა და ისეთივე გადახვევაა სოციალიზმიდან, როგორც „თავისუფალი სახალხო სახელმწიფოც"[2].

დ) სახელმწიფო წყობილების შესახებ ოპორტუნისტული შეხედულებების კრიტიკა. ვ. ი. ლენინი გვიჩვენებს, თუ როგორ ებრძოდა ფ. ენგელსი სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ შეხედულებებს სახელმწიფო წყობილების საკითხებზე. სახელდობრ, აქ განხილულია რესპუბლიკის, საწელმწიფოს და ეროვნული კავშირის, ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები. ფ. ენგელსი იცავდა დემოკრატიულ ცენტრალიზმს, ერთიანსა და განუყოფელ რესპუბლიკას. ამასთან „დემოკრატიული ცენტრალიზმი... ენგელსისათვის სრულიად არ გამორიცხავს ისეთ ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც, „კომუნებისა" და ოლქების მიერ სახელმწიფოს ერთიანობის ნებაყოფლობითი დაცვისას, უთუოდ სპობს ყოველგვარ ბიუროკრატიზმს და ყოველგვარ „მბრძანებლობას" ზემოდან"[3].

დემოკრატიული ცენტრალიზმი ნაბიჯია წინ ფედერაციულ რეს-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 539.

[2] იქვე, გვ. 546.

[3] იქვე, გვ. 554.

პუბლიკასთან შედარებით, განსხვავებით ოპორტუნისტების შეხედულებისა, რაც დემოკრატიული ცენტრალიზმის მიმართ ფედერაციული რესპუბლიკის უპირატესობის აღიარებაში მდგომარეობს. ნამდვილად დემოკრატიული ცენტრალისტური რესპუბლიკა მეტ თავისუფლებას იძლევა, ვიდრე ფედერალისტური რესპუბლიკა.

„სახელმწიფო და რევოლუციის" მეოთხე თავის მომდევნო ნაწილში ვ. ი. ლენინი განიხილავს ფ. ენგელსის უკანასკნელ ნაწარმოებებში გამოთქმულ შეხედულებებს სახელმწიფოსა და დემოკრატიის საკითხებზე. აქ გადმოცემულია ფ. ენგელსის წინასიტყვაობა მარქსის „სამოქალაქო ომისათვის" (დაწერილი 1891 წელს) და წინასიტყვაობა მისი საკუთარი სტატიებისათვის, რაც დაიწერა 1894 წელს, ე. ი. ენგელსის სიკვდილამდე წელიწად-ნახევრით ადრე. ამ შრომებში, პარიზის კომუნის გამოცდილების საფუძველზე შეჯამებულია სახელმწიფოსადმი რევოლუციური პროლეტარიატის დამოკიდებულების ძირითადი შედეგები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფ. ენგელსის შეხედულებებს დემოკრატიის, როგორც სახელმწიფოს და მისი მომავლის შესახებ, რომელსაც ვ. ი. ლენინი ასე გადმოსცემს: „დემოკრატია არის ისეთი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო, რომელიც აღიარებს უმცირესობის დამორჩილებას უმრავლესობისადმი, ე. ი. ორგანიზაცია სისტემატური ძალადატანებისა, რომელსაც ერთი კლასი ახდენს მეორეზე, მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორეზე.

ჩვენ საბოლოო მიზნად ვისახავთ მოვსპოთ სახელმწიფო, ე. ი. ყოველგვარი ორგანიზებული სისტემატური ძალადატანება, ყოველგვარი ძალადატანება საერთოდ ადამიანებზე. ჩვენ არ ველით ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას, როდესაც არ იქნებოდა დაცული უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პრინციპი. მაგრამ, მივისწრაფვით რა სოციალიზმისაკენ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი გადაიზრდება კომუნიზმში და ამასთან დაკავშირებით თანდათან გაქრება ყოველგვარი საჭიროება ადამიანებზე ძალადატანებისა საერთოდ, საჭიროება იმისა, რომ ერთი კაცი დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ო ს მეორეს, მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორე ნაწილს, ვინაიდან ადამიანები შ ე ე ჩ ვ ე ვ ი ა ნ საზოგადოებრიობის ელემენტარული პირობების ძ ა ლ დ ა უ ტ ა ნ ე ბ ლ ა დ დ ა დ ა უ მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ლ ა დ დაცვას"[1].

საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სახელმწიფოს კვდომა, რა ეკონომიკური საფუძვლებით მზადდება გადასვლა უსახელმწიფოებრიო მდგომარეობაზე — ვ. ი. ლენინი თავისი ნაწარმოების მეხუთე თავში განიხილავს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 566—567.

მ ე ხ უ თ ე თავის „სახელმწიფოს კვდომის ეკონომიკური საფუძ-ვლების“ დასაწყისში ვ. ი. ლენინი ააშკარავებს ოპორტუნისტების ცდას, ერთმანეთს დაუპირისპირონ კ. მარქსი და ფ. ენგელსი სა-ხელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხში. მათი აზრით, ერთ-მანეთს ეწინააღმდეგება კ. მარქსის შეხედულება „კომუნისტური საზოგადოების მომავალი სახელმწიფოებრიობის შესახებ“ და ფ. ენ-გელსის სახელმწიფოს კვდომის შესახებ. სინამდვილეში აქ არა-ვითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. თუ ენგელსი ახასიათებს საზოგადოებას, რომელშიც სახელმწიფო აღარ იარსებებს, მოკვდება, კ. მარქსი მსჯელობს სახელმწიფოზე, რომელიც კვდომადია. მაშასადამე, მათი დებულებები ასახავენ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურებს, მაგრამ ერთიც და მეორეც ცნობს სახელმ-წიფოს კვდომის აუცილებლობას.

დემოკრატია კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდ-ში. როგორც ეს კ. მარქსმა დაასაბუთა „გოთას პროგრამის კრი-ტიკაში“ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლას შეესაბამება პო-ლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, პროლეტარიატის რევოლუ-ციური დიქტატურის არსებობა. პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა თვისებრივად ახალი ეტაპია დემოკრატიის განვითარე-ბაში. ვ. ი. ლენინი განსაზღვრავს დემოკრატიის შეცვლის ძირითად თავისებურებებს:

ჰ ე შ მ ა რ ი ტ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა მ შ რ ო მ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ა. ს წ ო რ ე დ ა ს ე თ ი ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ-რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა.

როგორც სახელმწიფოს ტიპი „დემოკრატია არის ხალხის ბატო-ნობა“, „უმრავლესობის ბატონობა“. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ხალხის პოლიტიკური ბატონობა კაპიტალიზმის დროს? შესაძ-ლებელია თუ არა, რომ სახელმწიფო გამოხატავდეს და იცავდეს უმრავლესობის ინტერესებს იმ საზოგადოებაში, რომელშიც წარ-მოების საშუალებებს კაპიტალისტები ფლობენ, ხოლო მშრომელ-თა არსებობის წყაროს დაქირავებული შრომა წარმოადგენს?

ყოველგვარი პოლიტიკური მმართველობა იმთავითვე დეტერ-მინირებულია ეკონომიკური საფუძვლებით. ექსპლოატატორული საზოგადოების სახელმწიფოს სხვა დანიშნულება არ აქვს, თუ არა ის, რომ წარმოადგენდეს მანქანას ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ხელში ჩაგრული მასების წინააღმდეგობის დასათრგუნავად. სახელმწიფოს გაჩენა მოასწავებდა იმას, რომ გაბატონებულ უმცი-რესობას ამ იარაღის გამოუყენებლად არ შეეძლო მორჩილებაში ჰყოლოდა ჩაგრული, წარმოების საშუალებების მთლიანად ან ნაწილობრივ არამქონე მასები — საზოგადოების უმრავლესობა.

მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში სახელმწიფო ყოველთვის რჩება ეკონომიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკური ბატონობის ორგანიზაციად მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

საქმის ვითარება სრულიად არ იცვლება იმით, თუ რა იარლიყით გვევლინება ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური მმართველობა. თვით დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაშიც „დემოკრატიზმი ყოველთვის შებოჭილია კაპიტალისტური ექსპლოატაციის ვიწრო ჩარჩოებით და ამიტომ, არსებითად, ყოველთვის რჩება დემოკრატიზმად უმცირესობისათვის, მხოლოდ მქონებელი კლასებისათვის, მხოლოდ მდიდრებისათვის“ [1].

წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება აუცილებლობით მოითხოვს ისეთ სახელმწიფოს, რომელიც მქონებლებს, ე. ი. საზოგადოების უმცირესობას, არამქონებელთა, ე. ი. საზოგადოების უმრავლესობისაგან დაიცავს. „დემოკრატია უმნიშვნელო უმცირესობისათვის, დემოკრატია მდიდრებისათვის — აი როგორია კაპიტალისტური საზოგადოების დემოკრატიზმი“[2].

სოციალიზმის დროს სახელმწიფო თვისებრივად განსხვავებულ საფუძვლებს ემყარება. სოციალისტური დემოკრატია იმთავითვე წარმოადგენს დემოკრატიას ხალხისათვის, მშრომელებისათვის. პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც კაპიტალისტური სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდება. უბრალოდ კი არ აფართოებს დემოკრატიას, არამედ აქცევს მას მშრომელთა დემოკრატიად, მაშინ, როდესაც ბოლოს უღებს დემოკრატიას მჩაგვრელებისათვის, ექსპლოატატორებისათვის.

პროლეტარიატის დიქტატურას „არ შეუძლია მოვცეს უბრალოდ, მარტოოდენ დემოკრატიის გაფართოება“, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. დემოკრატიზმი უდიდეს გაფართოებასთან ერთად „პირველად ხდება დემოკრატიზმად ღარიბთათვის, დემოკრატიზმად ხალხისათვის“ [3].

დემოკრატიის ეს თვისებრივი შეცვლა განსაზღვრულია საზოგადოების ეკონომიკაში მომხდარი ძირეული გადატრიალებით. სოციალისტური რევოლუცია სპობს კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე, წარმოების საშუალებებს აქცევს მშრომელი ხალხის საკუთრებად, რითაც ქმნის ეკონომიკურ საფუძველს სოციალისტური დემოკრატიისათვის. როდესაც მშრომელი ხალხი ეკონომიკურად გაბატონდება, — სახელმწიფო ხელისუფლებაც მშრომელებს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 572.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 574.

უნდა ეკუთვნოდეთ. ბაზისის შეცვლა ზედნაშენის შეცვლას იწვევს. სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური ზედნაშენი იმავე საზოგადოების ბაზისის ყოველმხრივი განმტკიცებისა და განვითარების საქმეს ემსახურება.

მშრომელი ხალხის ხელისუფლების აუცილებლობა ამ ეტაპზე შეპირობებულია იმითაც, რომ დამხობილი ექსპლოატატორული კლასები ქვეყნის გარეთ მყოფ რეაქციულ ძალებთან კავშირში ყოველნაირად ცდილობენ მოახდინონ კაპიტალიზმის რესტავრაცია. მაშასადამე, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც დაიცავს მშრომელთა ინტერესებს მჩაგვრელთა ხელყოფისაგან, მოსპობს დემოკრატიას და თავისუფლებას მჩაგვრელებისათვის.

დამხობილი ექსპლოატატორული კლასების და მათი ნარჩენების წინააღმდეგობის დათრგუნვა სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, და ეს ამოცანა რჩება ასეთად მანამდე, ვიდრე საბოლოოდ არ აღმოფხვრილა ანტიხალხური ძალები და მათი წინააღმდეგობა.

წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება არის ეკონომიკური ბაზა, რომელსაც შეესაბამება დემოკრატია მშრომელი ხალხისათვის და არა ხალხის მტრებისათვის.

„დემოკრატია ხალხის უდიდესი უმრავლესობისათვის და ექსპლოატატორების, ხალხის მჩაგვრელების ძალით დათრგუნვა, ე. ი. გამონაკლისი დემოკრატიიდან, — აი რანაირად იცვლება დემოკრატია კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს“ [1].

სოციალისტური საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ არსებობენ ექსპლოატატორული კლასები და მათი ნარჩენები, სოციალისტური დემოკრატია არის ხალხის უდიდესი უმრავლესობის დემოკრატია, მშრომელთა ინტერესების გამომხატველი და დამცველი პოლიტიკური ხელისუფლება.

სოციალიზმის აშენების შემდეგ, კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში კი იგი საერთო-სახალხო დემოკრატიად იქცევა.

„საბჭოთა ანუ პროლეტარულმა დემოკრატიამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მსოფლიოში პირველად შექმნა დემოკრატია მასებისათვის, მშრომელებისათვის“ [2].

ხალხის ხელისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც თვით ხალხია თავისი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, სადაც თვით ხალხია სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და საზოგადოებრივი მმართველობის აქტიური ძალა. ამასთან არის და-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 574.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 362.

კავშირებული სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება — სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმეების მართვა თვით ხალხის საკუთარი. იმანენტური ძალებით.

ვ. ი. ლენინი განსაზღვრავს სოციალისტური დემოკრატიის მეორე არსებით ნიშანს, მის თანამიმდევრულ ხასიათს.

დემოკრატია მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, როცა ბოლომდე თანამიმდევრულია. სწორედ ასეთი დემოკრატიაა სოციალისტური დემოკრატია. სოციალისტური დემოკრატიისაგან განსხვავებით ბურჟუაზიულ დემოკრატიას არ ახასიათებს და არც შეიძლება ახასიათებდეს თანამიმდევრობა. პოლიტიკური ბატონობისათვის როდესაც იბრძოდა, ბურჟუაზია მოითხოვდა საკუთარ დემოკრატიას, რომელიც ფეოდალთა კლასის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ამ მოძრაობაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიამ დემოკრატიის დროშის ქვეშ გაერთიანა ხალხთა ფართო მასები. ბურჟუაზია დემოკრატიის ლოზუნგით გამოდიოდა ფეოდალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდებშიც, მაგრამ ეს იყო და ეს. ბურჟუაზია თანამიმდევრულად ვერ ავითარებს დემოკრატიას თავისი კლასობრივი მდგომარეობის გამო. იგი შიშით ძრწის მშრომელი ხალხის წინაშე, რომელიც დემოკრატიის ოდნავ გაფართოებასაც კი ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებს. ამიტომ, ბურჟუაზია ყოველმხრივაა დაინტერესებული იმით, რომ შეუზღუდოს ხალხს დემოკრატიული უფლებების ნარჩენები, განამტკიცოს თავისი პოლიტიკური მმართველობა. ბურჟუაზია, ვიდრე ის გაბატონებულ კლასად რჩება, ყოველნაირად შეეცდება შეინარჩუნოს საკუთარი დემოკრატია და იგი ხალხის დამონების უფრო მძლავრ იარაღად აქციოს.

სოციალისტური საზოგადოება თანამიმდევრულად ატარებს სოციალისტური დემოკრატიის განვითარების კურსს. მუშათა კლასი მშრომელ გლეხობასთან ერთად კავშირში იმიტომ კი არ ქმნის საკუთარ პოლიტიკურ მმართველობას, რომ სამუდამოდ შეინარჩუნოს იგი. სოციალისტური დემოკრატია მშრომელთა ხელში აუცილებელი, ამასთან უმნიშვნელოვანესი იარაღია ახალი საზოგადოების ასაშენებლად. იგი იმთავითვე გამორიცხავს დემოკრატიას დამხობილი ექსპლოატატორული კლასებისათვის, მათი გადმონაშთებისათვის, ანტიხალხური ელემენტებისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, მოწოდებულია თანამიმდევრულად განამტკიცოს და განავითაროს მშრომელი ხალხის ხელისუფლება, უფრო და უფრო ფართო შესაძლებლობა მისცეს მშრომელებს მმართველობაში მონაწილეობის მისაღებად, უფრო მეტად განუვითაროს მათ საზოგადოებრივი საქმეების გაძღოლის უნარი. მშრომელი მასები სა-

სიცოცხლოდ არიან დაინტერესებული სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი, თანამიმდევრული განვითარებით, ყველა პირობას ქმნიან იმისათვის, რომ საჭირო აღარ იყოს თვით სახელმწიფოებრივი მმართველობა.

„მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაში, როდესაც კაპიტალისტების წინააღმდეგობა უკვე საბოლოოდ გატეხილია, როდესაც კაპიტალისტები ქრებიან, როდესაც კლასები აღარ არსებობენ (ე. ი. არ არის განსხვავება საზოგადოების წევრთა შორის წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათადმი დამოკიდებულების მხრივ), — მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ „გაქრება სახელმწიფო და შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ი ქ ნ ე ბ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ი“. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი და კიდევაც განხორციელდება ნამდვილად სრული დემოკრატია, ნამდვილად ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. და მხოლოდ მაშინ დაიწყებს დემოკრატია კ ვ დ ო მ ა ს იმ უბრალო გარემოების გამო, რომ, ადამიანები, კაპიტალისტური მონობისაგან, კაპიტალისტური ექსპლოატაციის უამრავ საშინელებათა, სიველურეთა, უმსგავსობათა და საზიზღრობათაგან განთავისუფლებულნი, თანდათან შეეჩვევიან საერთო თანაცხოვრების ელემენტარული, საუკუნეობით ცნობილი, ათასეული წლების მანძილზე ყოველნაირად გადაღეჭილი წესების დაცვას, მათ დაცვას ისე, რომ საჭირო არ იყოს ძალდატანება, იძულება, დამორჩილება, საჭირო არ იყოს იძულების ის განსაკუთრებული აპარატი, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება“ [1].

ამრიგად, სოციალისტური დემოკრატიის თანამიმდევრული განვითარება სრულიად არ არის მიმართული იქითკენ, რომ მშრომელმა ხალხმა სამუდამოდ დაამკვიდროს თავისი პოლიტიკური ხელისუფლება; ვ. ი. ლენინი წერდა: „მივისწრაფვით რა სოციალიზმისაკენ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი გადაიზრდება კომუნიზმში და ამასთან დაკავშირებით თანდათან გაქრება ყოველგვარი საჭიროება ადამიანებზე ძალდატანებისა საერთოდ, საჭიროება იმისა, რომ ერთი კაცი დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ო ს მეორეს, მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორე ნაწილს. ვინაიდან ადამიანები შ ე ე ჩ ვ ე ვ ი ა ნ საზოგადოებრიობის ელემენტარული პირობების ძ ა ლ დ ა უ ტ ა ნ ე ბ ლ ა დ და დ ა უ მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ლ ა დ დაცვას“ [2]. ამ მომენტიდან აღარ იარსებებს სოციალისტური დემოკრატიის, როგორც მშრომელთა ხელისუფლების აუცილებლობა. სოციალისტური დემოკრატია თანამიმდევრული სრულყოფის გზით თავის თავს უარყოფს.

ასეთია ზოგიერთი ძირითადი ნიშანი, რომლითაც ვ. ი. ლენინი ნამდ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 574—575.

[2] იქვე, გვ. 567.

ვილ, სოციალისტურ დემოკრატიას ყალბი და მოჩვენებითი ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განასხვავებს.

კომუნისტური საზოგადოების პირველი და უმაღლესი ფაზა და სახელმწიფო. ვ. ი. ლენინის წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია“ დახასიათებულია კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზა — სოციალიზმი, — დაბალი ფაზა და საკუთრივ კომუნიზმი, — უმაღლესი ფაზა. ეს ფაზები ერთიანი კომუნისტური საზოგადოების ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული საფეხურებია, რომელთაც საერთო ეკონომიკური საფუძველი გააჩნიათ: ესაა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. სოციალიზმი, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, წარმოების საშუალებებს „საერთო საკუთრებად აქცევს“ და „რამდენადაც წარმოების საშუალებანი ს ა ე რ თ ო საკუთრება ხდება, იმდენად სიტყვა „კომუნიზმი“ აქაც შეიძლება ვიხმაროთ, თუ არ დავივიწყებთ, რომ ეს სრული კომუნიზმი არ არის“ [1]. ამ საერთო ეკონომიკური საფუძვლის არსებობა გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და ანტაგონისტურ დაჯგუფებათა შექმნას საზოგადოებაში როგორც სოციალიზმის, ისე კომუნიზმის დროს.

ერთიან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ საფუძველზე დამყარებული სახალხო მეურნეობა ემორჩილება გეგმაზომიერ განვითარებას. წარმოების გეგმიური ორგანიზაცია — აგრეთვე შეადგენს სოციალიზმისა და კომუნიზმის დამახასიათებელ საერთო არსებით ნიშანს. სოციალიზმს და კომუნიზმს ისიც აქვს საერთო, რომ პირველიც და მეორეც წარმოების წინაშე აყენებს ერთსა და იმავე ამოცანას — სისტემატურად უზრუნველყოს ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის ბაზაზე.

როგორც კომუნიზმის, ისე სოციალიზმის დროს მშრომელი მასებია თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი, ისინი, კაცობრიობის ისტორიაში პირველად განაგებენ თავიანთ ცხოვრებას შეგნებულად, საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესაბამისად.

ამ საერთო ნიშნების მიუხედავად, კომუნისტური საზოგადოების ორ ფაზას შორის ძირეული განსხვავება არსებობს, რაც თითოეულ მათგანს თვისებრივ თავისთავადობას უქმნის.

ვ. ი. ლენინი იმოწმებს კ. მარქსის დებულებებს „გოთას პროგრამის კრიტიკიდან“, სადაც მეცნიერულადაა დადგენილი განსხვავება კომუნისტური საზოგადოების ორ ფაზას შორის.

ეს ფაზები, უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეკონომიკური მომწიფების, საწარმოო ძალთა განვითარების დონით.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არსებობს საზოგადოებრივი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 586.

საკუთრება წარმოების საშუალებებზე, მოსპობილია კლასობრივი ანტაგონიზმი და ექსპლოატაცია, დამკვიდრდა განაწილების ახალი ფორმა— პროდუქტების განაწილება თვით მშრომელთა, მატერიალური დოვლათის შემქმნელთა ინტერესებისათვის, რაც ხორციელდება შრომის მიხედვით განაწილების პრინციპით. სოციალიზმის დროს საზოგადოების წევრები მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს ითვისებენ მათ მიერ საზოგადოებრივ წარმოებაში შეტანილი შრომითი წვლილის შესაბამისად. სოციალისტური წარმოებისა და განაწილების პრინციპი: თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით; ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს.

სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ არ არის მომზადებული მატერიალურ-ტექნიკური და ეკონომიკური პირობები იმისათვის, რომ საზოგადოება გადავიდეს განაწილების პრინციპზე: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით". ამიტომ, აუცილებელია სახელმწიფოს არსებობაც, რომელიც დაიცავს შრომის თანასწორობას, პროდუქტთა განაწილების თანასწორობას, განახორციელებს აღრიცხვას, კონტროლსა და სხვა ფუნქციებს.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ სოციალიზმის დროს მთლიანად არ არის დაძლეული „ბურჟუაზიული უფლება".

„ამრიგად, კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში (რომელსაც, ჩვეულებრივ, სოციალიზმს უწოდებენ) „ბურჟუაზიული უფლება" უქმდება ა რ ა სავსებით, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უკვე მიღწეულია ეკონომიური გადატრიალება, ე. ი. მხოლოდ წარმოების საშუალებათა მიმართ. „ბურჟუაზიული უფლება" ამ საშუალებებს ცალკეულ პირთა კერძო საკუთრებად აღიარებს. სოციალიზმი კი მათ ს ა ე რ თ ო საკუთრებად აქცევს. ამ დ ე ნ ა დ — და მხოლოდ ამდენად — ისპობა „ბურჟუაზიული უფლება". მაგრამ იგი მაინც რჩება თავის მეორე ნაწილში, რჩება საზოგადოების წევრთა შორის პროდუქტების განაწილებისა და შრომის განაწილების რეგულატორად (განმსაზღვრელად). „ვინც არ მუშაობს, ის არცა სჭამს", — ეს სოციალისტური პრინციპი უ კ ვ ე განხორციელებულია; „შრომის თანასწორი რაოდენობისათვის — პროდუქტების თანასწორი რაოდენობა" — ეს სოციალისტური პრინციპიც უ კ ვ ე განხორციელებულია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის კომუნიზმი, და ეს ჯერ კიდევ არა სპობს „ბურჟუაზიულ უფლებას", რომელიც არათანასწორ ადამიანებს შრომის არათანასწორ (ფაქტიურად არათანასწორ) რაოდენობაში აძლევს პროდუქტის თანასწორ რაოდენობას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 586.

ეს — „ნაკლია“, ამბობს მარქსი, მაგრამ მისი თავიდან აცილება არ შეიძლება კომუნიზმის პირველ ფაზაში“ [1].

კომუნიზმის დროს, როდესაც საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შედეგად ცხოვრებაში დამკვიდრდება განაწილების პრინციპი „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, — თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“, აღარ იქნება საჭირო აღრიცხვისა და კონტროლის სახელმწიფოებრივი რეგულირება, შრომისა და ანაზღაურების თანასწორობის დადგენა სახელმწიფოებრივი გზით, ზედმეტი გახდება ადამიანების პოლიტიკური მართვა. სახელმწიფო თანდათანობით ამოწურავს თავის ფუნქციებს და მოკვდება. მის ადგილს საზოგადოებრივი თვითმმართველობა დაიჭერს.

 პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა. სოციალისტური მმართველობის პრინციპებისა და არსებითი ნიშნების დადგენასთან ერთად ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა მმართველობის ამ თვისებრივად ახალი ტიპის შემდგომი სრულყოფის მიმართულებანი: კომუნიზმის გამარჯვების შემდეგ მმართველობას აღარ ექნება პოლიტიკური ხასიათი. მაშასადამე, მართვისათვის საჭირო ინფორმაციების შეკრების, მათი დამუშავების, აღრიცხვისა და კონტროლის, გადაწყვეტილების მიღების და სხვა საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება დაეკისრება არაპოლიტიკური მნიშვნელობის ორგანოებს. მართვის ახალი ორგანოები მოახდენენ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საქმიანობის რეგულირებას. მაგრამ როგორი სახეც არ უნდა მიიღოს მმართველობამ მომავალში, ერთი რამ უეჭველია, რომ იგი აღარ იქნება საშუალება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ინტერესთა დასაცავად ადამიანთა სხვა ჯგუფებისაგან, ვინაიდან ასეთი სოციალური ჯგუფები აღარ იარსებებენ მსოფლიო მასშტაბით. მმართველობა დაკარგავს პოლიტიკურ ხასიათს, რაც მას ჰქონდა კლასობრივი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე.

კომუნისტურ საზოგადოებაში აღარ იარსებებს ეკონომიკური საფუძველი პოლიტიკური მმართველობისათვის.

სოციალისტური სახელმწიფო ასრულებს მრავალ დიდმნიშვნელოვან ფუნქციას. იგი უფრო მზარდ როლს შეასრულებს სამეურნეო-ორგანიზაციული, ეკონომიკური მუშაობის იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც აყენებს კომუნიზმისაკენ წინსვლის დიადი ეპოქა. წარმოების ზრდის უმაგალითო ტემპები, ტექნიკის სხვადასხვა დარგში მომხდარი გადატრიალებანი ჩვენი მგეგმავი სახელმწიფო ორგანოებისაგან მოითხოვენ ზუსტი და ამასთანავე უფრო ფართო სამუშაოების შესრულე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 581—582.

ბას. კიდევ უფრო განვითარდება სახელმწიფოებრივი აღრიცხვისა და კონტროლის საშუალებანი.

საწარმოო ძალთა ყოველმხრივი განვითარება, რაც უზრუნველყოფს გადასვლას განაწილების კომუნისტურ პრინციპზე, ზედმეტს გახდის შრომის ზომისა და მოხმარების ზომის უსასტიკეს კონტროლს სახელმწიფოს მხრივ (ვ. ი. ლენინი).

თუ სოციალიზმის დროს სწორედ სახელმწიფო იცავს შრომის თანასწორობას და გასამრჯელოს თანასწორობას, სახელმწიფო უქმნის საზოგადოების წევრებს იმის პირობებს, რომ „სწორად დაიცვან მუშაობის ზომა და თანაბრად მიიღონ გასამრჯელო“, სახელმწიფოს ეს მომწესრიგებელი როლი დაკარგავს მნიშვნელობას კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში.

კომუნისტურ საზოგადოებაში აღარ იარსებებს სოციალური საფუძველი პოლიტიკური მმართველობისათვის. კომუნისტური წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრება, ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრების განუყოფელი ბატონობა განსაზღვრავს სრული სოციალური თანასწორობის არსებობას, მაშასადამე, გაქრება კლასობრივი განსხვავება ადამიანთა შორის. საზოგადოებაში აღარ იქნება იმის აუცილებლობა, რომ სოციალურმა ჯგუფმა, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების მაღალ ფორმასთან, სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა გაუწიოს საკუთრების დაბალ ფორმასთან დაკავშირებულ სოციალურ ჯგუფს, რამდენადაც აღარ იარსებებს არც წარმოების საშუალებათა საკუთრების განსხვავებული ფორმები, არც მათი შესაბამისი სოციალური ჯგუფები.

პოლიტიკური მმართველობა აღარ იქნება საჭირო იმის გამოც, რომ სახელმწიფოს ეკონომიური, კულტურულ-აღმზრდელობითი და სხვა ღონისძიებების საფუძველზე გაქრება არსებითი განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. ვ. ი. ლენინი წერდა:

„სახელმწიფოს სრული კვდომის ეკონომიურ საფუძველს კომუნიზმის ისეთი მაღალი განვითარება წარმოადგენს, როდესაც გაქრება გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირება, გაქრება, მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოებრივი უთანასწორობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო“ [1].

პოლიტიკური მმართველობა აღარ იქნება საჭირო ქალაქსა და სოფელს შორის კავშირურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცებისათვის, ვინაიდან აღარ იარსებებს არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის.

სახელმწიფო მმართველობა ზედმეტი იქნება მშრომელთა იდეურ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25. გვ. 583.

კულტურული დონის შეთანასწორებისათვის, იდეოლოგიური პროცესების რეგულირებისათვის. საზოგადოების ყველა წევრი ყოველმხრივად განვითარდება.

ამრიგად, ქვეყნის შიგნით აღარ იარსებებს ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები, რომლებიც ადრე, კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში გადასვლამდე, გარდუვალს ხდიდნენ სახელმწიფოებრივი მმართველობის აქტიურ მომწესრიგებელ საქმიანობას ახალი საზოგადოების მშენებლობის ყოველ უბანზე.

ამასთან, მოისპობა ის საგარეო პირობებიც, რომლებიც მოითხოვდნენ სახელმწიფო მმართველობის არსებობასა და განმტკიცებას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით. როდესაც კომუნიზმი მსოფლიო მასშტაბით გაიმარჯვებს, როცა მსოფლიო მასშტაბით აღარ იქნება არა მარტო ექსპლოატატორთა კლასი, არამედ საერთოდ ყოველგვარი კლასი, ბუნებრივია, რომ ზედმეტი გახდება თვით საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა და მსოფლიოს ხალხთა თავისუფალი ურთიერთობა დაკარგავს პოლიტიკურ ხასიათს.

ამრიგად, ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების პირობები საფუძველს გამოაცლიან პოლიტიკურ მმართველობას კომუნიზმის დროს.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში აღარ იქნება არავითარი მმართველობა? დასჭირდება თუ არა გაძღოლა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, დასჭირდება თუ არა რეგულირება წარმოებისა და მოხმარების, საზოგადოების წევრთა კულტურულ-აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებას? მარქსიზმი დადებითად პასუხობს ამ კითხვაზე; კომუნისტური საზოგადოება არ არის უწესრიგო, ანარქიული საზოგადოება. აქ, მართალია, არ იქმნება მმართველობის სპეციალური პოლიტიკური აპარატი, მაგრამ რჩება მმართველობა, რომელსაც თვით საზოგადოება განახორციელებს. ამ მომენტიდან „...ყველანი ისწავლიან მართვა-გამგეობას და მართლაც დამოუკიდებლად გაუძღვებიან საზოგადოებრივ წარმოებას“ [1].

როგორც ყველაზე სრულყოფილ საზოგადოებაში, რომელიც ემყარება სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ, პროპორციულ განვითარებას და საზოგადოებრივი განვითარების კანონების შეგნებულ გამოყენებას, კომუნიზმის დროს აუცილებელი იქნება დაგეგმვა და წარმოებული პროდუქციის აღრიცხვა. ბუნებრივია, რომ კომუნისტურ საზოგადოებას დასჭირდება ყველაზე კომპეტენტური ორგანოები მეცნიერული დაგეგმვისათვის, სახალხო მეურნეობაში აღრიცხვის პრინციპის გატარებისათვის. მაშასადამე, შეიქმნება დაგეგმვის ორგანოები, სტატისტიკური ორგანოები.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 591.

სამეურნეო მმართველობა გარდუვალად დარჩება საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირების არსებით მხარედ კომუნისტურ საზოგადოებაში ისევე, როგორც აუცილებლობით იყო ნაკარნახევი წარმოების პირობებით ადრინდელ ფორმაციებში. კომუნისტური საზოგადოების სოციალური ორგანიზაცია კიდევ უფრო აამაღლებს სამეურნეო მმართველობის მნიშვნელობას, ვინაიდან იგი ემყარება უაღრესად განვითარებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ურთულესი მანქანების, მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებას.

კომუნისტური საზოგადოების მაღალგანვითარებული წარმოება საჭიროებს ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგს შიგნით და დარგებს შორის. მაშასადამე, უნდა იარსებოს სამეურნეო ხელმძღვანელობის სხვადასხვა ინსტანციებმა.

კომუნისტური საზოგადოება იწვევს კულტურის უმაღლეს გაფურჩქვნას, სრული ძალით გამოვლინდება მილიონობით და მილიონობით ადამიანების შემოქმედებითი უნარი და ნიჭი, მრავალმხრივ განვითარდება მათი გემოვნება, საზოგადოებრივი გარემო მუდმივად წარმოშობს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების აღზრდის აუცილებლობას. მაშასადამე, საჭიროა სპეციალური ორგანოები, რომლებიც უხელმძღვანელებენ საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესებს.

რასაკვირველია, კომუნიზმის დროსაც განხორციელდება ხელმძღვანელობა ადამიანებისადმი, მაგრამ მას არ ექნება პოლიტიკური მართვის ხასიათი. ჯერ ერთი, თვით მმართველები აღარ იქნებიან პროფესიული მმართველები, მაშასადამე, ისინი არ იქნებიან გამოყოფილი საზოგადოებისაგან როგორც მხოლოდ მმართველობით დასაქმებულნი. მეორეც, მმართველობისათვის აღარ იქნება საჭირო პოლიტიკური ზემოქმედების ფორმები და მეთოდები.

კომუნისტურ საზოგადოებაში აღარ იქნება პოლიტიკური მმართველობა ამ სიტყვის ადრინდელი გაგებით, როდესაც არსებობდნენ საზოგადოებიდან გამოყოფილი და მასზე მაღლა მდგომი მმართველები, ერთი მხრივ, და მმართველობაში მყოფი ადამიანები, მეორე მხრივ. მმართველებისა და მმართველობაში მყოფთა ეს დაპირისპირება ისპობა უკვე სოციალისტური რევოლუციის შემდეგ და მის საფუძველზე. მით უმეტეს უცხოა იგი კომუნისტური საზოგადოებისათვის. მაგრამ კომუნისტურ საზოგადოებაში აღარ იქნება მმართველობა იმ გაგებითაც, როგორიც იგი გვაქვს სოციალიზმის დროს. მას მშრომელებისათვის არ ექნება პოლიტიკური მმართველობის სახე. ამ სტადიაზე მშრომელებს არ დასჭირდებათ თავიანთი რიგებიდან განსაკუთრებული ადამიანების გამოყოფა, რომლებიც სახელმწიფოებრივი აპარატის მოხელეებად იქცევიან, თუნდაც მათი ინტერესების სამსახურში.

მშრომელი კაცობრიობა თვითონ მართავს თავის თავს ყოველგვარი პოლიტიკური აპარატის, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ჩარევის გარეშე. ამიტომ პოლიტიკური მმართველობის ადგილს დაიპერს თვითმმართველობა საზოგადოებრივი მასშტაბით, ე. ი. საზოგადოებრივი თვითმმართველობა.

საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობა გააერთიანებს იმ ორგანიზაციების საქმიანობას, რომელსაც ამჟამად ასრულებენ საბჭოები, პროფესიული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები, მაგრამ მმართველობას, რომელსაც ეს ორგანიზაციები ახორციელებენ ამჟამად, კომუნიზმის დროს არ ექნება პოლიტიკური ხასიათი და სულ სხვა ხერხების გამოყენებით წარიმართება. მართვის ახლანდელი სახელმწიფო ფუნქციების ადგილს დაიპერს მართვის ანალოგიური საზოგადოებრივი ფუნქციები. შემდგომ სრულყოფას მიაღწევს დაგეგმვა და აღრიცხვა, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარება, მაგრამ ამისათვის აღარ იქნება საჭირო პოლიტიკური მმართველობა. დაგეგმვისა და აღრიცხვის, მეურნეობისა და კულტურის განვითარების ხელმძღვანელობის ორგანოები დაკარგავენ პოლიტიკურ ხასიათს და საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებად გადაიქცევიან.

კომუნიზმს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — „ჩვენ ვუწოდებთ ისეთ წესწყობილებას, როცა ადამიანები ეჩვევიან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებას იძულების განსაკუთრებული აპარატის უქონლად, როცა უსასყიდლოდ მუშაობა ყველას სასარგებლოდ საყოველთაო მოვლენა ხდება“ [1].

„სახელმწიფო და რევოლუციის“ უკანასკნელ, მეექვსე თავში ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ოპორტუნისტებს სახელმწიფოს და რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხში. ამ მხრივ ოპორტუნისტების მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ვ. ი. ლენინს სწორედ ის მიაჩნია, რომ ისინი თავს არიდებენ სახელმწიფოსადმი რევოლუციის დამოკიდებულების საკითხს, რაც იწვევს მარქსიზმის სრულ გაუხამსებას.

ა) პლეხანოვის კრიტიკა. ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს პლეხანოვს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა თავის წიგნში „ანარქიზმი და სოციალიზმი“ სრულიად აუარა გვერდი სახელმწიფოსადმი რევოლუციის დამოკიდებულების და საერთოდ სახელმწიფოს საკითხს.

„მაგრამ „ანარქიზმსა და სოციალიზმზე“ ლაპარაკი ისე, რომ გვერდი აუარო მთელ საკითხს სახელმწიფოს შესახებ, ვერ შეამჩნიო მარქსიზმის მთელი განვითარება კომუნამდე და მის შემდეგ, ეს ნიშნავს გარდუვალად დაქანებას ოპორტუნიზმისაკენ, ვინაიდან ოპორტუ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 336.

ნიზმისათვის ყველაზე მეტად სწორედ ის არის საჭირო, რომ ჩვენ მიერ ახლა აღნიშნული ორი საკითხი სრულიადაც არ იყოს დასმული"[1].

ბ) კაუცკის კრიტიკა. ვ. ი. ლენინი კ. კაუცკის აკრიტიკებს, უწინარეს ყოვლისა, ოპორტუნისტებთან პოლემიკის გამო. ოპორტუნისტმა ე. ბერნშტეინმა კ. მარქსს მიაწერა მისი ნამდვილი აზრის სრულიად საწინააღმდეგო რამ სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხში. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზა სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი საკუთარი ინტერესებისათვის". ეს ნიშნავს იმას, რომ მუშათა კლასმა უნდა დაამსხვრიოს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა. ბერნშტეინმა კი ზემოთ მოყვანილი დებულება დაამახინჯა ოპორტუნისტულად. სახელდობრ, მუშათა კლასმა არ უნდა დაამსხვრიოს სახელმწიფო მანქანა, იგი არ უნდა იყოს მეტისმეტად რევოლუციური ძალაუფლების დაპყრობის დროს.

რაც შეეხება კაუცკის, რომელიც პოლემიკას ეწეოდა ბერნშტეინთან, იგი საერთოდ არ შეეხო ბერნშტეინის მიერ მარქსიზმის ამ უხამს დამახინჯებას, გვერდი აუარა მას. ისე გამოვიდა, რომ მარქსიზმის ყველაზე არსებითი განსხვავება ოპორტუნიზმისაგან პროლეტარული რევოლუციის ამოცანების საკითხში კაუცკიმ მიაფუჩეჩა. ისიც, ოპორტუნისტების მსგავსად, დასაშვებად თვლიდა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობას სახელმწიფო მანქანის დაუმსხვრევლად. მართალია, კაუცკი აღიარებს, რომ მუშები „აირჩევენ დელეგატებს, რომლებიც შექმნიან რაღაც პარლამენტის მსგავსს", მაგრამ, ვ. ი. ლენინის თქმით, „კაუცკის სრულიად ვერ გაუგია, თუ რით განსხვავდება ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, რომელიც აერთებს დემოკრატიას (არა ხალხისათვის) ბიუროკრატიზმთან (ხალხის წინააღმდეგ), პროლეტარული დემოკრატიზმისაგან, რომელიც მაშინვე მიიღებს ზომებს, რათა ძირშივე მოჰკვეთოს ბიუროკრატიზმი, და რომელიც შესძლებს ბოლომდე, ბიუროკრატიზმის სრულ მოსპობამდე, ხალხისათვის დემოკრატიის სრულ შემოღებამდე მიიყვანოს ეს ღონისძიებანი"[2].

ვ. ი. ლენინი კაუცკის აკრიტიკებს მემარცხენე-რადიკალური მიმდინარეობის ერთ-ერთ წარმომადგენელთან — პანეკუკთან პოლემიკის გამოც. პანეკუკს ჰქონდა გარკვეული შეცდომები თავის ნაწერებში, მაგრამ მისი სწორი აზრი პრინციპულ საკითხში — სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხში კაუცკიმ აგრეთვე სავსებით დაამახინჯა. პანეკუკი მოითხოვდა ბურჟუაზიული სახელმწიფო ორგანიზაციის დანგრევას. კაუცკიმ კი უარყო ამის აუცილებლობა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 594.

[2] იქვე, გვ. 601.

კაუცკიმ ვერ გაიგო განსხვავება მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის, რასაც ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად განსაზღვრავს:

„განსხვავება მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ (1) პირველნი, მიზნად ისახავენ რა სახელმწიფოს სრულ მოსპობას, თვლიან, რომ ეს მიზანი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის მიერ კლასების მოსპობის შემდეგ, როგორც შედეგი სოციალიზმის დამყარებისა, რომელიც იწვევს სახელმწიფოს კვდომას; მეორეებს სურთ სახელმწიფოს სრული მოსპობა დღეს-ხვალ და არ ესმით ასეთი მოსპობის განხორციელების შესაძლებლობის პირობები. (2) პირველნი აუცილებლად თვლიან, რომ პროლეტარიატმა, როცა იგი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაიპყრობს, სავსებით დაამსხვრიოს ძველი სახელმწიფო მანქანა და შესცვალოს იგი ახალი მანქანით, რომელიც შესდგება შეიარაღებული მუშების ორგანიზაციისაგან, კომუნის ტიპის მიხედვით; მეორეებს, როცა ისინი იცავენ სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას, სრულიად ბუნდოვნად აქვთ წარმოდგენილი, თუ რ ი თ შესცვლის მას პროლეტარიატი და რ ო გ ო რ გამოიყენებს ის რევოლუციურ ძალაუფლებას; ანარქისტები იმასაც კი უარყოფენ, რომ სახელმწიფო ძალაუფლება გამოყენებულ იქნას რევოლუციური პროლეტარიატის მიერ, უარყოფენ პროლეტარიატის რევოლუციურ დიქტატურას. (3) პირველნი მოითხოვენ პროლეტარიატის მომზადებას რევოლუციისათვის თანამედროვე სახელმწიფოს გამოყენების გზით; ანარქისტები ამას უარყოფენ“ [1].

კაუცკი არ ცნობდა ბურჟუაზიული პარლამენტის დანგრევის, ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევის აუცილებლობას, რაც რუსეთში განმსაზღვრელი პირობა იყო „კომუნის ტიპის დემოკრატიული რესპუბლიკის ან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკისათვის, პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურისათვის“ [2].

პროლეტარიატის დიქტატურის შექმნის, ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ აგრეთვე ლეგინი, დავიდი, კოლბი (გერმანია), სტაუნინგი და ბრანტინგი (სკანდინავია), ჟორესისტები და ვანდერველდე (საფრანგეთი, ბელგია), ტურატი, ტრეესი (იტალია) და სხვები. აქედან ვ. ი. ლენინს გამოაქვს დასკვნა, რომ „მეორე ინტერნაციონალი თავის ოფიციალურ წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლესობის სახით სავსებით დაეშვა ოპორტუნიზმამდე“ [3]. სა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 25, გვ. 604—605.

[2] იქვე, გვ. 612.

[3] იქვე, გვ. 613.

ხელმწიფოსადმი პროლეტარული რევოლუციის დამოკიდებულების საკითხში.

ასეთია მოკლედ ვ. ი. ლენინის წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ შინაარსი.

რა ძირითადი დასკვნები გამომდინარეობს ვ. ი. ლენინის შრომიდან „სახელმწიფო და რევოლუცია“?

უწინარეს ყოვლისა ის, რომ ექსპლოატატორული სახელმწიფო, მისი წარმოშობიდან დღემდე არის კლასობრივი ბატონობის ორგანო, გაბატონებული კლასის მიერ ჩაგრული კლასის დამონების იარაღი. ამ დასკვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში, როდესაც კაპიტალიზმის აპოლოგეტები ცდილობენ მშრომელი მასების მოტყუებას და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს „საყოველთაო კეთილდღეობის“, „ზეკლასობრივ“ სახელმწიფოდ სახავენ.

ერთი ექსპლოატატორული წყობილებიდან მეორე ექსპლოატატორულ წყობილებაზე გადასვლა ყოველთვის გულისხმობდა სახელმწიფო მანქანის გაუმჯობესებას და შეგუებას ახალი წყობილებისადმი. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა კი შეუძლებელია ბურჟუაზიული სახელმწიფოს დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ა ს გარეშე. ამ დასკვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც არ სცნობს ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამსხვრევის აუცილებლობას.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში იქმნება და ვითარდება ახალი ტიპის სახელმწიფო — პროლეტარიატის დიქტატურა, ახლებურად დემოკრატიული მშრომელთათვის, ახლებურად დიქტატორული ექსპლოატატორებისათვის და მათი გადმონაშთებისათვის (ვ. ი. ლენინი). ამ დასკვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე რევიზიონისტების წინააღმდეგ. აგრეთვე ანარქისტების წინააღმდეგ, რომლებსაც არ ესმით პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობა სოციალისტური საზოგადოების მნიშვნელობის საქმეში.

პროლეტარიატის დიქტატურა ვლინდება სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვადასხვა ფორმებში ქვეყნის კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ისტორიული და თანამედროვე პირობების შესაბამისად, რომ საფრანგეთში ეს ფორმა იყო პარიზის კომუნა, ხოლო რუსეთში — საბჭოები. ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს „მემარცხენე“ სექტანტების და „დოგმატიკოსების“ წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფენ რევოლუციური პროცესებისადმი შემოქმედებითი მიდგომის საჭიროებას.

ვ. ი. ლენინის ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ გამოტანილია დიდმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ კომუნისტური საზოგადოების ქვედა ფაზიდან — სოციალიზმიდან, ზედა ფაზაზე — კომუნიზმზე გადასვლა შეუძლებელია სოციალისტური სახელმწიფოს გარეშე. რომ სო-

ციალისტური სახელმწიფო კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე, ეკონომიკური საფუძვლების მომზადების შესაბამისად ამოწურავს თანდათანობით თავის ფუნქციებს და მოკვდება, რომ მის ადგილს დაიკერს საზოგადოებრივი თვითმმართველობა.

ასეთია ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუციის" ზოგიერთი ძირითადი დასკვნა, რომელსაც ემყარებოდა და ემყარება კომუნისტური პარტია ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

ვ. ი. ლენინი. „მემარცხენეობის" საფრთხილო ხენი კომუნიზმში"

ვ. ი. ლენინის ეს ნაწარმოები დაიწერა და ცალკე წიგნად გამოიცა 1920 წელს. ამ წიგნში შეჯამებულია რუსეთის სამი რევოლუციის, და საბჭოთა სახელმწიფოს პირველი წლების გამოცდილება, ბოლშევიზმის ისტორია და განვითარებულია პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული თეორია, ლენინიზმის სტრატეგია და ტაქტიკა. წიგნში გარკვეულია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობა, საერთაშორისო ოპორტუნიზმის, „მემარცხენე" კომუნისტების ანტიმარქსისტული ტაქტიკა მუშათა მოძრაობაში.

წიგნი ათი პარაგრაფისაგან შედგება და ბოლშევიზმის ისტორიის, ლენინიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის, „მემარცხენე" კომუნისტების კრიტიკის მრავალ საკითხს მოიცავს.

აქედან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხებით, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს ისტორიული მატერიალიზმის პრობლემატიკასთან.

სოციალისტური რევოლუციის ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები. თავისი წიგნის დასაწყისშივე ვ. ი. ლენინი მსჯელობს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის არა ვიწრო — ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობაზე.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. აქედან დაიწყო მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა. ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაკვლეული გზით მიდის ამჟამად დედამიწის ერთ მესამედზე მეტი მოსახლეობა; ოქტომბრის რევოლუცია აღაფრთოვანებს მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის, მშვიდობისათვის საბრძოლველად, იგი

სულ ახალ და ახალ ძალებს მატებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

მსოფლიო ისტორიული განვითარების მთელი პრაქტიკით დადასტურდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ინტერნაციონალური ხასიათი. ვ. ი. ლენინი, რომელმაც შეიმუშავა თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების თეორია, განსაკუთრებით აფასებდა ოქტომბრის რევოლუციის ამ მხარეს. იგი არაერთხელ მიუთითებდა, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილებაში უნდა შეენიშნოთ და განვასხვაოთ ის, რაც ზოგადია, იმისაგან, რაც სპეციფიკურია. ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ამ მხარეების სწორად შეფასება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წარმართვისა და გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილების ლენინური ანალიზი ემყარება ზოგადისა და ცალკეულის დამოკიდებულების დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას.

როგორც ვიცით, დიალექტიკური მატერიალიზმი მოითხოვს, რომ ყოველ საგანსა და მოვლენაში გამოვყოთ და ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ორი მხარე — ზოგადი და ცალკეული, და ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში განვიხილოთ.

სინამდვილის მოვლენების ჭეშმარიტი შემეცნება მტკიცედ უნდა ემყარებოდეს ზოგადისა და ერთეულის კავშირის დიალექტიკურ პრინციპს. ამ მეთოდოლოგიური პრინციპის უგულებელყოფას, ზოგადის მეტაფიზიკურ მოწყვეტას ცალკეულისაგან, და პირიქით, მოვლენათა ცალმხრივ, მაშასადამე, მცდარ გაგებამდე მივყავართ.

საზოგადოება სამყაროს სპეციფიკურ ნაწილს შეადგენს და ამიტომ ის, რაც საერთოდ ითქმის სინამდვილის მოვლენების შესახებ, ცხადია, საზოგადოებრივ მოვლენებზეც ვრცელდება.

დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებებს ზოგადისა და ცალკეულის ურთიერთკავშირის შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებში გასარკვევად. ამ დებულებების გათვალისწინება მეტად რთული და მრავალფეროვანი ისტორიული მოვლენების შესწავლის დროს საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საერთო და განსხვავებული მათ შორის, გავიგოთ სოციალური ცვალებადობა როგორც კანონზომიერი პროცესი, წარმატებით გამოვიყენოთ საზოგადოებრივი განვითარების კანონები მშრომელი მასების პრაქტიკულ-რევოლუციური მოქმედების სხვადასხვა პირობებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალური თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის დებულებებს ზოგადისა და სპეციფიკურის შესახებ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდი-

ლებაში. ამ გამოცდილების ლენინური ანალიზი წარმოადგენს ისტორიული მოვლენების ყოველმხრივი მარქსისტული შეფასებისა და შეფასების კლასიკურ ნიმუშს.

ვ. ი. ლენინი ეხებოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ გამოცდილებას და აღნიშნავდა, რომ ოქტომბრის რევოლუცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მარტო რუსულ მოვლენად. ოქტომბრის რევოლუციაში გამომჟღავნდა ბევრი ისეთი არსებითი ნიშან-თვისება, რომლებიც ტიპიური უნდა ყოფილიყო ყველა მომავალი პროლეტარული რევოლუციისათვის. ვ. ი. ლენინი მეცნიერული წინასწარხედვის საფუძველზე მიუთითებდა, რომ ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეროვნული განვითარების დონის განსხვავების მიუხედავად სხვა ქვეყნების სოციალისტურ რევოლუციებს „მსგავსება ექნებათ ჩვენს რევოლუციასთან". „ახლა ჩვენ უკვე თვალწინ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც სავსებით გარკვეულად მოწმობს, რომ ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად თვისებას არა ადგილობრივი, არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი, არა მარტო რუსული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს" [1]. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ოქტომბრის რევოლუციის ზოგიერთი მხარე და თვისება გამომდინარეობდა არა მარტო რუსეთის ხალხთა ცხოვრების, რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური პირობებიდან, არამედ კაპიტალისტური წყობილების მოსპობისა და სოციალისტური წყობილების გამარჯვების აუცილებლობიდან საერთოდ. ამიტომ რუსეთის რევოლუციის ზოგიერთი არსებითი ნიშან-თვისება უნდა განმეორებულიყო ყოველ ქვეყანაში, სადაც კი განხორციელდებოდა გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე. მაგრამ ის კანონზომიერებანი, რომლებიც საერთოა სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტური რევოლუციებისათვის, პირველად „რუსული ნიმუშის" ბაზაზე გამომჟღავნდა. აქედან სავსებით ნათელია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. ვ. ი. ლენინი წერდა: „თუ საერთაშორისო მნიშვნელობად ვიგულისხმებთ საერთაშორისო მასშტაბით იმის გამეორების საერთაშორისო მნიშვნელობას ან ისტორიულ გარდუვალობას, რაც ჩვენში მოხდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად თვისებას ასეთი მნიშვნელობა აქვს" [2]. რომ ამ რევოლუციის „...რუსული ნიმუში ყ ვ ე ლ ა ქვეყანას უჩვენებს ზოგიერთ, და ფრიად მნიშვნელოვან, რამეს მათი გარდუვალი და არცთუ შორეული მომავლიდან" [3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 5.

[2] იქვე

[3] იქვე, გვ. 6.

სწორედ ბოლშევიკური თეორიისა და ტაქტიკის ეს, საერთაშორისო მნიშვნელობა ვერ გაიგეს II ინტერნაციონალის ლიდერებმა, ისინი არ ცნობდნენ საერთაშორისო მასშტაბით იმ ძირითადისა და არსებითის გამეორებას, რასაც რუსეთის სოციალისტური რევოლუცია შეიცავდა. „გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ პროლეტარული რევოლუციის ზოგიერთ ფრიად არსებით საკითხში ყ ვ ე ლ ა ქვეყანას გარდუვალად მოელის ის, რაც განვლო რუსეთმა“ [1].

უწინარეს ყოვლისა ეს პროლეტარიატის მიერ ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას და საკუთარი დიქტატურის შექმნას ეხება.

ა) პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს დ ა მ ყ ა რ ე ბ ა — ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ი. სოციალისტური რევოლუცია ამსხვრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და ამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას. ბურჟუაზიაზე გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა პროლეტარიატის უცილობელი ცენტრალიზაცია და უმკაცრესი დისციპლინა. „დამხობილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დასათრგუნავად პროლეტარიატმა უნდა აწარმოოს ხანგრძლივი, შეუპოვარი, თავგანწირული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, — ბრძოლა, რომელიც მოითხოვს გამძლეობას, დისციპლინას, სიმტკიცეს, შეუდრეკლობას და ნებისყოფის ერთიანობას“ [2].

პროლეტარიატის დიქტატურა, მისი მკაცრი ცენტრალიზაცია და დისციპლინა საჭიროა იმისათვის, რომ დამხობის შემდეგ ბურჟუაზიის წინააღმდეგობა პროლეტარიატის მიმართ კი არ ნელდება, არამედ მწვავდება. ბურჟუაზია კვლავ ძლიერია, მისი დამხობის მიუხედავად, ვინაიდან: ა) ძალაუფლების წართმევა აათკეცებს მის წინააღმდეგობას პროლეტარიატისადმი, ბ) მას დახმარებას უწევს საერთაშორისო კაპიტალი, გ) ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული წვრილი წარმოება, რომელიც „წ ა რ მ ო შ ო ბ ს კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღიურად, ყოველსაათობით, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით. ყველა ამ მიზეზით პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელია“ [3].

აქვე მოცემულია პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს ც ნ ე ბ ა: „პროლეტარიატის დიქტატურა არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლისმღვრელი და უსისხლო, ძალადატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ“ [4].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 31, გვ. 17.
[2] იქვე, გვ. 9.
[3] იქვე, გვ. 8—9.
[4] იქვე, გვ. 35.

ბ) პარტიის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა — სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობა. ჩვენი ქვეყნის ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზა ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ პროლეტარული რევოლუციის მომზადება და გამარჯვება, სოციალიზმის მშენებლობა, თანდათანობით გადასვლა სოციალიზმიდან კომუნიზმზე შეუძლებელია მუშათა კლასის მოწინავე რაზმის — მარქსისტულ-ლენინური პარტიის გარეშე.

მუშათა კლასისათვის აუცილებელია პარტია, რომელიც შეიარაღებულია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განვითარების კანონების ცოდნით და სწორად ხელმძღვანელობს მის ბრძოლას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. მარქსისტულ-ლენინური პარტიის ძალა სწორედ ისაა, რომ იგი ამაღლებულია ისტორიის მიერ დასმული ამოცანების გაგებამდე და სათავეში უდგას და წარმართავს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების ბრძოლას სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მუშათა კლასისათვის აუცილებელია პარტია, რომელიც შეურიგებელია შემთანხმებლებისა და კაპიტულანტების მიმართ, რომელიც განუხრელად ატარებს კლასობრივ, პროლეტარულ პოლიტიკას, მარქსისტულ-ლენინური პარტიის ძალა სწორედ ის არის, რომ იგი მონოლითური, რევოლუციური ორგანიზაციაა, ერთიანი პროგრამული, ორგანიზაციული, ტაქტიკური შეხედულებებით, უმჭიდროესად შეკავშირებული მშრომელ ხალხთან, რომლის კეთილდღეობისათვის ზრუნვა მისი უმაღლესი პრინციპია.

~~მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების და სოციალიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერებაა.~~

გ) ბრძოლა ყოველი ჯურის ოპორტუნიზმისა და კაპიტულანტების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებში „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ დიდი ადგილი ეთმობა ბოლშევიკური ტაქტიკის და მისი საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხის გარკვევას. იგი ეხება მემარცხენეების ლოზუნგებს „არავითარი კომპრომისი“, „არ მივიღოთ მონაწილეობა რეაქციულ პროფკავშირებში“. „არ მივიღოთ მონაწილეობა ბურჟუაზიულ პარლამენტში“, აკრიტიკებს გერმანელ, ინგლისელ და სხვა მემარცხენეებს და მიდის დასკვნამდე, რომ თუ მემარჯვენეები ჯიუტად იცავენ ბრძოლის ძველ ფორმებს, მემარცხენეები, მათგან განსხვავებით, უარყოფენ ბრძოლის ძველ ფორმებს, არ მოითხოვენ ძველი და ახალი ფორმების კომბინირებულ გამოყენებას.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიო მუშათა მოძრაობისათვის ნათელი გახადა, რომ კლასობრივ მტრებზე გადამწყვეტი გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია ოპორტუნიზმთან, რევიზიონიზმთან, ყოველი ჯურის სოციალ-დემოკრატიზმთან შეურიგებელი ბრძოლის გარეშე უწინარეს ყოვლისა საკუთარი ქვეყნის შიგნით. ვ. ი. ლენინი ეხებოდა ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილებას და წერდა: „მუშათა მოძრაობის ისტორია ახლა გვიჩვენებს, რომ ამ მოძრაობას ყველა ქვეყანაში მოელის... ბრძოლა უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად თ ა ვ ი ს (თვითეული ქვეყნისათვის) „მენშევიზმთან", ე. ი. ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან; მეორე — და, ასე ვთქვათ, დამატების სახით, — „მემარცხენე კომუნიზმთან" [1]. ცხადია, ეს ბრძოლა, როგორც დაადასტურა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის შემდგომმა განვითარებამ, სპეციფიკურად გამოვლინდა ყოველ ცალკეულ ქვეყანაში, მაგრამ ამით სრულიად არ უქმდება თვით ამ ბრძოლის საყოველთაო მნიშვნელობა, მისი განმეორების აუცილებლობა სოციალისტური რევოლუციისათვის და სოციალიზმისათვის მებრძოლ ქვეყნებში.

ასეთია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზოგიერთი ნიშანი, რომელსაც ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სოციალისტური რევოლუციებისათვის ყველა სხვა ქვეყანაში.

დ) ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ნ ი შ ნ ე ბ ი. მაგრამ ყველა ამ ზოგად, საერთო ნიშანთან ერთად, როგორც აღინიშნა, პროლეტარული რევოლუციის გამოცდილება მოიცავს ისეთ მხარეებსა და თავისებურებებსაც, რომლებიც მხოლოდ გარკვეული ქვეყნის მუშათა მოძრაობისათვის არის დამახასიათებელი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის, ყველგან არსებითად ერთნაირ მოსამზადებელ სკოლას რომ გადის, თვითეული ქვეყნის მუშათა მოძრაობა ამ განვითარებას თ ა ვ ი ს ებ უ რ ა დ ახორციელებს" [2]. მუშათა რევოლუციური ბრძოლის კონკრეტული თავისებურებანი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, განსაზღვრულია ყოველი ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, ეროვნული შემადგენლობის, მისი კოლონიების, რელიგიური დაყოფის, აგრეთვე ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავების სხვა მრავალი ნიშნით.

შემდგომში, ვ. ი. ლენინი ადარებდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების რუსულ და უნგრულ გამოცდილებას და აღნიშნავდა, რომ 1919 წელს უნგრეთში პროლეტარიატის დიქტატურაზე გადასვლა სხვა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 31, გვ. 96.

[2] იქვე, გვ. 96.

ფორმით მოხდა, ვიდრე რუსეთში, რომ ამ გადასვლის თავისებურებანი განსაზღვრა სხვადასხვა ფაქტორმა — მთელ მოსახლეობაში სამრეწველო მუშების განუზომლად დიდმა წილმა, მოსახლეობის საერთო კულტურის მაღალმა დონემ, ბურჟუაზიული მთავრობის ნებაყოფლობით გადადგომამ, მუშათა კლასის ერთიანობის უცბად აღდგენამ კომუნისტური პროგრამის საფუძველზე [1].

ბურჟუაზიისათვის საარჩევნო უფლების წართმევას ვ. ი. ლენინი განიხილავდა როგორც „წმინდა რუსულ საკითხს", განსაკუთრებულს, რაც აიხსნება რუსეთის პირობებით და არ შედის პროლეტარიატის დიქტატურის ცნებაში. მოვლენათა მსვლელობამ საესებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის დებულების ჭეშმარიტება. ევროპისა და აზიის ქვეყნებში, სადაც საბჭოთა კავშირის აქტიური დახმარებით სახალხო დემოკრატიული რევოლუციებსა და სოციალისტურ რევოლუციებში მათი გადაზრდის მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ეროვნული ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილი უზრუნველყოფილ იქნა პოლიტიკური უფლებებით.

ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის თავის დაღს ასვამს არა მარტო სოციალისტურ რევოლუციებს, არამედ ამ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობასაც. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შედეგად ყველა ქვეყნის კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არამედ კომუნიზმის ძირითადი პრინციპების ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპებს კერძო შემთხვევებში, სწორად შეუხამებდა მათ ეროვნულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებს.

სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის საერთო და სპეციფიკურ თავისებურებათა ორგანული თანაფარდობის უგულებელყოფა გარდუვალად იწვევს ღალატს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებისადმი და მეტად მტკივნეულ პრაქტიკულ შედეგებს ამა თუ იმ პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში.

2. ხალხის მასებს, კლასების, პარტიების და ბელადების ურთიერთობა. გერმანელი „მემარცხენე" კომუნისტები არასწორად წყვეტდნენ ამ პრობლემას, თვით საკითხის დაყენებაშიც შეცდომას უშვებდნენ. ისინი საკითხს ასე აყენებდნენ: „პარტიის დიქტატურა თუ კლასის დიქტატურა? ბელადების დიქტატურა თუ მასების დიქტატურა?" ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მასების, კლასების, პარტიისა და ბელადების ასეთი დაპირისპირება სასაცილო და უაზრობაა. ამის საწინააღმდეგოდ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 29, გვ. 452—453.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „ყველამ იცის, რომ მასები იყოფიან კლასებად... რომ კლასებს ჩვეულებრივად და მეტნაწილად ხელმძღვანელობენ, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში, პოლიტიკური პარტიები; — რომ პოლიტიკურ პარტიებს, ჩვეულებრივ, მართავენ მეტად თუ ნაკლებად მტკიცე ჯგუფები ყველაზე ავტორიტეტული, გავლენიანი, გამოცდილი, ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე არჩეული პირებისა, რომლებსაც ბელადები ეწოდებათ“ [1].

როდესაც პროლეტარიატის ბელადები პროლეტარული პარტიის ნებისყოფას ახორციელებენ, ამით ისინი პროლეტარიატის კლასის, და, მაშასადამე, მთელი მშრომელი მასების ინტერესებსაც გამოხატავენ. ის, ვინც უარყოფს მჭიდრო კავშირს მასებსა, კლასებსა, პარტიასა და ბელადებს შორის, არსებითად უარყოფს პარტიულობას და პარტიულ დისციპლინას.

საკითხის ასე დაყენებით — ბელადები — პარტია — კლასი — მასა — და მისი გადაწყვეტით ვ. ი. ლენინმა დააკონკრეტა და წინ წასწია მარქსისტული მოძღვრება ხალხისა და პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში.

ისტორიული მატერიალიზმის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვით ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვეცნობით ვ. ი. ლენინის წიგნში, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, განვითარებულ დებულებებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკისათვის.

ვ. ი. ლენინი. „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“

ვ. ი. ლენინის ამ ნაწარმოების განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ აქ პირველადაა წამოყენებული და დასაბუთებული რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების იდეა.

„ევროპის შეერთებული შტატების“ დაწერის ისტორიული პირობები. ლენინის ეს ნაწარმოები დაიწერა 1915 წ. ამავე წლის 23 აგვისტოს იგი დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ- დემოკრატში“.

ვ. ი. ლენინი ამ სტატიაში ეთანხმება რსდმპ საზღვარგარეთული კონფერენციის დადგენილებას, რომ „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგი სწორი არ არის“. იგი სწორი არ არის იმის გამო, რომ მას შეეძლო, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „წარმოეშვა არასწორი განმა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 31.

რტება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და დანარჩენ ქვეყნებთან ასეთი ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ"[1]. ის, ვინც ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების ლოზუნგს აყენებს, ლოგიკურად უნდა მივიდეს ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფამდე. იმპერიალიზმის დროს კი ასეთი შესაძლებლობა საზოგადოებრივი განვითარების აუცილებლობითაა შეპირობებული.

თავის ნაწარმოებში ვ. ი. ლენინი ასაბუთებს ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის უმართებულობას ეკონომიკური თვალსაზრისით და რამდენიმე, ან ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობას.

მართალია, ვ. ი. ლენინი აქ არ იმოწმებს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებას ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ლენინის ამ ნაწარმოებში განვითარებული იდეის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით საჭიროა მოკლედ მაინც შევებოთ საკითხის დაყენებას კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ.

ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ა კ. მ ა რ ქ ს ი ს ა დ ა ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს მ ი ე რ. მარქსი და ენგელსი, რომლებმაც კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში პირველად დაასაბუთეს კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციით შეცვლის აუცილებლობა სოციალისტური რევოლუციის გზით, არ სცნობდნენ შესაძლებლად სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას ერთ რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ფ. ენგელსი კითხვაზე, შეიძლება თუ არა სოციალისტური რევოლუციის მოხდენა ერთ რომელიმე ქვეყანაში, უარყოფითად უპასუხებდა. ფ. ენგელსის აზრით, ეს რევოლუცია „მოხდება ერთსა და იმავე დროს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ე. ი. ყოველ შემთხვევაში, ინგლისს, ამერიკასა, საფრანგეთსა და გერმანიაში"[2]. ერთ-ერთ წერილში ფ. ენგელსისადმი კ. მარქსი აგრეთვე უარყოფითად უპასუხებდა ამავე კითხვას. იგი წერდა: „ჩვენთვის ძნელ საკითხს წარმოადგენს შემდეგი: კონტინენტზე რევოლუცია აუცილებელია და იგი მაშინვე სოციალისტურ ხასიათს მიიღებს. არ იქნება განა იგი ამ პაწია კუთხეში აუცილებლად გასრესილი იმის გამო, რომ შეუდარებლად უფრო ფართო ტერიტორიაზე ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარება ჯერ კიდევ აღმავალი ხაზით მიმდინარეობს"?[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 21, გვ. 417.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, 1975, ტ. 1, გვ. 106.
[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 109.

იმ პერიოდში, როდესაც კაპიტალიზმი აღმავლობით ვითარდება. როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არ არის მთელი ძალით გამწვავებული წინააღმდეგობანი, კაპიტალისტური საბელმწიფოები საშუალებას არ მისცემენ რომელიმე მეზობელი ქვეყნის პროლეტარიატს დაამხოს ამ ქვეყნის ბურჟუაზია. განახორციელოს თანამიმდევრული სოციალისტური რევოლუცია. ასეთ პირობებში მარქსისა და ენგელსის თვალსაზრისით სოციალისტურმა რევოლუციამ უნდა გაიმარჯვოს მსოფლიო მასშტაბით, ან მეტწილ კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში ერთად. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ მძიმე მრეწველობამ შექმნა მსოფლიო ბაზარი და იმგვარად დააკავშირა მსოფლიო ხალხები ერთმანეთთან, რომ ერთი ქვეყნის მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, რაც ხდება მეორე ქვეყანაში. გარდა ამისა, მსხვილმა მრეწველობამ მსოფლიო ასპარეზზე გამოიყვანა ორი ძირითადი კლასი — ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ხოლო მათ შორის ბრძოლა ჩვენი დროის მთავარ ბრძოლად იქცა. ამიტომ ერთი ქვეყნის პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლა ამავე ქვეყნის ბურჟუაზიის დასამხობად არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მხოლოდ ეროვნული მოვლენა. იგი სხვა ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებსაც შეეხება და მიიღებს მსოფლიო მასშტაბის რევოლუციის სახეს. კ. მარქსი და ფ. ენგელსი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას შესაძლებლად თვლიდნენ ყველა ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყანაში ერთდროულად.

ნაწარმოებში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ" ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ იმპერიალიზმის დროს სოციალისტური რევოლუცია პრაქტიკული აუცილებლობაა და რომ ერთ, ცალკე აღებულ, ან რამდენიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში მისი გამარჯვება საკმაოდ შესაძლებელია.

რამდენიმე, თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ობიექტური საფუძველი. იმპერიალიზმის პირობებში უაღრესად უთანაბროდ ვითარდება კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა. ცხადია, ეს ქვეყნები არც იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის დროს ვითარდებოდნენ თანაბრად ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, თითოეული კაპიტალისტური ქვეყანა მაშინაც განსხვავდებოდა ეკონომიკური განვითარების დონით ყველა სხვა დანარჩენისაგან. მაგრამ ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იყო აღმავლობა, კაპიტალისტური ქვეყნები ამ დროს ნახტომისებურად არ უსწრებდნენ ერთმანეთს. კაპიტალიზმი ცოტად თუ ბევრად მაინც თანაბრად ვრცელდებოდა და ვითარდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში.

იმპერიალიზმის დროს კი „ეკონომიკური და პოლიტიკური განვითა-

რების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია“ [1]. იმპერიალიზმის პერიოდში, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ მოსპო თავისუფალი კონკურენცია და გამოიწვია მძლავრი მონოპოლიების წარმოშობა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ მთელ სამეურნეო ცხოვრებაში; საბანკო კაპიტალი სამრეწველო კაპიტალს შეერწყა, გაიზარდა კაპიტალის გატანა უცხო ქვეყნებში, შეიქმნა კაპიტალისტთა საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც ეკონომიკურად ინაწილებენ მსოფლიოს. დამთავრდა დედამიწის დანაწილება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ყოველივე ამის შედეგად იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის გამწვავდა ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის, ნედლეულისა და სამუშაო ძალისათვის, მსოფლიო ბატონობისათვის, რასაც იმპერიალიზმის განუყოფელი ბატონობის დროს გარდუვალად მოსდევს გამანადგურებელი დაპყრობითი, უსამართლო ომები.

იმპერიალიზმის უთანაბრო, ნახტომისებური ეკონომიკური განვითარება გულისხმობს კაპიტალისტური ქვეყნის წარმოების დონეთა სწრაფ ცვალებადობას. რასაკვირველია, ყოველ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში არსებობს და რჩება განსხვავება ეკონომიკურად ძლიერ განვითარებულ, ეკონომიკურად საშუალოდ განვითარებულ და ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის, მაგრამ განსხვავება მეტისმეტად პირობით ხასიათს იღებს. უთანაბრო განვითარების გამო ეს ქვეყნები სწრაფად იცვლიან ადგილებს. ამასთან მათი ადგილების ცვლა მიმდინარეობს არა უმტკივნეულოდ, არა ერთმანეთის ინტერესების შეულახველად, არამედ, პირიქით, ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი ეკონომიკურად ძლიერდება სხვა სახელმწიფოების შევიწროებასა და დამორჩილების საფუძველზე. ისეთ პირობებში, როცა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა მოპოვებულია სხვა ქვეყნების ეკონომიკის გათელვისა და სხვა ქვეყნებთან წინააღმდეგობათა უკიდურესად გამწვავების გზით, — უკვე აღარ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისათვის, რომ იმპერიალისტური ქვეყნები მტკიცედ გაერთიანდნენ იმ ქვეყნის ძლევამოსილი პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელიც პირველად გააღღვევს იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემის ჯაჭვს ყველაზე სუსტ რგოლში.

ამრიგად, იმპერიალიზმის უთანაბრო ეკონომიკური განვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ერთ, ცალკე აღებულ, ან რამდენიმე კაპი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 21, გვ. 417.

ტალისტურად განვითარებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

იმპერიალიზმის პირობებში კაპიტალისტური ქვეყნები უაღრესად უთანაბროდ ვითარდებიან აგრეთვე პოლიტიკურად. ქვეყნის პოლიტიკური განვითარება ყოველთვის ორგანულ კავშირშია მის ეკონომიკურ განვითარებასთან, მაშასადამე, ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა იმპერიალიზმის დროს განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური განვითარების უთანაბრობას. იმპერიალიზმის პირობებში სწრაფად იცვლება კლასობრივ ძალთა თანაფარდობა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით. ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიას მეტი შესაძლებლობა ეძლევა მოისყიდოს მუშათა კლასი, შეანელოს მისი ბრძოლა ექსპლუატატორების წინააღმდეგ, მაშინ როდესაც რიგ ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით არ დგანან მოწინავე ადგილზე, ზოგჯერ უფრო უკეთესი პირობები იქმნება პროლეტარიატის პოლიტიკური მომწიფებისათვის და მისი კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებისათვის.

ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და დაპყრობითი ომების აუცილებლობა იმპერიალისტურ ქვეყნებს უბიძგებს სამხედრობიუროკრატიული აპარატის გაძლიერებისაკენ, უზარმაზარი არმიების შექმნისაკენ, მილიტარიზაციისაკენ, დემოკრატიის შეზღუდვისაკენ.

აღმოაჩინა რა იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კანონი, ვ. ი. ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ კანონის მოქმედება ობიექტურად ქმნის სუსტ რგოლს იმპერიალიზმის ჯაჭვში და იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტა სავსებით შესაძლებელია იქ, სადაც მისი რგოლი სუსტია. ამასთან, არაა სავალდებულო, რომ სუსტი რგოლი იყოს აუცილებლად ეკონომიკურად მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა, ანდა ქვეყანა, სადაც სამრეწველო პროლეტარიატი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ მაჩვენებლებს. საქმე სწორედ ის არის, თუ როგორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება თვისებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს თუ არა იგი იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა ყველაზე კომბინირებულ გამოვლინებას. თუ ეს ასეა, მაშასადამე, ქვეყანა მომწიფებულია სოციალისტური რევოლუციისათვის ეკონომიკურად.

ამასთან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ განვითარების რა დონეზე იმყოფება თვით პროლეტარიატი, აქვს თუ არა მას რევოლუციური ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, ჰყავს თუ არა მას საკუთარი, კლასობრივ ბრძოლებში გამოწრთობილი, მოწინავე თეორიით შეიარაღებული, ორგანიზებული პარტია, რომელიც უშიშრად დგას პროლეტა-

რიატისა და მისი მოკავშირეების რევოლუციური მოძრაობის ავანპოსტზე. თუ ეს ასეა, მაშინ ქვეყანა სოციალისტური რევოლუციისათვის მომწიფებულია პოლიტიკურადაც.

იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ისტორიული აუცილებლობაა, რომელიც განსაზღვრავს ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობას.

ვ. ი. ლენინი ემყარებოდა კაპიტალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონს. რაც მანვე აღმოაჩინა და აღნიშნავდა: „აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ო დ ა დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს, ააჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ“ [1].

პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის განვითარებამ საესებით დაადასტურა ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ლენინური თეორიის ჭეშმარიტება. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მშრომელ მასებთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში, დაამხო ექსპლოატატორული წყობილება, პირველად კაცობრიობის ისტორიაში ააშენა სოციალისტური საზოგადოება.

ვ. ი. ლენინი. „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“

ეს სტატია დაწერილია 1916 წელს, გერმანულ ენაზე, დაიბეჭდა 1917 წელს აპრილში, ჟურნალში „ახალგაზრდობის ინტერნაციონალი“. სტატია დაიწერა პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის წლებში, როდესაც მთელი რიგი ქვეყნების — ჰოლანდიის, სკანდინავიის, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატებმა წამოაყენეს „განიარაღების“ მოთხოვნა. მათ საჭიროდ ცნეს, რომ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში ძველი პუნქტი — „მილიცია“, „ხალხის შეიარაღება“ — შეეცვალათ ახალი პუნქტით, — „განიარაღება“, — რამდენადაც ეს უკანასკნელი ყველაზე ნათლად და თანმიმდევრულად გამოხატავს ომის საწინააღმდეგო პოზიციას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 417—418.

მაგრამ განიარაღების მომხრეთა ძირითადი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ისინი აიგივებდნენ ყოველგვარ ომს. ამიტომ საჭირო იყო იმპერიალიზმის დროინდელი ომების ბუნებისა და მათდამი კომუნისტების დამოკიდებულების ზუსტი გარკვევა. ეს ამოცანა ვ. ი. ლენინმა შეასრულა.

დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო ამ სტატიიდან გამოვყოფთ ორ ძირითად საკითხს:

1. ომები იმპერიალიზმის დროს, კომუნისტების დამოკიდებულება ომებისადმი. როგორც ადრინდელი, ისე იმპერიალიზმის დროინდელი ომები არ შეიძლება განვიხილოთ კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკისა და ეკონომიკისაგან მოწყვეტით. „თეორიულად სრული შეცდომა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ ყოველი ომი წარმოადგენს მხოლოდ პოლიტიკის განგრძობას სხვა საშუალებებით; ახლანდელი იმპერიალისტური ომი წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა ორი ჯგუფის იმპერიალისტური პოლიტიკის განგრძობას, და ეს პოლიტიკა წარმოშობილია და საზრდოობს იმპერიალისტური ეპოქის ურთიერთობათა ერთობლიობით“ [1]. მაგრამ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კომუნისტები ყოველგვარი ომის წინააღმდეგი არიან.

იმპერიალიზმის დროს არსებობს ომები, რომლებიც სამართლიანია და რომელსაც სოციალისტებმა მხარი უნდა დაუჭირონ.

ა) *რევოლუციური, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომები.* ეს ომები მიმართულია იმპერიალისტური სახელმწიფოების ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ესაა ჩაგრული, დამოკიდებული, კოლონიური ხალხების ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის. „იმპერიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი თვისება სწორედ ისაა, რომ იგი აჩქარებს კაპიტალიზმის განვითარებას უაღრესად ჩამორჩენილ ქვეყნებში და მით აფართოებს და ამწვავებს ბრძოლას ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს ფაქტია. — და აქედან აუცილებლივ გამომდინარეობს, რომ იმპერიალიზმმა არა იშვიათად უნდა წარმოშვას ნაციონალური ომები“ [2].

ბ) *სამოქალაქო ომები.* ასეთი ომები არსებობს ყველა დიდი რევოლუციების დროს და მაშასადამე, არსებობს იმპერიალიზმის ეპოქაშიც, როცა მწიფდება სოციალისტური რევოლუცია. სამოქალაქო ომებს ლენინი განმარტავს, როგორც „კლასობრივი ბრძოლის ბუნებრივ, განსაზღვრული ვითარებაში აუცილებელ განგრძობას, განვითარებასა და გამწვავებას“ [3].

გ) *გამარჯვებული პროლეტარიატის თავდაცვითი ომები.* როდესაც სოციალიზმი ერთ ქვეყანაში გაიმარჯვებს,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 95.
[2] იქვე, გვ. 92.
[3] იქვე, გვ. 93.

სხვა ქვეყნების ბურჟუაზია აუცილებლად შეეცდება მის განადგურებას სამხედრო საშუალებების გამოყენების, ომების გზით. ამიტომ გამარჯვებული სოციალიზმის პროლეტარიატი იძულებული იქნება თავი დაიცვას კლასობრივი მტრების შემოტევებისაგან, აწარმოოს სამართლიანი ომი საერთაშორისო და შინაური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ასეთ შემთხვევებში „განიარაღების“ მოთხოვნა მხოლოდ ნამდვილად განიარაღებს პროლეტარიატსა და მის მოკავშირეებს, ჩაგრულ ხალხებს თანამედროვე მილიტარისტული ბურჟუაზიის წინაშე. იგი ოპორტუნისტული დათმობა იქნება და არამც და არამც არ შეიძლება იქცეს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამად. ეს მოთხოვნა გამოხატავს პატარა სახელმწიფოების წვრილბურჟუაზიულ მისწრაფებას, „რომ განზე დარჩნენ, ...იყვნენ უფრო დაშორებით მსოფლიო ისტორიის დიდი ბრძოლებისაგან“ [1].

„განიარაღების“ მოთხოვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს გზას ომების აღმოფხვრისათვის კლასობრივი საზოგადოების ცხოვრებიდან. ის, ვინც კლასობრივ საზოგადოებაში „განიარაღებას“ მოითხოვს, არსებითად ხელს იღებს კლასობრივ ბრძოლაზე, რევოლუციაზე. ამასთან, ის ვინც კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარული რევოლუციის თვალსაზრისს ატარებს, არ შეიძლება გამოდიოდეს სამართლიანი ომების წინააღმდეგ.

ამ სტატიაში ფორმულირებულია დიდმნიშვნელოვანი დასკვნა ომების მოსპობის შესახებ მსოფლიო მასშტაბით:

„მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჩვენ დავამხობთ, საბოლოოდ დავამარცხებთ და მოვახდენთ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას მთელ მსოფლიოში, და არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ომები შეუძლებელი გახდება“ [2]. უომო, მშვიდობიანი მომავალი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის გზით. ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვა, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, ყველაზე მნიშვნელოვანია და მოითხოვს მეტად ძნელ ბრძოლას სოციალიზმზე გადასასვლელად, რომელიც მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ აღმოფხვრის ომებს ხალხთა ცხოვრებიდან.

2. ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ იდეა რამდენიმე, ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ამ სტატიის დაწერამდე ერთი წლით ადრე, სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 104.

ამ იდეას ვ. ი. ლენინი ავითარებს სტატიაში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“, სადაც აღნიშნულია: „კაპიტალიზმის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში უაღრესად უთანაბროდ ხდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს სასაქონლო წარმოების დროს. აქედან — გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს გაიმარჯვოს ყ ვ ე ლ ა ქვეყანაში. იგი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები რამდენიმე ხნის განმავლობაში დარჩებიან ბურჟუაზიულ ან წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად“ [1].

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პერიოდისათვის ვ. ი. ლენინი წინასწარ ჰვრეტს სოციალისტური რევოლუციის მოახლოებას თავდაპირველად ერთ ქვეყანაში, სახელდობრ რუსეთში და მის გამარჯვებას აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ლენინური იდეა, რომელიც ამ სტატიაშია ფორმულირებული, ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ თუ სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგზე“ ვ. ი. ლენინი მსჯელობს სოციალიზმის შ ე ს ა ძ ლ ო გამარჯვებაზე რამდენიმე, თუნდაც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში, 1916 წელს დაწერილ სტატიაში იგი აყენებს კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ დებულებას, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებს თავდაპირველად ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში და სოციალიზმის გამარჯვება ერთსა და იმავე დროს ყველა ქვეყანაში შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა. ვ. ი. ლენინის ეს დებულებები გამომდინარეობენ რუსეთისა და მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის არსის, მსოფლიო კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ღრმა, მეცნიერული ანალიზიდან.

ისტორიამ ცხადყო, რომ კაცობრიობა წავიდა ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. დროთა მსვლელობა სულ უფრო და უფრო მეტად ადასტურებდა და ადასტურებს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ლენინური იდეების სისწორესა და ცხოველმყოფელობას.

ვ. ი ლენინი. „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებში, რომელიც დაიწერა 1905 წელს და ამავე წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „ნოვაია ჟიზნ“, გარკვეულია ხელოვნებისა და ლიტერატურის პარტიულობის, ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი პარტიული დამოკიდებულების, აგრეთვე მხატვრული შემოქმედების თავისუფლების საკითხები.

ლიტერატურის პარტიულობა. ვ. ი. ლენინი მოითხოვს, რომ პროლეტარიატმა და მისმა ავანგარდმა თანმიმდევრულად დაიცვას და გაატაროს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. ამ პრინციპის არსს

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 93—94.

ვ. ი. ლენინი ასე განსაზღვრავს: „ეს პრინციპი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება ინდივიდუალური საქმე იყოს, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნ ა წ ი ლ ი“ [1].

მხატვრული ლიტერატურა, ისევე როგორც მთელი სხვა სახის ლიტერატურა, გამომცემლობანი, პრესა და სხვ. ანგარიშვალდებული უნდა იყოს პარტიის წინაშე, ცოცხალ პროლეტარულ საქმეს უნდა ემორჩილებოდეს, ხოლო პროლეტარიატმა და მისმა პარტიამ კონტროლი უნდა გაუწიოს მას.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს თუ არა, რომ მუშათა კლასი და მისი პარტია შემოქმედების თავისუფლების მომხრე არ არიან? ხომ არ ზღუდავს ხელოვნებისა და ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი შემოქმედების თავისუფლებას?

მხატვრული შემოქმედების თავისუფლების საკითხი. არსებობს მხატვრული შემოქმედების თავისუფლების ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო გაგება. ერთი გულისხმობს ხელოვანის ნამდვილ თავისუფლებას, იმის თავისუფლებას, რომ ხელოვანს შეეძლოს შექმნას თავისი ნაწარმოებები თანამედროვეობის მოთხოვნების, ხალხის ინტერესების შესაბამისად, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური მსვლელობის გათვალისწინებით. სწორედ მხატვრული შემოქმედების ამგვარ გაგებას იზიარებენ კომუნისტები და გამოხატავენ ამით მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს.

მეორენი ქადაგებენ ხელოვანის აბსოლუტურ თავისუფლებას, იმის თავისუფლებას, რომ ხელოვანმა ანგარიში არ გაუწიოს სოციალურ გარემოს, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს, წეროს იმაზე, რაც ყოველგვარ ვალდებულებას აცილებს საზოგადოებისაგან.

მარქსიზმი ძირეულად უპირისპირდება თავისუფლების ანარქისტულ გაგებას. ლენინი აღნიშნავდა, რომ „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო“ [2]. ადამიანთა პოლიტიკური, იდეოლოგიური, მხატვრული შემოქმედების, კრიტიკის და სხვ. თავისუფლება უნდა აიხსნას იმის მიხედვით, თუ მატერიალური ცხოვრების რა პირობებში უხდება არსებობა საზოგადოებას, რა დონეს მიაღწია მან საწარმოო ძალების და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებაში.

საზოგადოებაში, რომელიც მტრულ კლასებად არის დაყოფი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 36.

[2] იქვე, გვ. 40.

ლი, არ შეიძლება მსჯელობა ყოველგვარ თავისუფლებასა და თავისუფლებაზე ყველასათვის. კლასობრივ საზოგადოებაში თავისუფლების ყოველი მოთხოვნა უნდა განვიხილოთ კონკრეტულ-ისტორიულად, კლასობრივ ძალთა განლაგებისა და მათი ინტერესების ზუსტად გათვალისწინების საფუძველზე. თავისუფლების ლოზუნგის მიღმა დგანან ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, კლასები, სხვადასხვა სოციალური ფენები. თითოეული მათგანი გარკვეულ შინაარსს გულისხმობს თავისუფლების იდეაში, იბრძვის ამ იდეის გატარებისა და დამკვიდრებისათვის.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ პროლეტარიატისათვის მიუღებელია ზოგადი ფრაზები თავისუფლების შესახებ.

კაპიტალიზმის დროს არსებობს ბურჟუაზიული თავისუფლება, რომლის ეკონომიკური საფუძველია კერძო კაპიტალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე. რაც შეეხება თავისუფლებას მატერიალური დოვლათის შემოქმედთათვის, თავისუფლებას მშრომელებისათვის, იგი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში. „ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები გაღატაკებული არიან და ერთი მუჭა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი „თავისუფლება“ [1].

კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს და შეუძლებელიცაა არსებობდეს აბსოლუტურად თავისუფალი, „ზეკლასობრივი ხელოვნება“. უკვე იმის ცდა, რომ ხელოვნება „ზეკლასობრივად“ იქნეს აღიარებული, გამოხატავს ბურჟუაზიის მისწრაფებას დაფაროს მისი კლასობრივი ბუნება, ე. ი. უფრო შენიღბულად და მოხერხებულად ჩააყენოს იგი ექსპლოატატორთა სამსახურში.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ მხატვრული შემოქმედება ყველაზე ნაკლებად ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას; მისთვის აუცილებელია პირადი თაოსნობა, აზრისა და ფანტაზიის ფართო გაქანება, ინდივიდუალური მიდრეკილების გამომჟღავნება. თითოეული შემოქმედი თავისებურად ასახავს სინამდვილეს, სხვადასხვაგვარ შესაძლებლობასა და ნიჭიერებას აქსოვს მასში. მხატვრული შემოქმედება აუცილებლობით გულისხმობს სინამდვილის ასახვას შემოქმედის ინდივიდუალობის პრიზმაში გავლით. მაგრამ აქაც მხატვრული შემოქმედების თავისუფლება განსაზღვრულია ობიექტური აუცილებლობით, კლასობრივ საზოგადოებაში — გარკვეული კლასის ინტერესებით. „ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან“ [2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 39.

[2] იქვე, გვ. 40.

არც პროლეტარული ხელოვნება არსებობს კლასობრივი ინტერესებისაგან დამოუკიდებლად. იგი ემსახურება მშრომელ მასებს, ხელს უწყობს მათ ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში, უღიდესი იდეური იარაღია საზოგადოების რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პროგრესული ხელოვნება ყოველმხრივ დევნასა და შეიწროებას განიცდის, სოციალიზმის დროს მისი განვითარება მთლიანად შეესაბამება მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ვ. ი. ლენინი ამავე ნაწარმოებში აღნიშნავდა, რომ პროლეტარული ლიტერატურა სოციალისტურ საზოგადოებაში ნამდვილად თავისუფალი იქნება, ვინაიდან სრულიად შეუზღუდავად გაუწევს სამსახურს „...მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც, ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“ [1].

სოციალიზმის დროს მხატვრული შემოქმედების თავისუფლება კი არ გამორიცხავს, არამედ ემყარება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს, ხელს უწყობს სოციალური აუცილებლობის შეგნებულ გამოყენებას.

ვ. ი. ლენინი. „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“

ვ. ი. ლენინის შრომაში „ლევ ტოლსტოი როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“ (1908 წ.), აგრეთვე მის ნაწარმოებებში „ლ. ნ. ტოლსტოი“ (1910 წ. XI), „ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა“ (1910 წ. XI), „ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა“ (1910, XII), „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“ (1911 წ. I) მოცემულია ლევ ტოლსტოის შემოქმედების გენიალური ანალიზი და მისი მსოფლმხედველობის ამომწურავი შეფასება.

ვ. ი. ლენინი ტოლსტოის ახასიათებდა როგორც რუსეთის რევოლუციის სარკეს, გენიალურ ფსატვარს, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც; იგი მას უწოდებდა მხურვალე პროტესტანტს, მგზნებარე მამხილებელს, დიდ კრიტიკოსს. ვ. ი. ლენინი მუშათა კლასს მოუწოდებდა შეესწავლა ტოლსტოის ნაწარმოებნი, რათა მათი საშუალებით უკეთესად გაეცნო კლასობრივი მტრები.

პლეხანოვისაგან განსხვავებით, რომელიც დიდ რუს მწერალს მხოლოდ მემამულეთა იდეოლოგად თვლიდა, ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 40.

რომ ტოლსტოის მოძღვრება შეიცავს როგორც კრიტიკულ-რევოლუციურ, ისე ანტირევოლუციურ მხარეებს, რომ ტოლსტოის მოძღვრება წინააღმდეგობრივია. ვ. ი. ლენინის განმარტებით ტოლსტოის მოძღვრების წინააღმდეგობრივ ხასიათს დიდი ისტორიული ეპოქის, 1861 — 1905 წლების რუსეთის ძირითადი თავისებურებანი განაპირობებდა, რეფორმისშემდგომი, რევოლუციამდელი რუსეთის მთელი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრება გაჟღენთილი იყო ბატონყმობის ნარჩენებითა და პირდაპირი გადმონაშთებით. 1861 წლის რეფორმამ, აუტანელმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პირობებმა უაღრესად გაზარდა გლეხთა ფართო მასების უკმაყოფილება რუსეთის ნახევრად ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ. მიწის მემამულური საკუთრების, სახელმწიფოს, კაზიონური ეკლესიის წინააღმდეგ.

რუსეთში უკიდურესად ექსპლოატირებული გლეხობის მზარდი უკმაყოფილების გაღვივება დიდ რევოლუციას ამზადებდა. ეს რევოლუცია დღის წესრიგში აყენებდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობას, მემამულური მიწათმფლობელობის დანგრევას და ფაქტიურად კაპიტალიზმისათვის ნიადაგის გაწმენდის ამოცანას შეასრულებდა.

ტოლსტოიმ, რომლის შემოქმედების ობიექტს უმთავრესად მემამულეებისა და გლეხების რუსეთი წარმოადგენდა, შესანიშნავად ასახა გლეხთა მასობრივი უკმაყოფილების ზრდა, მათი გაბოროტება და სიძულვილი ნახევრადფეოდალური რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებისადმი. ლ. ტოლსტოიმ, როგორც აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, „...შესძლო შესანიშნავი ძალით გადმოეცა თანამედროვე წესწყობილებით ჩაგრული ფართო მასების სულიერი განწყობილება, დაესაბუთებია მათი მდგომარეობა, გამოეხატა მათი პროტესტისა და გულისწყრომის სტიქიური გრძნობა“ [1]. ტოლსტოის მოძღვრების იდეურ შინაარსს შეადგენს მისწრაფება — ძირფესვიანად აღიგავოს მემამულეების მთავრობა, მემამულეები, ოფიციალური ეკლესია, მიწათმფლობელების ყველა ძველი ფორმა და წესი. ლ. ტოლსტოიმ გამოხატა გლეხობის ფართო მასების ღრმად ოპოზიციური განწყობილება რუსეთის პოლიციურ-თვითმპყრობელური სახელმწიფოს წინააღმდეგ, მათი მოძრაობის ძლიერი მხარეები რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში და თავის მოძღვრებას მისცა რევოლუციურ-კრიტიკული ხასიათი. მაგრამ, როგორც ცნობილია, გლეხთა მასების მოძრაობას რუსეთში ჰქონდა არა მარტო ძლიერი, არამედ სუსტი მხარეებიც. რუსეთის გლეხობის გულში დაგროვილი სიძულვილი, მომწიფებული მისწრაფება უკეთესისაკენ, წარსულისაგან თავის დაღწევის სურვილი შეერთებული იყო მოუმწიფებელ ოცნებასთან, პოლიტიკურ აღუზრდელობასთან, სა-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, გვ. 402.

მოქმედო გეზის უქონლობასთან. რუსეთის გლეხობამ არ იცოდა რა გზით წარემართა თავისი მოქმედება.

„გლეხობის მთელმა წარსულმა ცხოვრებამ ასწავლა მას ბატონისა და მოხელის სიძულვილი, მაგრამ ვერ ასწავლა და ვერც ასწავლიდა, სად ეძებნა ყველა ამ კითხვის პასუხი“ [1].

რუსეთის გლეხობის ეს სუსტი მხარეები უშუალოდ აისახა ლევ ტოლსტოის შემოქმედებაში. ტოლსტოიმ ვერ გაიგო რუსეთზე მოწოლილი კრიზისიდან გამოსვლის გზები და საშუალებები. ტოლსტოი სასოწარკვეთილებას მიეცა ისევე, როგორც რუსი ხალხის მრავალმილიონიანი მშრომელი მასა, „...რომელსაც უკვე სძულს თანამედროვე ცხოვრების ბატონ-პატრონები, მაგრამ რომელიც ჯერკიდევ არ მისულა შეგნებულ, თანამიმდევრულ, ბოლომდე მიმავალ, შეურიგებელ ბრძოლამდე მათ წინააღმდეგ“ [2].

ამით უნდა აიხსნას ტოლსტოის მოძღვრების წინააღმდეგობა, პროგრესული და რეაქციული იდეების საოცარი შერწყმა ტოლსტოის მოძღვრებაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა... ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში“ [3].

წინააღმდეგობის თვალსაზრისით უნდა შეეფასოთ ლევ ტოლსტოის სოციალური შეხედულებანი, მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისადმი, მიწის მემამულური საკუთრებისადმი, ეკლესიისა და რელიგიისადმი, ხალხთა მასებისა და პიროვნებისადმი, პროგრესისა და ცივილიზაციის და სხვა საკითხებისადმი.

ტოლსტოის შემოქმედებაში მკვეთრი რეალისტური ფერებითაა დახატული და გაკრიტიკებული მთავრობის ძალადობა, მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა გაბატონებული გავლენა სახელმწიფო საქმეებზე, რუსეთის ფეოდალურ-მონარქისტული სახელმწიფოს მოხელეთა ყოვლისშემძლეობა, მხილებულია სახელმწიფო და სასამართლო მმართველობის კომედია, ნაჩვენებია გაჩანაგებული, უმიწაწყლო მასების ძლიერი და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ. ტოლსტოი ააშკარავებს რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგობებს, ნიღაბს გლეჯს ექსპლოატატორი კლასების საქმიანობას, მგზნებარე კრიტიკით თავს ესხმის საზოგადოებრივ წესებს, რომლებიც განამტკიცებდა მასების დამონებას და სიღატაკეს. რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 242.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 440.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 241.

მძაფრი კრიტიკა წითელ ზოლად გასდევს ლ. ტოლსტოის მთელ შემოქმედებას. მაგრამ ეს კრიტიკა არ არის თანამიმდევრული. იგი არ მიდის არსებულის შეჩვენებისა და წყევლა-კრულვის იქით, არ აყენებს არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების დამსხვრევის საკითხს. პირიქით, ლ. ტოლსტოი ეყრდნობა აბსტრაქტულ-მორალური ფილოსოფიის პრინციპს, — „ბოროტებას არ შეიძლება ბოროტებით უპასუხო“, და მოითხოვს განდგომას პოლიტიკისაგან, გულგრილ დამოკიდებულებას პოლიტიკისადმი, არსებულის გულხელდაკრეფილ ჭვრეტითა და ზნეობრივი სრულყოფის ამოცანით შემოფარგვლას.

ტოლსტოის ამ მოთხოვნაში ასახულია სწორედ გლეხობის მდგომარეობა, რომელმაც არ იცის როგორ უნდა მოიპოვოს უკეთესი ცხოვრება. „გლეხობის დიდი ნაწილი, — როგორც ვ. ი. ლენინი წერდა— ტიროდა და ლოცულობდა, თხოვნებს წერდა და „შუაკაცებს აგზავნიდა“. მოლაპარაკებას მართავდნენ ხელისუფლებასთან, დასახვრეტად დგებოდნენ, გასაწკეპლად წვებოდნენ ლევ ტოლსტოის სულისკვეთებისამებრ.

სწორედ ამ მცდარი, პატრიარქალურ-გლეხური იდეოლოგიისათვის აკრიტიკებდა ვ. ი. ლენინი ტოლსტოის მოძღვრებას — სწორედ ამ შემარიგებელი, ზნეობრივი სრულყოფის რეაქციული იდეოლოგიისათვის აკერპებდნენ ტოლსტოის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტრები.

აკრიტიკებდა რა რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებას, ერთი მხრივ, და ქადაგებდა რა აპოლიტიკურობისა და შემარიგებლობის იდეებს, მეორე მხრივ, ლევ ტოლსტოი გამოხატავდა პატრიარქალური გლეხობის ინტერესებს. მან აბსოლუტურად ვერ გაიგო პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი, მუშათა მოძრაობის როლი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, რუსეთის რევოლუცია.

„ტოლსტოი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სრულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ცხოვრებასთან, თანამედროვე წყობილების მესაფლავის — პროლეტარიატის მუშაობასა და ბრძოლასთან“ [1].

კაპიტალიზმი, რომელიც განუხრელად იჭრებოდა რუსეთში და ამსხვრევდა რუსეთის ყველა ძველ „ბურჯს“, ტოლსტოის ესახებოდა წმინდა უარყოფითად. ტოლსტოი, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი „თვალს ხუჭავს, გაურბის ფიქრს იმაზე, რომ რუსეთში „ეწყობა“ მხოლოდ ბურჟუაზიული და არა სხვა რაიმე წყობილება“, რითაც „...გადმოსცემს პატრიარქალური გლეხობის მთელ ძრწოლას, რომლისკენაც უკვე თანდათან მიიწევს ახალი, უხილავი, გაურკვეველი მტერი“ კაპიტალიზმის სახით.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, გვ. 440.

ტოლსტოიმ ვერ გაიგო ის გარემოება, რომ კაპიტალიზმის შემოჭრა და განვითარება ამავე დროს ნიშნავს ყველაზე პროგრესული კლასის — პროლეტარიატის ჩასახვას და განვითარებას, რომ სწორედ პროლეტარიატი არის ის საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც უნარი შესწევს წინ აღუდგეს ყოველგვარ სოციალურ ბოროტებას და რევოლუციური გზით გარდაქმნას საზოგადოებრივი ცხოვრება.

ლ. ტოლსტოის შეხედულებები ცივილიზაციისა და პროგრესის შესახებ. ლ. ტოლსტოი ვერ ჩასწვდა საწარმოო ძალთა განვითარების არსს და მნიშვნელობას. იგი ხედავდა, რომ ტექნიკური აღმოჩენები და გამოგონებანი, წარმოების იარაღების სწრაფი განვითარება უმაგალითო მოგებას აძლევდა ექსპლოატატორ კლასებს. იგი ხედავდა, რომ საწარმოო ძალთა განვითარების კვალდაკვალ იზრდებოდა მშრომელი მასების გაღატაკების ხარისხი. ძალიან კარგია ელექტრო-სინათლე, — წერდა ტოლსტოი, — ტელეფონი. რკინიგზები, ძრავები, ფაბრიკაში დამზადებული ჩითი და მაუდი და სხვა, მაგრამ რად გვინდა ყოველივე ეს, თუ მათ საწარმოებლად საჭიროა 99/100 ადამიანებისა იყვნენ მონობაში და ათასობით დაიღუპონ ფაბრიკებში, რაც აუცილებელია ამ საგნების დასამზადებლად. აქედან გამომდინარე, საწარმოო პროგრესს და ცივილიზაციას ტოლსტოი წმინდა უარყოფითად აფასებდა.

ტოლსტოის შეხედულებებში პროგრესისა და ცივილიზაციის შესახებ არ ჩანს ოპტიმიზმის ნიშანწყალი. მისი დასკვნები — „დაე დაიღუპოს კულტურა, ოღონდ გაიმარჯვოს სამართლიანობამ“, „ჩვენი იდეალი არის უკან და არა წინ“ — ღრმად რეაქციულია.

ტოლსტოიმ ვერ შეძლო იმის დანახვა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საწარმოო ძალთა პროგრესს და ცივილიზაციას თვით ექსპლოატირებული კლასებისათვის. მან ვერ გაიგო, რომ საწარმოო ძალთა განვითარება ძირს უთხრის გაბატონებული კლასის ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძვლებს, წინააღმდეგობაში ვარდება არსებულ წარმოებით ურთიერთობებთან, აახლოვებს სოციალური რევოლუციის ეპოქას, ექსპლოატირებული მასების სამუდამო განთავისუფლების საქმეს.

პროგრესისა და ცივილიზაციის გაუგებლობამ, თავშეკავებამ პოლიტიკისაგან, აპათიურმა დამოკიდებულებამ პროლეტარიატისადმი გამოიწვია ტოლსტოის სრული ჩამოშორება 1905—1907 წლების რევოლუციური ბრძოლებისაგან. იგი უარყოფითად გამოეხმაურა რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციას, პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ნაცვლად იმისა, რომ მხარი დაეჭირა პროლეტარული მოძრაობისათვის, ტოლსტოი ოცნებობდა ისეთი საზოგადოებრივი წყობის შემობრუნებაზე, როგორიცაა პატრიარქალური გლეხური მეურნეობა. ტოლ-

სტოის იდეალია პატრიარქალური თემი, რომელიც პრაქტიკაში უნდა დაინერგოს და განმტკიცდეს ღვთისმადიდებელ ინდივიდთა მორალური სრულყოფის გზით. მაგრამ ეს გზა და ეს იდეალი ყალბია. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ტოლსტოი სასაცილოა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელსაც აღმოუჩენია კაცობრიობის ხსნის ახალი რეცეპტები“ [1].

ლ. ტოლსტოი რეალისტია, როგორც მხატვარი, მაგრამ უტოპისტია, როგორც იდეოლოგი. მისი ქრისტიანულ-ანარქისტული კომუნიზმი, რითაც იგი მჭიდროდ უახლოვდება კროპოტკინის ანარქისტულ კომუნიზმს, აგრეთვე რელიგიის არასწორ შეფასებას და გაგებას ემყარება. „წინააღმდეგობა ღაღადებს“ ტოლსტოის რელიგიურ შეხედულებებში. ერთი მხრივ, იგი ულმობლად ამხელს და ამათრახებს რელიგიის მსახურთ, სახაზინო ეკლესიას, რისთვისაც იგი განიცდიდა ოფიციალური ეკლესიის დევნას და შევიწროებას. მეორე მხრივ კი, იგი გამოდიოდა ქრისტიანული რელიგიის მგზნებარე დამცველად. ტოლსტოი ილაშქრებდა მხოლოდ კაზიონური ეკლესიის წინააღმდეგ, მაგრამ არ იბრძოდა რელიგიის წინააღმდეგ საერთოდ. იგი სახაზინო ხუცების ადგილზე ზნეობრივი რწმენის ხუცებს სვამდა. „ტოლსტოი თავს იგლახავებს ქრისტეს გულისათვის“ — წერდა ვ. ი. ლენინი.

ტოლსტოი ანარქისტების მსგავსად ფიქრობდა, რომ მასის განთავისუფლება არ არის მასის ერთობლივი რევოლუციური მოქმედების შედეგი. მასა ერთეულებისაგან შედგება და საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა, მასის განთავისუფლება უნდა განხორციელდეს ერთეული, ინდივიდუალური ადამიანების გარდაქმნის გზით. ტოლსტოის მიხედვით ინდივიდის გარდაქმნა ეს არის თვითონ ინდივიდის საქმე და იგი არსებითად მორალური ნორმების სასტიკად დაცვაში და გატარებაში მდგომარეობს. მორალური ქცევის ეს ნორმები ისევ და ისევ ქრისტიანულ-ფეოდალური მორალის არსენალიდან არის აღებული: ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობა, მიმართვა სულისადმი, თვითსრულყოფა და ღვთისნიერ ცხოვრებაზე ამოოხვრა და სხვ. (ანდრეი ბოლკონსკი — „ომი და მშვიდობა“, ლევინი —. „ანა კარენინა“. ნეხლიუდოვი — „აღდგომა“ და სხვ.).

წინააღმდეგობის შემცველია აგრეთვე ტოლსტოის შეხედულებები ხალხთა მასებისა და პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში. ტოლსტოის შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის ნაწარმოებებში 1880 წლის შემდეგ, მთავარ მოქმედ გმირს მშრომელი ხალხი წარმოადგენს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ტოლსტოის მოძღვრებაში აისახა „დიდი ზღვა — ხალხი“. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გენიალური ნაწარმოები „ომი და მშვიდობა“, რომელშიც ნაჩვენებია დიდი რუსი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15. გვ. 241.

ხალხის თავდადებული სამართლიანი ომი ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ რომანის შესახებ თვით ტოლსტოი ამბობდა: „მე შევეცადე დამეწერა ხალხის ისტორია“, და მართლაც რომანში უდიდესი ოსტატობით და სიყვარულით არის ასახული 1812 წლის ომის ხალხური ხასიათი, რუსი ხალხის თავდადება და პატრიოტიზმი, მისი შეუდრეკელი ნებისყოფა.

ლევ ტოლსტოი, ცხადია, პროგრესულ ნიადაგზე დგას, როდესაც ასახავს რუსეთის ხალხის დიდ როლს ისტორიაში, მაგრამ ტოლსტოის ეს შეხედულება, რომელიც მისი ჯანსაღი სოციალური შეხედულებების შემადგენელი ნაწილია, სავსებით მისტიკურ ხასიათს ღებულობს ტოლსტოის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის პრიზმაში გადატეხის შემდეგ. ტოლსტოი მიდის დათმობაზე იდეალიზმისა და რელიგიის წინაშე, როდესაც საკითხი ისმება იმის შესახებ, თუ რა ამოძრავებს ადამიანთა უდიდეს მასებს, რა არის ადამიანთა მასების მამოძრავებელი ძალა. ასეთ მამოძრავებელ ძალად ლ. ტოლსტოის „მსოფლიო სული“ მიაჩნდა.

ტოლსტოის მიხედვით, „მსოფლიო სული“ განაგებს ისტორიის შემოქმედ მასებს, მიმართულებას აძლევს ხალხთა მოქმედებას, ხოლო ხალხი ბრმად ექვემდებარება „მსოფლიო სულის“ ნება-სურვილს, იქცევა წინასწარ მონიშნებული გარდუვალობის შესაბამისად. მასები მოკლებული არიან შემოქმედებით ინიციატივას, ძალაუნებურად ურიგდებიან უსიტყვო მორჩილების ატმოსფეროს, ვინაიდან ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა მოხდეს; სხვაგვარი მოქმედება ეწინააღმდეგება „მსოფლიო სულის“ მიერ წინასწარგანსაზღვრულ გზებს და პერსპექტივებს. ასე გაფორმდა ტოლსტოის ფატალისტური შეხედულება ხალხთა მასების როლის შესახებ ისტორიაში.

არასწორი წარმოდგენა ჰქონდა მას პიროვნებაზეც. ტოლსტოიმ ვერ გაიგო, რომ გამოჩენილი პიროვნებანი არ არიან პასიური და უმოქმედო, რომ დიდ ადამიანებს შეუძლიათ აქტიურად ჩაერიონ ისტორიის მსვლელობაში და შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუკი შესძლებენ საზოგადოებრივი განვითარების პირობების სწორად გაგებას, არ დაიწყებენ მოქმედებას საზოგადოების ისტორიულ მოთხოვნათა წინააღმდეგ.

ტოლსტოის მოძღვრების ყველაზე სუსტი მხარეები, რომლებიც რუსეთის გლეხური რევოლუციის სისუსტეს და ნაკლოვანებებს გამოხატავენ, დოგმად გადააქციეს ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეებმა— „ტოლსტოველებმა“. ლ. ტოლსტოის მოძღვრების სუსტ მხარეებს ხოტბა-დიდებას ასხამდნენ რუსი ტოლსტოველები, რუსეთის ლიბერალური გაზეთები. ტოლსტოის მცდარი იდეების პროპაგანდა დღემდე არ შეწყვეტილა ოანამედროვე იმპერიალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით

ამერიკის შეერთებულ შტატებში. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტრები ორიენტაციას იღებენ ტოლსტოის რეაქციულ შეხედულებებზე, სიტყვას არ ძრავენ ტოლსტოის მოძღვრების რევოლუციურ შინაარსზე, კრიტიკულ ნაწილზე, ვინაიდან ტოლსტოის კრიტიკა სწორედ მათ წინააღმდეგ არის მიმართული.

„ტოლსტოის კრიტიკაში, — აღნიშნავდა ლენინი, — თითოეული დებულება ბურჟუაზიული ლიბერალიზმისათვის სილის გაწვნაა“ [1].

მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას ტოლსტოი უყვარდა და უყვარს როგორც უდიდესი რეალისტი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა იარის მამხილებელი, მგზნებარე კრიტიკოსი. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ტოლსტოის ნაწარმოებებს და მისი მოძღვრების რევოლუციურ შინაარსს უმნიშვნელო უმცირესობა იცნობდა რუსეთშიაც კი. ვ. ი. ლენინი წერდა: „იმისათვის, რომ მისი დიადი ნაწარმოებები ნამდვილად გახდეს ყ ვ ე ლ ა ს კუთვნილება, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, რომელმაც მილიონებსა და ათობით მილიონებს წილად არგუნა სიბნელე, დაბეჩავება, კატორღული შრომა და სიღატაკე, საჭიროა სოციალისტური გადატრიალება“ [2].

პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის დებულების ჭეშმარიტება და ძალა. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ტოლსტოის ნაწარმოებები მილიონობით საბჭოთა ადამიანების კუთვნილებად იქცა. ისინი ამ ნაწარმოებებში, როგორც სარკეში ხედავენ თავიანთ მძიმე ისტორიულ წარსულს, იმსჭვალებიან კანონიერი სიამაყის გრძნობით სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების მიმართ, აღფრთოვანებულნი არიან ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივებით, ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, გვ. 405.

[2] იქვე, გვ. 401—402.

შინაარსი

ავტორისაგან 3

პირველი განყოფილება — მარქსიზმის წარმოშობა—რევოლუციური გადატრიალება საკაცობრიო ფილოსოფიური აზრის განვითარებაში 5

კ. მარქსი. „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“ 5

კ. მარქსი. „თეზისები ფოიერბახის შესახებ“ 10

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „წმინდა ოჯახი ანუ კრიტიკა კრიტიკული კრიტიკისა“..., განყოფილება „კრიტიკული ბრძოლა ფრანგულ მატერიალიზმთან“ 16

კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგია“. პირველი თავი. „ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა“ 21

კ. მარქსი. „ფილოსოფიის სიღატაკე“, თავი 2, § 1. „მეთოდი“ . 32

კ. მარქსი. „ბოლოსიტყვაობიდან „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გერმანული გამოცემისათვის“ 37

ფ. ენგელსი. „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“ 39

ვ. ი. ლენინი. „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“ 52

ვ. ი. ლენინი. „კარლ მარქსი“ 66

ვ. ი. ლენინი. „გერცენის ხსოვნას“ 75

მეორე განყოფილება — დიალექტიკური მატერიალიზმი 78

ფ. ენგელსი. „ანტი- დიურინგი“ 78

ფ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა“ 107

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ . . . 122

ვ. ი. ლენინი. „დიალექტიკის საკითხისათვის“ 186

ვ. ი. ლენინი. „ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკისა და ბუხარინის შეცდომებზე“ 192

ვ. ი. ლენინი. „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ . 198

მესამე განყოფილება — ისტორიული მატერიალიზმი 202

კ. მარქსი — პ. ვ. ანენკოვს, 1846 წ. 28 დეკემბერი 202

კ. მარქსი. „წინასიტყვაობა პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ 209

კ. მარქსი, „კაპიტალი“. თავი V, § 1. „შრომის პროცესი“ . . . 212

ფ. ენგელსი. „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში“ 216

ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ფ. ენგელსის ნაწარმოებში „ანტი-დიურინგი“ 224

ფ. ენგელსის 90-იანი წლების წერილები 238
ვ. ი. ლენინი. „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ 240
ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ვ. ი. ლენინის წიგნში. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ 266
კ. მარქსი — ი. ვაიდემაიერს, 5 მარტი 1852 წ. 277
ვ. ი. ლენინი. „დიადი თაოსნობა“ 279
ვ. ი. ლენინი. „კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ“ 283
კ. მარქსი. „გოთას პროგრამის კრიტიკა“ 286
ფ. ენგელსი. „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“ 292
ვ. ი. ლენინი. „სახელმწიფო და რევოლუცია“ 310
ვ. ი. ლენინი. „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ . 339
ვ. ი. ლენინი. „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ 346
ვ. ი. ლენინი. „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ 251
ვ. ი. ლენინი. „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ 254
ვ. ი. ლენინი. „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“ 357

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი მ. ვაჩეიშვილი

სბ 619

გადაეცა წარმოებას 1.03.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.08.82
უე 04592. საბეჭდი ქაღალდი 60×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 23. სალრ.-საგამომც. თაბახი 21, 97
ტირაჟი 3500. შეკვეთის № 464.
ფასი 1 მან. 80 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадз, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.